

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

Р 2
891·71 — 3
ბ 226

გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე პაუსტოვსკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს. იგი კარგა ხანს ცხოვრობდა ჩვენში და სწორედ ამ ცხოვრების შთაბეჭდილებებით არის შექმნილი — „კოლხიდა“ და „ნახტომი სამხრეთისაკენ“.

მწერალი გულწრფელი სიყვარულით წერს ჩვენს ბუნებაზე, ჩვენს ადამიანებზე. საგულისხმოა, რომ „კოლხიდას“ მეტად მაღალი შეფასება მისცა ჯერ კიდევ მაქსიმ გორკიმ.

ამ წიგნში კ. პაუსტოვსკის სწორედ ეს ორი მოთხრობაა შეტანილი.

თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა**

გარეული კატა

ვინც კატას მოჰკლავს, სიკვდილი
არ ასცდება.

ძველი მეგრული კანონი.

ქარმა დუქნის ფანჯრებს მტვერი და ხმელი ვარდის ფურცლები მიაყარა. პალმები თითქოს შეკრთნენ, ისე ააშრიალეს მწვანე ფოთლები. ირწეოდნენ, შრიალებდნენ და ის შრიალი ღრჭიალსა ჰგავდა. ბუხრის ბოლი, დამჭკნარი მანდარინის სუნში არეული, ფოთის ქუჩების გასწვრივ გაწოლილიყო. ქალაქის მოედანზე ბაყაყები აღარ ყიყინებდნენ.

— წვიმა წამოვა, — თქვა ახალგაზრდა ინჟინერმა გაბუნიამ.

მან ნაღვლიანად გაიხედა ფანჯარაში. მინას თეთრი წარწერა ეტყობოდა: „შემოდი, წაიხემსე“.

წვიმა ნელა მოიწევდა ზღვიდან, ის მძიმე ბოლივით აწვა წყალს. ამ ბოლში თეთრი ფანტელებივით ფარფატებდნენ თოლიები და წიოდნენ.

— წელიწადში აქ ორას ორმოცი დღე თავსხმაა, — წელანდელ თავის ნათქვამს დაუმატა გაბუნიამ.

— ესეც შენი მცხუნვარე კოლხიდა! — წაიდუდუნა ლაპ-შინმა. — ერთ მეცნიერს გამოუთვლია, რომ დედამიწაზე ყოველდღიურად ორმოცდაათი კუბური კილომეტრი წვიმა მოდის. ჩემი აზრით, მთელი ის წვიმა აქ იღვრება.

ამ სიტყვებს გაბუნიჯზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

სქელ გურულ მედუქნეს გულხუთვა სჭირდა, ახველებდა, სული ყელში ებჯინებოდა. ის ყველაფერს გულგრილად უცქეროდა ამქვეყნად — ინჟინრებს, სადილს რომ შეექცეოდნენ, ხელჯოხიან მოხუცს, არტემ ქორქიას, თავჩაქინდრული რომ იჯდა ცარიელ მაგიდასთან, თვითნასწავლ მოხეტიალე მხატვარ ბეჩოს და მოახლოებულ თავსხმასაც კი. ცუდ გუნებაზე იყო და სიცხისაგან სული ეხუთებოდა, ხან ბუზებს უქშევდა, ღვინიან ნათალ ჭიქებს რომ ეხვეოდნენ, და ხანაც საანგარიშოს გაჰკრავდა ხოლმე.

ბეჩო ზეთის საღებავებით საკვირველ სურათს ხატავდა დუქნის კედელზე. სიუჟეტი გაბუნიამ უთხრა — დუბელა ჭაობების ნაცვლად კოლხიდის მიწაზე მალე ფორთოხლის ბაღები უნდა აყვავებულიყო. ოქროს ნაყოფი შავ ფოთლებში ნათურასავით ციმციმებდა. ვარდისფერი მთები, იტყვი ხანძარიაო, ისე ბოლავდნენ. თეთრი ხომალდები მოხასხასე ლოტოსებში მიცურავდნენ, ხომალდების გვერდით ნავებში კოხტად გამოწყობილი ქალები ისხდნენ. ბაღებში მეგრელები ქეიფობდნენ, თავზე ნაბდის ქუდები ეხურათ და ყველას გალიფე ეცვა, მთელ ამ ბალღურ პეიზაჟს ჩოხა-ახალუხიანი, ხელებგაწვდილი, ბერიკაცი წამოსდგომოდა, ბერიკაცს გრძელი ხუჭუჭა თმა და ლეონარდო და ვინჩის სახე ჰქონდა.

— ლეონარდოს პორტრეტი სადღა იშოვნა? — იკითხა ლაპშინმა.

გაბუნია წამოჭარხლდა.

— მე მივეცი. ხატოს, რა გინდა

ლაპშინმა მხრები აიჩეჩა.

ქვაფენილს აქა-იქ მსხვილი წვეთები დაეცა. ხალხი წვიმის შიშით დუქანს მიაწყდა. ისინი უხერხულობას გრძნობდნენ, საჭმელად არ შემოვსულვართო, და მედუქნეს მორიდებულად უკრავდნენ თავს. მერე ყურადღებით ათვალიერებდნენ ბეჩოს ნამუშევარს.

ყველა აღტაცებული იყო. ხან ერთ მაგიდასთან ააწკლაპუნებდნენ ენას, ხან მეორესთან და შეჰხაროდნენ ამ ჩუმი კაცის ნაოსტატარს.

მედუქნე ცოტა ხანს აღტაცებულ ხალხს შესცქეროდა, მერე გულმოსულმა დააგდო თეფშზე ღომის ნაჭერი და შემწვარი თევზი, ჭიქა ძელგი ღვინით აავსო და ბეჩოს მიაწოდა. ეს იყო მხატვრის ყოველდღიური გასამრჯელო.

ბეჩომ ღვინით ხელები გადაიბანა, შეჭამა თევზი, თვალები დახუჭა და ამოიოხრა. ბეჩო ისვენებდა, ესმოდა ჩურჩული, როგორ აქებდნენ, და ფიქრობდა: თუმცა დუქანი კოოპერაციულია, მაგრამ მედუქნე ნაღდად მატყუებს და ისე არ მაჭმევს, როგორც შეპირებული იყოო.

წვიმის ხმა თანდათან ახშობდა დუქანში თავმოყრილი ხალხის ყაყანს. წყალი მღეროდა წყალსადინარ მილებში და შიშინით აწყდებოდა ჩახურულ ფანჯრებს. წვიმის წვეთებს რაკარუკი გაჰქონდათ ხის კედლებსა და აბრებზე, თითქოს ერთი

კი არა, ათასი პაწაწინა მეთუნუქე და დურგალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

დუქანში ტევა არ იყო. ყვიროდნენ, ღრიალებდნენ, იტყვი სამკვდრო-სასიცოცხლო ომიაო.

ზენა ქარი ჰქროდა. ცხვრის ფარასავით მიერეკებოდა ნაცრისფერ ღრუბლებს და გურიის მთების კედელს ზედ ახლიდა.

შხრიალს, რაკარუკს, შხაპუნსა და ბუყბუყს — წყლის ათასნაირ, უცნაურ ხმას თანდათან ხალხის ყიჟინა და ყვირილიც მიემატა.

დუქანში მყოფნი ხელად ფანჯარას მისცვივდნენ. დუნდგო ხალხი, მთლად გალუმპული, ქვაფენილს აქეთ-იქით აწყდებოდა. წინ პატარა ბიჭები მორბოდნენ. მერე ერთი მაღალი, გოროზი კაცი მოდიოდა, მხარზე თოფგადაგდებული. თვალებს აბრიალებდა. ხელში კუდით ეჭირა ბანჯგვლიანი შავი ნადირი. ნადირს წურწურით ჩამოსდიოდა დრუნჩიდან წვიმის წვეთები და სისხლი.

დუქნის გვერდზე რომ სადალაქო იყო, იქიდან ერთი ცქრანტი, სახეგასაპნული ბერიკაცი გამოვარდა. ნაცრისფერი ჩოხაახალუხიც საპნით დასწუნწკლოდა. მივიდა, ნადირს ხელი შეავლო და პირკატა ეცა.

— რა გიქნია, კაცო! — შეჰყვირა ბერიკაცმა, — გარეული კატა რამ მოგაკვლევინა!

ხალხი აჩოჩქოლდა. მონადირე დუქანში შევიდა. ლორთხი, გალიპული ნადირი მედუქნეს მიუგდო, ისე დაანარცხა დახლზე, რომ ჭერი შეზანზარდა.

მონადირემ ხელისგულით სველი სახე ჩამოიწმინდა, მიუბრუნდა მედუქნეს და ბრაზიანად ჩაიბუხუნა:

— აიღე ტყავი.

ხალხს ენა მუცელში ჩაუვარდა. ყველამ ყურები ცქვიტა. ეს რანაირი ვაჭრობა გაჩაღდა, რაიმე არ გამოგვეპაროსო. ტყავი ტყავია, მაგრამ ის კატა, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელიც იყო, კოლხიდის ჭაობიან ტყე-ღრეში რომ მოკლეს.

მედუქნე ბაიისფერი თვალებით დაშტერებოდა ნადირს და ხმას არ იღებდა. ერთი ახტაჯანა გოგო, იღლიაში ქათამი რომ ამოეჩარა და ხელში ვარდები ეჭირა, სკამზე შეხტა, დახლისაკენ წაყელყელავდა. ქათამი ვარდებს აღარ კორტნიდა, კაკანებდა, ფრთებს აფართქუნებდა. არტემ ქორქიამ ჯოხი მოიქნია და ყვირილი დაიწყო:

— ღმერთმა შეგაჩვენოს, ღმერთმა! კატა მოგიკლავს. ძველად ამ ამბავს არ გაპატიებდნენ, თავს მოგაჭრიდნენ.

— ბოდიში მითქვამს, — მონადირემ დაბღვერილმა შეხედა ქორქიას, — ბოდიშის მეტი რა მეთქმის ბერიკაცის წინაშე. მაგრამ ეს კატა როდია.

ხალხმა პირი დააღო, ყველანი სახტად დარჩნენ, მხოლოდ ახლა დაინახეს, რომ ის ნადირი მართლა გარეული კატა არ იყო. დახლზე ბანჯგვლიანი მხეცი ეგდო, ვეებერთელა ვირთხის მსგავსი.

— მაშ რა ჯანდაბაა, თუ კატა არ არის? — დაბნეულად იკითხა ქორქიამ.

— ნუ ცხარობ, თუ ღმერთი გწამს! — მიწის ფერი დაედო მონადირეს. — თვალები გაახილე!

გაბუნია და ლაპშინი დახლისკენ ძლივს წადგნენ. ის მხეცი მართლა უცნაური რამ იყო. ღონიერ თათებზე ყვითლად უჩანდა ფარფლები. გრძელი უბალნო კუდი მიწაზე სთრევდა.

ხალხი გაოგნებული იდგა. ყველანი მედუქნეს შესცქეროდნენ და ელოდნენ. მაგრამ მედუქნეს სული ეხუთებოდა და დაბღვერილი სდუმდა.

აი სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბეწვეულის ინსტიტუტის ასპირანტი ვანო ახმეტელი. გეგონება ცარიელ მოედანზეაო, ისე თავისუფლად მოდიოდა ხალხში. თან ხელით განზე სწევდა პირდაღებულ ცნობისმოყვარეებს. ვანოს ერთი ჩია მილიციელი, გრიშა მოსდევდა უკან, ხელში რქის სასტვენი ეჭირა.

ვანო დახლთან მივიდა, ნადირს კუდში ჩაავლო ხელი და ასწია. გრიშამ დაუსტვინა, ხელები გაფარჩხა, ხალხო, განიო, დაიძახა. რას გატოქილხართო, უყვიროდა ზოგიერთებს და ადამიანურ ცნობისმოყვარეობას დასცინოდა:

— დაიხოცებით, თუ არ დაინახეთ? რა იყოთ, რა ამბავია. სასაცილო ხალხია, ჩემმა მზემ!

— სად მოკალი? — ჰკითხა ვანომ მონადირეს და დაფანჩული წარბები შეიკრა.

— თურქულ არხზე.

— რა გვარი ხარ?

— გულია.

— მაშ ასე, გულია, — წყნარად თქვა ვანომ, — აკრძალული ნადირი მოგიკლავს, ორი კვირა უნდა ჩაგსვათ.

გულიამ ბრაზიანად მოიხოცა ცხვირი. მერე გულმოსულმა შეხედა ვანოს და ჩაიდუდუნა:

— ვირთხასაც ყარაული ჰყოლია! ბაყაყი რომ მოვკლა, ჭაშინაც დამიჭერთ?

— ნუ ღელავ, სასამართლოზე მოგცემენ სიტყვას... გრიშა, წაიყვანე მილიციაში, წადით.

ხალხი გრიშასა და გულიას მიჰყვა. მონადირე ცოფებსა ჰყრიდა. მხეცი კვლავ კუდით ეჭირა და ისე მიჰქონდა, მაგრამ ძველი სიამაყე აღარ ეტყობოდა. მხეცი სველ ქვაფენილს უხათქუნებდა თავს.

წვიმამ იკლო. მტვერივითლა სცრიდა.

დუქანში გაბუნია, ვანო და ლაპშინი დარჩნენ.

— რა ცხოველი იყო ნეტავი? — იკითხა ლაპშინმა.

ვანომ ყასიდად ჩაიცინა.

— მართლა არ იცი? ნუტრიაა არგენტინული, მდინარე ლიო-ნეგროს მკვიდრი.

— ბოდიშს ვიხდი უვიცობისათვის, — გესლიანად უპასუხა ლაპშინმა, — მაგრამ მე ბოტანიკოსი ვარ და არა ზოოლოგი.

— თქვენ ტენიანი სუბტროპიკების სპეციალისტი ხართ. ისე რომ, მგონი, უნდა იცოდეთ.

გაბუნიამ სცადა სიტყვა ბანზე აეგდო, თორემ ცოტაც და ამ ლაპარაკს ჩხუბი მოჰყვებოდა. ვანო და ლაპშინი ყოველი შეხვედრისას ჰკბენდნენ ერთმანეთს. ვანო კარგი თვალით არ უცქეროდა ახალგაზრდა ბოტანიკოსს, ამერიკული ჭრელა-ჭრელა ტანსაცმელი უყვარს, თანაც ძალიან იპრანჭებაო. ახმეტელს ეჩვენებოდა, რომ ბოტანიკოსი წარჩინებული უცხოელივით ცერად, ქედმაღლურად დასცქეროდა ყოველ საბჭოურ საქმეს.

გაბუნია მძიმე სიტყვას ვერ იტანდა, ხელად წამოჭარხლდებოდა ხოლმე, მორცხვი კაცი იყო, მაღალი, მუდამ მოცინარ თვალებში მალარიის მომწვანო ფერი ჩაღვროდა.

— ნუტრია, — დაბნეულად თქვა მან, — ყველაზე მოჩხუბარი ცხოველია დედამიწის ზურგზე.

ვითომ რა ახალი ამბავი თქვიო, ყურადღება არ მიუქცევიათ. ვანომ, თითქოს ებრალებაო, ისე შეხედა.

— როცა ჭაობებს ამოაშრობ და კოლხიდისაგან შექმნი ეი ამ წარმტაც ბაღებს, ბეჩო რომ ხატავს, ნუტრიას სახსენებელიც ამოვარდება. შენ მთავარი მკვლელი ხარ ნუტრიასი. ნუტრიას ჯუნგლები უყვარს და არა ფორთოხლის ბაღები: ცხადია, სამწუხაროა...

ყველამ ბეჩოს სურათს შეხედა. წვიმამ გადაიღო. მზის შუქმა მაგნოლიის ფოთლებს გააღწია და მომწვანო მწუხრად იქცა. ბეჩოს სურათი, მკრთალი ნათელი რომ ეფინა ახლა, გაბუნიას ახალთახლად ეჩვენა. უნდოდა მისულიყო და თითით შეხებოდა ჩამოკონწიალებულ ფორთოხლებს.

— რა არის სამწუხარო? — ფიქრში წასულმა იკითხა გაბუნიამ.

— შრომა, — უპასუხა ვანომ, — ამ ოხერ ნუტრიებს ორი წელიწადი ზედ გადავყე. მოამრავლეო. პასუხისმგებელი იყავიო. წყალში ჩაყრილი შრომაც მენანება და ჯუნგლებიც, — გაიმეორა ვანომ. — შენმა ექსკავატორებმა სულმთლად დააფრთხეს ტახები. ტურებიც კი მთებში გარბიან.

— ეშმაკსაც წაუღია ისინი!

ლაპშინი წავიდა. უნდოდა ვანოსათვის ეკითხა, ნუტრია არგენტინიდან აქ როგორ მოხვდაო, მაგრამ თავი შეიკავა.

ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო, ლაპშინს თვალში არ მოსდიოდა. არ მოსწონდა ეს დაბალი ჭაობიანი ქვეყანა, მდიდრული სახელი რომ ერქვა, არ მოსწონდა თბილი გადაუღებელი წვიმები, ამღვრეული მდინარეები, ჩქარი მატარებლებივით რომ მიჰქროდნენ ზღვისაკენ, ხიმინჯებზე შედგმული ოდასახლები, აქაური დუქნები, სადაც თბილი ღვინო მოჰქონდათ,

თბილი ჯანდაბას, თანაც სასაქმებელი ზეთის გემო რომ გაჰ-კრავდა.

კვლავ წამოწინწკლა. მზე თვალს მიეფარა. და, როგორც ყოველთვის იცის ხოლმე წვიმის დროს, ქალაქში ათასნაირი სუნი დატრიალდა, ისეთი მკვეთრი, რომ კაცი თითქოს ხელი-თაც იგრძნობდა. ჰაერში იდგა ევკალიპტების მსუბუქი სუნი. ვარდისა და ფორთოხლის სუნი, წებოსავით, რომ ეკვროდა სახესა და ხელებს. მაგრამ თუ ქარი წამოუბერავდა, ააშრიალებდა ბაღებს, ერთმანეთში აურევდა მტვერსა და ფოთოლს. ხელდახელ ყველაფერი შეიცვლებოდა. მოტკბო ოხშივარის ნაცვლად, თვლემასა და თავის ტკივილს რომ იწვევდა, ქალაქში შმორიანი ზღვაური აბორიალდებოდა.

გაბუნიას ქარიანი ამინდი უყვარდა. ასე ეგონა. რაც მალარიამ ჯანში სისუსტე და უღონობა დამიტოვა, ქარს გარეთ გამოაქვსო.

— როდის გაასამართლებენ მაგ კაცს? — იკითხა გაბუნიამ.

— ორ-სამ დღეში.

გაბუნიამ ვანოს თავი დაუკრა და გარეთ გავიდა.

რიონი გრგვინავდა, თავზარსა სცემდა ხიდებს და ზღვისკენ თიხიან წყალს მიაქანებდა. გაბუნია ნელ-ნელა გაუყვა გზას ნავსადგურისაკენ. თითქოს სიარულშიც ეტყობოდა, რომ მალარია სჭირდა.

ჩემი რბილი ხასიათის ბრალია, ხშირად ყალბ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდები ხოლმეო, ფიქრობდა ის. ვანოსთან ლაპარაკს ყოველთვის გაურბოდა. თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ვანოს წინაშე თითქოს დანაშაულს გრძნობდა,

რაკი კოლხეთის ჭაობებს აშრობდა, არხები გაჰყავდა და ნუტრიას ადგილ-სამყოფელ უსიერ ტყეებს სძირკვავდა.

ეს მხეცი რის ვაივაგლახით ჩამოიყვანეს არგენტინიდან და მოსაშენებლად კოლხიდის ჭაობებში გაუშვეს. ვანო ორ წელიწადს ადევნებდა თვალყურს, როგორ მრავლდებოდა კოლხიდაში რიო-ნეგროს მკვიდრი და თანაც საკვირველ ამბებს ჰყვებოდა ნუტრიას ძვირფას ბეწვზე.

ნუტრია სწრაფად მრავლდებოდა, მაგრამ თვალის დამკვრელი არავინ იყო, გარდა ვანოსი და ზოგიერთი ?ეგრელი მონადირისა. ისინი ჰყვებოდნენ, თუ რა საშინელი ჩხუბი იცოდა ამ ნადირმა. ნუტრიები რამდენიმე დღე-ღამეს ჩხუბობენ და ყოველთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდო. ისინი ძალზე მფრთხალნი არიან, ას ნაბიჯზე არ მიიახლოებენ ადამიანს, მაგრამ ჩხუბში ისე შმაგდებიან, რომ კაცს თამამად შეუძლია მივიდეს და კუდში წაავლოს ხელი. ჩხუბი ყოველთვის ერთი და იმავე ილეთით იწყება: ნუტრიები ერთმანეთს ხახაში ჩააფრინდებიან ხოლმე და ცდილობენ კბილები ამოამტვრიონ. თუ ჩაყვინთა, ნუტრიას შეუძლია წყალქვეშ ხუთი წუთი უჰაეროდ გასძლოსო.

გაბუნიას ვერ გაეგო, რას ჯახირობდა ვანო, ამ საზიზღარი მხეცის გადამკიდე.

ვანო, ნუტრიას რომ სწავლობდა, თვეობით დააბოტებდა ჭაობებში. თანდათან თითქოს მგოსანი გახდა კოლხიდის ჯუნგლებისა — ლიანებით ჩაწნული დახუთული ტყეებისა, დამპალი ტბებისა, მთელი ამ მალარიული მცენარეულობისა, თავშინებებული ძირ-ფესვიანად რომ იხრწნებოდა.

კოლხიდის ტყეებს ვანო ტროპიკულს ეძახდა, თუმცა ამ

ტყეებში ჩრდილოეთის შქერისა და თხმელას გარდა სხვა ხე თითქმის არც იდგა. აქ იყო ჩრდილოეთისა და სამხრეთის საოცარი აღრევა. თხმელა კოლხიდაში ზღაპრული სისწრაფით იყრიდა ტანს. ახალ ნაკაფზე სამ წელიწადში გაუვალი კოროში ჩნდებოდა.

გაბუნია გრძნობდა, რომ ვანოს არ ეპიტნავებოდა კოლხიდის ჭაობების ამოშრობა. ვანო თითქოს არც მალავდა სიხარულს, მალარიის, წყალდიდობის, წვიმებისა და ჭაობებში ჩაფლული ექსკავატორების მიზეზით, საქმეს კარგი პირი რომ არ უჩანდა.

გაბუნიამ ისიც იცოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა ფრონტზე უნდა მიეტანა იერიში ვანოს წინააღმდეგ, მაგრამ ხანდახან შეეცოდებოდა ხოლმე: ექსკავატორები თანდათან სულ წინ მიიწევდნენ ვანოს ზღაპრულ სამფლობელოში, გლეჯდნენ ლიანებს, ხაპავდნენ ტბებს, შავფორეჯიან, ოქროსფერ კობრიანად, ზღვისკენ მიერეკებოდნენ ტახებს, ნუტრიასაც და უკან სტოვებდნენ თვალჩაუწვდენელ ხნარცვებს, გორად დადგმულ აზელილ თიხას და დამპალი ჯირკების ზედახორას.

კოლხიდის ტყეები მუხლამდე წყალში იდგნენ. ხეები ფესვს ძლივს იკიდებდნენ ლამიან ნიადაგში. რამდენიმე მუშა ჯაჭვს მოაბამდა და ხეს ხელად წამოაქცევდა. ასე უფრო უხიფათო იყო. ხეები ძირს არ ენარცხებოდნენ, მკლავის სიმსხო ეკლიან ლიანებს ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე. ტყეები შავეკალათი და უსურვაზით, მაყვლითა და გვიმრით დაიფარა.

მცენარეულობამ საოცარი ძალა მოიცა. უსურვაზი ჯაჭვივით ეხვეოდა ხეებს და კეწრებივით ამტვრევდა. მაყვლის

ბუჩქები თვალდათვალ იყრიდნენ ტანს. ერთ ზაფხულში ორ მეტრზე იყლარწებოდნენ.

ამ ტყეებში ბალახი არ იცოდა. ბნელოდა, ჰაერი ჩახუთული იყო და ტოტიდან ტოტზე ფრინველი არ დახტოდა. ჩიტების ნაცვლად ღამურები წრიალებდნენ. გაუვალი და მკვდარი ტყეები თბილი წვიმების ბურუსში ჩაძირულიყვნენ.

როცა ქარი უბერავდა, ტყეები ანაზდად იცვლიდნენ მრუმე ფერს და ვერცხლის წყლის ფერისანი ხდებოდნენ — ქარი ფოთლის სამოსელს წამოხდიდა ხოლმე ურთხმელს, ურთხმელის ფოთოლს კი ვერცხლისფერი ზურგი აქვს.

ყოველდღე, თვეობითა და წლობით შრიალებდნენ ტყეები, დაბინდული ვერცხლის ტალღასავით ირწეოდნენ და გაბუნიას ესმოდა, რაც ადარდებდა ვანოს. ის კი არა, ხანდახან თვითონაც შეებრალებოდა ხოლმე ეს ტყეები.

კოლხიდაში ამოსაშრობ სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი კახიანი კი უფრო იოლად უყურებდა ცხოვრებას. ის ვერ ამჩნევდა ვერც ტყეებს, ვერც დუმფარით დაფარულ ტბებსა და ვერც იმ მდინარეებს, ტყე-ტყე რომ მიიკვლევდნენ გზას. ყველაფერი უნდა მოსპობილიყო. როგორც დაბრკოლებას, კახიანი ყველაფერს ისე უცქეროდა.

კახიანი ვანოს ცხვირმოუხოცელ ბიჭად თვლიდა. თუ ვანო ცხარობდა, ჯუნგლები და ნუტრია უნდა დავიცვათო, კახიანი ხელს ჩაიქნევდა, ერთი შენც რამეს ამბობო, და ველარ ისვენებდა. სახეზე მუდამ სიმწარე ჰქონდა აღბეჭდილი. ხმა დადიოდა — რასაც ეგ ქინაქინას ყლაპავს, კიდევაც კარგი შესახედავიაო: კახიანს ყოველთვის პირში ედო ქინაქინის აბი და ღეჭავდა, ხანაც ისე, უწყლოდ ყლაპავდა.

წარსულისა და ამ გაუვალ ტყეთა გამო წუხილი კახიანისათვის უცხო იყო. მარტო თავისთავს მინდობილი ბუნება აუცილებლად დაკნინდება და ამოვარდებაო, იტყოდა ხოლმე ხშირად. ამას როცა ამბობდა, ცნობილ მეცნიერთა შრომებსაც იშველიებდა, სიამაყით კი არა, მოწყენილი ლაპარაკობდა.

სამუშაოთა უფროსი, როგორც უნარიან, მაგრამ მეტისმეტად მეოცნებე ინჟინერს, ისე უცქეროდა გაბუნიას. სად ინჟინრობა, სად რომანტიკოსობაო, ამბობდა და ბრაზობდა, თუ გაბუნიას ოთახში მაიაკოვსკის ან ბლოკის ლექსების წიგნს იპოვნიდა.

— ნამდვილი კლასიკური ლიტერატურა,—ბუზღუნებდა,— მათემატიკაა. სხვა ყველაფერი ლაქლაქია!

ერთადერთი კაცი, ვანოს რომ თანაუგრძნობდა, ძველი ინჟინერი პახომოვი იყო, კოლხიდაში ამოსაშრობ სამუშაოთა გრანდიოზული პროექტების ავტორი. დასცქეროდა პახომოვი ცისფერ ნახაზებს და ხანდახან, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, იტყოდა:

— მოხარული ვარ, რომ ამ საქმის დამთავრებამდე ვერ ვიცოცხლებ. გულწრფელად მოხარული ვარ! რაც არ უნდა იყოს, ბუნების განადგურება პატარა ამბავი როდია.

თან კი ქაღალდზე არხები გაჰყავდა იმ წუთას გამოტირებულ უსიერ ტყეებში და მაგიდას ფანქარს უკაკუნებდა:

— კიდევ ორი ათასი ჰექტარი საციტრუსედ, ხუმრობა როდია!

ბერიკაცი ცოტა შუშუტივით იყო. ბეჩოს სწორედ მან მიახატვინა იმ პეიზაჟზე ლეონარდო.

— შენი ამბავი მაკვირვებს, მეგობარო, მომავალ კოლხო-

დას ხატავ და ისეთი მელიორატორი, როგორიც ლეონარდო და ვინჩი იყო, მაგ სურათზე არ ჩანს. უიმისოდ რა უნდა გამოვიდეს! — უსაყვედურა მან ბეჩოს.

ბეჩომ უნდობლად შეხედა პახომოვს:

— ის აკი მხატვარი იყო!

— მხატვრობასაც მისდევდა. არა, ვინ ამბობს, მართლა კარგი მხატვარი იყო, მაგრამ არც ცუდი მელიორატორი ყოფილა.

ამ ამბის შემდეგ სთხოვა ბეჩომ ინჟინერ გაბუნიას გენიალური იტალიელის პორტრეტი.

პახომოვის სახელთან დაკავშირებული იყო იდუმალი სიტყვა „კოლმატაჟი". ამ სიტყვაზე, ჭაობის ამოშრობის ამ საშუალებაზე, ისე ლაპარაკობდნენ, როგორც მარსისაკენ გაფრენაზე ან საჰარის ზღვად გადაქცევაზე. ეს საშუალება მართლაც ფანტასტიკური იყო, მაგრამ ამაზე მერე ვიტყვით.

გაბუნია, ორიოდე დღით რომ ჩამოვიდა ჭალადიდის ტყეებიდან, სადაც მთავარი არხის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ნავსადგურში კაპიტან ჩოპის, ამ ნავსადგურის ზედამხედველის, საძებნელად დაეხეტებოდა. ჩოპს მატროსებზე უნდა მოლაპარაკებოდა, არხზე რომ მიწახაპიას ამუშავებდნენ, მატროსები იმ მიწახაპიისათვის უნდოდა.

ფოთში გაბუნია ხშირად ჩამოდიოდა, მაგრამ ქალაქიცა და ნავსადგურიც უცხო ადგილად ეჩვენებოდა. ახლაც ასე იყო.

ნავსადგურში გაბუნიას ღამემ მოუსწრო.

ნავმისადგომებში მზეზე გამშრალი კიბორჩხალისა და ლამის სუნი იდგა. სასიგნალო ჩირაღდნები თითქოს მოლივლივე წყლის ზედაპირზე ენთო. ნაპირს ნაღვლიანი ღიღინით

აწყდებოდნენ აქოჩრილი ტალღები. ასე ღიღინებენ ხოლმე დედები, როცა აკვანზე სთვლემენ.

ქალაქის მხარეს კვლავ ღრუბელი ჩამოწვა. ქუჩებში რომ ჩირაღდნები ენთო, მკრთალ შუქს ირეკლავდნენ, ციმციმებდნენ და თითქოს ის ღრუბელიც ციმციმებდა. ბაყაყები ყიყინით იკლებდნენ ჭაობებს.

გაბუნიამ რკინიგზის პაკჰაუზს გვერდი აუქცია, გაშლილ ნავმისადგომზე გავიდა და შეჩერდა. ნავსადგურში თბომავალი „აფხაზეთი“ შემოდიოდა, ბათუმიდან მომავალი. წყალში მოლურჯო ვარსკვლავები ირწეოდნენ, ხან პატარავდებოდნენ, იკუმშებოდნენ, ხანაც ყვავილებივით გადაიშლებოდნენ და ხომალდის თეთრად არეკლილ შუქში იბლანდებოდნენ. თბომავალი ბროლსა ჰგავდა და თითქოს იმ ბროლში ენთო შუქი.

ირგვლივ საყვირის წვრილი და გამყივანი ხმა გაისმა, ნელა გასრიალდა დაბალ ღრუბლიან ცაზე და მერე შორს მიწყდა, მიიკარგა, როგორც წყლის წრე მიიკარგება ხოლმე ზედაპირზე. ჯერ ჭალადიდის ტყეებში დაირხა ნაღვლიანი გამოძახილი, მერე გურიის მთებმა მისცეს ბანი.

თბომავალმა მძიმედ შემოაბრუნა მოშავო ვეებერთელა ტანი და ნავსადგური ყვირილით, წყლის შხუილით, ბავშვების კისკისითა და ჯალამბრების ხმაურით აავსო.

ძველმა მეთევზეებმა ბრაზიანად აახვიეს ანკესები, თანაც იფურთხებოდნენ და ყვიროდნენ, ეს ოხრები პირიდან ლუკმას გვაცლიანო.

„თეთრი თმა“

ახალგაზრდა ქალი, შვიდიოდე წლის გოგონა რომ ახლდა, გემს გვიან ღამით მოჰყვა. ის გემი სატვირთოც იყო და სამგზავროც. ჩახურებული ტყავისა და ნავთის სუნად ყარდა.

ნავმისადგომში ნელ-ნელა შევიდა, შუქი ჩააქრო და დაცხრა.

ქალი თავის ჩემოდნებთან შედგა და შუბლმოჭმუხნილმა გაიხედ-გამოიხედა. კაცის ჭაჭანება არ იყო. ცქვიტად მიმავალი მეგრელი მგზავრები, წელან გემიდან რომ ჩამოვიდნენ, სიბნელემ შთანთქა.

ირგვლივ წყლის ხმაური იდგა, გულგრილი და ცივი ზღვა ხმაურობდა.

— ქალაქში როგორ გავალ? — ისე, ალალბედზე იკითხა ქალმა სიბნელეში, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.

პატარა გოგო ჩემოდანზე ჩამომჯდარიყო და შეშინებული შესცქეროდა დედას.

ჩაბნელებულ ნავსადგურში ფეხსაცმლის მწმენდავი ათი წლის ბიჭი ქრისტეფორე ქრისტეფორიდი მიცუნცულებდა. ხელში ბამბუკის ტარიანი ანკესი ეჭირა და თანაც ზუმბურზეთის ყუთს მიათრევდა.

ქრისტეფორიდი თავგამოდებული მეთევზე იყო. სათევზაოდ ღამით გადიოდა, ციმციმასთან რიგიანი ადგილი რომ ჩაეგდო, იქ ყველაზე უფრო სტავრიდა იცოდა. სიცივისაგან ტუჩები ულურჯდებოდა, კანკალებდა, გათენებისას ქრისტეფორეს ენაც კი წაერთმეოდა ხოლმე, მაგრამ ყველაფერს ვაჟკაცურად უძლებდა.

ქრისტეფორიდი ჩქარობდა. დილის რვა საათისათვის თევზაობა უნდა მოეთავებინა და ნავსადგურის მოსამსახურეთა სახლები ჩამოერბინა: ფეხსაცმელები უნდა გაეპრიალებინა კაპიტან ჩოპისათვის, მოლარისათვის, ლოცმანისათვის. სათევზაოდ სამი საათიღა რჩებოდა. ყველას რომ ჩამოურბენდა და

გაუპრიალებდა ფეხსაცმელებს, ქრისტეფორიდი მერე ნავსადგურში, ავტობუსის გაჩერებასთან ჩამოჯდებოდა. ხოლმე და დღეში ერთი-ორი მანეთისას იქაც აპრიალებდა. ის ადგილი მიუდგომელი და უკაცრიელი იყო, მაგრამ ქრისტეფორეს ზღვის ცქერა ყველაფერს ერჩივნა ქვეყანაზე.

ქრისტეფორიდი ჩქარობდა, მაგრამ ჩოპის პატარა სახლს რომ ჩაუარა, შედგა და განათებულ ღია ფანჯარაში შეიხედა. ჩოპის სახლი ჯებირის დასაწყისში, ნავსადგურის ყველაზე უკაცრიელ ადგილას იდგა. ქარიშხლის დროს კაპიტნის ოთახებს ზღვის შხეფი არ აკლდა.

ქრისტეფორემ ფანჯარაში სამ კაცს მოჰკრა თვალი. ისინი მადიანად აბოლებდნენ პაპიროსებს და მიუხედავად გვიანი ღამისა, ჩაის დალევას აპირებდნენ. ქრისტეფორემ იცნო ჩოპი, ინჟინერი გაბუნია და აყლაყუდა ინგლისელი მატროსი, სიმას რომ ეძახდნენ.

სიმა თავის გემს ჩამორჩა და ახლა უსაქმურად დაყიალობდა ფოთში. თუ შეეკითხებოდნენ, ვინა ხარო, სიმა ინგლისურად უპასუხებდა „სიმენიო“. რაც „მეზღვაურს“. ნიშნავს. ჩოპმა სიმონი შეარქვა, ბიჭებმა კი სიმად მონათლეს.

— ჰეი, რომელი ხარ, მანდ ფანჯარასთან რომ წრიალებ?— შიშის მომგვრელი ხმით დაიყვირა ჩოპმა.

ქრისტეფორიდი განზე გახტა, თავი სამშვიდობოზე რომ იგრძნო, სახლს მუშტი მოუღერა. ჩოპისა არ ეშინოდა, მაგრამ რაიმე ავს რომ გადაეყრებოდა, ეს იცოდა: ჩოპს არ უყვარდა, როცა მეთევზეები ღამით ნავსადგურში დაეხეტებოდნენ. უეცრად ქრისტეფორეს ბავშვის ტირილი და ქალის ხმა მოესმა.

— ნუ გეშინიან, შვილო, — ამბობდა ქალის ხმა, — აი ნახავ, მალე ვინმეს ვიპოვნით.

ქრისტეფორიდი ახლოს მივიდა. სხარტი ბიჭი იყო და ხელად ისაზრა, ეს ქალი აქაური არ უნდა იყოს, ალბათ ღამის გემს ჩამოჰყვაო. ავტობუსი მხოლოდ ოთხი საათის მერე წავიდოდა ქალაქისაკენ, მეეტლები კი ღამით არ მოდიოდნენ ნავსადგურში.

მივალ და ქალს გამოველაპარაკებიო, იფიქრა ქრისტეფორემ. პატარა გოგო შეეცოდა ძალზე, მაგრამ დაიბნა, არ იცოდა რა ეთქვა, რით დაეწყო, და თითქოს თავისთავს დაელაპარაკა:

— მოდი, გავწმინდოთ!

— რას ამბობ, ბიჭო! — გაიცინა ქალმა. — ღამით გაწმენდა სად გაგონილა.

ასე გაიბა საუბარი. ქალი გახარებული იყო. უხარდა, რომ შუაღამისას უცხო, უკაცრიელ ნავსადგურში ფეხსაცმლის მწმენდავ და თანაც მეთევზე ბიჭს შეხვდა. მეთევზეობა ადამიანს გულკეთილსა და ლაპარაკის მოყვარულს ხდის, ფეხსაცმელების წმენდა კი ამ საქმის ოსტატებს ათასნაირ პრაქტიკულ ცოდნასა სძენს. ფეხსაცმლის მწმენდავებით მდიდარ ქალაქებში ცნობათა ბიუროებს საქმე თითქმის არცა აქვთ.

მეთევზისა და ფეხსაცმლის მწმენდავის ყველა ძვირფას თვისებას ზედ დაერთო ქრისტეფორიდის ენთუზიაზმიც. ქალის გამოუვალმა მდგომარეობამ ათასი ფიქრითა და აზრით აუვსო თავი. რა ქნას, რა იღონოს? ქალაქამდე, სადაც სასტუმრო „შავი ზღვაა“, თითქმის სამი კილომეტრია. ბარგს, სულ ერთია, ვერ წაიღებს.

მაგრამ დიდხანს ფიქრის დრო აღარ იყო: უკვე წამოეინ-ეღლა, როგორც ყოველთვის იცის ხოლმე ფოთში გათენების წინ.

— აქ დამელოდეთ! — თქვა ქრისტეფორემ, ანკესი და ზუმბურზეთის ყუთი ქალის ფეხებთან დაყარა და გაქრა.

ქრისტეფორიდი ჩოპის სახლისაკენ გაიქცა. მღელვარებისაგან გული ყელში ებჯინებოდა, ეს რა უჩვეულო ამბავი დამატყდა თავსაო, კაპიტანს ყველაფერი წვრილად ჩაუკაკლა. ჩემი სახლი მოსაცდელი დარბაზი როდიაო, წაიბუტბუტა ჩოპმა, მერე მძიმედ წამოდგა და ბიჭს ბრაზიანად შეავლო თვალი:

— მოვიდეს, დილამდე შეიძლება აქ ყოფნა. ამაღამ მაინც ვმორიგეობ. აბა წავედით, სემაფორ სემაფორიდი.

ქრისტეფორიდი კაპიტანსა და გაბუნიას ნავმისადგომისაკენ გაუძღვა. გაბუნია მთელი გზა კაპიტანს ედავებოდა. წასვლა უნდოდა, მაგრამ კაპიტანი არ უშვებდა.

— არა, არ შემიძლია ქალებთან ლაპარაკი, — ბურტყუნებდა და ძალაზე ადგა გაბუნიას, დილამდე ჩემთან უნდა დარჩეო.

ბოლოს, როგორც იყო, დაითანხმა.

ქალი დაიბნა. ორმა მამაკაცმა ხელი დაავლო ჩემოდნებსა და ისიც, ბავშვიანად, სადღაც ჯებირისაკენ წაიყვანეს. ჯებირთან სულ უფრო მძლავრად და ჯიქურ გუგუნებდა ზღვა. ქრისტეფორიდი უკან აედევნა მიმავალთ. კმაყოფილი იყო და გულიანად უსტვენდა. გადაწყვიტა, ამ ამბავს ბოლომდე თვალყური უნდა ვადევნოო. ცოტას ლაპარაკობდნენ: ხმას ზღვაური და ხრეშის ხრაშუნი ახშობდა.

ქალი, გეგონება სიზმარშიაო, ისე მიდიოდა. ეჩვენებოდა, რომ ისევ გემზე იყო. დედამიწა თითქოს ირწეოდა და თრთოდა აკაციის შრიალსა და ქარის ხმაურზე.

სიზმარში მყოფივით შევიდა ქალი პატარა თეთრ სახლში, სადაც ბრინჯაოს ბარომეტრები ერთნაირად „ცვალებადს" აჩვენებდნენ, ჭერქვეშ კი თეთრი, ბუგშპრიტიანი კლიპერის მოდელი ეკიდა, ბუგშპრიტი მოოქროვილი იყო.

ქალი დაინახა თუ არა, ხელად ზეზე წამოიჭრა ქერა მატროსი, ლურჯი კოსტიუმი ხალვათად რომ ადგა ტანზე, და ლამის ძვლები დაამტვრია, ისე ჩამოართვა ხელი ქალსაც და გოგონასაც. პატარა გოგომ ტირილი დაიწყო.

მატროსი ჩაცუცქდა, სახე დამანჭა, ხელი ხელს შემოჰკრა და საზარელი ხმით ერთი აბდაუბდა ინგლისური ფოქსტროტი წაიღიღინა, იქნებ გოგონა როგორმე დავაწყნაროო. პატარა გოგომ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც გაიცინა.

სიცილმა უხერხული დუმილი დაარღვია. ქალი გაბუნიას ელაპარაკებოდა. ქრისტეფორემ, აქა ვარ და კაპიტანს გული მაინც მოვუგოო, სამზარეულოში ჩოპის ძველი ჩექმები იპოვნა და წმენდა დაუწყო, გაუსვა და გამოუსვა. იმდენი წმინდა და აპრიალა, რომ ჩექმის პირი თითქმის გახურდა — ხელს თუ წაავლებდი, დაგწვავდა.

ქრისტეფორიდი თან ლაპარაკს უგდებდა ყურს. ქალსა და გაბუნიას საუბრიდან გაიგო, რომ ეს ქალი ელენე სერგეევნა ნევსკაია იყო, ბოტანიკოსი (ბიჭმა იცოდა რასაც ნიშნავდა ეს სიტყვა) და ფოთის სუბტროპიკულ საცდელ სადგურში მოევლინებინათ სამუშაოდ. მერე პატარა გოგო დააწვინეს და ჩაის დასალევად დასხდნენ.

სვამდნენ ჩაის და თან ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ, რომ ქრისტეფორეს თევზაობის იშტა დაეკარგა და გათენებამდე ფეხი არ მოუცვლია. დილით კაპიტანმა სამზარეულოში იპოვნა. ქრისტეფორეს გარშემო ხუთი წყვილი ძირგახვრეტილი ფეხსაცმელი შემოეწყო, კაცი იფიქრებდა, იაპონური ლაქი აქვს წასმულიო. კაპიტანს დიდი ხანია უნდოდა ხუთივე წყვილის სანაგვე ყუთში გადაყრა. ახლა ისინი ხელოვნების ნაწარმოებებივით ეწყო. ქრისტეფორეს დახარჯული ზუმბურზეთი და შრომა არ დანანებია. წუხანდელი საუბარი ათ ქილა კრემად უღირდა. თანაც ყველაზე საუკეთესო საჩექმე კრემად.

როცა ქალმა საწვიმარი მოიხსნა და მაგიდასთან დაჯდა, ჩოპი დაღლილ თვალებში ჩააცქერდა, და კეთილი გულით თქვა:

— მაშ ჩამოხვედით ჩვენს კურთხეულ კოლხეთში, ჰა, შესანიშნავია! რას აპირებთ, რა საქმეს მოჰკიდებთ ხელს?

— მე ჩაის სპეციალისტი გახლავართ. აქ კი ყველა კულტურაზე ვიმუშავებ, უმეტესად მაინც ევკალიპტზე.

— ევკალიპტი რა სათქმელია! — თქვა კაპიტანმა. — აი ჩაი მესმის. შეიძლება ითქვას, რომ მეც ჩაის სპეციალისტი ვარ ჩემს სიცოცხლეში ასობით ტონა გადამიზიდავს. აი ხედავთ, — კაპიტანმა თითი გაიშვირა ჭერქვეშ ჩაშოკიდებულ ხომალდის მოდელისაკენ. — ეგ ჩვენი „ბეგონიაა“, ჩაის კლიპერი. მსოფლიოში უკანასკნელი კლიპერია. „ბეგონიით“ სამი წელიწადი ზედიზედ მიცურია.

სიმამ მხიარულად დაიბღავლა. ნევსკაიამ კლიპერს შეხედა. რა მშვიდი, დაღლილი თვალები აქვს, რა წაბლისფერი თმა, ფიქრობდა გაბუნია ნევსკაიაზე.

ჩოპი ცოტა ყბედი კაცი იყო. ყბედობა დასვენების საუკეთესო საშუალებაა, იტყოდა ხოლმე. ნაცნობ-მეგობრებისათვის ხშირად უთქვამს:

— წავიდეთ, დავისვენოთ — ცოტა რამ წავიყბედოთო.

გაბუნიამ იცოდა, რომ ჩოპი თავს ვერ შეიკავებდა. და მართლა ასეც მოხდა:

— თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ბერიკაცი ცრუობს და ყველა კლიპერი დიდი ხანია დალპა? მართალია, დალპა. არ გედავებით, მაგრამ ერთი კლიპერი, აი სწორედ ეს „ბეგონია", ომამდე ცეილონიდან ინგლისში დადიოდა. ჩაის კლიპერი იყო. მაგის მარტო დანახვაც ერთ რამედ ღირდა. ყოველი რეისის წინ ლაქს ვუსვამდით. იტყვი სველიაო, ისე ბზინავდა მუდამ.

უხეირო, ჭუჭყიანი სანახშირეების შურიან კაპიტნებს თვალში არ მოვდიოდით და ხშირად ნიშანსაც იძლეოდნენ: „კალთა აიკეცე, გენაცვალე, თორემ გაგთხუპნით!" ისინი „ჩაის კლუბის ყმებს" გვეძახდნენ. არც ერთ ნავსადგურში არ უხაროდათ ჩვენი მისვლა. რატომ? დამაცადეთ, ვიტყვი. ყველაფერს მოესწრებით.

კოლომბოდან ლონდონში დაგვქონდა ჩაი, განსაკუთრებული ხარისხისა, ჩემი აზრით, ყველაზე საშინელი ხარისხისა, „თეთრი თმა" რომ ერქვა. თქვენ ჩაის საქმის სპეციალისტი ხართ. ალბათ გამიგებთ — ჩაი საუკეთესოდ მაშინ ითვლება, თუ დიდ გზას გაუძლო. გზაში ჩაი მაგრდება, მეტ სურნელს იღებს, გემრიელდება. ამბობენ დრო, ჰაერი და სითბო მოქმედებსო. ძველად რუსეთში „საქარავნო" ტყუილად როდი მიაჩნდათ ყველაზე საუკეთესოდ. ერთ წელიწადს უნდებოდნენ ვიდრე ქარავნით ჩინეთიდან რუსეთში ჩამოიტანდნენ. მესამე

ხარისხისა გზაში პირველ ხარისხად იქცეოდა. ასეა ხომ? აი ხედავთ, ცოტა რამ ამ ქვეყნისა ჩვენც გაგვეგება.

სიმამ მაგიდაზე მიდო თავი და ხვრინვა ამოუშვა. ჩოპმა კეპი ცხვირზე ჩამოუწია, მერე გაბუნიას მიუბრუნდა:

— შენთან ამუშავე, თუ კაცი ხარ. გემს ჩამორჩა და ინგლისში აღარ წაესვლება. ისე კარგი ბიჭია, მაგრამ ცოტა შუშუტია, მგონი. უენო ტიპია.

— წავიყვან. კლიპერზე ჰყვებოდი, არ დაგავიწყდეს!

— აი სწორედ ჩაის ეს თვისება იყო ჩვენი კლიპერის არსებობის მიზეზიც. კლიპერი ლესლის ჩაის ფირმას ეკუთვნოდა. ამ ფირმას თითქმის მთელი ჩაი რკინის ხომალდებით გადაჰქონდა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩაი, როგორც საშრობი მელანს, ისე იწოვს ათასნაირ სუნს. ხომალდზე სურნელს ჰკარგავდა. რკინის, ნახშირის, ტყავის, დუბელა წყლისა და თაგვის სუნი ეძლეოდა. ეს ჩაი, ხომალდით ჩატანილი, დიდ ბაზარზე გაჰქონდათ. იმ რჩეულთათვის კი, პირის გემო რომ ჰქონდათ, ეშმაკსაც წაუღია ისინი, ხის კლიპერით ეზიდებოდნენ ჩაის.

ჩვენ თაგვის სუნად არა ვყარდით, პალმისა და ჟასმინის სუნი გვდიოდა, ღმერთმანი! რაღა ჟასმინისაო, იტყვით. იმიტომ, რომ ჩაიში ჟასმინის, კამელიისა და დაფნის ყვავილს ვურევდით. აზიზ ქალებსაც არ ექნებოდათ იმნაირი ყნოსვის უნარი, ჩვენ რომ გვქონდა. მივდიოდით, ირგვლივ სურნელს ვაფრქვევდით, შემხვედრ ხომალდებზე კი ყვიროდნენ: „რა ამბავია, ცოტა სული მოგვათქმევინეთ! კაპიტანი ფრეი თავის მცურავ სადალაქოს კვლავ ლონდონისაკენ მიათრევს!“

მაგრამ ჯერ სადა ხართ. ფირმის ბრძანებისამებრ კოლომბოდან სუეცის არხის გავლით კი არ მივდიოდით ლონდონში,

არამედ აფრიკის შემოვლით. ნელა, როგორც იტყვიან, ტივით მივდიოდით. ამას განგებ აკეთებდნენ, რათა ჩაი უფრო დიდხანს ყოფილიყო გზაში. სამაგიეროდ ცეცხლის ფასად ასაღებდნენ ამ ჩაის. ახლა ალბათ მიხვდით, თუ რად ეჯავრებოდათ ჩვენი დანახვა ნავსადგურებში.

ჩვენ ყოველთვის უმაღლესი ხარისხის ჩაი დაგვქონდა, ცხადია, „თეთრი თმაც". როგორც კი გაბუნიას შევხედავ, ის „თეთრი თმა" მომაგონდება ხოლმე. იმიტომ კი არა, რომ საფეთქლები შეთეთრებული გაქვს. არა, რა სათქმელია. ჭაღარა ბევრმა ფიქრმა იცის. ჯერ რა, ოცდათორმეტი წლის კაცი ხარ.

როგორ შეერქვა „თეთრ თმას" ეს სახელი? ყური მიგდეთ, ყველაფერს გეტყვით.

ერთხელ ცეილონში გემს ჩამოვრჩი, აი როგორც წიმა. — კაპიტანმა კეპი თითქმის პირამდე ჩამოაფხატა სიმას. — რა უნდა მექნა? არც საჭმელი მქონდა, არც ფული! ვიდრე „ბეგონია" დაბრუნდებოდა, ლესლის ჩაის პლანტაციებში ზედამხედველად დავდექი. მუშები იქაურები იყვნენ, უმეტესად ქალები...

სამზარეულოში ხმაური აღარ ისმოდა. ეტყობა, კაპიტნის ნაამბობმა ისე გაიტაცა ქრისტეფორიდი, რომ ფეხსაცმლის წმენდა-პრიალს თავი მიანება.

თენდებოდა. ზღვას ოკეანესავით უზარმაზარი, მოხასხასე ცა ადგა თავს. ჩოპმა ფანჯარაში გაიხედა.

— წყნარ ამინდს იჭერს, — თქვა ჩოპმა. — შესანიშნავია!.. აი სწორედ იქ გავიგე, რას ნიშნავს კოლონია, რა არის ტროპიკი. როგორც კი მოვიგონებ, გული მერევა.

დილით ადრე, სისხამზე დგები... ისეთი ჰაერია, რომ გეჩ-

ენება თითქოს ახალგაზრდავდები. ჩუხჩუხებენ ნაკადულები, ხეებზე ჯამისოდენა ყვავილები ჰყვავიან, კუდით ჩამოკიდებული მაიმუნები ქანაობენ და თავზე გაფურთხებენ. დღეს და გადმოდღეს ყველაფერი. მარტო იქაური სურნელი აქცევს კაცს პოეტად.

იღვიძებ და ხედავ, როგორ დასდგომია თავს უზარმაზარი მზე ტროპიკულ მცენარეებს, როგორ იქნევენ სტეკებს, გესმის ტირილი ქალებისა, ზედამხედველები — ინგლისელი ბოსები კი თითქოს იყეფებიან, უცქერი ბავშვებს, ქოქოსის აყროლებულ ჩენჩოს რომ ღეჭავენ, და ისეთი ჯავრი მოგდის, სიბრაზისაგან ლამის თავი გაგისკდეს.

ამბობენ, სადაც ტროპიკებია, სამოთხეც იქ არისო. ვინ ამბობს? პამპლაუქა ხალხს არ დაუჯეროთ. საცა ტროპიკებია, თუ მკითხავთ, ჯოჯოხეთიც იქ არის! ზოგიერთი, იქაურებზე ვამბობ, კბილებს აახჩიალებს, გაფითრდება ხოლმე, იტყვი, აი საცაა ბოსს ყბებს მოამტვრევსო, მაგრამ მუშტი ვერ შეუკრავს. ეს განსაკუთრებული ავადმყოფობაა. „რეზინის მუშტი“ ჰქვია. ცხელი ოხშივარი, ციებ-ცხელება და ჯოჯოხეთური სამუშაო ისე ადუნებენ და ასუსტებენ ადამიანს, რომ იქაური კაცი გამოწურულივით დადის. ყველაზე ღონიერსაც კი ორი თითით ვაშლევინებდი მუშტს. აი რა არის, გენაცვალე, ტროპიკი!

ასე იყო, თუ ისე, ერთ-ერთ იმ პლანტაციაში მოვხვდი. სადაც „თეთრი თმა“ მოჰყავდათ. ამ ჩაის ფოთოლს ყუნწი მართლა მოთეთრო აქვს.

ერთხელ პლანტაციაში მივდიოდი და ჭაღარა ქალს წავადექი თავზე. მიწაზე იწვა და ტიროდა. რა იყო-მეთქი, ვკით-

ხე. თურმე ქმარი გახდომოდა ავად, წასვლა კი არ შეეძლო: გააგდებდნენ ან ცემით მოჰკლავდნენ. წამოვაყენე და დავინახე, რომ ახალგაზრდა ქალი იყო, აი ასე თქვენსავით. წადი, პასუხს მე ვაგებ-მეთქი, ვუთხარი. აღარ იცოდა რა ექნა, ხელზეც კი მაკოცა: „ცოცხლადა გვკლავენ, ბატონო, ცოცხლად! ჩვენი ცოდვით ქვა იწვის, ჩაისაც კი სითეთრე შეეპარა. „თეთრ თმას" სწორედ ამიტომ ვეძახითო"...

ჩოპი დადუმდა.

— მე რაღა შუაში ვარ, — ჰკითხა გაბუნიამ. — სად ჩაი, სად მე?

— იმ შუაში ხარ, რომ ტროპიკების სიძულვილი შენ დამავიწყე. აი ეს კაცი, — ჩოპი ნევსკაიას მიუბრუნდა და გაბუნიაზე ანიშნა, — კოლხიდაში საბჭოთა ტროპიკებსა ქმნის. აქაც ადუღდება და აღელდება ყველაფერი, თანაც თავისუფლად, გონივრულად იშრომებს კაცი. ამისათვის კი ღირს ხელ-ფეხი გავანძრიოთ, მივდგეთ-მოვდგეთ.

ამასწინათ პახომოვი შემხვდა. ხელი მხარზე დამკრა და მეუბნება: „ჭირში უნდა გითხრა, ჩოპ, რომ არაფერი არ გაგეგება ამ ქვეყნისა. მართალია, ჭაობებს ვაშრობთ, ტროპიკულ მხარეს ვქმნით, ვაშენებთ ლიმონს, ფორთოხალს, ჩაის, რამს, ბოლოს ვუღებთ მალარიას, ზღვის პირას აგარაკებს ვაგებთ, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის არის, რომ თავისუფალი მშრომელი ხალხისათვის ახალ ბუნებას ვქმნით. ისე უნდა ავაყვავოთ აქაურობა, შენს ბოსებს სიზმრადაც რომ არ უნახავთ. ჩვენი დროის მთელი ძალა უნდა გამოვაჩინოთ, ვერც წარმოიდგენ, იმნაირ რამეს ნახავ". ჰა, რას იტყვი ბერიკაცზე, როგორია? ეგეთები რიყეზე არა ყრია!..

გაბუნია წამოდგა. შუადღისას ჭალადიდში, არხზე უნდა-ყოფილიყო.

გარეთ უკვე დილის ხმაური იდგა. ჯერ მტვირთავების ყვირილი გაისმა, მერე ავტობუსმაც გაიარა, აბრიალდნენ ხომალდის ჯალამბრები და ფანჯარას წივილით ჩაუფრინა თოლიამ.

ნევსკაიამ ოდნავ შეარხია ქუთუთოები, ტუჩი ღიმილმა შეუთრთოლა. ეტყობოდა, რომ ძილს ვეღარ ართმევდა თავს.

— ყური დამიგდე, ბოტანიკოსო! — მრისხანედ თქვა ჩოპმა. — ვიდრე თქვენი „ლიმონმშენი“ ოთახს მოგცემდეთ, აქ დარჩით. სასტუმროში ბავშვთან ერთად ცხოვრება სად გაგონილა! ოთახი ორი მაქვს. ერთი თქვენთვის დამითმია. პატარა გოგოს ჯერჯერობით ქრისტეფორიდი მივამაგროთ. თავის დებთან ძიძაობას მიჩვეულია.

— მართლა? — ჰკითხა ნევსკაიამ. — უნდა გამოვტყდე, ძლივს ვზივარ, ძალიან დავიღალე.

— ჩვენ წავალთ და, როგორც გენებოთ, ისე მოეწყეთ! — თქვა ჩოპმა და წამოჭარხლდა.

გაბუნია და ჩოპი გავიდნენ, ქრისტეფორიდიც თან წაიყვანეს. ნევსკაია გვერდით ოთახში შევიდა, სადაც პატარა გოგოს ეძინა, და მოწყვეტილივით დაეცა დივანზე.

სიმამ თვალები გაახილა, დაამთქნარა, კეპი კეფაზე გადაიწია და ინგლისურად თქვა:

— კვლავ ვცოცხლობთ, ქალბატონებო და ჯენტლმენებო!

გაიხედ-გამოიხედა, ვერავინ ვერ დაინახა, მაგრამ მძინარეთა ფშვინვა შეესმა. ფეხის წვერებზე დადგა, სამზარეულოში

ჩუმად გავიდა. ტილო იპოვნა და იატაკს წმენდა დაუწყო. იტყვი ჟონგლიორიაო, ისე იქნევდა იატაკის ჯოხს, ხრახნივით ატრიალებდა ხელში, და თან ჩუმი ხმით იძახდა:

— დიახ, ვცოცხლობთ, ქალბატონებო და ჯენტლმენებო!

მონადირე გულია

თუ კაცი ჯუნგლებში შევიდოდა,
ამ კაცის გვერდით, კოცონთან, ხელად
უდაბურება მოირთხამდა ფეხს.

ნ. ტიხონოვი.

მონადირე გულია კოცონთან ჩაცუცქულიყო და ძაღლს ელაპარაკებოდა. ძაღლს ციებ-ცხელება ეწყებოდა. მოკუნტული იწვა, ენის წვერი მოეკვნიტა საცოდავს, პატრონს ყვითელი თვალებით მიშტერებოდა და კანკალებდა.

ირგვლივ უსიერი ტყე იყო. საღამოვდებოდა, ჩქამი არ იძვროდა არსად, და ძაღლს ამ საღამოსმიერი სიჩუმისაგან ყურები უწიოდა. ჩვენებით კი ეჩვენებოდა, რომ ქინქლა, უამრავი წიალა და ნემსიპარია ეხვეოდა, ვეღარ ისვენებდა, აღარ იცოდა ყურები სად წაეღო.

ტბა ნარიონალს ათასი ხვიარა მცენარე გადაჰფაფვროდა. მურყნარში აქა-იქ შავრცხილასა და ქოჩორა-თუთის ხეს ამოეყო თავი. გაყვითლებული ლიანის გრძელი ეკლები მამლის დეზებსა ჰგავდნენ. ხეების ძირას ჩამოწოლილ ხშირ ბინდში ბუერალი გვიმრა ჭინჭარივით ამოჩოყილიყო.

— შენთან ბოდიში, — მიუბრუნდა გულია ძაღლს, — ვინმე მენშევიკი არ გეგონო, ალალი მონადირე კაცი ვარ.

ძაღლმა უხალისოდ გააქნია კუდი.

— უკანასკნელი ადამიანი ვიყო, თუ კისერი არ მოვუგრიხო მაგ ლაწირაკს! — ბრაზიანად ჩაიბურტყუნა გულიამ. — ათი მანეთი ჯარიმა ერთი ბინძური ამერიკული ვირთხის გულისათვის! ათი მანეთისა რა აქვს იმ ოხერს?! თითქოს მართლა უბედურება რამ მოხდაო, ისე წამოდგა, ვანო რომ ჰქვია, ის კაცი, სასამართლოზე: „იცი თუ არა, რომ ბრაკონიერი ხარ. აკრძალული ნადირი მოკალიო“. მერე, როგორ გამლანძღა: „ბრაკონიეროო!“ წუნისმკეთებელი ხარო, თან ესეც მომაძახა. რა წუნი, რის წუნისმკეთებელი-მეთქი. წუნისმკეთებლობა აკრძალულ ნადირსა და მხეცზე ნადირობაო, ხელად პირში მწვდა მოსამართლე. თავადაც ვიცი, რა არის წუნი. წუნი ის არის, კაცმა თუ ძალით გააფუჭა რაიმე. ახმეტელი მაინც თავისაზე იდგა, ასი მანეთითაც დავაჯარიმოთ და ორი კვირაც ჩავსვათო. — გულიამ გადააფურთხა. — ორი კვირა ერთი ქეციანი მყრალი ნადირისათვის! გიჟივით ამივარდა სიცილი. ისე ვხარხარებდი, რომ მოსამართლემ თავი მაღლა ასწია და გრიშა-მილიციონერს ჰკითხა: „რა დაემართა? სასამართლოში მთვრალი კაცი რამ მოგაყვანინაო?“ — „არა, ბატონო, — უთხრა გრიშამ, — ისე იცინის, ამას სასამართლოში კი არა, დუქანში ჰგონია თავი“.

გულია წამოდგა.

— „რა ენაღვლება რა, ძვირფასი ნადირი ხომ მოჰკლა, იცინის კიდეც, — თქვა მოსამართლემ. — ის თუ მაინც იცი, რა ღირს? ერთი ცალი ასი დოლარი ანუ ორასი მანეთი ოქ-

როთი. დიახ, დიახ, ყველაფერს სწორსა და მართალს გეუბნები. ბნელი კაცი ყოფილხარო“.

„ბოდიშს ვიხდი-მეთქი, — ვუთხარი. — მართალია, წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ვარ, მაგრამ სუფსიდან ხობამდე ჩემნაირ მონადირეს ვერ იპოვნით. რომელი ერთი წახვალთ ღამით ნედოარდის არხზე? რომელი ერთი დაბრუნდებით იქიდან ცოცხალი? არც ერთი! რომელმა იცით, ჩემს გარდა, სად შავი წყალი დის და სად წითელი? გამოდით, აბა, ვინ მოკლავს ხორგაში ტახს, ვინ დაიჭერს გარეულ კატას ისე, რომ თვალებდათხრილი არ დაბრუნდეს შინ? არავინ! გულია იქაც გავა, სადაც ანკარა მიხოხავს ან პაწაწინა თევზი მიიქნევს კუდს. ცოტა მაინც დაუკვირდი, როცა ლაპარაკობ-მეთქი“.

მაშინ ვანომაც ამოიღო ხმა და ხანჯალივით დამეძგერა. „ვხედავ, კარგად ვხედავ, — თქვა მან, — რომ ძნელია შენისთანა მონადირის შოვნა სუფსიდან ხობამდე, მაგრამ შენი ჯიბის მონადირე ხარ, მე კი მინდა, რომ ჩვენი ხელისუფლების მონადირე გახდეო“.

აბა, რა უნდა მეთქვა იმ ლაწირაკისათვის? „ენა მუცელში ჩაიგდე, შე არამზადავ!“ — შევყვირე და წამოვხტი — ერთს სახეში ჩავაფარებ-მეთქი, მაგრამ მილიციონერი მკერდში მწვდა და დაიყვირა: სასამართლოში ჩხუბი აკრძალულიაო, თუ ჩხუბი და აყალმაყალი გინდა, ბაზარში წადიო.

— ჩასვით, ჩასვით, ერთი თვით ჩასვითო, — ყვიროდნენ ყველანი.

სწორედ მაშინ შემოვიდა ახალგაზრდა, ლამაზი ინჟინერი

გაბუნია, სამტრედიელი მეორთქლმავლის გაბუნიას ბიჭი, და ასეთი რამ უთხრა...

გულია გაჩუმდა, კარგა ხანს იფიქრა, უნდოდა ზუსტად მოეგონებინა გაბუნიას ვაჟკაცური სიტყვა, თავს კოლოსავით რომ დასტრიალებდა, მაგრამ გულიამ ვერა და ვერ დაიჭირა ის კოლო, მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა და თოფს დასწვდა:

— რაცა თქვა, თქვა! შეგნების საკითხიაო, მე ჭაობებს ვაშრობ, მალე მაგ ვირთხას ბუნაგი აღარსად ექნება და ფეხებს გასჭიმავს. მაშინ რაღა ამ უბედურ კაცს ასამართლებთ და არა მეო? აი რა უთხრა გაბუნიამ, ახალგაზრდა ბოლშევიკმა კაცმა, — ღმერთმა ას წელიწადს აცოცხლოს. — „რატომ სჯით, როცა პარტია ამბობს, ეგეთი ხალხი უნდა გამოვასწოროთო? გადმომეცით, მე მოვუვლი, სასარგებლო საქმეს მოვაკიდინებ ხელსაო“. გაბუნია რომ არ ყოფილიყო, ქურდივით გამასამართლებდნენ. ადე, წავიდეთ!

ძაღლი წამოხტა და ლასლასით გაჰყვა გულიას. გულიამ ჯიბიდან საგულდაგულოდ დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და შუქზე გახედა. კითხვა რომ სცოდნოდა, ამ უცნაურ სიტყვებს ამოიკითხავდა:

„სამსახურებრივი ბარათი. ტოპოგრაფ აბაშიძეს. გიგზავნი კოლხეთის ჭაობების საუკეთესო მცოდნეს — მონადირე გულიას. ამ არემარეში თავისი ხუთი თითივით იცის ყოველი კუთხე-კუნჭული. ცენტრალური ჭაობიანი და ტყიანი მასივის რუკის შედგენისას გულიას შეუძლია ყველაზე მეტი დახმარება აღმოგიჩინოს. მაგისტრალური არხის მშენებლობის უფროსი გაბუნია“.

გულიამ ბარათი უბეში ჩაიდო და ტყეში შერგო თავი.

რომაული ციხე-სიმაგრის ნანგრევებისაკენ მიდიოდა. დანგრეული ციხე-სიმაგრე ნახევრად ჭაობში ჩაფლულიყო და ხავსი მოსდებოდა. ახლომახლო გარეული ტახი იცოდა.

სასამართლოზე გულიამ ყველაფერი მართალი თქვა. ისე კარგად იმ არემარეს არავინ იცნობდა, მაგრამ გულიას ლაპარაკი არ შეეძლო. ნადირს კვალდაკვალ სდევდა, ღამეს თეთრად ათენებდა კოცონთან, გვერდს არ აუქცევდა ღრანტესა თუ ფლატეს და უკიოდა ტურებს. ლამის ლაპარაკი დაავიწყდა. ენას მხოლოდ მაშინ თუ ამოიდგამდა, როცა თავისთავს ან ძაღლს ელაპარაკებოდა.

გულიას ოცი წლის წინათ მოუკვდა ცოლი. უშვილძირო კაცი იყო. ცოლის სიცოცხლეში, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, პატარა მეურნეობა ჰქონდა. მამულში პატივად შლამი შეჰქონდა და სიმინდს ჭაობში სთესავდა. მერე, წყალდიდობის ჟამს, ჩაჯდებოდა თავის ძირგახვრეტილ ნავში, აუვლ-ჩაუვლიდა ლაფიანი წყლით დაფარულ ყანას და, როგორც ტბაში ამოსულ ლერწამს სჭრიან ხოლმე, ისე სჭრიდა სიმინდს.

მიწა ძალზე ცოტა იყო. ერთი ხელისდადება მიწის გულისათვის გულია თორმეტ წელიწადს ედავა ერთ თავის მეზობელს, სასამართლოს კარამდეც მივიდა.

შფოთიანი ცხოვრება ნელა მიიზლაზნებოდა. ყოველ წელს ახალ გადასახადს ელოდნენ. ყოველ წელს სულსა ლევდნენ მეზობლები ციებ-ცხელებისაგან და იხოცებოდნენ კამეჩები. ყოველ წელს მთით დაქანებულ ცივ ნიაღვარს მიჰქონდა სოფელი. რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე კი ციებ-ცხელებამ მთელ სოფელს მოუღო ბოლო. განა მარტო ერთ სოფელს,

გულიას ხსოვნაში ბარე შვიდი სოფელი ამოწყდა ძირბუდიანად.

უპატრონოდ დარჩენილმა ძაღლებმა ჭაობებსა და ტყეებს შეაფარეს თავი, ზოგიც ფოთისა და სენაკის ბაზრებში დაეძებდა სასუსნავს. გულიამ ჯერ ძაღლი დაიჭირა ფოთის ბაზარში, მერე მედუქნისაგან თოფი იქირავა და მონადირეობა დაიწყო.

ჭაობებში ათენებ-აღამებდა და ცხოვრებისა აღარა გაეგებოდარა. ხალხი კოლმეურნეობაში შედიოდა, რიონზე ელექტროსადგურს აგებდნენ, მაგრამ ჭაობებში, როგორც ყოველთვის, ახლაც სულის შემხუთველი შმორის სუნი ტრიალებდა. ირგვლივ, ყოველ ფეხის გადადგმაზე, დამპალი წყალი იდგა.

მერე ინჟინრები და მუშები მოვიდნენ, ექსკავატორებმაც შემოალაჯეს და გულიამ დაინახა, რომ ჭაობების აღსასრული დადგა. ნაჭაობარზე მალე ფორთოხლისა და მანდარინის ტყეები დაიწყებდნენ შრიალს და ამ ახალ მიწას სამეგრელო კი არა, კოლხეთი ერქმეოდა.

უბირ კაცს ყველა გასართობად უყურებს! ერთხელ არტემ ქორქიამაც გააცურა გულია. „კოლმეურნეობას, — ეშმაკურად უთხრა ქორქიამ, — სადაც მარტო ქალები მუშაობენ და კაცს არ აჭაჭანებენ, განსაკუთრებით შენისთანა წელანგარებს, კოლხიდა ჰქვია. აქ იქნება საბჭოთა ქვეყანაში პირველი კოლხეთი“. გულიამ ყველაფერი დაიჯერა და, ცოტა არ იყოს, შეშინდა კიდეც. ან როგორ არ დაეჯერებინა ბერიკაციისათვის, რომელსაც ახალგაზრდობაში ერთ საღამოს ერთი ფუთი ღვინო დაულევია!

გაიგო თუ არა, გამაბიაბრუა, მასხარად ამიგდო, გულიას

ყელში მოებჯინა გული, მივალ, ერთი გემრიელად გამოვშუპრავ, პირში ვეტყვი რა რეგვენიცა ყოფილაო, მაგრამ გადაიფიქრა, ჭკუაში აღარ დაუჯდა; ქორქია ათი წლით უფროსი იყო გულიაზე.

გულია ციხე-სიმაგრისაკენ მიბობღავდა და ფიქრობდა: „რაღა უნდა ვქნა, როცა ჭაობს ამოაშრობენ?“ მერე გაბუნიას ბარათი მოაგონდა; რადაც უნდა დამიჯდეს, სადმე ტახი უნდა მოვკლა და იმ ახალგაზრდა ინჟინერს მივართვაო. გულია ამ ფილოსოფიით ცხოვრობდა ქვეყნად: პატივისმცემელს პატივი ეცი, ოხერსა და მამაძაღლს ცხვირპირი ამოამტვრიეო.

მეორე დღე იყო ტყე-ტყე დაეხეტებოდა. ათას უცნაურ საგანს ხედავდა, მაგრამ თითქოს ვერ ამჩნევდა. უსიერ ტყეს აღარა ჰქონდა ძველი იდუმალება.

ხან ამღვრეულ რიონს წაადგებოდა, ხანაც ცივს და ნობს. ისინი საუკუნეთა მანძილზე ამოლამული კალაპოტით მიედინებოდნენ ზღვისკენ, მაღლით დასცქეროდნენ გარმოდგმულ დაბლობს და წყალდიდობის ჟამს (მარტო წელიწადში რიონმა ასორმოცდაათჯერ მაინც იცოდა ადიდება) ეადახეთქავდნენ ნაპირებს, მოედებოდნენ ჯუნგლებს და არემარეს მოლიცლიცე ტბას დაამგვანებდნენ ხოლმე.

გულიას ხან ასეც უფიქრია: „ნეტავი რამ დააწესა, რომ მდინარეები ჭაობებზე მაღლა მიედინებიან, თითქოს ადამიანს თავისი ხელით განგებ დაეყაროს მიწა და აემაღლებინოს კალაპოტი?“ გულიას ოდესმე თვალი რომ მოეკრა გაბუნიას ნახაზებში ქვეყნის განივი პროფილისათვის, ნამდვილად ვერაფერს მიხვდებოდა. ამ პროფილით ნათლად ჩანდა, რომ კოლ-

ხეთის მთავარი მდინარეები მიწაყრილზე მიედინებოდნენ, ხოლო ამ მდინარეთა კალაპოტებს შუა, დაბლა, მიწის უზარმაზარი მოედნები გაშლილიყო, სადაც რიონიდან და ხობიდან ზედმეტი წყალი იღვრებოდა.

მაგრამ განა ყველა რიონივით და ხობივით გადარეულია? გულიამ იცოდა მრავალი პატარა მდინარე თუ ღელე, თითქოს ერთ ადგილას რომ ჩასძინებოდათ. ამ ანკარა პატარა მდინარეებსა და ღელეებს თავს ათასნაირი მცენარეულობა წამოსდგომოდათ ფანჩატურივით. გულიას ბევრი უვლია ნავით ამ მდინარეებში, იქ ზოგჯერ დღისითაც კი ბნელოდა; ნავი ტყის ჩარდახქვეშ მიცურავდა. ეს მდინარეები მთებში კი არა, ჯუნგლებში იღებდნენ სათავეს და ზანტად მიედინებოდნენ ზღვისკენ.

ინჟინრები ამ მდინარეთაგან ზოგს „პარაზიტს“ ეძახდნენ, ზოგსაც „ციებ-ცხელებიანს“. პარაზიტი ის მდინარე იყო, რომელიც სხვისი წყლით, დაბლობში დაღვრილი რიონისა და ხობის წყლით იკვებებოდა, ხოლო ციებცხელებიანი კი — მალარიით გატანჯული კაცივით რომ ითრევდა ფეხს.

ზღვა თითქოს გასაქანს არ აძლევდა დატბორილ თბილ წყალს. მთელი ის არემარე ქაღალდის ფურცელივით გაბრტყელებულიყო, და ნიადაგი ზღვის დონესაც ქაღალდის სისქეზე ასცდენოდა. მდორე მდინარეებს ძალა არ ჰყოფნიდათ, რომ ზღვაში გაეტანათ თავიანთი წყალი. ზღვის ტალღა პირში სცემდა ღელეებს. ისინიც შემობრუნდებოდნენ ხოლმე და იმდენ ხანს მიიზლაზნებოდნენ ზღვის ნაპირას, ვიდრე მყუდრო ყურეს არ მიადგებოდნენ და ზღვას არ შეერთვოდნენ.

გულიას ჭირივით სძულდა ქარიშხალი, ზღვაზე რომ ამო-

ვარდებოდა ხოლმე, მეტადრე მარიოტას დღეებში, მზის მოქცევისას. მაშინ ზღვა ისე გაშმაგდებოდა და აგრიალდებოდა, რომ ხმა ჯუნგლებში ისმოდა. კაცი იფიქრებდა, ცოტაც და ნაპირებს გადმოანგრევს, მურყნარს ნაცრისფერი ზვირთებით დატბორავს, ხეებს ძირფესვიანად დაჰგლეჯსო. რაკი პირს მოიხსნიდა, წვიმაც გადაღებას აღარ იღირსებდა ხოლმე და ძვალ-რბილში ატანდა.

ქარიშხალს წყალდიდობა მოსდევდა. მდინარეთა შესართავებს ქვიშა და შლამი ამოავსებდა. მდორე მდინარეებს ზღვაში გაჭრის თავი აღარა ჰქონდათ, შედგებოდნენ და იტბორებოდა მთელი ის კუთხე-მიწაწყალი.

წყალდიდობა ნირს არ შეიცვლიდა, ვიდრე შესართავში გორა-გორად დამდგარ ქვიშაზე მაღლა არ აიწევდა წყალი, არ ჩამორეცხავდა ამ ქვიშის მთას და ზღვაში არ გაიჭრებოდა. ზღვა ამ დროს ტალახითა და შლამით დაიფარებოდა ხოლმე.

წყალდიდობის შემდეგ არემარე ისე ჩანდა, თითქოს ნაცრისფერი საცხი რამ წაუსვიათო. ხეებსა და სახლებს შლამი ლორწოსავით ეკვროდა. მერე შლამი ხელად შეხმებოდა და იფშვნიტებოდა.

გულიას თავისი აზრი ჰქონდა, თუ როგორ უნდა აეცდინათ წყალდიდობა. მან იცოდა, რომ მდინარეთა შესართავში კედელივით იდგა უამრავი მურყანი. ლასტივით ჩაღობებული ტევრი გასაქანს აღარ აძლევდა ისედაც მდორე წყალს: საჭირო იყო ამ ტევრის გაკაფვა, რათა თავისუფლად ედინა წყალს, მაგრამ ამაზე არავინ არ ფიქრობდა, გულია კი ხმას არ იღებდა. კითხვით, არავინ არაფერს არ ეკითხებოდა. მარ-

ტო ახლა კი არა, საერთოდ არაფერს არა ჰკითხავდნენ. ეჰ, ადამიანებმა ხშირად იციან ასე, რას იზამ!

გულიამ ამოიოხრა. პირველად მარტო გაბუნიამ ჰკითხა სასამართლოში, შეგიძლია თუ არა მუშები ჭაობებში გაიყვანოო. შევძლებ რომელიაო, უთხრა გულიამ. ის პარაფი გაბუნიამ მაშინ დაწერა.

გულიას კვლავ მოაგონდა სასამართლო და სისხლი ყელში მოაწვა — იმ ლაწირაკ ვანოს ჩემგან კისერი აქვს მოსაგრეხიო!

საღამომ ძველი რომაული ციხის ნანგრევებზე მოუსწრო. უზარმაზარი ლოდებისაგან ნაგები ციხის დაბალი კედლები ნახევრად მიწაში იყო ჩაფლული. კედლებს შუა ჭილითა და ყვითელი ზამბახით დაფარული ტბა იდგა.

გულიამ კოცონი დაანთო და აბგიდან მწვირიანი ყველი ამოიღო. თავს ღამურები დასტრიალებდნენ, აღმა-დაღმა დაჰქროდნენ. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს უხილავ ძაფზე ირწევიანო.

ძაღლი მხართეძოზე იწვა, ხანაც თავს წამოსწევდა ხოლმე და კბილებს აკაპუნებდა: ალბათ ბუზები ეგონა ღამურები და ფიქრობდა, წავწვდები, პირში მოვიმწყვდევო.

ჯუნგლებში უკუნი ღამე წვებოდა, ცა კი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. კოღოების ზუზუნი აღარ ისმოდა. ჭაობიანში ვიღაცა ოხრავდა და კბილებს აკრაჭუნებდა. შორს, აღმოსავლეთით, ცას ოდნავი ვარდისფერი დაჰკრავდა: გურიის მთებზე მზის უკანასკნელი სხივები იფერფლებოდნენ

კოცონი ხრჩოლავდა და ტკაცატკუცი გაჰქონდა. მძინარე ნაგაზს სველი კანი უთახთახებდა. გულია ღიღინებდა, რომ

მსიარულად გაევლო ღამეს. გათენებისას. ტახების წყალსალევზე უნდა ჩასულიყო.

უცებ ხმა ჩაუწყდა, ხელად თოფს წამოავლო ხელი და ძაღლს კონდახი წასცხო. ტყე-ტყე ამდენი წლის ხეტიალის შემდეგ პირველად ახლა იგრძნო შიში. ყავისფერ სახეზე სიმწრის ოფლმა დაასხა, ხელებიც უთრთოდა.

გულია თვალს არ აშორებდა ჭაობს. იქ, ზამბახებში, ვარსკვლავის შუქზე ძლივს ჩანდა ადამიანის ამოჩრილი ხელი.

ძაღლმა ყეფა ატეხა. გულიამ, არც დაფიქრებულა, რას ვაკეთებო, ისე გაისროლა. ხელს თითი მოსძვრა. ძაღლი ჭაობში შევარდა, წუთს არ გაუვლია, ხელად უკან მოირბინა და, თითი გულიას წინ დააგდო. ისეთი გრძელი, თეთრი და ნატიფი თითები მხოლოდ ქალებსა აქვთ. გულიამ ხელი შეახო თითს: თითი ქვისა იყო.

გულია ახლა ხელთან მივიდა და კარგახანს ათვალიერა. ხვიარა ისე შემოჰხვეოდა, იტყვი შავი ძარღვიაო. გულია შეეხო ხელს და მარმარილოს სიგრილე იგრძნო.

მერე ხელის ახლოს ჩამოჯდა, დანა ამოიღო და თხრა დაიწყო. უცებ ქალის სახეს მოჰკრა თვალი, ქალს მოგრძო, სწორი ცხვირი და ოდნავ ღია პირი ჰქონდა. გულიამ ასანთი გაჰკრა. მძიმე ნაწნავებს, ქვის ქალს თავზე რომ ჰქონდა შემოხვეული, ობი დასდებოდა.

გულიამ ჭაობში ჩვარი დაასველა და დიდხანს წმინდა ქანდაკების თავი და მხრები.

უფრო ჩამობნელდა, თვალთან თითს ვეღარ მიიტანდი.

გულიამ ახლა მუგუზალი მოიტანა და ის მიანათა ქანდაკებას. თვალსახიერი ძველი ქალღმერთი თეთრი, ამომჯდარი

ცვალებით უცქეროდა გულიას. ცეცხლმა თითქოს სული შთაბერა და მარმარილოს ქალმაც გაიღიმა.

გულია წამოხტა და შეიკურთხა. ყველაფერს სწყევლიდა და აგინებდა ამქვეყნად — ჯუნგლებსაც, ქანდაკებასაც, ნუტრიასაც და ვანო ახმეტელსაც. ბედი დასცინოდა და ჯუნგლებიც მასხარად იგდებდნენ ძველ მონადირეს. ნუტრიას გულისათვის ათი მანეთი ჯარიმა, შეურაცხყოფა ლაწირაკისაგან, თანაც სახალხოდ, სასამართლოში, და ახლა კიდევ ქვის დედაკაცი ტახის ნაცვლად!

ეშმაკმა უწყის, რა არ მოუვათ თავში ქალაქელებს! ვინ იცის, იქნებ ხელახლაც გაასამართლონ, ქანდაკებისათვის — თითი რად მოგიმტვრევიაო? აი ხომ გითხარით, წუნისმკეთებელი ხარო. ეჭვი არავისაც არ შეეპარება. გულიას გარდა, ვერცერთი მეგრელი ვერ გაბედავს იმ დანგრეულ ციხესთან მისვლას.

გულიამ ქალის ხელზე ტყვიის კვალი შენიშნა და სიმწრის ოფლმა დააყბა, მერე ფიჩხი და ჩალაბული მიაყარა ქანდაკებას.

გათენებისას წვიმა წამოვიდა. კოცონმა შიშხინი დაიწყო. მწარე ბოლი თვალებსა სწვავდა.

გულია წამოდგა, დააფურთხა და რიონისკენ წავიდა. სველ ნაბდის ქუდსა და შალის პერანგს ფსიტის სუნი სდიოდა. სინესტისაგან გულიას მუხლი სტეხდა.

ტახის ჭაჭანება არსად იყო. ალბათ ექსკავატორებმა გააფრთხეს.

ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. გულიას ეჩვენებოდა, ხეები თვალს არ მაშორებენ, ეშმაკურად შემომცქერიანო. ირიბი

ეკალა წვიმა, როგორც ყოველთვის, ზღვის მხრიდან წამოვიდა. სახეში სცემდა და ღარღარით ჩასდიოდა საყელოში. ციებ-ცხელების შეტევა ეწყებოდა.

გულია რიონთან გავიდა. აქაფებული რიონი, ისე როგორც ათასი წლის წინათ, ახლაც მღვრიე წყალს მიაქანებდა ზღვისკენ. გულია მდინარეს დაეწაფა და გადააფურთხა: კბილებში კაწაკუწი გაჰქონდა მიწას, მომჟავო წყალი კბილსა სჭრიდა და წყურვილს ვერ უკლავდა.

მდინარე გასივდა, პირთამდე სავსე, გაპიპინებული მიიგრაგნებოდა და თითქოს ნალო უბიაო, ისე მიათრევდა პატარა კუნძულებს. გულიამ შეატყო, რომ ის კუნძული, სადაც ერთი თვის წინათ ღამე გაითია, ქვევით, ას ნაბიჯზე მაინც გადაადგილებულიყო.

გულიას ამცივნებდა, ფეხზე ძლივს იდგა და ნელა მიდიოდა ნავისაკენ, იქვე, ბუჩქებში რომ ჰქონდა დამალული.

უკან აღარ იყურებოდა. ნავში რომ ჩადგა ფეხი, მარტო მაშინ გახედა ჯუნგლებს და გაძვალტყავებული, შავი მუშტი მოუქნია. გინების თავიც კი აღარ ჰქონდა. აბაბანებდა, გალურჯულ ტუჩებს ვეღარ იჩერებდა, ენას ვეღარ აბრუნებდა პირში. ახლა კი მიხვდა გულია, რატომაც უცქეროდნენ ხეები უცნაურად. ისინი ნაღვლიანად ადევნებდნენ თვალს უკანასკნელ მონადირეს, რომელიც სამუდამოდ გაექცა ჯუხგლებს.

ან იქნებ ხეები სულაც არ უცქეროდნენ და ციებ-ცხელებისაგან გაოგნებულს ეჩვენებოდა ყველაფერი? რაც იყო, სულ ერთია! გულიამ ხელი ჩაიქნია.

ორი საათის შემდეგ ტოპოგრაფი აბაშიძე თავისი სახლის

ახლოს, სოფელ ჭალადიდში, ზედ წაადგა მავან მონადირეს, ძირს გონდაკარგულივით რომ იწვა. გადამღრძვალი ნაგაზი ლოყებს ულოკავდა პატრონს. აბაშიძემ ძაღლს დაუტია, გვერდზე მიაგდო და მონადირეს დასწვდა. მონადირემ ერთი მწარედ ამოიგმინა, მერე უბიდან ბარათი ამოიღო და აბაშიძეს მიაწოდა.

აბაშიძემ წაიკითხა ბარათი და ჩაილაპარაკა:

— კარგი, გულია. ივარგებ ტოპოგრაფად. ახლა კი ადექი, შინაც გეყოფა წოლა.

გულიამ გაღიმება დააპირა, მაგრამ სახე გვერდზე მოექცა. მერე როგორც იყო წამოდგა და მთვრალი კაცივით წაბანცალდა ფიცრული საბლისაკენ, სადაც ოთხივე კედელზე ცისფერი რუკები ეკიდა.

რიონის შლამი

პალიასტომი ქალაქის განაპირას იწყებოდა. მწვანე წყალს მუდამ ნისლი ებურა. იტყვი თხელი ფირფიტააო, ისე მოჩანდა წყალზე. შორს ჭადრის კენწეროები ირხეოდნენ. მთელი დღე ტბაში თოლიები ჭყუმპალაობდნენ და წიოდნენ.

ნევსკაიამ ნავი დაიქირავა, რათა პალიასტომით საკოლმატაციო უბანზე გადასულიყო.

ნავი საკოლმატაციო უბნის გასწვრივ მიცურავდა. იქ სუნი იდგა შლამისა, რაბებში წყალი ბუყბუყებდა და ვაზით დაფარული მიწაყრილის იქით ნელნელა იქმნებოდა კოლხეთის ახალი ნიადაგი.

ნევსკაიას დიდიხანია უნდოდა ენახა რაც იქ ხდებოდა, მაგრამ თავისუფალი დრო ვერ ეპოვნა. დღეს კი გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, წავალ და პახომოვისაგან ყველაფერს გავიგებ, რა არის ეგ კოლმატაქიო.

ნავი რაბთან მიაყენეთო, სთხოვა ნევსკაიამ მენიჩბეებს, და ხმელეთზე ცქვიტად გადახტა. დახშულ ჰაერში გახურებული ლელის სუნი ტრიალებდა.

ნევსკაიამ შორიდანვე შენიშნა პახომოვი და იქით წავიდა. ბერიკაცი მეორე რაბთან იდგა და შუბლმოჭმუხნილი დასცქეროდა წყალს, ხის ღარში რომ სჩქეფდა. კაფანდარა, ჭაღარა პახომოვი ჯადოსანს ჰგავდა.

— გახსოვთ, შემპირდით, ყველაფერს გეტყვით, რას ვაკეთებ, რაზე ვმუშაობ, — თქვა ნევსკაიამ და უხერხულად გაიღიმა.

პახომოვმა ნაღვლიანად შეხედა.

— წყალი ჯერჯერობით მაინც გამჭვირვალეა, — დარდიანად ჩაილაპარაკა პახომოვმა — ეშმაკის სამუშაოა!

ნევსკაიას არაფერი ესმოდა. მარტო უზარმაზარ თხელ ტბას ხედავდა. ტბა ლერწამს დაეფარა, ირგვლივ კი მიწაყრილი ჩანდა. ამ ტბიდან ხის რაბებით მდორედ ჩადიოდა წყალი პალიასტომში. რა არის მაინც ამისთანა? პახომოვს გულს რად უკლავს ეს ანკარა წყალი?

— ბერიკაცს ნუ დააბრალებთ, თუ მოიწყინოთ, — წაიდუდუნა პახომოვმა. — კოლხიდის ასავალ-დასავალი წესიერად არავინ არ იცის, თვით ყველაზე ნაკითხმა ხალხმაც კი. ზოგსა ჰგონია, რომ კოლხიდა საბერძნეთშია. როცა გაიგებენ ხოლმე, — კოლხიდა საბჭოთა კავშირს ეკუთვნისო, უკვირთ:

აქამდე როგორ არ ვიცოდითო. ასეა, რას იზამ! პუ'მკინი იმი-ტომაც მიყვარს, რომ ბევრი რამ იცოდა. გახსოვთ, ერთგან წერს: „ფინეთის ჭიუხებიდან მცხუნვარე კოლხიდამდეო!“ — ბერიკაცმა ხელი ჩაიქნია. — რაც არის, არის! აი სწორედ ეს ბრტყელი ზღვისპირა ქვეყანაა ის კოლხიდა. ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ორასორმოცდაათი ათასი წლისა თუ იქნება. ადრე აქ სარმატის ზღვის ყურე ყოფილა. მდინარეებს მთე-ბიდან შლამი ჩამოაქვთ ბლომად, მეტადრე თოვლის დნობია ყამს. რიონი შესართავიდან თითქმის ორას კილომეტრზე აჭუ-ჭყიანებს ზღვას. ყოველწლიურად ათი მილიარდი კუბური მეტრი ნოყიერი მიწა შეაქვს ზღვაში.

ზღვა გარბის, თანდათან სცილდება ქალაქს. ნაპირი ყოველ წელს ექვსი მეტრით მატულობს. ქალაქის ბაღში რომ ძველი თურქული ციხეა, ნახეთ? მეთექვსმეტე საუკუნეშია აშენებუ-ლი. მაშინ ზედ ზღვის პირას იდგა, კედლები ზღვაში ჰქონდა. ახლა კი სად ნაპირია და სად ციხე.

ნამდვილად ჭაობის ქვეყანაა. რამ შექმნა ამდენი ჭაობიო, მკითხავთ. უპირველესად იმან, რომ წყალს გზა ვერ უპოვნია. თანაც აქ გადაუღებელი წვიმები იცის და მდინარეები კალა-პოტში ვეღარ ეტევიან.

თეფშივით გლუვი მხარეა. გურიის მთების კალთებთან ზღვის დონეს მხოლოდ ორი მეტრით აღემატება, აქ, ფოთში კი, ალბათ ერთი მეტრითაც არა. ერთი სიტყვით, კაცმა რომ თქვას, წყალზე ვსხედვართ.

მცენარეთა სიღარიბეც სწორედ ჭაობმა იცის. ამაზე მეტი სიღარიბე რა გინდა: ყოველ ნაბიჯზე მურყანი და მურყანი, ღმერთმა ამოაგდოს მაგისი ფესვი! აქა-იქ ცოტაოდენ რცხი-

ლასა და წიფელასაც შეხვდება კაცი. ჰორიზონტზე მთები რომ არ მოჩანდნენ, რაღა კოლხიდის ლანდშაფტი და რაღა ჭაობიანი პინი. აქ ისეთი ჭაობებიც იცის, სადაც ცვრიანა ხარობს. დიახ, დიახ, სწორედ ის ცვრიანა, პოლარულ ტუნდრას რომ შემორჩა. აი ესეც შენი ტროპიკული ქვეყანა!

ბოტანიკოსი ბრძანდებით და ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ხეს მშრალი მიწა უყვარს; თანაც ერთი მეტრი სიღრმისა, ისე არ იხარებს. მერე სად არის მშრალი მიწა, როცა ქვეყანა ჭაობში იხრჩობა? აქ ფრინველ-ნადირიც ჭაობისაა, ბლომადაც მომრავლებულა.

კოლხიდაში სამხრეთ იაპონიისა და სუმატრის ჰავაა. იცოცხლე, აქ სითბო იცის, მაგრამ რად გინდა, მალარიის ბუდეა. შეიძლება კაცმა ტროპიკული კატორღაც დაარქვას. აი ამ ჭაობებს თუ მოევლო, მერე ნახე! მდიდარ, უხვ იავასა და ცეილონსაც თავში ჩავარტყამთ! მეტი რა გზაა, უნდა ამოვაშროთ.

ნანატრი ამბავია! ნატვრა უეჭველად უნდა ავიხდინოთ. მთების ძირას, აგერ ჭალადიდში, სადაც გაბუნია მუშაობს, წყალს საწრეტი გზა აქვს, და ჭაობების ამოშრობა უბრალო არხებითაც შეიძლება. ადიდებისას ნაპირებიდან რომ არ გადმოვიდნენ, მდინარეების გასწვრივ მიწას ამაღლებენ. ამის მიხვედრას რა უნდა, ბალღური არითმეტიკაა. კი, ბატონო, ამას გაბუნიას სამფლობელოში იზამ, მაგრამ აქ, ნურას უკაცრავად. არხებით აქ ვერაფერს გახდები, ან არხს როგორ გასჭრი, როცა ნიადაგს არაფრის მაქნისი ოცი სანტიმეტრი ზედაპირი აქვს, არც საწრეტი გზაა. ცხადია, სხვა ხერხით უნდა მოხდეს ამოშრობა. აი ეს ხერხია სწორედ კოლმატაჟი...

პაზომოვმა ქეშად გახედა ნევსკაიას და კარგახანს ახვევდა პაბიროსს.

ნევსკაიას ძალიან სიამოვნებდა. აქ, პალიასტომის პირას ყოფნა. ნისლი და მზე ვერცხლისფერ, კამკამა ლანდშაფტსა ქმნიდნენ. ქარი ისეთნაირად უბერავდა, თითქოს პატარა ცელქი ბალღი უბერავს ცეცხლს, მაგრამ ძალა არა ჰყოფნისო.

— კოლმატაჟი, ჩემო ბატონო, დატბორვის გზით ამოშრობაა, ჭაობი ლაფიანი მდინარის წყლით უნდა დაიტბოროს. ჰო, რასაკვირველია, თავისებური ტექნიკური პარადოქსია. კოლმატაჟი თან აშრობს ჭაობს და თანაც ახალი, ნოყიერი ნიადაგის სქელ ფენასაც ჰქმნის. რაღა შორს მივდივარ, მაგალითიც აგერ ცხვირწინ გვაქვს. ამ ჭაობის ირგვლივ მიწა შემოვამაღლეთ, რიონიდან არხები გამოვჭერით, ჩავდგით რაბები და ვუდარილეთ, როდის აიმღვრეოდა რიონი, როდის წამოიღებდა ლაფსა და თიხას. აიმღვრა და ავხსენით რაბები, ჭაობი რიონის ლაფიანი წყლით დავტბორეთ. რაბები მეორე მხარესაც ჩავდგით, რათა შემდგარი წყალი პალიასტომში ჩაგვეშვა. თითქოს ბევრი არაფერიაო. შლამი ილექება, დაწმენდილ წყალს ვღვრით, მერე ჭაობს კვლავ ლაფიანი წყლით ვტბორავთ, აი ასეა, გენაცვალე. ნიადაგი კი მატულობს და მატულობს, თითქმის უდანაკარგოდ. სუბტროპიკებმა ამ ახალ ნიადაგზე უნდა იხარონ. ჭაობიანი წყლის ქვეშ ტორფი და სფაგნუმია, ზედ კი მარტო მურყანი ხარობს. კოლმატაჟი შესანიშნავ ნიადაგსა ჰქმნის, ჩინებულ შლამს. ლეღვს რომ ტოტი ჩამოატეხო და ჩაფლა, ოთხ თვეში ნიშანს მოისხამს.

რიონში ორჯერ მეტი შლამია, ვიდრე ნილოსში. ნილოსი დღემდე ყველაზე მღვრიე მდინარედ ითვლება. დედამიწის

ზურგზე. იქაურ ერთ კუბურ მეტრში კილონახევარი შლამია, აქაურში კი — სამი კილო! თუ იმ მიწაზე ხარობს ათასნაირი ხეხილი, ნილოსი რომ ტბორავს, აქ ისე ადუღდება ყველაფერი, რომ ეგვიპტელებს ალბათ არც დაესიზმრებათ. რიონის შლამში ორჯერ მეტი ფოსფორი და აზოტია, ვიდრე ნილოსისაში.

მეტი რაღა გითხრა, მგონი სათქმელიც აღარა მაქვს. ხუთ წელიწადში ნიადაგმა მეტრნახევარი ფენა დაიდო. აქ ლიმონი და ფორთოხალი უნდა ჩაიყაროს.

— მაინც არ მესმის, — თქვა ნევსკაიამ, — რატომ მოგდით გული, როცა წყალი დაწმენდილია და კამკამებს. მეტი რაღა გინდათ, ხომ დაილექა.

— არა, ეგრე როდია საქმე, — შეესიტყვა პახომოვი. — საკოლმატაციო უბანზე დინება უფრო ძლიერი უნდა იყოს, რომ მარტო შლამი დალექოს, სილა კი პალიასტომში ჩაიტანოს. სილა მავნებელია, ნიადაგს აფუჭებს.

პახომოვმა ძუნწად მოუთხრო ნევსკაიას კოლმატაჟის ამბავი, და თითქოს თავბრუ დაესხა ქალს, გეგონება ათასი რამ ახალი ერთად აღმოაჩინა და არ იცის, რომელი აღმოჩენა რომელსა სჯობიანო.

ნევსკაია ბოტანიკოსი იყო და დამჯდარი ჭკუის ფასიც იცოდა, მაგრამ ცოტა ატაცება უყვარდა. კოლმატაჟი მარტო ახალ ჭაობსაშრობ საშუალებად ან ხერხად კი არ მიიჩნია, არამედ ბუნებაზე ადამიანის ბატონობადაც. ამ ბატონობით ადამიანი ჯერაც არნახულ ლანდშაფტებს შექმნისო.

პახომოვმა გულთბილი ღიმილი შეამჩნია ქალს. ნევსკაიამ ნიჩბოსნებს გასძახა, ხმა წკრიალით დაირხა სიწყნარეში, დუ-

ბელა ტბებს რომ დასწოლოდა. როცა ხმა მიწყდა, პახომოვს ახლა ზუზუნი შეესმა. ირგვლივ უთვალავი კელა ბზუოდა.

— ქენით მადლი, ქალაქამდე მიმაგდეთ, — თქვა პახომოვმა. — დროა უკვე.

ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, გარეუბანში კარგა ხანს იარეს ფეხით. რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ჯაგარაშლილი უღლიანი ღორები დაძრწოდნენ.

ნევსკაიას ძახილი შემოესმა. კახიანი ეძახდა. კახიანს ნახაზები გაეშალა თავისი ოდა-სახლის აივანზე და ჩაჰკირკიტებდა. იქვე ბოსტანში დედამისი ფუსფუსებდა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — შესძახა კახიანმა. — ერთი წუთი მომითმინეთ, თუ შეიძლება. დღეს ერთ ბრწყინვალე სისულელეს მოვკარი ყური. შალიკო რომ არის, ძველი მეეტლე, დღეს იმან ნავსადგურში წამიყვანა და გზაში ასეთი რამ მითხრა: „ჩემი ფიქრით, ამხანაგო კახიანო, ერთ ათ წელიწადში გემები ღამით შუქურის სინათლეზე კი არა, ლიმონის სუნზე აიღებენ გეზს ჩვენი ნავსადგურისაკენო“. ყოველ ნაბიჯზე პოეზიაა, რას იზამ! მეეტლეებიც კი პოეტები გახდნენ! თანაც ყველა ჰაფეზია, ღმერთმანი!.. მობრძანდით, მობრძანდით!

ნევსკაია ბოსტანში შევიდა. კახიანის მოხუც დედას ჭიდან წყლის ამოღებაში შეეშველა. დედაბერი პრასას რეცხავდა.

— რამხელებია! — თქვა ნევსკაიამ და პრასის თეთრ ძირებს დასუნა. — ალბათ, ძალიან გემრიელია!

დედაბერმა გაიღიმა, მაგრამ არაფერი არ უპასუხნია — რუსულს კარგად ვერ ახერხებდა.

ნევსკაია იქიდან მერე სუბტროპიკულ სადგურში წავიდა, შინ რომ დაბრუნდა, მიმწუხრი იყო უკვე.

ქუჩები დაბურულ ხეივნებს ჰგვანდნენ. ხიმინჯებზე შედგმულ ოდებში სინათლე ენთო. ქვაფენილზე ვარდები ეყარა. კამეჩები ზანტად მიირწეოდნენ და მიაჭრიალებდნენ ურმებს.

ზღვას იისფერი დაისი ეფინებოდა. ფანჯრებსაც ხან ლურჯი ფერი გადაჰკრავდა ხოლმე, ბაღებს, გზაჯვარედინების ბინდსა და კაწანს ზოლივით ეცემოდა თვალისმომჭრელად მოციმციმე სინათლე შუქურისა. შუქურა თითქოს ცთომილი იყო, ბაღების შავ ბადეში მომწყვდეული.

სახლთან ახლოს ნევსკაიამ ქრისტეფორიდი დაინახა. სამზარეულოს ფანჯრიდან ვიღაცა პრასის გალებსა ჰყრიდა, ქრისტეფორიდი კი ფიცრულში ეზიდებოდა. გაიქნევდა ჩრპი გალას და იგინებოდა.

— მომილოცნია! — მიაძახა ჩოპმა ნევსკაიას, — ახალ მოსავლამდე პრასა არ დაგჭირდებათ... დაიცადეთ! ჯერ არ შემოხვიდეთ, ცოტა ჰაერი გაიწმინდოს.

— რა იყო, რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ საცა კაცი ცხოვრობს, იმ ქვეყნის წესჩვეულებაც უნდა იცოდეს. პრასა უქეთ ვინმეს?

— ვუქე. კახიანის დედას.

— აი ხომ ვთქვი, ეგრეც ვიცოდი.

ჩოპმა უთხრა, ორი საათი იქნება მეეტლე შალიკომ ათი გალა პრასა მოიტანა და სამზარეულოში დაყარაო. ქრისტეფორიდი რომ შეეკითხა, მეეტლე პირში სწვდა: რა შენი საქმეა, ბიჭო, კახიანის დედის საჩუქარიაო!

ნევსკაია შეცბა. მან არ იცოდა იქაური ძველთაძველი

წესი: რაც მოგეწოხოს, სტუმარო, საჩუქრად მომირთმევია. ამიტომაც შეაქო პრასა!

— ეგ არაფერი, — დამშვიდება დაუწყო ჩოპმა, — ამ ამბავს კიდევ არა უშავსრა! უარესიც მომხდარა.

საღამოთი ცხვრის ხორცი შეწვეს და ზედ იმდენი პრასა დააჭრეს, სიმა რომ არ შესწრებოდათ, ალბათ, ვერც შესჭამდნენ.

სიმა ერთი დღით ჩამოვიდა ჭალადიდიდან. იქ გაბუნიასთან მუშაობდა მეექსკავატორედ.

გეგონება მსახიობიაო, ისე ოსტატურად აჯავრებდა ექსკავატორის ხმაურს: ხან უსტვენდა, ხანაც ენაგამოყოფილი ხრიალებდა, ვითომ ჯაჭვებს ასე ახრჭიალებსო. ნევსკაიას პატარა გოგო პირში შესცქეროდა, სიცილისაგან იგუდებოდა.

იმ საღამოთი გამოირკვა, რომ სიმას ნამდვილი სახელი და გვარი ჯიმ ბირლინგი იყო. წარმოშობით შოტლანდიელი ვარო, ერთხელ გემ „კლონდაიკის“ ავარიის დროს კინაღამ დავიღუპეო.

თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, სიმამ პერანგი აიწია და მკერდზე სამი ლურჯი ზოლი გამოიჩინა. ზოლები უზარმაზარ ძახილის ნიშნებს ჰგავდნენ. როგორ მოხდა, რანაირად დაგემართაო, ამის კითხვა ვეღარ მოასწრეს. ჩვეულებისამებრ სიმას მაგიდაზე მიეძინა და გათენებამდე ხელი არავის უხლია.

ჭალიკონი

ჩოპმა ხაოიან ფოთლებს თითები გაუსვა თუ არა, ლამის შეჰყვირა. გეგონება ცხელ რკინას მიადოო, ისე ეწვოდა ხელი. რა ყოფილა ეს გამჩენძაღლი ჩინური. ჭინჭარიო, იგინებოდა ჩოპი.

ეგონა ტკივილი მალე გამივლისო, მაგრამ თითებზე ცეცხლი წაეკიდა, მთელი ხელი სტეხდა. წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ ყველა სახსარი ასტკივდა, მერე თითქოს გაზით დაუწყეს ძვლების მტვრევა.

მაშინ კი შეფიქრიანდა ჩოპი. სასწრაფოდ გამოვიდა პლანტაციიდან, მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ ახლაღა მოჰკრა თვალი ფერგადასულ პატარა დაფას: „ფოთლებს შიშველი ხელით არ შეეხოო. დაგსუსხავთ“.

„ეგეც კარგი აბუეტი ყოფილა! — გაიფიქრა კაპიტანმა ნევსკაიაზე. — გავეფრთხილებინე მაინც მაგ მამაცხონებულს“.

მაგრამ, თითქოს უცებ ენაზე იკბინაო, წამოჭარხლდა — ზღვის კაცს ქალის გინება როგორ მეკადრებაო! თვითონ გადაეკიდა, ერთ კვირადღეს სუფსაზე უნდა წამოგყვე, იმ შენი ჩინური ხის პლანტაცია მაჩვენეო. ვინ ეხვეწებოდა. კაპიტანმა ყველაფერი თავისთავს დააბრალა.

ჩოპი მარტო აბედი კი არა, ცნობისმოყვარეც იყო. ნევსკაიას წვრილად აამბობინა ჩინური ლაქის ხის საცდელ სანერგეზე. იმ ლაქს დრო და წყალი ვერ აუფერულებს, ვერ ახუნებს, ის არც ცეცხლზე იმშხალებაო. ჩოპს ჩინური ხის ლაქით დაფარული იაპონური ზარდახშები — პატარა სკივრები მოაგონდა, ფოლადისას რომ ჰგავდნენ.

ნევსკაიასაგან მერე ისიც გაიგო, რომ ამ ლაქს ვერაფერი ვერ სცვლის საზღვაო საქმეში. გემის წყალქვეშა ნაწილებს ეს ლაქი ინახავსო. ჩოპს გული აღარ დაუდგა, წავიდე, ვნახო ერთი, რა ხეაო. წამიყვანეთო, სთხოვა ნევსკაიასა და ლაპშინს, და წაიყვანეს, უარი არ უთქვამთ.

ტკივილი არა და არ დაუცხრა. ჩოპმა ხელი ჯიბეში ჩაიდო და გზაზე გავიდა. დამტვერილი ავტომობილი ბებერი აკაციების თხელ ჩრდილში სთვლემდა.

კაპიტანი ჩაჯდა მანქანაში და ლოდინი დაუწყო. ფანჯრიდან ცა შეათვალიერა და ფერი არ მოეწონა ცისა. ნიავი არ იძვროდა, ჰაერი თანდათან ცხელდებოდა. მთებს მოწითალო ბუღი საპნის ქაფივით დასწოლოდა. მეოთხე დღე იყო მიწამ წვეთი არ იცოდა.

„ნეტავი ჭალიკონი არ ამოვარდებოდეს!“ — გაიფიქრა კაპიტანმა და ამოიოხრა.

მართლა დიდად უცნაური ამინდი იცის ამ ქვეყანაში! მთელი წელიწადი წვიმა და წარღვნაა, მთელი წელიწადი სიცხის ლული და სისველეა, გეგონება ჩინური სამრეცხაოა. ხან ჭალიკონი დაუბერავს და ასე ჰგონია კაცს: არაბეთი დამატყდა თავისი პაპანაქებით, სამუმებითა და გვალვა-ხორშაკითაო.

— ფეხს ნულარ ვითრევთ, ჭალიკონი არ ამოვარდეს! — გასძახა კაპიტანმა მოახლოებულ ლაპშინს.

ლაპშინს არაფერი არ უპასუხნია, მოტორს დაუწყო კირკიმალი.

„იბერება ოხერი!“ — გაიფიქრა კაპიტანმა. ჯიბეში რომ ხელი ედო, გრძნობდა, როგორ ტყვიასავით უმძიმდებოდა.

— იცი, რა არის ჭალიკონი? — ჰკითხა ჩოპმა.

— ქარია, — უპასუხა ლაპშინმა. — რა ვიცი, ზღვის ლომი ვარო, ქარისა გეშინია?

— ჯერ მაგ ქარში მოხვდი და მერე მიხვდები.

მალე ნევსკაიაც მოვიდა, კაპიტნის გვერდით მოიკალათა. ლაპშინი საჭესთან დაჯდა. ჩამოიწია ქარსის სათვალე და მანქანა დასძრა.

ნევსკაიას ცხელი ქარი მოხვდა სახეში და თმა აუწეწა. ჰორიზონტზე რომ უზარმაზარი თეთრი ღრუბლები მოჩანდნენ, მანქანა იქით მითუხთუხებდა.

ღრუბლები ელვის სისწრაფით მოიწევდნენ წინ, იზრდებოდნენ, ცისკენ მაღლდებოდნენ, როგორც მთები. უცებ მანქანა იმ ღრუბლებში შეიჭრა და ჩუმად, უხმაუროდ შეჰყვა აკაციის ხმელი ყვავილით მოფენილ შეღმართს.

წინ თურმე ღრუბლები კი არა, აკაციის ტყეები შრიალებდნენ. მანქანა აკაციის წვიმაში მიდიოდა, ნაკვალევზე თეთრი კორიანტელი დგებოდა. ძლივს ისუნთქავდნენ მოტკბო, შედედებულ ჰაერს.

— ჰაერიც ამასა ჰქვია! — დაიძახა ნევსკაიამ.

ლაპშინმა გაზს მოუმატა. მიმცხრალი მზე თეთრი ხეების კენწეროებზე მიცურავდა, კვალდაკვალ მისდევდა მანქანას.

უცებ მანქანაში რაღაცამ გაიხრჭიალა. ლაპშინმა დაამუხრუჭა, ჩამოვიდა, მოტორში ჩარგო თავი. ნევსკაია და კაპიტანიც გადმოვიდნენ. ისინი აკაციის ხმელ მორზე ჩამოსხდნენ და კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ. თეთრი მზე ახლა მეწამული გახდა.

— ნამდვილი აბანოა! — წაიდუდუნა ჩოპმა. — ასეთია აზიის ჰავა.

ნევსკაია შეედავა, არა, კოლხიდაში შესანიშნავი ჰავაა. სითბოს მხრივ ბევრი სუბტროპიკული ქვეყანა ვერ შეედრე-

ბაო კოლხიდას, აქ ზამთარი არ იცის, ზაფხული კი ექვსთვიანია, ხოლო მცენარე მთელ წელიწადს იზრდება, მეტი რა გინდათ. სითბოს ევროპული პოლუსიც ფოთის მახლობლად, სოფელ კოდორშიაო.

ჩოპმა დამცინავად გაიკვირვა:

— უყურეთ ერთი, მე არც კი ვიცოდი!

— აქ თანაბარი ტემპერატურაა, მოულოდნელი აწევ-დაწევა არ იცის, — მკაცრად თქვა ნევსკაიამ.

— ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

— მაინც?

— ნახევარ საათში ჭალიკონი რომ ამოვარდება, მაშინ მიხვდებით... საინტერესოა, როგორ დაიცავთ ამ ქარისაგან თქვენს სუბტილურ მცენარეებს?

სუბტროპიკულ მცენარეულობას კაპიტანი განზრახ სუბტილურს ეძახდა.

— ირგვლივ ქარსაცავებს შემოვავლებთ.

ჩოპმა კვლავ დამცინავად ჩაიქირქილა.

— თუ ეგრე ძალიან გაინტერესებთ ჰავის ამბავი, უმჯობესია ლაპშინს ესაუბროთ, — ურჩია ნევსკაიამ. — მიკროჰავის საკითხზე ის მუშაობს.

— ჩავიქეცი თქვენი პატივისცემით! — ჩაიბუზღუნა კაპიტანმა.

ახლა ჩოპს ქვეყნად არაფერი არ აინტერესებდა; არც ჩვეულებრივი ჰავა, არც მიკროსკოპული ჰავა, არც ჯანდაბა და არც დოზანა. მკლავი ისე ეწვოდა, გეგონება ტყავს აძრობენო.

— წავედით! — დაიძახა ლაპშინმა.

— უბრალო ამბავია, — თქვა ნევსკაიამ, კაპიტანთან ერთად მანქანაში რომ ჯდებოდა. — ჰავა ყოველ ას მეტრზე იცვლება... ნუ გეცინებათ, ნამდვილად ასეა. ამ ტყეს თავისი ჰავა, თავისი ჰაერი აქვს, იმ ჭაობებს კი, აქედან რომ ხუთ კილომეტრზეა, თავიანთი — სრულიად თავისებური. ხევში სულ სხვა ჰავაა, ვიდრე მაღლა, — ხევის გარშემო, ჰავის მცირე მანძილზე ცვალებადობა არის სწორედ მიკროჰავა. ამ ამბავს შესწავლა უნდა, მეტადრე „სუბტილური" მცენარეულობისათვის.

— თავშესაქცევი ამბავი ყოფილა! — ჩაიდუდღუნა. ჩოპმა და ჯიბიდან ხელი ამოიღო. ტკივილისაგან სახე ემანჭებოდა.

ნევსკაიამ დახედა კაპიტანის ხელს და შეჰყვირა:

— რა იყო, რა დაგემართათ?

— იმ ოხერი ჭინჭრით დავისუსხე.

— რომელი ჭინჭრით?

— აი ჩინურიაო, რა ვიცი.

— რანაირად? — გაოცდა ნევსკაია. — იქ ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწერია ქართულადაც და რუსულადაც, შიშველი ხელი არ მოჰკიდოთო. ბავშვი ყოფილხართ. წაყრუება არ ივარგებს, საშიშია!

— მომაჭრიან? — ღრძოდ ჰკითხა კაპიტანმა.

ნევსკაიამ ხელი წაავლო ლაპშინს და შეაჯაჯგურა:

— სწრაფად იარე! ჩინური ხით დასუსხულა, მალე უნდა ჩავიდეთ ქალაქში.

ლაპშინმა ერთი კი მოხედა, თვალი შეავლო და მანქანა ააჩქარა. ბუსუსიანი პიჯაკი კუზივით ამოაჯდა ვიწრო ბეჭებზე.

მანქანა ტყიდან გაიჭრა თუ არა, წინ კედელივით აღიმართა ჭალიკონი.

კაპიტანი სწრაფად დაიხარა, ქარს მოარიდა თავი. ნევსკაიამ ხელები სახეზე აიფარა: ქარმა თითქოს ცხელი ბამბით ამოუტენა პირი და ნესტოები.

ჯერ წითელი მტვრის კორიანტელი დადგა, მერე აკაციის ტყეს დაეძგერა ქარი და გეგონება საპნის ქაფი მოხადაო, ჩაბნელებულ ცისკენ აიტაცა თეთრი ყვავილები.

ქარი ისეთი სისწრაფით ჰქროდა, რომ სუნთქვა შეუძლებელი იყო.

ქარბორბალა სტვენით აყრუებდა არემარეს. გზა აღარ ჩანდა. ლაპშინმა სვლა შეანელა, თავი მოაბრუნა და გასძახა:

— ტყეში უნდა დავბრუნდეთ, იქ სიწყნარეა.

— არა, რას ამბობთ! — ნევსკაია კისერში სწვდა. — ტყეში რა გვინდა.

ლაპშინმა მხრები აიჩეჩა და დაემორჩილა. „შერეკილია ღმერთმანი. დაისუსხა, დაისუსხა, რა მოხდა ამისთანა!“ — ფიქრობდა ლაპშინი.

მანქანა ძლივძლივობით მიაპობდა გახურებულ ქარს. ჩოპი ჩუმად იგინებოდა. მტვერმა თვალები დასთხარა. შეშუპებული ხელი ისე უფეთქავდა, თითქოს გული მკერდში კი არა, ამ ხელში უცემსო. ასე ეჩვენებოდა თვითონ ჩოპს.

კაპიტანი პირველად ახლა როდი მოხვდა ამ ქარში. მტკივან ხელზე ხელი დაიდო და ნევსკაიას მიუბრუნდა:

— მტვერი არაფერია, მალე გაივლის. უფრო უარესი ტემპერატურაა.

ნევსკაია ვერ მიხვდა რა ტემპერატურაზე ლაპარაკობდა

ჩოპი. საღი ხელი მოუსინჯა, ალბათ, სიცხე აქვსო, მაგრამ ჩოპმა თავი გააქნია:

— არა, მე სიცხე არა მაქვს! განა არა გრძნობთ, როგორ იწევს ტემპერატურა?

ახლა მართლა შეამჩნია ნევსკაიამ, რომ ქარი ყოველ წუთს სულ უფრო ცხელდებოდა. ქალს წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ, თუ ასე გაგრძელდებოდა, ყველანი დაიწვოდნენ. ცხელი ქარი ისე დასწვავდა და მოფშრუკავდა, როგორც ფოთოლს დასწვავს, მოფშრუკავს ხოლმე.

პირი გაუშრათ. წყლის ერთი წვეთი სანატრელი გახდა. წითელი ბურუსი დუღდა ირგვლივ, ცა და დედამიწა აღარ ჩანდა. ქარი ბურთივით დააგორებდა მზეს, სისხლისფერ ბუღში რომ გახვეულიყო.

კაპიტანმა ცას შეავლო თვალი და ჩაიბურტყუნა:

— წამში სამოცი მეტრი ცოტა როდია.

— რა თქვით? — შეჰყვირა ნევსკაიამ.

— იქ, მაღლა, ქარი წამში სამოცი მეტრი სისწრაფით დაჰქრის. ტაიფუნზე უარესია. ერთ საათში ჭალიკონი ოცდახუთი გრადუსითა სწევს ტემპერატურას!

მტვერი ჩადგა და ნევსკაიას თვალწინ დაუდგა სრულიად სხვა ქვეყანა, თითქოს შორეული ხანძრის შუქით ალაპლაპებული.

ჰორიზონტი აგურისფერ ბურუსში იწვა. ყვითელი შუქი ეცეძოდა ყველაფერს. ასეთი ლანდშაფტი ნევსკაიას მხოლოდ ძველი ოსტატების ფერგადასულ სურათებზე ენახა.

ქვა აღმართში დაეწიათ — უკანა კამერა გასკდა. — ლაპ-

შინმა შეაჩერა მანქანა, ოფლი მოიწმინდა, გაიხადა პიჯაკი და თავის ფეხებთან მიაგდო.

— ნაღდად დავიწვით! — ლაპშინმა ბრაზიანად დაჰკრა ხელი მანქანას. ძარას სიცხისაგან დამსკდარ-დამშხალული საღებავი ფენა-ფენა ასძვრა. — ერთ წუთში ეს კამერებიც დასკდება. ისეც არ უქნია ღმერთს.

— რამდენი დარჩა ქალაქამდე? — იკითხა ნევსკაიამ.

— ათი კილომეტრი.

ნევსკაიას თვალწინ დაუდგა მთელი გზა. ორი კილომეტრი ზღვის პირას უნდა ევლოთ, ზედ ტალღებზე — სხვა ჩარა არ იყო, — მერე ბორნით უნდა გადასულიყვნენ მდინარე კაპარჭინზე, იქიდან კი შვიდი კილომეტრი რჩებოდა ქალაქამდე.

— ზღვისკენ გაუხვიეთ, — უთხრა მან ლაპშინს, — წყალწყალ ვიაროთ. მოქცევა მაინც არ არის, ქარი ნაპირიდან უბერავს. წყალი გადაარჩენს კამერებს.

ლაპშინმა ხელი ჩაიქნია:

— სული მომათქმევინეთ!

ხმას არცერთი არ იღებდა. მანქანა თხილნართან იდგა. დაჭმაქულ ფოთლებს ცხელი ქარი ზღვისკენ მიაფრიალებდა. კაპიტანი კვნესოდა: ერთი წვეთი წყალი მაინც მომცა, ხელი დამასველებინაო.

ნევსკაია გაოგნებული შესცქეროდა მურყანს, თვალის დახამხამებაში რომ განიძარცვა.

ზღვის პირზე რომ გავიდნენ, მანქანა შეჯაჯგურდა, ახლა მეორე კამერა გასკდა.

ლაპშინი კბილებს ახრჭიალებდა, ჩუმჩუმად საძირეში იღებდა ამ ქარ-ხორშაკის გამჩენს. ახლა, ამ წუთას, თვალის

დასანახავად სძულდა კაპიტანიცა და ნევსკაიაც — ამ მანქანის გადამკიდე, მარტო მე ვდგევარ ცეცხლში, ეგენი მხართეძოზე წამოწოლილანო. მერე წამით ისიც კი იფიქრა, ვინ იცის, იქნება ტყუილად ვჯახირობთ, ამ ქარშოშინამ დაწვას და მოფშვნიტოს ჩვენი სუბტროპიკული ნარგავები, კოვზი ნაცარში ჩაგვიგდოსო. ამ ფიქრისა, ცოტა არ იყოს, შეეშინდა.

ლაპშინმა ნევსკაიასკენ იბრუნა პირი და გულმოსულმა შეხედა. ქალმაც ავი მზერა შეაგება. ის კი არა, თვალებში თითქოს მოლურჯო ალიც გაუკრთა.

„კატასავით მიმზერს!“ — გაიფიქრა ლაპშინმა და გესლიანად უთხრა:

— ტყუილად ვიკლავთ თავს, არაფერი გამოვა.

— ვითომ რა, ვერ ვივლით?

— რასაკვირველია.

ბურუსი იისფერ ცხელ ზღვაში ინთქმებოდა. ჰორიზონტზე უფრო სქელი, შედედებული ჩანდა, იქ წითელი ფერისა ალარ იყო, შავად იბურებოდა. ავი პირი უჩანდა უკაცრიელ ზღვას.

კაპარჭინიდან ერთ კილომეტრზე მესამე კამერაც გასკდა. მანქანა ზედმეტ ბარგად იქცა. დააგდეს და ბორნისკენ ფეხით წავიდნენ.

ნევსკაია ღელავდა: ვაითუ, ბორანი მდინარის მეორე ნაპირზე დგასო. ამ ქარში მებორნე ალბათ ვერც გადაიყვანდა.

ჭალიკონმა დედამიწა ქვად აქცია. ავი სანახავი იყო დახეთქილ-დაშაშრული მიწა. დილით კი, სუფსისაკენ რომ მიდიოდნენ, მანქანის ბორბლებს ტალახი ეკვროდა.

კაპიტანი და ნევსკაია გვერდი-გვერდ მიდიოდნენ. კაპიტანს

უნდოდა ტკივილი როგორმე დაემალა და ლაპარაკი წამოეწყო. ხელი ისე აღარა მტკივაო, ეუბნებოდა ქალს, ცოტა რომ მაინც დაემშვიდებინა.

თითქოს ნევსკაიაში ქალი მხოლოდ ახლა აღმოაჩინაო, ისე შესცქეროდა. კაპიტნის ძველი წარმოდგენით მეცნიერი ქალი უეჭველად სუსტი, ქალურობას მოკლებული არსება უნდა ყოფილიყო. ადრე ალბათ ამიტომაც არ დალაპარაკებია ნევსკაიას წესიერად, არც თვალი თვალში გაუყრია.

ახლა კი გაოცებული და მადლიერი შესცქეროდა. კაპიტანი თვალს არ აშორებდა ამ ქალის მიბნედილ, უკმაყოფილო თვალებსა და მტვრიან ლოყაზე ჩამოწეწილ ოქროსფერ ნაწნავს.

მალე კაპარჭინთან გავიდნენ. წყალს ქაფი მოეგდო, იტყვი დუღსო. ნევსკაიამ სული მოითქვა: ბორანი იქ ება. მაგრამ ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

კაპიტანმა ხელი მდინარეში ჩაყო და ოდნავი შვება იგრძნო.

— მაშ, წავსულვართ! — მხიარულად თქვა ნევსკაიამ და ბორანთან მიყიდა. — ორთაყვირებიც აქა ყრია.

ლაპშინმა თვალებში ჩახედა ქალს.

— არ მეგონა, — თქვა ლაპშინმა, — თუ ჭალიკონი ასე მალე შეშლიდა ადამიანს. ჩვეულებრივად მხოლოდ მეორე დღეს ეწყება ამ ქარ-ხორშაკში მოყოლილს უმიზეზო სიბრაზე, მესამე დღეს კი ჩხუბზე იწევს. მეოთხე დღეს ჭალიკონმა ჩადგომა იცის და სულიერი წონასწორობაც აღუდგება ხოლმე ადამიანს. ასე ამბობენ აქაური მკვიდრნი.

ნევსკაია წელში გასწორდა:

— ვითომ რაო, რასა ნიშნავს ეგ?

— იმას ნიშნავს, რომ გადასვლა არ შეიძლება. მდინარე ან ზღვაში გაიტაცებს ბორანს ან ყირამალა დააყენებს და ყველას ამოგვახრჩობს.

— აბა, შენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ლოდინია საჭირო.

— არავითარი ლოდინი! — დაიყვირა ნევსკაიამ. — თავადაც კარგად იცით, რომ ლოდინს შეიძლება ცუდი ამბავი მოჰყვეს.

ლაპშინმა მხრები აიჩეჩა.

— აი კაპიტანს ჰკითხეთ, ეგ უფრო გამოცდილია ამგვარ საქმეში.

ჩოპმა მდინარეს გადახედა. გასვლა მართლაც არც ისე ადვილი იყო.

მდინარე ყავისფერ ტალღებს მოაქანებდა, გუგუნებდა და ყალყზე დგებოდა. ქარი ძირს ანარცხებდა წყლის პირას ამოსულ ბუჩქებს და ისე უხათქუნებდა მომწვანო წყლის ზედაპირს, თითქოს მათრახს ურტყამსო.

ჩოპს ხელი დაავიწყდა კიდეც. ზღვის ყველა ძველი შესანიშნავი და თითქმის მივიწყებული წესი თუ კანონი, გემის დაღუპვის ჟამს რომ იყენებდნენ ხოლმე, ერთბაშად წამოაგონდა კაპიტანს. იმ წესებისა და კანონების თანახმად დასაღუპად განწირულ გემს ჯერ ბავშვები და ქალები უნდა გააცალონ. დასუსხული ხელისათვის როგორ შეიძლება. ქალის

ხიფათში ჩაგდება! ჯანდაბას, ვითომც არა მქონია ერთი ხელიო, ფიქრში გთვლო ჩოპმა, და თქვა:

— გადასვლა მართლაც სახიფათოა. ლოდინი აჯობებს. ხელი ისე მაინც აღარა მტკივა.

— ტყუილს ამბობთ, ჩოპ! — ბრაზიანად შეჰყვირა ნევსკაიამ. — რატომ ცრუობთ? ხელი გალურჯებული გაქვთ. ამ წუთასვე უნდა წავიდეთ.

— წავიდეთ! — თქვა თავგზააბნეულმა ჩოპმა.

— რაღას უყურებ! — ნევსკაია ლაპშინს მიუბრუნდა.

ლაპშინი ხმას არ იღებდა. პერანგის სახელოთი სახე ჩამოიწმინდა, — სახელო ტალახში ამოვლებულს დაემგვანა.

— ამას ორთაყვირის მოსმა არ შეუძლია, — ნევსკაიამ კაპიტანს გადახედა. — მარტო მე ბევრს ვერაფერს ვიზამ. თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ.

— მე ვერ წამოვალ. — წყნარად თქვა ლაპშინმა.

ნევსკაია გაფითრდა.

— ლაჩარი ყოფილხარ! — მიახალა და თვალზე ცრემლი მოადგა. — ახლა კი ვიცი, რასაც ნიშნავს თქვენი „უმაღლესი მეცნიერული წესიერება!.“ ჩოპ, წავიდეთ!

ლაპშინი მიტოვებულ მანქანისკენ გაბრუნდა. ნელა მიდიოდა, თან უსტვენდა.

ნევსკაიამ და ჩოპმა ბორანი ადგილიდან დასძრეს. კაპიტანი სდუმდა. მერე მანქანისკენ მიმავალ ლაპშინს გააყოლა თვალი და წაიდუდუნა:

— ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი!

ნევსკაია ორთაყვირს უსვამდა. ჩოპი ცალი ხელით ნიჩბოსნობდა, თან ტუჩებს იკვნეტდა, არ დავიკვნესოო.

ნაპირი ნაცრისფრად შეღებილი კარუსელივით დატრიალდა. ქარი ორთაყვირებს ხელიდან აცლიდა. ბერეტიც მოაგლიჯა ნევსკაიას და ოქროსფერი თმა, თითქოს უცხო რამ დროშაო, ისე აუფრიალა.

ტალღები დგაფუნით აწყდებოდნენ ბორანს. ჩოპი მტკივანი ხელით წყალს ხაპავდა. ნევსკაია სულ მთლად ლორთხი იდგა. სახეზე ეტყობოდა, რომ აღარ შეეძლო, მაგრამ თავს ძალას ატანდა.

„ქალს ამდენი ძალა ვინ მისცა?“ — ფიქრობდა კაპიტანი.

წყლის შესართავს თვალს არ აშორებდა. იტყვი ვინმემ გამოტყორცნაო, ისე სწრაფად ახლოვდებოდა შესართავი.

„მართლა ზღვაში არ გაგვიტანოს!“

ნევსკაიას ტარაბუა ესხმოდა. დაკვნეტილი ტუჩებიდან სისხლი სდიოდა. ქარმა ორთაყვირიც წაჰგლიჯა. ბორანი შეყანყალდა. კაპიტანმა თვალი მოჰკრა, როგორ დაენარცხნენ ნაპირზე ხეები მიწას. ქარი კარგს არაფერს აპირებდა.

— აი ახლაა ბიჭობა! — ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

ნევსკაიას წყალი შეესხა სახეში, წამით თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაინც წაეპოტინა ორთაყვირს და მოუსვა.

წუთები საუკუნეებს ჰგავდნენ.

უცებ კაპიტანმა იქვე ნაპირი დაინახა. მერე მებორნეების ქოხსაც მოჰკრა თვალი და მეთევზეებსაც. ისინი ორნი იყვნენ. მუხლამდე წყალში იდგნენ. ერთს ბარჯი ეჭირა ხელში.

მეთევზემ ბარჯი ბორანს წამოსდო თუ არა, კაპიტანმა ნევსკაიას გასძახა:

— გადავრჩით, გადავრჩით!

კაპიტანს აღარც კი ახსოვდა ხელი და, ნაპირზე რომ გადავიდნენ, ტკივილი მაშინღა იგრძნო.

ახალგაზრდა მეთევზემ, მოკლე შავი ნიფხავი რომ ეცვა, დამცინავად გადახედა კაპიტანს.

— რა იყო, კაცო, ცოტა ჭკუაზე ხომ არ შეგშალა ამ ქარმა? გეტყობა მეზღვაური ხარ, მაგრამ საქმე არ გცოდნია, თანაც ქალი წამოგიყვანია.

— არა უშავსრა, მეგობარო, ნახევარი ქალაქი ვერ გაიგებს! — კაპიტანმა საღი ხელი მხარზე წამოარტყა მეთევზეს. — მოიცალე, ამოდი როგორმე ნავსადგურში: მწვადსაც გავაჩენთ და მაჭარსაც. გადარჩენისა დავლიოთ.

მეთევზეებმა გაიცინეს.

— როგორც კი ქარი ჩადგება, ის ჩიტირეკიაც გადმოიყვანეთ, — კაპიტანმა ლაპშინისკენ გაიშვირა ხელი. ლაპშინი მანქანასთან დაბორიალობდა.

— რატომაც არა!

მერე ქალაქის გზას დაადგნენ. ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, ქვიშაბორცვების გასწვრივ — მოფარებული იყო, ქარიც იმდენად არა ჰქროდა.

ნევსკაიას დიდხანს კრინტი არ დაუძრავს, მერე მიბრუნდა უცებ და ტირილი აუვარდა. ჩოპი დაიბნა. კვლავ ჭალიკონის გამჩენს დაუწყო გინება. რა არის ამნაირი, რომ ძარღვებს უფურთკნის ადამიანსო. ჭალიკონი ისევ ძველებურად უბე რავდა.

თვალწინ კვლავ უცნაური ლანდშაფტი დაუდგათ — გამოფიტული და ნახანძრალი. კაპიტანს მოაგონდა, რომ ცა მხო-

ლოდ მზის დაბნელების წინ გადაიკრავს ხოლმე ჭაჭის ფერს და ქვეყანასაც მრუმე, უძალო შუქი ეფინება.

შორს ბინდბუნდად მოჩანდნენ ფოთის ბაღები. ჭალიკონი ახლოც არ მიჰკარებოდა იმ ბაღებს, ირგვლივ ჭადრის მაღალი კედელი რომ ერტყათ.

— იცი რა, — თქვა კაპიტანმა, — არ იდარდოთ, ისინი უეჭველად გადმოიყვანენ ლაპშინსაც. არა უშავს რა, ერთი დღე იშიმშილოს!

— რას ამბობთ, ჩოპ! ისეც უქნია, სამი დღე მჯდარა მშიერი.

— რაღა გატირებთ?

— არაფერი, ცოტა შემეშინდა, ჩოპ.

ამას კი ვეღარ მიხვდა ჩოპი. გადაწყვიტა, ენა მუცელში უნდა ჩავიგდოო, და მართლაც კრინტი არ დაუძრავს საავადმყოფომდე, სადაც კვლავ ლაქის ხის გინებას მოჰყვა.

ფეხგურთის მატჩი

სუბტროპიკულ საცდელ სადგურში ბამბუკი აყვავდა. შეატყო თუ არა ასაყვავებელი პირი, ნევსკაია შეშფოთდა: ბამბუკი თავის სიცოცხლეში ერთხელ ჰყვავის, დაიყვავილებს და კვდება.

ლაპშინი მშვიდად გრძნობდა თავს. კაპარჭინზე მომხდარი ამბის შემდეგ იშვიათად თუ დაელაპარაკებოდა ნევსკაიას, ზურგს უკან კი აუგად ახსენებდა. ნევსკაიას შეშფოთება მიამიტობად მიაჩნდა: რადგან აყვავდა, აღარაფერი უშველის,

ბამბუკი მაინც მოკვდება, ღელვა და ტირილი კი სისულ-ლეარ.

ერთხელ კაპიტანიც მოვიდა აყვავებული ბამბუკის სანა-ხავად. ხელი თითქმის აღარცა სტკიოდა, მაგრამ მაინც შეხ-ვეული ჰქონდა. ჩოპმა თან ნევსკაიას პატარა გოგო და ქრის-ტეფორიდიც მოიყვანა.

სტუმრებს სიმაც იქ დახვდათ, საცდელი სადგურის კოხ-ტად წამოჭიმულ ოდაში, სადაც ნევსკაია მუშაობდა. სიმა ექსკავატორის სათადარიგო ნაწილების წასაღებად ჩამოსუ-ლიყო ქალაქში და თან ნევსკაიასათვის გაბუნიას ბარათიც წამოეღო. გაბუნია ნევსკაიასა და ჩოპს ეპატიჟებოდა, ჩამო-დით ჭალადიდში, არხი ნახეთო.

დილის მზე თვალისმომჭრელად ეფინა ეზო-ყურეს, ფოთ-ლები ბზინავდნენ და ქარში შრიალებდნენ. თეთრად აფეთ-ქებული ტოტები ღია ფანჯრებს ეხლებოდნენ და რაფაზე ცივი ნამი ცვიოდა.

სველი მიწისა და ხეების სუნთქვამ, მიმოზის მოტკბო სურ-ნელმა ჩოპს მადაგასკარი მოაგონეს. მადაგასკარში ჩოპი როჟ-ესტვენსკის ესკადრასთან ერთად იდგა. ათასნაირი ხილით სავსე იქაურ ბაზრებში სწორედ ამნაირი ჰაერი იყო — კაცს თავბრუ ესხმოდა.

ნევსკაიას პატარა გოგომ და ქრისტეფორემ ტალავერში შერგეს თავი. საცდელი სადგურის უზარმაზარ დაბურულ ბაღში ყოფნა ერთ რამედ ღირდა. ქრისტეფორიდი ხელის-გულზე ისრესდა ლიმონის ნორჩ ფოთლებს და ყნოსავდა.

ციხეენ კვამლის ზოლი აჭრილიყო. ბაღში მაგნოლიის შარ-შანდელ ფოთლებსა სწვავდნენ.

ქრისტეფორემ ხელდახელ თამაში მოიგონა. თვითონ ვეფხვი იყო, ნევსკაიას პატარა გოგი კი — მონადირე. ვეფხვი ხეებსა და ბუჩქებს ეფარებოდა, ფოთლებსა ღეჭავდა, ცოტაც და თავს დააცხრებოდა მონადირეს. ბიჭი ისე გაიტაცა თამაშმა, რომ ქვეყნად ყველაფერი გადაავიწყდა. აღარც თავისი მოხუცი დედა ახსოვდა, საღამოთი ცეცხლს რომ წაუკიდებდა. დღეს რა ცოტა ფული აგიღიაო. არა უშავს რა, მთავარია ჩოპი ჰყავდეს კარგად, დღესაც გამოართმევს ათშაურიანს. არა და შესჭამს დედაბერი.

— ყალა მერა! — ყვიროდა ქრისტეფორიდი და თან იმანჭებოდა, პირს აწკლაპუნებდა. წეღან ქაფურის ხის ფოთოლი ჩაიდო პირში და ღრანჭი გვერდზე მოექცა.

მზე ისე ღარღარით ჩადიოდა ხეების ტევრში, თითქოს წყალიაო; ხეების ძირას მუხლამდე იდგა მწვანე შუქი. აქაიქ ამოჩრილ ფესვებს წამალივით სუნი სდიოდათ, შქერის ფაიფურის ფოთლები ზღვის ვარსკვლავებივით ეყარა ბალახში. ბამბუკის თანაბარი შრიალი პაწაწინა ჩიტების გაბმულ ჭიკჭიკსა ჰგავდა. ირგვლივ კრიპტომერიის მძიმე სუნი იდგა.

ევკალიპტებს ნამიანი ფოთლები ცერად, გვერდზე შეებრუნებინათ. ქრისტეფორიდი მხარს აუქცევდა ხოლმე ევკალიპტებს. ამ ხის ქვეშ ვერ დაიმალები: ჩრდილი არ იციან. ევკალიპტის ფოთლები სინათლეს ყოველთვის გვერდს აქცევენ.

ქრისტეფორემ მაისის ვარდზე ულვაშიანი ხოჭო დაიჭირა. ხოჭო ვერ ისვენებდა მუჭაში და ზუზუნებდა. აი ნახე, რა

---

[1] ყალა მერა—ბერძნული მისალმებაა. (ავტორის შენიშვნა).

დავიჭირეო, აჩვენა პატარა გოგოს. მერე ორივემ კორპის ხეს მალულად ცოტა ქერქი შემოაცალა — ზღვაში გამომადგებაო, ამბობდა ქრისტეფორიდი.

ბალმა სიხარულით აავსო ქრისტეფორიდის გული. ყველაფერი მოსწონდა — ფოთლებიც, შუქიც, ჩრდილიც, ზღვის ღგაფუნიც და ღრუბლებიც, ზენიტისაკენ ბრილიანტისფერი ოხშივარივით რომ მიიწევდნენ. „გავწმინდოთ-გავაპრიალოთ, გავწმინდოთ-ავაბრიალოთ!“ — ყვირილი მორთო ქრისტეფორემ და ნემსიწვერას კვალზე გაგორდა.

ამას კი არავინ მაპატიებსო, მიხვდა ქრისტეფორიდი და ხმა გაკმინდა. მერე პატარა გოგოს ჩასჭიდა ხელი და ორივენი ოდისაკენ წავიდნენ. ფანჯრიდან ხმაური ისმოდა.

ოდაში ცხარედ კამათობდნენ. ბიჭმა ლაპშინის ხმა იცნო. ლაპშინი გულზე არ ეხატებოდა. უზარმაზარი წითელი ფეხსაცმელები ჰქონდა ლაპშინს. იმ ფეხსაცმელების წმენდა სიკვდილი იყო ქრისტეფორესათვის. წმენდა იქით იყოს, შესაფერ ზუმბურზეთსაც ვერ შოულობდა.

— კოლხიდა სრულიადაც არ არის სუბტროპიკული ქვეყანა, — ამბობდა ლაპშინი, — წლიური სითბო აქ საკმარისი არ არის ბევრი ტროპიკული ნაყოფის დასამწიფებლად.

— სისულელეს ამბობთ! — შეესიტყვა ნევსკაია. — სუბტროპიკებისათვის სითბოს წლიური ჯამი სამი ათასი გრადუსია, კოლხიდაში კი ჯამი ოთხი ათას ხუთას გრადუსამდე ადის. ნამდვილი სკეპტიკოსი ხართ!

— თქვენთან ლაპარაკიც კი ძნელია. ყველას უხეშად ელაპარაკებით.

— კაპარჭინზე მომხდარი ამბის გამო ბოდიში უკვე გით-

ხარით, თუმცა მართალი ვიყავი და საბოდიშო არაფერი მქონია. მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— ბოტანიკისა ინჩიბინჩი არ მესმის. — თქვა ჩოპმა, — თორემ ამ უსიამოვნო საუბარს შეგაწყვეტინებდით.

ნევსკაიას გაეღიმა:

— არც ისე რთული საქმეა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. სუბტროპიკული ნაყოფის დასამწიფებლად საჭიროა წელიწადში გარკვეული დოზა მზის სითბოსი, — ასე, სამი ათასი გრადუსი. ტემპერატურის რყევა არც ისე მნიშვნელოვანია. ამ ამბავს შეიძლება შევებრძოლოთ კიდეც: ასეთ დროს ხეებს შებოლავენ ხოლმე, ბოლში ყოველთვის არის სითბო. უფრო ნაზ ხეებს საზამთროდ შეიძლება ძენძიც შემოვახვიოთ. მთავარია წლიური ჯამი სითბოსი. ლაპშინმა კარგად იცის, რომ აქ ზომაზე მეტი სითბოა და ვერ გამიგია, რატომღა მეკამათება.

— არა, არ გეკამათებით, მაგრამ დაეჭვების უფლება ჩემთვის არავის წაურთმევია.

— პროფესორებმა იციან ასეთი ოინები! — ნევსკაიამ გაიცინა და უცებ ერთი ეშმაკური აზრი მოუვიდა. — მოდით, შევამოწმოთ. სამხრეთ ინგლისში, სადაც ხშირი ნისლი და წვიმა იცის, სრულიადაც არ ცივა. წლიური ჯამი სითბოსი იქ თითქმის სამი ათასი გრადუსია. როგორ ფიქრობთ, ხარობს თუ არა სამხრეთ ინგლისში ტროპიკული მცენარეულობა?

— არც შეიძლება რომ ხარობდეს, — უპასუხა ლაპშინმა.

— არა მგონია, რომ ამ ინგლისელმა მატროსმა, — ნევსკაიამ სიმას შეხედა, — ტყუილი თქვას. ამან ისიც კი არ

იცის, რაზე ვდავობთ. წავიდეთ, ბაღში წავიყვანოთ. აბა ვნახოთ, რომელ მცენარეს დაადებს ხელს, ასეთი ინგლისშიაც ხარობსო.

კაპიტანმა სიტყვასიტყვით გადაუთარგმნა. სიმამ ჩაქონქილი ნაფოტა კბილები გამოაჩინა. რასაკვირველია, ვყოფილვარ სამხრეთ ინგლისში, კუნძულ უაიტზე, და „მილედის" თხოვნას შევასრულებო. საინტერესოა, რა თანხაზე დადო „მილედიმ" სანაძლეო ლაპშინთანო!

ბაღში ყველანი ჩავიდნენ. გზად ჩოპმა რამდენჯერმე უთხრა სიმას, ჩვენში სიტყვა „მილედის" ხმარება უხერხულიაო. სიმა დაეთანხმა და ნევსკაიას ახლა „კამარადს" ეძახდა.

კაპიტანს უკვირდა, ჭალიკონი ამ ბაღს არც შეჰხებიაო. ნევსკაიამ ევკალიპტისა და ჭადრის მაღალი კედელი დაანახვა, ამ კედელმა იხსნა საცდელი ბაღი იმ ქარ-ხორშაკისაგან, ევკალიპტს ჭალიკონი ვერაფერს აკლებსო.

სიმას ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ისე დადიოდა ბაღში. გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ძველ მატროსს ეგრერიგად ვერაფერი გააკვირვებდა.

ტროპიკები! კუნძულ ტრინიდადზე სიმამ ერთხელ ლიმონები დაუშინა და ისე ჩაამტვრია კაფეში მინები, ზანგ-მატროსს შემოსვლას რად უკრძალავენო. ტროპიკებს გარდა, სიმამ ბევრი რამ იცოდა ამქვეყნად — წყალქვეშა ნავის ოხერი პერისკოპის ასავალ-დასავალიც იცოდა და მჭადის გემოც, არაერთხელ უნახავს პოლიციასთან სისხლიანი შეტაკება, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამართულ ფეხბურთის მატჩებსაც დასწრებია, ხელთ სჭერია ყალბი საზღვაო საბუთები, გაფიცულებშიც გარეულა და „დიდი ლოცვის" ფასიც ეცოდა. „დი-

დი ლოცვა“ სილაქვის ნახევარტონიან ფილას ერქვა. ამ ფილით იალქნიან ხომალდებზე გემბანსა ხეხავდნენ ხოლმე.

პირველად რომ კოლხიდაში მოხვდა, სიმა მართლაც გაოცებული იყო. ნავსადგურის კაპიტანმა შინ წაიყვანა და ორი კვირა ცივ ნიავს არ აკარებდა, საერთაშორისო საზღვაო წესის თანახმად კი კისერში უნდა წაევლო ხელი და ერთი მაგრა გამოეშუპრა. სიმა მალე სამუშაოზეც მოაწყეს, ახალგაზრდა ინჟინერმა გაბუნიამ ხელი ჩამორთვა და ძმასავით დაუწყო ლაპარაკი. ყველაზე მეტად სიმას ის აკვირვებდა, რომ როგორც ტოლსა და თანასწორს, ყველანი ისე ელაპარაკებოდნენ, თვით მეცნიერი ქალებიც კი.

სიმა ნელა მიაბიჯებდა ბაღში და უსტვენდა. გვერდით პრასას მოჰკრა თვალი და ძველი ნაცნობივით გაუღიმა. მერე აყვავებულ ბამბუკთან შედგა, შორს გადააფურთხა და ენა გაატკაცუნა:

— კრეკ! აი ეს ხე იზრდება ჩვენში, კუნძულ უაიტზე.

— ბოდავს! — გაბრაზდა ლაპშინი. — თქვენი ბრალია, თორემ ამ მატროსთან საქმეს არც დავიჭერდი. რაღა მეთქმის, შესანიშნავი მეცნიერული მტკიცებაა!

— სიმა მართალია, — თქვა ნევსკაიამ. — სამხრეთ ინგლისში ბამბუკი კარგად ხარობს.

ლაპშინი აენთო. ჯერ იყო და ვანომ დაიჭირა არცოდნაში, ახლა ამ ქალმა! ნუტრიას ბამბუკიც დაემატა.

— ტყუილად ბრაზობთ, ლაპშინ, — შემარიგებლად უთხრა ნევსკაიამ. — კარგმა სპეციალისტმა შეიძლება ბევრი რამ გაიგოს თავისი საქმისა იმ ადამიანისაგანაც კი, ვისაც უვიცად სთვლის, ამიტომ ფრთხილად იყავით.

ლაპშინმა ხელი ჩაიქნია და ლაბორატორიისკენ წავიდა. იმ ლაბორატორიაში აწარმოებდა მიკროჰავაზე დაკვირვებას. ნევსკაიაც სამუშაოდ წავიდა. სიმამაც აღარ მოიცადა, ჭალადიდის მატარებელს უნდა მივუსწროო.

ჩოპი ბავშვებთან დარჩა. ხელის გამო ორკვირიანი შვებულება მისცეს და ისიც თითქმის ყოველდღე დადიოდა სუბტროპიკულ სადგურში.

ჩოპი ბამბუკის კორომთან იდგა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. ცხადი იყო, რომ ბამბუკი დაიღუპებოდა. კაპიტანს იაპონია მოაგონდა, შუბლზე თითი გაისვა-გამოისვა და ბავშვებს თავსგადახდენილი ამბავი მოუყვა. ის ამბავი ჩოპს იაპონიის ერთ მივარდნილ ნავსადგურში შემთხვეოდა, იმ ნავსადგურში ბრინჯის წამოსაღებად მისულიყვნენ.

გათენებისას ჩოპი მორიგე მატროსს გაეღვიძებინა და ეთქვა, ქალაქში რაღაც უბედურება მოხდა: ბავშვებისა და ქალების წივილ-კივილი ისმისო. ჩოპი ნაპირზე გადასულიყო. ალბათ ხანძარიაო, ეფიქრა. ხალხი გარეუბნისაკენ გარბოდა, კაცები იგინებოდნენ, ქალები ბავშვებს მიათრევდნენ, ხანძარი კი არსად არა ჩანდაო, ჰყვებოდა ჩოპი. ავიღე თავი და მეც უკან დავედევნეო. ხალხი ბამბუკის ტყეში შესულიყო. ბამბუკს ღამით თურმე ყვავილობა დაეწყოო.

ბამბუკის ტყეები ისე არიან თურმე ფესვებით გადახლართული, რომ ყვავილობის მერე ტყეები უზარმაზარ ფართობზე ერთიანად ხმებიან. ეს ამბავი პირველად მაშინ გავიგეო, ამბობდა ჩოპი. იქაურებისათვის ბამბუკი მარტო საშენი მასალა კი არა, საკვებიც არის: იაპონელები ბამბუკის ყლორტებსა

სჭამენო. იაპონიაში ბამბუკის ყვავილობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა.

— აი, პატარებო, — თქვა ჩოპმა, — რანაირი ამბები ხდება ქვეყნად! რამდენიც ხეა, იმდენი ზღაპარია.

კაპიტანმა ხელი ჩასჭიდა ბავშვებს და ყველანი ნავსადგურში წავიდნენ, გზად ნევსკაიას შეუარეს. ნევსკაია მაგიდასთან იჯდა, წინ ათასნაირი თესლი ეყარა.

— ჰო, მართლა, — თქვა კაპიტანმა, — ის კაცი (ასე ეძახდა ლაპშინს) მიკროჰავაზე მუშაობს, თქვენ რაღას საქმიანობთ?

— მე კოლხიდისათვის მცენარეთა საუკეთესო ჯიშებს ვარჩევ. მცენარეულობაც ხალხივით ჭრელია. ზოგი ანჩხლია, ზოგიც სუსტი, ამტანი მცენარეც არის და მცივანაც. ზოგიერთს ბევრი წყალი უყვარს, ზოგს ტენი ეჯავრება, ზოგიერთი მარტო ჩრდილოეთში ხარობს და სამხრეთს ვერ იტანს. რა ვიცი, რანაირს აღარ შეხვდები ამქვეყნად — ძუნწსაც და გულუხვსაც, გამხდარსაც და მსუქანსაც... როცა შორეულ ნაოსნობაში მიდიოდით ხოლმე, ადამიანებს ალბათ ძალიან მკაცრად არჩევდით. აქაც ეგრეა. მცენარე ისევე უნდა შეირჩეს, როგორც ხალხი საექსპედიციოდ. ერთ ბრიყვს ან დოყლაპიას შეუძლია მთელი საქმე ჩაფუშოს. ამჟამად საუკეთესო ხარისხის ევკალიპტს ვარჩევ.

— აი ამას... — დაიწყო კაპიტანმა, მაგრამ ველარ დაასრულა: ქუჩიდან ყვირილი მოისმა და ყური მიუგდო.

ქრისტეფორიდი ოთახიდან გავარდა. კაპიტანი ყურებდაცქვეტილი უსმენდა, ვერ გაერჩია ვინ ყვიროდა, ან რა წივილ-კივილი იდგა. მერე უცებ ალაგეზე შეხტა.

პატარა მინდორზე, სუბტროპიკული სადგურის წინ, ფოთელებს ფეხბურთი გაეჩაღებინათ. ძველი ფოთური ჩვეულებისამებრ ცოლიანებისა და უცოლოების გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უცოლოები მასხარად იგდებდნენ ცოლიანებს. გულმოსულ ცოლიანებს ენა მუცელში ჰქონდათ ჩავარდნილი, მაგრამ შემთხვევა მიეცემოდათ თუ არა, შიგ მუხლებში ურტყამდნენ უცოლოებს და ვაი-დედას აძახებინებდნენ.

მილიციელმა გრიშამ ხელად დაამყარა წესრიგი. არც უყვირია და არც ულრიალია, ყველას ცალკ-ცალკე ჰკითხა, რა მოხდაო.

ბევრი არაფერი, მაგრამ სასაცილო კი მომხდარიყო. სიმა თამაშს ისე გაეტაცნა, რომ ფეხნატკენი ფორვარდის ნაცვლად მინდორზე გადასულიყო და ცოლიანების კარში სამი ბურთი გაეტანა. ცოლიანებს ამას რა მოათმენინებდა, ყვირილი აეტეხათ, ხელახლა ვითამაშოთო. ღორღალი დაეწყოთ და ცოტა ლაპარაკიც მოსვლოდათ.

ჩოპმა იდაყვში წაავლო ხელი ინგლისელს და გვერდზე გაიყვანა. გახვითქული და გულამოვარდნილი სიმა ქუშიანი ცხენივით სუნთქავდა.

— მისტერ ბირლინგ, — თითქოს თავაზიანად, მაგრამ გულმოსულმა უთხრა კაპიტანმა, — ნუთუ არ იცით, რომ ჭალადიდის ერთადერთმა მატარებელმა უკვე გაგასწროთ? მგონი ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენში ფეხბურთის თამაშიც თავის დროზე იციან და მუშაობაც! გაბუნიასთან თავდებად დაგიდექი და უნდა გითხრა, რომ მცხვენიან კიდეც.

სიმამ რაღაც წაიდუდღუნა და პირველივე შესახვევში

ჰკრა თავი. ბოვალს მიეფარა თუ არა, შედგა, პაპიროსს მოუკიდა, დიდხანს არც უფიქრია, ხელად გადაწყვიტა: რაც არის, არის, ჭალადიდში ფეხით უნდა წავიდე. მთელ ღამეს ვივლი და დილით მაინც მივალო.

ნევსკაიას ევკალიპტის თესლზე მუშაობის გარდა აღარაფერი ახსოვდა. თვალწინ ედგა კოლხიდის მომავალი, რომელსაც მცენარეთა თესლის პაწაწინა მარცვლებში ხედავდა. ოკეანეთა გალმა შეძენილ იმ პაწაწინა მარცვლებს გულში ღრმად ჰქონდათ დამარხული ყველა თავიანთი საოცარი თვისება — სუნი, სამკურნალო წვენი, მკვრივი, ქვასავით მაგარი მერქანი, ყვავილობის სილამაზე და ჭკნობის სიმწარე.

ნევსკაიამ ფოთში ლაპშინის რამდენიმე წერილი წაიკითხა, ლაპშინი ბოტანიკაზე წერდა. იმ წერილების კითხვამ ქალს თავი აატკივა. ლაპშინს მთავარი რამ არ ესმოდა, უმეტესად წვრილმან ამბებს უკირკიმალებდა. მომავალს ვერ ხედავდა და, ცხადია, არც ითვალისწინებდა. სრულიად არ ესმოდა მცენარეთა ცხოვრება, მცენარეები კი, ნევსკაიას აზრით, ადამიანებივით უნდა ჰყვარებოდა მეცნიერს.

ლაპშინი თამამ აზრს უფრთხოდა; სილაღე, შემოქმედებითი წარმოსახვა აკლდა. ხელოსანი-მეცნიერი, კარჩაკეტილი სპეციალისტი იყო.

ერთადერთი, რითაც, ნევსკაიას აზრით, ვარგოდა ლაპშინი, — ის იყო, რომ შესანიშნავად დაჰყავდა მანქანა.

წერით მეტისმეტად გრძლად და მოსაწყენად წერდა. ლაპარაკი კიდევ უფრო მოსაწყენი იცოდა. ბრტყელ-ბრტყელი, გატყლარჭული სიტყვები უყვარდა, რასაც ძველი მეცნიერები მაღალ კულტურულობად სთვლიდნენ. ვისაც ცოდნას ვერ

შეატყობდა, ლაპშინი ცერად დასცქეროდა, არარაობა ყოფილ-ხარო, აგრძნობინებდა.

როცა ნევსკაიამ იმ წერილების კითხვა დაასრულა, ლაპ-შინმა ჰკითხა: რას იტყვითო. ნევსკაიამ პასუხის ნაცვლად მეორე დღეს პუშკინის ტომი მოუტანა, გადაუფურცლა და წააკითხა:

„შთაგონება გეომეტრიაში არანაკლებ საჭიროა, ვიდრე პოეზიაში“.

ლაპშინს კრინტი არ დაუძრავს.

ევკალიპტის თესლზე რომ მუშაობდა, ნევსკაიას ხშირად უფიქრია: ნეტავი ერთი დამსვა და წიგნი დამაწერინა ამ შესანიშნავ ხეზეო. მან „სიცოცხლის ხის“ თითქმის ორასივე სახეობა შეისწავლა და ახლა იმაზე ოცნებობდა, რომ მკით-ხველისთვისაც გაეგებინებინა ევკალიპტის უჩვეულო თვისე-ბათა ამბავი.

ტროპიკულ მცენარეთა შორის ნევსკაიას ყველაზე ძვირ-ფას ხედ ევკალიპტი მიაჩნდა — „ტყეთა ალმასი“ ტყუილად როდი ჰქვიაო.

ორ წელიწადში კოლხეთის ევკალიპტმა შვიდ მეტრამდე აიყარა ტანი. ზოგიერთი ძველი ევკალიპტი ასორმოცდაათი მეტრი სიმაღლისა იყო, კაცი თვალს ვერ აუწვდენდა.

მარტო სიმაღლეში კი არა, ევკალიპტები სიგანეშიც მიდი-ოდნენ. ცოტა ხნის წინათ ნევსკაიამ ევკალიპტის ჯირკზე წლიური შრეები გაზომა, სამ სანტიმეტრზე ნაკლები შრე ვერც-ერთი ვერ იპოვნა.

ნევსკაიამ იცოდა, რომ ერთი ხუთწლიანი ევკალიპტი უფ-რო მეტ მერქანს იძლეოდა, ვიდრე ორასწლიანი ნაძვი და

ფიჭვი! ხან თვითოხაც კი წარმოუდგენლად მიაჩნდა ეს ამბავი, მაგრამ ნამდვილად ასე იყო.

ევკალიპტის ქვასავით მაგარ მერქანს არც ჭია უჩნდება და ნირს ვერც დრო უცვლის. ის არც მიწაში ლპება და არც წყალში.

ნევსკაიას ჩოპის მონაყოლი მოაგონდა. იმ იალქნიან ხომალდებს, რომლებსაც ევკალიპტის ანძები ჰქონდათ, ყველაზე საშინელი გრიგალიც კი ვერაფერს აკლებდაო.

„აი მოსკოვში სულ ევკალიპტი უნდა დააგონ! ო, რა შესანიშნავი იქნებოდა!“ — ფიქრობდა ნევსკაია.

ევკალიპტმა ჩრდილი არ იცის, ჭაობის ამოსაშრობად უკეთესი ხე არც არსებობს, რანაირ მიწაშიც უნდა ჩაფლა, მაინც იხარებს, რასაც ფესვებით წყალს იწოვს, ფოთლებით გამოჰკოფს. კოღოები ვერ იტანენ ევკალიპტის ფოთლის სუნს. ევკალიპტი მალარიის პირველი მტერია, ტროპიკულ ქვეყნებში ალბათ ამიტომ ეძახიან „სიცოცხლის ხეს“.

ბინდი ჩამოწვა. ნევსკაიამ თავი ასწია და საათს შეხედა. ხუთი საათი იყო. ნეტავი ასე ადრე რად ჩამობნელდაო, გაიფიქრა ქალმა და ფანჯარაში გაიხედა. ზღვას შავი ღრუბელი აწვა. შორით ქუხილის ხმამაც მოაღწია. მალე ქარმაც წამოუბერა და ააშრიალა ბაღი.

— წარღვნა იქნება, — გარედან ვიღაცის ხმა მოისმა.

იმ წუთას ელვა გადაიგრაგნა ცაზე. ვერე, თითქოს უზარმაზარი ოქროსფერი მინა დაიმსხვრაო, ისე დაქუცმაცდა. ბაღის ერთ მხარეს, სადაც უამრავი ლიმონი იდგა, ნევსკაიამ ალაგ-ალაგ ცეცხლს მოჰკრა თვალი. არა, ეს ცეცხლი კი არა, ალბათ ლიმონის კუნწულებიაო, — ფიქრობდა ქალი.

ქარმა ფანჯარა მიაჯახუნა, ფარდა ააფრიალა და კვლავ გარეთ გაიჭრა. წეღანდელზე უფრო მაგრად გაიელვა და ისე დაიგრუხუნა, თითქოს ცა ჩამოინგრაო.

ნევსკაია შინ წასასვლელად აჩქარდა. წარღვნას, ვინ იცის, იქნებ ორი დღე-ღამეც არ გადაეღო.

მიჰყვებოდა ნევსკაია ჟარიან ქუჩას და ისევ წეღანდელ ელვაზე ფიქრობდა. აი სწორედ იმ ელვისფრად ეჩვენებოდა კოლხიდის მომავალი.

ჩოპი შინ დახვდა მალე კოკისპირული წვიმა დაიწყება, ბარომეტრი ეცემაო, თქვა ჩოპმა.

ღამით წვიმა არ მოსულა და, გათენდა თუ არა, ნევსკაიამ ჭალადიდს წავლა გადაწყვიტა. ვიდრე დელგმა დაიწყებოდეს, დაბრუნებასაც მოვასწრებო.

ბრინჯაოს ბიუსტი

გაბუნია ჰიპოკრატეს კითხულობდა. თავისუფალ დროს მეცნიერულ შრომასა წერდა კოლხიდაზე და ამიტომ ახალი დროის გეოგრაფოსებთან ერთად სტრაბონს, ჰიპოკრატეს და ჰომეროსსაც სწავლობდა.

გაბუნია ირწმუნებოდა, ტროადის ომისდროინდელი ამინდის რუკა „ილიადაში“ ბრწყინვალედ არის დამუშავებულიო. ჰომეროსი ყველაფერს ზუსტად აღწერს, რა დროს რა ქარი ჰქროდა, არც ღრუბელთა მოძრაობა გამოჰპარვიაო. ერთ-ერთმა ჩვენმა მეცნიერმა ჰომეროსის მიხედვით იმ შორეული დღეების ატმოსფერული წნევის ცნობაც კი შეადგინა და გა-

მოარკვია, რომ არქიპელაგზე თურმე გადაუვლია ციკლონს, რომელსაც აქეველთა ხომალდები დაუმსხვრევიაო.

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის მდინარე ფაზისი (რიონი), — კითხულობდა გაბუნია, — არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით. მთელი წლის განმავლობაში იქ კოკისპირული წვიმები იცის. იქაური მკვიდრნი ჭაობებში ცხოვრობენ. წყალში იშენებენ სახლებს ხისას ანუ წნელისას. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უყრიათ მთლიანი ხისაგან ამოხვეწილი ნავები და ამ ნავებით უვლიან გარშემო თავიანთ ადგილ-მამულებს. ხმარობენ წვიმის წყალს, დუბელასა და სიცხისაგან აშმორებულს. ამ ქვეყანაში, ზამთარ-ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრივ. იცის ზენა ქარი, მაგრამ ხშირად ქვენა ქარიც უბერავს, ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო. ამ ქარს „კენხრონს“ ეტყვიან“.

— „ხმარობენ წვიმის წყალს, დუბელასა და სიცხისაგან აშმორებულს“, — გაიმეორა გაბუნიამ და შეიკურთხა. ამ წყლის სოდის გემოს ახლაც გრძნობდა. დარწმუნებული იყო, რომ ციებაც ამ წყალმა შეჰყარა.

გაბუნია წამოდგა და ფანჯარა გამოაღო. დახუთულ ჰაერში ვანილის სუნი იდგა. წარღვნის წინ ყოველთვის ასე იცოდა ხოლმე.

„ცოტაც და დაიქუხებს“, — გაიფიქრა გაბუნიამ და წიგნი გადაფურცლა.

ოთახში სამუშაოთა მწარმოებელი მიხა შემოვიდა. ის მოუსვენრად აცეცებდა თვალებს და დაბებკილ ჩოხა-ახალუხზე ხელს ისვამდა. მერე ბარომეტრთან მივიდა, მინას ყვითე-

ლი ფრჩხილი მიუკაკუნა, თვალები მოწკურა და ცოტახანს გაოგნებულივით იდგა: ბარომეტრი დაბლა-დაბლა იწევდა.

— წარღვნა წამოვა. სუნი გესმის? — თქვა მიხამ და კბილები გამოაჩინა. ხასიათი ჰქონდა ასეთი, რაც უნდა მძიმე რამ განეცადა, მაინც გაიღიმებდა. ალბათ ამიტომაც ამბობდნენ, ვაჟკაციაო.

— მთით დაქანებულ წყალს რა შეაჩერებს, შალიკო? ყველაფერს წალეკავს.

გაბუნია ხმას არ იღებდა.

— ის ქერა ინგლისელი ჯერაც არ ჩამოსულა, — თქვა მიხამ და ბარომეტრის მინაში თავისთავს დააცქერდა. — ამ ოხერმა ციებამ იადონივით გამაყვითლა.

გაბუნიამ თავი ასწია. ჩანგრეული არხი მოაგონდა. უექსკავატოროდ ვერაფერს გახდნენ. ექსკავატორს კი ერთი მთავარი ნაწილი აკლდა. იმ ნაწილის მოსატანად გაგზავნეს სიმა ქალაქში, მაგრამ ჩამოსვლა აღარ იღირსა.

— მარტო ციებიანმა ხალხმა აბა რა უნდა ქნას? — წაიდუდუნა მიხამ და ოფლი მოიწმინდა.

ჰაერი აბანოს მძიმე ორთქლივით აწვა ქვეყანას. მიხა ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა.

— რაღაცა უნდა ვიღონოთ, — უპასუხა გაბუნიამ და შუბლი მოისრისა.

სიცხითა და მიაზმით გათანგულ ტყეებს გალურსული, ტყვიისფერი ცა გუმბათივით დასწოლოდა თავს.

ჰაერს მოახლოებული წარღვნის სუნი გაუჯდა.

— მაშ ასე. — გაბუნიამ ჰიპოკრატეს წიგნის ყდაზე ფანქრით ჩვეულებისამებრ ხელდახელ გამოიანგარიშა. — ორ

საათში წარღვნა პირს მოიხსნის. სამ საათში მთებიდანაც ჩამოვა წყალი. იქსკავატორის ის ნაწილი სამ საათში როგორმე უნდა დავამზადოთ ჩვენს საველე სახელოსნოში. დამზადება ჯანდაბას, იქნება მოვასწროთ კიდეც, მაგრამ რისგან უნდა დავამზადოთ? ბრინჯაოა საჭირო.

გაბუნიას ტანში ამცივნებდა. თავშიც თითქოს კოლოები უზუზუნებდნენ. ნეტავი ერთი დამაწვინა და თბილ ლოგინში ჩამათბუნაო, ფიქრობდა გაბუნია.

ქარმა დაუბერა, დაერია ტყეებს, აშრიალ-ააფორიაქა და მერე ისევ სამარისებური დუმილი ჩამოვარდა.

— ყველანი იმ ჩანგრეულ ადგილთან გაიყვანე, მეხუთე პალობზე! — ხრინწიანი ხმით თქვა გაბუნიამ. — დიდიან-პატარიანად, ქალებიც წამოვიდნენ, არა უშავსრა! თანაც ბრინჯაო უნდა იშოვნო როგორმე.

— კარგი! — მიხამ თავი დაიქნია, — ჭალადიდამდე შვიდი ვერსია, იქ, სადგურში, ერთი ბრინჯაოს ზარი მეგულება. თუ იტყვი, წავალ, ისე ჩამოვხსნი, კაციშვილი ვერ გაიგებს.

— სისულელეა! — ხელი ჩაიქნია გაბუნიამ. — უნდა ვიჩქაროთ! ყველანი მეხუთე პალობზე გაიყვანენ. აბა, ჰა!

მიხა გარეთ გავარდა, ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ გაბუნიას საგანგაშო რეკვის ხმა და ყვირილი შემოესმა. მიხა რკინის კეტს ურტყამდა ბუფერს, ზარის ნაცვლად რომ ხმარობდნენ ხოლმე, და ცივი ხმით ყვიროდა:

— ყველანი მეხუთე პალობზე! მეხუთე პალობზე!

თავზე ტომარაწამოხურული მუშები თვალისდახამხამებაში ვამოცვივდნენ ფიცრულებიდან და არხისაკენ მოჰკურცხლეს. ჩაწნულ-ჩახლართულ ტყეში სირბილი ეგრე ადვილი როდია—

ხან რას წამოჰკრავდნენ ფეხს და ხან რას, ნიჩბებს კი წკრიალი გაჰქონდათ.

გაბუნიამ ენაზე ქინაქინა დაიყარა, დააყოლა წყალი და ბრეზენტის გახევებული საწვიმარი მძიმე-მძიმედ წამოისხა. გრძნობდა, რომ სახე უხურდა.

მერე ფანჯარაში გაიხედა. ღრუბელი შავი კედელივით მოიწევდა დასავლეთის მხრიდან და უკვე აჰფარებოდა მზეს. ღრუბლის ცალი მხარე ხრჩოლავდა. ბოლი მწვირიანი ბამბის ნაგლეჯებსა ჰგავდა. ტყეები სდუმდნენ. გაბუნიას თავი უბრუოდა, საფეთქლები სტეხდა.

„ალბათ ქინაქინამ მიყო!“ — გაიფიქრა გაბუნიამ და შუბლი მოისრისა, თითქოს აბეზარი აზრი რამ უნდა მოიშოროსო.

„რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ეს ხალხი საქმის ნახევარსაც ვერ აუვა. მარტო მიხამაც რა ქნას. აბაშიძე გულიასთან და მუშებთან ერთად ნედოარდის ძველ არხზე წავიდა, ჭაობებს იკვლევს. წარღვნამ თუ მოუსწრო, ცუდად იქნება საქმე“.

საფიქრალი ნამდვილად ჰქონდა. მიხას ამარა ბევრს ვერაფერს გახდებოდა. მიხა მხდალი, ლაჩარი კაცი იყო. სახელი კი არ აკლდა. ომის დროს გერმანელთა კრეისერ „გებენისათვის“ დაჟანგებული „სმიტითა და ვესონით“ აეტეხა სროლა. „გებენი“ ნავსადგურს მისდგომია და ცეცხლი დაუშენია. იმ ბაზარში, სადაც მიხა თამბაქოთი ვაჭრობდა, ალიაქოთი ატეხილა. მიხას რევოლვერი ამოუღია და შვიდჯერ უსვრია ჯავშნიანი კრეისერისათვის. ტყვიებს კრეისერამდე არც მიუღწევია: შორს მდგარა. მიხა შიშს აუტანია, თავისი ჭკუით კი ვითომ ქალაქს იცავდა.

მიხას რომ გაუსვრია, კრეისერს სრულიად შემთხვევით

შეუწყვეტია ცეცხლი და წასულა. იმ ამბის მერე მთელმა ფოთმა ვაჟკაცად დასახა მიხა, მაგრამ გაბუნიამ იცოდა, რა ვაჟკაციც იყო. ნდობა არ შეიძლებოდა. წავალ, ზარს მოვიპარავო, ისიც იმიტომ თქვა, რომ ტყიდან უნდოდა გაქცეულიყო. იქნებ წარღვნამ მართლა წალეკოს სადგური, წავიდე, სადმე გავასწროო.

ის ოხერი ქერა ინგლისელიც ალბათ მუცელს გადაჰყვა ქალაქში და ექსკავატორის სათადარიგო ნაწილი დაავიწყდა.

„რა ამბავია ჩემს თავს? — გაბუნიას შეამცივნა. მოეჩვენა, რომ რაც ასე იჯდა, ერთმა საათმა განვლო, თუმცა ორ წუთსაც არ გაევლო. — ავდგე, წავიდე სახელოსნოში, იქნება ცოტა ბრინჯაოც ვიშოვნო“.

ფეხის თითებიდან წამოსული ტკივილი ახლა ხერხემალში გაუჯდა. გაბუნია ბარბაცით გავიდა პარმაღზე.

დასავლეთს თვალი მოავლო. ტყეებს უკუნი დასწოლოდა თავზე. სადღაც შორს ყრუდ გუგუნებდა მიწა და თითქოს თრთოდა კიდეც. იტყვი, კოლხიდისკენ ერთად ათი ოკეანე დაიძრაო, ისეთი ავბედითი ხმაური იდგა. თოვლივით მოქათქათე ელვა ჭაობებში ჩაიკლაკნა და ჩაილეწა.

სწრაფად ჩამობნელდა, მაგრამ არცერთ ფიცრულში სინათლე არ აციმციმებულა: მუშები არხზე იყვნენ.

გაბუნია საველე სახელოსნოსკენ წადგა. უცებ ძახილი შემოესმა და მიიხედა. ბინდი სულ უფრო ხშირდებოდა. ქარი აღმა-დაღმა დააფრიალებდა რუხი ღრუბლების ფთილებსა და ხმელ ფოთლებს.

გაბუნიამ შუბლი მოიჭმუხნა და ისე დაკვირდა. ნევსკაია იცნო. ტყე-ტყე სიარულში ჩექმები დაჰფხაჭნოდა, საწვიმარი შემოჰხეოდა.

— მეშინოდა, სადგურიდან ვეღარ ავალ-მეთქი, — თქვა ნევსკაიამ, თან სუნთქვა ეკვროდა. — იქით აღარ მინდა გავიხედო, — ცოტა ხანს ღრუბელს მიაშტერა თვალი, — გული მიკვდება.

გაბუნიამ უნდომანდოდ გაიღიმა.

— ჩემთან წადით. აგერ იმ ფიცრულში, ანტენა რომ ადგას.

— გაუციებიხარ, — თქვა ნევსკაიამ. — რა მოხდა, ხალხი სადღაა?

— ყველანი არხზე არიან. ექსკავატორს ვერ ვამუშავებთ. აღარც ნაწილები ჩანს და აღარც აბუეტი სიმა, ქალაქიდან ჯერაც არ დაბრუნებულა. მიბრძანდით, მე ახლავე მოვალ. ცოტა უდრო-უდროოდ კი ჩამოხვედით.

გაბუნიამ შეამჩნია, რომ ნევსკაია შეკრთა, ეწყინა, გული დასწყდა — ასეთ შეხვედრას არ ელოდა.

— წადით ფიცრულში! — თითქმის დაუყვირა. — დამელოდეთ, ახლავე მოვალ.

ნევსკაიას ხმა არ ამოუღია, მიბრუნდა და ფიცრულისკენ წავიდა. წარბები შეეკრა, ტუჩები უთრთოდა, ვითომ რა, მარტო მაგ აყლაყუდამ იცის ბარისა და წერაქვის დაკვრა? აბა. გამოვიდნენ და ნახავენ რომელს დაუდებს ტოლს. რაინდებად მოაქვთ თავი!

ქალი ფიცრულთან შედგა და არხისკენ გაიხედა, უსიერ ტყეში მდინარესავით რომ შეჭრილიყო, და ორმოცდაათ კი-

ლომეტრზე მიიკლაკნებოდა. არხის წყალში მოქუფრული ცა და შავი ღრუბლები არეკლილიყვნენ.

ანაზდად, უცხო რამ ფრინველმა ისე ახლო ჩაუქროლა ნევსკაიას, რომ კინაღამ ფრთა გაჰკრა. ფრინველი წარღვნის შიშით მთისკენ მიფრინავდა.

ნევსკაია ფიცრულში შევიდა. გაბუნიას ოთახში სპირტის ჭრაქი ენთო და ცისფერი შუქი იდგა. ქალმა თვალი მოჰკრა წიგნებს, ბარომეტრებს, მძიმე საჭაობე ჩექმებს, რუკებსა და ლენინის პატარა ბიუსტს, გაურანდავ ხის თაროზე რომ იდგა.

ქარმა ფანჯრები მოაჯახუნა. ტყეები შეირხნენ და ყრუდ აბუხუნდნენ. ქარს უძალიანდებოდნენ, არ უნდოდათ მიწაზე გართხმულიყვნენ.

კარი გაბუნიამ შემოაღო, სახეზე მიწისფერი ედო, თვალები მინასავით უბრჭყვიალებდნენ.

— ყური დამიგდეთ, — სწრაფად და გაუგებრად თქვა გაბუნიამ, — მარტო ასმა მუშამ... დიახ, მხოლოდ ასმა კაცმა, და ჩვენ და თქვენ უნდა გადავარჩინოთ კოლხიდის მთელი ეს ნაწილი. ირგვლივ, ათი კილომეტრის მანძილზე, შეიძლება უფრო მეტზეც, კაცის ჭაჭანება არ არის... ექსკავატორი არ მუშაობს... რა ვუყოთ, მარტო ჩვენი ხელების ამარა დავრჩით. არც ბრინჯაოა. ვეღარც ინგლისელი მატროსი მოგვისწრებს, ათ წუთში მერეხი წამოუშენს. გავუძლებთ?

— რომ არ გაციებდეთ, ალბათ ამას არც შემეკითხებოდით, — ეშმაკურად უპასუხა ნევსკაიამ. — გულისგასახეთქი არაფერია. ყველაფერს ეშველება.

გაბუნიამ ბრაზიანად გაიცინა.

— გულისგასახეთქი არაფერია? — მიყვარს თქვენი რიხი. ნამდვილად გეუბნებით, მიყვარს!.. აბა, მაშ წავიდეთ!

ელვამ გაანათა და ფიცრის თაროზე გაბუნიამ ლენინის ბიუსტს მოჰკრა თვალი. ლენინს ოდნავ მოეჭუტა თვალები და იღიმებოდა.

გაბუნიას ხელი მაგრად ჩაეჭიდა მაგიდისათვის და ისე იდგა. თვალთ უბნელდებოდა.

— ბრინჯაო, — ნელა, ხავილით აღმოხდა გაბუნიას. — რაღა სხვაგან დავეძებდი, აქ არ ყოფილა!

ბიუსტი ხელში აიღო და გაიცინა. ნევსკაია შეშფოთებული უცქეროდა გაბუნიას, ალბათ ჭკუაზე შეიშალა უბედურიო.

გარეთ ხშირი ბინდი იწვა და წვეთებს რაკარუკი გაჰქონდათ. წარღვნა თითქოს ფეხს ითრევდა.

— გადადნობას, მასრის ჩამოსხმასა და შემოჩარხვას, სულ ცოტა, სამი საათი მაინც უნდა. სხვა გზა არ არის, — ხმადაბლა თქვა გაბუნიამ, თან ბიუსტს ათვალიერებდა. — ჩემს ადგილას ისიც ამასვე იზამდა.

— ვინ „ის?“ — ჰკითხა ნევსკაიამ.

გაბუნიას არაფერი უპასუხნია. სწრაფად გავიდა გარეთ, საველე სახელოსნოში შერგო თავი და ბრინჯაო გავარვარებულ ქურაში ჩააგდო.

ორმა მეგრელმა მუშამ პირქუშად შეხედა გაბუნიას, არ მოეწონათ, განზე გადგნენ. ყველაფერი დაინახეს, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, ორივენი მოღუშულიყვნენ.

გაბუნიამ მოკლედ მოუჭრა, თვალის დახამხამებაში მასრა დაამზადეთ და რადაც უნდა დაგიჯდეთ, ექსკავატორთან მიიტანეთო.

— კარგი! — ძველმა მჭედელმა თავი დაუქნია გაბუნიას. — ფიქრი ნუ გაქვს... მშვიდად იყავი!

თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, ცამ პირი მოიხსნა. ოც ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა, მარტო წარღვნის გუგუნი ისმოდა.

გაბუნია ძლივს მიიკვლევდა გზას თავისი ფიცრულისაკენ. ფეხი უსხლტებოდა, იგინებოდა. წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ ქვეყანა ყირამალა დადგა და სანამ ცადასული შავი ზღვა ჩამოიცლებოდა, ორმოც დღესა და ორმოც ღამეს უნდა გაევლო.

ნევსკაია გულისფანცქალით ელოდა გაბუნიას. წარღვნა ცრახუნებდა სახურავს და ფანჯრის მინებზე მელნისფერი წყალი წურწურებდა.

ნევსკაიამ ნავთის ლამპა აანთო. სწორედ ამ დროს დარეკა ტელეფონმაც.

ყურმილში აღელვებული ქაცის ხმა ისმოდა:

— ქვალონიდან გელაპარაკებით! მთებიდან წყალი დაიძრა, შალიკო. გყავთ თუ არა ხალხი მეხუთე პალობზე?

— გვყავს, გვყავს! — ჩასძახა ნევსკაიამ.

ტელეფონი დადუმდა, პასუხი აღარავის გაუცია.

ნევსკაიამ ჩამოჰკიდა ყურმილი. და მიხვდა. — გაბუნიასთან და იმ ას მუშასთან ერთად მოწყვეტილი იყო სამყაროს. ვინმე მშველელი გაგვიჩნდებაო, ამის იმედი ტყუილად ექნებოდათ.

წარღვნა არ ცხრებოდა, სულ უფრო დაბალ ნოტს იღებდა, ავად შმაგდებოდა. ღრუბლებს ხანდახან ელვის ათინათი

გადაჰკრავდა ხოლმე და გრუხუნებდა ხევებში ჩაჩეხილი, მთებზე გადამსხვრეული ჭექა-ქუხილი.

ნახევარ საათში ნევსკაია და გაბუნია უკვე მეხუთე პალობზე იყვნენ.

უკუნში წარღვნის შხუილი და მუშების ხორხისმიერი ძახილი ისმოდა. ფარნები არა ჰქონდათ. ერთადერთი რაც იყო, ექსკავატორზე ენთო შუქნიშანი, მაგრამ ექსკავატორი არ მუშაობდა.

მუშები ალალბედზე სთხრიდნენ. ყველანი ერთად ქშინავდნენ, იფურთხებოდნენ და ისე გამწარებული იქნევდნენ ნიჩბებს, გეგონება ომში არიან, ცეცხლი დაუშინეს და მიწაში ჩაძრომას ლამობენო. ირგვლივ თითქოს აღარც მიწა იყო, აღარც ცა და ჰაერი, აღარც ტყეები, მხოლოდ პირველყოფილი ქაოსი თუხთუხებდა.

გაბუნიამ ჯიბის ფარანი აანთო და არხში ჩარჭობილ ლარტყას მიაშუქა. წყალს ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხეები მიჰქონდა.

— მიხა!—გასძახა გაბუნიამ.—რამდენს მატულობს წყალი?

— წუთში ორ-ორ სანტიმეტრს, — უკუნიდან უპასუხა მიხამ და არხის ნაპირს ჩაბჟუტული ფარანი მიანათა.

მიწაყრილის წვერამდე წყალს ორი მეტრი აკლდა.

გაბუნიამ ივარაუდა, ნახევარ საათში წყალი ნაპირებს გადაევლებოდა, გადარეცხავდა მიწაყრილს, მიაწყდებოდა ტყეებს და ლაფიან ტბად აქცევდა კოლხიდის მთელ ამ მხარეს, ხორგა რომ ერქვა.

გაბუნია სიცივისაგან აძაგძაგდა. საწვიმრიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, ჩექმებს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდათ. თავი-

დან კეპი მოიძრო და ტალახში ისროლა: წყლით გაჟღენთილი ისე დამძიმდა, იტყოდი თუჯისაო.

ნევსკაიაც იმ მუშებივით იქნევდა ნიჩაბს, სახეზე თმა ჩამოეშლებოდა ხოლმე და სუნთქვას უშლიდა. თავზე თიხიანი ხელი რომ გადაისვა, გალიპული თმა შედგა და თითქოს შვება იგრძნო.

ნევსკაიას ყველაფერი ერთად ესმოდა — გულამოვარდნილი მუშების ქშენაც, ნიჩბების ხმაურიც, სველი მიწის ზღართანის ხმაც, მიხას ძახილიცა და გაბუნიას სწრაფი, ხორხისმიერი ლაპარაკიც. ხანდახან ქარი და წარღვნა ისე დაეტაკებოდნენ ხოლმე ზურგში, რომ ნევსკაია თავს ვეღარ იმაგრებდა.

მიწაყრილი თანდათან ჩამოირეცხა, შრომა უსარგებლო ჩანდა.

მოულოდნელად წყალი ბოროტად აშიშინდა არხში. გაბუნიამ კვლავ ლარტყას მიანათა. ლარტყის ირგვლივ წყალს ქაფი მოეგდო და თვალდათვალ მატულობდა.

— ხეებმა ჩახერგეს! — დაიყვირა გაბუნიამ. — მიწა ჩაიმზღვრა.

მერე ბაიდასკენ გაიქცა. თიხაში, როგორც ყინულზე, ისე გასრიალდა, ცქვიტად ჩახტა ნავში. ინჟინერს მიხა და რამდენიმე მუშაც მიჰყვა.

— ცულები! — გასძახა გაბუნიამ.

მეგრელები ლომებივით მუშაობდნენ. ბაიდა ადგილს მოსწყდა, დაბროწიალდა და უკუნში შთაინთქა.

— ნეტავი მოასწრონ და ამოწმინდონ! ნეტავი მოასწრონ, — დუდუნებდა ნევსკაია და თან მიწას გვერდზე ჰყრიდა.

წყალი ბუშტებით ივსებოდა. შორს ნაგვიანევი ელვა გაკრთა.

ნევსკაიამ თვალი მოჰკრა ნაცრისფერ ზღვას, ცით რომ იღვრებოდა, ადამიანებს, თიხაში რომ იყვნენ ამოგანგლულნი და კოჭამდე წყალში იდგნენ, ცოფიან ტალღებს, ცოტაც და მიწაყრილს თავს რომ გადაევლებოდნენ. ზოგიერთ ადგილას ისე მოეჩვენა, რომ წყალს უკვე გადაევლო მიწაყრილისათვის.

ზღვით წამოსული ჭექა-ქუხილი მთებს დაეჯახა და ცა ერთიანად შეაზანზარა. წარღვნამ იმატა. თიხას შავმა ჩრდილმა გადაუარა, ფეხებში სწვდა ადამიანებს და დააბარგანავა. პატარა ბიჭმა, ნევსკაიას გვერდით რომ იდგა, ნიჩაბი დააგდო და აქვითინდა.

— დავიღუპეთ! აღარაფერი გვიშველის! — ყვიროდა ვიღაცა.

ქვევით, არხზე, ცულების ხშირი კაკუნი ისმოდა: გაბუნია და მუშები ჩამზღვრეულ ადგილს სწმენდნენ.

— რა მოხდა? — დაიძახა ნევსკაიამ.

— კაცი ჩავარდა წყალში, — რუსულად უპასუხა ხმამ. — იმუშავე, ქალო, რა გალაპარაკებს!

თითქოს სულს ებრძვიან, ყველანი ერთიანად იღუპებიანო, ისეთი ხროტინი იდგა ირგვლივ. მიწა წებოსავით ეკვროდა ნიჩაბს და ბარს. ნევსკაიას თავბრუ ეხვეოდა.

მერე გაბუნიას ხმა გაიგონა. ზევით ამოსულიყო, მუშებს ამშვიდებდა, ხუმრობდა კიდეც. ჩაწოლილი მიწა გაწმინდეს, მაგრამ წყალს დაკლებისა ბევრი არაფერი ეტყობოდა.

გაბუნია მიწაყრილზე შედგა. მიწაყრილის წვერამდე ოცი

სანტიმეტრიღა აკლდა წყალს. გაბუნიამ ყური მიუგდო, წარღვნა გადაღებას აპირებს თუ არაო. მაგრამ ღვარცოფი კვლავ წეღანდებურად შხუოდა.

გაბუნიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მიწაყრილზე და ნახრამს წააწყდა. იმ ადგილას წყალი ჟონავდა. აი სწორედ აქ გადმოხეთქავსო, მთელი არსებით იგრძნო გაბუნიამ და მიხას გასძახა:

— აქეთ, მიხა, აქეთ წამოიყვანე ხალხი!

მიხამ ჰაერში გაისროლა, რაც განგაშის ნიშნად იყო დათქმული. ხალხი გაბუნიასკენ გამოიქცა, თან ნიჩბებს ისე ურტყამდნენ ლიანებს, გეგონება მუნჯ ძაღლებს იგერიებენო.

გაბუნიამ პირი იბრუნა უკუნში ჩაძირულ ზღვისკენ, საიდანაც მერეხი სცემდა, კბილები გააკრაჭუნა და მუშტიც კი მოუღერა წარღვნას.

— გადაიღებ, ისე ლამაზად გადაიღებ, რომ მზე მაღლა იქნება! — ჩუმად თქვა გაბუნიამ და გაიცინა. მალარიამ თავგზა აუბნია, ის კი არა, ხანდახან ბოდვასაც დააწყებინებდა ხოლმე.

მუშები ჩქარა-ჩქარა ბელტავდნენ ნახრამს. მიხამ კვლავ გაისროლა გაბუნიასაგან სულ რამდენიმე ნაბიჯზე. მეორე ხასრამიც ეპოვნა, იქიდან უფრო მეტი წყალი ჟონავდა.

— ყველაფერი ტყუილია! — ჩაილაპარაკა გაბუნიამ და ფეხი ძლივს ამოაძრო თიხიდან.

სიარული აღარ შეეძლო, დაბარბაცდა და ტლაპოში ჩაჯდა, მაგრამ მოასწრო და მიწას ხელები დააყრდნო. ხელები განგან მიცურავდნენ. ერთი კი დააპირა, ავიქნევ და როგორმე ავდგებიო, მაგრამ ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ. რა უნდა

ექნა, დაწვა მიწაზე და შეიკურთხა. ციება ისე აძაგძაგებდა და აბროწიალებდა, როგორც არხის წყალი დამპალ კუნძს.

— ვაჟკაცები ყოფილხართ... ციებიანო ბიჭებო... — წაიჩურჩულა გაბუნიამ და თვალები დახუჭა. — მიხას არ უღალატნია...

მესამედ რომ გაისროლეს, გაბუნიამ ისიც გაიგო. მერე ვიღაცამ ფეხი წაჰკრა და შეჰყვირა. ალბათ ნევსკაიას ქალიაო, იფიქრა გაბუნიამ, თან ხროტინებდა და ტალახს აფურთხებდა პირიდან. ვიღაცამ მხრებში მოჰკიდა ხელები და წამოსვა. ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ ღრიანცელი შემოესმა. მიხვდა. ალბათ, ხალხი გარბისო, ისეთი ჭყაპუნის ხმა იდგა. ხომ ვთქვი, წყალს გადმოუხეთქია, გულგრილად ფიქრობდა გაბუნია, ცოტაც და აქაც ჩამოაღწევს, ლაფიანი წყალი წამლეკავსო.

თვალები რომ გაახილა, შეცბა. თვალისმომჭრელი თეთრი ვარსკვლავი დაინახა, მალე გრუხუნიც შემოესმა. ვარსკვლავი ტყიდან ეამოცურდა.

შუქნიშანი!

გაბუნია წამოდგა. არც კი შეუმჩნევია, რომ ვიღაცა შესდგომოდა მხრებში და ფრთხილად ეჭირა. მარტო ვარსკვლავს უცქეროდა და ტიროდა. არა, ცრემლისა არ ერცხვინებოდა. მალარიამ და ამ გიჟურმა ღამემ არაქათი გამოაცალეს. ან არადა ცრემლს ვინ შეამჩნევდა მთლად თიხით მოგანგლულ სახეზე!

ექსკავატორს მუხლუხებზე თიხის მთა აეკრა, თუხთუხებდა, მძიმე ბატარეასავით გრუხუნებდა და სწრაფად მიცოცავდა მეხუთე პალობისაკენ. ანძასავით აშვერილ ისარზე თვა-

ლისმომჭრელი შუქნიშანი ეკიდა. ამოუშვებდა ხოლმე ორთქლს და წივილ-კივილით მიიწევდა წინ.

მუშები განზე გადგნენ, ექსკავატორმა თავზე გადააატარა თიხით სავსე უზარმაზარი ჩამჩა, მძიმედ ჩაყარა საგუბარში და ნახრამი ხელად ამოავსო.

ხალხის ერთიანმა შეძახილმა და ყიჟინამ თითქოს შეაჩერა წარღვნა.

გაბუნია მკაფიოდ ხედავდა მაღლა აწეულ ხელებს, მოთხუპნილ სახეებს, დაფხრეწილ საწვიმრებს. ისიც დაინახა, მეგრელმა ბერიკაცმა ათრთოლებული ხელები მანქანისაკენ რომ გაიწოდა. მერე წელამდე შიშველ სიმასაც მოჰკრა თვალი. მკერდზე, სადაც სამი ნაიარევი ჰქონდა დაჭდეული, ახალი ნაჭრილობევიც ეტყობოდა. სიმა ძლივძლივობით ატრიალებდა სახელურებს და სახითაც ძალიან გამოცვლილი ჩანდა: ყბები კოპებივით ამოსხდომოდნენ, თვალებს კი, იტყვი ჭუჭრუტანებიდან იცქირებაო, იმნაირად აცეცებდა.

გაბუნიამ გაიღიმა და სიწყნარისა თუ სიმშვიდის ხმა ჩაესმა. სიწყნარე კი მანამ იგრძნო, სანამ მიხვდებოდა, რაც მოხდა.

დელგმამ მოულოდნელად გადაიღო. განბანილი ტყეების ღრმა დუმილი გაწოლილიყო ირგვლივ.

გაბუნია შეტორტმანდა და ცნობა წაერთვა.

უკანასკნელი წყალდიდობა

პორტის რადიოსადგურის პატარა ოთახში თეთრი სინათლე ენთო. რადიო ჭრიჭინობელასავით ჭრიჭინებდა. მოღუშული რადისტი, მხრებს რომ ათამაშებდა წარამარა, ბათუმის ნავსადგურის უფროსს დეპეშას გადასცემდა:

„რიონი და კაპარჭინა ნაპირებიდან გადმოვიდნენ. მთელი ის წყალი ქალაქს წალეკვით ემუქრება. ჯერჯერობით მარტო ჩვენი ნავსადგური ასცდა წყალდიდობის ზონას. წყალი მატულობს, ქუჩებში ერთ მეტრზეა უკვე. სასწრაფოდ გამოგზავნეთ ხომალდები და მცურავი საშუალებანი მცხოვრებთა გადასარჩენად“.

სიმამ მხრები აიჩეჩა. გარეთ ქარიშხალი ჰქროდა თერთმეტი ბალის ძალისა. შავი ტალღები ჯებირებს გადაევლებოდნენ ხოლმე და ნავსადგურში ღუზაჩაშვებულ ხომალდებს არწევდნენ. მერეხი, იტყვი ტყვიამფრქვევის ცეცხლიაო, ისე სცემდა ნავსადგურის საწყობებს, ნაოჭიანი თუნუქი რომ ჰქონდათ აკრული.

ჩოპი იღუშებოდა. ავბედითი დღე გათენდა! ქრისტეფორიდი დილიდანვე სადღაც გაქრა და ნევსკაიას პატარა გოგოელოჩკა მარტო იყო. ჩოპმა ზღაპრების წიგნი გადმოუღო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ელოჩკა არაფერს არ წაიკითხავდა, მალე მოიწყენდა და ატირდებოდა. ამ ამბისა ჩოპს წინასწარ ეშინოდა. ან როგორ არ შეშინდებოდა, როცა გარეთ ქვეყანა იქცეოდა: ის კი არა, ტალღები ლამის ოთახში შეჭრილიყვნენ.

„ცოტა დამაცადე, ჩამივარდები ხელში, შენს ჯავრს კი ამოვიყრი,“ — ფიქრობდა ჩოპი ბერძნის ბიჭზე და ვეღარ ისვენებდა. მართლა თარსი დღე გაუთენდა! რადიოსადგურისკენ რომ მიდიოდა, ორჯერ კინაღამ გველს დაადგა ფეხი. წყალდიდობისაგან შეშინებული გველები ნავსადგურში მიიწევდნენ და მარგანეცი რომ ეყარა, იქ იმალებოდნენ.

ქვეწარმავალი, მეტადრე გველი და ჯოჯო სძულდა ჩოპს.

დამარილებულ სალამურა თევზსაც კი ვერ იტანდა დასანახავად. ამას ვიღა ჩიოდა, მალე, ალბათ, გარეული ტახებიც ნავსადგურს მოაწყდებოდნენ!

რადისტმა დეპეშის გადაცემა დაამთავრა და ჰკითხა:

— როგორ არის საქმე, უფროსო?

— არა უშავს რა, — უპასუხა ჩოპმა, — ავიტანთ.

ჩოპს მესამე უსიამოვნებაც შეემთხვა. შუადღისას მანდარინით სავსე ორჩხომელი კლდეს შეემსხვრა. ორჩხომელში მარტო ერთი ბერიკაცი იჯდა. ის, როგორც იყო, გადაარჩინეს. გულარჯალმა ბერიკაცმა თავპირი წასჭამა ჩოპს, გინდა თუ არა, კატარღა გაგზავნე და, რაც მანდარინი დამეპნა, ააკრეფინეო. მისადგომი მანდარინით იყო სავსე, პაწაწინა ყვითელი ბურთებივით დაცურავდნენ. თურქი გულზე მჯიღს იკრავდა, არ შეგარჩენ, პასუხს სასამართლოში გაგებინებო. ჩოპს აინუნშიაც არ მოსდიოდა ბერიკაცის დადღანი.

ბერძენ მეზღვაურებს, რომელთა ხომალდი მცურავ ტრაქტირსა ჰგავდა — ისე ყარდა ცხვრის ხორცისა და ყავის სუნით, — ვედროსთვის გრძელი თოკი მოებათ და ზღვაში მანდარინებს იჭერდნენ. ხომალდი ირწეოდა, ტორტმანებდა და აჩენდა თავის ყვითელ, ჩექმისაგან გადახეხილ გემბანს.

ჩოპს თვალში არ მოსდიოდა ბერძნული ხომალდები. ჯერ ერთი იმიტომ რომ, დაბინძურებულიაო, ამბობდა, და თანაც ბერძენი მეზღვაურები ჭყატანა ფერს ეტრფიანო. ცისფერ მილზე ვეებერთელა ალისფერი ვარდი ან ვარდის მთელი თაიგული იყო მიდღლაბნილი. საერთოდ, იშვიათია ისეთი ბერძნული გემი, რომელსაც ათასნაირი ზიზილ-პიპილითა და

კუპიდონებით არ ჰქონდეს მილი მოხატული. აი ამას ვერ იტანდა ჩოპი. ეგენი მეზღვაურები კი არა, მელიმონეები არიანო, იტყოდა ხოლმე.

ტელეფონმა დარეკა თუ არა, ჩოპი ყურმილს წასწვდა. შავი ქვის მისადგომიდან იტყობინებოდნენ, რომ ჯებირის ბოლოს, სადაც ცოფიანი კატებივით დახტოდნენ ტალღები, ციმციმა ჩამქრალიყო.

ჩოპმა შავი მაზარა ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ესღა აკლდა! ღამით, ვინ იცის, ქარიშხლისაგან დამფრთხალი რომელი გემი მისდგომოდა ნავსადგურს თავის შესაფარებლად; მაგრამ ციმციმა თუ არ იქნებოდა, გზას ვერ გაიკვლევდა, კბოდეს წააწყდებოდა.

ციმციმას შეკეთება კი არც ეგრე ადვილი იყო: ტალღა ჯებირამდეც არ მიუშვებდა კატარღას — ერთ წამში ხუთ ტონა წყალს მაინც ჩაასხამდა შიგ.

ჩოპი ნავსაყუდელის ბოლომდე მივიდა. ციმციმა ენთო. ჩოპი დიდხანს უმზერდა. ციმციმა კვლავ ჩაქრა და ხუთ წუთს აღარ ანთებულა. ანთებით კი, ყოველ ათ წამში ერთხელ უნდა ანთებულიყო.

მერე ციმციმა კვლავ აციმციმდა, როგორც წესი და რიგია ისე, თუმცა მალე ჩაქრა. რაღაცაში იყო საქმე!

ჩოპმა დურბინდი მოიმარჯვა და კაცს მოჰკრა თვალი. ის კაცი ციმციმას აივანზე იდგა.

ჩოპს სისხლი ყელში მოაწვა, ყველაფერი აირ-დაირიაო! მაინც როგორ უნდა მომხვდარიყო ის კაცი ციმციმაზე? მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ეფიქრა ადამიანს: ალბათ ჯებირს გაჰყვა, რაღაცამ გაიტაცა („ძალიან საინტერესოა, — გაიფიქრა

ჩოპმა, — რამ უნდა მოხიბლოს ჯებირზე შემდგარი კაცი ქარიშხლის დროს?“) და ვერც შენიშნა როგორ წამოადგა აგორებული ტალღა. უკან რომ მოიხედავდა, ტალღებით დაფარულ ჯებირს თვალს ვეღარ მოჰკრავდა, მეტი რა დარჩენოდა, ციმციმას აივანზე უნდა ამძვრალიყო. ტალღები აივნამდე ვერ აღწევდნენ.

— ვინ მამაძაღლი უნდა იყოს, ნეტავი? — წაიდუდუნა ჩოპმა, — მაგის გულისათვის შეიძლება გემი კლდეს წააწყდეს. დაუდევრობაც ამასა ჰქვია!

რაც იყო, იყო. მაგრამ ის კაცი ნაპირზე მაინც უნდა გადმოეყვანათ.

ნავსადგურში ორადორი კატარღა იყო დარჩენილი, ყველა დანარჩენი ქალაქში გაგზავნეს ხალხის გადასარჩენად. ჩოპი ერთ-ერთი კატარღით წავიდა ციმციმასაკენ. თან ორი მატროსი წაიყვანა. გზაში სულ ცოფებს ჰყრიდა, საძირეში იღებდა „სამგზისდამღუპველ კავკასიას“, კოკისპირული წვიმებისა და ამ ჩემი მოუსვენარი სამსახურის გარდა აქ არაფერი სიკეთე არ მინახავსო.

კატარღა ძლივს მიადგა ქვის კიბეს და ჩოპმა ლანძღვა-გინებით ჩამოათრია ციმციმას აივნიდან აქვითინებული, მთლად გათოშილი ქრისტეფორიდი.

— აი შე, ვირის თავო, შენა! — ბიჭს კისერში სწვდა. — ჩემი ხელით მოსაკლავი მყევხარ. კიდევ თევზს იჭერდი?

ქრისტეფორიდი გულამოსკვნილი ტიროდა. კაპიტანმა თავისთან წაიყვანა, ტანისამოსი გამოაცვლევინა და ძალით ჩაასხა პირში ერთი ჭიქა არაყი.

ქრისტეფორიდი გულამოსკვნილი ტიროდა. ცხოვრებაში

ამაზე მძიმე ამბავი არც გადახდენოდა. ღვა საათს იჯდა ციმ-ციმაზე.

დილით სათევზაოდ წავიდა. ჯებირზე, ნავმისადგომის მხარეს, სიწყნარე იყო, მაგრამ ქრისტეფორიდის ზურგს უკან ზღვა ბუბუნებდა. მერე ტალღის ნასხლეტიც მოხვდა. წამოდგა და ციმციმასაკენ გაიხედა. გუშინ ჩოპს რომ არ გადაერჩინა, უეჭველად დაიღუპებოდა. პირველად არც კი ეგონა, ზღვას თუ ასეთი გუგუნი შეეძლო. ცოტაც და აღარაფერი უშველიდა.

ჩოპმა ქრისტეფორიდი შინ მიიყვანა, თვითონ ისევ უკან გაბრუნდა ნავსადგურში და მოტორიანი კატარღით ქალაქში წავიდა.

წყალი არ ცხრებოდა. ელექტროსადგური დადგა და ქალაქი უკუნში ჩაიძირა. მარტო ნავსადგური ციმციმებდა მწვანედ. ის მწვანე შუქი ეფინა უკაცრიელ ნავმისადგომებსაც, სადაც ბალახი წამოზრდილიყო და მლაშე გუბეები იდგა.

რიონის მთავარ ფარვატერში წყალი ახორკლილიყო, გეგონება წყალქვეშ მთელ სიგრძეზე უზარმაზარი გველი მიცურავსო. კატარღამ ძლივს გააღწია ფარვატერს და კრიახით შეიჭრა ქალაქის დატბორილ ქუჩებში.

წყალდიდობის მიუხედავად ქალაქში სიწყნარე იყო. თითქოს ყველა სახლი ხიმინჯზე იდგა. მხოლოდ ზოგიერთი ოდიდან გადაიყვანეს ხალხი ტაძარში.

ყველაზე მეტი დავიდარაბა საქონლის გადაყვანას დასჭირდა. ძროხები და ცხენები ზედა სართულში გადაჰყავდათ, ქალები ტიროდნენ, წიკვინებდნენ, კაცები იგინებოდნენ.

წარღვნა ალბათ მალე გადაიღებდა, ისეთი პირი უჩანდა. ქუჩებში ურმები დაცურავდნენ. შეგუბებული წყალი სავსე

იყო ჩინჩხვარითა და ფოთლებით. ყოველი ფანჯრის რაფაზე, ყოველ მესერზე ბაყაყები ისხდნენ და ყიყინებდნენ. წყალში ტყაპა-ტყუპი გაჰქონდათ, თუ კატარღა ახლო ჩაუვლიდა.

იმ დუქნის შორიახლო, „შემოდი, წაიხემსე“ რომ ერქვა, წყლიდან მსუქანი ჭანარი ამოფრთქიალდა. კაპიტანმა ინანა, ქრისტეფორიდი ნავსადგურში რათ დავტოვე, ნეტავი წამომეყვანა, თევზაობით გულს იჯერებდაო!

ქალაქი სიზმარეულსა ჰგავდა. კატარღა მიდიოდა, მიანათებდა ქუჩებს, მდინარეებივით რომ ღელავდნენ და ბუყბუყებდნენ. წყალში თევზი ფართხალებდა, წყალზე ვარდები ჰყვაოდნენ, და ზვირთები ეხეთქებოდნენ ყოველი სახლის ფანჯრებს.

კახიანმა ფანჯრიდან გასძახა ჩოპს, იქნებ როგორმე პახომოვი იპოვნოო. ცას პირი მოეხსნა თუ არა, ბერიკაცი თავის საკოლმატაციო ნაკვეთისკენ გაქცეულიყო.

როცა პახომოვის ნაკვეთს მიაღწიეს, ინათა კიდეც. ნაკვეთი ციხე-სიმაგრესავით იდგა, წყლით გარმოდგმული. რაბები ღია იყო. მიწაყრილი ოდნავღა მოჩანდა წყალში, მაგრამ ნირი არ ეცვალა, წყალს ვერ ჩაერეცხა.

პახომოვი მუშებთან ერთად პირველ რაჲ ციან იდგა. ბერიკაცი თვალებმოწკურილი გასცქეროდა ჰორიზონტამდე გადაჭიმულ ამღვრეულ ტბას, წარღვნისაგან წალეკილ ქვეყანას, და იღიმებოდა. განთიადის შუქში პახომოვს ნაცრისფერი სახე უჩანდა.

— რას უღიმით? — ჰკითხა კაპიტანმა და გაიფიქრა: „რა ღროს ღიმილია, აფრენს უბედური!“

— მიწაყრილმა გაუძლო და ის მახარებს! — უპასუხა პა-

ხომოვმა. — ნაკვეთი გადამირჩა. ვინ იცის, რა დღეშია გაბუ-ნია, ჭალადიდში დიდი უბედურება დატრიალდებოდა! იქ ვერც შეაჩერებ წყალს.

— ჰო, — თქვა ჩოპმა და შეშფოთდა, უცებ შინ მარტო დარჩენილი ბავშვები მოაგონდა.

პახომოვი უარზე დადგა, შინ არ წამოვალო. აბა, იქით გაიხედეო, მზისკენ მიახედა ჩოპი. ოდნავ ამოწვერილ მზეს თხული ნისლი ეფარა. მზის დაბინდულ შუქზე წამიერი თეთ-რი ცეცხლივით გაკრთა მთელი ქვეყანა, ერთ უზარმაზარ ყურედ რომ გადაქცეულიყო ახლა.

— სამწუხაროა! — თქვა პახომოვმა. — რა სანახაობაა! ერ-თი თვე არც უნდა, დიუნებს არხით გავაპობთ და წყალდიდო-ბა სამუდამოდ ამოიშლება ამქვეყნის მატეანედან. თქვენ ახლა უკანასკნელ წყალდიდობას ესწრებით. კარგად დაიხ-სომეთ ჩემი სიტყვები.

— ღმერთმა ქნას! — წაიდუდუნა ჩოპმა. — წავიდეთ, ბი-ჭებო!

პატარა ელოჩკას დიდხანს არ დაუძინია. წამომჯდარიყო ლოგინზე და, ჩოპმა რომ ზღაპრები დაუტოვა, იმ წიგნს კით-ხულობდა. სამზარეულოში ქრისტეფორეს ეძინა. წაეფარებინა კაპიტნის ძველი პალტო, ჩაეთბუნა და გემრიელად ხვრი-ნავდა.

ელოჩკა ახლა იმ ზღაპარს კითხულობდა, ლამაზი ქალიშვი-ლი სათამაშოების ოსტატს რომ ეწვია. ოსტატის სახელოს-ნოში თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა და არც ლამაზი ქალი-შვილის სადღესასწაულო კაბის ბოლო დაეტია.

ოსტატი ბრმა იყო. ხელი მოჰკიდა ქალიშვილს და უთხრა:

— ვგრძნობ როგორ იღიმებით. ისიც ვიცი, რომ ბედნიერება მოგელით. ძალიან ვწუხვარ, ბრმა რომ ვარ და არ შემიძლია გავიხარო თქვენი ჟუჟუნა თვალების ცქერით.

ნავსადგურში ბერძნული ხომალდი აკივლდა. პატარა გოგო შეკრთა და ტირილი აუვარდა. დედა ჯერ კიდევ გუშინ წავიდა. აღარც ჩოპი ჩანდა. თანაც ძალიან შეეცოდა ელოჩკას უსინათლო ოსტატი: ნეტავი რამ დააბრმავაო?

პატარა გოგომ თავი ბალიშზე მიდო და დიდხანს ისლუკუნა. მერე, როგორც იყო, ჩაეძინა. სიზმრად მზე ნახა. მზე შინ ეწვია, მოგრამ მზე კი არა, ის თურმე ლამაზი ქალიშვილი ყოფილა. ოთახი ისეთი პატარა იყო, რომ ქალიშვილს კაბის ბოლო გარეთ დარჩენოდა. გარეთ სწორედ იმ აბრეშუმის კაბის ბოლო შრიალებდა. მერე პატარა გოგომ ხელები გაშალა და დედის ხმითა თქვა:

— ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ჩოპ, ელოჩკას რომ მიმიხედეთ! ნამდვილად არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ.

ღია კარიდან კარგად ჩანდა მობუბუნე ზღვა, ხან ცისფერი, ხანაც მწვანე, ფარშავანგის ფრთისნაირი კაბის ბოლოსავით რომ ლივლივებდა.

წყენას წყენა მოსდევს

ლაჩარიაო, ვერავინ იტყოდა ვანო ახმეტელზე... გაიგო თუ არა, აბაშიძემ მუშები წაიყვანა და ნედოარდის არხზე რუკის გადასაღებად წავიდაო, თვითონაც გუდა-ნაბადი აიკრა.

ნედოარდის მახლობლად, ყველაზე საშიშ და გაუვალ არემარეში, შესანიშნავად მრავლდებოდა ნუტრია. იქ უხვად იყო ჭილიცა და ტყის ლელიც, დუმფარაცა და ზამბახიც, რასაც ძალიან ეტანება ნუტრია.

ვანო არც ერთხელ არ ყოფილა ნედოარდზე და ამას სამსახურებრივ დაუდევრობად უთვლიდა თავისთავს: ნედოარდი ყველაზე მადლიანი კუთხე იყო ნუტრიასათვის, ვანოს კი თავის მოხსენებით ბარათებში ერთხელაც არ დაუძრავს სიტყვა ამ რაიონზე.

გადაწყვიტა რკინიგზის მხრიდან მისულიყო არხთან. დარწმუნებული იყო, რომ გავიდოდა. რაკი ამას წინათ ქარშოშინამ გადაუარა, მიწა მშრალი იქნებაო, ფიქრობდა.

ფეხით წავიდა, თან კომპასი, თოფი და თავისი ხელით შედგენილი რუკა წაიღო. ზურგჩანთაში ოთხი დღის სამყოფი საჭმელი ჰქონდა.

ქალაქგარეთ ვანო ინგლისელ სიმას დაეწია. რამდენიმე კილომეტრი ერთად იარეს და მუნჯურად — ხელებით ილაპარაკეს. მერე ინგლისელმა მატროსმა ჭალადიდისკენ გადაუხვია.

სიმა ორთქლის მანქანის რაღაც ნაწილებს უჩვენებდა ვანოს, უსტვენდა, ენას აწკაპუნებდა, ვითომ აი ასე მუშაობს ექსკავატორიო. ვანო მიხვდა, რომ მატროსი გაბუნიას მეექსკავატორე იყო.

„უცნაური ტიპია! — გაიფიქრა ვანომ. — ფეხით როდის ჩავა, ოცდახუთმეტ კილომეტრს გავლა არ უნდა? დილაზე კი მატარებელიც იქნება!

ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და წავიდწამოვიდნენ.

ვანომ ნავით გადაცურა რიონი, მერე უსიერ ტყეში შერგო თავი.

ტყეში ბუღი იდგა. ჭაობების მჭახე სუნი ცხვირში სცემდა მგზავრს. ვანოს, ცოტა არ იყოს, შიშსა ჰგვრიდა გალურსული ტყე.

— ერთ მშვენიერ დღეს ამ ტყესაც ამოაგდებ ძირფესვიანად და დასწვავ, — ხმამაღლა თქვა ვანომ, მოსაუბრედ გაბუნია ჰყავდა წარმოდგენილი.

ტყეში მარტო დარჩენილი კაცი ან თავისთავს ელაპარაკება, ან უსტვენს, ან მღერის, ან არადა ხმელ ტოტებს ჯოხით ლაწალუწს აუყენებს ხოლმე. ეჩვენება, რომ ამ ხმაურით თავის გარშემო შეუვალ სარტყელსა ჰქმნის.

ვანომ ჭაობიანში ბილიკი იპოვნა. დაადგა ამ ბილიკს და ძველ მონადირესავით მიჰყვა: არც იქით გადაუხვევია, არც აქეთ. აქეთ-იქით ლიამპალი ხასხასებდა მწვანედ.

ხანდახან ზურგჩანთით ლიანებს წამოედებოდა ხოლმე. მეტი რა ჩარა იყო, ზურგჩანთა უნდა მოეხსნა და ლიანებს დანით თუ არ დააჭრიდა დიდ კაუჭა ეკლებს, ხელით ვერაფერს გახდებოდა.

საღამოჟამს ვანომ არხს მიაღწია და მხიარულ გუნებაზე დადგა. იმ ადგილამდე, სადაც ნუტრიას ედო ბინა, სამი კილომეტრიღა დარჩა.

სუნთქვა ჭირდა. ბუღით გათანგული ვანო რცხილის ჩრდილქვეშ ჩამოჯდა. ზურგჩანთა მოიხსნა და გაისუსა: დასავლეთიდან ზარბაზნის გუგუნივით შემოესმა. ვანომ ცას ახე-

და: ღრუბლის ნატამალი არა ჩანდა. გუგუნი მალე კვლავ გაისმა და ვანოს ბაგაბუგი დაუწყო გულმა. ლაჩარი ყოფილხარო, შეუტია თავისთავს და, გვერდით რომ მურყანი იდგა, ზედ ავიდა.

ხის კენწეროდან ხელისგულივით გადაიშალა მთელი არემარე. ზღვის მხრიდან ღრუბელი ამომაღლებულიყო. აქა-იქ ელვა დაჰკრავდა, თითქოს შავი მარმარილო ვერცხლისფრად დაუსერიათო. ღრუბელს წვიმის სიგრილე მოჰყვა.

ვანო ხიდან ჩამოვიდა. რა უნდა ექნა? გაბრუნება სისულელე იქნებოდა. უახლოეს სოფლამდე მაინც ვერ მიასწრებდა. უცებ გაბუნიას ნათქვამი მოაგონდა: ნედოარდზე ციხე-სიმაგრის ნანგრევებიაო. თუ შველა იყო, წყალდიდობისაგან მხოლოდ იქ უნდა ეპოვნა თავშესაფარი.

წყალდიდობა გარდუვალი იყო. როგორც კი წარღვნა მთებს მიაღწევდა, კოლხეთს ლაფიანი წყლის ათასი ნაკადული დააწყდებოდა თავს.

უკან არ წავალო, გაბედაწყვიტა ვანომ, მაგრამ არც ის იცოდა, ციხე-სიმაგრე სად იყო. არა და, იქ როდემდე მდგარიყო, გულის კოვზი ეწვოდა მღელვარებისაგან.

წავიდა. ბილიკს ნაელვარი შუქი ეცემოდა. მოქუფრული ღრუბელი ავად მიცოცავდა ცაზე. ხანდახან ყრუდ აბუხუნდებოდა ხოლმე და ამ დროს ტყეში თითქოს ბებერი ვეფხვები დააბოტებდნენ.

ვანოს არასოდეს არ უგრძვნია ასეთი უმწეობა შავად ჩაქუფრული ცის წინაშე. შედგებოდა ხოლმე და იმ ღრუბელს უცქეროდა. ჯერ იფიქრა, აქეთ არ მოდის, არხს გვერდზე ჩაუვლისო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ღრუბელი ნედო-

არდის არხს დაუპირდაპირდა. ჰორიზონტიც ამ ღრუბლისფრად ჩაღამებულიყო.

ყოველ გაელვებაზე გული ეკუმშებოდა ვანოს. ბარემ წამოვიდეს მაინც ეს ოხერი წარღვნაო, ფიქრობდა. ლელიანში ტურები კიოდნენ და ხარხარებდნენ.

ვანომ თეთრ ცეცხლოვან ბურთს მოჰკრა თვალი. ბურთმა ხის კენწეროებს გადაუარა. ხეები თითქოს აბრჩოლდნენ.

„ჰაუ, ჰაუ!“ — ყვირილი დაიწყო ვანომ და მურყანს აეკრა. ჭექა-ქუხილმა ორად გააპო ცა. ვანოს თავისივე ხმა შემოესმა და ამან ცოტა დაუწყნარა გული. მერე კვლავ დაიყვირა და პასუხად შორეული ყრუ ძახილი მოესმა. ალბათ გამოძახილიაო, იფიქრა. მაგრამ ის ხმა გამოძახილს არა ჰგავდა. იქნებ აბაშიძეაო, ახლა აბაშიძის ხმას მიამგვანა.

ვანომ ფეხი ააჩქარა და ისე მიჰყვა ბილიკს, თან ყვიროდა, ის კაცი არ ამცდესო.

ჩამობნელდა. წარღვნა იგვიანებდა, მხოლოდ წამოწინწკლა და ფოთლები ახმაურდნენ. ვანო სტვენა-ყვირილით მისდევდა ბილიკს. შიშს თითქმის აღარცა გრძნობდა.

უცებ სულ ახლოდან მოესმა ხმა, თანაც თითქოს მოჩვენებასაც მოჰკრა თვალი. მაგრამ ამ დროს გაიელვა კიდეც და ვანომ გულია იცნო.

— აჰა-ა-ა, ბოროტად თქვა გულიამ. — შენა ბრძანდები, ვირთხების დარაჯო?

ვანო ხმას არ იღებდა.

— ენა რა, მუცელში ჩაგივარდა? სასამართლოში, რა ვიცი, კარგად შიტურტურებდი!

— რა გინდა? — ყრუდ ჰკითხა ვანომ.

თოფისკენ ხელის წაღება დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ გულიას მაინც ვერ დაასწრებდა სროლას.

— ძველები ამბობენ, წყენას წყენა მოსდევსო, — ხრინწიანი ხმით თქვა გულიამ. — ძველებმა კარგად იცოდნენ ცხოვრების ასავალ-დასავალი. რას იტყვი, ლაწირაკო?

კვლავ გაიელვა და ტყეს ქუხილმა გადაუარა. გულიას მოგრძო, გამხდარი სახე ჰქონდა, თვალები დამცინავად უელავდნენ. ვანოს არაფერი გამოჰპარვია.

— გულია... — საწყალობლად გაიღიმა ვანომ. — რა გინდა ჩემგან, გულია? რაკი ინკინრები მოვიდნენ, ჩვენმა საქმემ ჭირი მოჭამა. ტყეებს ძირფესვიანად ამოაგდებენ. მონადირე კაცი ხარ და შემოსავალი აღარ გექნება. აღარც მე მექნება სამუშაო. სამი წელიწადი გადავყე იმ ოხერ ნადირს. ერთმანეთზე გასაბრაზებელი რა გვაქვს?

გულია სდუმდა. ბაგაბუგი გაჰქონდა ვანოს გულს.

— გონიერი კაცი არც უნდა გაუბრაზდეს ბრიყვს. — გესლიანად თქვა გულიამ. — ბრიყვი ხარ, აბა რა ხარ! ჩირადაც არ მიღირს ეს დამპალი ტყეები. მე მონადირე აღარა ვარ, მუშა კაცი ვარ. ძველებმაც იცოდნენ კაცურკაცობა და ახლებმაც იციან. მაგრამ შენისთანა ახლებმა კი არა. რა იყო, რა გაკანკალებს? შენ ჩემი ციხეში ჩასმა გინდოდა, გაბუნიამ კი სამუშაო მომცა. გაბუნია გონიერი კაცია და იცის რასაც აკეთებს, აბა რა უნდა გელაპარაკო ბრიყვს! — გულიამ გაიცინა, — რა გაკანკალებს, კაცო? გეშინიან? არ მოგკლავ, არა. წამო, წავიდეთ.

გულია წინ წავიდა.

რამდენიმე წუთში უკვე ციხე-სიმაგრის ნანგრევებს მიად-

გნენ. აბაშიძე გულღიად მიეგება, ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო, შეჰყვირა.

ერთ დღე-ღამეზე მეტხანს ისხდნენ ციხის ნანგრევებზე გაშლილ კარავში. წარღვნა ასხამდა და ასხამდა. ირგვლივ ზღვასავით იდგა წყალი.

ვანო სირცხვილისაგან იწვოდა. გულიას თვალს ვეღარ უსწორებდა. აჯობა ჭკუით და ეგ იყო. ჩირადაც არ მიღირს ეს დამპალი ტყეებიო, თქვა და მართალიც გამოდგა.

ვანო დროს ვეღარ გრძნობდა, თითქოს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. წავიდეთო, რომ თქვეს, ისიც ადგა და რიონზე გაჰყვა აბაშიძის ხალხს.

მთელი დღე წყალში მისტოპავდნენ. მუშები მძიმე ძელებს მიათრევდნენ. ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩიტიც არ ფრთხიალებდა. ყველა სულდგმულს გაერიდებინა თავი. ტურებიც კი აღარ კიოდნენ. მხოლოდ ბაყაყები ებლანდებოდათ ფეხებში და ჭაობებში აყელყელებული გველხოკერები დაცურავდნენ.

„დასაღუპი ადგილია!“ — გაიფიქრა ვანომ. ან რამ აფიქრებინა ამ მყრალი ჭაობების და დამპალი ტყეებისათვის ბრძოლა!

განა ერთი ფორთოხალი არა სჯობს ათას ქეციან ტურას!

კახიანის მოხსენებითი ბარათი

მოხსენებითი ბარათების წერა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა კახიანს, მაგრამ თუ დაწერდა, იმ ბარათებს ყოველთვის ჰათემატიკური სიზუსტე ახლდათ.

„ძლიერმა საშხრეთ-დასავლეთის ქარმა, — წერდა კახია-

ნი, — ფოთიდან სამ კილომეტრზე მდინარე კაპარჭინას შესართავი ჩახერგა. ამ დროს დაიწყო საშინელი წარღვნაც და ექვს საათზე მეტხანს გაგრძელდა.

რიონი, კაპარჭინა, ცივი და ხობი ნაპირებიდან გიჟებივით გადმოვიდნენ და კოლხიდის მთელი სანაპირო დატბორეს.

ქალაქის ქუჩებში წყალი მეორე სართულის სიმაღლეზე ავიდა. წყალდიდობისაგან თავზარდაცემული ნადირი ღრიალით მიაწყდა ქალაქსა და კუნძულს, სადაც ნავსადგურია. კუნძული არ დაუტბორია. წყალმა უამრავი გველი მოიყოლა.

წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ამოსაშრობ სამუშაოებს, მაგრამ იმდენი მაინც არა, რამდენსაც ამ ძლიერი წარღვნის შედეგად ველოდით.

მაგისტრალურ არხზე ჭალადიდში წყალმა მიწაყრილი ჩარეცხა და კინაღამ სამი წლის ნაშრომზე აგვაღებინა ხელი. მუშებისა და ინჟინერ გაბუნიას მამაცობის წყალობით კატასტროფა აღარ მომხდარა.

ხალხი მთელი ღამე მუშაობდა. ერთადერთი ექსკავატორი უქმად იდგა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ აციებდა, მთელ საქმიანობას მაინც გაბუნია ედგა სათავეში. იმ ღამეს კიდევ უფრო გაცივდა, ახლა ფილტვების ანთება აქვს და ფოთის საავადმყოფოში წევს. ღამის სამუშაოების დროს, ჭალადიდში დაიღუპა მუშა ეფრემ ჭანტურია.

საკოლმატაციო ნაკვეთმა გამოცდას გაუძლო. არც მიწაყრილი და არც ერთი რაბი არ დაზიანებულა. ინჟინერ პახომოვს თითქმის მთელი ერთი დღე და ღამე არ დაუნებებია თავი ნაკვეთისათვის და გადაარჩინა კიდეც.

აბაშიძის მეთაურობით ნედოარდის არხის რაიონში წასული ტოპოგრაფიული პარტია სამ დღეს დაღუპულად ითვლებოდა. ძიებას შედეგი არ გამოუღია, რადგან უგამყოლოდ არხზე გასვლა შეუძლებელია. იმ ადგილების ერთადერთი მცოდნე გულია პარტიასთან ერთად იყო წასული. გუშინ პარტია ჭალადიდში დაბრუნდა და თან მოიყვანა ;ბეწვეულის ინსტიტუტის ასპირანტი ვანო აბმეტელიც, რომელიც ჩვენს მუშებს გადაურჩენიათ.

მთავარი ბოტანიკოსის ლაპშინის ცნობით, თითქმის არცერთი პლანტაცია არ დაზიანებულა.

ამჟამად ვმუშაობ ქვიშით ამოვსებული შესართავების ამოწმენდაზე. მდინარეების შესართავებში დაგროვილი ქვიშა წყალდიდობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია“.

კახიანმა წერტილი დასვა და შუბლი შეიჭმუხნა. მოხსენებითი ბარათი ძალზე პოეტურად მოეჩვენა. ;ოტა ხანს დაფიქრებული იყო, მერე ორი ადგილი — „მდინარეები ნაპირებიდან გიჟებივით გადმოვიდნენ“ და „საშინელი წარღვნა“ — ამოშალა.

— უცნაური ამბავია, — ჩაილაპარაკა კახიანმა, — არის თუ არა საჭირო, პოეზია მაინც იჩენს ხოლმე თავს!

საუბარი დამზღვევ საზოგადოებაზე

გაბუნიას ავადმყოფობა გაურთულდა. პირველ ხანს გონდაკარგული იწვა. ბუნდად ახსოვდა ექიმი, ჯაგარივით ულვაში და ცივი ხელი რომ ჰქონდა, ძლივს იგონებდა კაპიტნის ჭრინწიან ჩურჩულსაც, ის მხოლოდ ვარსკვლავებს აქცევდა

ყურადღებას. ვარსკვლავები მთებისაკენ გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ.

როცა აბოდებდა, გაბუნია ყოველთვის ვარსკვლავებს ხედავდა. მთებში ვარსკვლავების წარღვნა მოდიოდა, კოლხიდას წყლის ნაცვლად ყოველ ღამე თეთრი ცეცხლი ნთქავდა. ის ცეცხლი მერე მკერდზეც შემოენთებოდა ხოლმე და გულს უწვავდა.

— რაღას უდგეხართ! — ყვიროდა გაბუნია, — წადით, ყველანი წადით!

ექიმი ეჭვიანად იქნევდა თავს, ავადმყოფი რომ ბოდავდა, არ მოსწონდა.

გაბუნიას ახლა ის ეჩვენებოდა, რომ ჩოპთან ერთად მტრედისფერი რიჟრაჟის შესახვედრად მიდიოდა ჯუნგლებში. დილის ცივ ქარში სახე ეყინებოდა. ისინი სიმას ეძებდნენ. გეგონება მიწამ ჩაყლაპაო, სიმა არსად ჩანდა. მაშინ ჩოპმა ჯიბიდან სამართებელი ამოიღო და თქვა: „აქ ვერ ვიპოვნით, ლანდშაფტი თუ არ შევცვალეთო“. სამართებელი ცისა და მიწის შუა ჩამომდგარ ნათლის სვეტს გაჰკრა, გასაღებივით მიაბრუნ-მოაბრუნა, ცა ტკაცუნით გადაიხსნა და ახალთახალ მიწას მოჰკრეს თვალი. ისინი ჯუნგლებში კი არა, უკვე ნევის ნაპირას მიაბიჯებდნენ. თეთრი ღამე არეკლილიყო შავ წყალში. თუჯის სხტეებზე გადაფოფრილი უცნობელა სიცივისაგან კანკალებდა.

ჩოპმა კვლავ გაჰკრა სამართებელი ცას და ორივენი უამრავი ჩირაღდნით გაჩახჩახებულ მდინარეს გაჰყვნენ. ხომალდი აკვანივით ირწეოდა. შორს ქალაქი გამოჩნდა. ქალაქი ისე ბრწყინავდა და ციმციმებდა, გეგონება დამტვრეული

შინა გორად ვაუღვამთო. ეგ ქალაქი ვენეციაააო, უჩურჩულა ჩოპმა, მანდ შეგვიძლია ფორთოხლის თესლი ვიყიდოთ კონდრაბანდისტებისაგან, ნესვისოდენა ფორთოხალი იცის, ლაპშინს გავახარებთო.

— ეშმაკსაც წაუღია ლაპშინის თავი! — ყვიროდა გაბუნია და, გონს თუ მოეგებოდა, კვნესოდა.

ბოდვამ და ჩვენებებმა დატანჯეს. ერთხელ გაქცევაც კი დააპირა, მომვლელმა ქალებმა მიუსწრეს და ძლივს დააწვინეს.

ბევრი ქინაქინის სმისაგან თავბრუს ხვევა დასჩემდა. ეჩვენებოდა, რომ ზღვაზე მუდამ ქარიშხალი ჰქროდა. ხანაც ფანჯრიდან უაზროდ გასცქეროდა ბისფერ ცას და უკვირდა, რა დროს ქარიშხალია, როცა მზე თვალებში მიჭყიტინებსო.

კრიზისს მძიმე დღეები მოჰყვა. ერთადერთი, რასაც იმ ხანად გაბუნია გრძნობდა, დაღლილობა იყო. დაქანცულსა და არაქათგამოცლილს ლაპარაკის თავიც აღარა ჰქონდა.

მერე რამდენიმე დღე ზედიზედ ეძინა, თვალი თითქმის არც გაუხელია.

გაღვიძებით, ნაბიჯის ხმამ გამოაღვიძა. არც შეუხედავს, ისე მიხვდა, რომ ის კაცი თავის სიცოცხლეში პირველად იდგა ფეხის წვერებზე. წვალებით მოდიოდა. ერთ ფეხს რომ დაადგამდა, იატაკი გაიჭრიალებდა, ისიც შედგებოდა, სულს მოითქვამდა და ახლა მეორე ფეხს გადადგამდა ხოლმე.

გაბუნიამ თვალები გაახილა და კართან სიმას განიერ ბეჭებს მოჰკრა თვალი. სიმა მოდიოდა. გეგონება თოკზე შემდგარაო, ისე ადგამდა ფეხებს — ფრთხილად, წონასწორო-

ბა რომ არ დარღვეოდა. დაძაბულობისაგან კეფა გასწითლებოდა.

საწოლთან რომ პატარა მაგიდა იდგა, ზედ საჩიბუხე თამბაქოთი სავსე თუნუქის ყუთი იდო. ის ყუთი ყველაფერზე ძვირფასი იყო, რაც კი რამ სიმას ეკუთვნოდა ამქვეყნად. გაბუნიას მოაგონდა, როგორ იზოგავდა სიმა ამ თამბაქოს. დღეში მხოლოდ ერთხელ ეწეოდა.

მობრუნდიო, აღარ დაუძახნია. ყელი ძალზე სტკიოდა.

მეორე დღეს ნევსკაია მოვიდა. გაბუნიას საცდელ სადგურში მოყვანილი ხილი მოუტანა. ფეიჰოა ერქვა იმ ხილს.

გაბუნიამ ძლივს მიიტანა პირთან. ანანასისა და მარწყვის გემო ჰქონდა ფეიჰოას.

— ტროპიკების სუნი აქვს, — წაიჩურჩულა გაბუნიამ, — კარგი რამ არის!

ზაფხულში ნაწვიმარზე ბაღები რომ აღაღანდებიან და სურნელს დააფრქვევენ ხოლმე, ისე აფრქვევდა ფეიჰოაც სურნელს.

— იშვიათი ხილია, — თქვა ნევსკაიამ, — ბევრ იოდს შეიცავს. ფეიჰოათი სკლეროზით დაავადებულებს მკურნალობენ.

ზედა სართულზე, ალბათ ექიმის ოთახში, როიალს უკრავდნენ. ნევსკაიამ მიაყურა.

გაბუნიამ თვალები დახუჭა. ჰანგი იცნო. „პიკის ქალიდან“ ლიზას არიას უკრავდნენ: „ღრუბელს ქუხილი მოჰყვა...“

ნევსკაია წამოხტა, გაბუნიას სველ თმაზე ხელი გადაუსვა და გავიდა. ხმა არ ამოუღია, ერთი კი მობრუნდა კართან და თავი დაუქნია.

მეორე დღეს საავადმყოფოში ცოტა აყალმაყალი მოხდა.

ჩოპი და სიმა ერთად მოვიდნენ. სიმა ნაწყენი ჩანდა. თითქოს ტირილს აპირებსო, ისე ახამხამებდა თვალებს, ღელავდა.

გაბუნიამ ცუდად იცოდა ინგლისური, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ სიმა დამზღვევ საზოგადოებას აგინებდა, ქვის ქვეშ აძვრენდა მიხას.

ჩოპმა თარგმნა. წყალდიდობის შემდეგ სიმას რამდენიმე დღე თურმე ვერ ემუშავნა. ღამით ჭალადიდიდან რომ მოდენილა, ლიანებზე გულმკერდი და ხელები დაეგაზა. ნაკაწრი შესიებოდა და დასჩირქებოდა. სიმა ხუთ დღეს დარჩენილიყო ქალაქში და შესახვევად ამბულატორიაში ევლო.

არხზე რომ დაბრუნებულა, მიხას ეთქვა, ამ ხუთი დღისას დამზღვევ სალაროდან მიიღებ, ვინაიდან დაზღვეული ხარო. აი შე ბანდიტოო, შეუძახნია სიმას, და გაუწევია კიდეც — აქ ინგლისი როდია, ვინც იმ უხეირო ინგლისურ წესებს შემოიღებს, ცხვირ-პირს ბიფშტექსად ვუქცევო.

მიხა გაქცეულა. სურვილი არა აქვს და ჯიმ ბირლინგს ვერც ვერავინ ვერ დააზღვევსო, უყვირია სიმას, ყოველგვარი დაზღვევა თვალთმაქცობა და მამაძაღლობაოო.

— ალბათ გალეშილი იყო ბიჭი, — დასძინა ჩოპმა. — ნახევარი ლიტრა არაყი მაინც ექნებოდა დალეული.

სიმა მიხვდა. ძველი მეზღვაური იყო და იცოდა, რასაც ნიშნავდა „არაყი". წამოჭარხლდა, არა, არაო, შეჰყვირა და თავი გააქნ-გამოაქნია. მერე პერანგი აიწია, სამივე ნაიარევი დაანახვა ჩოპს და უთხრა:

— აი რა მომიტანა იმ თქვენმა დამზღვევმა საზოგადოებამ. მეყოფა, ყელამდე ვარ. დედამიწის ზურგზე აღარცერთ დამზღვევ საზოგადოებასთან არ დავიჭერ საქმეს.

სიმამ თავისი დასერილი გულმკერდის ამბავი მოიგონა.

პირველ მსოფლიო ომამდე სიმას ხომალდ „კლონდაიკზე“ მესაჭედ უმუშავნია. ხომალდი ლივერპულიდან ნიუფაუდლენდში დადიოდა თურმე. ნიუფაუდლენდში კი, როგორც ცნობილია, სულ ქარიშხალი ჰქრის, ნისლია და ახლომახლო აისბერგები დაცურავენ.

იქ ერთი შუქურა ყოფილა, ლიაიტვესტი, რომელიც შესახვედრად მომავალ იალქნიან გემს ჰგვანებია. შუქურას ფართე ძირი და დაბალი თეთრი კოშკი ჰქონია.

— ის შუქურა, — ჰყვებოდა სიმა, — ზედ გამოჭრილი საავარიო ადგილი იყო. კაპიტნები პირდაპირ იქით მიდიოდნენ, წააწყდებოდნენ წყალქვეშა ლოდებს და მერე ისედაც ტყუილებით სავსე ჟურნალში კიდევ ერთ ტყუილს შეიტანდნენ: „ავარია იმის შედეგად მოხდა, რომ ნისლში შუქურა ლიაიტვესტი შესახვედრად წამოსულ იალქნიან გემად მივიჩნიეთ“.

პირწავარდნილი ტყუილი იყო. ყველა კაპიტანმა იცოდა, რა შესახვედრად წამოსული გემიც იყო შუქურა ლიაიტვესტი. ძალით ახდენდნენ ავარიას. რატომაო, მკითხავთ. იმიტომ, რომ დასავლეთში მოფურთკნულ ხომალდებსაც აზღვევენ. ერთ მშვენიერ დღეს იმ ძირგავარდნილ ხომალდებს ძალით ჩასძირავენ და დაზღვევისას ჯიბეში ჩაიჩხრიალებენ ხოლმე.

„კლონდაიკის“ კაპიტანმა, რომელსაც მეტსახელად „ნეხვის ჭია“ ერქვა (ასე იმიტომ ეძახდნენ, ყოველთვის ჭუჭყიანი ტანსაცმელი რომ ეცვა; თავის სიცოცხლეში შარვალზე ხელი არ ჩამოუსვია. თუ ვინმე მეგობრულად გადაუკრავდა, პასუხი მზად ჰქონდა: „მე რა, ზანგი კი არა ვარ, შარვალი ჩემი ხელით ჩამოვიწმინდოო!“) ლიაიტვესტთან ჭრიალით შეაყენა

„კლონდაიკი“ ბრაგას და ეგონა, ეგ არი და ავარია მოვახდინეო.

რადისტს გადასძახა, გვიშველონ, ნიშანი მიეცით, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა უბედურება. რადიო მოიშალა, რადისტი ბევრს ეწვალა და მაინც ვერაფერი გაახერხა. „ნეხვის ჭიას“ მიწის ფერი დაედო.

ოკეანედან კი, თითქოს განზრახ, ქარიშხალი მოიწევდა. მეორე დღეს დაგვიბერა ქარმა, მაგრამ რა ქარმა! სამზარეულოშიც კი სულ ყირამალა დააყენა ყველაფერი. „ნეხვის ჭია“ ბიხვდა, რომ მიჰქარა, და სახეზე ახლა შავმა ფერმა გადაჰკრა.

მესამე დღეს რადისტს ბუნებამ ხელი მოუმართა, რადიო აამუშავა და ნიშანიც მისცა, გვიშველეთო. მეოთხე დღეს წყალმა თავზე გადაგვიარა და ყინვამაც მოუჭირა.

საღამოხანს ყინულად ვიქეცით.

გათენებისას მაშველი ხომალდი მოგვადგა. ყველანი გემბანზე ავედით და, ტალღას წყალში რომ არ გადავეყარეთ, ზოგი რას მოება თოკით, ზოგი რას.

ხომალდმა გვიტორღიალა გარშემო, დაინახა რომ ჩვენი შველის თავი არა ჰქონდა და გაბრუნდა. „ნეხვის ჭია“ ღვთისმოშიში კაცი იყო და გულახდილად გაგვენდო, ძალით ჩაგყარეთ ამ დღეშიო. ცემის გარდა აღარაფერი დააკლო ხომალდის მფლობელს, თანაც პატიებას გვთხოვდა.

თავი აღარა გვქონდა, თორემ ნამდვილად ღირსი იყო ცხვირ-პირი რომ ამოგვემტვრია.

მე საჭის ბორბალს მივები და მესამე დღეს შემხსნეს, როცა „კლონდაიკს“ უკვე გემბანამდე მოადგა წყალი. ბორბალის

სამივე სახელური მკერდზე მქონდა მიყინული. რომ ამაგლიჯეს, ზედ ჩემი კანი და ხორციც აჰყვა.

ლიაიტვესტთან ის პირველი ავარია იყო, როცა ხომალდის მფლობელმა დაზღვევის ფულის ნაცვლად ბრანწი მიიღო. რაც ჩვენ გვითხრა, „ნეხვის ჭიამ“, სასამართლოშიც ის გაიმეორა. მეტი რა ჩარა ჰქონდა.

მალე ხელობა გამოიცვალა და ამჟამად ლონდონის ნავსადგურში ვირთხებსა სპობს. დადის, კალათი დააქვს და, სადაც ხვრელს დაინახავს, შიგ დარიშხანიან ხმელ პურსა ჰყრის.

რამდენიც უნდა მელაპარაკოთ დამზღვევი საზოგადოების პატიოსნებაზე, არავის დაგიჯერებთ. ჯერ კიდევ მაშინ, საავადმყოფოში, ვუთხარი ჩემს თავს: „ჯიმ ბირლინგ, თუნდაც ათას ფუნტად დააზღვევო შენი სიცოცხლე, ამქვეყნად მაინც ყველაზე სულელი და ბრიყვი იქნები-მეთქი“.

სიმამ ხელისგული დაჰკრა მაგიდას. ჩოპმა თვალები გადმოკარკლა და ახარხარდა. გაბუნიამ თავის ავადმყოფობაში პირველად ახლა გაიცინა.

ჩოპი კარგა ხანს ელაპარაკა, სად ჩვენი დაზღვევა და სად ინგლისისაო. სიმა თითქოს მიხვდა, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არა ჰყრიდა — როგორ შეიძლება, ორივეს ერთნაირად დაზღვევას რად ეძახით, თუ მართლა ეგრეაო.

სიმა მარტო წავიდა.

ჩოპი, რაც კი რამ გაეგონა მალარიაზე, ყველაფერს უყვებოდა გაბუნიას:

— მეფის დროს ფოთში რომ გარნიზონი იდგა, ციება ყოველ სამ წელიწადში სულ გააწყობდა, ამოჟუჟავდა ხოლმე. როგორი საქმეა? მაშინდელი სიმღერაა „კავკასიამ დაგვღუ-

პაო“. ჯარისკაცები მღეროდნენ. ქერა ამბობს („ქერას“ ექიმს ეძახდა კაპიტანი) აქ მეტად თავისებური ციება იცის, ჭაობის სიგამხდრე ჰქვიაო. თქვენი მუშების ნახევარი ამ სენითა ყოფილა ავად. აკი მიხასაც უკვირს ხოლმე: „ვერ გამიგია, სიცხე არა აქვთ და ფეხებს მაინც ძლივს მიათრევენო“. ამ ავადმყოფობის დროს ნორმაზე დაბალი ტემპერატურა იცის. თქვენ ნამდვილი ფოთური ციება გაქვთ. ლპობამ, სინესტემ და სითბომ იცის, დასავლეთ აფრიკაშიც ასეა.

— ყოფილხართ აფრიკაში?

— როგორ არა, — უპასუხა კაპიტანმა, — ზანგები, სხვათა შორის, მალარიით არასოდეს არ ხდებიან ავად. ზანგებს გარდა, მალარია სისხლს უშრობს ყველას, ვინც აფრიკის ტროპიკებში ცხოვრობს. მართლა საკვირველი ამბავია! ქერას შეეკითხე, რა მიზეზია-მეთქი. მალარიის პლაზმოდიუმი ჩვენს სხეულში თურმე ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით ვითარდება. ზანგს კი შავი კანი აქვს. შავ კანს ულტრაიისფერი სხივები ვერ ატანენ.

— მართლა ბევრი ზღაპარი იცი, ჩოპ! — ღიმილით უთხრა გაბუნიამ, — მაგრამ მაინც მიყვარს შენი ლაპარაკი!

ჩოპმა ეშმაკურად გახედა გაბუნიას:

— ზღაპრები ვიცი? ქერას შეეკითხე, თუ გინდა.

— მერე, მერე?

— ქინაქინა თურმე ძარღვებში ილექება და ულტრაიისფერ სხივებს არ ატარებს, გზას უღობავს. სხივები ადამიანის ორგანიზმში ვეღარ ხვდებიან და მალარიის პლაზმოდიუმიც იღუპება. ამაშია ქინაქინის ძალა. ვიცი, ერთხელ მეც მაგრა მაციებდა.

— სად?

— წყნარ ოკეანეში, კუნძულებზე, წარმოიდგინეთ, `იმ წვრილ-წვრილ კუნძულებზე შთაბეჭდილებაც კი თითქოს ქინაქინისა დამრჩა. ქინაქინას ჩაის კოვზითა ვჭამდი. გამოვ-ჩერჩეტდი, დავყრუვდი, ალკოჰოლიკივით დავბარბაცებდი. ბანანსა ვჭამდი, მწარე იყო, წყალსა ვსვამდი, ისიც მწარე იყო. ხელები გამილურჯდა. დიდ ბიჭობად ჩამეთვლებოდა, რომ ავმდგარიყავი და ერთი-ორი ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ რას ავდგებოდი! იქაური პაპანაქება ოღ ავადაც არ მიგრძვ-ნია. ვიცოდი, რომ ცხელოდა, ჰაერი ცხელი იყო, მაგრამ მეჩ-ვენებოდა, რომ საყინულეში ვიწექი. თან ყარდა ყველაფერი, ლპებოდა... ჩემი მტერი მოხვდეს იქ, თვალებდაჭყეტილი ხალხი ძლივს დადის, ბარგანაობს, ბღავის... ოას იზამ. ძალია-ნაც კარგსა შვრებით, ამ მალარიის ბუდეს რომ სპობთ და ახალ მიწა-წყალს აშენებთ, ადრე აქ კოღობანას თამაშობ-დნენ. მალარიის სადგურებში სახლების გარშემო წებოწას-მულ მინებს დააწყობდნენ და ელოდნენ, რომელ მინას უფ-რო მეტი კოღო დააჯდებოდა. ჩრდილოეთით რომ მინები ეწყო, კოღოები იქ თუ დაეწებებოდნენ, ჩრდილოეთიდან მოფრენილანო, იტყოდნენ, თუ არა და აღმოსავლეთისაკენ იშვერდნენ ხელებს. მერე სანავთეებს აიღებდნენ, კოღოს გზას გაჰყვებოდნენ და ჭაობებს ნავთს ასხამდნენ. ეს იყო და ეს. ბავშვებივით იქცევდნენ თავს... უჰ, რა დრო გასუ-ლა, — წასასვლელად წამოდგა კაპიტანი, — იმდენი ვილაქლა-ქე, მგონი დაგღალე კიდეც.

არ წახვიდეო, შეეხვეწა გაბუნია. ახლა, ავადმყოფს, შეეძ-ლო ზედიზედ რამდენიმე საათი ესმინა ჩოპის ლაქლაქისათ-

ვის და ხან ისიც ეკითხა, თუ რა ხდებოდა ქვეყნად, საავადმყოფოს კედლებს გარეთ.

ჭაობების ბატონი

სანადიროდ გამიშვიო, სთხოვა გულიამ აბაშიძეს. აბაშიძემ ეჭვის თვალით შეხედა ძველ მონადირეს და თითები სახაზავ დაფას დაჭერა.

— ტურას ისევ ჭაობისკენ გაუწია გულმა? — დამცინავად ჰკითხა მან.

დარცხვენილი გულია ნაბდის ქუდს ათამაშებდა ხელში.

— უკანასკნელად, ამ ერთხელაც წავალ და მორჩა. ერთი ისეთი საქმეა, რომ არ წავიდე, არ იქნება.

— რა საქმეა?

— მალე გაიგებ.

— კარგი! — უთხრა აბაშიძემ. — მაგრამ ორ დღეში უნდა მობრუნდე. ხობზე წავალთ, ჭაობებია გასაზრმი.

გულიამ საველე სახელოსნოში შეიარა. თოფის სასხლეტი უნდა შემიკეთოო, უთხრა ზეინკალს და ჩაცუცქდა. ხერხმა მოვერცხლილ ფოლადს შეუტია და გულიას ერთი წუთით არ მოუშორებია თვალი.

ლითონის მბზინავი მტვერი მზის სხივში ფუთფუთებდა. კედელში ხვრელი იყო და მზის სხივი იქიდან ატანდა. იმ ხვრელიდან გულია არხის ახალ მიწაყრილსა და პაპანაქებისაგან გათანგულ ტყეებსაც ხედავდა. ხეებს დაჭმაქული ტოტები ყურებივით ჩამოეყარათ.

— იცი, რა უნდა გითხრა! — თქვა ზეინკალმა. — მთები-

დან წყალი რომ დაიძრა, გაბუნიამ ერთი ბრინჯაოს ბიუსტი მოიტანა, ქურაში ჩააგდო-და, ამ სპილენძისგან მასრა უნდა გააკეთოთო, გვითხრა.

— ჰო, ლენინის ბიუსტი, — ჩუმად უპასუხა ზეინკალმა. — ამბობენ, ლენინგრადიდან ჩამოიტანა თბილისში, მერე აქ წამოიღოო, ძალიან კი ენანებოდა.

— ბიუსტი რასა ჰქვია? — კვლავ ჰკითხა გულიამ.

— პატარა ქანდაკებას ეძახიან.

გულიამ თავი დაიქნია, ჰო, ვიცი, ვიციო. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამბობდა, ხელში კი არა მჭერიაო. გულიას ჭაობში ნაპოვნი ქალის აღალმა მოაგონდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. კითხვით კი, ისევ ჰკითხა:

— მაშ ძალიან ენანებოდა, ჰა?

— ძალიან.

გულიამ თოფი მხარზე მოიგდო, ზეინკალს საფასურად ერთი დასტა თამბაქოს ხმელი ფოთოლი მისცა და წავიდა.

ორ დღეს ჭაობებში დაეხეტებოდა. მესამე დღეს ფოთში ჩავიდა, იმ დუქანში შეიარა, „შემოდი, წაიხემსე“ რომ ერქვა, და კარგა ხანს ეჩურჩულა შედუქნეს. მერე ერთი პილთუმი ტომარა მოუტანა, გეგონება შიგ რკინა ყრიაო, ისე მძიმე...

მზიანი დილა იყო და დუქანი საზეიმოდ მორთულსა ჰგავდა, ბეჩოს მიერ მოხატულ კედელზე შეუმშრალი საღებავი ბზინავდა. გულიასა და მედუქნეს სურათიდან იისფერი და ყვითელი შუქი სცემდა თვალებში.

მედუქნეს მღელვარება ეტყობოდა სახეზე. ტომრის გარშემო ტრიალებდა და თავს აქნევდა. მერე გულიასთან ერთად ტომარა საკუჭნაოში გაათრია.

საღამო ხანს გულია საავადმყოფოში მივიდა გაბუნიას სანახავად. ინჟინერი უკვე წამომდგარიყო და პალატაში კედელ-კედელ დადიოდა.

გულია კატასავით ფრთხილად შევიდა. კარებიდანვე დაუქნია თავი:

— გამარჯობა თქვენი, — თქვა, და, იღლიაში აბგა რომ ჰქონდა ამოჩრილი, ფრთხილად მიაწოდა გაბუნიას. — მცირეა, მაგრამ კეთილი გულით მომიტანია. მიირთვი, შეგერგება.

აბგაში ღორის თიმთიმა ბარკალი იდო. ხორცს ოდნავ თითქოს ფისის სუნი დაჰკრავდა.

— მადლობელი ვარ, რატომ სწუხდებოდი! — გაბუნიამ ხელი გაუწოდა გულიას. — თავი მაინც არ დაანებე ნადირობას?

გულია წელში გასწორდა:

— დავანებე, როგორ არა! ეგ უკანასკნელი ტახისაა. გახსოვს, მხარში რომ ამომიდექი? აი, მაშინ ვუთხარი ჩემს თავს: „აბა, ბებერო გულია, შენ იცი, რომელ ტახსაც უკანასკნელად მოჰკლავ ჭაობიანში, ძველი სამტრედიელი ბემანქანის შვილის, ინჟინერ გაბუნიას წილ-კერძი უნდა იყოს-მეთქი“. ჩემი თოფი მაგის მეტ ტახს აღარ მოჰკლავს. ჭაობებისათვის სიკვდილის დრო დადგა, ხალხისათვის კი — სიცოცხლისა. თუ არ მიწყენ, ერთი რამ უნდა გითხრა კიდევ: ერთი პატარა ძეგლი ჰქონდა, ცეცხლში ჩააგდო და ძალიან დაენანაო, მართალია?

— მართალია.

— ზეინკალმაც ეგრე მითხრა. არ ინაღვლო. სიარულს რომ შეიძლებ და დროსაც იპოვნი, ჭაობიანში წაგიყვან. იქ ერთი

მართლა კარგი რამ უნდა გაჩვენო. ჩემს გარდა კაციშვილმა არ იცის.

— რა არი მაგისთანა?

— ნუ ჩქარობ, მოესწრები. ალბათ ათასი წელიწადია იმ ჭაობში გდია. — გულიამ გაიცინა. — ჭაობები მთლიანად მე მეკუთვნოდა, როგორც ერთ დროს თავად დადიანს სამეგრელო. ნამდვილად ეგრე იყო. ჭაობების ბატონი ვიყავი, რასაც იქ ვიპოვნიდი, ჩემი იყო. ისიც ჩემია, ერთი კარგი რამ უნდა გაჩვენო-მეთქი რომ გითხარი. გაჩვენებ და გაჩუქებ კიდეც.

გაბუნია ბევრს ეხვეწა, მითხარი რა არიო, მაგრამ გულიამ მაინც არ უთხრა. არაო, თავს იქნევდა.

მერე გულიამ დუქნისკენ გაიარა. დუქანში არტემ ქორქია, ბეჩო და რამდენიმე ძმაკაცი ყველაზე გულადი ფოთელის მიხას პატივსაცემად მცირედ პურობდნენ. წყალდიდობის ჟამს მიხას ვაჟკაცობის ამბავი მეხივით გავარდნილიყო ხალხში.

გულია რომ დაინახა, არტემ ქორქიამ ბზისჯოხი ჭერისკენ აიშვირა და შესძახა:

— მონადირე ძაღლი მართლა გაყიდე, კაცო?

— დღეს თოფსაც ვყიდი, ქოფაკო, — პირში მიახალა გულიამ და მაგიდას მიუჯდა. — მუშაკაცს თოფი რად უნდა? მუშაკაცს კარგი ხელები უნდა.

ბ ა ჭ ე ვ ა

ლაპშინმა და ნევსკაიამ ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ იდავეს, სად უფრო აჯობებდა ახალი ხარისხის ჩაის — „თეთრი თმის“ მოშენება: მთის ფერდობებზე თუ დაბლობ ადგი-

ლას. ლაპშინი მოითხოვდა, რომ დაბლობ ადგილას მოეშენებინათ, დაბალზე ნაკლები ქარი იცისო. ნევსკაია მთის ფერდობების მომხრე იყო, დაბლობში მეტი სიცივეა, „თეთრი თმა“ ვერ აიტანსო.

საცდელად მთის ფერდობებზეც დარგეს და დაბლობშიც. ჩაის ბუჩქთა ამ შეჯიბრებას ყველანი ერთნაირი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს.

აი სწორედ ამ დროს შეეჯავახა ლაპშინი ინჟინერ გაბუნიას.

ლაპშინმა აიჩემა, მთავარი არხის გასწვრივ ლიმონი უნდა ჩავყაროთო. გაბუნია სასტიკი წინააღმდეგი იყო, იქ უფრო სარამე ნიადაგიაო.

დავაში კახიანი ჩაერია და მოხსენებითი ბარათი გაგზავნა მოსკოვში. მალე მოსკოვის პასუხიც მოვიდა, რამი დარგეთო.

ამ ამბის შემდეგ ერთხელ ნევსკაიამ სიტყვა გადაუკრა ლაპშინს, ცუდი როდი იქნება თუ ზოგიერთი ბოტანიკოსი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე წავაო. ლაპშინმა იწყინა, დაეუბრა, აღარ ელაპარაკებოდა. ნევსკაიას თვითდაჯერებულობა ძარღვებს უშლიდა, საბაბს ვიპოვნი თუ არა, არ შევარჩენ, მწარე-მწარეებს ვეტყვიო. საბაბიც მალე იპოვნა.

კონსერვატორიიდან წერილი მიიღეს, პროვანსულ ლერწამზე იწერებოდნენ, იქნებ კოლხიდაში ხარობს და ფოთის მახლობლად მოშენებას ხომ არ ფიქრობთო. ლაპშინმა მხრები აიჩეჩა: ნეტავი რამ დააჭირვა კონსერვატორიას ლერწამიო. მერე წერილს კუთხეში წვრილად წააწერა:

„უპასუხეთ: კოლხიდაში არავითარი პროვანსული ლერწამი არ არის და არც ყოფილა“.

წერილი ნევსკაიას ჩაუვარდა ხელში. მივიდა, ის წერილიცა და ლერწამის მრგვალი, ხმელი ტოტი მაგიდაზე დაუდო და უთხრა:

— შეგეშალათ. პროვანსული ლერწამი კოლხიდაში ველური სახით ხარობს. აი ნიმუში.

— ძალიან კარგი, მაგრამ კონსერვატორიას რისთვის უნდა ლერწამი?

— როგორ თუ რისთვის? ლერწმისაგან ფლეიტებს, ფაგოტებს, ბუკებს აკეთებენ!

— რა დროს სასტვენებია, ქალბატონო, როცა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი?

— მუსიკა რა, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი არ არის?

— აურზაურია არაფრის გამო, — უპასუხა ლაპშინმა. — ჩემი აზრი თუ გნებავთ, ასეთია.

ნევსკაია წამოჭარხლდა. ყურებს არ დაუჯერა.

საღამოხანს ლაპშინმა სასადილოში შეიარა, რომელსაც ძველებურად დუქანს ეძახდნენ, თორემ დიდიხანია კოოპერაციული სასადილო იყო.

ლაპშინს უძილობა დასჩემდა. ამ ამბავს კოლხიდის „მოხარშულ“ ჰავასა და ნევსკაიას თავხედურ საქციელს აბრალებდა. დუქანში ღვინის დასალევად შევიდა — დავლევ, იქნებ მაშინ მაინც დამეძინოსო.

დუქანში ხალხი არა ჩანდა. მედუქნეს დახლზე ჩამოედო თავი და ბებერ ბუსავით ყვინთავდა. ბეჩოს ნახატს ჩაბეუტული ნათურის მქრქალი შუქი ადგა.

ლაპშინი სურათს დააცქერდა. განა შქერს ასეთი ფოთოლი

აქვს? რას არ მოიგონებენ ეს მხატვრები, როგორც უნდათ, ისე ხატავენ!

კუთხის მაგიდასთან ლაპშინმა გაბუნიასა და ნევსკაიას მოჰკრა თვალი. აქ მოდიო, დაუძახა გაბუნიამ და სკამი გამოუწია. ლაპშინი დაჯდა, მაგრამ ვაი იმ დაჯდომას — ნევსკაია თვალში ეჩხირებოდა.

საუბრისთვის თავი რომ მოება, ლაპშინმა ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— რაც უფრო მეტხანს ვუცქერი ამ სურათს, მით უფრო მეტი აღშფოთება მიპყრობს. განა ეგ ლიმონებია? ნამდვილად ლუდის ბოთლებია!.. ახლა ფოთლებს შეხედეთ! მწვანე ჭურჭლის ნამსხვრევსა ჰგავს... არც გემები უნახავს ვინმეს რიონში. კოლხიდა სრულებითაც არ იქნება ეგეთი, როგორც მაგ სურათზეა დახატული. ვერ გამიგია, ვინ აძლევს მხატვრებს უფლებას, რაც თავში მოგივათ, ყველაფერი დახატეთო.

გაბუნიას ჩაეცინა. ლაპშინს გულმა რეჩხი უყო.

— თქვენ რა, ბევრი გესმით ამ საქმეში? — ისეთი ხმით თქვა ლაპშინმა, რომ თვითონვე მიხვდა, ძალიან მწარედ მომივიდაო. — მაინც რას ხედავთ ამ ნათხუპნში?

— მომავალს, — უპასუხა გაბუნიამ.—ჰო, მართლა, ლენინი და პისარევი თუ წაგიკითხავთ?

— ზოგიერთი რამ.

— მაშ შეგახსენებთ, — გაბუნია ნელა, უხალისოდ ლაპარაკობდა. — ლენინი ამბობდა, ყველაზე ელემენტარულ საერთო იდეაშიც ფანტაზიის ნაწილიაო, უზუსტეს მეცნიერებაშიც კი სისულელეა ფანტაზიის როლის უარყოფაო. ფანტაზია

რომ არ ყოფილიყო, არც კოლმატაჟი გვეცოდინებოდა და არც ევკალიპტის ტყეები იხარებდნენ კოლხიდაში.

ლენინი პისარევს ეყრდნობოდა. პისარევი კი დაახლოებით ასე წერდა: „ადამიანს გონებით წინწარბენა და დასრულებულ სურათად წარმოსახვა რომ არ შესძლებოდა თავისი ქმნილებისა, რომელსაც ის-ის არის მოჰკიდა ხელი, ვეღარც კი წარმომიდგენია რა მიზანი აიძულებდა დაეწყო და დაემთავრებინა დიდი, მომქანცველი რაიმე სამუშაო ხელოვნების, მეცნიერების რომელიმე დარგში, ან თუნდაც პრაქტიკულ ცხოვრებაში“. ხედავთ, თითქმის ზეპირად მახსოვს, მე კი მეშინოდა, რომ მალარია მახსოვრობას დამიკარგავდა. თქვენი კითხვის პასუხად ვახსენე პისარევი. ბეჩოს სურათზე კოლხიდის მომავალი ჩანს. ვუცქერი ამ სურათს და იმ ქვეყანაში ცხოვრება მინდა, ბეჩომ რომ დახატა... ვიცხოვრებ კიდეც.

— შესანიშნავი ამბავია! — თქვა ფერწასულმა ლაპშინმა. — რა გაეწყობა, უნდა დაგეთანხმოთ; მაგრამ კედელზე მოხატული სურათი სინამდვილეს რომ არ ჰგავს, ამაზე რას იტყვით?

ნევსკაიამ თვალი შეავლო ლაპშინს.

— მაგასაც ახსნა უნდა? — ბრაზიანად ჰკითხა. — ეგ კი, მგონია, უნდა იცოდე, რომ ყოველგვარი შემოქმედება, თვით მეცნიერულიც, მხოლოდ იქ იწყება, სადაც გარემომცველი სამყაროსაგან ბრიყვულად და შიშვლად ასლის გადაღება მთავრდება. ბუნება წარმოშობს, მაგრამ არა ჰქმნის. ამქვეყნად მარტო ადამიანს შესწევს ძალა, რომ შექმნას რაიმე.

ლაპშინი სდუმდა. კარგად ვერ გაიგო ნევსკაიას ნათქვამი.

ამ ლაპარაკში დუქნის კარი ორმა მევიოლინემ შემოაღო.

ისინი ქალაქის ბაღში უკრავდნენ ხოლმე; ახლა ცარიელ მაგიდას მიუსხდნენ და სიმები ააწრიპინეს.

ნევსკაია. ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა ლაპშინის დუმილმა და დაღლილმა გამოხედვამ. მეტისმეტი მოგვივიდა, ძალიან მკაცრად დავესხით თავსაო, გაიფიქრა და ღიმილით მიუბრუნდა:

— ძალიანაც არ გიყვართ, მგონი, მუსიკა, არა? აი ეგენი ახლა ერთ-ერთ არიას შეასრულებენ... დაინახავთ, რომ არც აგრეა საქმე.

ნევსკაია მუსიკოსებთან მივიდა. „პიკის ქალიდან“ ლიზას არია დაუკარითო, სთხოვა, „ღრუბელს ქუხილი მოჰყვა...“ ის არიაო.

გაბუნიამ მუსიკოსების მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინო გადადგა...

მუსიკოსებმა ცოტა ხანს იჩურჩულეს და მერე ერთად მიიდეს მჩრებზე ვიოლინოები. მშფოთვარე ჰანგმა მედუქნესაც აახელინა თვალები. მედუქნემ ეროი გემრიელად დაამთქნარა და დამკვრელებს მიაშტერდა. ცომივით სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

ვიოლინოები ტიროდნენ. თითქოს საკუთარი ხმა სტანჯავთო. ისე ქვითინებდნენ. მერე ერთბაშად მიწყნარდნენ. მედუქნემ ამოისუნთქა და თან გულიც ამოაყოლა.

— როგორია? — ჰკითხა ნევსკაიამ ლაპშინს.

— ბევრი არაფერი! — ლაპშინი წამოდგა. — ჩემი აზრით, მუსიკა მხოლოდ შეყვარებულებისათვის მოუგონიათ მუსიკის ტრფიალის ბრალია სწორედ პროვანსული ლერწმის სიყვარულიც.

ნევსკაია აენთო:

— ვითომ რაო, რა გინდათ მაგითი თქვათ?

— ის რომ, სენტიმენტალური ბრძანდებით.

— თქვენც არ იცით რას ამბობთ! — თქვა ნევსკაიამ და ზურგი შეაქცია.

დუქანში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ლაპშინმა თავისი ჭკუით რაკი შური იძია, ადგა და დუქნიდან გავიდა. მსუქანმა მედუქნემ ბანჯგვლიანი მკერდი მოიფხანა და, კარი მიჯახუნდა თუ არა, ცხვირში ჩაილაპარაკა:

— თავს იგდებს, მამაძაღლი!

მალე ლაპშინმა მეორედაც ამოიყარა გულის ჯავრი. „თეთრი თმის“ ბუჩქებმა ერთნაირად იხარეს დაბლობშიც და მთის ფერდობებზეც. ზოგიერთი კი, და თვითონ კაბიანიც, უფრო დაბლობის ჩაის უჭერდა მხარს, ფოთოლსაც მეტს ისხამს და მაგარიც არისო. ნევსკაიამ ბოდიში მოუხადა ლაპშინს, შევცდიო.

მერე ორივე ნაკვეთში მოკრიფეს ნორჩი, ჯერ კიდევ წებოვანი ფოთოლი და ჩაის ფაბრიკაში გაგზავნეს. მთავარი იყო გემოთი რომელი სჯობდა.

ფაბრიკამ ხელად ორივე ხარისხის ჩაი დაამზადა და უკან გაუგზავნა. ნევსკაიამ შინ მიიტანა ორივე ნიმუში და კვლავ საცდელ სადგურში წავიდა.

ჩოპმა ორი ქეთლი დადგა ცეცხლზე. თან ის დრო მოაგონდა, როცა მატროსები კლიპერზე ცოტა „თეთრ თმას“ იპარავდნენ და საოცრად სურნელოვანი ჩაით ყელს იკოკლოზინებდნენ ხოლმე.

საღამოთი, ნევსკაია შინ რომ დაბრუნდა, ჩოპი აღშფოთე-

ბული დახვდა. ბოლთასა სცემდა ოთახში და ვიღაცას ლანძღავდა, დედის ხსენს არ არჩენდა. ნევსკაიამ იფიქრა, ალბათ კვლავ ქრისტეფორიდიმ უქნა ოინიო, და ის იყო ბიჭის დასაცავად სიტყვის თქმა დააპირა, რომ კაპიტანმა თვალი შეასწრო და შეჰყვირა:

— მომილოცნია! მეტიჩარას კვლავ ჩალა გამოავლე პირში! მაგის ჩაის დამდუღრული ცოცხის გემო აქვს. აი თავად გასინჯეთ.

ჩოპმა ჩაი ჭიქაში ჩაასხა და ნევსკაიას მიაწოდა. ჩაის ნამდვილად სპილენძის ჟანგის გემო ჰქონდა.

— ეგ კაცი სახელს უტეხს საბჭოთა სუბტროპიკებს! — ხმამაღლა თქვა ჩოპმა. — ახლა ეს გასინჯეთ, თქვენისა.

ნევსკაიამ ცოტა მოსვა. ამ ჩაის მწლარტი გემო ჰქონდა.

— ხარისხი კი ერთია! — დაიყვირა კაპიტანმა. — ორივე „თეთრი თმაა!“

ნევსკაია ფიქრობდა: „გემოთი და სუნით ნეტავი ასე რას უნდა განესხვავებინა? ალბათ მიზეზი ის არის, რომ მთის ფერდობებზე უფრო თბილა და სიმშრალეც მეტია, დაბლობ ადგილას კი ცივი ჰაერი გუბდება“. ნევსკაიას დაკვირვებით, მთის ფერდობზე ზამთარშიც უფრო თბილი ჰაერი იცოდა. ვიდრე დაბლობში. ასე, ხუთი გრადუსით მაინც. ამ ცდის ამბავიც ნათლად მეტყველებდა, თუ რა დაკვირვებითა და გულმოდგინებით უნდა მოჰკიდებოდნენ ტროპიკულ მცენარეთა შოშენებას კოლხიდაში, სადაც ესოდენ მკვეთრად იჩენს თავს მიკროსკოპული ჰავა.

რამდენიმე დღეში ჩაქვიდან ორივე ხარისხის ჩაის ანალიზიც მოვიდა. ლაპშინის ჩაი საშუალო ხარისხად მიეჩნიათ,

ნევსკაიასი კი — უმაღლეს ხარისხად. იმავე დღეს ლაპშინმა განცხადება დაუწერა კახიანს შვებულების თაობაზე. კახიანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არ გაგიშვებო.

ზოგიერთი მთლად გამოსულელდაო, ფიქრობდა კახიანი. „რა უნდა ამ მამაცხონებულს? დასვენება? ამაზე კარგ ადგილს სად იპოვნის? თან იმუშავოს და თანაც დაისვენოს. მზე უნდა? ბუნებას მზეც უხვად მოუცია და ზღვაც. არც ჰაერია ურიგო. სიწყნარის მხრივ ხომ სამოთხეა. მეტადრე ფოთის მახლობლად, სადაც ეგ ცხოვრობს, ძაღლის ყეფაც არ ისმის. ქვეყანა კი არა, პოეზიაა“. მაგრამ ლაპშინი თავისაზე იდგა — არა და სულ წავალო. კახიანმა ხელი ჩაიქნია, კარგი, კარგიო. უფრო პრინციპის გულისათვის ჯიუტობდა. თანხმობა მიიღო თუ არა, ლაპშინი გავიდა. კახიანმა თავისთვის წაიჩურჩულა:

— მერე რა, რომ ძველი ინჟინერი ვარ, ქალი თუ მაჯობებს, ფეხებსაც დავუკოცნი. ეგ წითელი კოჭია, ეწყინა! მაგას ჰგონია, ვერ მივუხვდი, რატომ გაიწია შვებულებაში! თავმოყვარეობა ყველას აქვს, მაგრამ თავმოყვარეობაც არის და თავმოყვარეობაც. ყოველთვის მამალივით კი არ უნდა იფხორებოდეს კაცი!

არტემ ქორჭიას სიტყვა

ქრისტეფორიდიმ იმდენი წმინდა, სარკესავით გაუხადა ფეხსაცმელები პატარა პიონერ-ბიჭს. პიონერს სოსო ერქვა.

სოსო გაპრიალებული ფეხსაცმლის ჭვინტში თავის მოღიმარ სახესა და ახალთახალ ყელსახვევს ჰხედავდა.

არტემ ქორქია, სოსოს პაპა, გვერდით იდგა, ჯოხსდაყრდნობილი. აბა, როგორ აპრიალებსო, თვალი ქრისტეფორიდისაკენ ეჭირა და ჯუჯღუნებდა. ეჩვენებოდა, რომ მაქციერა ბერძენი ბიჭი ძალზე ცოტა ზუმბურზეთს ხმარობდა. ქრისტეფორიდი ეჭვიანად უბღვერდა: „არაფერი არ იცი. ცოტა— უფრო მაგრა აპრიალებს. დამანებე თავი!“ — ფიქრობდა გუნებაში.

იმნაირად გახარებული არტემ ქორქია ჯერ არავის ენახა ფოთში. შვილიშვილს წითელი ყელსახვევი რომ დაუნახა, კინაღამ ცეკვა დაიწყო. შვილიშვილიც ამნაირი უნდა, აბა ნახეთ, თუ შალვა გაბუნიასნაირი ინჟინერი არ გამოვიდესო.

პიონერობის ამბავს ახლა ისიც დაერთო, რომ რაზმის დავალებით სოსო კოლხიდაში მომუშავე სწავლულ ხალხს უნდა მისალმებოდა. ამან სულ გადარია არტემ ქორქია.

— სად უნდა წარმოთქვა სიტყვა, ოქრობიჭო? — შეეკითხა ქრისტეფორიდი სოსოს.

სოსოს, ცოტა არ იყოს, ეწყინა: დაცინვის კილოთი შემეკითხაო. მაგრამ არაფერი უთხრა. ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭი ხუშტურიანი იყო და ჯიბით შურდული დაჰქონდა. ვაი თუ ყვირილი დაეწყო!

სოსოს გარშემო ხალხმა მოიყარა თავი. ჯერ მატროსივით გამოწყობილი გულია მოვიდა, ცისფერი ჯუბა და ცისფერივე შარვალი ეცვა, მერე „დიდი კუნძულის“ ბებერი მრეცხავი დედაკაცი და მილიციელი გრიშა მოვიდნენ.

ქორქია აყვირდა, წყნარი ლაპარაკი არ ეხერხებოდა.

სწავლული ხალხი ფოთში გამოფენას ხსნისო, ყვიროდა ქორქია, იმ გამოფენაზე ყველანაირ ახალ ხილსა და ბოსტნე-

ულს, ათასნაირ ძვირფას მცენარეს ნახავთო, გახსნაზე კი ჩემი სოსო იმნაირ სიტყვას იტყვის, „პრავდაშიც“ რომ არ წაგიკითხავთო!

— ეგ ვინა ყოფილა, ლამის სიცილისგან გავიგუდო, — ამბობდა გრიშა. — რა ბაქიბუქა ბებერია! „პრავდა“ არც წაუკითხავს, მაგან წერა-კითხვაც არ იცის.

ქორქია აღელდა:

— მამის ტოლ კაცს მაგას როგორ მეუბნები! მე თუ არ ვიცი კითხვა, აბა ახლა ჩემი პატარა ბიჭი ნახე. რაც ფოთიდან ქუთაისამდე მილიციონერები ხართ, კითხვაში სუყველას თითს მოგაკაკვინებთ!

შელაპარაკდნენ. რა ამბავია, რა ჩხუბი ატეხეთო, შესძახა ქრისტეფორიდიმ, და ყუთს ჯაგრისით ბაგაბუგი აუყენა. მოკამათენი დაშოშმინდნენ. ქრისტეფორიდიმ ფულზე უარი თქვა.

— პიონერებს უფასოდ ვუპრიალებ! — ვითომც არაფერი მოხდაო, ისე თქვა, და სახეზე შეეტყო, რომ თავისი საქციელი თვითონვე მოეწონა, ჭკუაში დაუჯდა.

ქორქია ქუჩას გაუყვა, ხელი მაგრა ჩაეჭიდა შვილიშვილისათვის. გეგონება ზეიმზეაო, ისე გრძნობდა თავს. ის დღე თითქოს ახალი მზე იყო, ქორქიას ცხოვრების ცაზე რომ აენთო.

ბერიკაცი ათასნაირ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს იგონებდა. თავის გულში. გამოფენის გახსნაზე სიტყვის წარმოსათქმელად ემზადებოდა. გამოვა და თავისას იტყვის. რატომაც არ უნდა გამოვიდეს როგორც ძველი მცხოვრები ხორგისა, სადაც რამდენიმე დღეში მთავარი არხი უნდა გახსნან!

გახსნის წინ ნევსკაიამ მთელი საღამო და მთელი ის ღამე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაატარა. გარდა ნევსკაიასი და ჩოპისა, დარბაზში არავინ არ იყო. ჩოპს ლაპარაკის საღერღელი აეშალა, მაგრამ რაკი ქალი უნდომანდოდ აძლევდა პასუხს, თვითონაც გაჩუმდა.

ნევსკაია ისე აკვირდებოდა ყოველ ხესა და ბუჩქს, თითქოს პირველად ხედავდა.

ხეებს შუა ჩამოკანკურებული ნათურები თვალისმომჭრელად თეთრ ხოჭოებსა ჰგავდნენ. შუქი ძლივს ატანდა ფოთლებში.

ნევსკაია შედგა, ყური მიუგდო. მოეჩვენა, რომ ოდნავ გასაგონი შრიალი მოესმა ფოთლებისა, მერე ტოტების ლაწალუწი და წყლით გაჟღენთილი მიწის ბუბუნიც გაიგონა.

თავისი ხუთი თითივით იცნობდა ნევსკაია იმ ხეებს, უყვარდა, ყველას ზნე-ხასიათი იცოდა. ყოველი ხე სიმდიდრის წყაროაო, ამბობდა. ეს მდუმარე არსებანი ათასნაირ ძვირფას წვენს აგროვებდნენ თავიანთ ფესვებში, ტოტებში, ქერქში, ყვავილებსა და ბუტკოებში.

ზოგიერთ ხეს ძველ ღვინოსავით მაგარი წვენი ჰქონდა, ზოგსაც — სამკურნალო, სურნელოვანი, მასაზრდოებელი, გამაბრუებელი, გამომაფხიზლებელი, ცხიმიანი და წყურვილისმომკვლელი. ხეებს ლპობისაგან დამცველი წვენიცა აქვთ, ზოგ-ზოგი ხის წვენი რეზინივით იწელება, ზოგმაც წყალივით თხელი წვენი იცის.

მცენარეებსაც თავიანთი სისხლძარღვები აქვთ. ელემენტების ქიმიური გარდაქმნის რთული და განსაცვიფრებელი პროცესი ამ სისხლძარღვებშიც ხდება. მზე, ჰაერი, მტკნარი

წყალი, რიონის შლამი და სიბნელე — დიახ, სიბნელე, იმიტომ რომ, თუ არა ღამის სიბნელე, მცენარეს სიცოცხლე არ შეუძლია, — საოცრად სურნელოვან ნაყოფს ამწიფებდნენ.

გეგონება ბავშვები არიანო, ისე ეალერსებოდა ნევსკაია ყოველ მცენარეს და თვალწინ უცხო რამ სამყარო ჰქონდა გადაშლილი. კაცობრიობის მთელი მატერიალური კულტურის ისტორია, მთელი გეოგრაფია ამ უწყინარ ხეებში იყო ჩაკირული.

რას არ ნახავდა აქ კაცის თვალი — ბამბუკსა და ევკალიპტს, ვარდისფერ ტკბილ ბატატს, რვაკილოიან იაპონურ ბოლოკსა და დიდ-დიდ გრეიფრუტებს, ფორთოხლისა და ლიმონის გემო რომ ჰქონდათ.

თურინჯ-ნარინჯის ნაყოფში — ლიმონში, ფორთოხალში, კინკანსა და მანდარინში — იდუმალი რამ ვიტამინია C. უამვიტამინოდ ადამიანს თავ-პირის სატკივარი — სურავანდი ემართება. სურავანდი სისხლს უშრობს პოლარულ ექსპედიციებს. ამ სენით შეპყრობილს ღრძილებიდან სისხლი და წალა სდის. სურავანდიანი ხელს მოიკიდებს თუ არა, კბილი ზედ აჰყვება, არავითარ ტკივილს არ გრძნობს.

ნევსკაიამ ჩოპს გადახედა, თითქოს შეებრალა კიდეც, წეღან რად გავაჩუმეო. ჩოპი სიტყვისთვის ჯიბეში არ ჩაიყოფდა ხელს, ხელად მოჰყვებოდა რომელიმე პოლარული მკვლევარის დაღუპვის ამბავს. ალბათ ბევრ ტყუილსაც იტყოდა, მაგრამ არც ამით დაშავდებოდა რაიმე.

ეს ხეები ბავშვების ერთგული მეგობრებიც იყვნენ. იაპონური მანდარინის — „უნშიუს“ ფოთლები, ალბათ, ამიტომაც

ჰგვანდნენ ბავშვის ხელებს. ნევსკაია „უნშიუს“ უცქეროდა: ფოთლები ბავშვის ხელისგულივით ამობურცულიყვნენ. „უნშიუ“ ტანით პატარაა, მაგრამ ყოველ წელიწადს ოთხიათასამდე მანდარინს ისხამს. როცა ჰყვავის, ბუტკოებში ფოთლები აღარც ჩანან.

ნევსკაია ახლა ფორთოხლებს მიუბრუნდა. ცალ მხარეს რიზის ჯიშისა ეყარა, უფერული, ტლანქი, თურქებს ყოველ შემოდგომაზე ნავებით მოჰქონდათ ტრაპიზონიდან ამ ჯიშის ფორთოხალი. ირწეოდნენ ნავსადგურში ნავები, მოუსვლელი ფორთოხლით სავსენი, და კიოდნენ, მუშტარს ეძახდნენ მენავენი, აბა ჰა, ტომრიანად წაიღეთო.

ხელოვნურ კოინდარზე ცივი, დაისის ფერში ამოვლებული — ყვითელი ლიმონი ეყარა. ნევსკაიამ „ლაიმკვატს“ წააატანა ხელი. ლიმონს ისეთი თხელი კანი ჰქონდა, რომ კურკა ჩანდა. „ლაიმკვატი“ სიცივის ამტანი ლიმონია, მკაცრ ზამთარსაც კი უძლებს.

ნევსკაია დარწმუნებული იყო, რომ თითქმის ყველა სუბტროპიკული მცენარე აიტანდა კოლხიდის ჰავას და იქაურ იშვიათად თოვლიან ზამთარს. მხოლოდ მცირე რამ დაცვა იყო საჭირო. იქაურებს ხშირად უთქვამთ, ნაზ მცენარეებს ყინვა იმდენს ვერაფერს უშვრება, რამდენსაც თოვლიო. თოვლს დასდებს თუ არა, ხეებს ტოტები ემტვრევათ და იღუპებიანო.

თოვლი ფოთში იშვიათი ხილია, მაგრამ ეს სუბტროპიკული თოვლი ძალიან განსხვავდება ჩრდილოეთის თოვლისაგან: უფრო ხვავრიელია და მძიმე, თანაც მატყლივით იკბინება.

ნევსკაიამ საათს შეხედა. შუაღამე გადასულიყო. მე ნუ

დამიცდი, წადიო, უთხრა ჩოპს. ჩოპს არაფერი უთქვამს, ჩუმად გავიდა დარბაზიდან.

ნევსკაია დიდხანს ყნოსავდა ნარინჯს, რომლის თეთრი, ულამაზესი ყვავილი — ცნობილი ფლორდორანჟი — ძველად ქორწილებს ამშვენებდა, ახლა კი ამ ყვავილისაგან უნაზეს ესენციას ამზადებდნენ.

ჭიაფერ ხურმას, შავმოიისფრო, ვეჟანი ცვარი რომ ეყარა, ხელს ვერ დაადებდი: ხელად ფუჭდებოდა. თითო ხურმა ორ კილოს იწონიდა. ამ ხურმით შაქარსაც ხარშავდნენ და ბურახსაც ხდიდნენ.

ხურმის გვერდით პატარა იაპონური ზღმარტლი იდო, ჭაჭების პირველი, უებარი წამალი; მერე ჩინური ლაქის ხე იდგა ცალკე და ხეტიტას რამდენიმე ნიმუში ეწყო. მერქნის ვერტიკალური შრეები ხეტიტას ერთმანეთის პარალელურად არა აქვს, როგორც ყოველ ნორმალურ ხეს, უცნაურად გადაკვანძული შრეები თითქოს არშიებს ქმნიან. ამიტომ არის ხეტიტა მოქნილიცა და მაგარიც. ეს ხე აეროპლანის პროპელერებისათვის მოაშენეს.

ნევსკაიას ყველანაირი ატამი უყვარდა, გინდა ვარდისფერი ყოფილიყო და გინდა ყვითელი. ატამი ბავშვის ბუსუსიან ლოყებს აგონებდა. ერთი ამნაირი ატმის წვენი მთელ ჭიქას აავსებდა.

ნევსკაია ბოჭკოიან მცენარეთა განყოფილებაში გავიდა. იქ ტანადი, მაგრამ ართვალი ჭინჭარი — რამი იდგა.

მთავარი არხის ჩრდილოეთით უკვე რამდენიმე პლანტაცია იყო რამისა. რამს წელიწადში ორჯერ სთიბავდნენ. ყოველ ჰექტარზე ოთხმოცი კილოგრამამდე აბრეშუმივით ბოჭკოს იღებდნენ.

იქვე დრაცენას დანასავით გამოეშვირა ბასრი ფოთოლი. დრაცენას ფოთლებს ნავსადგურის ყველაზე ღონიერი მტვირთავებიც ვერა ხევდნენ. წვალებით კი ბევრსა წვალობდნენ ხოლმე, ხელებს იბალთავდნენ და ოფლში იწურებოდნენ.

აქვე ხარობდა აგრეთვე ძველი ზღვაოსნის, კაპიტან ჯემს კუკის ძღვენი: ახალზელანდიური სელი.

ნევსკაიას ჩოპის ნაამბობი მოაგონდა, კუკზე რომ ჰყვებოდა ხოლმე. ყოველ ხელობაში შეიძლება იპოვნოს კაცმა კარგი ტრადიციების ძალა. ამ ტრადიციებით სულდგმულობდა ჩოპი, ამ ტრადიციების ცეცხლით იწვოდა, როცა იმ პირქუშ და უბრალო კაპიტნებს იგონებდა, რომლებმაც წინდახედულობის ფასიც იცოდნენ და ვაჟკაცობისაც, თავის დროზე თავმდაბალნიც იყვნენ და მედიდურნიც.

ჩოპმა თითქმის ყველა იმ კაპიტნის ბიოგრაფია იცოდა, საათობით შეეძლო ლაპარაკი.

კუკი ჭალიკონმა მოაგონა ჩოპს. იმ შემწველ ქარს დააღწიეს თუ არა თავი, ხელად კუკზე ჩამოაგდო სიტყვა. ლაპშინის საქციელი მოიგონა და ნევსკაიას უთხრა:

— უბირი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ლაპშინი სწავლული კაცია. კუკს მთელი თავისი სიცოცხლე ხეპრე და უვიცი ეძახეს. მეცნიერები უფრო იმიტომ იტანდნენ, გამოცდილი მეზღვაური რომ იყო და თანაც ექსპედიციის უფროსი, თორემ როგორც მკვლევარს ჩირადაც არ აგდებდნენ. ან რა უნდა მოეთხოვათ ისეთი კაცისაგან, რომელსაც წესიერად სიტყვა სიტყვაზე ვერ მიება! კუკმა კარგად იცოდა, რა ჭირიც სჭირდა. ამიტომაც იყო, რომ ამ ქვეყნად ისე არავისა ეშინოდა, როგორც მეცნიერებისა. ქარიშხალი, ყინული, ღმერთი თუ

ეშმაკი ფერს ვერ შეუცვლიდნენ, მაგრამ მეცნიერთა წინაშე ყოველთვის ენა ებმოდა, დღიურსაც ძალიან იშვიათად ჩაუჯდებოდა ხოლმე. თავისი აზრი არაფრად მიაჩნდა და ამიტომ თითქოს ქაღალდსაც არ ანდობდა. მაგრამ კუკი ხანდახან ჩუმად მაინც იწერდა რა ადგილს გაივლიდნენ, როგორი ამინდი იდგა, რა ქარი უქროდა ხომალდს. კუკის დღიურში ბევრი ბეტად მოულოდნელი სტრიქონია. ერთხელ, როცა კუკი ანტარქტიკისაკენ გაიჭრა და მძვინვარე ქარიშხალს გიჟივით შეება, როცა მეზღვაურები ველარ სცნობდნენ თავიანთ წყნარ კაპიტანს, კუკის დღიურში ერთი ასეთი სტრიქონი გაჩნდა: „ამ არემარის სილამაზემ მომხიბლა და თანაც შიშის გრძნობით აღმივსო სული“...

ბოჭკოიან მცენარეთა განყოფილებიდან ნევსკაიამ ტუნგოს ხეებისაკენ გაიარა, მერე ზეთის ნემსიწვერასთან შედგა.

ხელში რამდენიმე ფოთოლი მოფშვნიტა და ნემსიწვერას ზეთის მკვეთრმა სუნმა მთვლემარე სოფელი, ზაფხულის დღეები და მარმაშიანი ფარდები მოაგონა. ფანჯრის რაფაზე მარმაშიანი ფარდის უკან ედგათ ხოლმე პატარა ქოთნით ნემსიწვერა.

ძველად ზეთის ნემსიწვერას მეშჩანთა და ობივატელთა ყვავილს ეძახდნენ. ნამდვილად კი მუშათა გარეუბნების ყვავილი იყო, ერთადერთი ზეთის ნემსიწვერა ამკობდა ღარიბი ხალხის ეზო-ყურეს. ნემსიწვერა იაფიც ღირდა და თანაც ჩახუთულ სარდაფებსაც კარგად იტანდა.

ნევსკაიამ ხელი შეახო მზიანი მიწაწყლის თავდახრილ სტუმარს, რომლის მრგვალ და წითელ ყვავილებს კრიპტომერიის ბეწვიანი ტოტები დასდგომოდნენ თავზე. კრიპტომერი-

ის ტოტებს მოცვის მტევნებივით ეკიდა უამრავი პაწაწინა ჩაბჟიტული გირჩა.

ბოსტნეულს სველი მიწის სუნი ჰქონდა, მშრალ სასიგარე თამბაქოს კი — მოტკბო მტვრისა. იქვე გვერდით ორ ხვავად ეყარა ბრინჯი და ხორბალი.

ქაფურის ხეებთან რომ დივანი იდგა, ნევსკაია იქ ჩამოჯდა. დაღლილობისაგან ძალზე სტკიოდა თავი და ქაფურის სუნი ცოტა უყუჩებდა ტკივილს. შორიახლო რამდენიმე ქონისხე იდგა. ამ ხის ნაყოფის ქონისაგან ჩინეთში შესანიშნავ სანთელსა და საპონს ამზადებდნენ.

ნევსკაიამ იცოდა, რომ კოლხიდაში ტროპიკულ და სუბ-ტროპიკულ მცენარეთა თხუთმეტი ათასამდე სახეობა შეიძ-ლებოდა ეხარებინათ. ამ გამოფენაზე თავმოყრილი მთელი სიმდიდრე კოლხიდის მომავლის მხოლოდ მცირე ნაწილად ეჩვენებოდა.

ნევსკაიას ძილი მოერია, ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ ქარ-მა ღია ფანჯარა მიაჯახუნა და გამოაღვიძა. შრიალებდნენ ფოთლები და ჭერზე ათასნაირი უცნაური ჩრდილი დაბორია-ლობდა.

ქარმა თმა გაუწეწა ნევსკაიას და ნემსიწვერას ფოთლები ზედ მიაყარა.

ქალი წამოდგა და ქუჩაში გავიდა. გარეთ ზღვის სუნი იდგა. კამეჩები ბოლოკით დატვირთულ ურემს მიათრევდნენ. ისინი თითქოს სევდიანი თვალებით შესცქეროდნენ ნევსკაიას. მეურმეს ეძინა. ურმიდან წყალი წვეთავდა.

ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მარტო გრიშა იდგა

გზაჯვარედინზე და პაპიროსს ეწეოდა. ნევსკაია რომ დაინახა, გაუღიმა და ხელი ქუდთან მიიდო.

მზე ნელ-ნელა ამოიწვერა.

ნევსკაია ნავსადგურში მივიდა, ჯებირს მოეფარა და იბანავა. ზღვა, თითქოს იზმორებაო, ისე ხვნეშოდა. ნამძინარევი ტალღა ხამუშხამუშ ქვიან ნაპირზე იმტვრევდა თავს.

წყალი ცივი იყო და ნევსკაია ხელად გამოფხიზლდა, აღარც უძილობას გრძნობდა და აღარც დაღლილობას. როცა ტანსაცმელს იცვამდა, მზე უკვე მთელ ნავსადგურს მოეფინა, მზეში ბრწყინავდნენ მშვიდი ნავმისადგომებიცა და გემების ჟანგიანი ქიმებიც.

ერთ-ერთი ხომალდის გემბანზე ბოლი იდგა. მატროსები ქიმთან ხელ-პირს იბანდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და კისერში წყალს ასხამდნენ.

პატარა თევზების გუნდი ფრთხილად მისრიალდა წყალმცენარეებთან, ცოტახანს კამკამა წყალში იტრიალა და კვლავ თავის გზას გაუდგა. წყალმცენარეებიდან თვალებგადმოკარკლული კიბორჩხალა გამოვარდა, გააქნ-გამოაქნია თავი და გვერდელად შეუყვა ქვიანს.

შინ მივიდა თუ არა, ნევსკაიამ თავისი პატარა გოგოც გააღვიძა და ჩოპიც. დრო აღარ იყო, მალე გამოფენის გახსნაზე უნდა წასულიყვნენ.

გამოფენა შუადღისას გაიხსნა. ვიღაც არ ნახავდა იქ კაცი. კოლმეურნეები ხორგიდან, სუფსიდან, სენაკიდან და ანაკლიიდანაც კი ჩამოსულიყვნენ. გაბუნია და მიხა მანქანით ერთად მოვიდნენ, მალე პახომოვიც მოჰყვა.

გამოფენა კახიანმა გახსნა.

— ამხანაგებო! — თქვა კახიანმა და შეკრებილთ მკაცრად გადახედა. — ერთი პატარა შეკითხვა მაქვს. მალარიას გაუტანჯიხართ თუ არა? ვისაც მალარია გჭირდათ, გთხოვთ ხელი ასწიოთ... ხედავთ! იმ ერთი პატარა, წითელყელსახვევიანი ბიჭის გარდა, მალარიას არცერთი არ დაუნდვია.

რა არის მალარია? მალარია სიღარიბე და სიღატაკეა, ამხანაგებო! ჩვენი მხარე თუ ღარიბი იყო, მალარიის გამო იყო. კარგად იცით, რამდენი სოფელი ამოვარდა დედაბუდიანად.

თანაც კოლხიდა ყველაზე მდიდარი მიწაწყალია ჩვენს ქვეყანაში. რუსთაველისა და პუშკინის ენით რომ ვთქვათ, ყველაზე უფრო თბილი, ნაყოფიერი, მზიანი და მადლიანი ადგილია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ჭაობი გვახრჩობს. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ჭაობების ამოშრობა და აქ ტროპიკული ზონის შექმნაა. ამ გამოფენაზე ყველაფერს ნახავთ, რაც კოლხიდაში უნდა ვახაროთ.

ნამდვილად დანაშაულია, აფსუსია ამ ოქროს მიწაზე სიმინდისა და ღომის მოყვანა. სიმინდის დროც წავიდა და ღომისაც. გეყოთ რაც თესეთ და მოიყვანეთ. ახლა ჩაი, მანდარინი, რამი და ლიმონი უნდა მოაშენოთ. მთელი ზღვის სანაპირო ანაკლიიდან ქობულეთამდე ერთ მთლიან სააგარაკო ზოლად უნდა ვაქციოთ.

ჩვენი შრომის მიზანი მარტო ის კი არ არის, ჭაობები ამოვაშროთ, ახალი ნიადაგი შევქმნათ, გადავაშენოთ ჭილი და მურყანი. არა, ამხანაგებო. მარტო ახალი ბუნების შექმნა როდია მთავარი. ახალ ბუნებასთან ერთად ახალი, ჯანმრთელი თაობაც უნდა წამოვზარდოთ.

წინათ აქაური კაცი დღეში ოთხ საათზე მეტს ვერ იმუშავებდა. მალარია სველი ჩვარივით სწურავდა. ყოველი ფაცხიდან კვნესა და ვაის ძახილი ისმოდა. საუკუნეთა მანძილზე იყო ასე, ამხანაგებო. იყო, მაგრამ არასოდეს აღარ იქნება. მალარიას მალე ბოლოს მოვუღებთ და ჩვენს შვილებს სამოთხის ვაშლივით წითელი ლოყები ექნებათ.

ცოტა პოეტური მომივიდაო, გაიფიქრა კახიანმა და წამოჭარხლდა.

— ჩვენ ტენიანი სუბტროპიკების რაიონს ვქმნით, სოციალისტური ხანის შესაფერის ბუნებას ვუყრით საფუძველს. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ბუნება თავისით არ იხარებს თუ გონიერმა ადამიანმა არ ადევნა თვალყური. ახალ ბუნებას მოვლა და გაფრთხილება უნდა, არა და ტყედ იქცევა.

დედამიწის ისტორიიდან არაერთი მაგალითი ვიცით ბუნების დაკნინებისა, როცა ადამიანმა თავი მიანება ბუნებას და ხელიც შეუშვა. ლეღვის ხე რომ ლეღვის ხეა, ახლა ბევრსაც რომ ისხამს და კარგსაც, ათ წელიწადში ისიც ამოვარდება, თუ პატრონობა მოაკლდა. პაწაწინა, კაკლისოდენა ნაყოფსღა მოისხამს, თანაც უგემურს. ჩემზე კარგად იცით ნამდვილი, კულტურული ვაზი სჯობს თუ კრიკინა და ბაღში მოსულ ვაშლს ტყის მაჟალო რომ ვერ აჯობებს. ანაბანაა, ყველამ კარგად იცით, მაგრამ ზოგიერთს... — კახიანმა ვანო ახმეტელს გადახედა, — დიდხანს არ უნდოდა ამ ანბანური ჭეშმარიტების დაჯერება.

მუსიკოსებმა ტუში დაუკრეს. ქორქიამ ზურგში წაჰკრა სოსოს.

ბიჭი წინ წამოდგა, პამიდორივით გაწითლდა, ქართულად წაილუღლუღა ორიოდე სიტყვა — პატარები ვართ. მაგრამ ახალ ტყეებსა და ხეებს არ დავაზიანებთ, ინჟინრებსაც დავეხმარებითო.

ყოჩაღო. ხალხმა ტაში დაჰკრა. ორკესტრმა კვლავ ტუში დასცხო და კოლმეურნეთა ზურგსუკან მიმალული ქრისტეფორიდი შურით აღივსო.

მერე პახომოვმა და ნევსკაიამ ილაპარაკეს. ქრისტეფორიდი ვერაფერს ვერ მიხვდა. ბოლოს არტემ ქორქია წამოდგა წინ. ხალხი აჩოჩქოლდა.

ქორქიამ თავი დაუქნია კახიანს, პირი დააღო, ცოტახანს იფიქრა და თქვა:

— მადლობელი ვარ, ბატონო.

მერე ისევ დააღო პირი, ხმა არ ამოუღია, მხოლოდ დაიყმუყუნა და კახიანს თავისი ბზისჯოხი გაუწოდა.

ქორქიას თავი მოჰქონდა ამ ჯოხით. ოცი წლისა იყო, როცა მოსჭრა. ჯოხი ერქვა, მაგრამ რკინას არ ჩამოუვარდებოდა სიმაგრეში. მე რაც ვიარე, მეყოფა, ახლა კახიანს ჰქონდეს და ღმერთმა მაგის თავი ას წელიწადს კიდევ გვიცოცხლოსო, ფიქრობდა ბერიკაცი.

კახიანმა ჯოხი გამოართვა და. ორივენი გადაეხვივნენ, გადაკოცნეს ერთმანეთი. ორკესტრმა ნელი ტუში დაუკრა და ყველანი გამოფენის დასათვალიერებლად წავიდნენ.

საღამოთი კი არტემ ქორქიამ დუქანში გუდას თავი მოხსნა, ხალხი გავაგიჟე იმნაირი სიტყვა ვთქვი დილას გამოფენაზეო, ეუბნებოდა ბეჩოსა და გულიას.

— გავედი და პირდაპირ დავიწყე: „მთელი ჩემი სიცოცხლე, ხალხო, ხორგაში გავატარე. რაც მამული მქონდა, წყლით იყო გადარეცხილი. ორჯერ კინაღამ ჭაობში ჩავიხრჩე. მთელი დღე ხმელ მჭადზე და ყველზე ვიყავი. ციებამ ჩხირად მაქცია, ძვლებიღა მიჩანდა. ციებისაგან სამი ვაჟკაცი ბიჭი დამეღუპა“. თავი მომიკვდეს, თუ ასე არ მეთქვას. „მოხუცი ხალხისაგან მადლობა მინდა გითხრათ, — ჰო, რა იყოთ, ვერ ვიტყოდი, თუ რა! — ჩვენი შვილიშვილებისა და შვილთაშვილიშვილების სახელითაც მადლობა მომიხსენებია! საბჭოთა ხელისუფლება ზღვა ფულსა ხარჯავს ჩვენი გულისათვის. მანქანებს, ინჟინრებს, მუშებს რა, ფული არ უნდათ! ტვინი ყველაზე მეტად ფასობს ამ ქვეყნად!“ თავი მომიკვდეს, ასე თუ არ მეთქვას. მერე ჩემს პატარა ბიჭს წავწვდი. „აი ამ ბიჭმა ჭკუით თავის პაპას აჯობა. ახალი დრო ლაღი მხედარივით მიჰქრის წინ, მოხუცი ხალხი ვართ, ფეხს ვერ ვუწყობთ, მაგრამ კუდში მაინც არ მივჩანჩალებთ. მერე რა, რომ უკან მივდევთ“. თავი მომიკვდეს, სიტყვა-სიტყვით თუ არ გეუბნებოდეთ. ხალხმა იხუვლა და ერთი მაგარი ტაშიტუშიც დასცხო.

— ტაშიტუში კი არა, ტუში, — თქვა ბეჩომ. იცოდა, რომ ბერიკაცმა ენაც კი ვერ მოაბრუნა გამოფენის გახსნაზე, მაგრამ თავი დაანება, აღარაფერი უთხრა.

— ჰო, კარგი, ტუში იყოს, — დაეთანხმა ქორქია. — ახლა აღარც მდიდრები არიან და აღარც მენშევიკები, სენაკში ხალხი რომ ააჯანყეს-მეთქი, სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ და ერთმანეთს მოვეფეროთ-მეთქი. როგორ მიყურებთ, ენაზე ჭალი წამომედებოდა, თუ რა!

გულიას ყველაფერი სჯეროდა და უკვირდა. მოერიდა, არ წავიდა გამოფენის გახსნაზე და ახლა ნანობდა, ნეტავი წავსულიყავიო.

— ხუთ დღეში, — თქვა გულიამ. — გაბუნია მთავარ არხს გახსნის და მთებისა თუ ტყეების წყალი ხობში მოიყრის თავს, მერე ხობთან ერთად ზღვას შეუერთდება. გაბუნიამ შენზე მითხრა, ბეჩო იპოვნე და უთხარი, არხზე ამოვიდესო.

— რა ამბავიაო?

— ალბათ სახლებს მოგახატვინებენ. ის კი ვიცი, რომ თაღს ოქროს ასოები უნდა წააწერო.

— მართლა! — გაიღიმა ბეჩომ.

— ისე უნდა ვიქეიფოთ, სადადიანოს რომ არ ახსოვს.

— ერთი საიდუმლო შენც უნდა გითხრა, ქოფაკო. — გულიამ მხარზე დაჰკრა ხელი არტემ ქორქიას. — ჩვენში დარჩეს. მე და შენ დღესვე უნდა წავიდეთ არხზე, ხვალ იქიდან ჭაობებს დავერევით და გაბუნიას ერთ კარგ საქმეს მოვუჭახრაკებთ.

— არ იტყვი, რა საქმეა?

— კრინტი, ახლა არ არის მაგის დრო. პოლიტიკის ამბავია.

ქორქიამ თავი ჩაქინდრა. მერე რა, რომ ბერიკაცია, წავა, ერთხელ კიდევ დაერევა ჭაობებს გულიასთან ერთად. გაბუნიას გულისათვის ცხრა მთასაც გადაივლის, მეტადრე თუ მართლა პოლიტიკაც ურევია საქმეში.

არტემ ქორქია და გულია დილაადრიან ადგნენ, წყვილ კამეჩს უღელი დაადგეს, გადაჭკიდეს ცულები, ბარ-ნიჩაბი, ჭილობი, გადაუჭირეს თოკი და გაუდგნენ გზას.

ქორქია უგუნებოდ იყო, მთელი გზა ხმა არ ამოუღია, გულიას ეშმაკური გამოხედვა არ მოსწონდა.

კამეჩები ფეხს ითრევდნენ, თკალი ჭაობისკენ ეჭირათ. ძალს ისინი იყვნენ, ძალს გულია. რამდენი ჭაობიც დაინახეს, იმდენი ჩასაწოლად გაიწიეს და გულიაც გიჟივით ურტყამდა სახრეს. სახრის შხუილზე ტყის გულში ტურები კიოდნენ და ხარხარებდნენ.

რომაული ციხე-სიმაგრის ნანგრევებს შუადღისას ძლივს მიაღწიეს.

გულიას თვალში ტყე თითქოს გამოცვლილიყო. ნაცრისფერი, მკვდარი ფოთლები ძველებურად აღარ შრიალებდნენ.

წასახემსებლად კლდის ნანგრევებზე ჩამოსხდნენ. გულიამ აბგიდან მჭადი და სულგუნი ამოიღო, მჭადი შუაზე გადატეხა და ქორქიას მიუბრუნდა:

— ძველად აქ ციხე ყოფილა, არტემ, იმ ციხეში კი ძეგლი მდგარა. ახლა ის ძეგლი ამ ჭაობშია. დიდი ფული ღირს თურმე!

ქორქიას ყურიც არ შეუბერტყია, გულგრილად უსმენდა გულიას.

მერე ორი მომცრო ხე წამოაქციეს და ხელნები გათალეს. გულიამ ხელდახელ მარხილი შეკრა, ზედ ფოთლები დაყარა,

შეაბა კამეჩები და მარხილი ჭაობის პირას მიათრევინა. იმ ადგილას ფიჩხი იყო წამოგროვილი.

— აქ რა გვინდა, კაცო? — ჰკითხა ქორქიამ.

— ძეგლი უნდა ამოვიღოთ, არტემ. გაბუნიას ძალიან აყვარებია ძეგლები. წავიღოთ და მივართვათ.

ქორქიას ცოტა ჭკუაში დაუჯდა, უარი აღარ უთხრა. ფიჩხი ხელად გვერდზე გადაყარეს და ქალის ნატიფ მარმარილოს ხელს მოჰკრეს თვალი. ხელს ერთი თითი აკლდა.

— ტურამ თუ მოაჭამა, იმ მამაძაღლმა! — თავი გააქანგამოაქნია ქორქიამ და გაოგნებულივით დააცქერდა მარმარილოს ხელს.

გარშემო ფრთხილად შემოთხარეს და ჯერ თავი გამოჩნდა, მერე გულ-მკერდი, ერთ საათში კი მარმარილოს ქალი უკვე ფეხზე იდგა წყლიან თხრილში და იღიმებოდა. წელქვევით ქვის სიფრიფანა ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული.

ვიდრე სთხრიდა, ქორქიას თავი მაღლა არ აუწევია, ხვნეშოდა, წარამარა ხელისგულებზე იფურთხებდა, ბარს ეჯაჯგურებოდა, სატერფელს უღონოდ ურტყამდა ფეხს. თავი რომ ასწია, წაბარბაცდა. ორმოდან ამოძვრა და გულიას შეჰყვირა:

— მოსატყუებელი თავი ზედ გაბია, შე ტუტუცო! პოლიტიკის ამბავიაო. ტიტველი ქვის ქალია პოლიტიკა?

— ბერიკაცი ხარ, ბოდიშის მეტი რა მეთქმის, — დამცინავად უთხრა გულიამ. — მაგრამ ცოტა კარგად ვერა მსჯელობ. ამნაირი ძეგლის შოვნას დიდი ფული უნდა. აი ნახავ გაბუნიას სიხარულს... მომაწოდე თოკი და ჭილობი!

ქორქიას აღარაფერი უთქვამს, დაბღვერილმა მიუტანა ჭილობი. გულიამ ჭაობიდან მწვანე წყალი აძოიღო და რამდენჯერმე შეასხა ქანდაკებას. ძველ მარმარილოს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი დაუბრუნდა.

მერე ქანდაკებას ჭილობი შემოახვია. გულიამ, გარშემო ფიჩხი შემოუწყო და თოკი შემოუჭირა. ორმოდან ამოსათრევად კამეჩები ჩაუბეს.

დიდხანს აღარ დარჩენილან, დასჭყივლეს კამეჩებს და წამოვიდნენ. ნელა მოდიოდნენ. კამეჩები უსაბროდ ფეხს არ ადგამდნენ. შხუოდა სახრე და კიოდნენ ტურები. არტემ ქორქია თავისთვის დუდღუნებდა. აბა რა უნდა გელაპარაკო. არც ძეგლებისა გაგეგება რაიმე და არც კულტურისაო, ძალით იბოხებდა ხმას გულია, მთელ კოლხიდაში ზეიმია, მთავარი არხი უნდა გავხსნათ, ჩავიტანთ და ზეიმს ამ ძეგლითაც დავამშვენებთო.

არხზე რომ მივიდნენ, უკვე ღამე იყო, მაგრამ გაბუნია ფეხზე ჩანდა, ოთახში შუქი ენთო. გულიამ ფანჯარაზე მიუკაკუნა. გაბუნია იმ წუთას გამოვიდა გარეთ.

— ფარანი წამოიღე, — ჩურჩულით უთხრა გულიამ. — წამოდი! ერთი კარგი რამ მოგიტანე. ჭაობში ვიპოვნეთ.

გაბუნიას ხმა არ ამოუღია. ერთი გადახედა გულიას, ფარანს ხელი წამოავლო და კვალდაკვალ მიჰყვა ყოფილ მონადირეს.

ბოლო ფიცრულის ახლო. კორომთან ეყარნენ კამეჩები და გულიანად იცოხნებოდნენ. ქორქიაც იქვე იდგა. გაღიმებულიყო. ეშინოდა. გაბუნიას საწყენად არ მიეღო. „ვაითუ სულაც მასხარად აგვიგდოს, — ფიქრობდა ქორქია. — ვინ იცის.

იქნებ ისიც გვითხრას: დაბერებულხართ და ჭკუა გაგპარ-ვიათო“.

გაბუნია ახლო მივიდა.

— მოანათე! — ჩუმად უთხრა გულიამ.

გაბუნიამ ელექტროფარანი ჩართო. ფარნის ვერცხლის-ფერ შუქში მორცხვად იღიმებოდა მარმარილოს ქალი.

ქორქიამ შეხედა გაბუნიას და ენა მუცელში ჩაუვარდა. ინჟინერი თვალს არ აშორებდა ქანდაკებას, წარბშეკრული უმზერდა. სიხარულისაგან თითქოს გადაფითრებულიყო. დიდ-ხანს ხმა არ ამოუღია.

— სად იპოვნეთ? — იკითხა ბოლოს.

— ძველი ციხის ნანგრევებში, — ჩაილაპარაკა გულიამ. — ძეგლები გიყვარს და მოგიტანეთ.

— ნამდვილად გამახარე, — წყნარად უთხრა გაბუნიამ. — ბევრს თავი მოაქვს, ძალიან ჭკვიანი კაცი ჰქვია, მაგრამ შე-ნოდენა არ ესმის. რაც კარგი რამ შემორჩენილა ძველთა-ძველი დროისა, ყველაფერი უნდა მოვაგროვოთ... ყოჩაღ, გულია!

ქანდაკებას ისევ ჭილობი შემოახვიეს, წაღებით სამივემ წაიღო. ოთახში შეიტანეს. გულია და არტემ ქორქია გამოემ-შვიდობნენ გაბუნიას და დასაძინებლად ფიცრულში წავიდნენ.

გაბუნია დიდხანს ფურცლავდა ძველ წიგნებს. არიანეს წიგნში ერთი ადგილი მონახა. ფანქარი აიღო და გახაზა:

„ფაზისის პირას, მარცხენა მხარეს, უმშვენიერესი ფაზი-სელი ქალის აღალმა დავდგი“.

გულიამ ალბათ ეს ქანდაკება იპოვნაო, ფიქრობდა გაბუ-ნია.

ფრანგი მოგზაური დებუა დე მონპერე ამ რომაულ ციხესიმაგრეზე წერდა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასი წლით ადრე უნდა იყოს აშენებული. მაშ, გულიას ორი ათასი წლის ქანდაკება უპოვნია.

გაბუნიამ ჭილობი გადახადა მარმარილოს ქალს და დააცქერდა. ორი ათას წელიწადს ოდნავ დაემშხალა ულამაზესი სახე, ალაგ-ალაგ ბზარიც გაეჩინა, მაგრამ მოსიყვარულე, ალერსიანი მზერა და ღიმილი მაინც ვერ ჩაექრო. იმ დღეს არტემ ქორქია დუქანში რომ ამბობდა, სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ, ერთმანეთს უნდა მოვეფეროთო, ალბათ ამნაირ მზერასა და ღიმილს გულისხმობდა.

განთიადისას გაბუნიამ ფანჯარა გამოაღო. ხეების წვეროკინებზე ჩიტები ფართხალებდნენ. ამოწვერილი მზე უზარმაზარი ალმასივით ბზინავდა. ქანდაკებას ფანჯრიდან შემოჭრილი სხივი დასთამაშებდა, მერე ნიავმა თითქოს მოღიმარი ტუჩებიც შეუთრთოლა და გაბუნია მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ უცნობი გენიალური მოქანდაკის ქმნილებას დასცქეროდა.

არხის მთავარ შესასავლელთან წითელი დროშები ფრიალებდნენ. შორიდან ხანძარი ეგონებოდა კაცს. ჰაერი წყაროს წყალივით კამკამებდა.

გაბუნიას გაოგნებულივით მიეპყრო თვალი ქანდაკებისათვის და ფიქრობდა, ძველმა ოსტატმა ორი ათასი წლის წინათ ამ მარმარილოში კოლხიდის მომავალს შეასხა ხორციო.

ლხინი ტყეში

ხანდახან სრულიად უბრალო რამ დაგაყენებს კარგ ხასიათზე! დაუბერავს ქარი, წაიქცევა წყლიანი ჭიქა და დაგავიწყდება დარდი. ის კი არა, ზღვაში მოტივტივე ფორთოხლის ქერქსაც შეუძლია გაგახალისოს ან ხრეშის ხრაშა-ხრუშს. ფანჯრიდან ნაცნობი ხმა თუ შემოგესმა, ზოგჯერ ის ხმა წამალზეც მეტია. შეიძლება კაცმა ლურჯი თაღივით დამხობილ ცას ახედოს და ხელად კარგ გუნებაზე დადგეს. ადამიანისას რას გაიგებ!

ასე ფიქრობდა ნევსკაია იმ დილით.

არა ეგრე როდია საქმეო, არ ეთანხმებოდა ჩოპი ნევსკაიას.

ზღვაში ფორთოხლის ქერქი თუ ყრია, სიბინძურეა და მეტი არაფერიო. გემიდან ზღვაში ნაგვის ჩაყრა ბერძენმა მზარეულებმა იციანო.

ჭიქა თუ წაიქცა და გაზეთი დაასველა, ვერც ეგ არის კარგი საქმეო.

როცა ხრეშს ახალი ტყავივით ჭრაჭაჭრუჭი გააქვს, ნერვიულ ხალხზე ცუდად მოქმედებსო.

არც ნაცნობი ხმა დაგაყენებს ყოველთვის კარგ გუნებაზეო. ენამოჩლექილ ქერა ლოცმანს, ზედმეტ სახელად „ანტონის ცეცხლს“ რომ ეძახიან, ნაცნობი ხმა აქვს. მაგრამ ხელად ხასიათს მოგიშლის, თუ დაიძახა: „შწრაფად, შწრაფად, შამშახური შამშახურიაო“.

— ცა — სხვა ამბავია. სრულიად უბრალო რამ როდია ცაზე კარგის მეტი არაფერი არ მეთქმის.

ნევსკაიამ დავა აღარ დაუწყო. ისეთ კარგ ხასიათზე იყო,

რომ ჩოპის ბუზღუნი თითქოს ესიამოვნებოდა კიდეც. განსაკუთრებით გაიხარა, როცა მანქანის საყვირის ხმა შემოესმა. მანქანას ისინი ჭალადიდში უნდა წაეყვანა. იმ დღეს მთავარ არხს ხსნიდნენ.

ჩოპი მთლად თეთრად იყო გამოპრანჭული. ეტყობოდა, რომ მაგრა ჩამოეფხიკა სახე, კანი გალურჯებოდა.

პატარა ელოჩკა შოფერს მიუჯდა გვერდით. ქრისტეფორიდი საფეხურზე დადგა. მთელი იმ დღის მანძილზე, ზეიმის დასაწყისიდან დასასრულამდე, პირი არ მოუკუმია, კბილებდაკრეჭილი დარბოდა. მეორე დღეს კი უკვირდა, ლოყები რად მეწვისო.

ნევსკაიას ცოტა შეაგვიანდა. როცა გამოვიდა, ყველანი უკვე მანქანაში ისხდნენ. წვიმას ღამით გუბეები დაეყენებინა და კაპიტანმა თვალი მოჰკრა, ნევსკაიას აბრეშუმის კაბის ჩრდილი მწვანე ტალღასავით რომ გაეთამაშა გუბის წყალს.

ქალი შარიშურით მოდიოდა მანქანისაკენ, მოღიმარ თვალებში თითქოს მზის სხივი ჩასდგომოდა. იმ სხივს მარტო კაპიტანი ხედავდა.

კაპიტანმა ხელიც კი მიაშველა ნევსკაიას, რაც ადრე არასოდეს არ უქნია. ქალის ხელის სითბომ თითქოს მთელ ტანში დაუარა და წამით სუნთქვაც შეუკრა. აბა, რა ფასი აქვს მეზღვაურის ცხოვრებას ამ ქვეყნად!

საჭის ტრიალსა და ანძის ჭრიალში გაირბინეს წლებმა და თვალუუქუნა ქალის ალერსიც თან წაიღეს. კოხტაპრუწა ქალები არასოდეს არ მოსწონდა, მაგრამ კარგისთვის დაედგა თვალი, ვინ უშლიდა!

ღმერთმა ოთხგზის დასწყევლოს მეზღვაურის ძაღლური ცხოვრება!

„მორჩა, შენი მტრედი აღარ მოფრინდება! — გაიფიქრა ჩოპმა და მოიჭმუხნა. — ბედი არა გწყალობს, ქოფაკო“.

გზად სუბტროპიკულ სადგურში შეიარეს და ყვავილები მოკრიფეს.

ქარი კაპიტნის ცხვირწინ აფრიალებდა ნევსკაიას მწვანე შარფს და ისიც დარეტიანებულივით იჯდა, ხმას აღარ იღებდა გასნატული.

ნევსკაიამ მთელი გზა იცინა და იკისკისა. უყურეთ, უყურეთ, როგორ გამორბიანო, იტყოდა, როცა სოფლის ორღობეში მანქანას ძაღლები დაედევნებოდნენ, და იცინოდა.

...გაბუნიას ბარომეტრი იმ დღეს კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდა.

მიხა და გაბუნია სისხამზე ადგნენ. მიხას ცისკენ ეჭირა თვალი: ხომ არ იღრუბლებაო. ღრუბლის ნატამალი არსად ჩანდა. მართლა კარგ დღეს იჭერდა. ტყეში, არხის პირას, დურგლები ცულებს აკაკუნებდნენ: ასკაციან მაგიდას სდგამდნენ.

მუშები წვერს იპარსავდნენ. სიმა ქაღალდის ჰილზებს სტენიდა. კარგ ხასიათზე ჩანდა — ხან უსტვენდა და ხანაც ღიღინებდა.

სტუმრებმა შუადღისას მოიყარეს თავი. ჯერ კახიანი, პახომოვი და ვანო ახმეტელი მოვიდნენ, მერე ჩოპი და ნევსკაია. გრიშა მილიციის ორკესტრს მოჰყვა.

არხის წყალში უამრავი პაწაწინა ალამი ტივტივებდა. მაგიდა უკვე გაეშალათ.

სქელი გურული მედუქნე წუხდა, რა ვქნა, მაგიდა დიდია, მთელ სიგრძეზე რომ ჰყოფნოდა, ამდენი სუფრა ვერ ვიშოვ-

ნეო. შემწვარი ცხვრის ხორცის სუნი ლავაშისა და „ადესის“ სუნს ერთვოდა.

არხში, ზედ წყალზე, წვრილი წითელი ლენტი გადაეჭიმათ.

კახიანმა და გაბუნიამ მოტორიან კატარღაში გვერდით არტემ ქორქია მოისვეს, როგორც იმ არემარის ყველაზე ხნიერი კაცი.

კოხტად წვერგაპარსული სიმა საჭესთან თავაწეული იდგა. არხის ორივე ნაპირი ხალხით იყო სავსე.

კახიანმა ხელი დაიქნია და სიმამ მოტორი ჩართო.

კატარღას ცხვირით უნდა გადაეჭრა ლენტი, რაც ეგრე ადვილი არ იყო. სიმამ თვალები მოწკურა, პირში ჩიბუხი გაიჩარა და ლენტი მიზანში ამოიღო. კატარღა ისარივით გაიჭრა, ლენტს ცხვირით დაეტაკა. ლენტი დაიჭიმა და გაწყდა. გაწყვეტილი ბოლოები ჰაერმა აიტაცა.

— ეგეც ეგრე! — შესძახა სიმამ და ხელი მაღლა ასწია.

არხის პირას მდგარმა ხალხმა ყვირილი მორთო. ორკესტრმა „ინტერნაციონალი“ დაუკრა. მუშებმა თეთრი ნაბდის ქუდები მოიხადეს. სიმამ გამორთო მოტორი და კატარღაში ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

უსიერ ტყეებს პირველად ესმოდათ მუსიკის ხმა და ზღვა ხალხის გუგუნი.

ნევსკაიამ ჩოპს გადახედა. კაპიტანს ქუდზე მიედო გარუჯული ხელი და გაჭიმულიყო. „ადამიანები არცთუ ძალიან ხშირად ვისმენთ „ინტერნაციონალს“, გამარჯვების ამ უბრწყინვალეს მუსიკას, — გაიფიქრა ნევსკაიამ. — ალბათ ამიტომაც ვფითრდებით ხოლმე“.

ორკესტრი რომ მიყუჩდა, კახიანმა მუშებს გადასძახა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო! გამარჯვება მომილოცნია!

— გაგიმარჯოს! — ერთხმად უპასუხეს მუშებმა.

— ამხანაგებო! — განაგრძო კახიახ̇ა. — არხი დავ̇ამთავ-რეთ̇ და უფლება გვაქვს ერთი საღამო ̇დავისვენოთ და ცოტა ვიმხიარულოთ კიდეც... მართლა დიდ საქმეს მოაბით თავი, ძალიან დიდ საქმეს. ნება მომეცით პარტიის სახელით ყველას მადლობა გითხრათ. თქვენ, ამხანაგებო, ჭაობიც დაამარცხეთ და უღრანიც, წარღვნაც და ციებ-ცხელებაც. არა მარტო ჭაობი ამოაშრეთ, არამედ უფრო დიდ საქმეს დაადგით გვირგვინი. ორი ამბავი მინდა გითხრათ, ნამდვილი, მართალი ამბავი. აი ჩვენს არტემ ქორქიას მთელი თავისი სიცოცხლე გულზე ავგაროზი ეკიდა — გულგამოცლილი კაკალი და გამხმარი ობობა. ის ავგაროზი მამა-პაპის ნაქონი იყო. მოგეხსენებათ, რომ ძველად ხალხს ობობა ციებ-ცხელების უებარ წამლად მიაჩნდა, შელოცვილს ვითომ ავ̇ადმყოფობისაგან ხსნა შეეძლო. არტემ ქორქიამ ეს-ეს არის მოიძრო ის ავგაროზი̇ და წყალში გადაუძახა. რაღად მინდა კაკალი და ობობაო, თქვა, როცა მალარიას ობობაზე უკეთესად ინჟინრები უღებენ ბოლოსო. აი ხედავთ, თქვენს საქმეს როგორ კულტურაში გამოჰყავს ხალხი. ერთი რამ მინდა კიდევ გითხრათ, ამხანაგებო. აი ფაზისელი ქალის ქანდაკებაზე ვამბობ. ზოგიერთს მგონი ცოტა არასწორად მოეჩვენა̇ ეს ამბავი. უნდა გ̇ამოგიტ̇ყდეთ, რომ ქანდაკებისა̇ ბევრი არაფერი მესმის. არც მიქელანჯელო ვარ და არც ანტოკოლსკი, მელიორატორი კაცი ვარ. მაგრამ ის ფაქტი, რომ გუშინდელმა მონადირემ გულიამ და აგერ ჩვენმა არტემ ქორქიამ ცოტად თუ ბევრად

გაიგეს ამ ქანდაკების კულტურული ღირებულება, ძალიან მახარებს, ამხანაგებო. არაფერზე უარი არ უნდა ვთქვათ, რაც ძვირფასია. გინდა ძველი იყოს და გინდა ძველთაძველი. ყველაფერი ჩვენი სოციალისტური აზრის ქურაში უნდა ვადავადნოთ და ისეთი კულტურა უნდა ჩამოვასხათ, როგორიც ოდესმე ჰქონია კაცობრიობას. გაუმარჯოს საბჭოთა სუტროპიკებს, თქვენი ალალი მარჯვენით შექმნილს. იმხიარულეთ და დრო გაატარეთ, ამხანაგებო!

კახიანის სიტყვის შემდეგ ყველამ იმ გრძელ მაგიდას ძიაშურა. მაგიდის გარშემო თავქუდმოგლეჯილი დარბოდა ოფლში გაწურული მედუქნე. თან უხაროდა, თანაც ცოტა შეფიქრიანებული იყო. სიხარულით ის უხაროდა, რომ ღია ცისქვეშ თავის სიცოცხლეში პირველად მოაწყო ამოდენა ლხინი, ზუსტად ბეჩოს სურათისნაირი, წუხილით კი წუხდა, მაგიდის მთელ სიგრძეზე წელან სუფრა არ მეყო და ვაითუ ახლა ჭურჭელიც დამაკლდესო.

პახომოვი მხიარულ გუნებაზე იყო, თვალებში შესციცინებდა მოქეიფე ხალხს.

— ნამდვილი არგონავტები ხართ, — ეუბნებოდა გაპუნიას. — იაზონმა ოქროს საწმისი აღმოაჩინა კოლხიდაში, თქვენ კი სუბტროპიკები აღმოაჩინეთ. სიტყვამ მოიტანა და მინდა გკითხოთ, იცით თუ არა რას ეძახდნენ ძველად „ოქროს საწმისს“? ჩვეულებრივ ცხვრის ტყავს. აი ამ ტყავს ოქროიან მდინარეში ჩადებდნენ, წყალს რომ არ წაეღო, აქეთ-იქით ქვებს დაუწყობდნენ და მატყლი ოქროს ქვიშით ივსებოდა.

— ძალიან უბრალოდ, კუსტარულად უმუშავიათ, — შეესიტყვა კახიანი, — პოეზია არა ჩანს.

— პოეზია სწორედ უბრალოებაშია, — სიტყვა არ დაუთმო პახომოვმა. — ლეგენდაში ხშირად მომავლის მარცვალია ჩათესილი. ადამიანის წინსწრაფვა სათავეა ყოველი ლეგენდისა. იკაროსის თქმულება ერთ-ერთი ყველაზე უბრალო თქმულებაა. ჩვენი დროის ყოველი მფრინავი იკაროსი გახდა. მითი ამბობს, იაზონი მიწას ცეცხლისმფრქვეველი ხარებით ხნავდაო. როგორა ფიქრობთ, რა უნდა იყოს ცეცხლისმფრქვეველი ხარი?

— ტრაქტორი, — გაეცინა გაბუნიას.

სწორიაო, თავი დაუქნია პახომოვმა. ჩოპმა გადაიხარხარა.

— ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ ყველაფრის ძალა შესწევს, — განაგრძობდა პახომოვი. — მაშინ მდინარეებსაც ალმა შეაბრუნებს და ციმბირში ლიმონსაც მოიყვანს. სრულ სიმართლეს გეუბნებით. ადამიანს თავისი ხელოვნების ძალა უნდა სწამდეს. როცა არგონავტების ლაშქრობის მონაწილე პოეტი ორთეოსი ქნარს დაამღერებდა, ზღვაც გაინაბებოდა ხოლმე. ბერძნები ამ ამბავზე სრულიად სერიოზულად წერდნენ. მართალია მიამიტურად, მაგრამ ხელოვნების ძალა დიდად სწამდათ. ტექნიკაც ხელოვნებაა, ამხანაგო კახიანო. ეს ტექნიკა ისევე უნდა გვწამდეს, როგორც ბერძნებს ორთეოსის ქნარი. თქვენ ხორცს ასხამთ კოლხიდის დაპყრობის მითს, ოქროს საწმისისა და არგონავტების ვაჟკაცური ლაშქრობის მითს. თქვენი ქების მეტი არაფერი მეთქმის!

— ეგრე იყოს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, — წაიდუდუნა კახიანმა.

ნევსკაია თავჩაღუნული იჯდა. ყველაფერს მოჰკრა ყუ-

რი — იაზონსაც, ლეგენდასაც, ტრაქტორსაც და იკაროსადქცეულ მფრინავსაც. არც მუშების მხიარული ლაპარაკი, მიხას გულიანი სიცილი, გულიას ხრინწიანი ხმა, ბავშვების ჟივ-ჟივი და ჩოპის ქარაგმიანი ხუმრობა გამოჰპარვია.

ორკესტრი რომელიღაც უცნობ ჰანგს უკრავდა. მზე დასთამაშებდა ჭიქებს, ბოთლებსა და გარუჯულ ხელებს. მზე ჭიქაშიც ჩაიხედავდა ხოლმე და გამჭვირვალეს ხდიდა ლალისფერ ღვინოს. მზე ოქროს ზოდებს ამგვანებდა ლავაშებს.

ყველანი მხიარულობდნენ და გულხალვათად იყვნენ, როგორც შეხმატკბილებულ ოჯახში იცის ხოლმე.

ნევსკაია ჩუმად იჯდა. გრძნობდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ ვერ გაეგო, რა უხაროდა ახლა ყველაზე მეტად.

„მეგობრობა! — ერთბაშად გაიფიქრა მან. — აი ნამდვილი მეგობრობა, ყველაფერზე ძვირფასი, რაც კი რამ შეიძლება ქვეყნად არსებობდეს. მხოლოდ შრომაში, ხიფათში, მარცხსა და გამარჯვებაში აწრთობს ამ ულამაზეს გრძნობას ადამიანი“.

ნევსკაიამ მუშებს გადახედა. ისინი ჭიქებს მაღლა სწევდნენ. გაგიმარჯოს, ესმოდა აქეთ-იქიდან. მუშებს თავი მოჰქონდათ. მეცნიერი ქალი წარღვნაში მთელი ღამე გვერდიდან არ მოგვშორებიაო. ისინი ამაყობდნენ ნევსკაიათი, მართლა მშვენიერი ქალით, რომელსაც საოცრად ლამაზი კაბა ეცვა.

ნევსკაია ხან გაბუნიას უმზერდა, ხანაც კახიანსა და პახომოვს. ისინი ახლაც თქმულებებზე კამათობდნენ.

ჩოპი ბავშვებში ჩამჯდარიყო. ქრისტეფორიდი, პატარა ელოჩკა და არტემ ქორქიას შვილიშვილი სოსო პირდაღებული შესცქეროდნენ კაპიტანს. ის რაღაცას უყვებოდა ბავშვებს.

სახე ჯერ მოღუშული ჰქონდა, მერე გაიცინა და პატარების კისკისი ცას ასწვდა. ნევსკაიაც იცინოდა, მაგრამ ვერ გაეგო, რა აცინებდა.

მზე უკვე ზღვაში იძირებოდა, როცა საერთო ჟივილხივილსა და ხორხოცში მიხას გამკივანი, ქალური ხმა გაისმა. ყველანი გაჩუმდნენ. მიხა ძველებურ ქართულს მღეროდა:

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი?
არც მოგიდგება ექიმი,
არც მიგეტევა სამარი.

გაბუნია ნევსკაიასაკენ გადაიხარა, სიმღერის სიტყვებს უთარგმნიდა. პახომოვმა თვალებზე ხელი აიფარა. კახიანი არხისკენ იცქირებოდა.

ეს ჩემი გული ორია,
ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირდე — შევყრი ღრუბლებსა,
რომ გავიცინო — დარია.

ჩოპს ხელი უთრთოდა, ცარიელ ჭიქას აწვალებდა, ველარ ისვენებდა ერთ ადგილას. კარგად ესმოდა ქართული და სიმღერამ დარდი აუშალა. ღმერთმა დასწყევლოს მეზღვაურის ცხოვრება! ეჩვენებოდა, ჩემზე მღერიან, ძველ მეზღვაურზე, რომელსაც სიყვარული არასოდეს არ უგრძვნიაო.

ეს ერთი გული მეტყოდა
მოკვდი, რათა ხარ მთელია!
მეორეც ამას ამბობდა:
იყავ, აჯავრე მტერია!

ჩოპს ვარდი დაეცა ხელზე.

კაპიტანმა შეატრიალ-შემოატრიალა ყვავილი და გულზე მიიბნია. ხელად იცნო: შავი ვარდი მარტო საცდელ სუბტროპიკულ სადგურში ხარობდა.

მერე ნევსკაიას გახედა კაპიტანმა. ქალს ტუჩები უთრთოდა, ძლივს იკავებდა ღიმილს, მაგრამ კაპიტნისკენ არ იყურებოდა.

— ჰელო! — უცებ შესძახა სიმამ და აცქმუტდა. — ჰელო! ცხოვრება გრძელდება, ქალბატონებო და ჯენტლმენებო!

მუშები წამოიშალნენ. ორკესტრმა ქართული საცეკვაო დასცხო და გაბუნია წრეში გადახტა. ხელად მიხაც ამოუდგა მხარში, აჰქროლ-ჩაიქროლა და კივილი ატეხა.

დოლს ცეცხლი წაეკიდა. მუშებმა ტაში დასცხეს:

ტაში! ტაში! ტაში!

თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამოსო — ახლა სქელი მედუქნეც შეიჭრა წრეში და დაბზრიალდა, ააფუხფუხა განიერი შარვალი. პატარა ბიჭივით იქნევდა ხელებს და ყვიროდა:

— ტაში! ტაში! ტაში!

აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ხალხმა წრეში გადასულ ნევსკაიას მოჰკრა თვალი. ნევსკაიას მწვანე კაბის შარიშურმა თითქოს თბილი სიო ამოაქროლა.

— ვაშა! — შესძახა ბერძნის ბიჭმა და ყირამალა დადგა: „გავწმინდოთ-გავაპრიალოთ, გავწმინდოთ-ავაბრიალოთ!“

ქრისტეფორეს სოსომაც მიჰბაძა.

არტემ ქორქიას ხველება აუტყდა. ხედავ, სიმხიარულე ჭაობებშიც შემოვიდაო, გადაულაპარაკა გულიას.

ჩოპმა მხრებზე შეისვა პატარა ელოჩკა, რომ ბავშვს ყველაფერი კარგად დაეთახა.

ყველაზე მეტს ვანო ახმეტელი ქიჩმაჩობდა. ნუტრიას ჯანდაბამდისაც ჰქონია გზა, მუსიკა დასცხეთ, მუსიკაო. პატარა ელოჩკას ხელებგაშლილი რომ ჩაუქროლებდა, ენას გაატკაცუნებდა, კვანწი, კვანწიო, შესძახებდა ხოლმე.

— მაგათ ცეკვისა რა იციან! — შეჰყვირა გრიშამ და წრეში გიჟივით შევარდა.

ყველანი შედგნენ. გრიშა აღარც კი ჩანდა, იმნაირად ბზრიალებდა.

სწორედ ამ დროს აიჭრა ვარსკვლავიან ცაში პირველი შუშხუნა. ხალხმა მაღლა აიხედა. დალამებულაო, მხოლოდ ახლაღა შეამჩნიეს. იისფერ, ადრიან ბინდში თოფის წამლისა და ღვინის სუნი იდგა.

არხის გასწვრივ ზედიზედ რამდენიმე კოცონი აინთო. წყალი ცეცხლივით ალაპლაპდა. ამ მეწამულ ცეცხლს სატევარივით ფატრავდა ცაში ასროლილი უამრავი შუშხუნის თეთრი შუქი.

ტყეში ციცინათელები აციმციმდნენ. ვარსკვლავიანი ცა თითქოს დაბლა დაეშვა და თავზე დაემხო ტყეებს.

პატარა ელოჩკამ კაპიტნის ხელზე მიიძინა. კაპიტანმა მძინარე ბავშვი გაბუნიას ოთახში შეიყვანა და ვიწრო საველე საწოლზე წამოაწვინა. ფაზისელი ქალის მოღიმარ სახეს ვარდისფერი შუქი დასთამაშებდა.

— ეჰ ომირთმა ოთხეზის დასწყევლოს მეზღვაური კაცის ცხოვრება! — წაიდუდუნა კაპიტანმა და ფანჯარა გამოაღო.

კარგა ხანს თვალი ვერ მოაშორა უცნაურად აფერადებულ ცას. შუშხუნებს ტკაცატკუცი გაჰქონდათ.

ნევსკაიამ ჩუმად შეაღო კარი, ჩოპთან მივიდა, ამხარზე

ცხელი ხელი დაადო და ამოიოხრა. ჩოპი არ განძრეულა, განაბული იჯდა. კრინტი არ დაუძრავს არცერთს.

მერე ნევსკაია კვლავ ჩუმად გავიდა. ჩოპს კაბის შრიალი მოესმა, კარის გაჯახუნების ხმაც გაიგო და დედამიწა კარუსელივით დატრიალდა.

— ბრიყვი ხარ, ბრიყვი!—წაიჩურჩულა ჩოპმა.—ორმოცდაშვიდი წელიწადი გაუძელ და ახლა ბავშვივით აგითრთოლდა გული!

ფეხშიშველი ოდისევსები

განთიადზე სიმამ ნავმისადგომს მოტორიანი კატარღა მიაყენა. გადაწყვიტეს ჯერ არხითა და მდინარე ხობით, მერე ზღვით ევლოთ და ფოთში ჩასულიყვნენ. ამინდს გუშინდელივით კარგი პირი უჩანდა.

არხის გასწვრივ ცეცხლი ხრჩოლავდა ალაგ-ალაგ. ტყეში ფრთხილი ჩიტები იღვიძებდნენ.

კატარღაში ნევსკაია, ჩოპი და გაბუნია ისხდნენ. ბავშვებიც წამოეყვანათ.

არხი დაილია თუ არა, მწვანე ჩანჩქერივით დაიძრნენ ტყეები და კატარღა დაკლაკნილი ხობის პირველქმნილ ხეივნებში შეიჭრა.

ზურგს უკან უზარმაზარი თეთრი მზე ამოდიოდა, ირგვლივ გრძელი ჩრდილები დაბორიალობდნენ.

კატარღამ დიდხანს ვერ დააღწია თავი თბილ, დუბელა ჰაერს, ვიდრე შორს ზღვა არ დაილანდა. მერე გრილმა ზღვაურმა დაუბერა.

წყალში პატარა დაბის ცისფრად და ვარდისფრად შეღებილი ხიმინჯიანი ოდა-სახლები პრეკლილიყვნენ. მდინარეში თითქოს ჭრელი, გაცრეცილი შალი ეგდო.

თუხთუხებდა მოტორი და დილის ძილს უფრთხობდა ხალხს.

იქვე, წყლის პირას, ქალს მოჰკრეს თვალი, გულში ჩვილი ჩაეხუტებინა. ჩოპი ცაში გუნდად აჭრილ მტრედებს ითვლიდა.

შევიდნენ თუ არა ზღვაში, ღუზაჩაშვებულ აფრიან გემს წაადგნენ.

ზღვა ლივლივებდა, ხანაც გუგუნით აწყდებოდა ნაპირს.

გემის ქიმზე ფეხშიშველი, მზით დამწვარი მატროსები ისხდნენ, თუთუნს ეწეოდნენ, ფეხებს ატყაპუნებდნენ და კოლხიდის ნაპირებს ისე გასცქეროდნენ, როგორც ახალი ოდისევსები.

1934

მოკლე განმარტება

სათვალავით ეს მეხუთე ნაწილია ჩემი ავტობიოგრაფიული „ცხოვრების წიგნისა“. „პიესა“ ისე წარიმართა, რომ იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა რუსეთი და მოქმედება უკიდურეს სამხრეთში — კავკასიაში და ამიერკავკასიაში გადამეტანა.

კვლავ იმ მიწა-წყალზე აღმოვჩნდი, სადაც ის-ის იყო დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. ისე მოხდა, რომ რევოლუციას თითქოს კვალდაკვალ მივდევდი სამხრეთისაკენ. მართალია, ხანდაზმით, მაგრამ მაინც მივდევდი. ამიტომ იყო, რომ რევოლუციის გზა მიხვეულ-მოხვეული, საოცრად დაკლაკნილი მეჩვენებოდა. ერთი წლის წინათ განცდილი ისევ უკან მიბრუნდებოდა, ოღონდ ახლა სხვა სახით, თანაც თავისი ახალი რამ ნიშნით.

რუსეთს თითქმის ორი წელიწადი მოვწყდი. მაგრამ არა ვნანობ: ამ ხნის მანძილზე ცოტა რამ როდი გავიგე ახალი.

წიგნში ხალხიც ბევრია და ათასნაირი ამბავიც, თუმცა ნამდვილად უფრო მეტს შევხვედრივარ.

დრამატურგიას თავისი კანონები აქვს და პიესა ჩვეულებრივ რამდენიმე ზუსტ ნაწილად იყოფა.

ჯერ ექსპოზიციაა, მოსინჯვა. ადამიანები, ამბები და პეიზაჟი უნდა მოსინჯოს მკითხველმა ან მაყურებელმა. მერე მოქმედება ვითარდება, რასაც კულმინაცია მოსდევს — პიესის ყველაზე დაძაბული ნაწილი. ფიალა ივსება და მაყურებელი ღელავს, შეიძლება წამოდგეს და შეჰყვიროს კიდეც.

კინოში კულმინაციის ზედგამოჭრილი მაგალითია — მდევრის დადევნება. მტრის მოსაკლავად ან სატრფოს დასახსნელად ამხედრებული მდევარი ძალიან ძვირად დაუჯდა მშვიდობიანი კაცობრიობის ერთ ნაწილს, მეტადრე მოზარდ ახალგაზრდობას, და ძარღვები აღარ უვარგა.

ძარღვების მოშლილობა, სამწუხაროდ, არავინ იცის, როგორ იზომება. ჩვენს ფილენჯიან საუკუნეში მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინა ამ გაზომვის საშუალებანი.

იქნებ ზოგიერთს უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ აქ აღწერილი ნამდვილი ცხოვრება იმ წლებში თავისთავად დრამატურგიის წესითა და კანონით წარიმართა.

პირველ წიგნს („შორეული წლები") შეიძლება კაცმა ექსპოზიციაც კი უწოდოს, რამდენადაც მოსათხრობ ამბავს მხოლოდ პირს უჩენს. მეორე წიგნში („მოუსვენარი სიჭაბუკე") მოქმედება უკვე ფრთებს ისხამს, მესამე და მეოთხე („უცნობი საუკუნის განთიადზე" და „ჟამი დიდი მოლოდინისა") უმაღლეს დაძაბულობას აღწევს, მეხუთე კი („ნახტომი სამხრეთისაკენ") რამდენადმე თითქოს სულის მოსათქმელია. პიესებშიც ყოველთვის ასე ხდება ხოლმე. დრამატურგი შავ ღრუბლებს ფანტავს, რათა ცოტა შეასვენოს მაყურებელი. ამ ამბავს მერმე კანონიერი დასასრული მოსდევს.

აქ თვითონ ცხოვრებამ მოითქვა სული, ამიტომ ძირითად

თემას ცოტაოდენ ავცდი. ცხოვრებამ ავტორს კავკასიაში ამოაყოფინა თავი, იქაურ ნაირფერ ამბებს, ხალხსა და ბუნებას დაუახლოვა, თანაც სამხრეთული მგზნებარებითა და იუმორით ააავსო. სამხრეთში იუმორი ყოველთვის წყაროსავით ჩუხჩუხებს და არასოდეს არაფერს არ უფრთხის.

სამადლობელი

ამ წიგნის დასაწყისშივე მინდა მადლობა ვუთხრა ერთ-ერთ ჩემს მკითხველს — პირველი რანგის კაპიტანს, სევასტოპოლელ ა. მალოვს.

კაპიტან მალოვს გულდასმით გადაუკითხავს წინა ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჟამი დიდი მოლოდინისა", განსაკუთრებით ზღვის ამბები შეუმოწმებია და ახლახან რამდენიმე შენიშვნა გამომიგზავნა.

საზღვაო საქმის კარგი, საფუძვლიანი ცოდნა ბევრსა ნიშნავს. ამიტომაც არის, რომ კაპიტნის ყოველი შენიშვნა პაწაწინა საზღვაო მოთხრობასავით იკითხება. მალოვის წერილი თითქოს გამოკვლევაა ჩრდილო-დასავლეთ ყირიმის სანაპიროთა ფერისა, ეგრეთწოდებული „კოვალევსკის კოშკისა", ოდესის მახლობლად გზის მაჩვენებელ ნიშნად რომ აღმართულა. კაპიტანი საზღვაო საქმის ათას წვრილმან ამბავსაც კი იგონებს და ისე თავშესაქცევად ჰყვება, რომ ზღვის რომანტიზმი გიპყრობს.

არ ამოვარჩევ. მხოლოდ სამ შენიშვნას მოვიყვან.

ამ სამი შენიშვნითაც ნათელი გახდება ყველასათვის, თუ როგორ ეპყრობა კაცი თავის საქმეს.

უწინარეს ყოვლისა იგი აფასებს ამ საქმეს და ოდნავ ზერელე დამოკიდებულებასაც კი ვერ იტანს.

წიგნის ერთ-ერთ ადგილას სიტყვა „ლოცია“ ბრჭყალებით დავწერე. ამან ძველი მეზღვაური სამართლიანად აღაშფოთა: „არ არის საჭირო ლოციის დამცირება და ბრჭყალებით დაწერა“.

მეორე ადგილას ცოტა ნაუცბათევად მეწერა, თარხანკუთის კონცხსა და შუქურას მეზღვაურ ხალხში კარგი სახელი ვერა აქვს-მეთქი. ამის გამო კაპიტანმა მომწერა: „სწორეა. ოღონდ შუქურას რაღად ახსენებთ? კონცხზე რომ თქვით, გასაგებია. მართალია, შუქურასაც თარხანკუთისას ეძახიან, მაგრამ აუგად არ ახსენებენ. ის კი არა, დიდად ემადლიერებიან, ეგ რომ არ იყოს, გზას ვერც გავიკვლევდითო. ხოლო კონცხებს და ხიფათიან სანავიგაციო ადგილებს მართლაც აგინებენ“.

და, ბოლოს, მართლაც გულის ძარღვი შეგიტოკდება, ისეთნაირად იცავს კაპიტანი ჩემგან განაწყენებულ გემ „პესტელს“.

„პესტელით“ რამდენჯერმე მივლია ზღვაში, შევეჩვიე და შემიყვარდა კიდეც. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ის ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდი იყო კავკასიის სანაპიროსა და რუსეთს შუა.

მაგრამ მაინც ვწერდი, „პესტელი“ ძირგავარდნილი გემი იყო, რაღა ისა და რაღა მოფურთკნული „დიმიტრი“-მეთქი (ეს უკანასკნელი, ეგრეთწოდებული „ზღვის კოლოფი“, ერთ-ერთ უტყვ პერსონაჟად იქცა ჩემს წიგნში — „ჟამი დიდი მოლოდინისა“).

კაპიტანმა სწორედ ამის პასუხად მომწერა:

„ცოტა არ იყოს, მეტისმეტად აბეხრეკებთ „პესტელს“. „დიმიტრისთვის“ არ უნდა შეგედარებინათ. „პესტელი“ უფრო ახალგაზრდა იყო და თანაც სხვანაირი აღნაგობისა. თავისი გარეგნობის, საოცრად ლამაზი კორპუსის, რანგოუტისა და გემბანის გამო სავაჭრო თუ სამხედრო ფლოტის თითქმის ყველა მეზღვაური კეთილი თვალით უცქეროდა.

„პესტელი“ 1943 წელს დაიღუპა ანატოლიის სანაპიროსთან. 1941 წლიდან იგი ოდესა-ბათუმის გზაზე დადიოდა, ომის დაწყებისთანავე კი ტრანსპორტად აქციეს. ძველი მეზღვაურები დღესაც სიყვარულით იგონებენ“.

ამ პატარა შესავლის ბოლოში მინდა ყოველ მწერალს ვუსურვო ისეთი გულშემატკივარი მკითხველი, როგორიც კაპიტანი მალოვია.

თანაც. როგორ არა ვთქვა, ნამდვილად მშურს მალოვისა, რომ სევასტოპოლელია. მშურს და არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ დავწერო ამ ჯადოქარ ქალაქზე.

ამ სტრიქონებს იალტაში ვწერ. ძალიან ნელა, ზოზინით ვწერ, ხშირად კალმისტარს გვერდზე გადავდებ ხოლმე და ვფიქრობ, რამდენიმე დღეც და სევასტოპოლში უეჭველად წავალ-მეთქი.

•

სევასტოპოლში ცხელი შემოდგომა დამხვდება. საყრდნობ კედელთა ვიწრო ჩრდილში ჯერ კიდევ მწვანე ფერი ექნება მტვერწაყრილ ბალახს. სახელიც კი არ ვიცი, რა ჰქვია იმ უსუსურს. ის მარტო ცვარ-ნამითაც კმაყოფილია და ვაქაცურად უძლებს სევასტოპოლის პაპანაქება ზაფხულს. თანაც მეტად სასიამოვნო ოდნავ შესატყობი სუნი აქვს, შავი, მზით

დახრუკული წყალმცენარის სუნისნაირი. ამ შავი წყალმცენარით ხშირად უკაცრიელი სანაპიროებია ხოლმე მონაშლული. წყალმცენარეს ზედ თოვლივით აყრია ხვრიში მარილი და ღერო ხელში თუ მოსრისე, ხელად წაბლისფერ ფხვნილად იქცევა.

ახლა სევასტოპოლში ალბათ გაგანია სიცხეა და ქალაქს ალმური ასდის. არა უშავს რა, მაინც სიამოვნებით გავივლ-გამოვივლიდი, სიცხის ლული სუნთქვას შემიკრავდა, მაგრამ მოულოდნელად დაუბერავდა გრილი სიო, სულს მოვითქვა-ვდი და შავი ზღვის ტალღა იქაც თავის ხმას გამაგონებდა.

სევასტოპოლის ბოღაზები დასვრეტილ ნაპირებში შეჭრილან. ის ნაპირები ქვადქცეულ ღრუბლებსა ჰგვანან. ამ ღრუბლებისებრ ქვიშრობზე თავი ამოუყვიათ უღონო თავთავებს. ხანაც პაწაწინა ფერწასულ ყვავილებს წააწყდება კაცი, ასანთის ღერს რომ თავი აქვს, აი. იმხელა ყვავილებს.

ამ ქვეყნად ძალიან ბევრი მივლია და ბევრიც მინახავს, თითქმის ყველაფერი გადამხდენია, რაც კი რამ შეიძლება გადახდენოდა ჩემი ხნის კაცს, როცა, ესენინის თქმისა არ იყოს, „ჩუმად ტირიან დაღლილი ძვლები“. ბევრი მინახავს, მაგრამ ამ ყვავილებისა მაინცა მშურს. ისინი უტყვი მოწმენი არიან ცხოვრებისა და არავინ არა სთხოვს, გინდა თუ არა, თქვენი გრძნობები გამოხატეთო.

ხან ასეც კი მგონია, რომ პაწაწინა, უმწეო ყვავილებისთვის დრო უფრო ნელა, შეუმჩნევლად გადის, და სამყაროსაც ჩვენზე უკეთესად, გულდამშვიდებულად სუნთქავენ.

რუდუნით დაქანცული ძალიან ხშირად შევუპყრივარ ისეთი ყოფნის სურვილს, როცა „ანკარა წყარო ჩაჰყვება ნაპ-

რალს, ამაწყვეტინებს დაღლილს სადავეს და სიზმარივით მიამბობს ზღაპარს, მთის გულშიაო ჩემი სათავე".

ნამდვილად, ზოგჯერ ნამდვილად მინდოდა, რომ ჩავძირულიყავი სიზმარში, უცნაურ, ბუნდოვან სიზმარში, რომელსაც მერე ვეღარ გამოვიტანდი. მაგრამ უძილო სიზმარი სად გაგონილა. აკი ხალხიც ამბობს, ჯერ ძილი, მერე სიზმარიო.

ყვავილებს შურის თვალით ვუცქეროდი. ისინი ერთ ადგილას იდგნენ განთიადიდან განთიადამდე, შუადღიდან შუადღემდე და ყველაფერს ხედავდნენ — შორს თეთრად მოქათქათე ხომალდებსაც და მზის სხივებსაც, ღრუბლებში რომ ატანდნენ, მანანასავით მოკიაფე პაწაწინა ნამსაც და ვარსკვლავებით დანამულ უზარმაზარ ცასაც.

ამ უმწეო ყვავილების თვალწინ ჩავლილ ყოველ წუთს თავისი პირველქმნილი სილამაზე ახლდა, ყოველი ახალი დღე კი წინა დღის სიხარულს იმეორებდა.

მაგრამ შურისათვის ვიღას ეცალა, როცა გაღმა ჩქარი მატარებელი კივილით ჩაიქროლებდა და ვიდრე თავს გვირაბში შერგავდა, წყვდიადში თეთრად მოუჩანდა შუბლი. უკან რჩებოდა ხერსონესისა და ინკერმანის არქაული ბურუსი, აიას კონცხისა და ფიოლენტის ქანჩახები. მატარებელი ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. ჩრდილოეთში კი ალბათ უკვე ყვითელი ფოთოლი სცვიოდა არყის ხეს და ჰაერში ოდნავ მომწარო სუნი იდგა.

ჩემი ფიქრით, სამყარო ერთნაირად ღირსია, რომ კაცმა მშვიდად, ნაყოფიერად უმზიროს და თანაც გონივრულად, ძალუმად შეეჭიდოს. მზერა ერთ-ერთი ფუძეა შემოქმედებისა

და მიწის სიყვარულისა. უპირველესად შენი, მამაპაპური მიწის სიყვარულისა.

სევასტოპოლზე ლაპარაკმა, როგორც ვატყობ, ცოტა შორს წამიყვანა, თხრობა კი ჯერაც არ დამიწყია.

ლიტერატურის მცოდნენი, რომელნიც წიგნებს არა წერენ, ამბობენ, თხრობას რკინისებური თანმიმდევრობა უნდა ჰქონდესო. წიგნის დამწერთ მეტი რა დარჩენიათ — რჯულად უნდა მიიღონ ეს კანონი და შეასრულონ კიდეც

თამბაქოს რესპუბლიკა

„პესტელი“ ნოვოროსიისკში იდგა, ქალაქისაკენ ნორდ-ოსტი რომ დაიძრა. მალე ამ შმაგი ქარის პირველ ნიშანსაც მოვკარი თვალი: მთიდან მთამდე მწვირიან ბამბასავით გაიჭიმა ღრუბელი, თვითონ მთები კი გაძვალტყავებულ, მკვდარ აქლემებს ჰგავდნენ.

ბამბა იშლებოდა, მთებიდან მოცურავდა და თან ქარი მოჰქონდა. საჭირო იყო ზღვაში გასვლა, სანამ ნავსადგურს ნორდ-ოსტი არ დასტყდომოდა. ქარი უკვე ავბედითად სტვენდა გემსართავებში და მოთეთრო წყალს გუბეებში არ აყენებდა.

„პესტელი“ დაიძრა, სამხრეთისაკენ აიღო გეზი. ზღვაოსანთა მოწმობით, ნორდ-ოსტი მით უფრო სუსტდება, რაც უფრო ვშორდებით სევასტოპოლს, და თანდათანობით კარგავს თავის დამანგრეველ ძალას.

როგორც იყო, თავი დავაღწიეთ ნორდ-ოსტს.

ღამით გამომეღვიძა, გარეთ, ბურუსში, აქა-იქ შუქი ციმ-ციმებდა, ტუაფსეა-მეთქი ვიფიქრე, და ისევ დასაძინებლად მივდე თავი.

ბურანში წასული ვფიქრობდი, როგორცა ჩანს, კავკასიის სანაპიროებისაგან რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინი ამაოა-მეთქი. მაგრამ დილით ჩემი გამოღვიძება თითქმის ფეერიული აღმოჩნდა.

გამომეღვიძა და დიდხანს ვიწექი, თვალს არ ვახელდი, სახეზე თბილი ხელისგული მელამუნებოდა. იმ ხელისგულს აყვავებული მიმოზის სურნელება ჰქონდა.

ეს, რა თქმა უნდა, დილის ქარი იყო. ამ სასიამოვნო ნიავმა კაიუტა აავსო, ზანტად დაბორიალობდა და ფრთას უფართქუ-ნებდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა, თვითონ ჩემს ლოყებსაც.

ძილ-ღვიძილში მომაგონდა, რომ აგერ უკვე ხუთი დღეა პირი არ მომიპარსავს და ალბათ ამ ნაზ ხელისგულებს ჩემი ჯაგრით დავკაწრავ-მეთქი. შემრცხვა, გადავწყვიტე — მაშინვე მომეპარსა პირი და ალბათ ამის გამო იყო, რომ იმ წუთას გამოვფხიზლდი.

ღუზის ჯაჭვმა დაიჩხრიალა. გემბანიდან ისმოდა ნავსად-გურისათვის ჩვეულებრივი წამოძახილები: „ვირა, ეშმაკის კლანჭო! ცოტა მაინა!“

ბოლოს თვალი გავახილე. ილუმინატორის გარეთ მზე ჩახ-ჩახებდა, ნახევარი ცა და ნახევარი ზღვა ეკავა, თანაც თით-ქოს ძალიან ახლოს იყო დედამიწასთან. მზის ძლევამოსილ შუქში თანაბრად ირწეოდა ხშირი მცენარეულობის ცოცხალი კედელი.

ამ კედელს ალაგ-ალაგ სინგურის, უთეთრესი ქირშანისა და ჟანგმიწის წანაცხი აჩნდა. თვალები დავხუჭე, თავი გადავაქნიე, მერე ხელახლა გავახილე თვალი და დავრწმუნდი, რომ ზეთის საღებავების წანაცხი კი არა, ფოთლებში მიმოფანტული უცნობი ყვავილები იყო.

— რა ამბავია? — ვთქვი გულში და საწოლზე წამოვჯექი— მირაჟია? თუ კუნძული ტაიტი? ანდა სამოთხის კუნძული სამოა?

არა, ეს არც მირაჟი იყო, არც კუნძული ტაიტი, არც ჰალუცინაცია პირქუში ღამის შემდეგ. მკაფიოდ მომესმა კაპიტნის თანაშემწის ხრინწიანი ხმა:

— ა-რა-ვის! — თქვა გადაჭრით. — ნაპირზე ფეხს არავის არ გადავადგმევინებთ. გასაგებია? თვით შოლომ-ალეიხემსაც კი. აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებაა. მორჩა და გათავდა! სოხუმის ცქერით შეგიძლიათ გემბანიდანაც დატკბეთ. ღმერთია მოწყალე, კიდევ დიდხანს იცხოვრებთ ამქვეყნად და ყველაფერს ნახავთ, რის ნახვაც გინდათ. რა ვიცი, იქნებ ისიც კი ნახოთ, რაც არ გინდათ.

სწრაფად ჩავიცვი და გემბანზე გამოვედი. გემის კიბის საფეხურებზე მოჭედილი სპილენძის ფირფიტების ელვარებამ თვალი მომჭრა. ცოტა თავბრუ დამეხვა და იძულებული გავხდი — სახელურისათვის ხელი ჩამევლო.

ნაპირიდან მწკლარტე სუნი მოდიოდა და ვარდის ოდნავ საგრძნობ სურნელს უერთდებოდა.

ერთმანეთში არეული ათასნაირი სუნი ხან თითქოს ჰაერს ადედებდა, ხანაც ცალ-ცალკე ვგრძნობდი იელის, დაფნის, ევკალიპტის, ოლეანდრის, ცის ვაზისა და კიდევ მრავალი საკვირველი ფერისა თუ აღნაგობის ყვავილის სუნთქვას.

გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, სოხუმში გადავსულიყავი. და არა მარტო გადავსულიყავი, არამედ სულაც იქ დავრჩენილიყავი.

ჩემი ფიქრით, თუ იქ გადავიდოდი, ბავშვობის ოცნება უეჭველად ამიხდებოდა. სულ რომ არაფერი, ხელს მაინც შევახებდი ქოქოსის პალმის ხაოიან ტოტებს, ბამბუკის ზურმუხტოვან ქერქს — მუდამ ცივსა და პრიალას, მარჯნის სილით ავარდისფერებულ მიწას.

ბავშვობისას დედაჩემს ვბაძავდი და ამნაირ ოცნებას „აუხდენელს“ ვეძახდი. ამ სიტყვას ხშირად ამბობდა დედაჩემი, როცა მამას უჯავრდებოდა. ხან უყვიროდა კიდეც. წელში მოხრილი მამაჩემი ჩუმად წავიდოდა, გაეცლებოდა, რათა თავი დაეღწია განუწყვეტელი საყვედურებისათვის. მაშინ კი შეებრალებოდა ხოლმე დედაჩემს. ის კი არა, თვალებცრემლიანს დავუფიცებივარ კიდეც, რომ მამაჩემს არასოდეს არ ვაწყენინებდი და ყოველთვის მეყვარებოდა, გავუფრთხილდებოდი. „საცოდავია, საცოდავი!“ ხშირად ამბობდა სასოწარკვეთილი დედაჩემი.

მაგრამ ვაი, რომ ვერავინ ვერ გავუფრთხილდით. ამ ამბავმა მოსვენება დაუკარგა დედაჩემს, მთელი ცხოვრება მოუწამლა.

ბავშვობაში, რა თქმა უნდა, არავითარ სიმწარეს არ განვიცდიდი „აუხდენელი“ ამბების გამო. ვერც განვიცდიდი. თუმცა მიხვედრილი კი ვიყავი, რომ იმედის გაცრუება მეტად ნაღვლიანი გრძნობა იყო და, როგორც მამაჩემს უთქვამს, ადამიანის უდანაშაულო გულს იავარჰყოფდა.

მერვეკლასელი ბიჭი ვიყავი, ერთხელ მამაჩემის საწერ მაგიდაში შავი მელნით აჭრელებული, ვიწროდ დაჭრილი რამდენიმე ფურცელი რომ ვიპოვნე. ბევრი ვიმტვრიე თავი, მაგრამ ერთი წინადადება ძლივს ამოვიკითხე. თუ რაიმე არ აგიხდა, ამ ამბის ატანა უფრო ძნელი და მწარეა, ვიდრე იმისა, რასაც ახდენა არ უწერიაო.

იმ დღიდან სევდა მომეძალა, აუხდომელ ოცნებაზე ვფიქრობდი ხშირად, და ნაღვლიანი დავდიოდი, მიუხედავად ჩემი გარეგნულად მხიარული ხასიათისა. იმ დროიდან ცხოვრებაში უფრო ისეთი შემთხვევები, გარემოებანი და ადამიანები მიზიდავდნენ, გაელვებული არქმნილისა და არნახულის განცდას რომ მიტოვებდნენ გულში.

მამის სიტყვებს აზრი გავუგე და კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა საწყალი, მაგრამ რაღა დროს — ჩემგან ძალიან შორს იყო ახლა. მამაჩემი ნარშავით დაფარულ და გვალვისაგან დამსკდარ-დაშაშრულ მიწაში იწვა სოფლის სასაფლაოზე, ბელაია ცერკოვთან, მე კი ქვეყნად მარტოდმარტო დავეხეტებოდი.

ერთშანეთი სამუდამოდ დავკარგეთ. მე ხანდახან მოგონება მაინც შემეძლო, ის კი ვეღარასოდეს ვერ მომიგონებდა.

რაც არის, არის, სოხუმში უნდა დავრჩე-მეთქი, მტკიცედ გადავწყვიტე, მაგრამ რანაირად უნდა მომეხერხებინა დარჩენა?

„პესტელი“ ღუზაჩაშვებული იდგა ნაპირის შორიახლო. იქვე ორი თურქული ნავი (რომელთაც „მაგუნებს“ ეძახდნენ)

ირწეოდა. თამბაქო მოეტანათ და „პესტელის“ დატვირთვას უცდიდნენ. ნაპირზე არავის უშვებდნენ აფხაზეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული კარანტინის გამო.

მივედი კაპიტანთან და ვუთხარი, როგორც „მორიაკის“ თანამშრომელი, თუნდაც ერთი საათით ნაპირზე უნდა გადავიდე-მეთქი. კაპიტანმა შუბლი შეიჭმუხნა.

— პორტის ზედამხედველს უნდა მოველაპარაკოთ. მძიმე კაცია. თუმცა, სულერთია, წავიდეთ! — თქვა კაპიტანმა.

ქერა ზედამხედველმა (გატრუსულსა ჰგავდა) ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— კრედიტი, — თქვა მკაცრად, — ურთიერთობას აფუჭებს.

რა შუაში იყო კრედიტი, ვერ მივხვდი.

კაპიტანმა თავისი გაიტანა, პორტის უფროსი მოტყდა.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ და იყიალოთ, ოღონდ იმ სახით, როგორც ახლა დგახართ ჩემ წინაშე, — უჩემოდნოდ. ქუდსაც ნუ დაიხურავთ. პირდაპირ აქედანვე გაეშურეთ ნაპირისაკენ, კაიუტაშიც კი არ შეუხვიოთ.

— რატომ? — ვკითხე, თუმცა მივხვდი, რომ ზედამხედველს ეშინოდა კაიუტაში ფული არ ამეღო და სოხუმში არ დავრჩენილიყავი.

— ჩვეულება მაქვს ასეთი, — მიპასუხა, — ზედმეტ კითხვებს ვერ ვიტან. თუ თანახმა ხართ, გადაჯექით მაგუნაში. ახლავე წავა. მეორე ნავით კი უკანვე დაბრუნდით. უფრო გასაგებად ახსნა აღარ შემიძლია.

ნავში თოკის კიბეს ჩავყევი. ჯერ კიდევ წარმოდგენა არა მქონდა, როგორ უნდა მომეხერხებინა სოხუმში დარჩენა. დამ-

შვიდებით, მხოლოდ ის ამბავი მამშვიდებდა, რომ მთელი ჩემი ფული ჯიბეში მედო. ჩემოდანი ჯანდაბას, მსხვერპლად შემიწირია-მეთქი, ვფიქრობდი: შიგ დასანანი არაფერი იყო, სამი სუფთა პერანგის გარდა. ჩემი პირველი მოთხრობის „რომანტიკოსების“ ხელნაწერი ოდესაში დავტოვე.

მაგუნაში ლამის თამბაქოს მტვერმა დამახრჩო. ქიმს ზარმაცად ეთამაშებოდა მალაქიტის ტალღა. მტვირთავი აფხაზები მტაცებლებივით იცქირებოდნენ და ერთი აურზაური ჰქონდათ. თავზე მტვრიანი ტომრები შემოეხვიათ.

მომეჩვენა, რომ მტვირთავები ზღვაში გადაგდებას მიპირებდნენ, მაგრამ პორტის ზედამხედველმა რაღაც შეჰყვირა აფხაზურად. ისინი მაშინვე დამშვიდდნენ და თამბაქო „სამსუნითაც“ კი გამიმასპინძლდნენ.

ამ თამბაქოსაგან წამით სუნთქვა შემეკრა. ცაში მზე დატრიალდა. აფხაზებმა თანაგრძნობით გადააქნიეს თავები და უხალისოდ წაავლეს ხელი ნიჩბებს. მაგუნა ქანაობით გაცურდა იდუმალებით მოცულ ნაპირისაკენ.

იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ რა ხდებოდა მაშინ სოხუმში, თვითონ აფხაზეთის — კავკასიის სანაპიროს ამ პატარა კუთხემიწა-წყლის — საერთო მდგომარეობის ამბავიც უნდა მოგითხროთ.

საბჭოთა ხელისუფლებას აფხაზეთში სულ ცოტახნის წინათ გაემარჯვნა. ძველი და ახალი ერთმანეთში ისე იყო არეული, როგორც შეჯანჯღარებისას აირევა ხოლმე კალათში ხაბაკ-ხუბაკი.

ცხადია, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სიჭაბუკით აიხსნებოდა ყველა ის უცნაური ამბავი, რაც მაშინდელ აფხაზეთში ხდებოდა. აფხაზეთი ძალიან ჰგავდა იმ პატარა სამხრეთამერიკულ რესპუბლიკას, ო' ჰენრის მხიარულად რომ აქვს აღწერილი თავის „მეფეებსა და კომბოსტოში“.

ალბათ სიზმარში ვარ-მეთქი, ხშირად მიფიქრია ჩემ გარშემო მომხდარი ამბებით გაოგნებულს. თითქოს დროისა და გარემოების გრძნობაც შემერყა.

„სამი ძმის“ ანძაზე ჩამომხრჩვალი რომელიმე კონტრაბანდისტი რომ დამენახა, მართალი გითხრათ, არც გამიკვირდებოდა. სოხუმისათვის ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატების ომისდროინდელ მონიტორს ნესვისოდენა ჭურვები რომ დაეშინა, სახტად არც მაშინ არ დავრჩებოდი.

ჩემი სოხუმელი დიასახლისი, სამოცდაათი წლის მადმუაზელ ჰენრიეტა ფრანცის ასული ჟალიუ, ყოფილი გუვერნანტი, აფხაზეთის ყოფილი მთავრის, თავად შერვაშიძის ყოფილი საყვარელი რომ აღმოჩენილიყო, არც ეს იქნებოდა უჩვეულო ამბავი. კვლავ მშვიდად განვაგრძობდი ჩაის სმას, თანაც აუღელვებლად დავაყოლებდი ღრმად მოხუცებული მადმუაზელის მორთმეულ შინდის მხე მურაბას, რომლის წვენი მთის დაისის სისხლსა ჰგავდა.

რა იყო, ამისთანა მაინც რა მოხდა აფხაზეთში?

მჭიდროდ შემოსაზღვრულმა პატარა ქვეყანამ, რომლის გარშემოც სახადი სპობდა ხალხს, თავის დასახსნელად ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ და იოლ ხერხს მიმართა — გადაწყვიტა გასდგომოდა მთელ დანარჩენ გარე სამყაროს და

თვალყური ედევნებინა, რომ თაგვსაც კი არ დაერღვია საზღვარი.

სამყაროსაგან მოწყვეტა შედარებით იოლი იყო.

ჩრდილოეთით აფხაზეთს მთავარი ქედი ეკრა ზღუდედ. ერთადერთი ქლუხორის გადასასვლელი იმ დროს გაუვალი იყო: საცალფეხო გზა რამდენიმე ადგილას ჩაიმზღვრა. ყოველი ხევი ზვავს ამოევსო.

ჩრდილოეთში, სოჭის მხარეს, და სამხრეთითაც, აჭარისკენ, გზატკეცილები და ხიდები ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს აეფეთქებინათ. გზები ჩახერგილი იყო, კაცი ფეხს ვერ გადაადგამდა.

ერთადერთ გზას — ზღვა წარმოადგენდა, მაგრამ ზღვაში გემები არა ჩანდნენ, თუ „პესტელს“ არ ჩავთვლით.

ყველაზე ადვილი იყო კარანტინის გამოცხადება სახადის წინააღმდეგ და ამ საბაბით ხომალდიდან ნაპირზე გადასვლის აკრძალვა. ადგილობრივი ხელისუფალნი ასედაც მოიქცნენ.

ამასობაში მთელ შავი ზღვის სანაპიროსა და მეზობელ მიწაწყალსაც მოედო ხმა: კავკასიაში ერთი პატარა სამოთხეა, სადაც სანოვაგის ზღაპრული სიუხვე და ცხოველმყოფელი ჰავააო. ყველას ამ სამოთხისაკენ მიუწევდა გული, მაგრამ ის ყველასათვის დახშული იყო.

ამ სამოთხეს აფხაზეთი ერქვა. ძალიან ცოტა რამ იცოდნენ მაშინ ამ ქვეყანაზე. არ იწერებოდა არც საგაზეთო წერილები, არც წიგნები, და ჩეხოვის „დუელს“ გარდა დაბეჭდილი არ იყო არც ერთი მოთხრობა, რომლის სამოქმედო ასპარეზი სოხუმი იქნებოდა.

ჩემთვის მაშინდელ აფხაზეთში ყველაფერი უცხო იყო — მთებიც, მდინარეებიც, მცენარეებიც და ხალხიც.

ცადავარდნილი მწვერვალები — რომელს რა ერქვა მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი — ყველაზე უფრო მკაფიოდ დაისის ჟამს ჩანდნენ. მწვერვალთა ყინულოვანი ქონგურები მუგუზლებივით ღვიოდნენ ჩამავალ მზეში.

პირველ ხანს, შეუჩვეველი რაკი ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ ის ბუმბერაზი მთები უსასრულო მბრუნავ პანორამასავით ნელა მიიწევდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ამ შეგრძნებისათვის თავი რომ დამეღწია, რაიმე საგანს გადავხედავდი ხოლმე მახლობლად: სახლებს, ლოდებს — და მთები უეცრად ერთ ადგილას ქვავდებოდნენ.

ამ პირველმა, რამდენადმე ავბედითმა შთაბეჭდილებამ მხოლოდ გაზაფხულზე გამიარა, როცა შუაგულ აფხაზეთში მოვხვდი და სულ ახლოს ვნახე ის მაღალი ტყიანი მთები, აქაფებული მდინარეებით გულდასერილი.

სოხუმში ნაცნობები არა მყავდა და ხშირად მარტოდმარტო დავდიოდი ქალაქის ახლომახლო. შორს წასვლას ვერ ვბედავდი.

ძველ ბინადართა თქმით, ათ კილომეტრს გაივლიდი თუ არა, ომითა და შინაბრძოლით აფორიაქებული კავკასია დაიწყებოდა. მთის ბილიკის ყოველ მოსახვევში შეიძლებოდა დაღუპულიყო კაცი ზურგში დახლილი ტყვიით ან უეცარი ზვავით.

სიმშვიდე კავკასიაში ნელა, შეუმჩნევლად, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მოდიოდა.

ამიტომ მდინარე კელასურს არც გავცილებივარ. მაგრამ ამ მდინარემაც ბევრი რამ თავსამტვრევი გამიჩინა.

დაკლაკნილი კელასური ნაპირს ალაგ-ალაგ ოქროსფრად შლამავდა.

ერთხელ მუჭითაც კი წამოვიღე ის ოქროსფერი შლამი, მაგრამ ერთ საათსაც არ გაევლო, რომ გაშავდა და წიდას დაემგვანა.

ეგ ოქრო კი არა, გოგირდის ალმადანიაო, მითხრეს, მაგრამ მაინც არ გადამიყრია, შინ მივიტანე და ფანჯრის რაფაზე მოვფანტე. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ მზე დახედავდა თუ არა, კვლავ ოქროსფრად აბრჭყვიალდებოდა.

მცენარეულობაც უცნაური იყო. ნაწილი თურმე ძველთაგან ხარობდა აფხაზეთში, ნაწილიც იაპონიიდან, იტალიიდან, ინდოეთიდან, პოლინეზიიდან შეეტანათ. უცხო რამ მცენარეულობა სოხუმში პირველად სწავლულმა ბოტანიკოსებმა და ადგილობრივმა პლანტატორმა მებაღეებმა მოაშენეს.

იქაური მცენარეულობა მრავალნაირი თავბრუდამხვევი სურნელით, უჩვეულო ტანითა და მოყვანილობით აკვირვებდა ადამიანს.

მადმუაზელ ჟალიუს სახლის — ჩერნიავსკის მთაზე აღმართული ამ უკანასკნელი სახლის — გადასწვრივ მაღალი და სურნელოვანი ცის ვაზის მთელი ტევრი იყო. იმ ტევრში ტურა იცოდა. ცის ვაზის სუნისაგან თავი ამტკიოდა ხოლმე.

ცის ვაზით დაფარული ველის იქით მუქად ჩანდა ბამბუკის ჭალის პრიალა კედელი. სიოს ჩამოქროლებაზე ბამბუკის ფოთლები კი არ შრიალებდნენ, როგორც ჩვენში, ჩრდილოეთში, იციან ფოთლებმა, არამედ ერთიმეორეს ეჩურჩულებო-

დნენ. ხოლო თუ ქარი გაძლიერდებოდა, ფოთლები პატარა ბველებივით იკლაკნებოდნენ და სისინებდნენ.

აფხაზებიც იდუმალებით მოცულნი ჩანდნენ. ისინი, მეტწილად გამხდარნი, არწივებივით ყაშყაშებდნენ. თითქმის ყოველთვის უნაგირზე ისხდნენ, წერწეტა და ფეხწვრილ ცხენებს ჭიხვინ-ჭიხვინით დააქროლებდნენ.

ისეთნაირი გამოხედვა ჰქონდათ, მოქანდაკეს გამოძერწვა მოუნდებოდა.

მამაკაცები სიამაყით, გულფიცხობით, რაინდული პატიოსნებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ პირქუშნი და აუჩქარებელნი იყვნენ. მუშაობით ქალები მუშაობდნენ. ოცდაათი წლისანი უკვე ბებრებსა ჰგავდნენ.

ხშირად დამინახავს მთებიდან სოხუმისაკენ მომავალი დედაკაცები. წელში მოხრილნი ფეხს ძლივს ადგამდნენ, ცალი ხელით მიწას ეხებოდნენ და სულს რის ვაივაგლახით ითქვამდნენ, ფიჩხით ან სავსე ყისინა ტომრებით წელმოწყვეტილნი. წინ კი დოინჯშემოყრილი მამაკაცები მიბრძანდებოდნენ, გაკრიალებულ ცხენებზე ამხედრებულნი — ისინი ამ ცხრად მოკეცილი ქალების ქმრები, შვილები და შვილიშვილები იყვნენ. კოხტად გამოყვანილ ჩოხა-ახალუხს ვერცხლით მოსევადებული წვრილი ქამრები უმშვენებდათ.

გვერდით თუ ჩაგივლიდნენ, ერთს გულგრილად გადმოგხედავდნენ—ვერა გვხედავთ, მოვდივართ, გზა მოგვეცითო. მაგრამ ცოტა უხერხულად კი გრძნობდნენ თავს. ვატყობდი, რომ საყვედურის გამომხატველ პირდაპირ მზერას ვერ უძლებდნენ, თავს მიიბრუნებდნენ და ცხენს გააჭენებდნენ ხოლმე.

ვცდილობდი როგორმე მხარში ამოვდგომოდი იმ ქალებს,

რითიმე დავხმარებოდი, მეტადრე პატარა გოგონებს. მაგრამ ისინი ხელად განზე გამიხტებოდნენ და შეშინებულებივით მომაპყრობდნენ ხოლმე მავედრებელ თვალებს, თავი გაგვანებე, წადი, უარესი რამ არ დაგვმართოო.

ოდესღაც ზოგიერთი ალბათ ლამაზი იყო. ძველი სილამაზის კვალი ახლა მხოლოდ თვალებსა და თითებს აჩნდათ. სიარულის დროს ქალები თითებით ეხებოდნენ მიწას, თითქოს ტანი უნდა აჰქნიონო: ალბათ წელის მომწყვეტი ტვირთის ზიდვა ასე უფრო იოლი იყო.

ხანდახან ზოგიერთი დედაბრის თვალებში ახალგაზრდული სხივი შემიმჩნევია და მიმხვდარვარ, რომ ახალგაზრდა იყო და მხოლოდ ტვირთმზიდავი პირუტყვის ხვედრს ექცია დედაბრად.

ზოგჯერ ქალები შუა გზაში ჩერდებოდნენ და ხელის ზურგით იწმენდნენ აცრემლებულ თვალებს. ისინი დარდისაგან არა ტიროდნენ, არც რაიმე სწყინდათ, დაღლილ-დაქანცულთ თვალები ეცრემლებოდათ.

იმ არეულ-დარეულ დროს, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ სოხუმში ცხოვრობდა სამეფო ამალის გენერალ-ადიუტანტი, აფხაზეთის ყოფილი მთავარი და, როგორც ამბობდნენ, მორგანატული ქმარი მოხუცი დედოფლის მარიამ თევდორეს ასულისა, თავადი შერვაშიძე.

შერვაშიძეს არავინ ერჩოდა. ალბათ იმიტომ, რომ მოხუცი ამ ქვეყნისა აღარ იყო, სვამდა, პატარა ბავშვივით იქცეოდა.

სახლი სოხუმის განაპირას ჰქონდა. პირველი საბჭოთა შემოდგომა რომ დადგა, ზოგიერთმა გლეხმა ძველი ჩვეუ-

ლებისამებრ კიდევ მიუტანა ფეოდალური ხარკი — სიმინდი, თამბაქო, თხის ყველი და ალუჩა.

ხარკის მიტანის დღეს სოხუმი აურ-ზაურმა მოიცვა, ყურთა სმენა აღარ იყო, ჭყვიტინის მსგავსმა ხმაურმა აიკლო არემარე.

არა, სოხუმს მტრის ლაშქარი არ დასცემია. გაუსაპნავი ურმის თვლები ჭრიალებდნენ. ქედგადახრეშილი კამეჩები დინჯად მიაბიჯებდნენ, ყურადღებასაც არ აქცევდნენ, ავი თვალისაგან დასაცავად ყოველ მარგილს ცხენის თავისქალა რომ ჰქონდა წამოცმული.

ჭრიალი შემომესმა თუ არა, გამომეღვიძა და ფანჯარაში გავიხედე. ინდიგოსფერ ცას ავი პირი არ უჩანდა. თითქოს სიხარულისაგან თრთოდა კიდეც. მაგრამ ჭრიალი უწყალოდ მოიწევდა და ალყას არტყამდა სოხუმს.

ჰენრიეტა ფრანცის ასულმა გადმომძახა, წებელდელებსა და მერხეულელებს შერვაშიძესთან ხარკი მიაქვთო. დამპირდა, ჭრიალ-წივილი მალე შეწყდება, მაგრამ საღამოხანს კვლავ დაიწყება, როცა მეურმეები მაჭრით დათვრებიან დუქან „სახელდახელო საუზმეში“, მრავალჟამიერს იმღერებენ და შინისაკენ გასწევენო.

ჩემი ჩასვლის წელს ის უკანასკნელი ხარკი იყო. შერვაშიძემ წინდახედულად უარი თქვა, ხარკი აღარ მიიღო, მაგრამ ცოტაოდენი სიმინდი მაინც დაიტოვა.

მოხუც თავადს რაინდად ჰქონდა თავი წარმოდგენილი. ისეთი მაღალფარდოვანი რუსულით ლაპარაკობდა, რომ თვით რუსებსაც უკვირდათ. მეც მომისმენია შერვაშიძის რუსული. ჯერ უეჭველად „Благоволите“ უნდა ეთქვა, მერე

ამ სიტყვას მოაყოლებდა სათქმელს. ღაჟღაჟა სახე ჰქონდა, ღვინით გაჟღენთილი, მაგრამ დარბაისლური. ძვირფასი შავი მაუდის ჩოხა ეცვა, მასრებიანი და აქსელბანტებიანი. ნასვამს ბევრჯერ ბულვარის სკამზეც სძინებია.

სიტყვა „ლეგენდის“ ორმაგი აზრი

სიტყვა „ლეგენდას“ ორმაგი აზრი აქვს.

იგი ან პოეტური ხალხური გადმოცემაა (უმთავრესად ფსევდო-ხალხური) ან გეოგრაფიულ რუკაზე აღბეჭდილი რომელიმე პირობითი ნიშნის ახსნა.

გეოგრაფიული რუკებიცა და გეგმებიც ბავშვობიდან მიყვარდა და ბავშვობიდანვე უნდობლად ვეკიდებოდი ლეგენდარულ ამბებს. განსაკუთრებით აღმოსავლურს. ბუტაფორიულს ვერაფერს ვერ ვიტანდი.

ამ მტრობას ალბათ ის „გზამკვლევები“ მინერგავდნენ, რომლებშიც ათასნაირი მოსაწყენი და არაბუნებრივი ლეგენდა იყო მოთხრობილი თითქმის ყოველ გამოქვაბულზე, კლდეზე, წყაროსა და საფლავზე.

საერთოდ კი, ამ ნაკლს თუ დავივიწყებთ, გზამკვლევი თავშესაქცევი წიგნია. იშვიათია ადამიანი, რომელსაც გზამკვლევის კითხვა არ უყვარდეს. მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში, ამნაირი წიგნის წაკითხვა რომელიმე წარმტაც ქვეყანაში უფასო მოგზაურობას უდრიდა.

ძნელი მისახვედრი იყო, თუ რა ამბისა და შემთხვევის მონაწილე უნდა გაეხადე გზამკვლევის მშრალ ცნობას —

ეტლით ლისაბონის შემოვლა ამდენი და ამდენი ჯდება, ბრინ-დიზში კი ძალიან დიდი ბაზრობა იცისო.

ჰოდა, აი... საკმარისია გაიგო, რა ჯდება ლისაბონის შე-მოვლა, რომ ეტლის დაქირავების საღერღელი აგეშალოს. ჯერ ქალაქის ძველ ნაწილში წახვალ, გუმბათიანი ტაძრისაკენ, შემდეგ — ნავსადგურში. იქ უეცრად თვალს მოჰკრავ შროშა-ნივით ტანწვრილ ლამაზ ქალს, რომელსაც ოკეანის ქარი მწვანე თავსაფარს წაართმევს და ზღვისკენ გაიტაცებს. ქალი გადაიკისკისებს და კუნაპეტივით შავ თმას ხელებს მიაშვე-ლებს, რომ ქარმა არ აუწეწოს.

გზამკვლევის საშუალებით მოგზაურობა მეტად წარმტაცი და თანაც ძნელი თამაშია. მთლიანად წარმოსახვაზეა აგებუ-ლი. ჯერ სიხარული მოაქვს, შემდეგ სასოწარკვეთილება. ამ სასოწარკვეთილებას გზამკვლევის მიერ აღძრული მიუწვ-დომლის სურვილი იწვევს.

მაგრამ მაინც მოწყალე თვალით უცქირეთ წარმოსახვას! ნუ გაექცევით. ნუ დატუქსავთ, ნუ აითვალწუნებთ, რაც მთა-ვარია, ზურგს ნუ შეაქცევთ, როგორც ღარიბ ნათესავს. წარ-მოსახვა ის ღატაკია, რომელსაც ჰოლკონდას აურაცხელი სიმდიდრე აქვს გადამალული.

ფოლკლორულმა ლეგენდებმა დიდი ხანია მეგზურებს და-მაკავშირეს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ამ ლეგენდებს განზრახ იგონებენ მეგზურებისათვის, რათა ყბედობით შეიქციონ ტუ-რისტები.

ყველას ერთნაირი ნაბდის ქუდი ახურავს: ხელში შინდის პატარა ჯოხები უჭირავთ (ჯოხებს წარწერა აქვთ ამომწვარი: „სოჭის სახსოვარი“ ან „სალამი სიმეიზიდან“), ფეხთ მტვრია-

ნი ჩუსტები აცვიათ და ჯგუფ-ჯგუფად დადიან გაჭვითქული ტურისტები ერთი ღირსშესანიშნაობიდან მეორემდე, დადიან და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ლეგენდა დაიმახსოვრონ.

ტურისტებს ზურგჩანთები გატენილი აქვთ სამახსოვრო ნივთებით, უმთავრესად ღია ბარათებითა და ფოტოსურათების ნიჟარებიანი ჩარჩოებით.

ამ ნიჟარების ნაცვლად ტურისტებს შინ მიაქვთ სადაფის ნაგავი და ბუნდოვანი შთაბეჭდილებები. მაგრამ ეს ამბავი მაინც ვერ აკავებს ამ ადამიანთა შეუპოვარ გულმოდგინეობას, რომ ყველაფერი „გეგმის შესაბამისად“ ნახონ, თუმცა რიგიანად არაფერსაც არ ნახულობენ და ვერც ვერაფერს იგებენ როგორც საჭიროა.

ტურიზმის მომხრე ნამდვილად ვარ, ოღონდ უხამსობას ვერ ვიტან.

მოთხრობის თანმიმდევრობა კვლავ დამერღვა. რა ვქნა, ჩემი მეხსიერებაა დამნაშავე. პატიებას ვითხოვ და უკან ვიხევ, რათა ხელახლა წინ დავიძრა. ვუბრუნდები გეოგრაფიულ რუკებსა და ამ რუკების სიტყვაძუნწ განმარტებებს — „ლეგენდებს“. უფრო სწორად, ვუბრუნდები სოხუმის „ლეგენდას“, ამ ლეგენდის ტოპოგრაფიულ ნარკვევს, მაგრამ მხოლოდ იმ ადგილებს ვახსენებ, ასე თუ ისე, რაიმე როლს რომ ითამაშებენ შემდგომ თხრობაში.

ტოპოგრაფიული აღწერილობის ამოსავალ წერტილად ვიღებ ჰენრიეტა ფრანცის ასულ ჟალიუს ბაღსა და სახლს, სადაც სოხუმში ყოფნისას ვცხოვრობდი.

აღწერილობას კი ამ დაბალი სახლისა და პატარა ბაღის ირგვლივ მიმოფანტულ რადიუსებად დავალაგებ. იქ, ფანჯარასთან, ერთი კოხტა ბანანი ხარობდა. იმ ბანანს სპილოს ყურებივით ეკიდა მწვანე, ნაზი ფოთლები.

მაგრამ ვიდრე ამ აღწერაზე გადავიდოდე, რამდენიმე სიტყვით უნდა გითხრათ, როგორ დავრჩი სოხუმში.

სანამ „პესტელი“ ფოთის გზას დაადგებოდა, სიფრთხილისათვის ნაპირიდან კარგა შორს წავედი, მაგრამ მაინც მეჩვენებოდა, რომ უსათუოდ დამიჭერდნენ და სოხუმიდან გამასახლებდნენ.

ვიარე, ვიარე, და ჩერნიავსკის მთასთან ამოვყავი თავი, იმ მთაზე კი მადმუაზელ ჰენრიეტა ჟალიუს განმარტოებული სახლი იდგა.

თუმცა ხელთ არაფერი არა მქონდა, ცარიელ-ტარიელი ვიყავი, მაგრამ მოხუცმა ქალმა მაინც სიამოვნებით მომაქირავა ოთახი, რომლის კედლებზეც ყურბელები დაცოცავდნენ.

საღამო ჟამს, როცა საფრთხემ ჩაიარა, გადავწყვიტე ქალაქში დავბრუნებულიყავი და დუქანში მევახშმა. პირველი, რაც დუქანში დავინახე, ის იყო, რომ ლეკურს ყოჩაღად ცეკვავდა ერთი ჩია მოხუცი, რომელსაც მსხვილი სათვალე ეკეთა და მეტისმეტად გრძელი ჩოხა ეცვა.

მოცეკვავის მეგობრები მაგიდასთან ისხდნენ და თანაგრძნობით ატყაპუნებდნენ ხელებს, მედუქნე კი საანგარიშოს აჩხაკუნებდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა აცუნდრუკებულ ბერიკაცს.

მოხუცმა ცეკვა დაასრულა და თავის პატარა მაგიდასთან მიმიპატიჟა. მაშინვე შემატყო, ჩამოსული რომ ვიყავი. ჩემი ვარაუდის საწინააღმდეგოდ, მოხუცი კაცი სრულიად ფხიზელი იყო და არაფერი საერთო არა ჰქონდა აფხაზებთან, ან რომელიმე მთის ხალხთან. თბილისელი ებრაელი აღმოჩნდა, გვარად რივკინი. სოხუმში მსახურობდა, აფხაზეთის ჯოოპერატივთა კავშირში და თავისუფალ დროს თურმე ლეკურის ცეკვა უყვარდა.

მაშინვე მიმიწვია თავისთან „აბსოიუზში“ საქმიანი მიმოწერის საწარმოებლად. საერთოდ, სოხუმში საოცრად გამიღიმა ბედმა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ტოპოგრაფიას.

ბაღის შუაგულში ჰენრიეტა ფრანცის ასულს ცემენტის ცისტერნა ჰქონდა მოწყობილი წვიმის წყლისათვის. გაზაფხულის წვიმის წყალი ჰენრიეტა ფრანცის ასულს თითქმის შემოდგომამდე ჰყოფნიდა. ცისტერნის გარშემო პალმები შრიალებდნენ, მარაოსავით გაეშალათ ფართო ფოთლები.

ჰენრიეტას კარმიდამოს გვერდით ერთი პატარა მინდორი იყო, ყვითელი და ლილისფერი უკვდავათი დაფარული. იმ მინდორში გველი იცოდა.

მინდვრის მეორე მხარეს მეგრული ოდა-სახლი იდგა. ამ სახლის კარ-ფანჯარა ჯვარედინად იყო ყავრით აჭედილი, გარშემო კი წყავისა და კვრინჩხის ისეთი უსიერი ტევრი ბიბინებდა, რომ სახლთან მისვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

სახლის უკანა ცის ვაზი იდგა ბლომად. იქ მთელი დღე მეზურნესავით დაუღლელი უთვალავი კელა აკვნესებდა თავის სტვირს.

ამ შამბნარის იქით, ნაირფეროვან კვამლში, მზის სხივთა არილში, გლეტჩერთა გადატეხილ შუქში, მოცახცახე ფოთლებში და დიდი კავკასიონის ირგვლივ მოფარფატე თეთრ ღრუბლებში იდუმალებით მოცული ის ქვეყანა გადაშლილიყო, სადაც დაიღუპა ოდოევსკი, სადაც წინასწარმეტყველის მწვანე დროშით იბრძოდა შამილი, სადაც მოკლეს ბესტუჟევ-მარლინსკი, სადაც თავისი ნაღველით ცხოვრების ამაოებას დასცინოდა ლერმონტოვი.

დროდადრო მეჩვენებოდა, რომ ყოველივე ამას თვალნათლივ ვხედავდი. ვხედავდი, როგორ იპყრობდნენ კავკასიას, თვალწინ მედგა გარუჯული მაზარები და არშიები, მიხაკისფერი სახეები, მწარე ჩიბუხები, მოსევადებული ხმლები, ზვინად დაყრილი ძეძვი, დენთის კვამლი — ერთი სიტყვით, თითქოს მართლა ცხადად ვხედავდი ომით აფორიაქებულსა და „სამგზის დასაღუპავ კავკასიას“, მიუვალ მთათა „ვერცხლის გვირგვინს“, „ბუნების სატახტოს, საიდანაც კვამლივით მიჰქრიან მეწამული ღრუბლები“. ყველაფერი ეს უკვე თქვა ლერმონტოვმა ნაღვლიანად, მაგრამ სიყვარულით. სამოცდაათი წლის შემდეგ კი მეორე პოეტმა ქვითინის მსგავსი ლექსით მიმართა ლერმონტოვს:

შენს გაშმაგებულ ურვა-წუხილში
დარდი არ ნახულ გაზაფხულისა
შორი შუქივით იწვის, მინათებს
და სწვდება სმენას, მსგავსად ზეურნისა.

იქ, ჩერნიავსკის მთაზე, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ძველ შფოთიან ლერმონტოვისეულ კავკასიაში. უფრო სწო-

რად, მინდოდა ასე მეგრძნო თავი, და ცხოვრებაც, თავისი ცუდი ჩვეულებისამებრ — ყველაფერში რომ ხელს უწყობს მეოცნებეთ. უხვად მასაჩუქრებდა იმ ძველი კავკასიის ათასნაირი რამ ნიშნით.

ჰენრიეტას სახლის მახლობლად მოგრძო თლილ ქვას წავაწყდი. ისე სქლად იყო დაფარული ყვითელი ხავსით, რომ ოდესღაც ამ ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ამოკითხვა შეუძლებელი გახდა... ხომ შეიძლება იქ ოდოევსკი ყოფილიყო დასაფლავებული? ან იქნება, ის სამარე იყო უცნობი ჯარისკაცისა? ვინ იცის.

ყოველ შემთხვევაში, საბაბი ვიპოვნე, რომ საფლავზე ყვავილები მიმეტანა (ამ ყვავილებს ფრინველები სწიწკნიდნენ და თან მიჰქონდათ), დავმჯდარიყავი, იდაყვით დავყრდნობოდი ქვას და მეცქირა, როგორ სუნთქავდა ჩემს ხელისგულზე პაწაწინა ხვლიკი.

რამდენჯერმე მთით ჭექა-ქუხილი მოიჭრა, ელვით გააპო შავად მოქურუხებული ცა და თან მღვრიე ტალღასავით წაიღო ყვითელი ღრუბლების მთაგრეხილები.

ვეებერთელა ბზრიალებივით ტრიალებდნენ ზღვაზე ქარბორბალები, იგრიხებოდნენ, თითქოს წაიფორხილესო, და უეცრად მთელი სიმძიმით ეცემოდნენ წყლის ზედაპირს. მაშინ ზღვა დუღდა.

ღმუილით მოჰქროდნენ ნაპრალებში ჩქერალები და ქვის ლოდებს ატრიალებდნენ. შავად ჩანდა და მძვინვარებდა შორეული ზღვა. ღვართქაფის ირიბი ნაკადები ქარს მიჰყვებოდნენ, თითქმის არც ეხებოდნენ მიწას ამ დროს მოულოდნელად აენთებოდა სველი და მცხუნვარე მზის სხივი, თითქოს

რაღაცა აფეთქდაო. და როცა რამდენიმე ცისარტყელა, მთათა მყარ სვეტებს დაყრდნობილი, ცაში აზიდავდა წყლის უთვალავ წვრილ-წვრილ ნაპერწკალს — ჭექა-ქუხილიც ჩაივლიდა.

ჭექა-ქუხილის შემდეგ სოხუმს სულის შემხუთველი ოხშივარი ჩამოაწვებოდა. ჰენრიეტა ფრანცის ასული ფანჯრებს ხურავდა. ამბობდა, ამ ოხშივარში უხილავი მიაზმა მრავლდებაო.

მიაზმა კი, ჰენრიეტას სიტყვით, ციებას, გულის სისუსტეს და ძვლების ტეხვას იწვევდა.

სუნთქვა ისე ჭირდა, ისე შეხუთული იყო ჰაერი, რომ ყველაფერს ხვითქი გადასდიოდა, რასაც კი სიზესტე გაჰკარებოდა. ყველაფერი სველი იყო და წყლიდან ახლად ამოღებულივით ბრწყინავდა: ფოთლები, ღობეები, კლდეები, კრამიტი.

ერთი ასეთი ჭექა-ქუხილის შემდეგ პირველად განვიცადე სასტიკი ხუთვა. მომეჩვენა, რომ ფილტვებში გამდნარი ტყვია ჩამასხეს. ეს იყო პირველი ნიშანი ასთმის — უწყალო სნეულებისა, რაც ადამიანს აიძულებს ისუნთქოს სუნთქვის მეოთხედი, ილაპარაკოს მეოთხედი ხმით, იაროს მეოთხედი ნაბიჯით, იფიქროს აზრის მეოთხედი, და დახრჩობით კი, დაიხრჩოს მთელი ძალით, უმეოთხედებოდ.

ახლა, როცა მრავალი წელია გასული, მინდა ზუსტად ჩავწერო პირველი შთაბეჭდილებანი კავკასიასა და სოხუმზე. ვწერ, მაგრამ კითხვისას ვატყობ, რომ ეს შთაბეჭდილებანი

ნაჩქარევი და სუსტად დაკავშირებულია ერთიმეორესთან, თუმცა დროისა და ადგილის მთლიანი განცდა არ აკლიათ.

ეს აიხსნება ალბათ რეალობის გრძნობის იმ ხანმოკლე და უცნაური შესუსტებით, რაც სოხუმში-ცხოვრების დასაწყისში დამეუფლა.

მეტად დიდი იყო განსხვავება შავი ზღვის მშიერ, გაყინულ ჩრდილოეთ სანაპიროსა და ამ თავისი ბუნებით უხვ, მიმოზის სურნელებით გაჟღენთილ ქვეყანას შორის.

ეს იყო ბარაქიანი და ძნელად ამოსაცნობი ქვეყანა. აქ საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა საკვირველი ყოფა. ქვეყანა ისე იყო შებოჭილი ადათ-წესებით, როგორც რკინის პერანგით.

აქ ყველაფერი უცნაური ჩანდა.

როცა თავადი შერვაშიძე დუქანში შემოდიოდა, იქ მსხდომნი ჩვეულების მიხედვით ფეხზე დგებოდნენ.

მასწავლებელი და მწერალი დიმიტრი გულია — აფხაზეთის განმანათლებელი — შემქმნელია აფხაზური დამწერლობისა, მანვე შექმნა პირველი სათეატრო დასიც. მოხალისე მსახიობები ურმით დადიოდნენ სოფელ-სოფელ.

საბჭოთა ფული ჯერ კიდევ არ იყო. ხელიდან ხელში გადადიოდა გაცვეთილი თურქული ლირა.

შოტლანდიის გემი სოხუმში თამბაქოს წასაღებად მოვიდა და სამაგიეროდ ატლანტიკური ქაშაყით სავსე კასრები დატოვა. შემდეგ მოვიდა იაპონური ხომალდი და მოიტანა აუარებელი ბრინჯი და ლერწმის შაქარი. ამიტომ ხელფასის მაგიერ იძლეოდნენ სურსათს. ყოველ ორ დღეში ერთხელ მოსამსახურეებს დამატებით აძლევდნენ თითო ბოთლ საუც-

ხოო ღვინოს და ერთ შეკვრა ძვირფასს თამბაქოს „ტრაპიზონს“. სხვა თუთუნის შეურევლად „ტრაპიზონის“ მოწევა არ შეიძლებოდა: ის მეტისმეტად მაგარი და ძვირი იყო. ამიტომ შესაგემებლად ჩვეულებრივ თამბაქოს ურევდნენ.

ბაზარში დათვის ბელსა და ერთ შეკვრა გაქვავებულ მოსკოვურ ბლითს, ალბათ ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამომცხვარს, თითო მანეთი უნდოდა. მოსკოვური ბლითი საარაკოდ ძვირი ღირდა.

ქვაფენილში ბამბუკის ყლორტებმა ამოჰყვეს თავი. ერთ ღამეში მთელი მეტრით წამოიზარდნენ, ზოგი მეტზედაც. სისხლის აღება ჯერ კიდევ იცოდნენ. აულებში ჯერაც იკრიბებოდნენ უხუცესთა სამსჯავროები.

ძნელი გასაგები იყო, რომელ საუკუნეში ვცხოვრობდით. საბჭოების პირველ ყრილობაზე აფხაზეთის ყველაზე უფრო ქედმოუხრელი მხარის — სამურზაყანოს მცხოვრებლებმა აირჩიეს ყველაზე უფრო ღირსეული წარმომადგენლები, ისეთები, რომლებსაც შეეძლოთ შეუმჩნევლად მოეპარათ უფიცხესი ცხენი. სამურზაყანოელ ბერიკაცებს სწორედ ეს მიაჩნდათ ნამდვილ გმირობად და არა სიმინდის ყანაში და თამბაქოს პლანტაციაში წელის წყვეტა.

სოხუმში ომის არავითარი გარეგნული კვალი არა ჩანდა. ქვეყანა ისევე ხელუხლებელი იყო, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ.

გარდასული ომის ერთი მოულოდნელი ნიშანი აქაური

მხარისათვის იყო ანრი ბარბიუსის წიგნი „ცეცხლი", რომელიც რაღაც სასწაულს შემოეტანა სოხუმში.

ამ წიგნის პირველი ცალი რივკინს აღმოაჩნდა, მაშინვე წავართვი. რივკინს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ბარბიუსის ამ მაგარ, ჯარისკაცის ნაბიჯივით მტკიცე ადამიანურ მოთხრობას ბაღში, ბანანის ჩრდილში ვკითხულობდი. ზოგჯერ თავს წამოვწევდი, აქეთ-იქით მივიხედავდი ხოლმე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემგან შორს იყო შამპანიცა და არდენის მთებიც, სადაც ღვართქაფით ამოვსებულ სანგრებში დომხალივით არეულიყო ორი არმია — ფრანგთა და გერმანელთა—და ჯარისკაცები ძენძეხში იხრჩობოდნენ. დრო იყო საჭირო, რომ საფრანგეთის ველებიდან ამ ფერადფერადი შუქით მორთულ-მოკაზმულსა და დამათრობელი სურნელებით გაჟღენთილ მხარეში გადმომექროლა.

ასეთ წუთებში ეს მიწა-წყალი განსაკუთრებით უცხოდ და თანაც ნაღვლიან მხარედ მეჩვენებოდა. უკანასკნელ ხანს ხშირად ვფიქრობდი, ეს მხარე რაღაცას მემუქრება-მეთქი. ამ მუქარას განსაკუთრებით ვგრძნობდი დაისის ჟამს, როცა სიცხისაგან სულშეხუთულს ბასრი კლანჭივით ჩამესობოდა ცივი სიო და ტანში მაჟიჟინებდა.

აღტაცებული ვიყავი ბარბიუსის წიგნით, განსაკუთრებით უკანასკნელი სტრიქონებით, სადაც მიწას მიჯაჭვული ჯარისკაცები დიდ სამართლიანობაზე ლაპარაკობდნენ. ლიბკნეხტის სახელი მოულოდნელად იფეთქებდა ხოლმე საუბარში, როგორც რეალური და მახლობელი იმედი ახალი დროების მოსვლისა.

ყოველთვის, როცა კი ამ ადგილს ვკითხულობდი, ყრუდ

ვგრძნობდი მღელვარებას და რატომღაც ჩემთვის ვფიქრობდი: ნეტავი წინ მივდივარ თუ გაოგნებული სადღაც დაბლა ვეშვები-მეთქი. რაკი მევე ვაძლევდი თავს ასეთ კითხვას, მაშასადამე, ჯერაც ცოცხალი ვიყავი. ეს კი მამშვიდებდა.

კარაჰედილი სახლი

სოხუმის სანაპიროს გასწვრივ მაშინ უამრავი პატარა ჩალანგარა დუქანი იდგა. ყველას უცნაური რამ სახელი ერქვა: ზოგს — „მწვანე სკუმბრია“, „სახელდახელო საუზმე“, ზოგსაც — „დასვენება ხალხს“, „თამარ დედოფალი“ ან „შეჩერდი, გეთაყვა“.

ყოველი დუქნის კედელზე მსხვილად დაბეჭდილი განცხადება ეკიდა: „ნისიად არავის“. ეს ულმობელი გაფრთხილება მარტო ერთ დუქანში იყო ცოტა უფრო თავაზიანად გამოხატული: „ნისია ურთიერთობას აფუჭებს“.

საპარიკმახეროსაც კი თავისი აბრა ჰქონდა: „ძმაო, ნისია რა სინდისია“.

განცხადება ყველგან ეკიდა, არც ქუჩის მემწვადეებს დავიწყებოდათ ამ განცხადების გამოკვრა. მწვადს მაყალზე სწვავდნენ და მთელ სოხუმში მწვადის სუნი იდგა. ზოგჯერ ამ სუნს ზღვაში გასული კაციც კი გრძნობდა და საღერღელაშლილი პირს აწკლაპუნებდა.

ის განცხადებები სოხუმის ცხოვრების მხოლოდ მხატვრული წვრილმანი იყო, ნამდვილად კი ყველა დუქანში ყველა ნისიად სჭამდა და სვამდა თვით თამარ მეფის დროიდან. ყო-

ველი ცდა დანახარჯის მაშინვე გადახდისა ძედუქნეების მოულოდნელ გაკვირვებას და გაოცებას იწვევდა. ამიტომაც სრულიად გაუგებარი იყო, ვინ გამოიგონა ეს ლოზუნგები და ვინ გააკრა მთელ სოხუმში ის განცხადებები.

მყვირალა წვეროსან თულუხჩებს სუროშემოხვეული პატარა კასრებით ზღვის პირას ცივ წყალი დაჰქონდათ. არც ამ თულუხჩებს დავიწყებოდათ ნისიის აუგი. განცხადებები ფეხსაცმლის მწმენდავებსაც გამოეკიდნათ თავიანთ მორთულ ყუთებზე.

ყოველი მწმენდავი თავის ყუთს ღია ბარათებითა და ზანზალაკებით ამშვენებდა, ან — ვენიზელოსის, ანდა სომეხთა კათალიკოსის პორტრეტით, იმის მიხედვით, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა მწმენდავი.

ისინი ან მოხუცები იყვნენ ან უწვერულვაშო ყმაწვილები. შუახნის მწმენდავს წამლად ვერ იპოვნიდა კაცი.

დილით სოხუმელებს ყუთების ბრახა-ბრუხი აღვიძებდა. მწმენდავი ბიჭები თავიანთ ადგილს იკავებდნენ და ყოჩაღად აკაკუნებდნენ ჯაგრისებს იმ დროისათვის პოპულარული სიმღერის ჰანგზე: „ქუჩაში ვნახე ნიანგი, შიმშილით სული სძვრებოდა!“ მოხუცები მხოლოდ საყვედურის ნიშნად აქნევდნენ თავს.

ბერიკაცთა შორის იყო ერთი ძველი ქურთი, მწმენდავთა თავისებური პატრიარქი. ამბობდნენ, უკვე ოცდაათი წელიწადია ერთსა და იმავე ადგილას ზის ნავსადგურთანო. ვეებერთელა ჯაგრისებს მსუბუქად ატრიალებდა ხელში. ფეხსაცმელს ხავერდის ნაჭრის ერთი მოსმით აპრიალებდა ბერიკაცი.

ქურთ ბერიკაცს ყველა დიდი პატივისცემით ეკიდებოდა.

თვით „ჰესტელის“ კაპიტანიც ხელის ჩამორთმევით მიესალ-
ბოდა ხოლმე. აი თურმე ამ ბერიკაცმა ითამაშა საბედისწერო
როლი იმ კარაჭედილი სახლის ამბავში, ჰენრიეტა ფრანცის
ასულის კარმიდამოს მახლობლად რომ იდგა.

კარაჭედილი სახლის ამბავი დედაბერმა მიამბო. სოხუმში
ორი გვარი სასიკვდილოდ გადაჰკიდებოდა ერთმანეთს. მტრო-
ბა იმით დასრულებულა, რომ ერთ ოჯახში ერთადერთი მამა-
კაცი დარჩენილა — ჰენრიეტა ფრანცის ასულის მეზობე-
ლი. 1900 წელს ის კაცი, უეჭველი სიკვდილისათვის თავის
დაღწევის მიზნით, თურქეთს გაქცეულა ცოლთან ერთად.

გაქცევა მუდამ როდი შველოდა ადამიანს. ჰენრიეტა ფრან-
ცის ასულის ხსოვნაში სისხლის აღების შიშით გაქცეული
ერთი კაცი მოსისხლეებს ამერიკაში ეპოვნათ და იქ მოეკლათ.

ჰენრიეტა ფრანცის ასულის გაქცეულ მეზობელს რომ
ემტერებოდა, ის ოჯახი მალე სოხუმიდან წებელდაში გადა-
სულა და შურისძიების ცეცხლი, რაკი ნავთს არავინ აღარ
ასხამდა, ჩამქრალა.

აფხაზთა ცრურწმენით, სახლი, სადაც სისხლი სისხლით
აეღოთ, დაწყევლილი და შეჩვენებული იყო. კარ-ფანჯარა
უეჭველად უნდა აეჭედათ, შიგ კაციშვილი აღარ შევიდოდა.

„დაწყევლილი“ სახლები თანდათან ინგრეოდა სიძველი-
საგან. როგორც კი ჩამოსაქცევ პირს შეატყობდნენ, აიღებდ-
ნენ ხოლმე.

ჰენრიეტას ნაამბობის შემდეგ ცოტა სხვანაირად დავუწყე
ცქერა ამ კარაჭედილ სახლს. უამრავი რამ ავბედითი ნიშანი
შევამჩნიე.

სხვენზე ცხოვრობდნენ (ან, უფრო სწორად, თავდაყირა

დაკიდებულთ ეძინათ) ღამურები. საღამოობით უთვალავი მღამიობი გამოიშლებოდა. ცხვირწინ აგიქროლ-ჩაგიქროლებდნენ, ირწეოდნენ და წრიპინებდნენ. სახლის დამპალი, დაფუტუროებული ხის კედლები ბოროტ მწვანე თვალებს აციმციმებდნენ. იმ კედლებს დღედაღამ დაუღალავად ღრღნიდნენ ხოჭო-მაჟაურები. სახლი ალბათ მალე ჩამოიქცეოდა.

ერთხელ ქალაქში შემაგვიანდა. „აბსოიუზიდან" სოხუმის პატარა გაზეთის რედაქციაში შევიარე და იქვე დავწერე მოკლე, მაგრამ ბოღმით სავსე წერილი სისხლის აღების წინააღმდეგ. რედაქტორი კითხულობდა და მხოლოდ ენას აწკლაპუნებდა.

— ვერ დავბეჭდავთ, — თქვა ბოლოს და ნაწერს ხელი დაჰკრა. — არ შეიძლება ასე მოულოდნელად წაართვა ხალხს თავისი ჩვეულება. დიპლომატიურად უნდა ვიმოქმედოთ. ათასი წელია კეპავენ ერთიმეორეს, მოდი და ახლა უეცრად აუკრძალე! დამიჯერე, ჩემი ერთი ქალიშვილის თავს გეფიცები, ამ წერილის ავტორს რედაქციის წინ გააფრთხობინებენ სულს. რა ვქნა, უნდა გამიგო, ვერ ვიზამ ამ ამბავს.

რაკი ვერაფერს გავხდი, გავიხურე კარი და წავედი. რედაქტორი ჩაფიქრებული დავტოვე, შუბლს იჭმუხნიდა და ლურჯი ფანქრით ყურისძირს იფხანდა.

ფანჯარასთან ქარი დაფნის ბუჩქებს არხევდა.

შინ წავედი. სოხუმში ყოველთვის ნელა დავდიოდი და ღრმად ვსუნთქავდი, — ვერანაირად ვერ მივეჩვიე იქაური ღამის მჭახე სუნს.

ჩემი სახლის მოსახვევს რომ მივუახლოვდი, შევჩერდი.

იმიტომ შევჩერდი, რომ კლდეს, რომელსაც ყოველთვის სიბნელეში ჩავუვლიდი ხოლმე და ხან ხელითაც შევხებივარ. გზა არ ამებნეს და ხრამში არ გადავიჩეხო-მეთქი, ახლა ლამპრის შუქი ეფინა.

თავი მაღლა ავწიე.

კარაჭედილი სახლი ღია იყო, ყოველ ოთახში ლამპარი ბდღვრიალებდა. ალბათ ვინმე ჩამოსულა, ვიფიქრე, ანგარიში არ გაუწია ძველაფხაზურ წეს-ადათს და კარი გახსნა-მეთქი.

ჭიშკართან ჰენრიეტა ფრანცის ასული იდგა. ხელი ჩამავლო და სუნთქვაშეკრულმა მითხრა:

— მალე! პლუ ვიტ! პლუ ვიტ!

მოხუცი ქალი ცახცახებდა. ხმაც უთრთოდა.

— რა მოხდა? — ვკითხე შეშინებულმა.

— მალე! — ხმამაღალი ჩურჩულით მითხრა, წატორტმანდა და ღობეს მიეყრდნო. — ღმერთო, რა უბედურებაა! გაიქეცით!

— სად გავიქცე? — ვკითხე სრულიად დაბნეულმა.

— ის კაცი თურქეთიდან დაბრუნდა! — ხმამაღლა თქვა ჰენრიეტა ფრანცის ასულმა. მეც შემაშინა, ისე ცახცახებდა. ისტერიული შეტევა თუ დაეწყო-მეთქი, ვიფიქრე.

— დღეს დაბრუნდა თურქეთიდან, — ნათლად და ხმამაღლა გაიმეორა. — მალე მილიციაში გაიქეცით და უთხარით, რომ დაბრუნდა. გვარად ჩაჩბაა. ღმერთო, რა უბედურებაა!

გავშტერდი, ვერაფერი წესიერად ვერ გავიგე და თითქმის სირბილით დავეშვი ჩერნიავსკის მთიდან.

მილიციის ეზოში დაბალ მაგიდაზე ფარანი „ღამურა“ იდგა. „ღამურას“ შუქზე სამი მილიციონერი ნარდს თამაშობდა. ღო-

ბესთან ხმამაღლა იცოხნებოდნენ პალმებზე მიბმული შეკაზ-მული გამხდარი ცხენები.

მილიციონერები თამაშს ისე გაეტაცნა, რომ არცკი შე-მომხედეს. ახლოს მივედი და ვთქვი, თურქეთიდან ვიღაცა ჩაჩბა ჩამოსულა და ჩერნიავსკის მთაზე რომ კარაჭედილი სახლია, ახლა იქ არის-მეთქი.

ლაპარაკის დამთავრება ვერ მოვასწარი, მილიციონერები ხელად ზეზე წამოიჭრნენ და შეკაზმულ ცხენებს მისცვივდ-ნენ, ფანჯარაში თავგამოყოფილ მორიგეს რაღაც გადასძახეს და აჩქარებით აუშვეს ცხენები. მერე ცქვიტად მოახტნენ და ჩერნიავსკის მთისაკენ გიჟური თქარა-თქურით გაჰქუსლეს. ქვას მოხვედრილი ნალი ტალ-კვესივით ჰყრიდა ნაპერწკლებს. ღამეში უეცრად დატრიალდა დენთისა და სისხლის სუნი.

სირბილით მივყევი მილიციონერებს. მაგრამ ჯერ შუაგზა-ში არც ვიყავი, რომ ისევ ჩამიქროლეს, ჩერნიავსკის მთიდან დაბრუნებულნი ქალაქს მიეშურებოდნენ. ძლივს მოვასწარი გზისპირა თხრილში გადახტომა.

დაწყევლილი სახლი ისევ ისე განათებული იყო. ლამპრე-ბი ბოლავდნენ.

კიბის ახლოს აივანზე ხელებგაფარჩხული დარბაისელი ჭა-ღარა კაცი ეგდო. მოხუცის განგმირული მკერდიდან ჯერ კიდევ მოქონავდა სისხლი, კიბეც სისხლით იყო მოსვრილი.

მოკლული კაცის გვერდით ლამაზი ხნიერი ქალი იჯდა. გულში იკრავდა ხუთიოდე წლის ყმაწვილს და გაშტერებული იცქირებოდა წინ. მივუახლოვდი, თვალი თვალში გავუყარე, და გამაჟრიალა — ისეთი გიჟური სიძულვილი ჯერ არასოდეს არ ამომეკითხა ადამიანის თვალებში.

აშკარა იყო, ამ პატარა ბიჭს ეს ქალი მაშინვე მამის სისხლის ასაღებად გაგზავნიდა, როგორც კი წამოეზრდებოდა. ქვეყნად ვერაფერი ვერ მოულბობდა გულს და ვერც ათქმევინებდა: კმარა, სისხლი ნუღარ დაიღვრებაო.

ჰენრიეტა ფრანცის ასული მართალი იყო, რომ მაჩქარებდა. მილიციონერებს დააგვიანდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ქალი და ბავშვი გაქრნენ (ამბობდნენ, შვილის დარდი ჰქონდა, დონის როსტოვში გაიქცაო) ყველაფერი ნათელი გახდა.

ჩაჩბა ტრაპიზონიდან თურქულ გემს ჩამოჰყვა. ნავსადგურში ის მაშინვე იცნო ფეხსაცმლის მწმენდავმა ქურთმა. შუბლი მოისრისა და ეჭვიანად შეავლო თვალი.

ჩაჩბამ ფეხსაცმელი იმ ქურთს გააწმენდინა. თან ესაუბრებოდა. ოცი წლის შემდეგ სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულს გული სიხარულით ჰქონდა სავსე და თითქოს ლაპარაკის საღერღელიც აშლოდა. კარგახანია ომიც დამთავრდა და რევოლუციამაც ჩაიარა, ახლა აფხაზეთში ალბათ ყველაფერი შეიცვალა, არა მგონია, რომ შურისძიებას ისევ ძველებურად მისდევდნენო, ეუბნებოდა ჩაჩბა ქურთ ბერიკაცს.

ფეხსაცმლის მწმენდავი უხალისოდ აქნევდა თავს და განუწყვეტლივ აქეთ-იქით იცქირებოდა. მაგრამ ჩაჩბა ბედნიერი იყო და არ შეუმჩნევია არც შეკრული შუბლი და არც მოწკურული თვალები ქურთი ბერიკაცისა.

როგორც კი ჩაჩბამ თავისი ბარგი-ბარხანა ურემზე დააწყო და ჩერნიავსკის მთისაკენ მიმავალ გზას დაადგა, ქურთმა ხელად ბაზარს მიაშურა. იმ დროს იქ ლაბირინთივით მიხვეულ-

მოხვეული ათასი ეზო და გასასვლელი იყო, უცხო კაცი უეჭველად დაიბნეოდა.

უხილავ ხელს თითქოს საგანგებოდ აეჩხორა ჩალანგარა საჯინიბოები და მოცუცქული ფიცრულები, სადაც გნიასი გაჰქონდათ პრიმუსებს, ხარაზები ჩაქუჩებს აკაკუნებდნენ, ღმუოდნენ და ცისფერ კვამლს ანთხევდნენ სარჩილავი ლამპები, იხარშებოდა სქელი თურქული ყავა, მაგიდას ტყაპუნით ეცემოდა გაქონილი კარტი, თავიანთ წელანგარა ქმრებს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ თავშიშველი ქალები, ბებერი არწივებივით ყიპყიპებდნენ ბერიკაცები. ამ საბაზრო არეულობასა და აურზაურში მოულოდნელად ერთი ტანადი ლამაზი კაცი გამოჩნდებოდა ხოლმე, უძიროები და ყურთმაჯიანი ჩოხა-ახალუხი ეცვა, დაბნედილივით დადიოდა.

ქურთმა კარგახანს ათვალიერა ის ლამაზი კაცი და, დაინახა თუ არა, მივიდა, ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა.

— კარგი. ბატონო, — მიუგო წყნარი ხმით კაცმა. — ხვალ შენს ას ლირას მიიღებ.

ლამაზმა უცნობმა არემარეს მიბნედილი თვალები მოავლო, გამხდარი მიხაკისფერი ხელი ხანჯლის ტარს მოუჭირა და გარეულ კატასავით, ფეხაკრეფით გაიძურწა ბაზრიდან.

ათი წუთის შემდეგ იგი უკვე წებელდისაკენ მიჰქროდა, რათა ერთი იქაური ოჯახისათვის თავბრუდამხვევი ცნობა ჩაეტანა: აფხაზეთში თქვენი მოსისხლე ჩაჩბა დაბრუნებულაო.

მაშინვე ორი მხედარი გაეშურა წებელდიდან სოხუმისაკენ და გეზი იმ სახლისაკენ აიღეს, ჩერნიავსკის მთაზე რომ იდგა.

გახურებული ცხენები კიბესთან შეაჩერეს. მაჭახელები

მოიმარჯვეს და ჩაჩბა აივანზე გამოიხმეს. ჩაჩბა უიარაღოდ გამოვიდა, ორივე ხელი გაუწოდა ძველ მტრებს და იქვე დაეცა განგმირული, შესარიგებლად გაწვდილი კეთილი ხელები სისხლმა შეუღება.

მკვლელები, ცხადია, ვერ იპოვნეს. სვანეთში გაქცეულიყვნენ, ხოლო სვანეთში იმ დროს შეიარაღებული ჯარი თუ შეაღწევდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დაწყევლილ სახლს ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლწაკიდებული სახლი დილიდან შუადღემდე იწვოდა. ქარი არ იყო, ცეცხლი ოქროს სვეტივით აღიმართა ცისკენ. ორ-სამ დღეს მთელ იმ არემარეში ნახანძრალის სუნი იდგა, მაგრამ მალე დამწვრის სუნი კვლავ ცის ვაზის მძაფრმა სუნმა შეცვალა.

მალპოსტი

სისხლის აღების ამ პირველ შემთხვევას, რაც თვალნათლივ ვნახე, მალე მეორე მოჰყვა. მეხსიერებაში ეს ორი შემთხვევა ერთად შემომრჩა და თითქოს შეერთდა კიდეც. ამიტომაც ორივე ამბავს ერთიმეორის მიყოლებით მოგითხრობთ.

სოხუმიდან ახალ-ათონამდე მაშინ ეგრეთწოდებული „მალპოსტები“ მიმოდიოდნენ. ეს იყო ათონის მონასტერთან კავშირის ერთადერთი საშუალება.

ომამდე კავკასიის სანაპიროზე ჯერ კიდევ ნახავდით სამგზავრო ეტლებს — დილიჟანსებს.

დილიჟანსი წარმოადგენდა ვეებერთელა ოთხცხენიან ეტლს. მგზავრები მჭიდროდ ისხდნენ შიგ ეტლში და აგრეთვე სახურავზე — „იმპერიალზე“.

ამას გარდა, მოწყობილი იყო კიდევ ორი ადგილი გარეთ, სატერფულებზე. დაჯდომით, დაჯდებოდი, მაგრამ ფეხები ჩამოკონწიალებული უნდა გქონოდა. იქვე იყო მიხრახნილი რკინის სახელურები, რომ მგზავრები ჩასჭიდებოდნენ და ნჯღრევის დროს ეტლიდან არ გადაცვივნულიყვნენ.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, კიევში, მინახავს ჟიტომირსკენ მიმავალი დილიჟანსები. ყვითლად შეღებილთ პატარა კარებზე უელავდათ სპილენძის ემბლემა საფოსტო უწყებისა — ორი გადაჯვარედინებული საფოსტო ნაღარა და ორიც ჯვარედინი ელვა. ელვა ალბათ მიუთითებდა ელექტრონის მოხაწილეობაზე სატელეგრაფო კავშირში.

ჯერ კიდევ წარსულის ნისლით დაბურულ იმ წლებიდან დამამახსოვრდა მობუზული „მესატერფულე“ მგზავრები, საცოდავად რომ ირყეოდნენ. ერთი ხელით რკინის სახელურს ეჭიდებოდნენ აკანკალებულნი, მეორეთი. კი გამტვერიანებული ქვაბურა ან ჩიხაქუდი ეჭირათ. თვალებში ჩლუნგი სასოწარკვეთილება ეხატებოდათ.

გზა გზას არა ჰგავდა. აუტანელი ნჯღრევისაგან ამ მგზავრებს ტანზე ყველაფერი შემოეხსნებოდათ და ჩამოეშლებოდათ ხოლმე. არასოდეს არ მინახავს „მესატერფულე“, რომ საცვლის ზორტი არ ჰქონოდა ჩამოკონწიალებული ან პიჯაკი კუზივით არ ამოსჯდომოდა კისერთან.

ჩვენ, ბიჭებმა, კარგად ვიცოდით, რომ სატერფულებზე მხოლოდ ქოსა-ტყუილა ხალხი და ჩარჩები სხდებოდნენ. მაგ-

რამ, მიუხედავად აუტანელი ტანჯვისა, რასაც ისინი ჩვენ თვალწინ განიცდიდნენ, მაინც გვშურდა, ნეტავი მაგათო, ვამბობდით.

მე, მაგალითად, ვოცნებობდი, რომ მშობლების მიერ საუზმისათვის მოცემული ფულის დანაზოგით მეყიდა დილიჟანსის ბილეთი ჟიტომირამდე და ასევე მექანავა ფიჭვის ტყეებს შუა გავლისას, ჯანჯღარით გადამევლო მდინარე-ჭაობებზე გადებული ბოგირ-ხიდები და ფეხით მეგერიებინა ეშმაკივით გაავებული სოფლის ძაღლები.

„მესატერფულე“ მგზავრთა ყოველგვარ საყრდენს მოკლებული ფეხები ჰაერში ეკიდნენ, აქეთ-იქით ქანაობდნენ და აღიზიანებდნენ ძაღლებს.

ასეთი იყო დილიჟანსი, ფართო, ბევრის დამტევი და თავისი სიტლანქით რამდენადმე დიდებულიც კი.

დილიჟანსის გვერდით მალპოსტი (ჩვეულებრივი ექვსადგილიანი ეტლი იყო, მგზავრები ზურგშექცეულნი ისხდნენ), ჩანდა უბადრუკ ნაგებობად, რომელსაც მაინცდამაინც დიდი იმედი არა ჰქონდა თავისი თავისა, ირყეოდა და ინჯღრეოდა, მაგრამ იხტიბარს განგებ არ იტეხდა, მედიდურად ეჭირა თავი. რა ჩამოგლეჯილიც არ უნდა ყოფილიყო, ზედ რკინის ორ ტაბიკზე მუდამ გადაჭიმული ჰქონდა ტილოს ჩარდახი მზისაგან დასაფარავად, ტილოს კიდეებზე წითელი ხავერდის ბურთულები ეკიდა.

ასეთი მალპოსტით მხოლოდ ერთხელ ვიმგზავრეთ მე და ბაბელმა სოხუმიდან ახალ ათონში. ბაბელი ამ დროისათვის უკვე გადასული იყო ოდესიდან ბათუმში და იქ ცხოვრობდა, მწვანე კონცხის შფოთიან ტროპიკულ შამბნარში ჩაძირული.

როგორ მოხვდა ბაბელი რამდენიმე დღით ბათუმიდან სოხუმში, ეს არ მახსოვს. ის კი უნდა ვთქვა, რომ ბაბელის ცნობისმოყვარეობა ყველა დაბრკოლებას სძლევდა.

ამრიგად, ჩვენ მივემგზავრებოდით ახალ ათონში. თანამგზავრებს შორის იყო სქელი ცხვირპაჭუა კაცი, რომელსაც ეოკეის კეპი ეხურა. ახალ ათონში მიდიოდა, მოანგარიშედ მოვეწყობიო, იმედი ჰქონდა.

ცხვირპაჭუას გარდა, ჩვენთან მგზავრობდა ხარისთვალა ჩასუქებული ქალიშვილი, რომელსაც ვიწრო შავი კაბა ეცვა. ყოველ ოღროჩოღრო ადგილას ამ კაბას ავბედითი ფხრაწაფხრუწი გაჰქონდა. ამასთან ქალიშვილი ყოველთვის შეშინებული წამოიკივლებდა: „უი-მე!“ — და იჭიმავდა კაბის კალთას მუხლისთავებზე, საშუალო სიდიდის ყვითელ გოგრებს რომ მიუგავდა.

ქალიშვილის გვერდით იჯდა ბეცი ყმაწვილი კაცი, ინტელიგენტი, ოქროს პენსნეიანი. როცა მოსახვევში მალპოსტი გადაიხრებოდა, ამ ყმაწვილი კაცის გრძელი ფეხები საფეხურს მოსწყდებოდნენ, ძირს მისთრევდნენ და მტვრის ბუღს აყენებდნენ.

არავითარი საიმისო საბაბი არ მიგვიცია, ისე აგვიხსნა: პენსნე მემკვიდრეობად დამრჩა პაპაჩემისაგან, მთელ სოხუმში ერთადერთი დანტისტისაგან, ახლა მონასტერში მივემგზავრები, მინდა მგალობლად მოვეწყო. ძალიან მაღალი ტენორი მაქვსო, ამტკიცებდა, ხოლო მონასტერში, როგორც ამბობენ, ზორბად აჭმევენ, ზოგჯერ თევზის ლაბასაც იძლევიანო.

უკანასკნელი მგზავრი იყო გაურკვეველი ასაკის კაცი.

მიწისფერი სახე ჰქონდა და გახუნებული ჯარისკაცული გიმნასტურა ეცვა. ჩვენს კითხვაზე ეს კაცი უხალისოდ და გაუგებრად გვეპასუხებოდა. ჩვენც გადავწყვიტეთ აღარ შეგვეწუხებინა.

ისე დაწვრილებით აღვწერე თანამგზავრები, რომ მკითხველს შეუძლია იფიქროს, ალბათ ისინი შემდგომი მოვლენების გმირებად თუ იქცევიანო. არაფერია მაგის მსგავსი. არცერთი ამ მგზავრთაგანი არ გახდება გმირი. ასე წვრილად მხოლოდ იმიტომ აღვწერ, რომ ბაბელმა არაერთხელ ოსტატურად წარმომისახა ისინი ცალ-ცალკე და ბევრიც მაცინა. ამიტომაც დავიმახსოვრე ასე კარგად ეს სახეები.

აუჩქარებლად ვმგზავრობდით, ვტკბებოდით სიცხითა და მწიფე თუთით, რომლითაც უხვად იყო მოფენილი გზა.

ხანდახან გავუსწრებდით ხოლმე კამეჩებშებმულ ურმებს. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ კამეჩები წინ კი არა, უკან მიდიოდნენ, ისე ნელა და უხალისოდ ადგამდნენ ყოველ ნაბიჯს.

კამეჩებთან ყოველი შეხვედრისას პენსნეიანი ყმაწვილი კაცი ერთსა და იმავე ფრაზას წარმოთქვამდა, ფენიმორ კუპერისა თუ მაინ-რიდის სიტყვებს იმეორებდა: „როცა კამეჩები კუდებს იქნევენ, ბუზებს იგერიებენ, პრერიებში ველური ქარი ბობოქრობს“.

მეეტლე კი, მოხუცი მეგრელი, აღტაცებისაგან მხოლოდ ტუჩებს აწკლაპუნებდა:

— ჰაი, რა ლამაზად ლაპარაკობ, კაცო! პირდაპირ, სიმღერა გეგონება!

ასე მივემგზავრებოდით ზაფხულის იმ გიჟმაჟ დღეს, დაბ-

რმავებულნი ზღვის თეთრი ელვარებით, და არ ველოდით არა-ვითარ მოვლენას. მაგრამ მოვლენები მაინც მოხდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მოულოდნელად.

ეს მოვლენები დაიწყო ფლოქვების თქარა-თქურით, რაც თანდათან გვიახლოვდებოდა.

უკან მოვიხედეთ. ჩვენ გვეწეოდა საარაკო სილამაზის ახალგაზრდა მხედარი — შავგვრემანი, ტანწვრილი და ნაზი, როგორც მოცეკვავე ქალი.

მხედარს თითქოს კორსეტი ეცვა, ისე ჰქონდა შემოჭერილი ტანზე მუქი წითელი ფერის ჩოხა, თეთრი ძვლის მასრებით დამშვენებული. პატარა ყუბანური ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული. ხანჯლის გარდა მაუზერიც ეკიდა.

წაბლა ცხენმა ქშენით ჩაგვიქროლა და ლაღი თოხარიკით გაგვისწრო. ლამაზ მხედარს უკან შიკრიკიც მოჰყვებოდა.

როცა მხედარი გაგვისწორდა, დავინახეთ გაქვავებული სახე და თვალები, შეშლილივით რომ აშტერდებოდნენ ერთ წერტილს, როგორც ბრმებმა იციან.

— ინალ-იფა! — თითქმის ჩურჩულით თქვა მეეტლემ. — დიდი უფროსი! კომისარი!

— რის კომისარია? — ჰკითხა ბაბელმა.

— საგანგებო კომისიის, — ჩუმად ჩაგვიკრა თვალი მეეტლემ. — კომისია! საგანგებო!

— უი-მე! — ნაზად წამოიძახა ქალიშვილმა და მუხლისთავებზე კაბა შეისწორა.

ყველა აღელვებული იყო ამ შეხვედრით, გიმნასტურიანი კაცის გარდა. გიმნასტურიანმა პაპიროსი გაახვია, ტალკვესი გაჰკრა, გაიჭიფხა და უხალისოდ თქვა:

— ასეთი ხოხბებიც გვინახავს...

თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდაო, გიმნასტურიანი უცებ დადუმდა. ახალ ათონამდე ნახევარი გზაღა დაგვრჩენოდა გასავლელი.

და აი, ამ სოფლიდან გაისმა რევოლვერის კანტიკუნტი სროლა. შემდეგ თითქოს პირდაპირ ცაში აიჭრა ადამიანთა სასოწარკვეთილი ძახილი. ყვირილს მოჰყვა რამდენიმე აჩქარებული სროლა, ერთი ტყვია ჩვენს მახლობლად დაეცა, გასხლტა, დაიწივლა, მტვრის კორიანტელი დააყენა და გაქრა.

ცხვირპაჭუა კაცი ეტლიდან გადახტა და ბუჩქებს მიაშურა. მეეტლემ გიჟივით მოსწია სადავეები და გზის მახლობლად თხრილისაკენ შეუხვია. მალპოსტი გადაიღრიცა. ერთი ბორბალი ჰაერში დაეკიდა.

— უი-მე! — შეჰკივლა ქალიშვილმა, ფეხები შეიკეცა და ახმახ ჭაბუკს მიეხუტა.

რამდენიმე ტყვიამ ანცად გადაგვიზუზუნა და კვლავ გავიგონეთ თქარათქური. ახლა ცხენს თითქოს სული ეხუთებოდა, ისე გამძვინვარებული მოჰქროდა, გეგონებოდათ, სადაც არის ფლოქვებს ნალები ასძვრებათ ასეთი შეუწყვეტელი ჭენებისაგანო.

— ეტყობა, სროლაა, — ნაღვლიანად განსაზღვრა გიმნასტურიანმა კაცმა, — კარგი იქნებოდა ქვას ამოვფარებოდით.

მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

ბაბელმა სათვალე მოიხსნა და სიცილი დაიწყო. სახე მრავალმა ნაოჭმა დაუფარა. მეტადრე თვალებთან.

— რა იყო? — ვკითხე მე.

— მზამზარეული თავია, — მიპასუხა და ჩაახველა. — ნემიროვიჩ-დანჩენკოს რომანიდან „დენთის ლეგენდებსა და ჭაღარა ჯვამლში“. ან იმისავე რომანიდან...

მაგრამ ბაბელმა ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, ვერ გავიგე თუ ნემიროვიჩ-დანჩენკოს რომელი მეორე რომანიდან იყო ეს თავი. ალბათ იმ ნაწილის მოქმედება ჯერ არ იყო დამთავრებული. ბაბელი გაჩუმდა, რადგან ისევე როგორც ქველა ჩვენგანმა, დაინახა, რომ ინალ-იფა გაშმაგებით მოაქროლებდა ცხენს, უკვე ეშერას მხრიდან, ჩვენს შესახვედრად, და სულაც არა ისე, როგორც ხუთი წუთის წინათ. სახე შეცვლილი ჰქონდა. ყუბანური ქუდი აღარ ეხურა, თმა აბურძგვნოდა და თვალებზე ჩამოშლოდა. რევოლვერს ძარღვიანსა და სველ კისერში ურტყამდა ცხენს. გაშმაგებული მერანი გვერდულად მოჰქროდა, თითქოს უკან იყურებოდა.

ინალ-იფას უკან ცხენს მოაგელვებდა იგივე შიკრიკი და ასე ამხედრებული ისროდა.

მოჩვენებათა სისწრაფით ჩაგვიქროლეს მხედრებმა. სროლა მიწყდა. მიწაზე გართხმული მეეტლე წამოდგა და პირჯვარი გამოისახა.

— ეტყობა, ეშერაში ჯანყია, — შენიშნა გიმნასტურიანმა კაცმა. — მთის ხალხი ამას ვერ შეეგუება.

ყველანი გაგვაოცა ამ ამბავმა. აღარ ვიცოდით, რა გვექნა — განგვეგრძო გზა ეშერაზე გავლით ახალი ათონისაკენ, თუ დავბრუნებულიყავით სოხუმში.

ცხვირპაჭუას საერთო გადაწყვეტილებისათვის არ დაუცდია, ბუჩქებიდან გამოძვრა და უკან, სოხუმისაკენ მოძურწა.

— უი-მე! — გაბრაზებით შესძახა ქალიშვილმა და გულუხვად გადააფურთხა იქით, საითაც პაჭუა წავიდა.

ამ გადაფურთხებამ გადაწყვიტა საქმე. კვლავ განვაგრძეთ გზა. ყველას გვინდოდა გაგვეგო, თუ რა მოხდა ეშერაში. მეეტლემ ამოიოხრა, და ქანჩებმორყეული მალპოსტი ნჯღრევით დაიძრა თავისი უცნობი ბედის შესახვედრად.

გზატკეცილის მოსახვევის იქით შევხვდით შეიარაღებულ ეშერელებს. არც შევუჩერებივართ, არც არაფერი უკითხავთ. მგონი, ვერც კი შეგვნიშნეს, ისე იყვნენ აღელვებულნი.

ეშერის მთელი მოსახლეობა ჯარად გამოსულიყო ქუჩაში. ყოველ ზღურბლთან თმაგაწეწილი ქალი იდგა. ისინი მწარედ მოთქვამდნენ და სახეს იკაწრავდნენ. ბავშვები სოფლის მოედნისაკენ გარბოდნენ. შუა მოედანზე უზარმაზარი თელა იდგა. თელისაკენ მიეშურებოდნენ მამაკაცები, გაშმაგებით აქნევდნენ ხელებს და თან გზადაგზა სიათებსა და მაჭახელებსა სცლიდნენ.

თელის ქვეშ თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი იწვა, თავი უნაგირზე მიედო.

ყმაწვილს მკერდზე შემოგლეჯილი ჰქონდა პერანგი, მუცელი ჩავარდნოდა, შიგ სისხლის გუბე ედგა.

ყმაწვილი მკვდარი იყო. გარშემო კოჟრებიან კვერთხებზე დაყრდნობილი სოფლის უხუცესნი იდგნენ, დასცქეროდნენ მიცვალებულს და სდუმდნენ. ვინც კი გვამს მიუახლოვდებოდა, ყველას დუმილი იპყრობდა, მხოლოდ დროგამოშვებით ვინმე ზეაღმართავდა მუშტს და გაჰყვიროდა რაღაც ხორხისმიერს, ავბედითს — ალბათ მკვლელსა სწყევლიდა.

მკვდარ ბიჭს პატარა შავკაბიანი გოგონა უჯდა გვერდით, თვალს არ აცილებდა და მწვანე ტოტით ბუზებს უგერიებდა.

მეეტლე ეშერელებს გამოელაპარაკა. პასუხი რომ ესმოდა, ოხრავდა, ხელებს მტვრიან შარვალზე იცემდა, ფილენჯიანი-ეით ატრიალებდა თვალებს და მიხაკისფერ გუგებს აჩენდა.

იმ დროს აფხაზეთში ყველგან როდი იყო საბჭოთა სასამართლო. დამნაშავეებს სოფლად ჯერ კიდევ უხუცესნი ასამართლებდნენ. კანონი იყო ადათ-ჩვეულება და საკუთარი მიხედულობით განსჯა.

უხუცესთა სასამართლო ჩვეულებრივ ასწლოვანი წმიდა ხის — მუხის ან თელის ქვეშ იკრიბებოდა.

ამ დილითაც შეყრილიყვნენ უხუცესნი, რათა გაესამართლებინათ ყმაწვილი, რომელსაც უნაგირი მოეპარა.

მოკლულთან მივედით. ნაზი იტალიური პროფილი ჰქონდა. ეოგონა, თითქოს მომართულიაო, ისე უგერიებდა ბუზებს. მშვიდად აქნევდა ტოტს. ზოგჯერ ტოტი უნაგირის უზანგს წამოედებოდა ხოლმე და მაშინ წყნარი ჟღარუნი ისმოდა. სამგლოვიარო ზარის ხანგრძლივ, მშვიდობიან ხმას მოგაგონებდათ ეს ჟღარუნი.

ინალ-იფას გაეგო თუ არა უნაგირის მოპარვის ამბავი, ხელად გამოვარდნილიყო ეშერაში, რათა სასამართლოს დასწრებოდა.

აქ, სასამართლოზე, ის თავის უბოროტეს მტრებს — თავად ემხვარებს შეხვედროდა.

რაც შემდეგ მოხდა, წესიერად ვერავინ აგვიხსნა. ძმებმა ემხვარებმა და ინალ-იფამ სროლა ატეხეს. ამ სროლაში ვერავინ გაიგო, ვინ მოკლა ყმაწვილი, უნაგირის ქურდი.

ემხვარებმა შესძახეს, ყმაწვილი მაგათი მოსისხლე გვარისა

იყო და ამიტომ ინალ-იფამ მოკლა, მანვე ჩაიდინა უკანონობა და სასაცილოდ აიგდო უხუცესთა სასამართლოო.

მამაკაცებმა ხელი იარაღს იტაცეს. მაგრამ ინალ-იფამ გაქცევა მოასწრო.

ეშერას გავცდით თუ არა, გზა სრულიად მინგრეულ-მონგრეული აღმოჩნდა. მალპოსტიდან ჩამოვედით და ფეხით წავედით.

დღე თითქოს დუმილში ჩაიძირა. ჭრიჭინობელებიც კი დუმდნენ და აღარ ხმიანობდა არც პაპანება სიცხე. ჩვეულებრივ კი სიცხის ლულმა ზუილი იცის, როგორც მილში წყალმა.

მზით გამთბარი ზღვაც დუმდა. თანდათან ორთქლით იფარებოდა.

მონასტერში კაცის ჭაჭანება არ იყო. ბაღში, ცემენტის პატარა აუზებში, სადაც მთის ნიაღვრებს სარწყავ წყლად აგროვებდნენ, ოქროს თევზები დაცურავდნენ. ეტყობოდათ, შიმშილობდნენ, რადგანაც მაშინვე ჯგროდ შეიყრებოდნენ ხოლმე აუზის იმ კიდესთან, სადაც ადამიანები შეჩერდებოდნენ. ირგვლივ, როგორც ეკლესიაში, გახურებული კვიპაროსების მკვეთრი სუნი იდგა.

ტაძარში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ღვთისმსახურება, მაგრამ მონასტერში მხოლოდ რამდენიმე ბერი დარჩენილიყო. ბერებს წინამძღოლობდა მამაო კელარი — ქერა, ჩოფურა, საძაგელი ხმის პატრონი.

მამაომ ცარიელსა და ხმაურიან სასტუმროში შეგვიყვანა

და ოთახი მოგვიჩინა. მსუქანი ქალიშვილი გამოგვემშვიდობა და წავიდა რომელიღაც სოფლისაკენ, მთაში, თავის ძმასთან, მერე პენსნეიანიცა და გიმნასტურიანიც სადღაც გაქრნენ.

— თქვენ, როგორც განათლებულ ადამიანებს, — გვითხრა მამაო კელარმა, როცა საბუთები გაგვისინჯა, — გთხოვთ, სახღვრებს არ გადახვიდეთ. აქ, მეზობელ ოთახში დაბინავდა ქალბატონი ნელიდოვა. სასტუმროში სხვა არავინ არ აცხია. იგი ჩვენსას იმიტომ ჩამობრძანდა, რომ დაისვენოს. მიწიერ უმსგავსობასა და საძაგლობას გამოერიდა. მაღალი წრის ქალია. მონაზვნურად განწყობილი. ფეხით ჩამოვიდა სოხუმიდან. აღთქმა ჰქონია. მთელი არსებით წესიერია და თან ძალზე მკაცრი. შავები აცვია, როგორც მონაზონს.

— ჰო-ო, — თქვა ბაბელმა. — ალბათ კაჟივით მაგარი მოხუცი ქალია.

მამაო კელარმა გაიცინა.

— რასა ბრძანებთ, მოქალაქენო! — საყვედურის კილოთი თქვა. — ბევრი-ბევრი ოცდაათისა იყოს. ძალზე მიმზიდველი ქალია. მაგრამ გაფრთხილებთ: სასტიკია.

კელარმა განზე გადახარა თვალები და საქმიანი ტონით დასძინა:

— ჩვენთან, სატრაპეზოში, ახალგაზრდებო, შეგიძლიათ შეიძინოთ პური და ლაბა, ჩემთან საწყობში კი — მაჭარი. უმდაბლესად გთხოვთ! თვითონვე გახლავართ მწდე და მეღვინე, ასე რომ, მაჭრისათვის პასუხს ვაგებ. სხვა ღვინოებს საქმის ვითარების გამო ჯერჯერობით არ ვამზადებთ.

ქვეყნად ბევრნაირი ღვინოა. მრავალი ღვინის ჭაშნიკი გა-

მისინჯავს, მაგრამ ისეთი გიჟი, როგორიც მაჭარია, არ შემხვედრია.

თუ მე და ჩემს მეგობარს ახალ ათონში ყოველნაირი ეშმაკეული მოგვეჩვენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ მღვრიე ღვინის გამო. ან იქნებ იმიტომაც, რომ თავს ვირწმუნებდით: ვერავითარი მიწიერი შფოთი ვერ მოაღწევს ამ მხარეში, თუნდაც მალპოსტით იაროსო.

მონასტრის სასტუმროში მე და ბაბელი ბევრს ვლაპარაკობდით და ბოლოს გამოვარკვიეთ, რომ ადამიანს ზოგჯერ არ ჰყოფნის უდარდელობა თუ უზრუნველობა. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით, მხიარულები, და მოგვწონდა ასეთი ფიქრები.

როცა ადამიანი უდარდელია, ყოველივე მშვენიერი ხელად გვერდით აეტუზება და ერთიმეორეს უერთდება ერთიან აქაფებულ მოციმციმე ნაკადად: ხარხარი და ფიქრი, ბრწყინვალე ხუმრობა და ნაზი სიტყვა, რომლის გაგონებაზეც ქალს ბაგე შეუთრთოლდება ხოლმე; ლექსები და მამაცობა, ნაწყვეტები საყვარელი წიგნებიდან და სიმღერებიდან — და კიდევ ბევრი სხვა რამ, რისი ჩამოთვლაც აქ ვერ მოვასწარი.

გადავწყვიტეთ მაჭრით გაგვემაგრებინა ჩვენი ჭაბუკობა და გამომგონებლობისადმი მიდრეკილება. ეს იყო ღარიბების ღვინო, ძალიან იაფი. მაჭარმა მაგარი შექეიფიანება იცის. მეორე დილით, საკმარისია დალიოთ ერთი ჭიქა წყალი (უმჯობესია ნაკადულისა), რომ თრობა დაიწყოს თავიდან და გაგრძელდეს თითქმის მთელი დღე. ამ შემთხვევაში ეს სიმთვრალე განსაკუთრებით ნათელია.

მოკლედ, მამაო კელართან წავედი და მჟავე კომბოსტოს

სუნით აშმორებულ ნომერში ხუთი ბოთლი მაჭარი წამოვიღე.

ბოთლებით დატვირთული რომ მოვდიოდი, ნახევრად ბნელ დერეფანში ახალგაზრდა მონაზონს შევეჩეხე. მოულოდნელობისაგან ბოთლი დამივარდა.

ახალგაზრდა მონაზონი არც შერხეულა. არაბუნებრივად გრძელი წამწამები დახარა და ისე ჩაიარა, რომ კაბის შავი ქიშმირი შემთხვევით ხელზე შემეხო. ხელად სურნელოვანი სითბო მეცა სახეში.

მონაზონი ოდნავ არხევდა მაღალ თეძოებზე შემართულ ტანს. ნახევრად ბნელოდა და სახე არ დამინახავს. მხოლოდ ის კი შევნიშნე, რომ ფერმკრთალი იყო, რაც მუდამ ქალის სილამაზის აუცილებელ პირობად ითვლება (ალბათ ამისათვის გამოიგონეს პუდრი). არც თმისთვის მომიკრავს თვალი, — შავი თავსაფრით ჰქონდა დაფარული.

მომეჩვენა, რომ ახალგაზრდა მონაზონმა, ცოტათი რომ დამშორდა, რაღაცა თქვა, შეკავებული დაცინვის მსგავსი.

საქმე ის არის, რომ თავის საწყობში მამაო კელარმა მაჭარი გამასინჯა. კარგი თითო ჭიქა გადავკარით, ამიტომაც ჩემი აღელვება მონაზონთან შეხვედრისას — ეს, რა თქმა უნდა, ნელიდოვა იყო — ღვინის სწრაფი მოქმედებით ავხსენი.

ბრახუნის ხმაზე ბაბელმა ნომრის კარი გამოაღო და დერეფანში გამოიხედა.

— აი, — თქვა საზეიმო კილოთი. — ვიცოდი, რომ დაამტვრევდით...

სიტყვა არ დაუმთავრებია, გაჩუმდა და დერეფნის სიღრმეში მიაშტერდა რაღაცას. იქით ჩამავალი მზის ანარეკლი

აღწევდა და იმ დანისლულ სხივთა ციალში მიდიოდა ჩვენ-კენ ზურგშემოქცეული ახალგაზრდა ქალი, ირწეოდა და გვშორდებოდა.

— ქალის აპოთეოზია!—მოულოდნელად თქვა ბაბელმა.— გაცვეთილი სიტყვაა „აპოთეოზი“, მაგრამ ნერვების მოთოკვა რომ შემძლებოდა, ისეთ რამეს დავწერდი ქალის განსადიდებ-ლად, შავი ზღვა ახალი ათონიდან ოჩამჩირემდე დაიფარებო-და ვარდისფერი ქაფით, და იქიდან გამოვიდოდა რუსული აფროდიტე. მე და შენ კი — სულელები, ღატაკები, გამტვე-რიანებულნი, ცივილიზაციის კეთრით შეპყრობილნი — იმ აფროდიტეს მოსვლას ცრემლებით შევხვდებოდით. ბედნიე-რად ვიგრძნობდით თავს, თუნდაც თითით რომ შევხებოდით ზღვით გამოსული ქალწულის ფეხის ცივ პატარა ფრჩხილს, დიახ, ცივ პატარა ფრჩხილს.

— ბოდვაა! — ვუთხარი ბაბელს. — თქვენ ხომ ჯერ არ დაგილევიათ მაჭარი!

— ცხადია, ბოდვაა! — მიპასუხა და ფანჯარა გამოაღო.

გახეთქილ ჩარჩოდან გამხმარი ბუზები და ფარვანები ჩა-მოცვივდნენ.

ფანჯარაში მაშინვე შემოიჭრა ზღვის ზვიადი ხმა, უთვა-ლავი აქოჩრილი ტალღით შობილი. ეს ტალღები თითქოს არხევდნენ ჩამავალი მზის ოქროსფერ მხურვალებას. თან მოჰქონდათ ამ უნაპირო წყალში ასი და ათასი წლობით შე-მონახული სურნელება მარმარილოსი და ზეთისხილისა, მთის ფერდობებისა, სადაც ბალახი დაფერფლილა, და კუნძულე-ბისა, სადაც ლეღვის ხე მსხვილ ფოთლებს აშრიალებს.

„ვის უნდა ვუმადლოდეთ ამ სასწაულს, რაც ასე უხვად გვეძლევა? — გავიფიქრე. — ამ სიცოცხლეს?“

შეიძლება ასე დალაგებულად არ გამიფიქრია, როგორც აქ სწერია, არ ვიცი, ალბათ სულაც არა ასე დაწყობილად, მაგრამ შემეძლო კი ასედაც გამეფიქრა.

ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და დასავლეთს გავცქეროდი. მეჩვენებოდა, რომ ამქვეყნად უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, უმართებულოდ ბედნიერიც კი.

ნელიდოვას მაინც ვერ გავეცანით: მეორე დღეს სოხუმში მიდიოდა მოტორიანი ნავი „ლევ ტოლსტოი“ და, რაკი ვშიშობდით, ახალ ათონში არ ჩავრჩეთო, უკანვე გავემგზავრეთ, განსაკუთრებული სინანული არც გვიგრძვნია.

მთები ზედ მოსდგომოდნენ მონასტერს, ავიწროებდნენ, თითქოს ზღვაში უნდა გადააგდონო. სასტუმროში მზესუმზირის ამძაღებული ზეთისა და საპირფარეშოების სუნი იდგა. ტაძარი მოხატული იყო ძველი და ახალი აღთქმის ამსახველი მოტკბო სურათებით. ამ სურათებში ყველას ცისფერი და ვარდისფერი სამოსელი ეცვა, ყველანი კამარას შესცქეროდნენ. იქ, ჭერზე, სქელი ღრუბლის ქულაზე იჯდა და დაფრინავდა ჭაღარა და მოღუშული ღმერთი საბაოთი. ქლამინდის კალთიდან უჩანდა მსხვილი ფეხები, ზედ ჩვეულებრივი ტყავის სანდლები ეცვა. მხატვარმა ალბათ ვერ გაბედა ფეხშიშველა საბაოთის გამოსახვა.

ნელიდოვას ხელახლა შევხვდი წასვლის წინ, ადრე დილით, დერეფანში. თავი თმის დასახვევი ქაღალდებით ჰქონდა დაფარული, და ამ ქალში გუშინდელი მომხიბლაობა აღარ შემინიშნავს.

როცა მანდილოსნის წამოსიებული სახე დავინახე, რაღაც

ყრუ გალიზიანება ვიგრძენი, ბაბელმა კი შხამიანად მოელვარე თვალები მომაპყრო და მითხრა:

— აი, რა შეუძლია მაჭარს, ყმაწვილო.

ბაბელმა სოხუმში სულ ხუთი დღე გაატარა და შინ წავიდა, ბათუმში. მე კი კვლავ მომქანცველ მარტოობაში აღმოვჩნდი.

მალარიის წამალი

მძიმე ნესტიანი ჰაერით გაჟღენთილი და უცნობი მცენარეულობის შამბნარით ერთიანად დაფარული პატარა აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრებს მილმა ხმაურიანი და საინტერესო ცხოვრება ჩქეფდა. მაგრამ ჩვენს პატარა გაზეთში, მოხეტიალე ოინბაზის აფიშას რომ ჰგავდა, ყოველივე ეს მხოლოდ ორი-სამი შენიშვნით პოულობდა ასახვას.

მეჩვენებოდა, რომ ვყრუვდებოდი თვალწინ ატეხილ ტროპიკულ ტყეში მდგარი და ვბრმავდებოდი თეთრი მზისაგან. ამ მზემ შთანთქა მთელი ზღვა, ჩემი ფანჯრის წინ მოლივლივე.

მალე ციება დამეწყო. ყოველ მეხუთე დღეს მაძაგძაგებდა. ტანზე ძმრის სუნი მდიოდა. ქინაქინისაგან თავბრუ მეხვეოდა, მილურჯდებოდა ხელები და მისკდებოდა ფეხები. ავადმყოფობის ყოველი შემოტევა თავისი შეუბრალებელი ციებ-ცხელებითა და მომაკვდავი გულის ფართხალით ისე მასუსტებდა, რომ ხელის გამართვა მიჭირდა.

გრძელი და ერთფეროვანი სიზმრები მტანჯავდნენ. ყოველთვის ერთ ადგილას წყდებოდნენ და იწყებოდნენ თავიდან ულმობელი თანმიმდევრობით.

ყველაფერი ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო ახლა ძილში. ვიცოდი, რომ სიზმარი მთავარ ადგილას გაწყდებოდა და დიდხანს მომიხდებოდა ლოდინი, ვიდრე ისევ დაბრუნდებოდა და ხელახლა დაიწყებოდა ყოველივე იმის განმეორება, რაც უკვე ერთხელ მენახა, თანაც სულ უფრო მოსაწყენი სურათების მოჩვენებით.

ზოგჯერ, ღამით, ვკვნესოდი, ვცდილობდი განმედევნა სიზმრები, მაგრამ არასდროს არავინ არ იძლეოდა პასუხს ჩემს კვნესაზე. მადმუაზელ ჟალიუ დაბლა ცხოვრობდა, ეზოში, პატარა ფლიგელში, და ვერ გაიგონებდა ჩემს ხმას, ორი მეზობელი ოთახი კი ცარიელი იყო.

მადმუაზელ ჟალიუს ციება მიაჩნდა არა სნეულებად, არამედ დამთხვეულობად. ციებით გათანგულები თავიანთ უცნაურ სამყაროში ცხოვრობენ და ციებიანისთვის არავითარი საიდუმლო რამ არ არსებობსო.

ვცდილობდი ამ სიზმრების ჩაწერას, მაგრამ მაშინვე მივატოვე ეს საქმე. ამ სამი წლის წინათ კი, ჩემი ხელნაწერების ქექვის დროს, ვიპოვნე ვიწროზოლიანი ქაღალდები მოწითალო სტრიქონებით დაფარული, თითქოს ამის დამწერს მელნის მაგიერ შავი ყავა უხმარიაო.

ამ ზოლიან ფურცლებზე მქონდა ჩაწერილი მაშინდელი სიზმრები. თუმცა არც ერთი არ იყო ბოლომდე მიყვანილი.

მთელი ჩანაწერი შედგებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებისაგან. მაგრამ საერთოდ მაინც იძლეოდა რაღაც წარმოდგენას სიზმარზე.

აი ეს ჩანაწერები: „ადამიანის ძებნა... პატარა გოგონასი,

ალბათ ასულისა... ნეტავი ერთხელ მაინც დამეკრა თვალი. ხალხში დამეკარგა. ვეძებდი. მახსოვს ღამით მდინარეს წავადექი. ამ მდინარის ავბედით ელვარებაზე დავრწმუნდი, რომ წყლის ნაცვლად კალაპოტში მიედინებოდა გამდნარი კუპრი და მწვავე სუნს აფრქვევდა.

ეტყობა, ომი ყოფილა, და სადღაც ფაბრიკის მილებისა და ბერწი ბოლცვების იქით გაისმოდა ქვემეხთა ხმა, მაგრამ არავინ აქცევდა ამას ყურადღებას.

ყველაზე ხშირად გოგონას ქალაქის განაპირას დავეძებდი, სრულიად უცხო და უცნობი ქალაქის განაპირას. იქ, ერთ შემომესრილ ადგილას, ფარნების შუქში იზრდებოდნენ ჭვარტლით გაშავებული ყვავილები, გველის პერანგივით მუქი ღამე ქალაქის განაპირა ადგილებისა არასოდეს არ ბნელდებოდა.

გავდიოდი მინდვრებზე, სადაც უძლურად და ნამძინარევად ხმაურობდნენ უსუსური ჭალები. ვერსად ვერ ვიპოვნე. იქნებ საერთოდ არც ყოფილა ქვეყნად?

ერთხელ უჭაობო დაბლობ ადგილას შევჩერდი, სადაც ღამეული ქარი ნავარდობდა. შორით, დაპირებული სიმშვიდის ნიშნად, ზღვის დაუსრულებელი გუგუნი ისმოდა. მერე ამ გრიალში სულ ახლოდან მომესმა ბავშვის სლუკუნი. მივიჭერი და ცით ჩამოცვივნული ბომბების სუსტ შუქზე გავარჩიე გოგონას ფერმკრთალი და ძალიან გამხდარი სახე. მერე კი სველი ხელებით გულში ჩავიკარი საცოდავი“.

ამ ადგილას ყოველთვის წამოვიყვირებდი ხოლმე და მეღვიძებოდა ერთიანად ოფლში გაწურულს.

შუაღამისას იძულებული ვხდებოდი გამეხადა და გამეწურა

სველი პერანგი. ბინდბუნდში ვხედავდი, როგორ მითეთრდებოდა ფრჩხილები თითებზე და ყოველთვის მიკვირდა — როგორ ვხედავ-მეთქი სიბნელეში ამ თითებს.

გარშემო არავინ არ იყო. სოხუმის ამ ღამეებში თავს სრულიად ეულად ვგრძნობდი ქვეყნად, და ზოგჯერ თვითონვე მეცოდებოდა ჩემი თავი.

მთელი წარსული ცხოვრება მესახებოდა დარდისა და შეცდომების ერთიან გრეხილად. გავიხსენებდი დედას, გალიას, ლოლიას, სიკვდილიანობისა და უბედურებათა ჯაჭვს. ახლაც კი, რამდენიმე წლის შემდეგ, არ მჯეროდა ლოლიას სიკვდილი და თვითონ სიკვდილის არსებობაც დაცინვად მიმაჩნდა. ასე ვთვლიდი — ცოცხალ არსებებს, თავიანთი თავი უკვდავად რომ მიაჩნიათ, არ შეუძლიათ დაიხოცონ-მეთქი.

„ვინ გაბედა, — ვფიქრობდი, — ასე ვერაგულად მოგვქცეოდა ჩვენ, ადამიანებს, რომელთაც უნარი გვაქვს შევქმნათ შინაგანი სამყარო აზრთა, გრძნობათა და მოვლენათა, იმდენად ბრწყინვალე, რომ ამ სამყაროს წინაშე სინამდვილე ზოგჯერ ტლანქ მონაგონად გვეჩვენება?“ ბუნებაზე მაღლა დგომის განცდა მანიჭებდა უცნაურ სიხარულს, თუმცა ვიცოდი, რომ ბუნებას ხელთ ჰქონდა უფრო ძლიერი იარაღი, ვიდრე მე, ადამიანს.

მტკიცედ მწამდა აზრის უკვდავება, და ამისი ათასობით მაგალითი იყრიდა თავს ჩემ გარშემო. ზოგჯერ თავს ვთვლიდი ნაირფეროვანი საკუთარი სამყაროს მბრძანებლად და შემქმნელად.

ზუსტად ვიცოდი, რომ ეს სამყარო არ ემორჩილება ხრწნას, რასაც ვემორჩილები მე. ვიდრე არსებობს დედამიწა, ეს ქვეყა-

ნაც იცოცხლებს. ეს შეგნება სიმშვიდით მავსებდა. კეთილი, მე მოვკვდები აუცილებლად, ჩემი სრული გაქრობა — პატარა დროის საქმეა, მეტი არაფერი. მაგრამ არასოდეს არ მოკვდებიან ტრისტანი და იზოლდა, შექსპირის სონეტები, ლევიტანის „ტყის კაფვა“, ჩეხოვის „ქალი და გოშია“. არასოდეს არ მოკვდება ოკეანის უსასრულო ღამეული ბორგვა ბუნინის ლექსებში და ნატაშა როსტოვას ცრემლები, თავად ანდრეის ცხედართან დაღვრილი.

შთამომავალთაც ისევე ააღელვებენ ეს ამბები, როგორც გვაღელვებენ ახლა ჩვენ. და ოდესღაც ჩვენი სიტყვის მსუბუქ ქროლვას, ამ სიტყვის ოდნავ შეხებას შეიგრძნობენ იმ ადამიანთა ბედნიერებისა თუ დარდისაგან მოციმციმე თვალები, ჩვენზე საუკუნეებით გვიან რომ იცხოვრებენ.

რაც უფრო ხშირად ვფიქრობდი ასე, მით უფრო უსწრაფესად დნებოდა სიმწარე და მით უფრო მტკიცედ მწამდა, რომ ამ ქვეყნიდან გაქრობის შემდეგ მაინც შემეძლო დამეტოვებინა სიცოცხლის ზედაპირზე თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ მარადიული კვალი.

დროდადრო სრულიად ვკარგავდი რეალობის გრძნობას. სოხუმი თავისი დიდებული დაისით, ჩამავალი მზის მძიმე ოქროთი და წებოვანი სისხლით, თავისი სიმწვანის მწვავე სუნით, რაც ყველგან თან დამდევდა, — მეჩვენებოდა რომელიღაც უცხო და უსახელო ქვეყნად.

„აბსოიუზში“ სიარული შევწყვიტე. დღედაღამ გაუნძრევლად ვიწექი. თვალყურს ვადევნებდი წარმოსახვის ხან მდორე, ხანაც სწრაფ და გიჟურ ქროლვას. ყოველივე ეს დასრულდა იმით, რომ ჩემს ოთახში გაჩნდა საქმიანი ამხანაგი რივკინი თა-

ვისი რუხი საზაფხულო მასრებიანი ჩოხით დამშვენებული, რივკინს კი თან ახლდა ბუძგად გაკრეჭილი პირქუში ახალგაზრდა კაცი.

ეს კაცი აღმოჩნდა სოხუმის ერთადერთი ექიმი-ნევროპათოლოგი. რივკინმა ის იმიტომ მომიყვანა, რომ გამოვეყვანე არარეალობის იმ ავადმყოფური მდგომარეობიდან, რასაც უკვე მივეჩვიე.

— ბოდვა მალარიული დელირიუმია, — მოსაწყენი ხმით თქვა იმ ახალგაზრდამ. — თუ ავადმყოფს დავტოვებთ და ვაცდით, რომ მდინარებას გაჰყვეს, საქმე კრახით დამთავრდება. აბა, გამოცოცხლდით!

ხელები მხრებში ჩამავლო, ამწია და ისე შემაჯანჯღარა, რომ ვიგრძენი, როგორ ამიჩქეფდა ძარღვებში სისხლი და მძიმედ დაიწყო მოძრაობა გულისაკენ. ტკივილმა გამკრა. დავიკვნესე. ახალგაზრდა ექიმმა, გვარად, მგონი, სამოილინი იყო, პირში კოვზით ჩამასხა რაღაც ლურჯი სითხე და მიბრძანა ყოველდღიურად ასე მოვქცეულიყავი. ამ წამლის შემდეგ ნერწყვმა და ჩემი თვალის გუგებმა ღია ულტრამარინის ფერი მიიღეს.

ციებამ გაცლა დაიწყო. დამიბრუნდა რეალობის გრძნობა. მაგრამ ამ ამბით ჯერჯერობით განსაკუთრებულ სიხარულს ვერა ვგრძნობდი.

ერთხელ ექიმმა სამოილინმა თქვა, რომ ჩემთვის აუცილებელი იყო თუნდაც რამდენიმე დღით მთებში წასვლა, მთავარი ქედისაკენ, სადაც ჰაერი ისეთი ჯანსაღია, ღამღამობით კი ისე ცივიც, რომ ყოველ განძრევაზე უცნაური რამ წკარუნი გესმის, თითქოს გარშემო თხელი ყინული იმსხვრევაო.

საბოილინის ამ წინადადებას ეჭვით შევხედე, როგორც ექიმთა ყოველ სასაცილო მითითებას, ჯერაც არ დამვიწყნოდა ექიმმა ლანდესმანმა ოდესაში შიმშილობის ჟამს მარცვლოვანი ხიზილალა და ხამანწკა რომ დამინიშნა, თანაც — ზედ ლიმონის წვენი მოასხურე ხოლმეო, დააყოლა.

მაგრამ ექიმის ნათქვამი — მთის ცივი ჰაერი, როგორც თხელი ყინული მსხვრევისას, ისე წკრიალებსო, მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვებში ჩანდა ქვეყნიერებისადმი ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც თავად მახასიათებს.

არ მეუხერხულება ამისი აღიარება ასობით და ათასობით შეგნებული და საღად მოაზროვნე მკითხველის წინაშე.

ჩანს, პირობითობა დამახასიათებელია ჩვენი გონებისათვის. მთავარი ის არის, რომ არსებობს პირობითობა, რომელიც გვახარებს მსუბუქი გულახდილობით, და აგრეთვე — მეორე პირობითობაც, რომელიც ბოჭავს ადამიანის თავისუფალ სულს.

ალბათ ციების გამო იყო, რომ წარმოსახვა იმ წუთას ეხმაურებოდა ყველაფერს, რაც ცოტაოდენ საზრდოს მაინც აძლევდა, და მაშინვე აენთებოდა ხოლმე საღებავთა და ფერთა ხანძრად ქცეული.

საკმარისი იყო გამხსენებოდა ექიმ ლანდესმანის რჩევა — ზღაპრულ ხამანწკებს ლიმონის წვენი მოასხურეო, რომ მაშინვე წარმომედგინა ეს გაყინული წვენი, ამ წვენის თოვლის მარცვლები, მსგავსი თეთრი მიმოზის ყვავილებისა (იქნება ქვეყნად სადმე ასეთი მიმოზაც იზრდება). დამათრობელ სუნს აფრქვევდნენ ეს მარცვლები. ჩემი მზერა ხელად აღწევდა ამ

მარცვალთა გულში, სადაც მიკროსკოპული, ჯადოსნური პეიზაჟები იმალებოდნენ.

სამოილინმა ჩემთან სიარულს მოუხშირა. ზოგჯერ თან მოჰყავდა ბაზარში სამ მანეთად ნაყიდი დათუნია. ექიმი ამ მთის დათვის ბელს პალმაზე აბამდა. ბელი უკანა თათებზე შედგებოდა, აღტაცებისაგან განუწყვეტლივ ოხრავდა და კეფას იფხანდა, როგორც კი იქვე, გვერდით, მოხუსხუსე და სხვადასხვაფერად აჭრელებულ ჰენრიეტა ფრანცის ასულს დაინახავდა.

ჰენრიეტა ფრანცის ასული ცოტა უცნაურად იცვამდა — მეტად ახალგაზრდულად და ჭყეტელად. ჭაღარა კულულებს ნარინჯისფერი ბაფთით შეიკრავდა, ხოლო თუ ბაღში საქმიანობდა, მორაკრაკე შვეიცარიულ სიმღერებს მღეროდა. ეს ამბავი ყველას აოცებდა გარშემო და არა მარტო იმ დათუნიას.

ერთხელ სამოილინმა თან მოიყვანა აგრეთვე კარადასავით ფართო და თითქოს რკინის გაბერილი კუნთებისაგან შეკოწიწებული ქერა კაცი, რომელსაც დაკემსილი ზოლებიანი პერანგი ეცვა. ეს იყო სოხუმის ერთი მიყრუებული ცირკის მოჭიდავე, გვარად ზაცარენი — მშვიდი და ხათრიანი კაცი. ამას გარდა, ზაცარენის ჰქონდა იშვიათი ღირსება — კარგად ლაპარაკობდა აფხაზურად, რადგანაც ცოლად აფხაზი ქალი ჰყავდა.

მოჭიდავე დაგვეთანხმა მთავარი ქედისაკენ გაყოლაზე. საუცხოოდ იცნობდა აფხაზეთს და იქვე დაგვიხატა ყველაზე უფრო შესაძლებელი და ზუსტი მარშრუტი: სოფელი მერხეული, წებელდა, გარგემიშის უდაბური ხეობა, მთის

ტბა ამტყელ-აზანდა, მარუხის დიდებული მასივი, ქლუხორის გადასასვლელი ჩრდილო-დასავლეთით.

ყურადღებით ვისმენდი ყოველ სახელწოდებას და წინასწარვე განვიცდიდი საკვირველი და აუჩქარებელი ლაშქრობისაგან მიღებულ სიამოვნებას.

ზოგიერთი მწვერვალის სახელწოდება ისე ჟღერდა, თითქოს სამხრეთ ამერიკაში გადავბარგდით. განსაკუთრებით მაოცებდა მთა აგუა-აკონკაგუა — ამ სიტყვაში იყო რაღაც პირველქმნილი, ჯერ ნაჯახშეუხებელ ტყესავით უბიწო.

ავადმყოფობის შემდეგ დავსუსტდი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. მეჩვენებოდა, რომ პირველად განვიცდიდი ხანგრძლივ სიხარულს — დიდი ხნის ოცნებას ხორცი ესხმოდა. ჩემს ცხოვრებას ვიგონებდი და იქვე ვრწმუნდებოდი, რომ მანამდე ჩემი ყველა წარმტაცი მოგზაურობა ხშირად შემოფარგლული იყო ოთახის ოთხი კედლით.

ბედნიერება დაიწყო დილით, როცა სოხუმიდან გასვლის საათი დადგა. ჩიტების შეხმატკბილებულმა გალობამ ერთბაშად გამომაღვიძა.

შეიძლება ასობით, ან უფრო სწორად, ათასობით ჩიტი, ნაირნაირი შეფერილობისა, არხევდა იაპონური ზღმარტლის, მიმოზისა და ჩინარის ხშირ ფოთლებს. ჩემთვის, ისევე როგორც ადამიანთა უდიდესი უმრავლესობისათვის, გაუგებარი იყო ეს მოფუსფუსე ჰაეროვანი საზოგადოება, ამ პაწაწინა არსებათა ქარისებრი ტრიალი, წაღმა-უკუღმა ფრენა და ფრთების ფართქუნი.

იმ დროს არ შემეძლო არც ერთი ფრინველის დასახელება, გარდა ბეღურისა და მერცხლისა. მე მარტო კი არა, ბევრმა

სხვამაც, სპეციალისტ-ორნითოლოგთა გარდა, არ იცოდა ფრინველთა გამოცნობა. იმ დროს მთელ ამ ხმაურიან ფრთოსანთა სამყაროს გარეგნულად ვიცნობდი.

•უზარმაზარი იდუმალი ბუნების გარემოცვაში ისე ვცხოვრობდით, თითქოს თვალები გვქონდა ახვეული.

დაახლოებით იმ დროიდან დავიწყე შეუპოვრად ცოდნის გამდიდრება. თანმიმდევრობა არა მქონდა. ცოდნა მდიდრდებოდა უმთავრესად იმის მიხედვით, რა უფრო ლამაზი ან გამოსადეგი იყო, რათა ლაპარაკში ან პროზაში თავი გამომეჩინა.

ჰოდა, იმ დილით, გამგზავრების დღეს, ჩიტების ჟრიამულმა გამომაღვიძა, ავდექი და ფანჯარასთან მივედი.

ჰაერი ბაღში ცივი იყო, როგორც მიწა. და ისევე, როგორც მიწაზე, ჰაერშიც ბორიალობდნენ ხეთა ჩრდილები. დილის წყლის სურნელება ავსებდა მთელ სივრცეს სახლის გარშემო. მეჩვენებოდა, რომ ამ სუნში ერთიანდებოდა სუნთქვა ფოთლებისა, ხის ქერქისა, მთის თოვლისა, ფრიალო კლდით დაქანებული ნაკადულებისა, პიტნისა და ღვინისა. ყველაფერი ეს თავს იყრიდა ერთ სუნში, მწკლარტესა და გამაღიზიანებელში. ეს იყო ზღვისპირა სუბტროპიკული დილის სუნთქვა.

ხმაური, ოქროსფერი დილა, ფრინველთა მოძახილის ხმა — მაღალი ჰანგები, მოქანავე სველი ტოტები, ჰაერი, უხვად რომ იღვრებოდა ციდან, და ათასნაირი სუნი — ყოველივე ეს იყო, უსათუოდ, ბედნიერება, თანაც მდორე, მშვიდი და საიმედო.

ამ ბედნიერებას არ შეეძლო ემუხთლა ჩემთვის, რადგან ის უჩემოდ არსებობდა.

ამტყელ-აზანდის ტბა

სოხუმიდან ადრე გავედით, ვიდრე გზაზე მტვერი გახურ-დებოდა.

ამ მტვერში ეცემოდა უზარმაზარი, დაცრეცილი, იტალი-ელ ლამაზმანთა თმის მსგავსად აბურძგნილი მუქი წითელი ვარდის ფურცლები.

ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, მთელი ის გზა, მაშინ რომ გავიარეთ, რა თქმა უნდა, შეიცვალა, და ვერც ერთი ჩვენგანი ვეღარ იცნობს ალბათ ერთბაშად. შესაძლებე-ლია, რომ წარსულიდან შემონახულიყო მხოლოდ მთების მოხაზულობა, მაგრამ არც ამაში ვარ მთლიანად დარწმუნე-ბული.

ბუნების ცვლილებებს აქვთ თვისება ელვისებურად გავრ-ცელებისა ყოველ მხარეს, ისე როგორც წყლის ჭავლებს, წრე-ებად რომ ირხევიან დამდგარი წყლის ზედაპირზე, როცა აუზში ქვას აგდებენ.

ამიტომაც მინდა აქ გაკვრით აღვადგინო მთელი ეს გზა და ჩვენი ლაშქრობა ტბაზე იმ სახით, როგორც მაშინ მოხდა.

ძნელია ჩემთვის პასუხის გაცემა იმაზე, თუ რისთვის ვაკეთებ ყოველივე ამას. მისწრაფება — შემოინახოს ხსოვნა-ში ყოველივე ის, რაც სამუდამოდ ქრება, — ერთი უმთავრე-სი ადამიანური სურვილია. ახლაც ამ სურვილს ვემორჩი-ლები.

პირველად მთის მდინარე კელასურს მივყვებოდით. იწროებიდან გამოვარდნილი მდინარე თხელ ტალღებად იშლე-ბოდა ხრეშზე, თითქოს თავისუფლად ამოისუნთქაო. ხან აქ,

ხან იქ ზურმუხტოვან ნაკადზე იქოჩრებოდნენ ქაფის ზოლები, მსგავსი სირაქლემის ფრთებისა. დინება ხანდახან აუჩინარებდა ამ ფრთებს, მაგრამ მაშინვე ხელახლა გამოჩნდებოდნენ ხოლმე, უფრო მშვენიერნი, ვიდრე პირველად.

სოფელ მერხეულის იქით გზა შევიმოკლეთ, სიმინდის გახურებული ყანა გადავჭერით. გრილი ჰაერის არც ერთ ნაკადს არ შეეძლო გაეღწია სიმინდის მოშრიალე მესერში.

ხვატი მით უფრო მძიმე იყო, რომ სულ ახლოს, თითქმის ზედ ქოჩოჩიანი სიმინდების თავზე, ფერგალეულ ცისკენ მაღლდებოდნენ მოლურჯო ჯანღით დაფარული კავკასიის ქედის ყინულოვანი გრეხილები. იმ შორეულ მხარეში იგრძნობოდა გულის გამაგრილებელი სიცივე. ჩვენც ოფლად ვიღვრებოდით და მივეშურებოდით იქით, ვწყევლიდით გვალვას, ვწყევლიდით მტვერს და თიხის ცხელ ბელტებს, ფეხქვეშ რომ იფშვნებოდნენ.

მხოლოდ საღამოს გავედით სიმინდის ლაბირინთიდან გზაზე, რომელიღაც მოჩუხჩუხე ნაკადულის ნაპირას დავეცით და ხარბად დავეწაფეთ ყინულივით ცივ წყალს.

მოჭიდავეს მინის ჭიქა ჰქონდა წამოღებული. უგუნურობაა ასეთ ლაშქრობაში მინის ჭურჭლის ტარება, მაგრამ, ეტყობა, სხვა არაფერი გააჩნდა და, რაც ხელში მოხვდა, წამოიღო.

ისე გულმოდგინედ გარეცხა ნაკადულში ჭიქა, რომ თითებმა მინაზე სრიალისას ღრჭიალი დაიწყეს, მერე გაავსო და დავინახეთ, რომ ეს გამჭვირვალე ჭიქა მთის წყალთან შედარებით რუხი და თითქოს ჭუჭყიანი იყო.

არასოდეს არ მინახავს ასეთი წყალი. ჰაერზე სუფთა იყო.

ამ წყალში ციურ სივრცეთა ყამირი იგრძნობოდა. ეს წყალი ჩვენს ზემოთ დაიბადა, უზარმაზარ სიმაღლეზე, სადაც თითქოს ადგილიდან დაუძვრელად კამკამებენ ყინულის კრისტალის ღრუბლები.

ეს წყალი დიდხანს კრისტალის სახით იყო მთის მწვერვალზე: წნევა სულ უფრო კუმშავდა კრისტალებს, ისინი ალმასზე უფრო გამჭვირვალენი ხდებოდნენ. მერე ეს კრისტალები, ყინულის სიღრმეში დიდხანს დებით შეცვლილნი, ყინვარების სახით ეშვებოდნენ მთებიდან და, ზაფრანითა და ედელვაისებით დაფარულ მიწას რომ შეეხებოდნენ, წყნარად დნებოდნენ და მოექანებოდნენ დაბლობისაკენ, სადაც ორთქლის ბოლქვებით გარმოდგმული შავი ზღვა ბორგავდა.

როგორ გითხრათ, რა ყვავილია ედელვაისი? ეს ძნელია. საერთოდ, პატარა ვარსკვლავს ჰგავს, თოვლივით თეთრ ხავსში გახვეულს, რათა ყინულის შეხებისაგან არ გაიყინოს.

ხანდახან მინდა შევხვდე თანამოსაუბრეს, რომელთანაც შეიძლება მოურიდებლად ლაპარაკი ისეთ საგნებზე, როგორიც არის ედელვაისი ან კვიპაროსის გირჩის სუნი.

სამწუხაროდ, ჩემს ნანატრ თანამოსაუბრეებს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ. ასეთები მხოლოდ წიგნებია. მე მგონია, ყველაზე უფრო გულისხმიერი და მხიარული თანამოსაუბრე იყო ჩვენი რამდენადმე ავადმყოფი ჰაინრიხ ჰაინე.

თავის რომანტიკულ მოსასხამს ის, ცხადია, ფარავდა ირონიით, რათა თავი დაეღწია იმ ბრიყვთა სტვენისა და დაცინვისაგან, რომლებიც, თვით პოეტის ავტორიტეტული აზრით, ქვეყნად მეტი რაოდენობით არიან, ვიდრე კაცური კაცნი.

ასე ვფიქრობდი მთის მდინარის ნაპირას წამოწოლილი (ეს,

მგონი, უკვე კელასური კი აღარ იყო, არამედ რომელიღაც სხვა) და ნეტარ განცხრომას ვეძლეოდი. არც მე და არც ჩემს თანამგზავრებს არავითარი ხალისი არა გვქონდა ამაზე შორს წასვლისა.

მშრალ ხრეშზე წოლას და ცაში ცქერას ვამჯობინებდით. ცა კი თითქოს გაახარა ჩვენმა დაჟინებითმა ყურადღებამ და ციურ სანახაობათა ჩვენება მოიფიქრა, ტატნობზე გაშალა სხვადასხვანაირი სუსტი და მკრთალი შეფერილობის ნისლოვანი საფარველები — ხან ვერცხლისფერგადაკრული იასამნისფერი, ხან ზეთისხილისფერი, ხან ვარდისფერი, როგორც. ნახევრად ძვირფასი ქვა, ყველას რომ გაუგონია, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს უნახავს. იმ ქვას, მგონი, ალექსანდრიტი უნდა ერქვას.

ძლივს მივჩანჩალდით სოფელ წებელდის უკანასკნელ სახლამდე. ეს სოფელი თითქოს უხილავად დაცურავდა მწვანე ხუჭუჭა გორაკებს შუა.

ღამე გავათიეთ ძველთაძველ ფიცრულ აივანზე, მცირეოდენ მოძრაობაზე რომ ირყეოდა და გაუსაპნავი ურემივით ჭრიალებდა.

სიმინდებში მთელი ღამე გაჰკიოდნენ ტურები, ხოლო გათენებისას, როცა მთვარე ამოვიდა, ტურების კივილი გაბმულ ყმუილად იქცა.

აივანთან მოვიდა დარაჯი — მოხუცი აფხაზი, თან ჰქონდა დაღესტნის დაპყრობისჟამინდელი გრძელი კაჟიანი თოფი. ძელზე ჩამოჯდა კიბის საფეხურებთან, გააბოლა და მკითხა:

— იქნებ ამიხსნა, რატომ ცხარობენ ადამიანები? მე, იცი, ბედნიერი დავიბადე. ოცი წელია აქ დარაჯად ვარ, თან ძაღლი

მაბლავს, და არავის არ ვედავები. რა საჭიროა დავა? შეედავები — გაწყენინებენ, ძაღლსაც სცემენ. ძაღლი კი ცოდოა, ცალი თვალით ბრმაა. სახელად აბახი ჰქვია!

გამიკვირდა ასეთი უცნაური სახელის გაგონება და ვკითხე:

— გყავს ვინმე?

— არა... წინათ ცოლიც მყავდა და ქალიშვილიც. ერთიც ლამაზი იყო და მეორეც. სოხუმში წავიდნენ. რისთვის უნდა დაჭკნენ ამ სიმინდებში? მე მოხუცი ვარ, მხედავ? — დარაჯმა მთვარის შუქზე დაბებკილი ახალუხი მიჩვენა. — მარუხზე წახვალ? — მკითხა გულგრილად. — ჯავრობ? მარუხზე ზვავებია. რა დაგრჩენია იქ?

— აქ რას დარაჯობ?

— ბევრ რამეს ვდარაჯობ. ყოველ ყანას, ყოველ სახლს, ყოველ სიმინდს. ხალხს სძინავს — მე ვდარაჯობ ხალხს. დიდ მიწას ვუვლი გარშემო. აი, გესმის, იმ ხმაურიდან აქამდე.

ხელით შემოხაზა ჰაერში გრძელი რკალი. ყური მივუგდე. შორს წყალი ხმაურობდა, წყლის მიღმა სხვა ხმაურიც ისმოდა, ოღონდ უფრო წყნარი, თითქოს ეს იყო პირველი წყლის ნახმევი.

— ჩანჩქერებია, — თქვა დარაჯმა და წამოდგა, — მთელი ღამე ხმაურობენ: ღმერთმა უბრძანა, სულ იმუშავეთ, გაჩუმება არ გაბედოთო. ჯავრიანია ღმერთი, ფიცხი. რა საჭიროა გაჯავრება? ვმუშაობთ, ვუჯერებთ, ის კი ხან ომს გამოგვიგზავნის, ხან თამბაქოს ავადმყოფობას, ხანაც გონჯ ბავშვებს მოგვცემს. ვერ იქცევა კარგად! ცხარობს! უსამართლოდ გვეპყრობა.

მოხუცმა ტუჩები გააცმაცუნა და წავიდა. თან მიჰყვა ბანჯ-

გვლიანი შავი ძაღლიც. ქოფაკი ყოველ წამს ჩერდებოდა, დაცუცქდებოდა და გაშმაგებით იქექავდა რწყილის ნაკბენს.

ველარ დავიძინე.

ახლა, როცა უკვე მრავალი წელია გასული, ვიგონებ იმ ღღეს და მიხარია, რომ მაშინ მთათა გულში პირველად დავინახე უხმო და წვიმასავით სურნელოვანი განთიადი.

დიდი მთაგრეხილის ყინულოვანი მწვერვალები მზის სხივთა არშიით ელვარებდნენ. იმ სხივთა ათინათი სახლების ძველ ფანჯრებზეც ეცემოდა, ცისარტყელას ფერებად ლივლივებდა და მინები ირეკლავდნენ რაღაც უცნაურ დილას, რომელიც ოდნავ ჰგავდა გარშემო ახლად თვალახელილ სისხამს.

ამნაირ დილას ხატავდნენ აღორძინების ეპოქის მხატვრები თავიანთ სურათ-ხატებზე. იქ, იმ სურათებზე, ყმაწვილს ხელში გრძელი სახრე ეჭირა და მწყემსავდა კრავებს, ისინი წვრილი ღრუბლის ქულებს ჰგავდნენ, ხოლო შორეული მთები — ნაირფეროვან მუყაოსაგან გამოჭრილს. ქოჩორა ხეები ვენახს ემსგავსებოდნენ. იმ შორეული მთებიდან ჩამომდინარე ჩანჩქერები ისე მოჩანდნენ, როგორც ამობურცული კასკადები. ეულ ყვავილებს თავი იქ ამოეყოთ, სადაც არავინ ელოდა. მარტორქა იდგა ველზე და ოქროს რქას ისე აციმციმებდა, როგორც ანთებულ სააღდგომო სანთელს, მადონას ნაზი პროფილი დაეხარა ყრმის თავზე, პერანგიდან გამოეღო მუქკერტიანი სავსე ძუძუ.

უცნაური — აი ასეთი, როგორსაც აღვწერ, — მეჩვენა ეს დილა მხოლოდ წამიერად. და მაშინვე ჩამეძინა.

როცა გამომეღვიძა, მოჭიდავე და სამოილინი უკვე ჩაის ადუღებდნენ ცეცხლზე.

წებელდაში ზაცარენის ჰყავდა ნაცნობი ფერშალი, წარმოშობით ბერძენი.

მთელი დღე იმ ფერშლის ჩალანგარა სახლში გავატარეთ. რატომღაც წებელდაში არა მარტო აივანი, სადაც ღამეს ვათევდით, არამედ ბევრი სხვა სახლიც ირყეოდა და ჭრიალებდა, როგორც მიწისძვრის შემდეგ. ალბათ სიძველის გამო.

ფერშლის ცოლი — მსუქანი და ნამძინარევი რუსი ქალი — ქიშმიშიანი ფლავით გაგვიმასპინძლდა.

ფერშლის პატარა სახლი ფარულურჯებიან ზარდახშას ან ყოველგვარი სასაცილო ხარახურისათვის განკუთვნილ საკუჭნაოს ჰგავდა.

მხოლოდ ბავშვობაში მინახავს ისეთი მორთულობა, როგორიც ფერშლის პატარა სახლში ვნახე.

უზარმაზარ, ჯავშნოსნის მსგავს, ხალიჩაგადაფარებულ დივანთან მრგვალი მაგიდა იდგა, ზედ მუქი წითელი ხავერდის სუფრა ეფინა.

ხოჭოებისაგან ამოჭმული სუფრა მრავალი პაწაწინა დახლართული გზით იყო დასერილი. ხოჭოებს ძირამდე დაეჭამათ ხაო.

კარგად რომ დაჰკვირვებოდით, ეს გზები მოგაგონებდათ პურის ყანაში გაყვანილ ბილიკებს.

სუფრაზე ეწყო, უფრო სწორად ესვენა სქელი გიგანტური ალბომები. ფერშალი გატაცებული იყო იმით, რომ სჭრიდა ძველი ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ყველაზე უფრო საინტერესო სურათებს და ალბომში აწებებდა.

უფრო მეტად აწებებდა ყოველნაირ „უავგუსტეს პირთა“

ფოტოსურათებს, მეტადრე გარყვნილ ინგლისელ მეფე ედუარდ VII-ის, არტისტი ქალებისა და ადმირალების სურათებს. ფერშლის სიყვარული მდიდრული საზღვაო ფორმისა და თავისი ძველბერძნული ფლოტისადმი იყო ამაღელვებელი და განუკურნებელი. დივანის თავზე ეკიდა სახელგანთქმული კრეისერის „ავეროვის“ ლითოგრაფია. ეს გემი საბერძნეთმა იყიდა ჩილის თუ პერუს რესპუბლიკაში. თუმცა, საერთოდ, ამას არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა.

ოჰ, ეს კრეისერი „ავეროვი“! ვინ მოთვლის, რამდენი მდიდრული გამოსახულება მინახავს ამ კრეისერისა ოდესაში! „ავეროვის“ მილებიდან ბოლქვებად ამოდიოდა შიშის მომგვრელი ბოლი, და ათობით ბერძნული თეთრ-ლურჯი ალამი ფრიალებდა გემის ყოველ კიდეში, სადაც კი შეიძლებოდა დროშის დამაგრება.

„ავეროვი“ — ზღვათა რისხვა — ამაყად ატარებდა თავის ძველთაძველ ფოლადის ჯავშანს. თავისი ახტერშტევნით მიარღვევდა ტალღებს და ყველას ხიბლავდა, ვისაც ხომალდებისა რაიმე გაეგებოდა.

მე უკვე რამდენჯერმე ვწერ „ავეროვზე“. ეს ჩემი სისუსტეა. არ დავიღლები ამ კრეისერის ქებით, რადგან ეს არის სიმბოლო პატარა ხალხის თავისუფლებისა და ამ ხალხის ბრძოლისა ყოველნაირი მტაცებლის თავდასხმის წინააღმდეგ.

ამ მტაცებელთა კარიკატურული სახეებიც იყო ჩაკრული ფერშლის ალბომში. ესენი იყვნენ თხის წვერიანი გამხდარი „ძია სემი“, ვარსკვლავებით დაწინწკლული ამერიკული დროშისაგან შეკერილი ჟილეტით, ბურთივით მრგვალი ჯონ ბული გირვანქა სტერლინგის ნიშნით მუცელზე, მჭმუნვარე დიდცხვი-

რა აბდულ-ჰამიდი და გადამწიფებული კურტიზანი ქალი ფრი-
გიული თავსარქმლით — საფრანგეთი.

იყო ალბომები მხოლოდ პეიზაჟებითა და ლითოგრაფიული
საოჯახო სურათებით, რომლებიც ეკუთვნოდათ კაულბახისნაირ
ზიზილ-პიპილა გერმანელ მხატვრებს.

ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ამ სურათებიდან არტახების
სუნი მოდიოდა.

იყო კიდევ ერთი ალბომი შიშველი მშვენიერი ქალების
გრავიურებით.

ამას გარდა, კედლებზე ეკიდა თაბაშირის მრავალი ლამბაქი,
ზედ მწიფე ალუბლები და მსხლები რომ ეხატათ.

ერთ-ერთ ასტრონომიულ წიგნში, მგონი, ჟინსის წიგნში,
წავიკითხე, რომ მცენარეული საფარველი დედამიწისა, ასე
რომ გვახარებს, ბუნების დიდებულ სურათებთან შედარე-
ბით — მხოლოდ უბადრუკი ობიაო.

და უეცრად ფერშლის ეს ბინა გაცვეთილი ნივთებით, ალ-
ბომებითა და ბაღლინჯოების საწინააღმდეგო სითხის სუნით
მართლა ობად მომეჩვენა, ცად აწვდილი მთების ბრწყინვალე
კედელთან შედარებით. ისინი იდგნენ ხეობაში მოფუსფუსე კა-
ცუნას თავზე. მოთენთილი, ნამძინარევი ქალი რომ ჰყავდა და
მოუწყობელი სამყარო ჰქონდა. მზის სხივს, მხოლოდ ათჯერ
გაძლიერებულს, თვალისდახამხამებაში გულისამრევ აყროლე-
ბულ ფერფლად შეეძლო ექცია ეს სამყარო.

სადილზე ფერშალმა — სახელად იანიმ, სიტყვა წარმოთქვა
ჩვენს ლაშქრობასთან დაკავშირებით. ძველი ყაიდის ორატორი-
ვით ლაპარაკობდა, — რიტორიკული კითხვებით, პათოსით და

ათრთოლებული, ანუ როგორც მოჭიდავემ დასძინა, „გულის სიმზე მოქმედი“ ხმით.

— ო, ალექსანდრე! — შესძახა იანიმ. — სოხუმში დაფნები ჰყვავიან! ძილს არ გაცლიან. შენ გწყურია აღმოჩენა! დიდება! რისთვის? განა შენთვის საკმარისი არ არის საყვარელი ცოლ-შვილი, კეთილი მარგარიტა და ვაჟი პახომა?

— ის გირჩევნია, ამტყელის გზა გვიჩვენო! — მიუგო გაჯავრებულმა მოჭიდავემ. — მარგარიტას ამბავი შენზე კარგად ვიცი.

ფერშალმა ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— საქმეც ამაშია! — თქვა საყვედურის კილოთი. — მე თავად ჩემი ხელით ვაყენებ ადამიანს სახიფათო გზაზე! თვითონვე!

— რა არის იქ საშიში? — ჰკითხა სამოილინმა.

— შეიძლება დეზერტირებს გადაეყაროთ, — ავბედითი ხმით უპასუხა ფერშალმა. — ომის დროიდან შემორჩნენ აქაურობას. რაზმებად ცხოვრობენ და მთებში დაეხეტებიან.

ფერშალი მოჭიდავეს მიუბრუნდა:

—გაგაფრთხილე! ხელები დამიბანია! გესმით, თუ არა?

— ჰო, კარგი, კარგი, — დაეთანხმა გულკეთილი მოჭიდავე. — ნუ მომიწყობ ახლა სამხატვრო თეატრს. ჩაიცვი და ბილიკამდე მიგვიყვანე.

ფერშალმა ოხვრით მიგვიყვანა წებელდის განაპირას, წიფლის ტყეში, და ბილიკი გვიჩვენა. გვითხრა, ერთი კილომეტრის იქით ბილიკი გათავდება და მერე ნაჭდევ ხეებს უნდა მიჰყვეთო.

პირველად ვნახე ხალასი წიფლის ტყე. ეს იყო ნათელი

ტყე, ზეიმოვანი და დიდებული, როგორც ბიზანტიური ტაძარი, ანდა, უფრო სწორად — უსასრულო კოლონადა მაღალი ტოტებისა, ზედ თითქოს მომწვანო ნატი რომ გადაჰკვროდა, — ისეთივე უცნაური ხავსის მსგავსი და გრილი, როგორიც — მთის ფერდობების ფორუმს.

ორი საათი ვიარეთ, ვტკბებოდით ყველაფრით, რაც კი გარშემო იყო, — ტყის საფენის, ცოტა არ იყოს, მკვეთრი ჰაერით, მზის სხივებით, სველ ფოთლებში რომ იჭრებოდნენ, და გაუგებარი შორეული გუგუნით. იქნებ, ეს მაღლიდან დაშვებული ქვები გუგუნებდნენ, ან შეიძლება ეს ზვავთა გრუხუნის გამოძახილი იყო.

ჭდეებს მივყევით და გარგემიშის ვიწრო ხეობაში აღმოვჩნდით.

მოჭიდავე უეცრად მოიღუშა. ნაბიჯი შევანელეთ. მოჭიდავემ გვიბრძანა, ფხიზლად იყავით, თვალყური გეჭიროთ და დაინიშნეთ ადგილი, სადაც შეიძლება დამალვა არასასიამოვნო შეხვედრის შემთხვევაშიო. ვისთან, არ უთქვამს, მაგრამ მივხვდით, რომ სვანებისა ეშინოდა.

სამალავი კი არსად არ იყო, თუ არა ნალეწ ტყეში ან წიფლის ხეების უკან. ამას გარდა, როგორც სამოილინმა თქვა, დამალვა უსარგებლო იყო, რადგან მთის ხალხი ბუზსაც შენიშნავს სამას ნაბიჯზე, ბალახის ღეროზე მჯდომს.

ხეობა ვიწროვდებოდა. ფრთხილად მივდიოდით, განზე ვიხედებოდით, ამიტომაც დავინახე ალბათ ადამიანები გვიან, როცა მხოლოდ ორასი ნაბიჯილა გვაშორებდა.

ჩვენს შესახვედრად მოდიოდნენ და ფრთხილად მოაბიჯებდნენ, როგორც ფოცხვერები. ფეხქვეშ ტოტი არ აუჩქამებიათ.

ოთხნი იყვნენ. ყველას მოკლე სიათები ეკიდა მხარზე, მხოლოდ წინ მომავალ მოხუც კაცს ეჭირა შაშხანა ხელში.

— მშვიდად! — წყნარად თქვა მოჭიდავემ. — ისე იარეთ, ვითომ სანაპიროზე დასეირნობთ.

მანძილი მცირდებოდა. დეზერტირები მშვიდად და დაჟინებით გვიცქეროდნენ. ჩვენს სახეებზე კი, როგორც ახლა მგონია, გამოიხატა ნაძალადევი და დაბნეული ღიმილი. მხოლოდ მოჭიდავე დარჩა გულმშვიდად, თუმცა იმასაც უთრთოდა მარჯვენა ქუთუთო.

მეწინავე შეჩერდა, შაშხანა მოიხსნა და წინ გაწვდილ ხელებზე გააჩერა. გზა გადაგვიღობა. შაშხანა ისე გამოიყურებოდა, როგორც დაკეტილი შლაგბაუმი.

ჩვენც შევჩერდით. შეჩერდნენ დეზერტირებიც, მაგრამ არც ერთი არ მოგვეკარა სიახლოვეს, თითქოს საპატიო მანძილს იცავდნენ საკუთარ თავსა და ხნიერ წინამძღოლს შუა.

ყველა დუმდა. ბოლოს ხნიერმა კაცმა მკვეთრი, ფრინველის ძახილის მსგავსი ხმით გვკითხა, ისე რომ თოფი ძირს არ დაუშვია:

— რა უნდა აქ რუს კაცს?

— ჩვენ ამტყელ-აზანდაზე მივდივართ, — უპასუხა მოჭიდავემ. პაპიროსი ამოიღო და მეთაურს შესთავაზა.

მაგრამ იმას პაპიროსი არ აუღია, მხოლოდ ყვითელი გუგები მიაპყრო და ჰკითხა:

— რისთვის მიდიხართ ამტყელზე?

— სანადიროდ, — დამშვიდებით მიუგო მოჭიდავემ.

— აი-აი-აი! — მეთაურმა თავი გადააქნია და ყელში

რაღაცა დაიხიფხიფა. ერთბაშად ვერ მივხვდი, მგონი, გაიცინა. — რატომ მატყუებ, სწორს არ მეუბნები? თოფები სადღა გაქვთ, მონადირეებო?

— აი, მორჩა! — წყნარად მითხრა ექიმმა სამოილინმა.

არავითარი იარაღი არ გაგვაჩნდა. საერთოდ სოხუმში მაშინ შეიძლებოდა უვარგისი რევოლვერის შოვნა, მაგრამ მოჭიდავე გვარწმუნებდა, უიარაღოდ წასვლა უფრო ნაკლებად საშიშიაო.

მოჭიდავემ გაიცინა და რაღაც უთხრა წინამძღოლს. იმანაც თვალი მოჭუტა, დიდხანს უმზირა მოჭიდავეს, მერე — ჩვენ აგვხედ-დაგვხედა, თითქოს არკვევს, რა უნდა ვუყო მაგათო, და მხოლოდ ამის შემდეგ გასცა პასუხი მოჭიდავეს.

— წინადადებას გვაძლევს, — გვითხრა გულგრილად მოჭიდავემ, — ჩამოვსხდეთ ამ წამოქცეულ წიფელზე და გავაბოლოთ.

დავსხედით. ყოველ ჩვენგანს გვერდით მოგვიჯდა თითო მთიელი.

მეთაურს ვკითხე, სად ისწავლე ასე კარგად რუსულიმეთქი.

— ომში... დივიზიაში...

ჩემ გვერდით რომ ყმაწვილი კაცი იჯდა, ისეთი მიამიტური ცნობისმოყვარეობა ჰქონდა აღბეჭდილი თვალებში, თითქოს ეს-ეს არის გაჩნდა ამ ქვეყანაზეო. ყველაფერი იპყრობდა მის ყურადღებას, ჩემი ფეხსაცმლის ზონრებიც კი.

ყმაწვილმა შემათვალიერა, გვერდის ჯიბიდან პაპიროსი ამომაცალა და თვითონ ჩაიდო ჯიბეში.

შემდეგ თითზე შემიტრიალა ნიშნობის ბეჭედი, აღ-

ტაცებისაგან ტუჩები გააწკლაპუნა, ფრთხილად, ალერსიანი ღიმილით გამომაძრო და ისიც ჯიბეში ჩაიდო.

ცალი ხელით გაუჭირდა ბეჭდის გამოძრობა. ამიტომ ცოტა ხნით ხელში მომაჩეჩა თავისი სიათა.

ყველა დუმდა. შემდეგ დეზერტირებმა ადგომა გვიბრძანეს და დიდხანს გვიტყაპუნებდნენ თავიანთ მაგარ ხელისგულებს. ალბათ სამოსის ქვეშ დამალულ იარაღს ეძებდნენ. ვერაფერი იპოვნეს და ერთმანეთში ლაპარაკი გამართეს, თან უკმაყოფილოდ შემოგვცქეროდნენ.

ჩხრეკის დროს მოჭიდავეს ააცალეს სანთებელა, სამოილინს კი — ძველებური ჯიბის საათი. ჩვენს ზურგჩანთებს, სადაც სანოვაგე გვქონდა, ხელი არ ახლეს. მხოლოდ ერთმა ჰკრა ფეხი, ისიც ალბათ სინიდისის განსაწმენდელად. თანაც რაღაც აგდებით თქვა, და მთიელებმა უეცრად ერთმანეთს ისეთი გაშმაგებული ყვირილი დაუწყეს, რომ გეგონებოდათ, სადაც არის ხოცვა-ჟლეტა დაიწყებაო.

ერთიმეორეს ხან მკერდში სწვდებოდნენ და ხანაც ხელებს უგრეხდნენ, იქნევდნენ კონდახებს, სისინებდნენ და უეცრად წამოიძახებდნენ რაღაც ელვისებურს, თანაც, ეტყობა, მეტისმეტად საწყენს, რადგანაც ყოველი შეძახილი თავდებოდა საერთო აღშფოთების ღმუილით.

ამ დავის დროს ჩვენ არ გვაქცევდნენ არავითარ ყურადღებას. ზედ გვაწყდებოდნენ, გვეხლებოდნენ და გვიბიძგებდნენ, თითქოს უჩინარნი ვიყავით და ვერა გვხედავდნენ.

ხნიერი მეთაური იმავე ხეზე იჯდა, ეწეოდა, მკერდს იფხანდა და თითქოს არც ესმოდა ეს გაუგებარი დავა. შემდეგ ზანტად ადგა, მივიდა იმ ყმაწვილთან, რომელმაც საქორწინო

ბეჭედი წამაცალა, ხელი უტაცა სიათაზე და რაღაცა უთხრა მოკლედ და მბრძანებლურად. ყმაწვილს სისხლი მოაწვა, მაგრამ ჯიბისკენ ხელი მაინც წაიღო, ამოიღო ბეჭედი და მეთაურს გაუწოდა. მეთაურმა წაართვა აგრეთვე სანთებელა და მაჯის საათი, ყველაფერი ეს აწონ-დაწონა ხელისგულზე, ჩაიდო უბეში და მოჭიდავეს უთხრა:

— სადაც გინდა, იქ წადი, ოღონდ უკან ვერ დაბრუნდები! — დეზერტირები მაშინვე გაჩუმდნენ, დამწკრივდნენ და უკან მიჰყვნენ.

გაურკვეველ მდგომარეობაში დავრჩით.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა სამოილინმა.

— ეს ნიშნავს, — თქვა მოჭიდავემ. — რომ ჯერჯერობით გაგვიშვეს ამტყელზე, მაგრამ უკან კი აღარ გამოგვიშვებენ. სადმე აქვე დაგვიდარაჯებენ, სხვა გზა კი არ არის.

ვერაფერი გავიგე. თუ ჩვენი გაძარცვა ან მოკვლა უნდოდათ, ახლაც ადვილად შეეძლოთ ყველაფერი.

— ჯობს არაფერზე არ ვიფიქროთ, — გვირჩია მოჭიდავემ. — არაერთხელ გამოვუხსნივარ ყისმათს, ახლაც შეგვეწევა. ტბაზე მოვილაპარაკოთ. მაგრამ სიფრთხილე მაინც გვმართებს. ეცადეთ წიფლის ხეებს მოეფაროთ და ისე იაროთ, რომ ზურგში ტყვია არ მოგხვდეთ.

ხეობა გავიარეთ და ტყის ბექობიდან მარუხი დავინახეთ. ისე იწვოდა ცაში, როგორც ლურჯი ალმასი გრანიტის ბუდეში.

გარშემო ყველაფერი მაოცებდა გრანდიოზულისა და უსასრულოდ მცირის ნარევით, ამასთან ერთიც და მეორეც ერთნაირად მშვენიერი იყო: მარუხის შორეული ყინულოვანი

თხემები, რომელთა თავზეც აზიდულიყვნენ ჩაწოლილი თოვლის უზარმაზარი ლავგარდანები, და შინდის მახლობელი ციცქნა ყვავილებიც ახლახან შობილ ბუჩქებზე. ეს ბუჩქები კლდის ნაპრალებიდან იჭყიტებოდნენ.

დეზერტირებთან შეხვედრის შემდეგ განცდილმა დაძაბულობამ ლამის გაგვათავა. ეგრევე დავეცით სქელ ხავსზე შუაგულ ტყეში, უზარმაზარ სამსხვერპლოს რომ ჰგავდა, და ორი საათი ვიწექით, გზის განგრძობის ყოველგვარ სურვილს მოკლებულნი.

ცხოვრებაში რამდენჯერმე შემიპყრო აზრმა მშვიდობიანი და უშფოთველი ბუნების მეზობლობაზე ადამიანის სისასტიკესთან.

პირველად ამ აზრმა შემაძრწუნა და გამაშმაგა ადამიანზე მაშინ, როცა 1919 წელს პოლესიეში ვნახე ათიოდე წლის ყმაწვილი, ბანდიტთაგან იმ დროს მოკლული, როცა მდინარე უქის ყანით დაფარულ ნაპირზე იჯდა და თევზაობდა თავისი ხელით გაკეთებული კაკლის ანკესით. თავზე მზე დაჰნათოდა, ხოლო თბილი ქარი ნელა დაატარებდა ცაზე ფუნთუშა ღრუბლებს.

ვინმე არამზადა ბატკო სტრუკას რაზმის რომელიღაც არამზადა ბანდიტებმა შენიშნეს ბავშვი მდინარის მეორე ნაპირიდან, ყაყანი ატეხეს და მოკლეს, როგორც სანიშნე.

ადგილობრივი მეტყევეები, ბანდიტების შიშით დაზაფრულ-

ნი, ბანდიტებს ამართლებდნენ და ამბობდნენ, „ბიჭები“ მთვრალები იყვნენო. მაგრამ იმაში, რომ მთვრალი კაცი ყველაზე უფრო ბინძურ პირუტყვზედაც უარესი ხდება, არაფერია ადამიანის გასამართლებელი.

არასოდეს არ დამავიწყდება მზით გამთბარი თმა ჭორფლიანი ბიჭისა — ნაზი, დამწვარი, ბავშვური და რაღაც უმწეო თმა. ბავშვის სახისათვის არ შემიხედნია. მაგრამ ჩემი სიცოცხლის ამ დღეს ვერ დავივიწყებ სიკვდილამდე. ვერავის ვუამბე, დედასაც კი ვერ გავანდე, რომ სიცოცხლე არ მომეწამლა. პირველად ახლა ავმეტყველდი ამაზე.

და აი მაშინ, ამტყელისაკენ მიმავალ გზაზე რომ ვიწექი ტყეში, გავიფიქრე, ნეტავი ამ ხუთ ბანდიტს რატომ უნდა ჩვენი მოკვლა-მეთქი. ამ აზრმა ისეთივე ზიზღითა და აღშფოთებით ამავსო, როგორც მაშინ მდინარე უჟის ნაპირას. ერთბაშად შეწყდა მთელი სიხარული, ბუნების მთელი ზეიმი.

ერთადერთი რამ, რაც თანდათან მამშვიდებდა, ის იყო, რითაც ბუნება თავის თავს მომაგონებდა ხოლმე — რომელიმე სურნელოვანი ქერცლი, ჩემს ბაგეზე მიმხმარი, ან უბადრუკი წყარო, უნდობლად და ფრთხილად რომ მიიკვლევდა გზას ბალახში, შეშინებული, ვაი თუ გზა დავკარგო კლდის ღრმულისაკენ, სადაც პატარა ცისფერ ტბაში წყალი გროვდებაო.

საკმარისი იყო ყოველივე ამის დანახვა და გულდასმით თვალის მიპყრობა, რომ ქვეყნიერება ზეგარდმოსულიყო (როგორც ძველად წერდნენ) ადამიანის მშფოთვარე სულის დასაოკებლად.

მომწვანო ლაჟვარდისფრად გადაშლილი გამჭვირვალე წყალი ჩვენს დაბლა ლივლივებდა, ზედ ნეკერჩხლის გამხმარი ყავისფერი ფოთლები დაცურავდნენ.

ფოთლები ესკადრებად გროვდებოდნენ და მოძრაობდნენ ძალიან მეგობრულად: ერთად შემობრუნდებოდნენ, როგორც ბრძანების ხმაზე — „ყველანი ერთბაშად“, ხოლო თუ მცირეოდენი ქარი დაუქროლებდათ, ადგილიდან მოწყდებოდნენ, როგორც ღუზიდან, და ერთიმეორის გასასწრებლად მიიჩქაროდნენ ტბის შუაგულისაკენ. იქ წყალი სპირტის ცეცხლივით იწვოდა.

ზედ ნაპირთან დაცურავდნენ წყლის ქათმები, მძივისნაირი მხიარული თვალები რომ ჰქონდათ.

მარცხნივ, თითქოს გრანიტის ფრიალო კედლებს ჩასჭიდებიაო, ტყე მოჩანდა, ისეთივე გამოუცნობელი, როგორიც შორიდან გამოიყურებოდა. ჩვენს უკან ფლატეები ბუბუნებდნენ. მარჯვნივ კი გახედვისაც მეშინოდა — იქ შეჩერებულიყო ცისკენ აჭრილი, ერთიანად დაძაბული, თითქოს სპილენძისებრი კვნესა უნდა აღმოხდესო, პირქუში, მიუწვდომელი მარუხი.

ერთ ადგილას, ეტყობა, ყინულოვანი ნაპრალიდან, ჰაერში ადიოდა წყლის ფართო ჭავლი და გულმოდგინე ხმაურით ეშვებოდა ტბაში.

ეს იყო მდინარე აზანდა. ის ჩანჩქერად ერთვოდა ტბას ყინვართა მხრიდან. ჩვენს ფეხქვეშ კი, კლდოვან პლაჟზე, სწრაფ ნაკადად ჩადიოდა მიწაში, იქვე ქრებოდა და ბუყბუყით ნთქავდა საშინელ მიწისქვეშა უფსკრულებში ყველა-

ფერს, რასაც წყალში ვყრიდით: ყოველ ტოტს, ქაღალდის ყოველ ნაგლეჯს.

მოჭიდავემ მიამბო, თორმეტი კილომეტრის ქვემოთ, სამხრეთით, მდინარე ისევ ამოიჭრება აქაფებულ ნაკადად და უეცარი მზის სხივებისაგან მზერამოკვეთილი, გაშმაგებით გაექანება შავი ზღვისაკენო.

ქვები ირხეოდნენ მდინარის წყლის ფსკერზე, ერთიმეორეს ეხეთქებოდნენ, თითქოს ცდიდნენ, რომლის ხმა მეტხანს გაძლებსო.

მეშინოდა მარუხისაკენ დაჟინებით ცქერისა. უკვე ისე მეჩვენებოდა, რომ ყინვარები მდინარესავით მოძრაობდნენ იქ და სადაც იყო მთელ ქვეყნიერებას თავს დაატყდებოდნენ ყინულვარდნილებად. მაგრამ ზოგჯერ მაინც თვალს გავაპარებდი ხოლმე მარუხისკენ. ის მთა მიზიდავდა, მაიძულებდა მეცქირა მისთვის და გამომეცნო მის ხეობათა ჩრდილებში და ალპური საძოვრების სუსტ რწევაში დაფარული საიდუმლოებანი.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა საიდუმლოება უნდა ჰქონოდა ჩვენგან დაფარული მარუხს, მაგრამ დროდადრო უკვე ვამჩნევდი ვარდისფერ ხავსს კლდეებზე, ჩრდილების ნელ მოძრაობას — მწვერვალისაკენ რომ მიემართებოდნენ, რათა სხივი დაეშრიტათ; ვარჩევდი კვამლის სვეტებს, გრუხუნით რომ მოგორავდნენ დაბლა, მარუხის კალთებზე. მერე მივხვდი, რომ ეს იყო არა კვამლი, არამედ ფლატეების მტვერი.

მთელი დღე იდგა მარუხი ასე, როგორც ბრინჯაოს გამწვანებული ტახტი რომელიღაც სასტიკი ბუმბერაზი ღვთაებისა, როგორც კუთხოვანი ფარი ანტიკური გმირისა —

ჰერკულესის თუ ატლანტისა. რა თქმა უნდა, მარუხს შეეძლო ატლანტის მსგავსად თავის მხრებზე შეეკავებინა მთელი ცის თაღი.

საღამოს ბრინჯაოსფერი მარუხი გადაიქცა თვალისმომჭრელი ელვარების ოქროს ზოდად, ისეთ დიდ ზოდად, რომ მისი შუქი ალბათ მთვარიდანაც ჩანდა.

— ახლა, — მითხრა ზაცარენიმ, — იცხოვრეთ ამ სიჩუმეში, იყუჩეთ, უცქირეთ და იფიქრეთ. სოხუმში სხვა ადამიანებად დაბრუნდებით. საკუთარ თავს ველარ იცნობთ.

გაოცებით გადავხედე მოჭიდავეს. არ ველოდი მისგან ასეთ სიტყვებს. აქამდე უბირ და მოკლე ჭკუის ადამიანად მყავდა წარმოდგენილი.

ახლა რატომღაც მდევნის აზრი, რომ საჭიროა ჩავწერო ყველა ამბავი, რაც მაშინ ტბაზე გადაგვხდა, თუმცა არსებითად არაფერი ამბავიც არ გადაგვხდენია. მაგრამ მაინც...

ეს „მაინც“ დაიწყო იმით, რომ ტბისაკენ დაშვება მოგვიხდა ფრიალო ფერდობით, გზა-გზა ბზასა და ხეთა ფესვებს ვებღაუჭებოდით.

მაშინ პირველად გავიგე, რომ ერთი ციცქნა ბზა, მსგავსი ჩვენი სელშავის ბუჩქისა (და ისეთივე წვრილი ტყავისნაირი პატარა ფოთლებიანი), იოლად უძლებს მოზრდილი ადამიანის სიმძიმეს.

ტბაზე ვიწრო პლაჟი იყო მოსილული და მთით დაგორებული ლოდებით მოფენილი.

ერთ ადგილას ლოდები ისე იყო დახორავებული, რომ ქმნიდნენ ყრუ და გრძელ გამოქვაბულს, პირდაპირ წყალზე რომ გადიოდა. ამ გამოქვაბულში დავბანაკდით.

არაჩვეულებრივ მოხერხებული აღმოჩნდა ეს გამოქვაბული, ალბათ იმიტომ, რომ გვიცავდა წვიმის, ჩამონაქცევებისა და ქარებისაგან.

ამ ეხში ასე თუ ისე მშვიდად ვჭამდით. არავინ არ გვიშლიდა.

პირველსავე დღეს გამოუცდელობის გამო სანოვაგე პირდაპირ ნაპირზე გავშალეთ, გაფენილ მოსასხამზე. მაშინვე ამოვიდა ტბიდან პატარა წყლის ქათამი, მელოტა, მობაჯბაჯდა პირდაპირ ჩემთან, იხვივით დაიყიყინა და ხელიდან პური გამომგლიჯა: უკანვე წავართვი, მაგრამ ხელჩართული ბრძოლა გამიმართა და რამდენჯერმე ჩამინისკარტა თითში, მატკინა კიდეც.

მაშინვე ნაპირიდან ბაჯბაჯით გამოემართა კიდევ რამდენიმე მელოტა. სულაც არ ეშინოდათ.

მას შემდეგ ფრთხილად ვჭამდით და სანოვაგიან ზურგჩანთებს ქვების ქვეშ ვინახავდით. წყლის ქათმები მაინც ჩვენს გარშემო იყრიდნენ თავს, როგორც კი ჭამას შევუდგებოდით. შეჯგუფდებოდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცდილობდნენ ჩვენთან გამოჭრას, აპკიანი ფეხებით თელავდნენ და კორტნიდნენ ერთიმეორეს.

როცა ვიჭერდით, გაშმაგებულ კრიახს ტეხდნენ, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე რომელიმე ჩვენგანს ხელში ეჭირა. როგორც კი ძირს დავსვამდით, მელოტა იმ წუთასვე ხელახლა ლამობდა მუხლებზე ამობობღებას და ხელიდან გვტაცებდა ყოველნაირ საჭმელს.

ეს მოგვწონდა. „ალბათ, — ღრმააზროვნად თქვა ზაცარე-

ნიმ, — ფრინველები ასე თავისუფლად მხოლოდ სამოთხეში გრძნობენ თავს“.

მას შემდეგ, რაც ტბაზე გამოვჩნდით, წყლის ქათმები ცხოვრობდნენ მხოლოდ იმ ნაპირზე, სადაც ჩვენ დავიბანაკეთ. ცდილობდნენ შორს არ გაეცურათ, რომ საკვები არ დაეკარგათ.

მაგრამ ყველა ნადირს როდი ეჭირა თავი ასე გულკეთილად და ასეთი ნდობით. ტბაზე მტრებიც იყვნენ — ტურები და მთის პატარა დათვები.

ყველაზე თავხედნი და მოხერხებულნი აღმოჩნდნენ ტურები.

პირველსავე ღამეს თუნუქის ჩაიდანი მოგვპარეს და მთებში წაათრიეს, მაგრამ დაუვარდათ. ჩაიდანი გრიალ-ზრიალით დაგორდა და ტბაში ჩავარდა.

დროზე გამოგვეღვიძა და ჩაიდანი გადავარჩინეთ. ცოტა შეჭეჭყილიყო, მაგრამ წყალმა არ გაჟონა. მადლობა შევწირეთ ბედს ამისათვის. უჩაიოდ ჩვენი საქმე წასული იქნებოდა. განსაკუთრებით გაუჭირდებოდა ზაცარენის. მთელი დღე შეეძლო მზეზე მჯდარიყო და თვალმოჭუტულს ჩაი ესვა.

— რა ჰაერია! — ამბობდა და ხარბად ჩაისუნთქავდა ხოლმე ჰაერის ნაკადს. — ჰაერი კი არა, ტონო-ბენგეს მალამოა!

მეორე ღამეს ტურები ხოხვა-ხოხვით მოგვეპარნენ და ცდილობდნენ სამოილინისათვის გამოეცლიათ სანოვაგიანი ტომარა. სიფრთხილისათვის ტომრებს თავქვეშ ვიდებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქურდებისაგან ვერც ეს გვიხსნიდა. მაშინ გადავწყვიტეთ ღამღამობით კოცონთან მორიგეობა.

მორიგეობის პირველსავე ღამეს მოჭიდავეს ჩასთვლიმა და

მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როცა ტურებს ოთხივე თათი მიებჯინათ ქვისათვის და ცდილობდნენ ქვეშ ამოდებული აბგის გათრევას. ამ აბგაში იყო დაშაშხული თევზი.

მაშინ მე მოვიფიქრე, როგორც მეჩვენებოდა, შესანიშნავი ღონისძიება ტურებთან ბრძოლისა. ნაპირზე ვიპოვნე გრძელი გამხმარი ჭოკი. როცა მორიგეობის ჩემი ჯერი დადგა, კოცონთან დავჯექი და გვერდით ეს ჭოკი მოვიდე. ზაცარენიმ და სამოილინმა დაიძინეს. მეც მოვიმძინარე თავი. ხვრინვაც კი ამოვუშვი.

იმ ღამეს პირველად ვნახე, თუ როგორ მოიპარებიან ტურები. აბა, რა საინტერესოა! — იტყვით თქვენ. მაგრამ მე, როგორც მოწმე, ვამტკიცებ, რომ ეს შეიძლება ვინმესთვის საინტერესოც იყოს, საერთოდ კი შემაზრზენია და თან საშინელიც.

ტურები მოიპარებოდნენ კოცონის შუქზე, როგორც ლანდები, როგორც მოძრავი გაძვალტყავებული მოჩვენებანი.

ჭოკის ბოლო ფრთხილად ჩავყავი ცეცხლში. ტურები წამით ჩაკვდნენ, მერე ისევ დაიწყეს ხოხვა.

წინ მეთაური მოძვრებოდა. უკვე კარგად ვხედავდი კოცონის შუქზე. განაბული იყო, პირი კი ყოველ შემთხვევისთვის დაღრენილი ჰქონდა.

ვიცდიდი, ვიდრე მეთაური კოცონთან მოაღწევდა (ცეცხლთან მისატყუებლად ძეხვის ნაჭერი ეგდო). საკმაოდ რომ მომიახლოვდა, სწრაფად გამოვიღე ცეცხლიდან ალმოდებული ჭოკი და წინამძღოლს ვხეთქე.

ტურამ ერთი საშინლად წამოიჩხავლა. იმ ბოროტ ძახილში თითქოს გავარჩიე კიდეც ადამიანის სიტყვა: „უი, დასწყევ-

ლოს!“ მერე გადახტა, ოღონდ წინ კი არა, უკან, და მთებში გაიქცა, თან მთელი ხროვაც გაიყოლა. დამწვარი ბეწვის სუნი დადგა. შეიძლებოდა დამესკვნა, რომ ტურას ტყავი დაეწვა.

ზაცარენისა და სამოილინს გამოეღვიძათ. შეაქეს ჩემი საზრიანობა. როგორც მომეჩვენა, ცოტა არ იყოს, მეპირფერებოდნენ. მზად ვიყავი მეამაყა ჩემი აღმოჩენით. მაგრამ რომ მცოდნოდა, რა აუტანელი შედეგები მოჰყვებოდა ტურებთან ამ ანგარიშის გასწორებას, რა თქმა უნდა, აღარ ჩავატარებდი ასეთ ნაჩქარევ ცდებს.

ტურები მეზობელ კლდეებზე აცოცდნენ და ყველამ ერთხმად ატეხა ყმუილი ისეთი გაშმაგებითა და სასოწარკვეთილებით, რომ არავითარ ძილზე აღარ შეიძლებოდა ამ ღამეს ფიქრი. სამაგიეროს გვიხდიდნენ და ყმუოდნენ მთელი ორი ღამე.

დათვები ტურებზე უარესები აღმოჩნდნენ. მეტად მოხერხებული ღონისძიება გამონახეს, რომ ტბის სანაპიროებიდან გავერეკეთ. რაღაც საშინელმა ბრაზმა მოგვიცვა იმ დღიდან, და თუ გადავრჩით, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ნიადაგ ვფხიზლობდით.

დათვები დილითვე დასახლდნენ ზემოთ, ფრიალო ბექობის ქიმზე, თავები წამოსწიეს და დაგვიწყეს თვალყურის დევნება.

თუ რომელიმე ჩვენგანი დაივიწყებდა სიფრთხილეს და ტბის ნაპირას გაივლიდა დათვების პირდაპირ, ქვას დააგორებდნენ და მთელი ფერდობი ჩამოიქცეოდა ხოლმე. დადგებოდა მტვრის კორიანტელი, გრუხუნებდნენ და მოგორავდნენ დიდი ლოდები, ყოველ მხარეს ცვიოდა და სტვენით ჩადიო-

და ტბაში ხრეში. სამოილინი კინაღამ დაიღუპა ასეთი ჩამოქცევის დროს.

ვცდილობდით დათვების გარეკვას, მაგრამ იარაღი არა გვქონდა. სტვენა და ლანძღვა საქმეს არა შველოდა. არ ეშინოდათ.

ეს ძალიან საწყენი იყო. არ შეგვეძლო თავისუფლად სიარული ნაპირზე, იძულებული ვიყავით გამოქვაბულისათვის შეგვეფარებინა თავი.

ზოგჯერ ზაცარენი მოთმინებას კარგავდა, ლანძღავდა დათვებს თავისი ძალუმი ხმით და ემუქრებოდა მუშტით. ამის პასუხად დათვები გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე, ცნობისმოყვარეობით წამოსწევდნენ თავებს და ისევ ქვა-ღორღს ამზღვრევდნენ.

მაგრამ ბოლოს ბედმა სამაგიერო გადაუხადა ჩვენი განაწყენებისათვის. პატარა დათვი მეტად შორს გამოიწია ფლატის თავზე, გადმოვარდა, შავი ბანჯგვლიანი ბურთივით ჩაგვიქროლა გვერდით, ლაზათიანი ტყაპანი გაადინა წყალში, ერთი დაიღმუვლა, ჩაყვინთა და სამუდამოდ გაქრა. ეტყობა, დაიხრჩო საწყალი.

დათვები ბექობზე დარჩნენ საღამომდე, მერე წავიდნენ და მეტად აღარ გამოჩენილან. ამხანაგის გაქრობამ დააშინა ალბათ. როგორც ჩანს, ეს უბედურება ჩვენი, ადამიანების მანქანებას მიაწერეს.

—

ნაპირთან, ლურჯ წყალში, სპილოს ძვლის ფერი დიდი ბრტყელი ქვები ეყარა.

ერთ ადგილას ასეთი ქვები ისე ბევრი იყო, რომ ქვიდან ქვაზე ხტომით თითქმის ტბის შუაგულამდე გავდიოდი სათევზაოდ. ბოლოლა ქვებთან წყალი ძალიან ღრმა იყო.

ერთხელ ქვიდან გადავვარდი და ვიგრძენი ყინულოვანი წყლის აუტანელი მწველი სიცივე. ტერფი მაშინვე მომეკრუნჩხა, თითქოს ვიღაცამ დაიწყო ჩხირზე ძარღვის სწრაფად დახვევა. მეგონა, სადაც არის გაწყდება-მეთქი.

მაგრამ ქვებზე, კოსმიურად ცივი წყლის მიუხედავად, ცხელოდა — ტბაზე არასოდეს არ ქროდა ქარი. ბროლისებური (უკეთ — კრისტალური) გამოსახულება ტბის წყალში ისეთი ზუსტი იყო და სრულყოფილი, რომ ნაპირისა და მთების გარჩევა ტბაში არეკლილი გამოსახულებისაგან შეუძლებელი ხდებოდა.

თითქოს ორი კავკასიონი არსებობდა გარშემო. ერთი მაღლა ცისკენ იყო აღმართული, მეორე კი მოციმციმე უფსკრულში ჩანდა. ამ უფსკრულში, ისევე როგორც ცაზე, ერთნაირი ფუმფულა ღრუბლები მოცურავდნენ.

როცა ტბაში საწაფიან ნემსკავს ვისროდი, ყოველთვის ვამსხვრევდი ამ ქვეყნიერების იდეალურ მშვენიერებას.

ზოგჯერ ანკესს ეჭიდებოდა დაჭიმული კუნთივით ღონიერი კალმახი, ან კეფალი გაიტაცებდა ელვის სისწრაფით, კუდს გაიქნევდა და წყვეტდა, როგორც ობობას ქსელს.

ეს იყო საკვირველი საქმიანობა — თევზის ჭერა თხევად საფირონში და ხარბად დატკბობა ყოველივე იმით, რაც გარშემო იყო განლაგებული, — ბრტყელი ქვის სახოვანი ბზა-

რებიდან დაწყებული და ნეკერჩხლის ხმელი ფოთლებისაგან შეკრული კონის ტივტივათი გათავებული. როცა თევზი ნემსკავს პირს ჰკიდებდა, ფოთლები მარაოსავით ლაგდებოდნენ და წყალში იძირებოდნენ.

საღამომდე ვითევზავე. ქვებზე შემდგარს წამომისწრებდა ხოლმე დაისი. ერთხელ მოულოდნელობისაგან უნებურად შევყვირე, როცა თვალები ტივტივას მოვწყვიტე, მაღლა ავიხედე და დავინახე მზის გამოსახულება ყინვარებზე, თითქოს სისხლით რომ იყვნენ მორწყული.

უნებურად შევყვირე და ბრაზი მომივიდა, რომ თავი ვერ შევიკავე. მაგრამ მეტად დიდი იყო მოგიზგიზე ცის სივრცე, მეტად იდუმალი იყო ღრუბელთა კვამლი და მარუხის ყინვართა მკვეთრ ელვარებას ვეღარ უძლებდნენ დაღლილი თვალები.

საერთოდ, ცხოვრებაში ქუდბედი დამყვა. თითქმის ყოველდღე ვგებულობდი ან ვხედავდი რაიმე ახალს. ხოლო რაც მეტი იცი, მით უფრო საინტერესოა, და რაც არ უნდა გვეუცხოოს, მით უფრო იდუმალებით არის მოცული წუთისოფელი.

მზის ჩასვლის დროს მთავარი ქედის ძირას ვნახე დედამიწის ერთი ყველაზე უფრო დიდებული სანახაობა — შუქის ელვარების ისეთი სიუხვე, რომ მეჩვენა, თითქოს ასეთ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ჩვენი თვალები აღიჭურვებიან დამატებითი თვისებით: შენიშნონ ბევრად მეტი ფერი, ვიდრე ხეობების სიღრმეში, ტრამალებში და ზღვის სანაპიროებზე.

მაგრამ მაინც უსინანულოდ ვიცდიდი, როდის დაიწყებდა დაისი დაბინდებას. ეს იმიტომ, რომ ვიცოდი, ზღვის შორეუ-

ლი ანარეკლებით სუსტად განათებული დაისის მშვენიერება მთისას არ ჩამოუვარდებოდა.

შემდეგ ყველაფერი წყნარდებოდა, ყოველივე იფერფლებოდა. დუმილი იკალათებდა კოცონთან და დიდხანს ვუცქეროდი, როგორ ფეთქავდა იასამნისფერ ფერფლში უკანასკნელი ნაღვერდალი. ხშირად ცას ვარსკვლავი სწყდებოდა.

მეექვსე დღეს სანოვაგე გაგვითავდა, და ჩვენც მივატოვეთ ამტყელ-აზანდის ტბა.

მოჭიდავე დარწმუნებული იყო, რომ წებელდასთან ისევ შევხვდებოდით დეზერტირებს და ამჯერად შეხვედრა უბრალოდ არ ჩაგვივლიდა, ამიტომ სოხუმში წასვლა გადავწყვიტეთ პირდაპირ მთებით, გარგემიშის ხეობის გვერდის ავლით.

რუკა არა გვქონდა, მაგრამ მოჭიდავე კისრულობდა ჩვენს გაყვანას იმ ადგილამდე, სადაც მდინარე აზანდა, მიწისქვეშ 12 კილომეტრის გავლის შემდეგ, ქვესკნელიდან ხელახლა ამოჩუხჩუხებდა. იქიდან შეიძლება, მდინარეს ნაპირ-ნაპირ გავყვეთ და მერხეულში ჩავიდეთო.

ამ 12 კილომეტრს მთელი დღე მოვუნდით. სოხუმში დავბრუნდით დასიცხულნი, გამტვერიანებულნი, მშიერნი, ფეხებდათეთქვილნი, მაგრამ ბედნიერნი.

სოხუმი თითქოს ძილბურანში იყო, შეხუთული ჰაერი იდგა და მარტოობა სუფევდა.

ჩემი არყოფნის დროს მადმუაზელ ჟალიუს გვერდითა ოთახი მიექირავებინა ქერა კაცისათვის, სავაჭრო განყოფილების ბუხჰალტრისათვის, გვარად კოტნიკოვისათვის.

ამ გონიერ ადამიანში, როგორც ექიმები იტყვიან, ყველაფერი სოხუმის საპირისპირო გამოდგა, ეს კაცი იყო ჭორფლიანი, განუწყვეტლივ ახამხამებდა მოწითალო ალბინოსურ პატარა თვალებს, თეთრი წამწამებით დამშვენებულს, და გეგონება უსტვენსო, ისეთი სიმღერა იცოდა: „ცოლი მინდა იმისთანა, ცოტა პრანჭვაც უყვარდესო“.

თავისუფალ დროს ბაღში სვამდა ჩაის, ბანანქვეშ. მამლებამოქარგული პირსახოცი კისერზე ეკიდა. ყოველ წამს იწმენდდა ოფლიან მწითურ სახეს, ჩაახველებდა და ისევ დაიღიღინებდა: „ცოტა პრანჭვა უყვარდეს და ჭრელი ჯოხიც ეჭიროსო“.

კავკასიაში კოტნიკოვს თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ეს იყო არა სოხუმი, არამედ პოშეხონიე. არაფერი არ აინტერესებდა — არც ზღვა, არც ტროპიკული მცენარეულობა, არც მთები, არც აფხაზები, არც მათი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები. უყვარდა ქალაქ მოლოგას გახსენება, იქაური ვარო. თითქმის ყველა ამბავს იწყებდა ერთი და იმავე ფრაზით: „აი, ჩვენს ქალაქ მოლოგაში, დედაჩემისას, პატივცემულ აპოლინარია ფრონლოვნას სახლში, მხეცური წესრიგი სუფევდა...“

კოტნიკოვის მოსვლის შემდეგ ერთბაშად მომწყინდა. დრო თითქოს გაიყინა, შეჩერდა გაფუჭებული საათივით და მოანგარიშის მომაბეზრებელი კრუტუნიღა ისმოდა: „გამოვიდა მაშა ველად, კოხტა საქმროს საძებნელად“.

შემდეგ რუსეთიდან ცოლი ჩამოუვიდა — ზუსტად ისეთივე, როგორიც თვითონ იყო, პატარა, ცხვირპაჭუა, ერთიანად ვარდისფერი ჭორფლით დაფარული. შევიდა სახლში და ჯერ პალტო არ ჰქონდა გახდილი, რომ ქმარს ჰკითხა:

— რა ღირს სოხუმში კვერცხი?

რა თქმა უნდა, ეს უსამართლობა იყო, მაგრამ მაშინვე შემძაგდა კოტნიკოვიცა და მისი ცოლიც. მივხვდი, სოხუმში მეტხანს დარჩენა სრულიად უაზრო იყო და აქ აღარაფერი არ მესაქმებოდა.

გადავწყვიტე გამგზავრება უფრო სამხრეთით, ბათუმში. იქ დასახლდა ლუსიენა, „მორიაკის“ მემანქანე ქალი. ის ოდესაში მისთხოვდა სინიავსკის და მშიერი ოდესიდან ბათუმში გადასახლდა. მომწერა, ბათუმი გამოცხადებულია „პორტო-ფრანკოდ“ და ქალაქი სავსეა „ჩინებული საქონლით“ — სახარინით, ბლითებით, ქალის წვივსაკრავებით და ფეხსაცმლის ზონრებითო. „უკიდურეს შემთხვევაში, — მწერდა ლუსიენა, — შეიძლება წვივსაკრავების ღეჭვა“.

ლუსიენას გარდა, ბათუმში მწვანე კონცხზე ცხოვრობდა ბაბელიც, ევგენია ბორისოვნასთან ერთად, იქ იყო ბაბელის და მერიც.

მე კი ობი მედებოდა სოხუმის მარტოობაში და ვასწორებდი შენიშვნებს პატარა მოსაწყენ გაზეთში.

საკუთარ თავზე აღვშფოთდი, უბილეთოდ ჩავჯექი გემ „ილიჩში“ და ბათუმს გავემგზავრე.

საღამოხანი იყო. აფხაზეთის სანაპიროებზე ნისლი წვებოდა. ვიწექი კიჩოზე ფლაგშტოკთან, თავქვეშ პალტო მედო და პატარა ბალიში, გატენილი სოხუმის თამბაქოთი (აფხაზეთიდან თამბაქოს გატანა აკრძალული იყო).

მოულოდნელად თამბაქოს მწვავე სუნში შემოიჭრა ნაპირიდან ჰაერის მოძრაობას გამოყოლილი ნაზი სურნელება მაგნოლიებისა და მიმოზისა — ხეტიალის, მცირე აზიის, თვალ-

შეუღწეველ შამბნართა და წყვდიადი თბილი ღამეების ჰაერი. გული შემეკუმშა. უკან რჩებოდა, ალბათ სამუდამოდ, კიდევ ერთი უბანი მიწისა, სადაც ჩემი აზრებისა და დროის ნაწილს ვტოვებდი.

რამდენიმე წლის შემდეგ მცირე ხნით მოვხვდი ამ ქალაქში და ველარ ვიცანი. ხალხმრავალ და მორთულ კოხტა კურორტად ქცეულიყო. მის ქუჩებში მაგნოლიების სუნი კი არ იდგა, არამედ გადამუშავებული გაზისა და ქალის დამწვარი თმისა.

ახლა კი ვიწექი გემბანზე და ვფიქრობდი, რომ სოხუმის იდილიური ცხოვრება სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა.

და მართლაც, ამ ცხოვრების უკანასკნელი და ამაღელვებელი მოვლენა იყო შეხვედრა მიხეილ ივანეს-ძე კალინინთან.

კალინინი გემით მიდიოდა სოხუმის ახლოს და რამდენიმე საათით გადავიდა ნაპირზე. სანაპიროზე თავი მოიყარა მთელმა ქალაქმა — იყო ერთი ზედახოცვა, ყაბალახების, ჩოხების, გრძელი თეთრი ულვაშების, ყურთმაჯების, ხანჯლებისა და ოქროსფერლამპასიანი გალიფე შარვლების მხატვრული ნარევი.

როცა კალინინმა კანჯოთი მიატოვა გემი და ნაპირს მიუახლოვდა, სოხუმის მილიციის გულკეთილმა უფროსმა ფიცხი ცხენით ჩაიქროლა სანაპიროზე და ხალხს შეუძახა:

— ლამაზებო, წინ!

ხალხი უეცრად ამოძრავდა, მაგრამ არავის წამოსცდენია არც ერთი შეძახილი, არც ერთი წყევლა.

და მართლაც, ჩემ თვალწინ მოხდა რაღაც სასწაულის მსგავსი: ბრბომ თითქოს თვითონვე შეარჩია და თვითონვე გა-

ძოისროლა წინ ყველა ლამაზი — არწივისებური ცხვირით დამშვენებული ჭაბუკები, თმაშეეერცხლილი ბიბლიური მოხუცები და ხორხისმიერი ბგერებით მეტყველი ქალიშვილები, მორცხვობის ცეცხლი რომ ედებოდათ.

მილიციის უფროსმა მეორედ ჩაუქროლა ხალხს, მერე შესძახა: „გულწრფელად გმადლობთ!!“ — და მისი ცხენი, ცეკვათამაშით, ყურების რხევით, ერთი სიტყვით, მოხდენილი ნავარდით დაიძრა ნავსადგურისაკენ, სადაც მეხივით იქუხა ორკესტრმა—სტვირმა და დოლმა, ეგრეთწოდებულმა „საზანდარმა“ — ყველაზე უფრო ამტანმა და გამამხნევებელ-ნაღვლიანმა ორკესტრმა დედამიწის ზურგზე.

ფოთის გზაზე

ღამით გამომეღვიძა. „ილიჩი“ ღუზაზე იდგა რომელიღაც ჩავარდნილ ნავსადგურში. მომეჩვენა, თითქოს პორტის ჩირაღდნები წყალში დაცურავდნენ, როგორც ჭრაქები — ისე დაბლა ციმციმებდნენ.

დამავიწყდა, რომ ბათუმის გზაზე „ილიჩს“ ფოთის ნავსადგურში უნდა შეეხვია.

გარშემო ქალაქის არავითარი ნიშანი არა ჩანდა. შემდეგ გავიგე, რომ ნავსადგურიდან ფოთამდე დიდი მანძილი იყო.

ციდან იშვიათად ცვიოდა წვიმის წვეთი—თბილი, როგორც გაგრილებული ჩაი. დროდადრო საიდანღაც მოდიოდა თურინჯის სუნიც.

ხილული მიზეზი არა ჩანდა, მაგრამ ვიგრძენი დარდის მოზ-

ღვავება — ისეთი მკვეთრი და მოულოდნელი დარდისა, რომ დავიბენი კიდეც.

რა თქმა უნდა, ვიცოდი მიზეზი ამ დარდისა, ოღონდ არ ვაღიარებდი, რადგან ვერაფერს ვუშველიდი.

ეს კაეშანი ძველი იყო, მტკიცე. სათავეს ხანგრძლივ მარტოობაში იღებდა, მით უფრო გაუგებარ მარტოობაში, რომ მე ვიყავი გულღია კაცი, მიყვარდა მხიარულება და სულაც არ მქონდა მიდრეკილება პირქუში თვითანალიზისაკენ. მე მინდოდა სიცოცხლე გამომეგლიჯა კონობით, როგორც გლეჯენ გაზაფხულზე იასამანს, მინდოდა, რომ დღეები არასოდეს არ განმეორებულიყვნენ და ყოველ ნაბიჯზე შევხვედროდი ახალ-ახალ საკვირველ ადამიანს, მხარეს თუ მოვლენას.

მაგრამ ცხოვრება ჩემდა უნებურად (ჩემი ბრალი კი იყო ალბათ, მაგრამ არ მესმოდა) ისე მოეწყო, რომ ნაირფეროვნება სიცოცხლისა, მოვლენებიც, ხეტიალიც, გარემომცველი ხალხის სიმრავლეც — ყოველივე უხვად მეძლეოდა, კლებით კი. მაკლდა მხოლოდ ერთი რამ — ნათესავ, საყვარელ და მახლობელ ადამიანთა გარემოცვა.

მყავდა დედა, გლაშა, მაგრამ ბედმა ორივესაგან შორს გადამტყორცნა, და ისე იშვიათად, ისე მოკლედ ვწერდით წერილებს, თითქოს დიდი ხმაურიანი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გაჭირვებით ვაწვდენდით ხმას ერთმანეთს, ცუდად ვარჩევდით ერთიმეორეს დანისლულ ნაპირებზე.

ისეთი დღე არ მახსოვს, რომ გული არ შემკუმშვოდა ამ მოწყენილობის გამო, ხმამაღლა არ დამეკვნესა ამ განშორე-

ბით გამოწვეული ბრაზის გამო, თვით საკუთარი თავის კიცხვის ნიშნად.

ვერაფრით ვერ გავუმკლავდი ჩემს სიხარბეს. „რისთვის ვაგროვებ ყოველივე ამას-მეთქი?“ — ვეკითხებოდი ჩემს გულს, მაგრამ არასოდეს არ ვაძლევდი პასუხს ამ კითხვაზე, რადგან ცხოვრების გამოცდილებას ინსტინქტურად, რაღაც ჩემთვისვე გაუგებარი შინაგანი ბიძგის ზეგავლენით ვიძენდი.

ახსნა მივიღე მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როცა წერა დავიწყე.

სიხარბე მაიძულებდა განუწყვეტლივ მეძებნა ახალი ადგილები, ადამიანები, ცოდნა, შთაბეჭდილება, ახალი საქმეები და უნებურად სულ უფრო და უფრო შორს წავსულიყავი ჩემი უახლოესი წარსულიდან.

ეს წარსული იყო მახლობელი და თანაც თითქოს ძალიან შორეული. მაგალითად, ფოთის მდუმარე პორტის ამ ღამესა და თუნდაც ფონტანის ნახევრად დანგრეულ იმ აგარაკზე გატარებულ საღამოს შორის, სადაც ბაგრიცკი კითხულობდა ბლოკის ლექსებს, თითქოს მთელი წლები იყო გასული. თითქოს დროის წონასაც ვგრძნობდი. ხელი მიმძიმდებოდა.

მარტოობის ასეთ მდგომარეობას განსაკუთრებით მწვავედ სოხუმში ვგრძნობდი. ალბათ იმიტომ, რომ იმ გარემოცვის გარეთ აღმოვჩნდი, — რასაც უკანასკნელ წლებში მივეჩვიე, — ჟურნალისტებისა და მწერლების წრეს რომ უწოდებენ. მე აღმოვჩნდი საკვირველ მდგომარეობაში, როგორიც განვიცადე უკანასკნელ ხანს ოდესაში. შეიძლებოდა მისთვის გვეწოდებინა ჩვენი ცხოვრების ადრეული გაზაფხული, ახალი ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი და ჯერ კიდევ ბუნდო-

ვანი შეხების განცდა. იქნებ, ეს შედარება ცოტა მაღალფარდოვანია ან მასში არ არის საკმაო გემოვნება, მაგრამ სწორედ ასე კი ვგრძნობდი.

აბლოვდებოდა მღელვარე გაზაფხული, იბადებოდა ახალი ჩანაფიქრი, მემატებოდა მხნეობა, გროვდებოდა ცხოვრების გამოცდილება, და აგერ-აგერ, როგორც მზის დისკო ამოიწვერება ხოლმე მთის თხემიდან, სადღაც უნდა ამოეხეთქა გენიალურ სიტყვას.

ასე ვფიქრობდი მაშინ და ბედნიერი ვიყავი ამ მოლოდინით. ის ფანტავდა ნაღველს. ცხადია, არა მარტო ის, არამედ ბევრი რამ სხვაც, თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. აი, მაგალითად, ასეთი ნელი წვიმიანი ღამე გემის ცარიელ ბანზე, პორტში, სადაც მოხვედრას არასოდეს არ ველოდი.

„ადამიანი არ შეიძლება იყოს მარტო, — ვფიქრობდი. — არასოდეს არ შეიძლება, თორემ ის დაიღუპება“.

გემი დაიძრა. ჯებირის იქით ტალღები ფრთხილად ქაფდებოდნენ. მაღალი შუქურა გულგრილად სტყორცნიდა შეშფოთებულ წყალს თავის არაბუნებრივად თეთრ შუქს.

მოვიდა მატროსი, თოკით მოიყვანა პატარა თეთრი ძაღლი, სრულიად ბანჯგვლიანი და უბედური, ჩემს მახლობლად გრძელ სკამზე მიაბა და წავიდა.

ძაღლი საცოდავად კანკალებდა.

გამოვხსენი, ფერხთით დამიწვა. ჯერ წყნარად ტირიდა, მერე ამოიოხრა და ხელი გამილოკა.

„მარტო კაცს კი არა, ვფიქრობდი, — ძაღლსაც არ შეუძლია მარტო ყოფნა. არ შეუძლია!“

ჩამეძინა. ძილში ჩამესმა, როგორ ჩხარუნობდა ჩემს ზემოთ ლაგი, როგორ ითვლიდა გამოვლილ მანძილს.

ბათუმის ხმანი და სურნელებანი

დუქნები და ყავახანები ბათუმში მრავლად იყო.

მინიანი კარები ყველა დუქანსა და ყავახანას მორყეული ჰქონდა. ყოველ ბიძგზე დიდხანს ჟღარუნებდნენ და ზრიალებდნენ.

კარების გამუდმებული ზრიალი უერთდებოდა სპილენძის ფურცლების ზრიალს. ცუდი მესპილენძეები ამ ფურცლებისაგან კვერავდნენ პატარა თურქულ ყავადნებს და ზედ აძოქლონებდნენ გრძელ — აგრეთვე სპილენძის — სახელურებს.

იქვე, ახალ ნოხებზე, ქვაფენილზე რომ ჰქონდათ გაფენილი, ვიწრო ქუჩების შუაგულში, თავხედი ბოშა-გოგონები ზანზალაკებიან ძველებურ დაირებს უკრავდნენ, როკავდნენ და სიმღერებს დასძახოდნენ.

ახლად ჩამოსულთ ბათუმში ერთი უეჭველი ნიშნით ცნობდნენ: ისინი გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს ნოხებს, დასვრას ერიდებოდნენ. მაგრამ მალე იგებდნენ, რომ ამ ნოხებს მთელი ქუჩის სიგანეზე განზრახ ფენდნენ, რათა რაც შეიძლება მალე მოთელილიყვნენ, დაეკარგათ სიახლის იერი და ჯერ კიდევ მოელვარე, მყვირალა ფერთა სიკაშკაშე. მაშინ ჩამოსულებიც ბათუმელებთან ერთად სიამოვნებით გადი-გამოდიოდნენ ხალიჩებზე.

ბაზრის ხმაურით გაღიზიანებული ცხენები ტლინკებს ისროდნენ და თვითონაც ზრიალი გაჰქონდათ, — კისერზე ყოველ ცხენს ზანზალაკების მთელი აცმა ეკიდა.

მაგრამ ბათუმს მარტო ზრიალი როდი ახასიათებდა. მისი განუყოფელი ნიშანი იყო აგრეთვე ბევრი რამ, მაგალითად,

მწვადის სუნი... მაგრამ ვიდრე ამ სხვა საგნებზე გადავიდოდეთ, ჯერ ხმების ამბავი მოვათავოთ.

ამრიგად, ბათუმში, მეტადრე თურქულ ბაზარში, რომელსაც ნური ეწოდება, ყურთა სმენა მიჰქონდა ხმების კალეიდოსკოპს—ცხვრების ბღავილით დაწყებული და სიმინდის გამყიდველთა სასოწარკვეთილი ყვირილით გათავებული: „გაგარუზ გარიაჩი!“ ამას ემატებოდა მეზობელ მეჩეთზე მდგარი შუეძინის ნაღვლიანი კვნესა, სტვირების სტვენა დუქნების ფანჯრებს იქით და მთვრალ მოქეიფეთა ცრემლიანი სიმღერა.

მაგრამ განსაკუთრებით კარგი იყო ბათუმში წვიმის ხმა და გემის საყვირი.

ბათუმის ზამთრის წვიმები სხვადასხვანაირ ხმაზე მღეროდნენ. რაც უფრო ძლიერი იყო წვიმა, მით უფრო ხმამაღლა შხაპუნებდა წყალსადინარ მილებში.

ხომალდების საყვირები კი უმთავრესად იყო ერთხმიანი და ბოხი, მეტადრე უცხოეთის ბორბლიანი, ყვითელმილიანი და ანძიანი გემებისა. ბათუმში შემოდგომისა და ზამთრის წვიმების დროს მოვხვდი. თითქმის განუწყვეტლივ წვიმდა, წვიმები შუქს აბნელებდნენ, დღეს ძირავდნენ თბილ, უცნაურად ცხელ ბურუსში. მზე ძალზე იშვიათი სტუმარი იყო.

ორთქლის გემები წივილ-კივილით შედიოდნენ ნავსადგურის ლამაზ ორწოხებში, ღუზას უშვებდნენ დუქნების, საწყობებისა და ქოხების პირდაპირ და ხმაურიან მჭიდრო სანაპიროს თავზე აღიმართებოდნენ თავიანთი რანგოუტით და ტაკელაჟით. გეგონებოდათ, ნაპირს უზარმაზარი რკინის ვეშაპების ჯოგი მოადგაო.

გემების მილებისა და ანძების სიყვითლე ჩემს წარმოდგენაში უერთდებოდა არაბეთის ან სომალის უდაბნოებსა და მეწამულ ზღვას, სადაც აუცილებლად უნდა გაევლოთ ამ ხომალდებს.

ზოგჯერ „უცხოელები“ ბათუმის პორტს რომ უახლოვდებოდნენ, ანძის ჭოკზე ყვითელი დროშა ფრიალებდა. ეს ნიშნავდა, რომ გემი ბათუმის გზაზე სანაპირო პორტებში შედიოდა, სადაც არასოდეს არ ქრებოდა ყვავილის, შავი ჭირის ან დეზინტერიის ეპიდემია. ასეთი გემი გაჰყავდათ რეიდზე, აყენებდნენ კარანტინზე და გარშემო გოგირდს ახრჩოლებდნენ.

რაც შეეხება სუნს, ყველაზე მეტად იმარჯვებდა ცხვრის ხორცის ხრაწი, და ეს ძალიან საწყენია, რადგან ყველა სხვა ბათუმური სუნი ამაზე სასიამოვნოა.

ეს ხრაწი, მქისე, გამჯდომი, ყელში რომ ილექება, კარგი იყო მხოლოდ იმით, რომ მომაგონებდა ბათუმის მწვადებს, მგონი საუკეთესოს კავკასიაში.

ფოლადის შამფურზე წამოაგებდნენ და ხის ნახშირზე სწვავდნენ, შემდეგ კოწახურის მჟავე ფხვნილს ან პილპილს მოაყრიდნენ, გარს შემოუწყობდნენ მწვანე ხახვს, ახალ ლავაშს ატანდნენ და თეთრ ღვინოს აყოლებდნენ. მგონი, ამაზე გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მიჭამია რა.

მეორე ადგილი ეჭირა ახლად დაფქვილ და ახლად ადუღებულ ყავას. მას ფქვავდნენ თურქული ხელსაფქვავით—პატარა, ჭურვის მასრების მაგვარი ხელსაფქვავით. გარეგნულად ეს ხელსაფქვავი მორთულ-მოჭედილი იყო სხვადასხვა ჩუქურთმით. ზოგჯერ ისინი გამოხატავდნენ სცენებს „ათას ერთი ღამიდან“.

ეს ხელსაფქვავი ყავის მარცვლებს ისე ფქვავდა, რომ პუდრივით წმიდა მტვერი გეგონებოდათ.

ყავის სუნი ჩემში ერთდროულად იწვევდა წარმოდგენას აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები ერთნაირად აფრქვევდნენ ყავის სუნს.

რაც შეეხება ძველ ევროპას, ნამდვილად განუყოფელი იყო იმ სუნთაგან, მუდამ თან რომ ახლდა ყავახანას, — გემის ორთქლის, ხრაშუნა პურის, კამის, ვარდებისა და თამბაქოს სუნისაგან.

ევროპას ხშირად ვხედავდი დილაობით ძილღვიძილში. როგორც შორეულ სანაპიროს. თავისი ქალაქების ადამისეამინდელი მინებით ვარდისფრად ელვარებდა ხოლმე ზღვის მოქცევისას აქაფებული მდორე ტალღის თავზე.

მოქცევისას ზვირთები აიწევდნენ და მერე გრუხუნით ეცემოდნენ ქვიშას. სველი მტვერი ილექებოდა ჭადრების ფოთლებზე, და ბაღების სიგრილეში, ჩემ თვალწინ იშლებოდა თითქოს ნაცნობი და იმავე დროს უცნობი ქალაქის ხედი. მეც ვმარჩიელობდი, რომელი ქალაქია ეს: არკონა თუ ჩივიტა — ვეკია, ბორდო თუ როტერდამი.

ბათუმი, არაჩვეულებრივი, ეგზოტიკური, ზედ გამოჭრილი აღმოსავლური ქალაქი, გაჟღენთილი იყო ყავის, ღვინისა და მანდარინის სუნით. და მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ დაიწყო ჩემში დასუსტება ეგზოტიკის ცხარე—სურნელოვანმა განცდამ. მისი მწკლარტე სუნისაგან თავის მობეზრებამ და მე დავინახე მის მიღმა ამ ქალაქის ნამდვილი ცხოვრება. აქ არასოდეს არ ყუჩდებოდა ქალაქის სულაც არაპროვინციული კულტურული

ცხოვრება, ხოლო პორტი, როგორც უზარმაზარი კონდენსატორი, მთელი ბათუმის მუშა მოსახლეობას იზიდავდა.

იმ დროს ბათუმში მახლობელი თურქეთიდან — რიზიდან და ტრაპიზონიდან (ბათუმში ამბობდნენ, ტრაბიზონიდანო) ჩამოდიოდა ბევრი ფელუკა (მოტორიანი ნავი), დატვირთული ფორთოხლითა და მანდარინით. სურნელოვანი ციტრუსები პირამიდებად ეყარა სააღდგომოდ მოხატული კვერცხივით აჭრელებულ ნავში.

ხშირად მინახავს ერთი და იგივე სურათი: ჭილობგადაფარებულ ფორთოხლებზე ისხდნენ მოხუცი თურქები და ენის წკლაპუნით სვამდნენ სქელ სურნელოვან ყავას.

ყავის სუნს ავრცელებდნენ არა მარტო ფელუკები, არამედ სანაპიროზე დაყრილი წვრილი კენჭებიც. ამ წვრილ ქვებს ქობად აჩნდა ყავის ნალექი.

საღამოობით მეფელუკეები ფორთოხლის ხვავზე მოირთხამდნენ ფეხს და ლოცულობდნენ — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მექის მხარეს ხელებგაწვდილნი, თან შუბლით ეხლებოდნენ ცივ ფორთოხლებს.

იქ, სადაც მექა მდებარეობდა, ცაში ტრიალებდა ლილისფერი წყვდიადი, ჯერ კიდევ ვარსკვლავთა არილით დაუსერავი. თურქებს სწამდათ, რომ იმ წყვდიადის იქით მიედინებოდა სამოთხის მდინარის ლაჟვარდისფერი წყალი — „მდინარეთ› მდინარე“ კოვსერი.

მეც მინდოდა ეს მერწმუნა, მაგრამ ჩემს შეგნებას უკვე აღარ შეეძლო ბავშვობის წლებისაკენ დაბრუნება.

იმ დროს სულელივით ვფიქრობდი, რომ ყოველი ახალი აზ-

რი ან ჩემს მიერ მოპოვებული ცოდნის ყოველი ნამცეცი უკვე წვლილი იყო კულტურის საერთო ჯამში.

დიახ, ბათუმი და ბათუმის პორტი გაეღენთილი იყო მანდარინის, ყავისა და ნავთის სუნით.

პორტის ხიმინჯებს კავებივით ეკიდა მუქ-მწვანე შლამი. მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ რეცხავდა ზღვის ტალღა, შლამი არ თეთრდებოდა და არ კარგავდა თავის აფთიაქურ სუნს.

თვითონ ქალაქში, პორტის მოშორებით, მეტადრე საზღვაო ბულვარზე, რაც სინგაპურის ან ბომბეის პრომენადებს მომაგონებდა, მაგნოლიების მსუყე სუნი იდგა, ქალაქგარეთ კი, ბარცხანას გზაზე, საითაც სინიავსკები ცხოვრობდნენ, მტვრიანი ცოცხალი ღობიდან ასკილის სუნი იფრქვევოდა.

„ეგ დედაჩემი არ არის“

ლუსიენა და მიშა სინიავსკები ბათუმში ნავსადგურზე დამიხვდნენ. შემდეგ მოვიდა სულშეგუბებული ბაბელი. ის ქალაქგარეთ ცხოვრობდა, მწვანე კონცხზე, და ბათუმში სააგარაკო მატარებლით ჩამოდიოდა ხოლმე.

სინიავსკებს ბარცხანაში პატარა შუშაბანდიანი აივანი ჰქონდათ დაქირავებული. მეც იქ დავსახლდი.

ასე დაიწყო ჩვენი ერთად ცხოვრება — ძალიან უდარდელი, მიუხედავად იმისა, რომ ბეწვზე ვეკიდეთ. არც სინიავსკის ჰქონდა ფული და არც მე, არ მქონდა არც რაიმე „გარკვეული საქმე“. მქონდა მხოლოდ გაბედული გეგმები.

ვიმედოვნებდი, რომ ბათუმში გამოვცემდი საზღვაო გაზეთს, „მორიაკის“ მსგავსს.

ნამდვილად მოვიწყინე „უმორიაკოდ“. იმ დროს უკვე გატაცებული ვიყავი საგაზეთო მუშაობით, ამ მუშაობის მეურვალე ტემპებით, სწრაფი მოძრაობით, მჭიდრო სიახლოვით ხალხის, მთელი ქვეყნის, მთელი ევროპის, მთელი კაცობრიობის მოჩუხჩუხე ცხოვრებასთან, რაც ერთი წამითაც კი არ წყნარდება.

რევოლუციის შემდეგ ჩვენს შეგნებაში შემოჭრილი ახალი იდეები ყველა ჩვენგანს თვით საკუთარ თვალში მოწინავე თაობის წარმომადგენლად ხდიდა. ჩემი იმედი — ბათუმში გამოვცემ „ჩემს“, როგორც მაშინ ვამბობდი, გაზეთს-მეთქი, იმით აიხსნებოდა, რომ შავი ზღვის სანაპირო გაგრიდან ბათუმამდე საქართველოს მეზღვაურთა კავშირის გამგებლობაში იყო. ეს მეზღვაურები, ცხადია, ოცნებობდნენ საკუთარ გაზეთზე. მაგრამ ჯერჯერობით საქმე ამ მეზღვაურთა კავშირის კომისართან, ესტონელ ნირკთან ჩემს საუბარს არ სცილდებოდა.

ჩემი ჩამოსვლის დილას მიშა სინიავსკიმ ფანერის პატარა კარადიდან ერთი ბოთლი არაყი გამოიღო. თეთრ ეტიკეტზე გამოსახული იყო გულგრილი ძროხა და ეწერა, ეს არაყი დამზადებულია არტემ რუხაძის ბათუმის ქარხანაშიო, ლუსიენამ ქამბალა შეწვა. შევექეცით შემწვარ თევზს, დავაყოლეთ მანდარინები, რუხაძის არაყი, და თავს ბედნიერად ვგრძნობდით.

ჩვენს ბედნიერ განწყობილებას აძლიერებდა ყველაფერი, რაც გარშემო გვეკრა, — პირველ რიგში ის გვახარებდა, რომ

სუბტროპიკებში ვიყავით, სადაც ტროპიკულ წვიმას გადასაღები პირი არ უჩანდა და ზეცა სავსე იყო თბილი ღრუბლებით (უკვე ოქტომბერი იდგა); დედამიწას მთელი დღე ბინდი აწვა. იქვე ნელა და დიდებულად ათამაშებდა თავის ტალღებს შავი ზღვა და თითქმის ჩვენი შუშაბანდის ზღურბლამდე აღწევდა.

გვერდით ურმები ჩაგვივლიდნენ ხოლმე, დატვირთულნი მუქი-ლილისფერი ყურძნით — „იზაბელათი". ამ ყურძენს, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ესპანეთის გემო ჰქონდა.

მდინარე ბარცხანას, ქოჩორა ტალღებს რომ მიაქროლებდა ჩვენი სახლის მესერს იქით, ქვიან კალაპოტში, ზღვისაკენ მიჰქონდა ყვითელი და პორფირისფერი ყურძნის ფოთლები. მიწას ღვინის სუნი ასდიოდა.

ჭამის შემდეგ ვსვამდით ყავას, ვეწეოდით სოხუმის თამბაქოს, ვიგონებდით ოდესას, და ცხოვრება იყო მშვენიერი, როგორც არასოდეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰაერში იდგა სუნი ზღვის მოქცევისა.

მიშა სინიავსკი, მაღალი, ცოტა პირქუში და დამცინავი კაცი იყო, აღსავსე მახვილი იუმორით. ახლაც კარგი საქმე მოიგონა. თავისი ბინის აივანზე განცხადება გამოჰკიდა, რომ ხატავს გადიდებულ პორტრეტებს ფოტოსურათებიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, საღებავებითაც კი!

შემკვეთნი გულუბრყვილონი იყვნენ, მიშას ნამუშევარს ისე უყურებდნენ ხოლმე, როგორც მიუწვდომელ სასწაულს, როგორც ღვთის საჩუქარს. მზა პორტრეტს რომ მიიღებდა, შემკვეთი აღტაცებისაგან ენას აწკლაპუნებდა, თავს აქნევდა და უდრტვინელად იხდიდა ერთ თურქულ ლირას (საბჭოთა ფული

მაშინ ბათუმში ჯერ კიდევ ცოტა იყო, ხოლო ქართულ ბონებს უკვე ფასი აღარა ჰქონდათ).

ერთი ლირა სამ დღეს გვყოფნიდა. მაგრამ ძალიან მალე ბათუმში მართლა დაიწყო გამოსვლა საზღვაო გაზეთმა „მორიაკმა“, მეც ცოტაოდენი ფული ვიშოვნე, და ჩვენს ცხოვრებას დაცხავებულ შუშაბანდში სიუხვის ერთგვარი ნიშანი დაეტყო. ეს ნიშანი იყო მანდარინის გარკვეული რაოდენობა, პაპიროსები და შესქელებული ყავის ქილები.

ერთხელ ხანში შესულმა ბერძენმა იანიმ, ხარაზმა ნურის ბაზრიდან, მიშას შეუკვეთა თავისი დედის ფოტოსურათიდან პორტრეტის გადაღება, თანაც ფერადი დამიხატეო, უთხრა.

ფოტო გავსინჯე და გამოვარკვიე, რომ სურათი გადაღებული იყო ქალაქ ვოლოში, საბერძნეთში, 1880 წელს. ქალი არაჩვეულებრივად ლამაზი აღმოჩნდა. ის ჰგავდა ფრიგიულ თავსარქმლიან ლამაზ ქალიშვილს, რომელიც ხალხს ბარიკადებისკენ მოუწოდებს დელაკრუას სურათში, „თავისუფლება მიუძღვის ხალხს“ რომ ჰქვია.

მრავალი მედალი, რაც კი ფოტოგრაფ მეტაკსოსს მიეღო, გამოსახული იყო ამ ფოტოსურათის უკანა მხარეს.

თითქოს კიდევაც ვხედავდი იმ ტანდაბალ, მორთულ, მუწუკებიან, მაღალ ქუსლებზე შემდგარ და პეპელისებურ ჰალსტუხიან ბერძენს. რა თქმა უნდა, საარაკოდ მოხდენილი იყო, როგორც პარიზელი ვინმე, და კლიენტებსაც ძაღლის ტყავის ხელთათმანებით მორთული იღებდა (ეს ამბავი დიდად მახალისებდა), რათა გაებრუებინა მათი პროვინციული ტვინი და იძულებული გაეხადა ფული ამოეყაჭათ.

მუშაობის დროს მიშა თავის კლიენტებზე ათასნაირ უცნაურ ამბებს თხზავდა.

ლუსიენა ეზოში მაყალზე ამზადებდა ბადრიჯანს ან საციკს (ახლა ზოგჯერ ფული საციკისთვისაც გვყოფნიდა), ისწორებდა მკერდზე თავის მოკლე, გაცრეცილ კოფთას და თან მიშას „სიტყვიერ პორტრეტებს“ თავის მხრივ ნატურალისტურ წვრილმანებს უმატებდა.

— შენ დაგავიწყდა იმის მოყოლა, — უყვიროდა, — რომ ამ შენს მშვენიერ პაციენტ მეტაკსოსს ეცვა ვარდისფერი ნიფხავი ლოყებატკრეცილი პატარძლის ფერისა! ზომაზე ორჯერ უფრო სრული ჰქონდა და დაჟანგებული ინგლისური ქინძისთავით იკრავდა!

ერთხელ ამ საქმიანობაში ბაბელმა წამოგვისწრო. მაშინვე ჩაერია თამაშში და არაჩვეულებრივი პუნქტუალობით მოგვითხრო, რა სულელი იყო მეტაკსოსი.

საციკი ვჭამეთ, დავლიეთ ერთი ბოთლი არაყი, „რუხაძის ძროხა“ რომ ეხატა, რის შემდეგაც უბადრუკი ფიცრული ოთახი-შუშაბანდი მომეჩვენა უმშვენიერეს ადგილად, სადაც შეიძლებოდა საუბარი, სიცილი და ღრმა ძილი, როგორიც სანაპიროზე გვევლინება ხოლმე.

მაშინ ყველანი აღსავსენი ვიყავით მომავალის რწმენით და ჩვენი დროის სიახლის განცდით.

თვითონ წვიმაც, მთელი ძალით რომ სცემდა ქედელს, თითქოს მონაწილეობდა ჩვენს ლაპარაკში.

ხოლო როცა ცოტა მეტს გადავკრავდი, ვიდრე საჭიროა,

უკვე მეჩვენებოდა — წვიმა გვისმენს, ძველებურ საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებს და წერს ყველაფერს, რასაც ვლაპარაკობთ და ამ ჩანაწერებიდან ბოლოსდაბოლოს საინტერესო წიგნი გამოვა-მეთქი.

საუბარი სინიავსკის ხელს არ უშლიდა მუშაობაში. „დედის" პორტრეტი ისეთი გამოიყვანა, რომ თვალის მოწყვეტა მართლაც ძნელი იყო. განსაკუთრებით კარგი ჰქონდა ოქროსფერი თვალები და ცოტათი ღია პირი.

— ასეთ პორტრეტში, — თქვა ბაბელმა, — ოთხი ლირაც რომ გადაახდევინო, არ არის ცოდვა. ფრთხილად, მიშა, ზიზილ-ჯიპილებით არ მოირთოთ.

დილით მიშამ პორტრეტი დამკვეთს წაუღო. თან გავყევი. გადავწყვიტეთ, ხარაზისათვის სამი ლირა მოგვეთხოვა. მერე ორზე შევჩერდით.

ხანში შესული ხარაზი იანი ადამისჟამინდელსა და თითქოს თეატრალურ ეზოში ცხოვრობდა. იქ აზარტული ძახილით დარბოდნენ ბერძენი ბავშვები, მსუქანი ბერძენი ქალები თავიანთი ძალუმი მკერდებით ფანჯრის რაფას დაყრდნობილნი შემოგვცქეროდნენ, ჩვენს გარეგნობაზე ბჭობდნენ და დაგვცინოდნენ.

ხარაზი იანი თავის ქოხის კარებთან იჯდა. პირი სავსე ჰქონდა ხის ლურსმნებით. გადმოაფურთხა და გვითხრა: „ყალა მერა".

მიშამ აუჩქარებლად ამოიღო პორტრეტი, შეაბრუნა და ხარაზს უჩვენა.

მაშინ მოხდა უდიდესი სასწაული, რომლის მოხდენაც შეუძლია მხოლოდ მაღალ ხელოვნებას, მხოლოდ მხატვრობას,

რაც თავისი ძალით უტოლდება კაცობრიობის რჩეულ ხელოვანთა, მაგალითად, ბოტიჩელის, რაფაელის ან ვერმეერ დელფტელის ქმნილებებს: იანიმ შეხედა პორტრეტს და აქვითინდა.

ჩვენს ზურგს უკან გაისმა ბერძენ ქალთა აღელვებული წამოძახილები.

მიშას ხელოვნებით ხარაზზე არანაკლებ აღელვებული ვიყავი მეც, მაგრამ მაინც არ დამიკარგავს საღი აზროვნების უნა: მიშას გვერდში იდაყვი ვკარი და წყნარად ვუთხარი:

— დაუფასე სამი ლირა.

იანის დამშვიდებას ველოდით. მაგრამ იანი დიდ ანს იხოცავდა ცხვირს წინსაფრით, სლუკუნებდა და თვალებს სახელოებით იწმენდდა.

მის ზურგს უკან იდგა პატარა, ჭვავის პურის დამწვარი ქერქივით შავი ქალი და გამოშტერებული შესცქეროდ. დედის პორტრეტს. ეს იყო იანის ცოლი. მხოლოდ ის არ ამჟღავნებდა აღტაცებას.

ბოლოს მიშამ შეჰბედა იანის, რომ პატივსა სცემს მის გრძნობებს და მოაგონა, ველოდებით სამი ლირის მიღებასო.

მაშინ იანის კანკალი აუვარდა, როგორც მაჰმადიანს ნამაზის დროს, ან კბილმტკივან გიაურს. ხელები თავზე წაივლო, დაიკვნესა და ბოროტი, მაგრამ შესაბრალისი ხმით თქვა:

— ეგ დედაჩემი არ არის! სულაც არ არის ეგ დედაჩემი! და თქვენ არაფერს არ მიიღებთ. რადგანაც მოატყუეთ საბრალო კაცი.

ჩვენ დავიბენით. მთელს ეზოში ჩამოწვა დაძაბული დუმილი. ეზო ელოდა საქმის შემდგომ ვითარებას.

— როგორ თუ დედაშენი არ არის? — ჰკითხა შეძრწუნებულმა მიშამ.

— არ არის! — შეჰყვირა იანიმ და კალაპოტი ისე დაჰკრა სკამს, რომ ყოველ მხარეს დაცვივდა ხის ლურსმნები. — დედა მოხუცი იყო, ჭაღარა. კარგად მახსოვს. მაშინ მოკვდა, როცა მე შვიდი წლისა ვიყავი, უფროსი ძმა კი უკვე ორმოცდაათის. შენ კი რა გიქნია?—რესტორან „მირამარედან“ აგიყვანია რომელიღაც ქნარზე დამკვრელი გოგონა და ის დაგიხატავს. ფუი, ფუი! აიღე შენი პორტრეტი და წაიღე! კიდევ სამ ლირას თხოულობ! სამ ბრანწს მიიღებ ამ სურათისათვის, აფერისტო, და არა სამ ლირას!

იანიმ სამჯერ უჩვენა მუშტი. ამისი არც მოთმენა შეიძლებოდა და არც დაუსჯელად გაშვება.

მიშა ჭარხალივით გაწითლდა, იანის საყელოში ჩაავლო ხელი, წამოაყენა და წყნარად უთხრა:

— რას ჩმახავ? ხელში მომაჩეჩე დედაშენის მაშინდელი სურათი, როცა თექვსმეტი წლისა იყო და გინდოდა ასი წლის დედაბერი დამეხატა?! ახლავე გადაიხადე, თორემ სულს გაგაფრთხობინებ!

— ეს დედაჩემი არ არის! — ისევ შეჰყვირა გულის გამგმირავი ხმით იანიმ და ფართხალი დაიწყო.

მდგომარეობის სერიოზულობისა და იმის მიუხედავად, რომ დროებით ულუკმაპუროდ დარჩენა გველოდა, გამხმარ თუთის ხეს მივეყრდენი და მოვყევი ხმამაღალ ხარხარს.

მაშინ მიშამ ხელი გაუშვა ხარაზს, შემოუბრუნდა ფანჯრებში ჩტევნებივით გადმოკიდებულ მცხოვრებლებს და შესძახა:

— მოქალაქე ბერძნებო! დიდ ადამიანთა შთამომავალნო! რას უცქერით ამ უმსგავსობას?!

მაშინვე ატყდა ქარიშხალი. ყოველი კარ-ფანჯრიდან გაისმა ათობით ხმა:

— იანი, გონს მოდი! ეს ხომ დედაშენია! ზედგამოჭრილი დედაა! სულელო! ნამდვილი დედაა! ახლავე გადაუხადე ადამიანს! გესმის?

რამდენიმე ჟილეტიანი მამაკაცი გამოვარდა ეზოში. მხრებით ანჯღრევდნენ და უყვიროდნენ:

— შენ გვარცხვენ, იანი! გრცხვენოდეს! ეს ხომ პირწავარდნილი დედაშენია! ჩვენ ნამდვილად გვესიამოვნება მისი დანახვა ყოველდღე. ასეთი ლამაზი ბერძენი ქალი! გადაიხადე ფული და დამშვიდდი, გადაიხადე!

— სამი ლირა? — ხრინწიანი ხმით შესძახა იანიმ და გაწითლებული თვალებით გადახედა ყველას. — არ მივცემ!

— კარგი! — შესძახეს ბერძნებმა. — ორი ლირა. ორი! და მშვიდობის გზა ჰქონიათ ამ ახალგაზრდებს.

იანიმ მაგიდაზე ისროლა ორი ლირა. მიშამ აიღო. ჩვენ წამოვედით და უკან მოგვდევდა ბერძენთა მეგობრული შეძახილები.

ნახევარი საათის შემდეგ გამოირკვა, რომ ერთ-ერთი ლირა ყალბი იყო.

საერთოდ, ბათუმში ყალბი ლირა მეტი იყო, ვიდრე ნამდვილი. ამიტომ ბათუმში ჩვეულებად შემოიღეს გადახდის დროს ლირაზე პატრონის სახელის დაწერა, რათა იმ შემთხვევაში, თუ ყალბი აღმოჩნდებოდა, შესაძლებელი ყოფილიყო მისი ბოვნა.

მაგრამ უკვე ყველა ლირა ისე იყო დაჯღაბნილი, რომ ერთი ცარიელი ადგილიც არ რჩებოდა. ზოგჯერ ფულის ღირებულების გარკვევაც შეუძლებელი ხდებოდა. მეტადრე მაშინ, თუ ამ მრავალრიცხოვან ავტოგრაფებში აღმოჩნდებოდა თუნდაც ერთი წარწერა, გაკეთებული ქიმიური ფანქრით და გადღაბნილი წვიმით ან პატრონის ოფლით.

მაგრამ ჩვენ სადა გვქონდა იმის თავი, რომ ხარაზისათვის ხელის მოწერა გვეთხოვა! ხელი ჩავიქნიეთ და წავედით.

სახლში თათბირი მოვიწვიეთ ლუსიენას დასწრებით. მიშამ თქვა, ოთხგზის წყეული ვიყო, თუ ერთხელაც არის ხელი მოვკიდო ფოტოსურათის გადიდებასო. მთელი სიცოცხლე ოცნებობდა გამხდარიყო მხატვარი-არქიტექტორი, მსგავსად პირანეზისა, უნდოდა იმავე მანერით ემუშავა, რომ სრულყოფამდე მიეყვანა მასწავლებლის ხელოვნება და არა ის, რომ ეხატა აღმოსავლელი ხარაზებისა და მათი დედების პორტრეტები.

ლუსიენამ თქვა, მიშა სანაქებო ბიჭია, მაგრამ რა ვქნათ, დღეიდან რა გზას დავადგეთო.

უეცრად ბედნიერი აზრი დამებადა. ეს აზრი ჩამაგონა დუქან „ბაბულიჯ პორეცესკის“ მონახულებამ.

ეს აჩხაბაჩხა ასოებით გამოყვანილი სახელწოდება საიდუმლოებით იყო მოცული და ითხოვდა ლინგვისტურ ძიებას (ან, როგორც მიშამ თქვა, „გათხრებს“), რათა მისი წარმოშობა დაგვედგინა.

დუქნის აბრის ამოხსნაში დაგვეხმარა ბათუმელი პოეტი ჩაჩიკოვი — ნატიფი, თუმცა საგრძნობლად გაცვეთილი რაინდი და ყოფილი კორნეტი. ლუსიენას გასცნობოდა ბაზარში და იმ

დღიდან თვალთმაქცურად დასდევდა უკან, თან ორივე ხელი გულზე ჰქონდა მიდებული.

ჩაჩიკოვი წერდა ფუტურისტულ ლექსებს თავის კავალერისტულ წარსულზე. ზოგიერთი დამამახსოვრდა. ერთხელ-თვითონვე წაგვიკითხა ბარცხანაში, სკამზე გადამჯდარმა, თან გაპრიალებულ მესტებზე სტეკებს ირტყამდა:

> რად მინდა თქვენი აპოლონი, თქვენი მუზები!
> მე თვითონა ვარ აპოლონი გალიფიანი!

საერთოდ, კეთილი და მამაცი ყმაწვილი იყო, თუმცა ბაქიბუქა. უყვარდა მოყოლა თავის ბავშვობაზე, რაც თითქოს სპარსეთში გაატარა, ქალაქ მოსულში. ამას რომ იტყოდა, დააყოლებდა:

> ღიდება შენდა, ძველო მოსულო,
> სავანევ, ჩემთა მამა-პაპათა!

ჩაჩიკოვმა სრულიად იოლად გაშიფრა დუქნის აბრა.

— ბაბულია, — თქვა, — ეს არის ადგილობრივი სახელწოდება თევზისა „ბარაბული“ ან „სულთანკა“. — ყველაზე უფრო გემრიელი თევზია შავ ზღვაში. „პო-რეცესკი“ ნიშნავს „პო-გრეჩესკის“. ამრიგად, თვითონვე ხვდებით, რომ „ბაბულია პორეცესკი“ ასე ითარგმნება: „სულთანკა ბერძნულად“. ზემოთ ხსენებული დუქანი ამ კერძით არის განთქმული.

ერთხელ, ამ დუქანში რომ ვიჯექი, კედელზე შევნიშნე ქემალ-ფაშას პორტრეტი, გაზეთიდან ამოჭრილი. ქემალის გარე-

შემო ბავშვის გაუბედავ ხელს დაეხატა მინდვრის ყაყაჩოს გვირგვინი.

ჩემი აზრით, მიშას ახლა სწორედ ქემალ-ფაშას პორტრეტები უნდა ეხატნა. ბათუმში იმ დროს საკმაოდ ბევრი თურქი ცხოვრობდა. მეორეც, ქალაქში სულ არ იყო ქემალის არც ფოტოები, არც პორტრეტები. მესამეც, არ ღირდა ფერგადასულ ფოტოსურათებზე დახავსება და მერე ჭირვეულ ნათესავებთან საქმის დაჭერა. ქემალ-ფაშას კი, რამდენადაც ვიცოდი, ბათუმში ნათესავები არ უნდა ჰყოლოდა.

ბათუმელ თურქებს ქემალი ეროვნულ გმირად მიაჩნდათ, მაგრამ ქალაქში ალბათ ერთიც არ მოიძებნებოდა მისი მნახველი.

მიშა დამეთანხმა. ქემალი ჯერ პროფილით დახატა და ეს პორტრეტი მიართვა დუქან „ბაბულია პორეცესკის“ პატრონს.

ქემალის პორტრეტების წარმოების წარმატებამ, როგორც იტყვიან, მოლოდინს გადააჭარბა. შეკვეთა მოზღვავდა ყოველი მხრიდან. ლუსიენამ ტარიფი შეიმუშავა: ტუშით შესრულებული ქემალის პროფილისათვის — ერთი ლირა, საღებავებით შესრულებული პორტრეტისათვის — სამი ლირა, ხოლო შავრა ცხენზე ამხედრებული ქემალის პორტრეტისათვის—ოთხი ლირა. ბოლოს, იმ პორტრეტისათვის, ქემალი მტრის გვამებზე ცხენს რომ მიაჭენებდა — ხუთი ლირა.

იმ დროს სწორედ თურქეთ-საბერძნეთის ომი იყო გაჩაღებული, რამაც, სხვათა შორის, ბათუმსაც გაჰკრა კლანჭი. მაგრამ ამაზე შემდეგ.

მიშამ ისე გაიწაფა ხელი ქემალზე, რომ თვალდახუჭულსაც შეეძლო დაეხატა. ისევ მოგვხედა სიუხვემ ბარცხანას შუშაბანდში.

მაგრამ იმ დროს უკვე დავიწყე საზღვაო გაზეთ „მორიაკის“ რედაქტორობა და ქალაქში გადავედი. ოთახი მომცეს „ბორდინჰაუზში“ — თავიანთ გემებს ჩამორჩენილ მეზღვაურთა სასტუმროში.

სანაპირო სავანე

მსოფლიოს თითქმის ყველა ნავსაყუდელშია ეგრეთწოდებული „სანაპირო სავანეები“ იმ მეზღვაურთათვის, რომლებიც თავიანთ გემებს ჩამორჩნენ. სხვანაირად ამ სასტუმროებს ეძახიან „ბორდინჰაუზებს“. ეს არის რაღაც შუალედური ქარვასლასა, სალუდესა, გამოსაფხიზლებელსა და სამეძავოს შორის.

ასეთი „ბორდინჰაუზი“ ბათუმშიც იყო, ოღონდ შეკვეცილი სახით — სალუდესა და საროსკიპოს აშკარა ნიშანწყალი არ აჩნდა.

როცა „გაგრა-ბათუმის სანაპიროს მეზღვაურთა კავშირმა“ კომისარ ნირკის დაჟინებითი მოთხოვნით (ხოლო ნირკს მე ვაძალებდი), როგორც იქნა, გადაწყვიტა საზღვაო გაზეთის გამოცემა, მე, როგორც „მორიაკის“ რედაქტორს, მომცეს ბინა „ბორდინჰაუზში“, ოღონდ გამაფრთხილეს, რომ ჩემი ბინა იმავე დროს რედაქციაც იქნებოდა. ეს ამბავი სავსებით ხელს მაძლევდა.

„ბორდინჰაუზის“ ძველებური ორსართულიანი სახლის ფასადზე აკრული თხელი თუნუქი — ბათუმის შხაპუნა წვიმებისაგან დასაცავად, — ჟანგისაგან ერთიანად გაწითლებულიყო. სახლი იდგა სანაპიროზე, ზედ ზღვასთან. ზამთრის ძლიერი ქარტეხილების დროს ქარი ზღვის წვეთებს ისეთი ხმაურით აშხეფებდა ფანჯრებს, ღვართქაფი წვიმა გეგონებოდათ.

ჩემს გარდა „ბორდინჰაუზის“ მეორე სართულზე ცხოვრობდა ქერა მოხდენილი მამაკაცი და ერთი სპორტსმენი, რომელსაც თან ახლდა ცოლი, მორთულ-მოკაზმული, მფრთხალი ესტონელი ქალი.

დანარჩენი ოთახები ეკავათ მეტწილად ბერძენ და ამერიკელ მეზღვაურებს.

რამდენადაც მეზღვაურები გემებს ჩამორჩებოდნენ ხოლმე მხოლოდ „სიმთვრალის გამო“, „ბორდინჰაუზის“ მცხოვრებთა შემადგენლობაც საკმაოდ ერთფეროვანი იყო: აქ შეხვდებოდით მარტო წყალწაღებულ ლოთებს, ხმაჩახლეჩილებსა და ჩხუბისთავებს.

არაფერ ზიანს არ გვაყენებდნენ, რადგან მთელი ღამე სადმე სალუდეებსა და ბათუმის განაპირას ბობოქრობდნენ. ხოლო როცა „ბორდინჰაუზში“ ბრუნდებოდნენ, თითქმის ვერასოდეს ვერ აღწევდნენ სასტუმრომდე, სადმე გზაში ან ისეთ ადგილას გაიშხლართებოდნენ, სადაც სახელგანთქმული ბათუმის წვიმა ვერ ჩააღწევდა.

ამიტომ ღამ-ღამობით „ბორდინჰაუზში“ სიწყნარე სუფევდა, სასიამოვნოც კი იყო იქ ყოფნა. ვესტიბიულში პატარა

მწვანე ნათურა ენთო, კანდელის მსგავსი. მხოლოდ ნავსადგურის მოწითალო ვირთხები დანავარდობდნენ ხმაურით დერეფანში, გარბოდნენ სამზარეულოსაკენ, რათა ონკანთან წყალი დაელიათ. მოშლილი ონკანიდან წკაპა-წკუპით მოწვეთავდა ჟანგისფერი ცივი წყალი, რომელიც დროდადრო დაცემის რიტმს იცვლიდა.

ბინადარნი მხოლოდ გვიან დილით გამოჩნდებოდნენ ხოლმე. გამოფხიზლებულნი, შუბლშეკრულნი იბანდნენ პირს, ისინჯავდნენ ტანზე დალურჯებულ ადგილებს, იწმენდდნენ დასვრილ-დათითხნილ სამოსელს, თამაშობდნენ კამათელს და ზოგჯერ ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ ახირებული თამაშის გამო.

მაშინ თავისი ოთახიდან გამოდიოდა ნირკი—მაღალი კაცი, რომელსაც გაუთოებული „კლოშიანი“ შარვალი და სუფთა პერანგი ეცვა. მშვიდად იღებდა ჯიბიდან ფოლადის მოელვარე რევოლვერს და მოჩხუბართა დასამშვიდებლად მიდიოდა.

ნირკს მეზღვაურები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ალბათ იმის გამო, რომ ყოველთვის უცნაურად იღიმებოდა, პისტოლეტს ათამაშებდა და ამბობდა:

— ტყუილად ხარჯავთ კალორიებს, ზღვაზე მოხეტიალენო!

ამ სიტყვებს რამდენიმე ენაზე წარმოთქვამდა, იმის მიხედვით, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ მოჩხუბარნი. ეს მართლაც მაგიური ფრაზა იყო.

ნირკის, მისი ცოლისა და ჩემს გარდა, „ბორდინჰაუზში“ ცხოვრობდა აგრეთვე დამლაგებელი ნუსია. მობინადრეებთან თავს ყრუმუნჯად ასაღებდა და რომელიმე მეზღვაური თუ

აედევნებოდა, პირველსავე ცდაზე ისე დაიწყებდა ხარხარს, ბღავილის მსგავსად და თანაც გამაყრუებელი ხმით, რომ ზღვის პირას გაიგონებდა კაცი. თავისი ოთახიდან გამოვარდებოდა პისტოლეტმომარჯვებული ნირკი. მეზღვაური მაშინვე გაქრებოდა და უკან იხევდა, გახარებული იმით, რომ იოლად დააღწია თავი „ყრუმუნჯ კუდიანს“.

დაბლა, კიბის ქვეშ ცხოვრობდა ქურთი — ფეხსაცმლის მწმენდავი. მის ლურჯ დახუჭუჭებულ წვერსა და თაფლისფერ მავედრებელ თვალებსაც კი ფეხსაცმლის ზუმბურზეთის სუნი სდიოდა — სკიპიდარისა და იატაკის მასტიკის რთული სუნი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა.

ქურთი მტრედივით მშვიდი იყო. სხვათა შორის, ხმამაღლა არასოდეს არ ლაპარაკობდა, ნაზად ღუღუნებდა მტრედივით.

ქურთს თავისი მარტივი ბიოგრაფიის მოყოლა უყვარდა. ის შედგებოდა მცირე აზიაში ხეტიალისა, ხშირი ხოცვა-ჟლეტისა და ამ ხოცვა-ჟლეტისაგან თავის დაღწევის ცდისაგან. „მამა თურქი მოკლა, — ბუტბუტებდა. — დედაც თურქი მოკლა. ძმაც თურქი მოკლა. ახლა მარტო ხარ ეს ქვეყანაში“.

საქმე ქურთს თითქმის ათა ჰქონდა. დღის მეტ წილ დროს თვლემაში ან ჭამაში ატარებდა. ჭამის შემდეგ დიდხანს ილოკავდა გაქონილ ხელებს და ცხვირს იხოცავდა. ამ საქმიანობაში იყო რაღაც ბიბლიური და უბრალო, ქუჩად მოხეტიალე ხალხის ნაღვლიანი სიმღერის მსგავსი.

„ბორდინჰაუზში“ ცხოვრობდა აგრეთვე შავი ბანჯგვლიანი ქოფაკი, რომელსაც ყვითელი, მეტისმეტად ყურადღებიანი თვალები ჰქონდა. სახელად მონომახი ერქვა. ის რომ არა, ალბათ ეს საარაკოდ ბოროტი და ავი ვირთაგვები შეგვჭამდნენ.

ერთ ღამეში გახვრიტეს იატაკის სქელი ფიცარი, მაგრამ კუთხეში კი არა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ შუა ოთახში.

განთიადისას ბათუმის ყველა ვირთაგვა გადიოდა პორტის იქით, წყაროს წყალზე, წყლის დასალევად. მიდიოდნენ „ბორდინჰაუზის“ ვირთაგვებიც. მწყობრად მოჰყვებოდნენ სხვენიდან ჩემი ფანჯრის გარეთა ჩარჩოს და ზღართანი გაჰქონდათ ბეზობელი ფარდულის სახურავზე. ვიღვიძებდი და მერე დაძინება აღარ შემეძლო ზიზღისაგან. ვირთაგვების გაშმაგებული წრიპინი გულს მირევდა.

ქვის სახლებს დატანებული ჰქონდათ ნიშები რკინის კარებითა და საჭვრეტით. ამ ნიშებში ემალებოდნენ მილიციონერები და დარაჯები ვირთაგვებს, როცა ისინი ათასიან ჯოგებად მიეშურებოდნენ წყლის დასალევად. ვირთაგვების ჯოგში მოხვედრა სასიკვდილო საფრთხესთან იყო დაკავშირებული: შეეძლოთ ადამიანი ნაკუწ-ნაკუწად დაეგლიჯათ.

ბათუმის პორტის უფროსმა — მოხდენილმა და გამხდარმა კაპიტანმა — გადაწყვიტა ერთი დაკვრით გაეჟლიტა ვირთაგვები. ჩვეულებრივ ისინი ქუჩაში მიდიოდნენ ერთიან ტალღად, ზოგჯერ ორ იარუსადაც კი — ეს იმ ადგილებში, სადაც ქუჩები ვიწროვდებოდა და ვირთხების ნაკადი ვერ ეტეოდა ერთ რიგად.

პორტის უფროსის ბრძანებით ეზოებში საღამოთიევ დადგეს სახანძრო ტუმბოები. როგორც კი ვირთხებმა ქუჩები აავსეს, ტუმბოები აამუშავეს და მიუშვეს ნავთის ნიაღვარი. უკანანი წინა რიგებს მიაწყდნენ და გაშმაგებული ვირთაგვების ხროვა ერთ ადგილზე დატრიალდა. მაშინ ვირთაგვებს ალმოდებული ძენძი ესროლეს.

ვირთაგვები ცოცხლად იწვოდნენ. აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ჭყიოდნენ, შემდეგ უკან მიაშურეს პორტს, თავიანთ სოროებს. აქ მოხდა ის, რაც ვერ მოისაზრეს ვერც პორტის უფროსმა და ვერც მეხანძრეებმა: ალმოდებული ვირთაგვები მიაწყდნენ საწყობებს, პაკჰაუზებს, და ნახევარი საათის შემდეგ ბათუმის პორტში დაიწყო ხანძარი.

ორი დღე აქრობდნენ ამ ხანძარს. გემებმა სადგომები მიატოვეს, პორტს ალყა შემოარტყეს ჯარებმა. პორტის ყოვლად მოხდენილ უფროსს ეს ამბავი რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთად დაუჯდა.

„ბორდინჰაუზს“ თავისი უდავო ღირსებები ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა, სახლი იდგა ნავსადგურიდან ოც ნაბიჯზე, ძველი ფიცრული ნავსადგურის პირდაპირ, რომელიც ნახევრად დამპალ მორებზე შეყუნცულიყო.

ამ ნავსადგურში ჩერდებოდნენ თურქეთის ფელუკები და ჩვენი ორანძა ნავები. აქაური ხშირი სტუმრები იყვნენ „სამი ძმა“ და „ლევ ტოლსტოი“. ამ ნავებს ჩამოჰქონდათ ატამი და თამბაქო სოხუმიდან და კონტრაბანდული არაყი ტუაფსედან.

თავისუფალ დროს შეიძლებოდა ჩემი ოთახიდან პირდაპირ ნავსადგურში გასვლა, თან ანკესების წაღება და ფელუკის კიჩოდან ბარაბულის ან ღორჯოს დაჭერა. ანკესს ზოგჯერ ზღვის ქორჭილა და ჩიქვიც წამოეგებოდა ხოლმე.

გვიანი შემოდგომის არც ისე მცხუნვარე მზე ანათებდა ოდნავ მღვრიე მწვანე წყალს და ფელუკის ნაირფეროვან კიჩოს. მეფელუკეები თავიანთ პატარა გემებს პატარძლებივით რთავ-

დნენ. ზოგიერთნი სპილენძითაც კი ჭედდნენ პლანშირების ზედაპირს და მერე ცარცით წმენდდნენ. კიჩოს აუცილებლად ღებავდნენ სქელი საღებავებით.

არსებითად ფელუკის ორივე კიჩო წარმოადგენდა ორნამენტებით მოხატულ სურათს, ან, როგორც ახლა იტყვიან, აბსტრაქტული ხელოვნების ნაწარმოებს. არ მინდა ამ ხელოვნების არსზე პაექრობის სიღრმეში შევიჭრა, ჰაგრამ ყოველი ჭრელი კიჩო ჰგავდა ხალიჩის უსაგნო ნახატს, რომელზედაც გამოსახულია ფანტასტიკური ყვავილები და ტეხილი ღია სეგმენტები.

არც მიცდია გამეგო ფელუკთა თურქი ოსტატების მხატვრობა. ის მხატვრობა დღენიადაგ მზეზე იწვოდა, ათინათს გტყორცნიდა პირისახეზე, ხელებზე და საზეიმო იერით ირეკლებოდა წყალში.. ანარეკლის ქვეშ არხეინად დაცურავდნენ მედუზები და სხვა ცხოველები.

ერთხელ ნავსადგურში მოვიდა ლუსიენა, ბაბელისა და მისი ცოლის ევგენია ბორისოვნას თანხლებით. ბაბელი უმიზეზოდ იცინოდა და თითქოს თავის გასამართლებლად ამბობდა, რომ ზოგჯერ სასიამოვნოა ქვეყნად ცხოვრება, კუპრისა და ზღვის წყლის სუნის ყნოსვა. ამასთან მზეზე ითბობდა ფერმკრთალ, ოდნავ წამოსიებულ ხელებს.

ევგენია ბორისოვნა ჩემს გვერდით ჩამოჯდა ნავსადგურში. თვითდამჭერი მივეცი. მოთმინებით იჯდა და ელოდა ანკესზე თევზის წამოგებას, თან დაჟინებით აშტერდებოდა სიღრმეს, სადაც სუნთქავდნენ და ირხეოდნენ მედუზები. წყალში მისი წაბლისფერი სქელი თმის ანარეკლი მოჩანდა. ამბობდა, ძალიან დავიღალე და არსად არ მინდა წასვლაო. ბაბელი სწორედ იმდროს ბათუმიდან თბილისში გადასასვლელად ემზადებოდა.

თევზი ანკესს პირს არ ჰკიდებდა. ევგენია ბორისოვნამ ისევ გაიმეორა, მხოლოდ მწვანე კონცხზე, ტროპიკული სიმწვანის ჩრდილში ჩამდგარ სახლში ცხოვრება მინდა და იქ კითხვა, კითხვა თავდავიწყებამდეო. ხოლო რაკი ახალი წიგნები არ არის (მაშინ ბათუმში გამოჩნდა ერთადერთი ახალი საბჭოთა წიგნი, ტარასოვ-როდიონოვის „შოკოლადი“), მზადა ვარ ხელახლა გადავიკითხო ჩეხოვი და ბოლესლავ პრუსიც კი, — სულერთია, ვინც იქნებაო.

ბაბელი ფარულად გადახედავდა ხოლმე ევგენია ბორისოვნას. ახლა პირველად შევამჩნიე დაბნეულობა სახეზე, სრულიად ბავშვური რომ გახდომოდა. ისიც კი მომეჩვენა, თიოქოს ბაბელს ბაგეები უთამაშებდა. რაღაც შემაშფოთებელი ამბავი ხდებოდა როგორც მის, ისე ქალის სულშიაც, მე კი ჩემი დამემართა, — სრულიად უადგილოდ. ახალგაზრდობისდროინდელი უბედურებათა აჩრდილი დამიდგა თვალწინ, და გავიფიქრე, ქვეყნად არაფერია უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე თანხმობა მახლობელ ადამიანებს შორის და არაფერია სიყვარულის კვდომაზე უფრო დიდი უბედურება-მეთქი.

ისინი წავიდნენ, მე კი დიდხანს ვიჯექი ნავსადგურში ისე გაოგნებული, რომ ნემსკავის შერხევაც დამავიწყდა.

უზარმაზარი, სარკინიგზო ხიდივით გრძელი, სითხის საზიდავი საოკეანო ხომალდი, ღია-ყვითელი ფერისა, თავისი ალუბლისფერი მილით ნავთის სატვირთო ნავსადგურისაკენ მიეშურებოდა, გვერდით ჩამიარა და საათის წუთების ისრის სისწრაფით განაგრძო გზა. მის ცხვირზე ამოვიკითხე წარწერა „ნინონი“, ქვემოთ კი მეორე — „ლე ჰავრი“.

ძალიან ვაფასებდი „ბორდინჰაუზს“ საზღვაო ცხოვრებასთან სიახლოვის გამო.

აქედან ჩანდა ყოველივე, რაც ხდებოდა პორტსა და ზღვაზე: ყველა მომავალი და მიმავალი გემი, ყველა ქაფიანი გრიგალი, ბათუმსა და ფოთს შუა რომ დაჰქრიდა, ყველა მრავალფეროვანი დაისი, მსგავსი სკულპტურული ღრუბლების ან შუქის და ბინდის გამოფენისა, ალის და წყვდიადისა, ვერცხლის და სისხლისა, ცხელი ოქროსი და უცხო ფრინველთა შეფერილობისა.

მზის ჩასვლა ჰგავდა შორეული, მრისხანე და უსაშიშრო ვულკანების ამოფრქვევას. მაღლა კი სრულიად დამშვიდებით მიჰყავდათ მფრინავებს თვითმფრინავები, ისე რომ არ ეშინოდათ დაწვისა და დახრჩობისა. პირიქით, დაისის ჰაერი იყო სუფთა და გრილი: თავისი ცივი ამონასუნთქით უკვე ღამე ეალერსებოდა.

ფერთა ლივლივი რომ არ გამომპარვოდა, მოვიკუნტე და ვიჯექი წყნარად, რაღაც დაბინდულ აღტაცებას განვიცდიდი.

მაშინ ბათუმში პოეზია ყელში მწვდა, მაგრად შემბოჭა თავის კეთილისმყოფელ ტყვეობაში. იმ დროიდან აღარ შემეძლო და აღარც მსურდა მისი ხელიდან დასხლტომა და თუნდაც წამით მისი ხმის დავიწყება.

ეს ხმა ყოველ წამსა და ყოველ წუთს მესმოდა, თანაც მკაფიოდ და ნათლად.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ატომის ყუმბარა და შავი სიკვდილი არ ემუქრებოდა დედამიწას. მიწა, წყალი და ჰაერი თავისუფალი იყო ადამიანის ძალმომრეობისაგან. შეგნებას არ ამძიმებდა ატომის შიში.

მე მგონია, იქ, ბათუმში, პირველად გავიგონე ხმა ნერეიდასი, ოდესღაც რომ ხომალდების ცხვირს ამკობდა, — ხმა „ალერსიანი და მომთენთავი“, ღამ-ღამობით პუშკინს რომ აშფოთებდა.

ზღვის ჩაქუფრულ წყვდიადში ჩემ წინ აღიმართებოდა ხოლმე ჯერ გემის მაღალი ცხვირი და ბუშპრიტი, დახლართული აღჭურვილობით, მერე ნაზი ქალწულის პროფილი, შემდეგ ასეთივე ნაზი ტანი ნერეიდასი, ხომალდის ძველებურ კიჩოზე გაკრული. იგი ნაპირისაკენ მიცურავდა და ოცნების უსასრულო სიმდიდრითა და სიყვარულის ძალით მოსავდა ყველას.

შორეული ქვეყნების ბუნდოვანი სუნთქვა მოჰყვებოდა კვალდაკვალ ნერეიდას. მეჩვენებოდა, რომ გული ვერ გაუძლებდა ამ დამათრობელ აზრებს და ჯერაც სრულიად გაუმხილელ ბედნიერებას, ამ თავისუფალი, ფრთოსანი, თითქმის არარეალური და ამასთან ქვაფენილის ყოველ ქვასავით რეალური განცდის არსებობას.

ერთხელ ზღვიდან „ბორდინჰაუზამდე“ გაისმა შორეული კანონადის ხმა.

ნირკი მაშინვე აივანზე გამოვარდა, ხელში თავისი ფოლადის პისტოლეტი და ჭოგრიტი ეჭირა.

პორტში ყველაფერი აირია. ყველა კოშკურიდან და კაპიტნის ხიდურიდან შესცქეროდნენ ადამიანები ზღვას, ანატოლიის მხარეს, არავის არაფერი გაეგებოდა და ყველა მხრებს იჩეჩავდა.

იქიდან მოდიოდა ქვემეხთა გუგუნი, რაც კვამლსა და ალის აფეთქების ნისლში ისმოდა.

ყველაფრით ჩანდა, რომ ზღვაზე ბრძოლა იყო გაჩაღებული. მაგრამ ვისი და ვისთან? ეს იყო სრულიად გაუგებარი, საიდუმლოებით მოცული, და მოგვაგონებდა საბავშვო ისტორიული რომანის დასაწყისს.

სანაპირო უკვე ალყაშემორტყმული იყო. არავის არ უშვებდნენ.

ნირკთან ერთად შევცქეროდი აივნიდან ამ საკვირველ ბატალიას. თუ თავს დაგვესხნენ, ამბობდა ნირკი, რატომ დუმს მაშინ ბათუმის ძველი სიმაგრე?

— ვინ უნდა დაგვესხას თავს? — ვკითხე ნირკს.

— ვინც მოისურვებს, — მიპასუხა სრულიად გულგრილად. — დიდი ბრიტანეთიდან დაწყებული ჰონდურასამდე. მაგრამ მგონი არავითარი თავდასხმა არ არის, რადგან არც ერთი ჭურვი არ გამსკდარა ჩვენს სანაპიროზე. ზღვაში უშენენ რაღაც ნაგებობას, მოტივტივე ცირკს რომ ჰგავს.

— უცნაურად ხუმრობთ, — შევნიშნე.

— თავად შეხედეთ, — და ნირკმა ჭოგრიტი გამომიწოდა.

ძლივს გავარჩიე შორს ზღვაში რაღაც დიდი კუს მსგავსი საგანი, მისგან მოშორებით — ორი ნაღმოსნის სილუეტი.

ნაღმოსნები, როგორც აშკარად ჩანდა, თავს ესხმოდნენ კუს, ის კიდევ სროლით იცავდა თავს და ზარმაცად აფრქვევდა თავისი შიგნეულიდან სქელსა და სამზერლადაც კი უსიამოვნო კვამლს. მაგრამ ნაღმოსნები წარბს არ იხრიდნენ და განაგრძობდნენ პირდაპირ კვამლში სროლას.

— ფორტები! — შესძახა ნირკმა. — ჩვენი სიმაგრე! ახლა ყველაფერი გასაგებია.

— რა არის გასაგები?

— გასაგებია, რომელიღაც უცხოური ხომალდები შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიულ წყლებში და სიმაგრე არ უშვებს.

შემდეგ საზღვაო ბრძოლას ასეთი სახე ჰქონდა: ნაღმოსნები გაბრუნდნენ და ზღვაში გავიდნენ, ხოლო კუმ ასწია თეთრი ალამი და კიდევ რაღაც გაურკვეველი დროშები, მშვიდად განაგრძობდა ცურვას ბათუმისაკენ და ღუზა ჩაუშვა მხოლოდ ბათუმის პორტში.

კუ აღმოჩნდა ძველებური თურქული მონიტორი (რუსული საზღვაო ტერმინოლოგიით — სანაპირო დაცვის ჯავშნოსანი). ეს იყო რაღაც ბრტყელი, წყლიდან ოდნავ ამოწეული, ჟანგმოკიდებული, ძველებური ქვემეხებითა და ნატყვიარი მილით დამშვენებული.

როცა მონიტორი ღუზაზე დადგა, მის აღჭურვილობაზე ყველა ალამი მაშინვე დაეშვა, თითქოს ჩაეძინათო. მილიდან შეწყდა „მსუქანი“ კვამლის დენა. მონიტორთან მაშინვე მიიჭრა ჩვენი კატარღა.

შემდეგ მონიტორთან მივიდა პორტის ბუქსირი, დაუდევრად შეათრია ნავსადგურში, მის უშორეს და უუდაბურეს კუთხეში, იქ კი მონიტორი მიება ძველ, მარილით დაჭმულ თუჯის სადგომებს.

ამის შემდეგ რაღაც ათ წუთში მონიტორზე ყველა თოკი თეთრეულით, მეტადრე პერანგებით დაიფარა. მძინარე გემი დაემსგავსა მცურავ სამრეცხაოს. აშკარა იყო, სამუდამოდ მორჩა ბრძოლას.

ნირკი წავიდა „საზღვაო ინსტანციებში“ და ერთი საათის შემდეგ მოგვიტანა ყველა ცნობა მონიტორზე.

საბერძნეთ-თურქეთის ომი დაწყებულიყო. რაღაცნაირად (არავის შეეძლო ამისი ახსნა) ომმა ბერძენთა ორ ნაღმოსანს თურმე შავ ზღვაში მოუსწრო. ამ მარდმა ნაღმოსნებმა მაშინვე გააჩაღეს საბრძოლო მოქმედება შავ ზღვაში მყოფი ერთადერთი თურქული მონიტორის წინააღმდეგ. მონიტორმა ვერ მოასწრო თავის შეფარება ბოსფორში, სადაც ძლიერი არტილერია დაიცავდა.

ნაღმოსნები მთელ შავ ზღვაზე დასდევდნენ მიხრწნილსა და სნეულ მონიტორს, სულის მოთქმას აღარ აცლიდნენ. ბოლოს და ბოლოს ზღვის კიდეში მიაგდეს, ბათუმთან, და აზარტში შესულნი სრული სიჩქარით შემოიჭრნენ ჩვენს წყლებში.

ბათუმის სიმაგრემ სროლით შეაჩერა ისინი და ნაპირიდან გარეკა, ხოლო მონიტორმა სიგნალი მოგვცა — თავშესაფარს ვეძებ, თანახმა ვარ განვიარაღდე და ინტერნირება მოვახდინოო.

ასეც მოხდა. ქვემეხები მოხსნეს. მონიტორის ეკიპაჟი, საერთაშორისო წესების მიხედვით, უნდა გადასულიყო ნაპირზე და დარჩენილიყო იქ ომის დამთავრებამდე, მაგრამ ეკიპაჟი არ ჩქარობდა, ეზაოებოდათ.

მართლაც, დურბინდში ჩანდა, როგორ შეექცეოდნენ თურქები გემბანზე ფლავს, სვამდნენ ყავას, თამაშობდნენ კამაოელს, აკერებდნენ თავიანთ გაცვეთილ სამოსელს, ერთიმეორეს თავებს უხილავდნენ ან უზრუნველად ეძინათ, ისე რომ წითელწინდებიანი ფეხები მაღლა ჰქონდათ აშვერილი, ლუკეების სახურავებზე ეწყოთ.

ზოგჯერ, ბოცმანის გაშმაგებული ყვირილის შემდეგ, წამო-

იწევდნენ ხოლმე და ბანს ხვეტავდნენ. ამ დროს დუნე ხანძარივით ავარდებოდა მონიტორზე მტვრის ბუღი.

ზოგჯერ ეკიპაჟი მღეროდა კიდეც, უფრო სწორად, დოლის ბრახუნზე გააბამდნენ რაღაც ყრუ და მრისხანე, ეტყობოდა, საბრძოლო სიმღერას. ეს სულაც არ შეჰფეროდა მეზღვაურთა დაღვრემილსა და უსაქმურ გარეგნობას.

ჩაჩიკოვი აღფრთოვანებული იყო ამ სიმღერით, საბრძოლო პოეზიის ნიმუშად მიაჩნდა, მერე რუსულადაც თარგმნა და გიტარის არეულ აკორდებზე დაამღერებდა ხოლმე:

მზე ამოდის მაღლა ცაზე,
ხეობებში ნამი დნება,
წინ მივდივართ და ჩვენს თავზე
ტყვიასავით ნისლი წვება.
ერთგულები ვართ აღთქმისა,
წინ მივდივართ გამუდმებით,
მძლე შვილები მაჰმადისა
უკან აღარ დავბრუნდებით.

მაგრამ მონიტორს ზედ არავინ გადაჰყოლია. მალე მიივიწყეს კიდეც, მერე ომიც დამთავრდა, და ისიც გაქრა, ალბათ ანატოლიის სანაპიროს ერთ-ერთ ჟანგმიწასავით ყვითელ ნავსადგურს შეაფარა თავი.

სამხედრო ტყვე ულიანსკი

გაზეთი „მაიაკი“ პატარა საბეჭდ მანქანაზე — „ბოსტონკაზე“ იბეჭდებოდა. „ბოსტონკას“ ფეხით ამოძრავებდნენ. პე-

დალს მაგრა უნდა დასწოლოდი, რომ მანქანას, რომელიც კბილის საექიმო სავარძელს ჰგავდა, ანაბეჭდი ამოეგდო. ანაბეჭდი საწერი ქაღალდის ზომას არ აღემატებოდა. ალბომის ზომისაა, ამბობდნენ. ქალებს რომ ლექსებს ჩასაწერად ალბომები აქვთ ხოლმე, აი სწორედ იმ ზომისა იყო.

ამ მოკლე ტექნიკური ახსნა-განმარტების შემდეგ ალბათ ადვილად მიხვდებით, თუ რა ძნელი იყო იმ პაწაწინა გაზეთში ჩაგვეტია რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებიც, ახალი საზღვაო ამბებიც, წერილებიც, ნარკვევებიც და ხშირად მოთხრობებიც. მიკროსკოპული „მაიაკი“ განსაკუთრებით ბევრს წერდა მცირე აზიის ხალხთა ერთიანობაზე. ბათუმი თითქოს ამ აზიას ეკუთვნოდა, ყოველ შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთს მაინც.

„მაიაკის“ თანამშრომლები დიდად მოხარულნი ვიყავით ამ ამბისა. აღმოსავლეთი ძველთაგან მიყვარდა და ჩემს სიყვარულს თითქოს ფრთები შეესხა. ყველაფერი, რაც წინათ შორეულად მეჩვენებოდა, თუნდაც ელ-ბაბის ნახევრადრელიგიური და ნახევრადპოლიტიკური მოძრაობა, ახლა ახლობელი და მეზობელი ხდებოდა. გუშინდელი თქმულებები საგაზეთო პოლემიკად იქცნენ.

მცირე ზომისა და სივიწროვის გამო „მაიაკში“ მოკლე, დეპეშური სტილი იყო გამეფებული.

ტყუილად როდი ამბობდა ჩვენი ერთადერთი ახალგაზრდა ასოთამწყობი და მბეჭდავი რიჩარდი (მელიტოპოლელი იყო, პაჭუა ცხვირი ჰქონდა):

— გაზეთი კი არა, სათამაშო ქაღალდია!

რიჩარდს ქამარზე ჩამოკანკურებული ჰქონდა ძველი „ნაგა-

ნის“ ცარიელი ბუდე, თუმცა რევოლვერი არცა ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ ცარიელი ბუდით იწონებდა თავს, მტერს თვალებს უბრმავებდა, უბრალო ვინმე არ გეგონოთო. მტერი იქით იყოს და მილიციაში კი ხშირად ამოუყვია თავი იმ ბუდიანად.

ერთ მშვენიერ დღეს რიჩარდს თავისი ხელით შეახსნევინეს ცარიელი ბუდე, ჩამოართვეს, და ხელად შეიცვალა ბიჭი. ჩაფერფლა, ძველებურად აღარ იჭიმებოდა, ფიქრიანობა დასჩემდა.

ცხოვრებაში პირველად შევხვდი ადამიანს, რომელსაც იარაღის გარდა არაფერი არ ახსოვდა ქვეყნად, მხოლოდ დამბაჩა ეხატა გულზე, დამბაჩას კი „ზარბაზანს“ ეძახდა. ხანდახან სამუშაოს თავს მიანებებდა, ამოვიდოდა რედაქციაში, ქუდს მაგიდაზე დაანარცხებდა და გიჟივით იტყოდა:

— წავალ მილიციაში, მამაჩემის სულსა ვფიცავ. თოფსაც მომცემენ და ხმალსაც ჩამომკიდებენ!

სწორედ ამნაირ ხალხზე ამბობენ ხოლმე, სული ყელში სჩრიათო. კიდევ კარგი, მალე ჩამოგვშორდა. იარაღი ბავშვობიდანვე თვალის დასანახავად მძულდა. მეჩვენებოდა, რომ ზედ ადამიანის სისხლი ჰქონდა შემხმარი. ვისაც იარაღი უყვარდა და თავი მოჰქონდა თოფიანი ვარ, უბრალო ვინმე არ გეგონოთო, ძალიან ხშირად ლაჩარი და ბრიყვი იყო. ალბათ, უფრო ამიტომაც ვერ ვიტანდი ასეთ ხალხს.

რიჩარდის შემდეგ გაზეთს ერთი ზანტი, ყრუ ჭაბუკი აწყობდა. ასოთამწყობებმა ჩეხოვისებურად უცნაური რამ სახელი შეარქვეს: „მეძინება“.

„მაიაკში“ მალე ერთი და ორი როდიღა ვმუშაობდით.

გულწრფელად ვაღიარებ, თითქმის ყოველი თანამშრომელი ცალკე მოთხრობის ღირსია.

რედაქციაში პირველად ერთი აყლაყუდა, ლატანივით ჩამომხმარი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ნაშიმშილარს ზაფრანის ფერი ედო. ადრე პეტერბურგში ვმუშაობდი, გაზეთ „რეჩის“ კორექტორადო, თქვა. ორი წელიწადი გერმანელთა ტყვეობაში გაეტარებინა. რუსეთისაკენ მიმავალი, თავისდაუნებურად ბათუმში აღმოჩნდა. გვარად ულიანსკი იყო. შემოგლეჯილი ჯუბის სახელოში, როგორც ყოველ სამხედრო ტყვეს, ყვითელი ზონარი ჰქონდა ჩაკერებული.

ძნელი მისახვედრი იყო, თუ როგორ მოხვდა ბათუმში, დედასთან რიაზანში მიმავალი კაცი.

— რა ვიცი, მოვხვდი, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ულიანსკიმ. რედაქციაში ერთი ძველი სამზარეულო მაგიდა გვედგა. მაგიდაზე ახალი დედას პურიდა ძეხვის პატარა ნაჭერი იდო, იქვე ძველთაძველი დაჭეჭყილი ქეთლი იდგა. აი, ამ მაგიდას უჯდა ახლა ულიანსკი. — რა ვიცი, მოვხვდი, — გაიმეორა მან. — ჩვენს რაზმს დიდი დავიდარაბა გადახდა. პირველად დღეში ათჯერ მაინც ჩამოგვყრიდნენ ხოლმე სამხედრო შატარებლიდან, გადაბირება უნდოდათ ჩვენი, ხანაც, გაგცვლითო, გვემუქრებოდნენ, მერმე კი სულაც გამოგვყარეს: „ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი. სადაც გინდათ, იქ წადით, ოღონდ ფეხებში ნუ გვებლანდებით. მადლობა გვითხარით, რომ ჩხუბში არ ჩაგაბითო“. „საჩხუბარი რა გაქვს?“ — ვეკითხებოდით. პასუხს ყოველთვის აბდაუბდად იძლეოდნენ: ხან იტყოდნენ გრიგორიეველებს უნდა მოვუღოთ ბოლოო, ხანაც მახნოს ასახელებდნენ, არც გალიციელები ავიწყდებოდათ. საჩხუბარი და

საბრძოლველი, იცოცხლე, ბევრია, სანამ პერეპლუი-კაშუბა და ზინზიპერი არიანო. მაშინ კი მივხვდით, რა უბედურ დღეშიც ვიყავით და რასაც წარმოადგენდა ძველი რუსეთი. რომელიღაც ტყვემ ლოზუნგი ისროლა: „ვისთანაც გინდა მიდი, ოღონდაც ლუკმა-პური გამოგვიშვიროს!“ ხალხის ერთი ნაწილი მართლაც გადაიბირეს. მთელი ეშელონიდან სამნიღა დავრჩით, აზრი რომ ვერ შეგვაცვლევინეს, გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შინ დავბრუნებულიყავით. აცაბაცა მივდიოდით, სახიფათო ადგილებს ვერიდებოდით.

ჯერ ჩრდილოეთის გზას დავადექით, მერე ისე მოხდა, რომ უკან წამოვედით, სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ მოულოდნელად დონისკენ გადაგვისროლა არეულმა ცხოვრებამ და სტანიცა ტიხორეცკაიაში აღმოვჩნდით. იქიდან ტუაფსეში გვიკრეს თავი, სამუშაოზე დაგვაყენეს. ტუაფსედან, მე შენ გეტყვი, დიდი მანძილია ბათუმამდე. აქ მარტო ჩამოვედი: ამხანაგები გზაში ჩამომრჩნენ.

მართალი გითხრა, ვერ გამიგია სადა ვარ. ძველ რუსეთში ვარ თუ საბჭოთაში? არც ის ვიცი, ვინა ვარ. მაქვს თუ არა სიცოცხლის უფლება? ან იქნებ მკვდარი ვარ უკვე და სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ამ ქვეყანაში? ამას იმიტომ გეუბნებით, რომ აუცილებლად უნდა გავიგო, რა ხდება ჩემს თავს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მხოლოდ სამიზნე ვიყავი, მიზანში ამოღებული დავდიოდი, ახლა კი მეც მინდა კაცად ვიგრძნო თავი. სამუშაო თუ არ ვიშოვნე, არ ივარგებს. ამიტომ მოვედი. „ბორდინჰაუზის“ კარზე წარწერა წავიკითხე და წამოვედი.

დინჯად, გულიანად ლაპარაკობდა, მაგრამ თვალები ერთ-

ხელაც არ აუწევია. თავის ადამისეამინდელ ფეხსაცმელებს დასცქეროდა. გამურულსა ჰგავდა. ჭუჭყი კანში ჰქონდა ჩამჯდარი.

— ღამეს სად ათევთ?

— სატვირთო სადგურში. ცარიელ სატვირთო ვაგონებში.

— აბა ერთი წუთი მომითმინე.

ნირკთან გავიქეცი. ღამე „ბორდინჰაუზში“ გავათევინოთ-მეთქი, უნდა მოვლაპარაკებოდი.

ნირკი იმწუთასვე დამეთანხმა. ხათრიანი, კეთილი ყმაწვილი კაცი იყო. ერთადერთი ნაკლი ისა ჰქონდა, რომ კალორიებზე გრძლად ლაპარაკი უყვარდა. ნირკი ყველაფერს კალორიის თვალით უცქეროდა, ყოველ ჭიქა ჩაის. ერთი სიტყვით, კალორიის ავადმყოფობა სჭირდა. სულ იმას გაიძახოდა, აი ნახავთ, ჩემს ორგანიზმს ისე მივაჩვევ, რომ ყოველდღე კალორიის ერთიდაიგივე რაოდენობას გამოიმუშავებს, აღარც მაღლა აიწევს, აღარც დაიწევს და ას წელიწადს ნაღდად ვიცოცხლებო.

რედაქციაში რომ დავბრუნდი, ულიანსკი გახვითქული დამხვდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა გაუპარსავ სახეზე. მაგიდა ცარიელი იყო. აღარც პურის ნატამალი ჩანდა სადმე და აღარც ძეხვისა. ვითომც არაფერი არ მომხდარა-მეთქი, ისეთი სახე მივიღე. მაგრამ ულიანსკი, ცხადია, გრძნობდა, რომ ჩემი საცოდავი დღიური ულუფის მოულოდნელი აღგვა „პირისაგან მიწისა“ შეუმჩნეველი არ დამრჩებოდა. თავიც უკანკალებდა და ხელებიც.

ყველაზე მეტად ის მაფიქრებდა, მძიმე სიტყვა არ წამომცდეს და არ ვაწყენინო, გული არ მოვუკლა-მეთქი.

ვაჩვენე, რომელ საკუჭნაოშიც უნდა დაეძინა, მაგრამ ული-

ინსკი უარზე დადგა, სუფთა ჰაერზე წოლას მიჩვეული ვარ და სატვირთო ვაგონში მირჩევნია. ბათუმში ძალზე თბილი შემოდგომა სცოდნიაო. მერე „მაიაკისთვის“ ნარკვევის დაწერა შემომთავაზა. ბათუმის ნავსადგურზე დავწერო. უარი არ მითქვამს, დავეთანხმე.

ულიანსკიმ ორ დღეში მომიტანა ნარკვევი. ლუ'ჯი ფანქრით დაეწერა რკინიგზის ზედნადების უკანა გვერდზე. ზედნადების გრაფებში არეული ტექსტი ძნელი გასარჩევი იყო. ქაღალდი მივეცი და, სუფთად გადაწერე-მეთქი, ვუთხარი.

მერე, ნარკვევის კითხვა რომ დავიწყე, ულიანსკიმ ჩაი დაისხა, ფაშარ პურსა და სახარინს ატანდა ჩაის, ხანაც ჩუმ-ჩუმად გადმომხედავდა ხოლმე.

ნარკვევმა კუპრინის საუკეთესო პროზა მომაგონა, ისე ცოცხლად, მადლიანად იყო დაწერილი. ულიანსკი მეფიცებოდა, პირველია, ამ ნარკვევის გარდა არასოდეს არაფერი არ დამიწერიაო, მაგრამ მაინც არა მჯეროდა.

რაღა დიდხანს გავაგრძელო, ნარკვევი დავბეჭდე, ულიანსკის ჰონორარიც მივეცი და იმ დღიან თითქმის ყოველდღე რედაქციაში იჯდა, გვერდიდან აღარ მშორდებოდა, მშველოდა, მეხმარებოდა. ასოთამწყობობაკ კი ისწავლა. როცა დაღლილი „მეძინება“ ფეხზე ვეღარ იდგა, რაც ძალიან ხშირად ემართებოდა, იმ ჩვენს „ბოსტონკას“ ულიანსკი ატრიალებდა ხოლმე.

ულიანსკი ადვილად წერდა, ეაგრამ კარგად. მეც, ბაბელსაც და ფრაერმანსაც ძალიან მოგვწონდა ულიანსკის წერის მანერა. რამდენიმე გარეგნული ნიშნით, ოდნავ შესამჩნევი რამდენიმე ნაკვთით ქმნიდა ადამიანის ნაღდ ხასიათს.

მაგალითისათვის შორს არ წავალ. ერთ-ერთ თავის ნარკვევში ულიანსკიმ ინგლისური ბორბლიანი ხომალდის „კარგოს“ კაპიტანი აღწერა. ნარკვევს „მაკინტოში“ დაარქვა. კაცმა რომ თქვას, სწორედ კაპიტნის ამ მაკინტოშზე წერდა. მაგრამ მაკინტოშის ყველა ჩიშან-თვისება თითქოს თვითონ პატრონს— „კარგოს“ კაპიტანს ეკუთვნოდა. მაკინტოში ცივი იყო და ხელს წებოსავით იკრავდაო, წერდა ულიანსკი, დეზინფექციის სუნად ყარდა, ფხაწა-ფხუწი გაჰქონდა, წვიმიან ცასავით ნაცრისფერი დაჰკრავდაო.

ნარკვევში ეწერა, კაპიტანს სახეც თითქოს იმ მაკინტოშის ნაჭრისა ჰქონდაო. გინდოდა თუ არა, ძალაუნებურად უნდა წარმოგედგინა თხელი, ცივი და ბაყაყივით ლიპი კანი. კაპიტნის თვალების ფერს მაკინტოშის ფერისაგან ვერ გაარჩეკ-დიო, — მთელი ბრიტანული სევდა, ცივი გული და ჯიუტი აზრი ამ ცარიელ და მოწყენილ თვალებში იყრიდნენ თავს. ამ თვალებს არაფერი არ უკვირდათ და არც არასოდეს აღტაცებული არავის უნახავს.

სევდა არასოდეს არ სტოვებდა არც კაპიტანსა და არც მაკინტოშს, ზუსტი საკონტროლო საათივით ითვლიდა დღეებს, თვეებსა და წლებს. ეს სევდა კაპიტნის პირით მთელი საზღვაო დღის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ინგლისურ სიტყვად თუ გადმოიღვრებოდა. კაპიტანი ისე გაატკაცუნებდა ხოლმე ენას, გეგონება არითმომეტრს ატრიალებენო.

ვერ ვიტყვი, რომ ზუსტად დავახასიათე ულიანსკის წერის მანერა, მაგრამ ზოგადად მაინც მართალი ვარ.

ულიანსკი ძალაუნებურად პატივისცემას იწვევდა. უბრა-

ლოდ სიტყვას არ იტყოდა. მთელი ტყვეობა ალბათ დუმილში გაატარა, დაკვირვებანიც დააგროვა და ბოლმაც.

უკვე მეორე თვე იყო, რაც „მაიაკში" მუშაობდა. სწორედ იმხანად ერთხელ დილით ადრე მოვიდა რედაქციაში, თვალებს აცეცებდა. თქვა, ერთ საათში ბაქოს გზას უნდა დავადგე, იქ დეიდაჩემი ცხოვრობსო.

— არ შემიძლია ერთ ადგილას ჯდომა, — ნაღვლიანად გაამხილა თავისი თავი. — არ შემიძლია და რა ვქნა.

— თქვენ რა, ფეხით ხომ არ აპირებთ ბაქოში წასვლას? — ვკითხე.

— მაშ როგორ! მარიუპოლიდან ბათუმშიც ფეხით ჩამოვედი. არა უშავს რა, ბაქოშიც ჩავალ!

და გაქრა, წავიდა, რომ ორი წლის შემდეგ მოსკოვში ამოეყო თავი, მურომიდან ლენინგრადში გზად მიმავალს, — დეიდები, იცოცხლე, ბევრი ჰყავდა, მეტადრე ლენინგრადში. მთელი გზა კვლავ ფეხით გამოევლო.

ბევრი, ძალიან ბევრი დეიდა გყოლია-მეთქი, გავეხუმრე. ულიანსკიმ ქვეშ-ქვეშ ჩაიცინა.

— მყავს და რა ვუყო. მთლად გადაირევიან ჩემი ლენინგრადელი ბებერი დეიდები — გლაფირა და პოლია — ამდენი ხნის დაკარგულს რომ დამინახავენ. ხელად კოხტა ვახშამს გააწყობენ, ფანჯრებს სამოვარი დაორთქლავს. ეჰ, რა გემრიელად წამოვგორდები ძველ, დაბეხრეკებულ დივანზე, მერე რა ტკბილად ჩამეძინება დაღლილ-დაქანცულს. მაგრამ ვიცი, რომ ძილშიც გავიგონებ, როგორ აკივლდებიან ნევაში ხომალდები და დაველოდები ცინცხალ დილას, როცა თვალწინ კვლავ

გადამეშლება ამქვეყნად ყველაზე ლამაზი პანორამა ნევის ნაპირებისა.

— ეგრეა, ეგრე, — ულიანსკის მღელვარება მეც გადმომედო. — მართალი ხარ... „ნევის პირას კი — საელჩოები, საამირბარო, მზე, სიმშვიდეა...“

— მახსოვს, ბათუმში, „ბორდინჰაუზში“ რომ მიკითხავდი მაგ ლექსს, — გაიღიმა ულიანსკიმ. — აბა, კარგად იყავი. კიდევ შევხვდებით.

მაგრამ შეხვედრით, აღარ შევხვედრივარ. ერთი წლის შემდეგ, უკრაინაში რომ ქალაქი ჩიგირინია, იქიდან საფოსტო ბანდეროლი მივიღე. ბანდეროლში ულიანსკის წიგნი იდო. იმ წიგნს, მგონი, „ტყვე კაცის ჩანაწერები“ ერქვა და ლენინგრადში იყო გამოცემული.

წიგნს ყდაზე წარწერა ჰქონდა და იმ წარწერით მივხვდი, რომ ულიანსკის კვლავ აეკრიფა გუდა-ნაბადი და ახლა უკრაინაში დახეტიალობდა ახალი დეიდისა თუ მამიდის საძებნელად.

„ტყვე კაცის ჩანაწერები“ ცოცხლად, ყუათიანი ენით და, თუ შეიძლება ითქვას, შეუბრალებლად იყო დაწერილი.

მალე მოსკოვში ულიანსკის კიდევ ერთი წიგნი ვიყიდე. წიგნს „ბუსუსიანი პიჯაკი“ ერქვა და ფედინის წინასიტყვაობა ჰქონდა დართული. იმ წინასიტყვაობიდან შევიტყე, რომ ულიანსკის სულ ცოტა ხნის წინათ სახადი შეჰყროდა ლენინგრადში და იქვე გარდაცვლილიყო.

ულიანსკიმ დიდი მწერალივით დაიწყო ცხოვრებაცა და წერაც. რა გულსატკენია, რომ ასე ნაადრევად დაიღუპა, ტყვედყოფილმა დასვენებაც კი ვერ მოასწრო, სრულ სიმარტოვეში

ქმნიდა თავის შესანიშნავ წიგნებს. ძალიან უყვარდა, როცა შავი ზღვის პირას ნიავი სახეში სცემდა. ზეფიროსი ამოქროლდაო, იტყოდა ხოლმე. გული მტკიოდა, რომ ულიანსკისათვის აღარასოდეს ამოქროლდებოდა ზეფიროსი.

შუქურის ზედამხედველი

შუქურა უბედურებისაგან როცა გვიცავს, ძალიან გვიყვარს, მაგრამ შუქურას გულში იშვიათად თუ ჩავიხედავთ ხოლმე.

შუქურას მარტო მორიგე გუშაგი არ აშორებს თვალს, ციმციმს ამოკითხვა და გაგება უნდა. ზღვა ერთია, შუქურა მრავალი და ყველანი სხვადასხვანაირად ციმციმებენ, რომ ერთიმეორისაგან გაარჩიოს კაცმა და თანაც ხომალდის ადგილსამყოფელიც გაიგოს.

არა ერთი და ორი წელი ენთო ბათუმის შუქურაც, მაგრამ ბევრმა როდი იცოდა, ვინ იყო ამ შუქურის ზედამხედველი სტავრაკი. შუქურა ქალაქიდან ძალიან ცუდად ჩანდა. მთელ შუქს ზღვასა ჰფენდა.

სტავრაკი თავისი საქმის მცოდნე კაცი იყო. მან პირველმა მოიტანა „მაიაკის“ რედაქციაში წერილი (ახალ საშუქურე ნათურებზე წერდა).

რედაქციაში ცოტახანს შეყოვნდა, ბაბელზეც, ულიანსკიზეც და ჩემზეც არასასიამოვნო, მქირდავი კაცის შთაბეჭდილება მოახდინა.

დამჭკნარი, ყვითელი სახე ჯაგარითა ჰქონდა დაფარული,

შეშუპებულ თვალებზე კი ეტყობოდა, რომ ბოლო ხანს ბლომად დაელია „რუხაძის არაყი“.

აბრანძული იყო. ახველებდა, ცრემლი სდიოდა.

ბაბელი არ მოსწონდა, ცერად მიყურებსო. ერთბელ გესლიანად მითხრა:

— რა უნდა მაგ სათვალიანს, ეგრე რად მიცქერის! არ მიყვარს, როცა თვალებში ჩამაცქერდებიან ხოლმე. ჩემს ამბავს ეგრე ადვილად ვერავინ გაიგებს, თუ გინდა სანაძლეო დავდოთ! რა იცი, იქნება ძველი ქურდი ვარ ან მკვლელი? ხომ შეიძლება სულაც უწყინარი პაპა ვიყო? ვაითუ პატარა გოგოებსა ვყიდი და ვყიდულობ? რამდენიც უნდა, იმტვრიოს თავი.

მეორედ კი ასეთი რამ მითხრა:

— ვისაც შუქურის ზედამხედველობა უნდა, თავისი წარსული უნდა დაივიწყოს. არადა, ფარნის ანთება დაავიწყდება.

როდისმე ყოფილა შემთხვევა, როცა შუქურა არ აუნთიათ-მეთქი, ვკითხე.

— როცა ზედამხედველი მომკვდარა, მხოლოდ მაშინ, — მიპასუხა სტავრაკიმ და გაილიმა. — ან როცა უცაბედად გაგიჟებულა. თანაც თუ მარტოდმარტო იყო ჩემსავით და შემცვლელი აღარავინ ჰყავდა, აღარც ცოლი და აღარც ქალიშვილი.

— თქვენ რა, ოჯახი არა გყავთ? — ვკითხე და იმწუთას მივხვდი, რომ ცოტა უხერხულად გამომივიდა.

უხეშად, ბრაზიანად მიპასუხა:

— მართალია, — ახალგაზრდა კაცი ხარ, მაგრამ ის კი უნდა იცოდე, რომ სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო. აიღე

ახლა სუფთა ქაღალდი და ჩაიწერე, რა არ უნდა იკითხო ლაპარაკში, რაც უნდა ცნობისმოყვარეობამ შეგიპყროს.

უხეშობა რა საკადრისია, პატიოსანმა კაცმა უხეში სიტყვა არც უნდა იკადროს-მეთქი, ვუთხარი.

სტავრაკიმ ბუშლატის ჯიბიდან ოდეკალონის ბოთლი ამოიღო, რამდენჯერმე მოსვა, მერე თვალები მოწკურა და დამრიგებლური კილოთი მითხრა:

— მაღალფარდოვნად ლაპარაკობთ. ცოტა არ იყოს, უფროსი კაცი ვარ და პატივისცემაც მეტი მეკუთვნის. პატიოსანმა კაცმა უხეში სიტყვა არც უნდა იკადროსო, რომ ამბობთ, რა იცით, იქნება არცა ვარ პატიოსანი. თქვენი თავი რა, პატიოსანი გგონიათ? საერთოდ, რა არის პატიოსნება? გაგვაბედნიერეთ, დაწერეთ სტატია პატიოსნებაზე გაგრა-ბათუმის სანატორიუმის მეზღვაურებისათვის. იქნება მაშინ მაინც გავიგოთ.

ამ დროს შემოვიდა სწორედ ულიანსკიც.

— მოგესალმებით, რაინდო! — მიახალა სტავრაკიმ. — იცით, რა უნდა გითხრათ, — ახლა მე მომიბრუნდა, — ეს ჭაბუკიც პატიოსნად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ წესიერად არც ვიცნობთ. პატიოსნება იგივე უცოდინარობაა.

— არ ახალია, ძველია, — მშვიდად თქვა ულიანსკიმ, მაგრამ შევამჩნიე, რომ ქვედა ტუჩი შეუთამაშდა. — ლოთი ხალხის ფილოსოფიაა.

სტავრაკიმ მაგიდიდან ცარიელი არყის ბოთლი აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, ბოთლს ზედ წარწერა რომ ჰქონდა, ცოტა ხანს ის ათვალიერა, და უცებ ულიანსკის მოუღერა ჩასარტყმელად. კიტელის საყელოში ვწვდი, მაგრამ გამისხლტა, ღია ფანჯარას მივარდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონ-

და, ქუჩაში ისროლა ბოთლი. შორიახლო რომ სახლი იდგა, ბოთლი იმ სახლის სახურავს დაეცა და დაქუცმაცდა.

— მიზანი, იცოცხლე, ვიცი, — თქვა სტავრაკიმ. — ზუსტად ვურტყამ.

მერე სწრაფად შემოტრიალდა და გავიდა.

გიჟი ყოფილა-მეთქი, ჩავილაპარაკე.

— არა, გიჟი კი არა, დიდი ოხერი ჩანს, — მიპასუხა ულიანსკიმ. — თუ გინდა, სანაძლეოს დავდებ!

არც ეგრეა საქმე-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ულიანსკის აღარაფერი უპასუხნია.

წელან ბერიკაცს კიტელის სახელოში რომ ვწვდი, ფხრაწანი მომესმა, — ალბათ ბღლარძუნს ვეღარ გაუძლო ძველმა კიტელმა. სირცხვილის გრძნობამ შემიპყრო. — ვინ იცის, ის ერთი ძველი კიტელი ჰქონდა იმ უბედურს და ისიც შემოვახიე-მეთქი. მზად ვიყავი გამოვკიდებოდი, დავწეოდი და ბოდიში მომეხადა.

ორიოდე დღის შემდეგ ჩაქვიდან კატარღით მოვდიოდი ბათუმში. საღამოხანი იყო. მწუხრში ჩაძირული ზღვა, როგორც ყოველთვის, ახლაც ზღვარდაუდებელ სიბნელეში იკარგებოდა, და ხან მომეჩვენებოდა ხოლმე, რომ კატარღა უფსკრულის პირას შეშინებულივით ფართხალებდა. შუქურა წყლის უდაბნოში ადამიანის უკანასკნელი თავშესაფარივით ენთო.

შუქურის ერთ-ერთ სარკმელში სუსტი შუქი ჩანდა. იმ სარკმლის თავზე კი, თითქოს ღამის სტიქიონს შესჭიდებიაო, თვითონ შუქურა ბდღვრიალებდა.

სტავრაკი მომაგონდა, ნეტავი რაზე ფიქრობს-მეთქი ახლა ის საცოდავი. ვინ იცის, იქნებ თავის სიჭაბუკე გაიხსენა? ან

მოწყვეტილი ყვავილივით დამჭკნარ თავის წარსულს იგონებს? იქნება სულაც მეასედ კითხულობს რომელიმე წიგნს და იმ წიგნში ამაოდ ეძებს თავისი უიღბლო ცხოვრების წამალს?

გული მომიკლა ბერიკაცზე ფიქრმა, ძალზე შემეცოდა, მაგრამ მეორე დილით სიბრალულის ნატამალი აღარ დამრჩა ვულში — საზარელი რამ ამბავი გავიგე.

ბათუმის შუქურის ზედამხედველი სტავრაკი თურმე შავი ზღვის ფლოტის ის ლეიტენანტი სტავრაკი იყო, რომელმაც 1906 წლის მარტში კუნძულ ბერეზანზე ლეიტენანტი შმიდტი დახვრიტა.

იმ ღამით, შუქურის შორიახლო კატარღით რომ მივდიოდი, სტავრაკი დაეჭირათ და პასუხისგებაში მიეცათ.

ზიზღმა და შინაგანმა სიძულვილმა შემიპყრო, რედაქციაში რაც კი რამ ხელნაწერი გვქონდა სტავრაკისა, ყველაფერი დავწვი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იმ ჩემს ხელსაც დავწვავდი, რომელიც სტავრაკის ჩამოვართვი. ის კი არა, რედაქციაში რკინისფეხიანი სკამიც აღარ დავტოვე, გარეთ, კორიდორში, გავიტანე. ან როგორღა გავაჩერებდი, როცა ერთხელ ზედ სტავრაკი იჯდა.

არ ვიცი, რომელი მწერალი, რომელი გულთამხილავი და ბრძენი დაწერდა სტავრაკის შავი სულის ამბავს. ამ არაკაცის ბნელ გულსა და გონებას ალბათ მარტო ბალზაკი ან დოსტოევსკი თუ ამოაპირქვავებდა.

„არა, არა, — ხშირად მიფიქრია ძილგამფრთხალს, როცა ბრაზი მომწოლია ყელში, — როგორ ვერ მივუხვდი რაც იყო, რედაქციაში რამ შემომაშვებინა-მეთქი. მეჩვენებოდა, რომ ოთახში ჯერ კიდევ იდგა ლოთი სტავრაკის მყრალი სუნი. —

არა, დოსტოევსკი არა. დაწერით, ცხადია, დაწერდა, მაგრამ ამ არაკაცზე" დასაწერად კალამს ხელში არასოდეს არ აიღებდა. არასოდეს. იმიტომ, რომ ადამიანური სიკეთის ოდნავ მოციმციმე შუქი შეიძლება სამუდამოდაც ჩამქრალიყო დატანჯულ გულში თუ სტავრაკის ცხოვრებას ჩახედავდა".

სტავრაკის ცხოვრება კი, კაცმა რომ თქვას, მთლიანად ღალატი იყო. ეს ღალატი რამდენიმე ძალიან უბრალო ამბავმა წარმოშვა: სურვილმა — კიდევ ერთი ზედმეტი ვარსკვლავი ჩამოვიკიდოო, წადილმა—ქალებს თვალში რომ ჩავუვარდე, ხელი არ ამოისვანო, მონურმა შიშმა — უფროსებს სიტყვის შებრუნება არ უყვართო. მიზანიც მხოლოდ ერთი ჰქონდა: რა სჯობს მდიდარ და უზრუნველ ცხოვრებას, როცა მარტო სიამოვნებაზე ფიქრობ და ყველაფერი თავისით მოდისო.

სტავრაკიმ შმიდტთან ერთად დაამთავრა კადეტთა საზღვაო კორპუსი. ისინი ყოველთვის ერთ მერხზე ისხდნენ და სტავრაკის შური ჰკლავდა.

შმიდტის კეთილშობილება, სიმამაცე და ვაჟკაცობა შურდა. იცოდა, რომ თუ ცხოვრება გაუმართლებდა, შმიდტი უეჭველად მსოფლიო სახელს მოიხვეჭდა. ღვარძლი ახრჩობდა, როგორ, ეგ გმირი, ტრიბუნი ან ბელადი უნდა გახდესო?

მაქსიმ გორკიმ სწორედ იმხანად შეადარა ზოგიერთნი ბრმა ჭიაყელებს, და სტავრაკის, ამ „ვოლგელი ლოთის" სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა, მაგას ვინ მისცა ნება სხვათა სულში აფათურის ხელი, ჩემს სინიდის-ნამუსთან რა ესაქმებაო. თავი ბრწყინვალე გარდემარინად მოჰქონდა.

კორპუსი რომ დაამთავრეს, გამომშვიდობებისას შმიდტმა მეგობრულად უთხრა სტავრაკის:

— სულის ღერძი არ გივარგა, მიშა. რა ვიცი, იქნებ სულაც არა გაქვს ეგ ღერძი.

— ღერძიცა მაქვს და მეტიც! — ბრაზიანად უპასუხა სტავრაკიმ. — სხვის სულში ფათური ნუ იცი!

— თუკი მართლა გაქვს, — დასძინა შმიდტმა და თავით ფეხამდე შეათვალიერა სტავრაკი. — რკინისა არ უნდა იყოს, ალბათ რეზინისაა. ნახე, რაიმე ავ საქმეს არ გადააწყდე. ჯერ გვიან არ არის.

— ჩემი საქმისა მე ვიცი! — ღრძოდ, გამომწვევად უპასუხა სტავრაკიმ. — შმიდტი კი არა ვარ, ქუჩის ქალი შევირთო ცოლად და მერე ქვეყანას შევფიცო, შემეცოდა და იმიტომ შევირთე-მეთქი. შენ თვითონ არა თქვი, რომ რამე იყოს, ბოზსაც შევირთავდიო!..

— კარგი, გეყოფა! — გაბრაზდა შმიდტი. — ყველას თავისი გზა აქვს. იცი რა, მარტო ერთი რამ მინდა ვთხოვო ღმერთს — ჩვენი გზები აღარასოდეს შეჰყაროს.

ასე წავიდ-წამოვიდნენ, რათა მერე კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს კუნძულ ბერეზანზე დახვრეტის დღეს.

ცივი, პირქუში დილა თენდებოდა. შმიდტი და მატროსები კატარღიდან გადმოსვეს და მიწაში რომ მარგილები იყო ჩასმული, იქითკენ წაიყვანეს.

დახვრეტას ლეიტენანტი სტავრაკი მეთაურობდა.

შმიდტმა გვერდით რომ ჩაუარა, სტავრაკი მუხლებზე დაეცა და უთხრა:

— მაპატიე, პეტია, მაპატიე!..

— წამოდექი, მიშა! — არც შეჩერებულა, ისე უპასუხა

შმიდტმა. — ნუ ჯამბაზობ. მაგას ისა სჯობს, შენს ხალხს უთხრა, მიზანში ზუსტად ამოგვიღონ.

რა ედო სტავრაკის გულში? ალბათ არაფერი. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე აეგო ანდერძი შმიდტისათვის, ამ ცოცხალი საყვედურისათვის. მაგრამ იმ წუთიდან სტავრაკის უკვე აღარ შეეძლო, თავი არხეინად ეგრძნო.

სტავრაკი წამოდგა, შარვალი ჩამოიბერტყა და, ესროლეთო, იყვირა. შმიდტს არც უცქეროდა, არ უნდოდა, რომ შეეხედა, კაზაკების ზურგსუკან იდგა, თითქოს იმალებოდა.

ვიდრე შმიდტი პირქვე არ დაეცა, სტავრაკის ერთი სულელური აზრი უღრღნიდა გულს: ნეტავი იცის თუ არა, რომ შავი ზღვის ფლოტის ოფიცერთაგან მარტო მე ერთმა ვიკისრე მაგისი დახვრეტაო. ვერც ერთ ოფიცერს, ყველაზე პირწავარდნილ მონარქისტსაც კი, ვერ ააღებინეს თოფი შმიდტის დასახვრეტად.

მალე სტავრაკიმ შეამჩნია, რომ დიდად არავის ეხატა გულზე და ხელის ჩამორთმევაც არ უნდოდათ. ყველამ თითქოს ზურგი შეაქცია.

სტავრაკი თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, ხალხს სათოფეზე გაურბოდა. რევოლუცია რომ მოხდა, სევასტოპოლიდან გაიქცა, ბათუმში მენშევიკები ისხდნენ, იქ შუქურის ზედამხედველად მოეწყო და ზედამხედველადვე დარჩა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

როგორც ვატყობ, კვლავ მომიწევს შმიდტის ნაღვლიანი ისტორიის რამდენადმე განმეორება. შმიდტზე ერთხელ უკვე დავწერე და მკითხველს პატიებას ვთხოვ, ზოგიერთი რამ თუ

ემცნაურა. როგორც თვით ცხოვრება, პროზაც უზარმაზარი და მრავალფეროვანია. ხანდახან თითქოს საჭიროც კია, რომ ძველი პროზიდან კარგა მოზრდილი ნაწილი ამოვგლიჯოთ ხოლმე და ახალ პროზაში ჩავრთოთ, რათა მეტი სიცოცხლე და ძალა მივანიჭოთ.

ვინც კი სტავრაკის საქმეს გაეცნო, ყველანი ერთმა უცნაურმა ამბავმა დააფიქრა—ვერავის ვერ გაეგო მიზეზი, თუ რატომ ცხოვრობდა სტავრაკი რევოლუციის შემდეგ თავისი ნამდვილი გვარით. როცა გამომძიებელმა მიზეზი ჰკითხა, სტავრაკიმ ცივად უპასუხა:

— სულერთია, რა გვარიც უნდა მქონოდა, მაინც დამიჭერდით. რაც უფრო ადრე მიპოვნიდით, მე ის მინდოდა!

ამ პასუხმა გამომძიებელიც კი გააოგნა.

— ალბათ ინანიებ წარსულს, არა? — ჰკითხა გამომძიებელმა...

— ვინანიებ თუ არა, ეგ თქვენი საქმე არ არის! — ჩაილაპარაკა სტავრაკიმ.

ყოველ კითხვას ძუნწად, მაგრამ ზუსტად უპასუხებდა. ნათესავები მყავსო, თქვა, უარზე არ დამდგარა, თავისი ქალიშვილიც ახსენა, მაგრამ სასამართლოს მისამართი არ უთხრა.

ბოლოს ორიოდე სიტყვაღა თქვა, მაგრამ, ვინც სასამართლოს ესწრებოდა, ყველას თითქოს თავზარი დასცა.

— ერთი სიტყვით, — ყრუდ ჩაილაპარაკა სტავრაკიმ და შვებით ამოისუნთქა, — მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი დასრულდა. ძაღლი ძაღლურად უნდა მოკვდეს!

შემცბარი მოსამართლე ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა, გეგონება ცივი წყალი გადაასხესო. სტავრაკი თავჩაღუნული

იდგა და თავისი ბუშლატის დახეულ სახელოს ძაფს აცლიდა. კრინტი აღარ დაუძრავს.

ამ ამბავმა ყველანი აგვაღელვა. ვიცოდით, რომ სტავრაკიმ ურთულესი ფსიქოლოგიური გამოცანა შეთხზა, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი იმ გამოცანის გამომცნობი არ იყო. შეიძლება კაცს ეფიქრა — „მოინანიაო", როგორც სინიავსკიმ თქვა, ან „უცნაური რამ მსახიობობა" დაგერქმიათ ამ ამბისათვის, ულიანსკიმ რომ უწოდა, ანდა „სრული და ძველთაძველი სულიერი გაპარტახება", — როგორც მე ვფიქრობდი. — სტავრაკი ალბათ თანდათან, ყოველ დღე, ყოველ წუთსა და საათს პარტახდებოდა სულიერად და ბოლოს კატორღად ექცა ცხოვრება.

ვერ შევთანხმდით, ყველანი ჩვენ-ჩვენს აზრს ვიცავდით. ბაბელი თავის ოჯახიანად თბილისში წავიდა. შუქურა არ ჩამქრალა, კვლავ ენთო.

ერთხელ ნირკს ვკითხე, ნუთუ არ ყოფილა ისეთი დღე, როცა შუქურა თავის დროზე არ აუნთიათ-მეთქი.

როგორ არა, ეგეთი შემთხვევა ამასწინათ ნამდვილად მოხდაო, მიპასუხა ნირკმა. ჯერ ტელეფონით ერეკათ, მაგრამ შუქურას ხმა არ ამოეღო, ხოლო ნავსადგურიდან კატარღა დაძრულა თუ არა, შუქურა კვლავ ანთებულა და მიზეზის გასაგებად წასული კატარღა უკან მობრუნებულა. ზედამხედველი ალბათ მთვრალი იყო, ლოთობის გამო კარგა ხანია მოხსნას უპირებდნენ, მაგრამ ამ საქმის მცოდნე კაცი არავინ ჩანდაო.

ყოველთვის მიკვირდა და ახლაც მიკვირს ერთი რამ: ვართ, დავდივართ ამ ქვეყნად და ხშირად წარმოდგენაც არა გვაქვს, რამდენი ტრაგედია, რამდენი დარდი და ნაღველი, რა სულგრძელობა, რა ვერაგობა და სასოწარკვეთა ტრიალებს ყოველ იმ

ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე, სადაც ვცხოვრობთ. კაცმა რომ თქვას, არც ვუფიქრდებით ხოლმე ამ ამბავს.

იმ ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე კი შეიძლება ისეთ ადამიანებს შეხვდე, კაცობრიობის ისტორიას ან ლიტერატურის ანალებს რომ უნდა ამშვენებდნენ.

რაღა შორს მივდივართ, ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ბათუმის შუქურა დაკავშირებულია ერთ-ერთ ძალიან დიდ ტრაგედიასთან, ლეიტენანტ შმიდტის დაღუპვასთან.

შემოდგომით, როცა გრძელ ღამეებს დაიჭერდა და მძვინვარე ზღვა ნაპირებს წალეკვას დაუპირებდა, შუქურის ირგვლივ ხშირი მწუხრი ჩამოწვებოდა ხოლმე. ამ მწუხრში თითქოს საბედისწერო რამ ჩაბუდებულიყო.

ნეტავი იქით არ გამახედა, წამიყვანა სადმე თბილ ოთახში, სადაც პატარებს პირღია სძინავთო, იფიქრებდა კაცი.

არა, არავინ არ დაიჯერებდა, ვინმეს რომ ეთქვა, აგერ ის ღიმილმოფენილი ყმაწვილი ან ძილში აზლუქუნებული პატარა გოგო რამდენიმე წლის შემდეგ მოღალატე და მკვლელი იქნება, უდანაშაულოებს დახვრეტს, აწამებს, თავისუფალ აზრს სახრჩობელაზე ჩამოაკონწიალებს, ერთ ხალხს მეორეს გადაჰკიდებს და თავისი ბოროტი პატივმოყვარეობისა თუ მხეცური სიხარბის გამო ომსაც არ მოერიდებაო.

არა, არავინ არ დაიჯერებდა ამ ამბავს და არც იქნებოდა მართალი. საწყალ, მაგრამ პატიოსან გულს, ათასნაირი ჭირი რომ უნახავს ქვეყნად, ყველაზე მეტად იმედის გაცრუების სიმწარე ანადგურებს. ერთად იყავით, მხარიმხარს მიეცით, ხშირად მითქვამს ადამიანებისათვის, რომლებსაც კეთილი ნება,

კეთილი გული აქვთ და ჩვენი მწერლობის მოწოდებასაც მხოლოდ პატიოსნებასა და სიმართლის სამსახურში ვხედავთ.

ამისათვის კი ღირდა, რომ გვეცხოვრა, გვეშრომა, დავტანჯულიყავით, მაგრამ არ დავნებებულიყავით.

შმიდტს ბევრჯერ უმუხთლა ბედმა.

ერთხელ სტავრაკიმ ჩხუბში უთხრა, კახპა ქალი ყალბმა კაცთმოყვარეობამ შეგართვევინაო.

„ხალხში გასვლა“ სწორედ შმიდტის ახალგაზრდობისას დაიწყო. ხმამაღლა გაისმოდა „ხალხში გასულთა“ ძახილი, ზნედაცემულ ქალებს შეეშველეთ და ხალხთან ერთად გადაიტანეთ ყველა ჭირვარამიო.

ახალგაზრდა შმიდტი შელგუნოვის ხალხოსნური წრის ხშირი სტუმარი იყო, კარგად იცნობდა შელგუნოვის ამხანაგებს. გულით ფიცხ შმიდტს ფუჭი ლაპარაკი არ უყვარდა, რაკი იტყოდა, საქმე უეჭველად უნდა გაეკეთებინა; ამიტომაც შეირთო კახპა ქალი.

ცხოვრებას კი თავისი კანონი აქვს და იმ ქალთან ერთად ცხოვრება ძალიან გაძნელდა. შმიდტის ცოლი უბირი, უწიგნური ქალი იყო. შმიდტმა ათასნაირი ხერხი იხმარა, ძალიან ბევრი ეჩიჩინა, იქნება როგორმე კითხვა ვასწავლოო, მაგრამ წიგნი ვერა და ვერ შეაყვარა.

იმ ქალისაგან შმიდტს ვაჟიშვილი ეყოლა, რომელიც სრულიად არ ჰგავდა მამას და ბოლოს თეთრგვარდიელიც კი გახდა. მალე შმიდტი ცოლს გაეყარა, ოჯახიდან წაკიდა, თუმცა თან არაფერი არ წაუღია. ქმრის დახვრეტის შემდეგ იმ ქალმა შმი-

დტის ნივთებით სპეკულაცია დაიწყო და რეაქციულ გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა განცხადებებს: „ვყიდი ლეიტენანტ შმიდტის კიტელს“, „ვყიდი ლეიტენანტ შმიდტის ვიოლონჩელს“.

ცოლის მუხანათობამ მთელი ცხოვრება მოუწამლა შმიდტს.

მაგრამ ყველაზე მძიმე და ბნელი მაინც სტავრაკის მუხანათობა იყო.

ბოლოს, შმიდტის ცხოვრებაში კიდევ ერთი რამ მოხდა, რაც ძალიან ჰგავდა სიზმარს, თანაც ძალიან მწარე სიზმარს. ერთხელ უკვე დავწერე ამ ამბავზე ლეიტენანტ შმიდტის დის მონაყოლისა და ძველი მასალების მიხედვით. ახლა ის ამბავი ცოტა შეიცვალა, სხვა სახე მიიღო.

ძალიან მოკლედ ვიტყვი.

...კიევში ზაფხული. პაპანაქებაა. წაბლს ფოთლები თითქოს შესჭკნობია. ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერი შმიდტი კიევში მატარებელს უცდის, დუნაიდან სევასტოპოლში მიემგზავრება.

როგორც ძველმა კიეველმა, ძალიან კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს კიევური სევდა. ამ სევდამ შმიდტსაც დაადგა თვალი. ეს ის სევდაა, როცა ყოველი სახლიდან გემრიელი საჭმლის სუნი გცემს ცხვირში და გეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც რამ საინტერესოა ქვეყნად, ცხრა მთას იქით გადაიკარგა. მხოლოდ არღნის მოთქმაღა გესმის. არღანი გულისამრევ გერმანულ სიმღერას უკრავს: „ავგუსტენ, ავგუსტენ, აჰ, მაინ ლიბერ ავგუსტენ“.

რა უნდა ქნას კაცმა? კიევში თურმე დოღია. შმიდტი იპოდრომზე მიდის. გაუმართლა არჩევანმა: იპოდრომი ქალაქის

ყველაზე ძაღალ და ძელანქოლიურად უკაცრიელ ნაწილშია. იქ ცოტა თითქოს გრილა კიდეც.

იპოდრომზე შმიდტმა თვალი მოჰკრა, როგორც თვითონ ამბობდა, ულამაზეს ქალს. შმიდტი რომანტიკოსია. რაც თავად სურს, ცხოვრებაშიც უეჭველად ის უნდა შეხვდეს.

ეს ამბავი თითქოს ხელსაც კი აძლევდა, თუ იმ ავბედით ქორწინებასა და ორიოდე განზრახ მივიწყებულ შემთხვევას არ ჩავთვლით. შმიდტი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში მთავარია (არის მეორეხარისხოვანი, ათასი საზრუნავითა და ფათერაკით სავსე ცხოვრებაც) სულის უფაქიზესი თრთოლვა, რაც თან ახლავს ნამდვილ ბედნიერებას.

ის ქალი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა (რაც დედამიწის ზურგზე ლამაზი ქალია, ალბათ ყველას შეიყვარებდა). რატომღაც დარწმუნებულია, რომ ის ქალი, ესპანელი უნდა იყოს. რატომაო, იკითხავთ. იმიტომ, რომ საოცრად თვალჟუჟუნაა და, როცა იცინის, იტყვი, მგალობელი ფრინველიაო, ხმა ისე უთრთის.

ესპანეთი... შმიდტს კარგად ახსოვს ამ მშვენიერი ქვეყნის კლდოვანი სანაპირონი, ცისაგან ზღვის ლურჯ ზოლს რომ გამოუყვია.

წერით, იცოცხლე, ბევრს დავწერდი, მაგრამ რაკი ვთქვი, მოკლედ ვიტყვი-მეთქი, თავს ნებას აღარ ვაძლევ.

შმიდტს თვალსა და ხელს შუა გაუქრა ესპანელი ქალი. ბევრი ეძება, მაგრამ არეულ ხალხში ვეღარსად იპოვა. ამ ამბავმა თავზარი დასცა, თუმცა სჯეროდა, რომ იმ ლამაზ და საყვარელ ქალს მაინც იპოვიდა.

საღამოთი სევასტოპოლისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯ-

და. ჩემი ასაკის კაცმა შეიძლება ბევრი არა, მაგრამ ცოტა მაინც ვიცი, ვიდრე ზოგიერთმა მკითხველმა. იმხანად ძალიან ხშირად ვმოგზაურობდი და კარგად მახსოვს, რანაირი მატარებელი იყო მაშინ და როგორი ვაგონები ება.

ვაგონებს სტეარინის სანთლებით ანათებდნენ. სანთლები რკინის ფარნებში ენთო. ალი ისეთნაირად პარპალებდა, რომ ყოველი ვაგონი ლანდების თეატრი გეგონებოდა. ჩრდილები ირეოდნენ, ფუთფუთებდნენ, კედელ-კედელ დაძრწოდნენ და ადამიანს, გინდა დაჰკვირვებოდი კიდეც, წესიერად ვერც გაარჩევდი, როგორც მდინარეში ანარეკლ სახეს ვერ გაარჩევ. მახინჯი შეიძლება ლამაზად მოგჩვენებოდა, ხოლო ლამაზი — ჯოჯოხეთის მაშხალად.

მატარებელში შმიდტის წინ ქალი დაჯდა. შმიდტი შეკრთა, წამოდგა, ხელები გააქნ-გამოაქნია, გეგონება აბეზარ ჩრდილს შეუტიაო, და სიხარულისაგან გული შეეკუმშა — ის ესპანელი ქალი იცნო. მართალია, ღმერთს დიდ პატივს არა სცემდა, მაგრამ შმიდტის ფიქრით, უეჭველად ღმერთმა მიიყვანა ესპანელი ქალი მეორე კლასის იმ ჩაბნელებულ ვაგონში.

მალე ერთმანეთს გამოელაპარაკნენ კიდეც. ქალი დარნიცაში მიდიოდა, კიევის მახლობლად რომ საგარაკო ადგილია.

დარნიცამდე მატარებელს ნახევარი საათი უნდა. ამ დროის მანძილზე შმიდტმა მთელი თავისი ცხოვრება გულღიად გადაუშალა იმ ქალს და მოულოდნელ სიყვარულზეც ჩამოუგდო სიტყვა.

მერე სევასტოპოლი. ქარიშხლიანი წელიწადი. რევოლუციით აღელვებული ფლოტი. იმ კიეველი ქალის სახელზე გაგზავნილი უთვალავი წერილი. შმიდტი აღფრთოვანებულია და სი-

ტყვებსაც ფრთებს ასხამს, ქალი, ცოტა არ იყოს, იპრანჭება. შმიდტი ამ ამბავს ვერც ამჩნევს.

შმიდტის სახელი — ტრიბუნისა და ბელადისა — უკვე მთელ მსოფლიოში ქუხს. ვაჟკაცობისა და საქმის ერთგულებისათვის გულით-შეიყვარა ხალხმა.

სახელი და პატივი! შარავანდედი!

მაგრამ მალე აჯანყებამაც იფეთქა. სევასტოპოლის ბოღაზები სისხლით მოირწყო. შმიდტმა ორი დეპეშა გაგზავნა, ერთი მრისხანე იყო, შეორე ვედრება.

პირველი დეპეშა ნიკოლოზ მეორემ მიიღო: „შავი ზღვის ფლოტი აღარ ემორჩილება თქვენს მინისტრებს და მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას. ფლოტის სარდალი ლეიტენანტი შმიდტი“. მეორე დეპეშა იმ კიეველ ქალს მიუვიდა: „სასწრაფოდ ჩამოდი. შეიძლება ვეღარასოდეს ვნახოთ ერთმანეთი“.

აჯანყება ჩახშობილია. შმიდტს აპატიმრებენ, წყნარ ოჩაკოვში მიჰყავთ და რამდენიმე მატროსთან ერთად სამხედრო სასამართლოს გადასცემენ.

შმიდტს ოჩაკოვში ანა იზბაში მოინახულებს. ანა დაა შმიდტისა. კიევში წადიო, ეხვეწება ძმა, ის ქალი მომიძებნე და ოჩაკოვში ჩამოიყვანე: სიკვდილის წინ თვალი თუ მოვკარი, სულს მშვიდად დავლევო.

ანამ აღარ იცის, რა ქნას: შმიდტს სულ რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენია, ის კი იძულებულია, რომ წავიდეს და დაკარგოს ძვირფასი დრო ვიღაც უცნობი ქალისათვის, რომლის ჩამოყვანასაც ძმა ევედრება.

წაუსვლელობა არ იქნება. ანა კიევში მიდის და იმ ქალის

ყოფილი ქმარი ეუბნება, ჩემი ნაცოლარი ამჟამად ქალაქში არ არისო. ანა გულს გადაუშლის, არაფერს უმალავს. შმიდტის სახელს ძალიან ბევრი რამ შეუძლია, ის კაცი პოლტავაშჩინაში მიჰყვება ანას და იქ აპოვნინებს თავის ნაცოლარს.

შმიდტს უფლებას აძლევენ, რომ შეხვდეს იმ ქალს. ქალი საკანში შედის, შმიდტი წაბარბაცდება, ლამის დაეცეს იმიტომ, რომ საკანში შევიდა ის ქალი, რომელსაც ნახევრად ჩაბნელებულ ვაგონში მოჰკრა თვალი, თავის ფრთაშესხმულ წერილებს კი შმიდტი სრულიად სხვა ქალს სწერდა. მაგრამ შმიდტი მაინც უსაზღვროდ მადლობელი დარჩა იმ კიეველი ქალისა, რაკი ჩავიდა, ნახა და სიცოცხლის უკანასკნელი წუთები არ მოუწამლა.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1935 წლის ზამთარში, შმიდტის დას — ანა იზბაშს სევასტოპოლში შევხვდი.

„სევერნაია გოსტინიცას" ნომრიდან, სადაც ანა იზბაში ცხოვრობდა, კარგად ჩანდა საარტილერიო ბოღაზი, — სწორედ ის ადგილი, რომელსაც თავის პატარა ბიჭთან ერთად მიაშურა შმიდტმა, ცეცხლწაკიდებულ და ჩასაძირად განწირულ „ოჩაკოვს" რომ დააღწია თავი. იმ ბოღაზიდან წაიყვანა შმიდტი ნაღმოსანმა. მერე აკი გემ „როსტისლავზე" დააპატიმრეს კიდეც.

სევასტოპოლში ახლა ნისლი იწვა და ქალაქი უკაცრიელი ჩანდა. მხოლოდ საღამოთი გამოცოცხლდებოდა ხოლმე სევასტოპოლი, როცა მეზღვაურები ხმელეთს დაადგამდნენ ფეხს. როგორც შუადამისას, ქალაქი შუადღისასაც ძილში წასულსა ჰგავდა.

ჩემ წინ, რბილ სავარძელში, ცქრანტი დედაბერი იჯდა,

არაჩვეულებრივად კეთილი ღიმილი ეფინა და ახალგაზრდულად მოშვილდული წარბები ჰქონდა.

დედაბერი შმიდტზე ლაპარაკობდა, პეტრუშას ეძახდა. დის წარმოდგენაში შმიდტი უწვერულვაშო კადეტი თუ არა, გარდემარინი მაინც იყო.

— ატაცებული ცხოვრება იცოდა, თავს არ უფრთხილდებოდა, — ანას აზრით, თავისი ძმის მთავარი თვისება სწორედ ეს იყო. — მეგობარ-ამხანაგისათვის თავგადადებული იყო, როგორც პატარა ბავშვები, მატროსები ისე უყვარდა. ძალიან ხშირად მწარედაც მოტყუებულა, მაგრამ სასოწარკვეთას არ მისცემია. ძალიან გულფიცხი იყო, ინტერესიანი. გულის მოსვლა ხელად იცოდა. ახალგაზრდობაში ძალიან ვგავდი ჩემს ძმას. პეტრუშას წიგნები უყვარდა, მეტადრე ლექსები — ბაირონს ინგლისურად კითხულობდა. მუსიკის, ბავშვებისა და საზღვაო საქმის ტრფიალი იყო. განსაკუთრებით შუქურები აგიჟებდნენ. პეტრუშას გრავიურებისა და ფოტოსურათების მთელი კოლექცია დარჩა. იმ გრავიურებსა და ფოტოსურათებზე მსოფლიოს ყველაზე ცნობილი შუქურებია აღბეჭდილი. ერთი ხანობა შუქურის ზედამხედველობაც კი დააპირა. ის შუქურა, სადაც მე ზედამხედველი ვიქნები, ქალაქიდან ძალიან შორს უნდა იყოსო. „ჯანდაბას, — ამბობდა პეტრუშა, — თუნდაც თარხანკუთზე იყოს. დღისით სანადიროდ წავიდოდი ან რომელიმე სამარხს გავთხრიდი. ამბობენ, იქ სკვითური სამარხებია და ათასი რამ ძვირფასი ნივთი მარხიაო. ჩიჩქვნა-ჩიჩქვნაში ერთი გემრიელადაც გავირუჯებოდი, საღამოთი კი ზღვის წყალს გადავივლებდი, მივუჯდებოდი ფარანს და წიგნებს ვიკითხავდი. სახალისოდ კი არა, ფანქარს ავიღებდი და არც ერთ ლამაზ

აზრს გაუხაზავს არ დავტოვებდი. ყოველ მზის ჩასვლას, განთიადსა და ხომალდს თავ-თავისი სახელით ღღვნიშნავდი ჟურნალში. ღამით სასიგნალო ზარს ქარი თუ ააწკარუნებდა, არც ის გამომეპარებოდა. ქარიშხალში კი ტალღების ღმუილი და ქაფმოგდებული წყლის შიშინი ყურთასმენას წამართმევდა, მაგრამ თოლიების წივილს მაინც გავიგონებდი. ქარაშოტში თოლიის წივილი ნემსივით მსჭვალავს ამღვრეულ ჰაერს. ეჰ, რა კარგი იქნებოდა". ერთი სიტყვით, ძალიან მშვიდი და უბოროტო კაცი იყო. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ პეტრუშა აჯანყებას ჩაუდგებოდა სათავეში.

შინ, ლენინგრადში მიმავალ ანას სევასტოპოლის პატარა მკუდრო სადგურამდე გავყე. იმ სადგურში ჩქარი მატარებლების გახურებული ვაგონებისაგან ორიოდე მეტრზე უზარმაზარი ალვები შრიალებდნენ. თვითეულს სამი კაცი ძლივს შემოაწვდენდა ხელებს. ჰაერში დამჭკნარი ფოთლების სუნი იდვა და რკინიგზისათვის ჩვეულებრივ, დამახასიათებელ სუნს (ქვანახშირისას და მაზუთისას) ვეღარც კი ვგრძნობდი.

ახლაც მახსოვს, ვის შევხვედრივარ და ვინ გამიცილებია ამ ალვების შორიახლო. ის ალვები თითქოს ჩემი ცხოვრების უტყვი მოწმენი არიან.

როცა იმ ალვებს ვიგონებ, ყოველთვის გრეჩანინოვის ნაღვლიანი რომანსი მწიწკნის გულს: „არ დაგივიწყებს, მოვა, ჩაგიკრავს და საქორწინოს დაგადგამს გვირგვინს".

რატომ მომაგონდა სევასტოპოლის სადგურში ეს რომანსი, არ ვიცი. ამ რომანსში თითქოს მომქანცველი იმედი ჩამარხულა, იმედი ბედნიერი, თუნდაც წამიერი სიყვარულისა და სიმარტოვისაგან თავის დახსნისა. სიმარტოვე ძალიან ხშირად მი-

გრძვნია, ნაღველი ამ დროს ბუნდოვნად, მაგრამ მძიმედ დამწოლია გულზე.

ამბობენ, სევასტოპოლის სადგურში ის ალვები ახლაც დგანანო, და მიკვირს, ომს რანაირად გადაურჩნენ.

მხიარული მგზავრი

ბათუმში ხშირად შევხვედრივარ ერთ ტანმორჩილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც მუდამ გადაღეღილი ეცვა ძველი პალტო. ჩემზე დაბალი იყო, გულმხიარული ჩანდა.

ტანდაბალ ხალხს ყოველთვის მეგობრულად ვეპყრობოდი, იმედი მომეცემოდა ხოლმე — ჩემნაირი ამ ქვეყნად ბევრი ყოფილა-მეთქი.

კარგად მახსოვს, პატარა ბიჭობაში, გულით ავადმყოფ ჩემს დას გლაშას ხშირად უთქვამს, რაც კი დედამიწის ზურგზე ნიჭიერ ხალხს უცხოვრია, მაღალი არავინ ყოფილაო. თანაც პუშკინს, ნაპოლეონს, ლერმონტოვს, დიკენსს, ვრუბელს, შოპენჰაუერს ასახელებდა.

მაგრამ გლაშამ აღარ იცოდა რა ექნა თავისი თეორიისათვის თუ სიტყვას ტურგენევზე, ქრისტიან ანდერსენზე, მოპასანზე, ჩეხოვსა და გორკიზე ჩამოვაგდებდით. ისინი ხომ ნამდვილი გოლიათები იყვნენ.

ტანდაბალ ხალხს ძალიან ადვილად ვუმეგობრდებოდი. ისეთებს კი ვერ ვიტანდი, რომლებსაც იმდენად უყვარდათ სიმაღლე, რომ ან მაღალ ქუსლებს იშველიებდნენ ან ეშმაკურად შეკერილ ტანსაცმელს. პოეტ ბალმონტის ნიჭიერებას

დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ კოხტა-პრუწა კაცი იყო, მაღალ-ქუსლიანი შტიბლეტებით დადიოდა და სწორედ ამიტომ არ მიყვარდა. ერთხელ კიევში მოხსენება რომ წაიკითხა „პოეზიის გრძნეულ ძალაზე“, იქაც ისინი ეცვა.

იმ ძველპალტოიან პატარა კაცს, ბათუმში ხშირად რომ მხვდებოდა, იღლიაში მუდამ ქოლგა ჰქონდა ამოჩრილი. პალტოს ჯიბეები მანდარინით ამოეტენა, მანდარინებში რუხაძის ქარხნის არყის ბოთლიც მოუჩანდა ხოლმე.

რამდენსაც იმ პატარა კაცს დავინახავდი და ქოლგასაც მოვკრავდი თვალს, წვიმაც რომ არ ყოფილიყო, მაინც ბათუმის გადაუღებელი წვიმა უნდა მომგონებოდა.

ბათუმი ნამდვილად წვიმის ქალაქია. ტყუილად როდი შეარქვეს ფრანგმა მეზღვაურებმა „პისსუარ“: „პისსუარ დე მერ ნუარ“.

ზაფხულში, მართალია, წარღვნაც იცოდა, მაგრამ ბათუმისათვის წარღვნა მაინცდამაინც დამახასიათებელი როდია.

ნამდვილად ბათუმურმა წვიმამ თუ ერთი პირი იჩინა, გადაღებას აღარ იღირსებს. დასავლეთით წამოსული ღრუბელი ხელდახელ ჩააბნელებს ხოლმე ქალაქს და მხოლოდ წვიმის წკაპაწკუპილა ისმის.

შორს, ბურუსში, უკმაყოფილო ხომალდები ხრინწიანი ხმით აღრიალდებიან, თანაც ირწევიან და სველი გემბანები ულაპლაპებთ. ნაცრისფერ, წითელ, შავ და ყვითელ ქიმებს ოდნავღა ემჩნევათ, რომ ბზინავენ და ის ბზინვა მიმქრალი მზის შუქი მგონია. ქარი რომ შეიცვალოს, ალბათ, ხელად მზე დახედავს ბათუმს და ისიც ლურჯ მინასავით დაიწყებს ბჭყვრიალს. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად დაინახავს კაცი ცის-

ქენ დაძრულ თბილ ჰაერსა და ოხშივარს, ბათუმის მზემოფენილ ბაღჩა-ბაღებში კი წითელ ღვინისფრად აბდღვრიალდება ინდური კანა...

ხან მთელი კვირა წვიმდა. ფეხსაცმელი მშრალი არასოდეს არ მქონია. გავცივდებოდი თუ არა, მალარია ხელად თავს შემახსენებდა. სწორედ გაციებისა მეშინოდა, თორემ წვიმას როგორმე შევეგუებოდი.

ბევრი რამ კარგიც იყო ამ წვიმიან ამინდში. ჯერ ერთი, ცოტა ცხარე, თითქოს ქარსალის სუნით გაჟღენთილი ჰაერი. მერე ქალაქში გაბნეული რამდენიმე ათასი წყალსაწრეტი მილის საზეიმო ორატორია. თვითონ წვიმიანი, ნაცრისფერი-დღეც ძალიან მიყვარდა. ავანთებდით შუქს, შემოვუსხდებოდით მაგიდას და ყველა თავის საყვარელ ლექსს იხსენებდა.

ხშირად მე და ის დაბალი კაცი, რუბიმ ფრაერმანი, ვისხედით ხოლმე ჩემს რედაქცია-ოთახში და მთელი ღამე ლექსებს ვდუდუნებდით.

ან რა დაგვაძინებდა, როცა ლექსიც მრისხანედ ჟღერდა:

შუაღამისას აღმოსავლეთით
ამოანათებს მკვდარი კრონოსი.

ცოტა უფრო მოზრდილი ხალხი, ვიდრე მე და ფრაერმანი ვიყავით, ამნაირ ლექსს შეიძლება დაენაღვლიანებინა კიდეც, ჩვენ კი მხოლოდ მხატვრულ ძალას ვუსინჯავდით.

წამით თითქოს წარმოვიდგენდი კიდეც ზღვა კრუბელი, ბათუმის შორიახლო მცირე კავკასიონს მწრებით რომ შეეჩერებინა. სამყაროს ზღვარდაუდებელ სივრცეში კი კრონოსი ენთო და ფერფლისფერ შუქს აღვრიდა დაღლილ დედამიწას.

ახლა სხვა ლექსი წავიკითხეთ, ახლადამოწვერილ მზესავით ნათელი.

ლექსები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებას ისე ბუნებრივად არასოდეს ამგზავრებიან, როგორც მაშინ ბა-თუმში. ერთი კია--ლექსმა თითქოს თავისი სიტყვიერი არსი დაკარგა და ცხოვრების ისეთივე მოვლენად იქცა, როგორიც წვიმა, ადამიანის ხმა, წვიმაში მოყოლილი სახედრის ყროყინი, დაბადება და სიკვდილია.

ყოველ იმ „ლექსიან" ღამეს თან ახლდა წვიმის გაუთავებელი ხმაური და ნავსადგურში შემოჭრილი ტალღების ტყლაშატყლუში.

წვიმის ხმაურში ზოგიერთი სტრიქონი განსაკუთრებით ეღერდა.

რამდენიმე ახლაც კი მახსოვს:

პეპლებივით ირხევიან მზეში
უცვეთელას ყვავილები.
ქვაში უდგას უცვეთელას ფესვი
და იმ ქვაში მღერის ძველი ლექსი;
ვიტირებ და დავიღლები.

ან კიდევ:

მცივა, ვძაგძაგებ. დუღს გაზაფხული,
მწვანე ბუმბულით მოსავს მეტროპოლს...

თუნდაც ეს ორი სტრიქონი:

გაცრეცილ ტრამალს თავს დასდგომია
კავკასიონის თეთრი გვირგვინი.

რა ვიცი, რომელი ერთი მოვიგონო:

დამიბრუნდი, დამიბრუნდი, ვიტინგტონ!
ო ვიტინგტონ, დამიბრუნდი მალე!

ეს ორი სტრიქონი მაინც განსაკუთრებით მიღელვებდა გულს, თუმცა რაიმე არაჩვეულებრივი ამ სტრიქონებში არ ყოფილა. ერთხელ ბათუმის ნავსადგურში ფირმა „სოსიფროსისათვის“ ერთი ჭუჭყიანი ხომალდი მოვიდა და ტვირთი მოიტანა. ზედ ინგლისური ალამი იყო აღმართული, გვერდზე თეთრად ეწერა ნაცნობი სახელი „ვიტინგტონ“.

რატომღაც ის ხომალდი წვიმაში გაწუწული და სიცივისაგან აკანკალებული უიღბლო კაცივით შემებრალა. იქ, ძველ ინგლისში, იმ ხომალდსაც ვიღაც ელოდა. რომელიმე ჩაბეჭუტულ ზღვისპირა ქალაქში ალბათ ბაგაბუგი გაჰქონდა ადრე ჯანგატეხილი ლამაზი ქალის ნაღვლიან გულს. ის ქალი თავისი გულჩათხრობილი ქმრის ან შვილის დაბრუნების მოლოდინში ყოველდღე „ვიტინგტონის“ გზას გასცქეროდა.

ფრაერმანი „მაიაკის“ რედაქციაში, როგორც იტყვიან, ქარმა გადმოისროლა.

გაზეთს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს (როსტა) მასალები სჭირდებოდა. მაგ საქმისათვის სააგენტოს ბათუმელ კორესპონდენტს, ფრაერმანს უნდა მიაკითხო და მოელაპარაკოო, მითხრეს.

ფრაერმანი სასტუმროში ცხოვრობდა. იმ სასტუმროს გაპრანჭული სახელი „მირამარე“ ერქვა. ვესტიბიული მოხატული

იყო, ცალ მხარეს ვეზუვი ეხატა, მეორე მხარეს კი სიცილიის ფორთოხლის ბაღები.

ფრაერმანს იმ დროს წავადექი, წამებულივით რომ იჯდა მაგიდასთან. მარცხენა ხელი თავზე წაევლო, მარჯვენათი რაღაცას წერდა, თანაც ფეხს იქნევდა.

ერთი შევხედე თუ არა, ხელად ვიცანი ის პალტოგაღეღილი და ქოლგაამოჩრილი დაბალი კაცი, გზადმიმავალს ათასჯერ მაინც რომ შევხვედროდი ბათუმში.

ფრაერმანმა კალამი გვერდზე გადადო და კეთილად მოღიმარი თვალები მომაპყრო. სააგენტოს დეპეშებზე ლაპარაკს რომ მოვრჩით, სიტყვა ხელად პოეზიაზე ჩამოვაგდეთ.

ლაპარაკში თვალი მოვკარი, რომ საწოლის ოთხივე ფეხი წყლით სავსე ოთხ ტაშტში იდგა. რა ამბავია-მეთქი, ვიკითხე. სასტუმროში მორიელი მომრავლდა, თავი თუ არ დავიცავით, დაგვგესლავენო, მითხრა ფრაერმანმა.

ოთახში სქელი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, პენსნე ეკეთა, ეჭვიანად შემათვალიერა, თავი გააქნ-გამოაქნია და ძალიან წვრილი ხმით თქვა:

— ერთი პოეტისათვის ვერ მომივლია და ვატყობ ღმერთმა მეორეთიც დამსაჯა!

ეს ქალი ფრაერმანის ცოლი იყო. ხელები გააქნია, გადაიკისკისა და ნავთქურაზე იმ წუთას ტაფამწვარი დადგა. არაფრის გულისათვის არ გამომიშვა, სანამ ერთად არ ვისაუზმეთ და თითოოროლა ჭიქა რუხაძის არაყიც არ დავლიეთ.

ვსვამდი არაყს და ერთი რამ მაკვირვებდა — არც თავი მიმძიმდებოდა და არც აზრს ვკარგავდი.

მერე მე და ფრაერმანი „მაიაკის“ რედაქციაში წავედით.

ფეხი გვერეოდა, მივბარბაცებდით და ჩვენც არ ვიცოდით, რა გვაცინებდა. გზაში ლუსიენასა და მიშა სინიავსკის შევხვდით. აღარ მოვეშვით და თან წავიყვანეთ. აფსუს, რომ ბაბელი თბილისში იყო, თორემ მწვანე კონცხზე გასვლას რა უნდოდა, ხელად გავიდოდით და ბაბელსაც წამოვიყვანდით. ევგენია ბორისოვნასაც წამოვიყვანდით, მერისაც და არც პოეტი ჩაჩიკოვი დაგვავიწყდებოდა. შევიკრიბებოდით ყველანი ერთად და შევქმნიდით პირველ ლიტერატურულ გაერთიანებას — საბჭოთა პოეზიისა და პროზის პირველ უჯრედს.

მიშა სინიავსკიმ კიდევ ერთი ბოთლი რუხაძის არაყი ამოაძვრინა. რედაქციაში ხელდახელ პატარა სუფრა გავშალეთ, ვსვამდით და ვღიღინებდით. მალე ნირკიც შემოგვიერთდა.

ნირკის შემდეგ რედაქციის კარი მონომახმა შემოაღო. ისიც ჩაება საერთო სიმხიარულეში და ძეხვს ყლაპაყლუპი აუყენა. ჭამაზე ეტყობოდა, რომ მონომახს ქეიფი არ აკლდა, ამნაირ საქმეში გამოცდილი იყო.

ჟრიამული მაშინაც კი არ შეწყვეტილა, ოთახში გალეშილი ამერიკელი მატროსი ჯოკერი რომ შემობანცალდა. ამერიკელს ყურადღება არ მოუქცევია ჩვენთვის, გადააფურთხა, გაიხადა პიჯაკი, კუთხეში მიაგდო, მიწვა და მიიძინა. გათენებამდე ფეხი არ გაუნძრევია, დილით კი ჩუმად ადგა და წავიდა.

იმ ღამის შემდეგ ფრაერმანი დღეში რამდენჯერმე შემოირბენდა ხოლმე რედაქციაში. ხანდახან ღამეც რჩებოდა.

ყველაზე საინტერესო ამბებს ღამღამობით ვყვებოდით. ფრაერმანს თავისი თავგადასავლის მოყოლა უყვარდა, ყურებდაცქვეტილი ვუსმენდი და, ცოტა არ იყოს, თითქოს მშურდა კიდეც.

მოგილიოველი დალაქის შვილი, ფრაერმანი, ოჯახიდან წავიდა თუ არა, ხელად რევოლუციურ ორომტრიალში მოხვდა. ცხოვრებამ თითქმის მთელი ქვეყანა შემოატარა, მერე კარგახანს ცივი ოხოტის (ლამის) ზღვის პირას დასვა.

შორეული აღმოსავლეთი ცეცხლში იწვოდა. ყოველ ნაბიჯზე იაპონელები იდგნენ. პარტიზანები სისხლს უშრობდნენ იაპონელებს.

ფრაერმანი ამურის ნიკოლაევსკში პარტიზან ტრიაპიცინის რაზმს მიეკედლა. ამურის ნიკოლაევსკი თავისი ბუნებით ქალაქ კლონდაიკს ჰგავდა.

ფრაერმანი თავს ესხმოდა იაპონელებს, შიმშილობდა, რაზმთან ერთად დაძრწოდა ტაიგაში და მთელი ტანი დასისხლიანებული ჰქონდა: კოღოები ძაღლებივით იკბინებოდნენ.

ამური ზღვასავით ბობოქრობდა, ნისლში იწვა. გაზაფხულზე ქალაქის გარშემო ატეხილ ტაიგაში თეთრი ზამბახი აყვავდა. ზამბახის ყვავილობამ კი მოულოდნელი თავზარის დაცემა იცის. სწორედ იმ ქალის სიყვარულს აგიშლის, რომელსაც არ უყვარხარ.

კარგად მახსოვს, ფრაერმანი ისეთნაირად ჰყვებოდა ამ ამბავს, რომ ის ავბედითი სიყვარული ჭრილობასავით მღრღნიდა.

ყველაფერი თვალწინ დამიდგებოდა ხოლმე: იქაური ჭარფევზების გუნდიც და პატარა გოგოსავით გაოცებული ირემიც.

რასაც მიყვები, დაჯექი და ყველაფერი დაწერე-მეთქი, ვურჩიე ფრაერმანს. პირველად თითქოს არ დამეთანხმა, მაგრამ მალე კალამს თავი ვეღარ წაართვა. თავისი ბუნებით, თვალთახედვითა და აზროვნებით ნამდვილი მწერალი იყო. ქვეყნად ძი-

ლიან ბევრ ისეთ რამეს ხედავდა, რასაც სხვები ვერც კი ამჩნევენ.

წერა დაიწყო და მალე მოთხრობა უკვე მზად ჰქონდა. ჯერ „ამურზე“ დაარქვა, მერე „ვასკა-გილაკი“. ჟურნალი „სიბირსკი ოგნი“ რომ არის, „ვასკა-გილაკი“ იქ დაბეჭდა. ჩვენს ლიტერატურას კიდევ ერთი ახალგაზრდა მწერალი შეემატა, შორსმჭვრეტელი და კეთილი მწერალი.

ახლა ღამღამობით მარტო ლაპარაკს კი აღარ ვუნდებოდით, არამედ ფრაერმანის მოთხრობას ვკითხულობდით და ვასწორებდით.

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ „ვასკა-გილაკი“ მომწონდა. იმ მოთხრობაში ისეთი რამ იყო, რასაც კაცმა შეიძლება „სივრცეთა სუნთქვა“, ან უფრო ზუსტად „თვალუწვდენელ სივრცეთა სუნთქვა“ უწოდოს.

სივრცეებს ბავშვობიდანვე ვეტრფოდი. ჩემთან ერთად თითქოს ამ გრძნობასაც ემატებოდა წლები და ძალა. რაც უფრო ბევრ ქვეყანას ვნახულობდი, კიდევ უფრო მეტის ნახვა მწყუროდა.

ძალიან დიდხანს მე და ფრაერმანმა ცხოვრებაში ერთად ვიარეთ, ზნეც ვაცვლევინეთ ერთმანეთს და ფერიც.

რა იყო, რით ვაცვლევინეთ ერთმანეთს ზნე და ფერი? ალბათ, ჩვენი ცნობისმოყვარეობით. ერთიცა და მეორეც მოწყურებული ვიყავით ყველაფერი გაგვეგო, რაც ცხოვრებაში ხდებოდა მთელი თავისი პოეტური სირთულით. ცნობისმოყვარეობის გარდა, მამულის, ხალხის სიყვარულითაც ვგავდით ერთმანეთს, — იმ ამაღელვებელი სიყვარულით, ათასი ფესვი რომ გაუდგამს გულსა და გონებაში. მცენარეს ფესვები აცოცხლე-

ბენ. ისინი მიწას ტენს, მარილს, ძალას ართმევენ. ჩვენც სწორედ ამნაირად გვიყვარდა ცხოვრება. ჩვენც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ფრაერმანსაც, ვიცი, დიდად აღელვებდა ბუნება.

რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობ, რომ ბუნების ერთი პატარა ნაწილი ვარ, როგორც ყოველი ხე და ბალახი.

ზოგჯერ რომელიმე ტბის ან მდინარის პირას მოლზე რომ წამოვწოლილვარ, მიწისათვის ყური დამიგდია. მიწა მუნჯიაო, ამბობენ, მაგრამ ამ მუნჯი მიწის გულს ძალიან ხშირად შორეული წკრიალივით მოუწვდენია იდუმალი რამ ჩუხჩუხის ხმა. ალბათ, ღრმად დამარხული წყალი მიიკვლევდა ტბისაკენ გზას.

როცა კი მიწის ხმა გამიგონია, ყოველთვის ბედნიერად მიგრძვნია თავი.

მთავარი მიმართულება

არიან ადამიანები, რომლებსაც ერთი მთავარი გზა აქვთ არჩეული და იქით-აქეთ გადახვევა აღარ უყვართ.

მაგრამ მთავარ გზას ხშირად თვით ცხოვრება წარმოშობს და ადამიანის ნება-სურვილს არც ემორჩილება.

ძალიან დიდხანს ამაოდ ვცდილობდი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მწერალი უნდა გავხდე-მეთქი. ამ მიზნის გარდა აღარაფერი მახსოვდა. ჩემს თავს ხშირად ვეუბნებოდი, კარჩაკეტილი უნდა იჯდე, ერთ წუთს ნუ დაკარგავ, ასკეტად უნდა იქცე-მეთქი.

კიდევ კარგი, ამ ჩემს ნაფიქრს დიდი დღე არ ეწერა და მალე მივხვდი, რომ მწერალმა თავის შემოქმედებაზე პედანტუ-

რად კი არ უნდა იზრუნოს, არამედ ცხოვრებაში უნდა გავიდეს და მთელი თავისი ნიჭითა თუ ძალღონით ემსახუროს ხალხს. კარჩაკეტილობას მწერალი არც შეუქმნია და ვერც შექმნის. წიგნებს მხოლოდ ცხოვრებაში გასული მწერალი წერს.

დიახ, ერთ დროს აგრე მეგონა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება გეგმაზომიერ მონაკვეთებად უნდა დავყო-მეთქი: ცხოვრებაში აზრსა და შინაარსაც გეგმაზომიერად ვეძებდი, წინასწარ რასაც ვფიქრობდი, ჩემი ჭკუით, ყველაფერი ამ ფიქრისათვის უნდა დამემორჩილებინა.

„მხოლოდ ამ გზით შესძლებ, — ვარწმუნებდი ჩემს თავს,— რომ სრულყოფილებას მიაღწიო და ნამდვილ ადამიანად იქცე საზოგადოებაში!“

მაგრამ რამდენიც არ ვესწრაფე ამ იდეალს, მაინც არაფერი გამოვიდა, „ყოველი დღის ჭირსა და ლხინს“ თავისი გზით მივყავდი. ცხოვრებამ ტყვედ ჩამიგდო, ძლივსღა ვუძალიანდებოდი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ერთბაშად იარაღი არ დავყარე.

იმ დილით მიშა სინიავსკიმ მთელ ამ ჩემს ფილოსოფიას „გულისამრევი მოძღვრება“ უწოდა.

ოქტომბრის ნამდვილად მშვენიერი დილა იყო, მთელი ფერდობი ნამიან ასკილს დაეფარა (მიშამ აღარ მომისვენა, ჩამოდი ბარცხანაში, გვეწვიეო, და უარი ვეღარ ვუთხარი).

იქვე შორიახლო ზღვა ლივლივებდა. ანატოლიის ნაპირს ნისლი ებურა, მაგრამ იმ ნისლში მაინც ატანდა თურქეთის მთების წითელ-ყვითელი ფერი.

ცხოვრება არაფრად ღირს, ვეუბნებოდი მიშას, თუ კაცი

წინასწარ მოფიქრებულ მიზანს არ დაეშორჩილება-მეთქი. ამ მიზნისაკენ მიმავალს აღარაფერი უნდა ახსოვდეს.

მიშა შემწვარ თევზსა სჭამდა, ხანაც თვალმოწკურული გადმომხედავდა ხოლმე. ვატყობდი, რომ გული მოსდიოდა.

— აბეზარი კაცი ხარ. — მშვიდად თქვა მიშამ, თავი მაღლა არც აუწევია.

— ვინ არის აბეზარი? — ვკითხე და გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

— როგორ თუ ვინა? ზედგამოჭრილი აბეზარი ხარ. თუ, რასაკვირველია, შენს ჩიქორთულ ფილოსოფიას დავუჯერებთ. უღელს ძალით ნუ იდგამ, გიმნაზიელო. ეგ ჭირი, ალბათ, მალარიამ შეგყარა. თანაც, ეტყობა, ინდური მალარია გჭირდა და იოგთა მიკრობები დაგერია. ლაღად იცხოვრე, რაც უფრო ლაღად და თავისუფლად იცხოვრებ, უფრო უკეთესია. ნურასოდეს ნუ შეეცდები, რომ ცხოვრება წინასწარ შეთხზულ თარგს მოარგო. ცხოვრებას მიენდეო, აკი ძველი მწერლებიც ამბობდნენ, ნუ გეშინიან, მიზანს ამ გზით უფრო მალე მიაღწევ.

— რა მიზანს?

— იესო ქრისტეს მიზანს! — დაიყვირა მიშამ. — შენ რა, ხომ არ გადაიფიქრე მწერლობა. რაც ცოტას იმსჯელებ, მით უკეთესი. ცქერით კი, ბევრი უნდა უცქირო ცხოვრებას და ხშირად გაკვირვებაც უნდა იცოდე.

მიშა არასოდეს არ მინახავს ასე გულმოსული.

რაც მითხრა, ყველაფერი დავუჯერე. ალბათ კარგახანია მწყუროდა, ვინმესაგან მსმენოდა ეგ სიტყვები. მომაბეზრებელი ტვირთი, რომელიც თავს მქონდა მოხვეული, გაქრა. დაჯირჯოებულ ფანჯარაში იზაბელას ოდნავ შესამჩნევი სუნი

ატანდა და მეჩვენებოდა, რომ ბაგეს მითრთოლებდა. გამეცინა.

— რა იყო? — შეშინებულივით მკითხა მიშამ.

— არაფერი, ტუჩები მექავება. სამი დღეა არ გავპარსულვარ.

— პირველად მესმის, რომ გაუპარსაობით ტუჩები აჰქავებოდეს კაცს, — წაიდუდუნა მიშამ და თანაც ეჭვიანად გადმომხედა. — გესმის, დუსია, რას ამბობს?

— ოი რა ხარ, კოტიკო. — შესძახა ლუსიენამ, თან მაყალზე მწვადს ატრიალებდა. — ცოცხალ ტყუილს ამბობ, მაგრამ ჯანდაბას, მაინც მიყვარხარ.

ვიდრე იქ ვიჯექი, ერთი წუთით არ მომშორებია იზაბელას სუნი. მოსვენება აღარ მომცა, სანამ სახლის უკან რომ პატარა ვენახი იყო, იქ არ ჩავირბინე და მზით მოოქროვილი მტევნები არ დავინახე.

მტევანს ერთი კუფხალი მოვაგლიჯე და შევჭამე. მზე კაშკაშებდა, თბილოდა, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ სიცივემ ამიტანა. ადუღებულ წყალს თითქოს ვიღაც ყინულივით ცივ წყალს უმატებდა. ბოლოს სიცივემ სძლია სითბოს და კანკალი დავიწყე. შინ მივბრუნდი, მზისგულზე დავწექი და ავკვნესდი.

— ეგეც ეგრე! — ბრაზიანად თქვა მიშამ. — მალარია ოხერი რამ არი. მესამე შეტევა კვლავ იზაბელასაგან. ლუსია, დააყარე ყველაფერი, რაც კი რამ თბილი გვაქვს.

— არაფერი აღარ მიშველის, არაფერი, — ვჩურჩულებდი საცოდავად. მეჩვენებოდა, რომ არქტიკულ ყინულში ჩამფლეს, საცა იყო ლოლუად უნდა გადავქცეულიყავი და არავითარი ხსნა ამ ქვეყნად აღარ იყო.

რაღა სიტყვა გავაგრძელო, ყვითელმა ტროპიკულმა ციებ-ცხელებამ ქათამივით მომიგრიხა კისერი. ყოველდღე მაციებ-და და მაბაბანებდა.

ყვითელი ციებ-ცხელება ბათუმში ინდოეთის ჯარმა შემოი-ტანა, ინგლისელთაგან ამიერკავკასიის ოკუპაციის დროს.

ამ საშინელ სენს დიდი ხნის შემდეგ შუა რუსეთის ტყეებში დავაღწიე თავი. მაგრამ საკმარისია, პირი დავადო იზაბელას ი ისფერ მარცვალს, ან ერთი ყლუპი მოვსვა იზაბელას ღვინისა, რომ გამაბაბანოს. აი, ასევე მაბაბანებდა იმ ხელოვნურ და სრულიად უცხო აზრთა მოგონება, რომელთა გამოც მწარედ, მაგრამ ძალიან მეგობრულად დამცინა მიშა სინიავსკიმ.

მალარიამ ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ წესიერად აღარც კი მახსოვს, როგორ გავატარე ბოლო რამდენიმე თვე ბათუმში. მთვრალი კაცივით დავდიოდი, ტვინი აღარ მემორჩილებოდა. ვიწექი და აღარაფრის წარმოდგენა აღარ შემეძლო. ყოველ ცდა კი რაიმეს წარმოდგენისა, ოთახში შემოფრენილი ჩიტ-ივით აწყდებოდა კედლებს, ვიდრე დაუძლურებული და ფრთა-მოტეხილი ძირს არ დაეცემოდა. მაშინ კვლავ სიჩუმე და მწუხ-რი დაისადგურებდნენ ჩემს ოთახში და ერთი რამ მოჩვენება-სავით სახე ამეკვიატებოდა ხოლმე. ეს უფრო შეგრძნება იყო, ვიდრე სახე, თითქოს ძაფივით წვრილად დაქცეულ ავშარაჯს მაგონებდა. თითები ვეღარ გამეშალა, ერთმანეთზე მეწებებო-და. ხანაც შიში შემიპყრობდა ხოლმე — ყელში არ გადამცდე-ნოდა ის შედედებული ავშარაჯი და არ დავეხრჩე.

მაბოდებდა, მთელი ღამე შამფურივით ვტრიალებდი. შუა-ღამისას ნირკი შემოვიდოდა ხოლმე, დამაფარებდა თავზე

სველ პირსახოცს და მეტყოდა, კალორიები არა გყოფნის, თორემ ავადმყოფობა-ასე მაგრად ვერ დაგიგდებდაო.

ვკვნესოდი, თითქოს ზღვაც კვნესოდა გარეთ, ნირკი მაგიდასთან იჯდა, პაპიროსს ახვევდა და თან უსტვენდა.

Ах, шарабан мой —
«Американка!»
А я девчонка
Да шарлатанка!

გათენებისას ოფლში ვიწურებოდი, დღისით თითქოს არა-მიშავდა-რა. მალარია კვლავ მხოლოდ საღამოხანს დამრევდა ხოლმე ხელს.

ახლა მაგონდება — ციებ-ცხელება რომ შემეყარა, ის მეტისმეტად გონივრული ცხოვრების შექმნის აზრიც მაშინ ამეკვიატა. ძალიან დიდხანს ამ აზრს ვერაფერი მოვუხერხე, ვიტანჯებოდი, ბრძოლის თავი აღარა მქონდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სიკვდილის გარდა აღარაფერი მიშველიდა და ხშირად დანაცკი მითხოვია ნირკისათვის.

მალე ნირკი ფრაერმანმა შეცვალა. ღამღამობით ახლა ის შემოდიოდა ჩემს ოთახში და მპატრონობდა.

დილ-დილაობით კი კვლავ არა მიშავდა-რა. მთელი დღე ქინაქინის სმის მეტს არაფერს არ ვაკეთებდი. სმენა წამერთო, დამბლადაცემულივით ვკანკალებდი.

შეფიქრიანებულ ფრაერმანს ხშირად მოუყვანია ექიმები და ცხვირკეხიანი ბებერი აჭარელი ექიმბაშები ანუ „სახალხო ექიმები“, როგორც თვითონ ეძახდა. ისინი სპირტითა და გოგირდის ფხვნილით მკურნალობდნენ. სპირტს თურმე წიწაკასა

და კვერცხის გულზე აყენებდნენ. ფხვნილის ამბავმა ხომ მთლად გულმუცელი ამირია — ბევრი რამ გამეგო, მაგრამ პუდრში გამხმარი ობობას არევა კი არა.

ექიმბაშებს აღარ ვაექიმებინე, მარტო ქინაქინას მივანდე ჩემი ბედი და ციებ-ცხელებამაც თითქოს ცოტა მოიტეხინა. მაგრამ საბოლოოდ ჯერ მაინც გამოფხიზლებული არ ვიყავი.

უთვალავი ფუფხუნა

ბათუმი კვლავ მაოცებდა. როგორც სონია ფრაერმანი ამბობდა, ამ ქალაქს ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი „დაწყევლილი წარსულის გადმონაშთებისათვის". ზოგიერთ ამ ამბავზე უკვე ვთქვი. სწორედ იმ ხანად დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ბათუმს „ამ პოლიტიკის ხალხი" ზღვასავით მოაწყდა. „პორტო-ფრანკო", ანუ უბაჟო ვაჭრობა ყველას იზიდავდა.

ზღვის პირას ადგილი არ იყო, სადაც რომელიმე უცხოელი ფირმის კანტორა არ იდგა. რა ვიცი, რომელი ერთი ფირმა ჩამოვთვალო — ზოგს „სოსიფროსი" ერქვა, ან „ჯონ ვიტოლი და ვაჟიშვილები", ზოგსაც „ლოიდ ტრიესტონი" და „პაკე".

გასაყიდად ათასნაირი რამ ჩამოჰქონდათ, უმეტესად საბარინი, ვანილის ფხვნილი, ქალის ჩახსაკრავები, ტალ-კვესი, საათამაშო კარტი, პრეზერვატივები, ამძაღებული ლეღვის ჩირი, თმის შესაღები წამალი, ხმელი ზეთის ხილი და ნაყალბევი ძვირფასეულობა. ჩუმ-ჩუმად ოქროსა და ვალუტას ყიდულობდნენ, თვალის-ასახვევად კი — ხმელ ხილსა და ხარახურას.

ყველა ფირმას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ეროვნების მიუხედავად, ისინი ღვიძლი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. უმეტესად შავგვრემანი, ეშმაკის ფეხის მომჭმელი ახალგაზრდები იყვნენ. ხელში ქარვის კრიალოსნები ეჭირათ, ჭრელა-ჭრელა წინდები და შავი ჭვინტიანი ფეხსაცმელები ეცვათ. ყველას ბრილიანტი ჰქონდა წასმული და გალიპული თმა შავ სარკესავით ირეკლავდა ჭერში ჩამოკიდებულ ელექტრონათურებს.

ეგენი ფინიკიელთა შთამომავალნი არიანო, ხშირად ამბობდა ჩაჩიკოვი. რუსულს ყველანი კარგად ლაპარაკობდნენ, მაგრამ საუბრისას ჩაჩიკოვი რუსულ-ბერძნულ-ფრანგულ-ქართულ დიალექტს იშველიებდა. ის კი არა, ხანდახან ამ დიალექტზე სახუმარო ლექსებსაც წერდა.

როგორც წინათ, ჩაჩიკოვი ახლაც რაინდულად აღმერთებდა ლუსიენას, — ფინიკიელთა შთამომავლებში ხან პომადას უშოვნიდა ხოლმე და ხანაც ტუშს წამწამისათვის.

გატყუებენ, ნაყალბევ საქონელს გაძლევენ, ნეხვს შენზე ასაღებენო, ყვიროდა ლუსიენა, მაგრამ ჩაჩიკოვი ყურსაც არ იბერტყავდა.

ლუსიენამ პირდაპირი თქმა იცოდა. მიჩვეული ვიყავით, არავის არა გვწყინდა. ჩაჩიკოვს ისიც კი უთქვამს, ხან ჭერცოგის ასულივით და ხანაც საიმპერატორო თეატრის პრიმადონასავით იცის ლაპარაკი.

ერთხელ ჩაჩიკოვმა ჯერ „მაიაკის" რედაქციაში და მერე ბარცხანაშიც მოიყვანა ბათუმელი პოეტი ქალი ფლორა. მაღალი, ფერმკრთალი ქალიშვილი იყო, სიარულის დროს ლერწამივით ირწეოდა, ლექსებს თითქოს ანა ახმატოვას ხმით კითხულობდა.

ფლორა იმ პოეტ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, პოეზიით თავშეუკავებლად რომ იციან აღტაცება. გუმილიოვის, ბრიუსოვის ან ბაგრიცკის ახალ ლექსებს როცა ისმენდა, იტყვი ლოცულობსო, ისე აღაპყრობდა ხოლმე ხელებს და ცრემლს ვეღარ იმაგრებდა.

მასწავლებელი დედა ჰყავდა, მარტონი ცხოვრობდნენ. პატიოსანი ქალიშვილობა შარავანდედივით ამკობდა.

პირველხანს ფლორა თითქოს უფრთხოდა ლუსიენას, მაგრამ მალე დამეგობრდნენ და ჩუმ-ჩუმად გვკილავდნენ კიდეც. არც რესპუბლიკური გაზეთის „ტრუდოვოი ბატუმის“ თანამშრომელი ვალოდია მროზოვსკი დარჩენიათ გაუკილავი. მროზოვსკის ისინი ნაგერალს ეძახდნენ.

მროზოვსკი მორცხვი ახალგაზრდა იყო, თავაზიანობით ფრაერმანსაც აჭარბებდა. ცოტა უცნაური ხასიათი ჰქონდა, სულ უმნიშვნელო ამბავიც კი აღაფრთოვანებდა ხოლმე. მთავარს იმდენ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენსაც მეორეხარისხოვანს. მაგალითად, შაშს უფრო ეტანებოდა, ვიდრე ჭადრაკს, ნამდვილი თეატრის ნაცვლად, ქონდრის კაცთა თეატრს აქებდა, ფერწერას დიდად არ ეტრფოდა, სამაგიეროდ ჟურნალებიდან ლითოგრაფიულ სურათებს სჭრიდა და ინახავდა. რებუსებს, ანაგრამებს, აკროსტიხებს, ჩაინოვორდებს და-თავსამტვრევ სურათ-ნახატებს ამოუჭრელს არ გაუშვებდა.

ამ სურათ-ნახატებს ბეჯითად, გულმოდგინედ აგროვებდა. ზოგიერთ სურათზე, მაგალითად, უღრანი ტყე იყო აღბეჭდილი, ტყეში სპილოები დაძრწოდნენ, ქვეშ კი ასეთი გამომწვევი წარწერა ჰქონდა: „სად არის ჩვენი ლამაზი ქალი?“

სურათი იმდენხანს უნდა გეტრიალებინა, სანამ იმ უღრან

ტყეში დაკარგულ ლამაზ ქალს არ იპოვნიდი. მაღალ ფრანგულ ქუსლებზე შემდგარი ქალი სპილოს ფეხებსა და ხორთუმს, ხეებსა და ბუჩქებს ამოჰფარებოდა.

ვალოდია მროზოვსკის ამნაირი სურათების მთელი ალბომი ჰქონდა.

მიუხედავად ამ ობროდობისა, ვალოდია სასიამოვნო, ჩუმი და გულთბილი კაცი იყო.

აჭარა პირველად ზეიმობდა ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს. ამ ამბის გამო მროზოვსკიმ პატარა ქეიფი მოაწყო და ყველანი დაგვპატიჟა.

მროზოვსკი დედასთან ერთად ცხოვრობდა.

ერთი ძველი და ბნელი სახლი ჰქონდათ, ავეჯის მაღაზიას ჰგავდა, იმდენი რამ ეწყო. ყველაფერი შავი მუხისა იყო — კომოდიც, ბუჯერიც, სავარძლებიცა და ბუფეტიც.

მროზოვსკის ქართული სუფრა გაეშალა. უხვად მოეტანათ ტარხუნა, ქინძი, პიტნა, ლავაში და დედას პური, ჩახოხბილი და საცივი, შემწვარი სულგუნი, ვაზის ფოთოლში გახვეული დაკეპილი ხორცი და წითელი კახური ღვინო. არც ცხელ-ცხელი მწვადი გვაკლდა.

ლუსიენას უსიმღეროდ გაძლება არ შეეძლო. ყოველთვის სიმღერის ხასიათზე იყო. უამრავი ოდესური, ხარკოული, ნიკოლაევური და როსტოვული სიმღერა იცოდა. ლუსიენას ოდნავ ბოხი ხმა, ცოტა არ იყოს, შიშის ზარსა სცემდა მშვიდ მროზოვსკისა და ფლორას.

ბარცხანაშიც ბევრჯერ შევუშინებივართ ლუსიენას თავისი

უცაბედი სიმღერით. საუბრით გართულები (ხან ჭადრაკზე ვსაუბრობდით ხოლმე, ხანაც იმ თბილისელ პოეტებს ვახსენებდით, კაფე „არგონავტების ნავს“ რომ ეტანებოდნენ) ხშირად ფეხზე წამოვწოლილვართ, როცა ეზოში გასულ ლუსიენას ანაზდად შემოუძახნია:

Жил-был на Подоле
Ханм Шик,
Он был очень набожный старик!
Он молился богу,
Ходил в синагогу
И трефного кушать не привык!

იმის გამო, რომ საქართველოში ვიყავით, ლუსიენამ ბროზოვსკისს თავი მოიქაჩლა, მთელი ჩემი კავკასიური რეპერტუარი უნდა შევასრულოო.

ის იყო ლუსიენამ უბედური ხაზ-ბულატის სიმღერა დააკაკანა, რომ ქუჩიდან ღრიანცელი შემოგვესმა:

დაბერდი, გაჭაღარავდი,
ქალს აუცრუე გულიო!

ყველანი ფანჯრებს მივაწყდით. ტროტუარზე მთვრალები ისხდნენ, ბარგანაობდნენ და ლუსიენას მიერ წამოწყებულ სიმღერას ბანს აძლევდნენ.

ლუსიენამ ხელად გამოცვალა სიმღერა:

ქალაქ ნიკოლაევში
ფრანგს ქარხანა ჰქონდაო...

მაგრამ მთვრალები არ დაბნეულან, ხმაშეწყობილად შესძახეს:

ოცი წლისა ვიყავი,
ჩემი ქარი ჰქროდაო!

— სიმღერა როგორი უნდა, ახლა ვუჩვენებ მაგათ! — შესძახა ლუსიენამ და ჩაიკოვსკის ლირიკული რომანსი წამოიწყო:

არ გამაგონო, მეგობარო, კვნესა და ოხვრა...

უჩვეულო რამ ამბავი მოხდა, მთვრალებმა ხელად აიტაცეს სიმღერა და რომანსის მეორე სტრიქონი შემოსძახეს:

ერთად ვიაროთ, ჩუმად ვიაროთ...

ლუსიენა გაშმაგდა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ქართველებს უნდა ვაჯობო, მაგრამ ქართველების ჯობნა ეგრე ადვილი როდი იყო, ისინი შეხმატკბილებულად მღეროდნენ და ხანაც ლუსიენას სადღეგრძელოს სვამდნენ. ფლორა ერთ ადგილას მოკუნტულიყო.

მარტო მროზოვსკის მოხუცი დედა იჯდა მშვიდად. ბათუმში გაზრდილი ქალი იყო და ეგრე ადვილად არაფერი აკვირვებდა.

ლუსიენა დაიღალა და უკვე ფარ-ხმალის დაყრა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ამ დროს ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომ ქეიფი სულ გადაგვავიწყდა.

ქუჩაში რაღაცამ ჩაიქროლა შიშინითა და შხუილით. მერე აფეთქდა, თეთრად გადაანათა არემარე და ჩაქრა.

ალბათ შუშხუნაა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ აღარა ვთქვი, რადგან ცაში კი არა, პირდაპირ ქუჩაში ისროდნენ.

მთვრალმა ბიჭებმა ყვირილი ატეხეს. ახლა მეორე შუშხუნამ გაიშხუილა, მორყეულ სააფიშე ბოძს მოხვდა და ნაპერწკლებად იქცა. დამწვრის სუნი დადგა. ბიჭებმა ყვირილით ლამის ცა ჩამოიღეს.

ყველანი ვღელავდით. მოხუცმა მროზოვსკაიამ კი აუღელვებლად თქვა:

— წელიწადი ისე არ გავა, მაგათ რაიმე რომ არ მოიგონონ.

— ვინ მაგათ? — ვკითხე.

— ბათუმელებმა, — მიპასუხა. — ქუჩაში შუშხუნის სროლაც უეჭველად მაგათი მოგონილია

კარგად მოუფიქრებიათო, ჩაილაპარაკა სინიავსკიმ. ფრაერმანი აღტაცებული იყო. სონია ფრაერმანი ჩვენთან არ ყოფილა: მარტოდმარტო სიარული უყვარდა.

გადავწყვიტეთ, რომ ცოტახანს ქალაქში გაგვეევლო, მერე კი ბარცხანაში წავსულიყავით.

ბათუმში რომ გავედით, შუშხუნებს უკვე აღარ ისროდნენ.

ბათუმში უამრავი დროშა ფრიალებდა. ამ დროშების ნახევარი თურქული იყო. ბათუმელებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ახალი საბჭოთა დროშების აღმართვა.

ქალაქში მედუდუკეები და მედოლეები დადიოდნენ. ისინი, თითქოს ვინმეს საგანგებოდ შეურჩევიაო, უმეტესად დაბლები და სქელები იყვნენ, მწითურ სახეზე მოლურჯო ფერი დაჰკრავდათ, ალბათ იმიტომ, რომ თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს დუქანში ატარებდნენ.

ნავსადგურში რომ მივედით, აქა-იქ თითო-ოროლა შუშ-

ხუნა აიჭრა ცაში. მერე გუგუნი გაისმა, ქვემეხის გუგუნის მსგავსი. ხმა უფრო მთებიდან მოდიოდა.

ამ გუგუნს უთვალავი შუშხუნა მოჰყვა. მოულოდნელად მთელი ცა თვალის მომჭრელად აციმციმდა და თეთრად მოქათქათე ვარსკვლავებით აივსო.

ვარსკვლავები ჩაქრობას ვერ ასწრებდნენ, ცას ახალ-ახალი შუშხუნა აკრთობდა.

მაგნიუმის მოციმციმე შუქი მოედო ქალაქს, ნავსადგურს, ბაზარს, ბაღჩა-ბაღებს, მიმტკნარებულ ზღვას და ღუზაჩაშვებულ ხომალდებს.

ბათუმი თოვლისფრად ბდღვრიალებდა, ირგვლივ დენთის სუნი იდგა. იქაური ცეცხლწაკიდებული ცა ალბათ ანატოლიიდანაც ჩანდა.

გზაში ნირკს შევეჩეხეთ. შუქზეიმი ბათუმში ორ დღეს გასტანს, ამ ორ დღეში რამდენიმე ათას შუშხუნას აისვრიან ცაშიო, გვითხრა ნირკმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბათუმის ციხე-სიმაგრეში საბრძოლო შუშხუნების დიდი მარაგი ჰქონიათ. იმ შუშხუნებს ვადა გასვლოდათ, ვადაგასული შუშხუნა კი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თავად აფეთქებულიყო. ვიდრე უბედურება არ დაგვტეხია თავს, ავდგეთ და ცაში ვისროლოთო, გადაუწყვეტია ციხე-სიმაგრის კომენდატს. თანაც დღესასწაულმა მოუსწრო.

მეორე დღეს ნირკმა ისიც გვითხრა, რომ იმ ღამეს ბათუმისაკენ მომავალი გემები დიდად შეეფიქრიანებინა გაბდღვრიალებულ ცას და ზოგიერთს რადიოთიც კი ეკითხა, ბათუმის ნავსადგურში რაიმე საშიშროება ხომ არ მოგველისო. რამდე-

ნიმე გემს პასუხისათვის არცკი დაეცადა, პირდაპირ ფოთისაკენ წასულიყო.

შუშხუნა შუშხუნაა, მაგრამ ბათუმში თან ისეთი აურზაური და ხორხოცი იდგა, რომ ახალჩასულს თავზარი დაეცემოდა. მოსახლეობის მთელი ბგერითი სიმდიდრე (თუ შეიძლება ასე ითქვას) იმ პირველსავე ღამეს დაიხარჯა.

მოსახლეობის ბგერითი სიმდიდრე-მეთქი, რომ ვთქვი, უწინარეს ყოვლისა პატარა ბიჭების ჟრიამულსა და ჟივილ-ხივილს ვგულისხმობდი, მერე სიცილ-ხარხარს, საზანდრის კვნესას, ტაფაზე დასახლელად დაყრილი წაბლის ტკაცატკუცს, გიტარის დუდღუნსა და ჩანჩქერივით მოხეთქილ მოძახილს — ვინ იცის. რაღა არა ჟღერს და რანაირი ხმა აღარ ისმის ზღვისპირა ქალაქში ზეიმის ჟამს.

რაც უფრო გარეუბნისაკენ მივიწევდით, ჟრიამული კლებულობდა, მაგრამ სიმღერა მაინც ისმოდა აქეთ-იქიდან. თითქოს ყოველ სახლში მღეროდნენ, ის კი არა, მეზღვაურებიც სიმღერის ჟინს შეეპყრო.

ერთ-ერთ ხომალდს კარგახანს ვუტორღიალეთ შორიახლო, გვინდოდა გაგვეგო, რა ენაზე მღეროდნენ მატროსები.

მერე ბონდი გადავიარეთ და ნავსადგურსაც გავცდით. ქალაქი კვლავ გაჩირაღდნებული იყო, მაგრამ ბარცხანაში ჟრიამული ზღვის შორეული ხმაურივითღა აღწევდა. შუშხუნას შუქზე მთები ოდნავ ილანდებოდნენ. ამ უცაბედი შუქით შეშინებული ტურები საცოდავად კიოდნენ მთებში.

ბარცხანაში აივანზე ვისხედით და ხუხალა მაჭარსა ვსვამდით. დღესასწაული ჩვენგან შორს ხმაურობდა. ის ხმაური ჩანჩქერის ყრუ ბუბუნსა ჰგავდა.

მე ყოველთვის მიყვარდა დღესასწაულებისა და სოფლური ლხინის ხმაური, სივრცე-მანძილით შელახული და შესუსტებული. ამგვარ ხმაურში კაცი თითქოს უფრო ადვილად ფიქრობს, ოცნებით ფრთაშესხმული ხან ვენეციის კარნავალს ეწვევა და ხანაც იმ დღესასწაულის მონაწილეა, მწერალ ალექსანდრე გრინს რომ აქვს აღწერილი თავის რომანში, რომელსაც „ტალღებს აყოლილი“ ჰქვია.

ხშირად მიფიქრია, ამნაირი მხიარული დღეები ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებენ და ყველა ჩვენგანს იდუმალების ბადეში გვხვევენ-მეთქი. ხანდახან ისინი ოდნავ გასაგონად გვიხმობენ ხოლმე ზღვის მხრიდან, სადაც აკვამარინის ვიწრო ზოლივით ანთია განთიადი.

ჩირაღდნები ვარსკვლავებივით ციმციმებენ და კრთიან. თავს ველარ წაართმევ ზმანებას, სიბნელეში ანაზდად იგრძნობ, როგორ დაგაცხრებიან ცხელი ბაგენი და გულს მოგიკლავს საწყალობელი ქვითინი ძველი ვიოლინოებისა, რომელიღაც ჯადოქარმა „ვიოლ დ' იამურ“ რომ დაარქვა.

ყოველი ნამდვილი დღესასწაულის გულში (დღესასწაული კი მხოლოდ მაშინ არის მართალი, როცა ჩვენს სულიერ სიმაღლესა და სიხარულს გამოხატავს) დაფარულია რომანტიკული ან გმირული ამბავი, ძალიან ხშირად კი სიყვარული.

მაჭარმა შეგვაქეიფიანა და, როგორც ყოველთვის, ახლაც ლაპარაკისა და ფილოსოფოსობის გუნებაზე მოგვიყვანა. პირველი მე ავდექი და ვთქვი, ამქვეყნად თითქმის ყოველ სიხსლისღვრაზე წიგნია დაწერილი, დღესასწაულების ისტორია კი დღემდე არავის დაუწერია-მეთქი.

დედამიწის ზურგზე უამრავი დღესასწაული იცის. საზღვაო

დღესასწაულის დროს ნაპირს ბდღვრიალი გააქვს, გემებისა და ხომალდების შუქი ეცემა, თითქოს აქოჩრილი ზღვაც ვეღარ ისვენებს. ხალხი ხშირად იმ მწერლების, მხატვრებისა და პოეტების პატივსაცემადაც აწყობს დღესასწაულს, ჩვენი გულის ყამირს რომ სტეხენ და კეთილი ჭირნახული მოჰყავთ.

გულცივი მიშა სინიავსკიც აღელდა, ვეღარ მოითმინა და თქვა, ცუდი არ იქნება, თუ არქიტექტორ პალადიოს ღვთიურ ნახელავსაც რაიმე დღესასწაულს მივუძღვნიდითო. მიშამ, ცხადია, მეტისმეტი მოინდომა.

მეშუშხუნეებს მხოლოდ განთიადმა დაუცხრო ჟინი. თავი ტახტზე მივდე და, როგორც იყო, ჩამეძინა, მაგრამ ძილში კვლავ ვგრძნობდი, გრილი იოდოვანი ჰაერი სახეში რომ მცემდა.

პირქუში ზამთარი

ქარიშხლიან დღეებსაც თავიანთი ეშხი აქვთ. ქარიშხალი ათასნაირია — ხან მწვანე კორიანტელს აყენებს, ხანაც თიხასავით ყვითელს, ზოგჯერ ნაცრისფერს ან სულმთლად შავს.

ზამთარი დადგა თუ არა, ბათუმში მწვანე ქარიშხალი ამოვარდა. ჰაერი კომბოსტოს მწნილის წვენს დაედარა. ზღვაც აიმღვრა, მხოლოდ ნაპირთანღა კამკამებდა წყალი. მაგრამ ღრუბლიან ამინდში ისიც ნაცრისფერი ჩანდა.

ქარიშხალი თანდათან მძაფრდებოდა, დაჭრილი ნადირივით ღმუოდა. ღმუილი არც დღისით წყდებოდა, არც ღამით. ტალღები ფაფარაშლილი აყალყული ცხენებივით აწყდებოდნენ ნა-

პირს, ანაზდად ჩაყურყუმალავდებოდნენ და ზღვის ზედაპირზე ქაფის თეორ კვალს სტოვებდნენ.

გემებს იშვიათად თუ მოვკრავდი თვალს, შუქურაც უღიმღამოდ ციმციმებდა, თითქოს ამბობდა, ჩემი შუქი მაინცდამაინც აღარავის სჭირდებაო.

წვიმიან დღეს ზღვა სრულიად არა ჩანდა. მთებში თრვლი ნოვიდა. როგორც მეზღვაურები ამბობენ, თითქოს არარაობად იქცა „ხილვადობა“. ამ გარემოებამ განსაკუთრებული სიმყუდროვე შექმნა ქალაქში. სივრცე თითქოს შეიკუმშა და ვიწრო ნისლიან რგოლში მოაქცია ბათუმი.

ქალაქი ძალზე პატარა ჩანდა: ბურუსმა შთანთქა შემოგარენი. მხოლოდ ტროპიკული მცენარეულობისა და ნესტიანი მიწის სუნი აგრძნობინებდა ადამიანს, რომ იქვე, სულ ახლოს მიმალულიყო სამხრეთის მცხუნვარე გული თავისი უჭკნობი ყვავილებით.

ჩემი ფიქრით, პირქუში ზამთარი წლის საუკეთესო დრო იყო ბათუმში. მხოლოდ ერთი კარგი ლაბადა და მაგარი ფეხსაცმელი უნდა გქონოდა.

ლაბადა და ფეხსაცმელი ნირკმა მაშოვნინა. რაკი წვიმისა აღარ მეშინოდა. ავიღებდი ხოლმე თავს და თითქმის ყოველდღე დავდიოდი ბარცხანაში მიშა სინიავსკისთან.

ჩემი პატარა და მოკრძალებული გაზეთი „მაიაკი“ (რატომღაც მოკრძალებული მეჩვენებოდა მუდამ) ახლა მხოლოდ ერთხელღა გამოდიოდა კვირაში, ოთხჯერ გამოსვლა შეუძლებელი გახდა: მეზღვაურთა ბათუმის კავშირს, ისევე როგორც ოდესისას, ფული აღარა ჰქონდა. სამუშაო თითქმის აღარ იყო. ასოთამწყობი „მეძინება“ დილიდან საღამომდე თავჩაქინდრუ-

ლი იჯდა და მართლა ეძინა. წვიმის ხმაური ნანასავით ჩაესმოდა ყურში.

სწორედ საძილე ამინდი იდგა. მიხაკის სუნით გაჟღენთილი ჰაერი ბანგივით ათრობდა კაცს (ჩვენი გამჭვარტლული სტამბის გვერდით რომ პატარა ბაღჩა იყო, მიხაკი იქ გვეთესა). მომთენთავი თბილი ზღვაურიც თუ ჰქროდა, მთელი დღე ხაშხაშნაჭამივით დავდიოდით.

ძილისთვის რომ თავი დამეღწია, წამოვისხამდი საწვიმარს და ბარცხანის გზას დავადგებოდი ხოლმე. გზად ნავსადგურის დუქანში შევივლიდი წასახემსებლად. იმ დუქანს „საწყალი მიშა“ ერქვა. ფანჯრის მინაზე მეზურნესავით ლოყებდაბერილი სქელი კაცი იყო ზეთის საღებავით მიხატული. სურათს წარწერა ჰქონდა: „ჩვენი საწყალი მიშა პურს ამ დუქანში სჭამდა“. ამბობდნენ, ამ ცოტახნის წინათ, ვიდრე დუქანში სიარულს დაიწყებდა, მეორე ფანჯარას შიმშილისაგან გადამღრძვალი იგივე მიშა ეხატაო.

მაგრამ მინა ინგლისელ მატროსებს ჩაემტვრიათ ჩხუბში და ახლა მარტოდმარტო იყო მხოლოდ ერთი პურნაჭამი მიშა.

დუქანი მინით გადაეტიხრათ ორ პატარა დარბაზად. სამზარეულოს გვერდით „გიაურთა“ დარბაზი იყო, მეორეს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, იქ მარტო მართლმორწმუნენი უნდა შესულიყვნენ.

დამგეგმავს ყველაფერი ზუსტად გამოეანგარიშებინა. მართლმორწმუნეთა დარბაზში ღორის ხორცი და ღვინო არ შეჰქონდათ, მიმტანი ცოდვიანი საჭმლით შემთხვევითაც კი არ უნდა შესულიყო იქ.

„გიაურთა“ დარბაზში ცხარე, ქაფქაფა ხარჩოსა ვჭამდი. მო-

ქეიფენი მედუქნის ვალს შეორთქლილ ფანჯრებს აწერდნენ თითით. ღია კარს დაინახავდნენ თუ არა, დარბაზში ბელურები შემოფრინდებოდნენ ხოლმე, საცა ერთ ნამცეცს მოჰკრავდნენ თვალს, მიესეოდნენ და ხელად აჰკენკავდნენ. მოქეიფე ხალხს თითქოს აღარაფრად არ აგდებდნენ — ხანდახან ჩხუბიც კი მოსდიოდათ.

მოქეიფენი ცალფეხმოკეცილნი ისხდნენ. დუქანში წინდების ამარა შემოდიოდნენ, ქალამნებს გარეთ სტოვებდნენ, მაგრამ თუ ვინმე უცნობ სტუმარს დაინახავდნენ, ფეხს ხელად ქალამანში ჩაჰყოფდნენ. უცნობთან წინდების ამარა ჯდომა სირცხვილად ითვლებოდა.

მწვადს წითელ ღვინოს ვაყოლებდი. ღვინოს ცოტა ტიკის გემო ჰქონდა, მაგრამ ხელად შემათრობდა ხოლმე. ნელნელა ვსვამდი, პაპიროსსაც ნელნელა ვახვევდი და ამ ნელნელაობაში ფიქრი წამომეპარებოდა. ერთ ადგილს ვიჯექი, მაგრამ, ჩემი ჭკუით, ვითომ ვსაქმიანობდი კიდეც.

ცოტა იკლიკანტური, მაგრამ საკმარისად ზუსტი ენით რომ ვთქვა, იმ ჩემი საქმიანობისათვის შეიძლება „მოგონებობანა" დამერქმია. მოგონებანი ნამდვილად დამტრიალებდნენ, თავს ველარ ვართმევდი, მაგრამ გარდასულ ამბებს და ადამიანებს კი არ ვიგონებდი, არამედ ძვირფას ადგილებს, სადაც დრო მიტარებია ან გამორჩეულ, გულისგულ ლექსებს.

მარტო ამას ვიგონებდი, სხვას არაფერს.

ამნაირი საქმიანობა უბოროტოა და ჭკუასაც ასწავლის კაცს.

ჭკუის სწავლება ის იყო, რომ ჩემს ცხოვრებას, თითქოს განზე გამდგარი, ნაწილ-ნაწილ ვიგონებდი, ახალი თვალით ვწონიდი და ვცდილობდი თავი ამერიდებინა წარსულის შე-

ცდომებისათვის. ამას ყოველთვის ვერ ვახერხებდი, მაგრამ ცდა და მეცადინეობა რწმენით მავსებდა, რომ ამქვეყნად მარტო „ღვთის ანაბარა“ არ ვიყავი და ჩემი ბედ-იღბალი ხელში მეჭირა. ხშირად ძალიან მწარედ გამტეხია გული, როცა რწმენას უღალატნია, მაგრამ ამ რწმენისათვის ზურგი მაინც არ შემიქცევია.

მჯეროდა, რომ სწორედ ეს რწმენა იყო, როგორც ნირკი ამბობდა, ჩემი ცხოვრების „მხსნელი რუმბი“.

მეკურტნე

დუქანს ერთი დიდი ფანჯარა ზღვის მხარესა ჰქონდა. იქიდან ნავთიანი წყალი და დამპალი ხიმინჯები მოჩანდა. თუ დუქანში შეევლიდი, უეჭველად იმ ფანჯარასთან უნდა დავმჯდარიყავი.

როცა დარბაზში შეხუთული ჰაერი იდგა, გამოვაღებდი ხოლმე ფანჯარას და წყლის გრილი ნიავი სულს მომათქვეინებდა, თუმცა სიგრილესთან ერთად ნიავს მაზუთის სუნიც მოჰქონდა.

დუქანში უმეტესად მეკურტნე მუშები დადიოდნენ. ახალგაზრდობაში დუქნის პატრონიც თურმე მეკურტნე იყო, მერე ცოტაოდენი ფული ეშოვნა, დუქანიც შეეძინა, მაგრამ თვისტომი მუშა-ხალხის სიყვარული არ დავიწყებოდა, იაფად და ნისიად აჭმევდა.

ნავსადგური დღედაღამ მუშებით იყო სავსე. ისინი პურის ფულის საშოვნელად ერთმანეთს აწყდებოდნენ. მაგრამ სამუ-

შაო ძალიან ცოტა იყო, ნახევარსაც არ ჰყოფნიდა და ამიტომ უფრო ხშირად ნავსადგურის საწყობებთან იწვნენ და ეძინათ. თითქმის ყველამ ერთნაირი წოლა და ძილი იცოდა: მოიკუნტებოდნენ, დაკოჟრილ ხელებს მუხლებშუა დაიწყობდნენ. დაღლილები და მშივრები ძილშიღა პოულობდნენ ხსნას.

ჯაფას თავისი დაღი დაესვა — ხელები მუხის ფესვებივით დაგრეხილი ჰქონდათ. ნაცრისფერ კანს ლურჯად ეტყობოდა სისხლგამშრალი ძარღვები. ქანცგაწყვეტილი მუშა ძილში რომ გაპარულიყო, არავის არ გაუკვირდებოდა.

მუშებს დუქანში ჯდომა და მასლაათი უყვარდათ. უცბო სტუმარს თუ მოჰკრავდნენ თვალს, ხელად ცალკე მაგიდას დაუთმობდნენ და ხმასაც დაუწევდნენ ხოლმე. ჭამით, ცოტასა სჭამდნენ. ნელ-ნელა აცმაცუნებდნენ ტუჩებს, თითქოს ყოველ ლუკმას იგემოვნებდნენ.

ოღონდ სამუშაო ეშოვნათ და ტვირთის სიმძიმე არაფრად არ მიაჩნდათ. ერთხელ ჩემი თვალით დავინახე, როგორ წამოიკიდა ტანდაბალმა მუშამ როიალი. იჭიფხებოდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა საცოდავი.

ისინი უმეტესად აჭარელი გლეხები იყვნენ. ღმერთმა შეძლება მოგცეთ-მეთქი, ვამბობდი ხოლმე გულში. საქონელი ვერ აიტანდა იმდენს, რასაც ის მუშები იტანდნენ. თანაც ძალზე მშვიდი ხასიათი ჰქონდათ. იმნაირი უწყინარი, უბოროტო და ხათრიანი ხალხი არც შემხვედრია ცხოვრებაში.

ყველანი ატყუებდნენ, თავში ურტყამდნენ საწყლებს.

დავინახავდი თუ არა, უეჭველად უნდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ისინი მხოლოდ მიღიმოდნენ. მაჰმადიანთა მთელ ფატალიზმს თითქოს იმ ხალხში მოეყარა თავი და ძნელად სა-

თრევ ტვირთად ქცეულიყო. ერთადერთი რამ, რის უფლებასაც თავიანთ თავს აძლევდნენ კურტანაკიდებული მუშები, ის იყო, რომ შვებით ამოისუნთქავდნენ ხოლმე, როცა ტვირთს ძირს დააგდებდნენ და ოფლიან დაშაშრულ სახეს ჩამოიწმენდდნენ.

ფულს არასოდეს არ ითვლიდნენ, ზედაც არ უყურებდნენ, გამოგართმევდნენ და განიერი შარვლის ჯიბეში ჩაიდებდნენ. გულუბრყვილონი იყვნენ, ადამიანის ნდობა იცოდნენ. მაგრამ თუ ვინმე მოატყუებდა, დაკარგულ ფულს კი არა ჩიოდნენ, უნამუსობას ვერ იტანდნენ და წუხდნენ — მატყუარა კაცს რატომ ფეხქვეშ მიწა არ უსკდებაო.

მეკურტნეს რამდენიმე კაპიკიც რომ ეშოვნა დღეში, დიდი ბიჭობა იყო.

ერთხელ აქვითინებულ მოხუც მუშას დიდხანს თვალი ვერ მოვაცილე. კედელთან მიმჯდარიყო, სახეზე ხელები აეფარებინა და ქვითინებდა. თავს დედაბერი წამოსდგომოდა. დედაბერი ხელებს იქნევდა და ბრაზიანად ელაპარაკებოდა.

მოხუცი პასუხს არ აძლევდა, ბავშვივით ზლუქუნებდა. ამვლელ-ჩამვლელი ხალხი მხრებს იჩეჩავდა, ზოგიერთი შედგა კიდეც და ნაღვლიანი მზერა მიაპყრო აზლუქუხებულ ბერიკაცს.

აქაოდა ჩემი ლაპარაკი არ ესმის, ხალხი შემოგვეხვიაო, დედაბერმა ხელი ჩაიქნია და ბაზრისაკენ მიმავალ ქუჩას ბორძიკით გაჰყვა.

ბერიკაცს ერთი ყუთაკიდებული ხნიერი მუშა დაადგა თავს. ფრთხილად ჩამოიღო ჭურჭლით სავსე ყუთი, ძირს დადგა და მხარზე ხელი მოუთათუნა თვალცრემლიან ამხანაგს. ბერიკაცმა

ქუშიანი ცხენივით ძლივს წამოსწია ტანი და წამოდგა. ფეხები უკანკალებდა, ხნიერმა მუშამ. ყუთი კურტანზე დაადგა ბერიკაცს, ჯიბეში თურქული ლირა ჩაუგდო და კარგახანს თვალი არ მოუშორებია, ვიდრე მან სადგურისაკენ არ გაუხვია.

მივხვდი, რომ ხნიერმა მუშამ წინასწარ აღებული თავისი გასამრჯელო მისცა ბერიკაცს. ჩემს გარდა, მგონი არავის არ შეუნიშნავს, რაც მოხდა, ხნიერმა მუშამ კი დამნაშავესავით გაიღიმა და თქვა:

— რას იზამ, მამად მერგება.

როცა დუქანში მუშა ხალხის გვერდით ვმჯდარვარ, ხშირად მიფიქრია, მაგათ სიღატაკესა და უუფლებობას ბოლო არ მოეღება, თუ არ გაერთიანდნენ და არ შეკავშირდნენ-მეთქი.

მაგრამ თავი როგორ მომება ამ საქმისათვის, არ ვიცოდი. ამიტომ გადავწყვიტე ნირკს მოვლაპარაკებოდი. პროფკავშირულ საქმიანობაში გამოცდილი კაცი იყო.

ნირკმა გაიღიმა, მოწკურული თვალები მომაპყრო, ცოტახანს მონუსხულივით მიცქირა, მერე ქუდი ჩამოიფხატა და მითხრა:

— მადლიანი იდეაა. განსაკუთრებით სუბტროპიკული ზღვისპირის პირობებში, ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა. პასუხს ყველაფრისათვის მარტო მე ვაგებ. შენ ლირიკული პოეტი ხარ და, როგორც ცნობილია, პოეტებს თავიანთი საქმე აქვთ.

ნირკი ჩაფიქრდა და, თითქოს წელანდელი ნათქვამი აღარც ახსოვსო, ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— ზედგამოჭრილია, ჩვენს პირობებში სწორედ ეგ ხალხი უნდა იყოს და იქნება კიდეც პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენი.

სამწუხაროდ, მართლა ვერ ამოვუდექი ნირკს მხარში. კვლავ მალარია დამეძგერა. მაგრამ მუშების ერთხელ შეკრება მაინც მოვასწარით, მანამდე კი მუშებისადმი მოწოდებაც დავბეჭდეთ „მაიაკში“.

კრება ნავსადგურის ერთ-ერთ პაკჰაუზში გავმართეთ. მუშებმა საგულდაგულოდ დაგავეს პაკჰაუზი და ლენინის სურათიც ჩამოჰკიდეს. ერთმა მოხუცმა მუშამ ფერად-ფერადი ძაფი არშიასავით შემოავლო სურათს.

კუთხეში რამდენიმე მოხუცი მტვირთავი იჯდა. ერთ დროს მთელი ნავსადგური ხელში ეჭირათ თურმე, მაგრამ ახლა ყავლი გასვლოდათ და ყურებჩამოყრილნი ისხდნენ.

ნირკმა საქმიანი სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ თვალები მაინც უღიმოდა.

მერე ყველაზე ხნიერმა და ყველასაგან პატივცემულმა მუშამ ილაპარაკა. თუმცა კი არ ილაპარაკა, იყვირა, ვიღაცას დაემუქრა, მიწისფერი მუშტი მოუქნია, მერე უცებ დადუმდა და, ცრემლი რომ ვეღარ შეიმაგრა, სწრაფად გავიდა გარეთ.

კრინტი არავის არ დაუძრავს. ბერიკაცი მალე შემობრუნდა. სახე ბავშვივით უღიმოდა, არც აქეთ გაუხედია, არც იქით, მივიდა და გულში ჩაიკრა ნირკი.

მუშები წამოიშალნენ, აჟრიამულდნენ. „შვილი მოაგონდა, შვილი, — ერთმანეთს ხმადაბლა ეუბნებოდნენ მუშები. — მაგის ბიჭისთანა მთელი შავი ზღვის არემარეში არავინ არ დადიოდა“.

ბერიკაცმა რაღაც შეჰყვირა, იქვე მჯდომ ორ მუშას მხრებში ჩააფრინდა და აცუნდრუკდა. ბერიკაცის ცეკვამ თითქოს ყველანი ეშხზე მოიყვანა. მუშებმა ხელი გადაჰხვიეს ერთმა-

ნეთს და იმ ბერიკაციკვით მძიმე-მძიმედ დაირწნენ. ეს იყო, როგორც მაშინ ვიფიქრე, „დაღლილი მუშების ცეკვა“. სხვა სახელს ვერ დაარქმევდა კაცი. გარეთ უკვე ხალხს მოეყარა თავი და მალე ცეკვის რიტმს აყოლილი ტაშის ხმაც გავიგონეთ.

მერე მუშები მთელი დღე მთვრალებივით დადიოდნენ.

ასე შეიქმნა მუშების კავშირი, რომელიც ცოტა ხანში ტრანსპორტის მუშაკთა კავშირად გადაიქცა.

მალარიამ თავგზა დამაკარგვინა. მთელი ღამე გული მელეოდა, დილით სისუსტისაგან ვეღარ ვლაპარაკობდი და გულის კანკალით ველოდი დღის სამ საათს, როცა ძარღვების ტეხვა უნდა დამწყებოდა, რაც კარსმომდგარი ციებ-ცხელების ნიშანი იყო.

წამლად ლილას მახმარებდნენ.

ერთმა ფეხსაცმლის მწმენდავმა ქურთმა, როგორც თვითონ მითხრა, მალარიის უებარი წამალი მაჩუქა — გულამოცლილ კაკალში ჩატენილი გამხმარი ობობა, მაგრამ ვერც ამ სასწაულმოქმედმა წამალმა მიშველა.

ნავსადგურის ექიმს ვეჩვენე თუ არა, იმ წუთას მითხრა, ნუღარ გადასდებ, დღესვე თბილისში წადი, თუ გავლაა, მალარია მხოლოდ იქ გაგივლისო.

რამდენიმე დღეში გაზეთი „მაიაკი“ მროზოვსკის გადავეცი და ფრაერმანთან ერთად თბილისს მივაშურე.

ბათუმში უკანასკნელ სამ თვეს, გარდა ჩემი „მაიაკისა“, რესპუბლიკურ გაზეთ „ტრუდოვოი ბატუმშიც“ ვიმუშავე. გამომშვები ვიყავი.

არ მინდა ისე მივატოვო თქვენთან ერთად ბათუმი, რომ ორიოდე სიტყვა მაინც არ მივუზღა იქაური ცხოვრების ამ ხან-

მოკლე, მაგრამ შინაარსიან ხანას, როცა ჩემი მეგობარი და მასწავლებელი მოულოდნელად გახდა იმ დროს ფრიად სახელგანთქმული მოჭიდავე, ფრანგულ ჭიდაობაში რუსეთის ყოფილი ფალავანი დოვგელო.

ბავარიელმა შტეინბახმა ხელი რომ მოსტეხა, დოვგელოს სამუდამოდ მიატოვა ჭიდაობა და თავის ძველ კარგ ხელობას დაუბრუნდა — ვიდრე ცირკში მუშაობას დაიწყებდა, იგი ჯერ ასოთამწყობი იყო, მერე კი მეტრანპაჟი.

„ტრუდოვოი ბატუმი“ სადაც იბეჭდებოდა, დოვგელოს იმ სტამბაში შევხვდი.

მოჭიდავე დოვგელო

მეტრანპაჟი დოვგელო ხორცშესხმული მოთმინება იყო.

დოვგელოს თავისი ამქვეყნიური ფილოსოფია ჰქონდა: ადამიანს მრავალი სუსტი მხარე აქვს, მაგრამ, რა ვუყოთ, ამ ამბავს უნდა შევურიგდეთ, შემწყნარებლობა ძვირფასი რამ არისო. ერთი სიტყვით, ყოფილ მოჭიდავეს გულის ფიცარზე ეწერა სახარების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტეენ ქვაი მაგას ზედა“.

გარდა ამისა, დოვგელო უმეტესად ჟინიანობად, ახირებად მიაჩნდა ადამიანის საქციელი. თუმცა ხანდახან ვერც ახსნიდა ხოლმე ამ ჟინიანობისა და ახირების მიზეზს. ასეთ დროს დოვგელო დიდხანს იფხანდა სადგისით — მეტრანპაჟის განუყრელი იარაღით — ყურის ძირს და სდუმდა.

მართლა ძნელად ასახსნელი ჟინი იყო „ტრუდოვოი ბატუმის“ რედაქტორის მანერა მოწინავის წერისა. ძალიან მარჯვედ წერდა. ბოლო აბზაცი რომ აგეღოთ და წერილის შუაში ჩაგესვათ, შუა აბზაცი თავში გადაგეტანათ, ხოლო დასაწყისი — ბოლოში, ერთი მთლიანი უღიმღამო აზრი მაინც არ დაირღვეოდა.

ამიტომ ყოველი მოწინავე წერილის გაკაბადონება მრავალუცნობიანი ამოცანის ამოხსნას უდრიდა. თვითონ ჩვენი კორექტორი ბეცი სიმონიც კი (ძალიან განათლებული კაცი იყო) სასოწარკვეთილი მეტყოდა ხოლმე, მოწინავის ანაბეჭდებს რომ კითხულობდა:

— სულერთია, როგორც გინდათ, ისე ჩააწყეთ. პასუხი დამწერმა აგოს. ერთი ამნაირი წერილისაგან ასის დაწერა შეიძლება. საჭიროა წინადადებების მხოლოდ მექანიკური გადაადგილება. წერილში მარტო ორმოცდახუთი ფრაზაც რომ იყოს, გადაადგილების გზით თუ გინდა, ორიათას წერილს გამოიყვან.

მაგრამ რედაქტორს თურმე კარგად ახსოვდა თავის დაწერილ მეთაურ წერილში რომელ აბზაცს რომელი უნდა მიჰყოლოდა და ყოველთვის აყალმაყალს ასტეხდა ხოლმე.

სიმონი ფილოსოფოს-კორექტორთა კატეგორიას ეკუთვნოდა. საკორექტორო საქმის ყველა კანონი ზეპირად იცოდა. თავისუფალ დროს თავისი ხელით აწყობდა ამ კანონ-ლოზუნგებს და პაწაწინა საკორექტორო ოთახის კედლები აჭრელებული იყო.

მთავარი ლოზუნგი — „ხმაური კორექტორის უბოროტესი მტერია“, სააფიშო ასოებით იყო აწყობილი და, ერთის ნაცვლად, გაკვირვების ოთხი ნიშანი ჰქონდა მიბეჭდილი.

ამ ლოზუნგქვეშ შესასვლელ კართან უფრო წვრილად აწყობილი მეორე კანონი მიეწებებინა:

„მუშაობის დროს კორექტორს ნუ ჰკითხავთ, რაც საქმეს არ შეეხება. ნურც მიესალმებით“.

თვით საკორექტორო ოთახში კი სიმონს ორი მკაცრი გაფრთხილება გაეკრა:

„ყოველ ასოთამწყობს თავისი საკუთარი შეცდომები აქვს“ და „უშეცდომოდ ვერც ერთი ასოთამწყობი ვერ აწყობს“.

ამ უკანასკნელმა ჭეშმარიტებამ დიდად ააღელვა ახალგარდა ასოთამწყობნი, ძველები კი ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ: გამოცდილებით იცოდნენ, რომ სიმონი მართალი იყო.

ახალგაზრდების ჯანყმა ნახევარ საათსაც ვერ გასტანა. ხელად დაცხრნენ, როცა სიმონმა ერთი ყველაზე უკეთესი ახალგაზრდა ასოთამწყობის მიერ საგულდაგულოდ აწყობილი მასალის ანაბეჭდში სამი სერიოზული შეცდომა იპოვნა. რას იზამ, უშეცდომოდ აწყობა ძალიან ძნელი ამბავიაო, ნიშნისგებით კი არა, გულის წუხილით თქვა სიმონმა.

არც ჩვენ, ლიტერატურული თანამშრომლები დავავიწყდით სიმონს. მალე მან საგანგებო პლაკატით მიმართა „ყველა მწერალს და ლიტერატორს“:

„წერეთ გარკვევით და, შეძლებისამებრ, მოკლედ. ნუ დაივიწყებთ, რომ თუნდაც პატარა, ათთაბახიანი წიგნის წაკითხვისას კორექტორმა თვალებით ერთ კილომეტრზე მეტი მანძილი უნდა გაიაროს“.

ვინც კი, ცოტად თუ ბევრად, რამეს ვწერდით, ამ პლაკატმა კანკალი დაგვაწყებინა. ყველანი ნამდვილად ვცდილობდით, რომ მოკლედ და გარკვევით გვეწერა, მაგრამ ყოველთვის მა-

ინც ვერ ვახერხებდით. ნათქვამია, ცოდო გამხელილი სჯობიანო, — გარკვევით წერა ვერა და ვერ ვისწავლე. რაც შეეხება სიმოკლეს, წინანდელთან შედარებით, ახლა უფრო მოკლედ ვწერდი.

დაკაბადონებას რომ მოვათავებდით, სიმონი, დოვგელო და მე ანაბეჭდებით სავსე მაგიდას მივუსხდებოდით ხოლმე და ჩაის შევექცეოდით. სიმონს თავისი ძველი პალტოს ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა გამხმარი კვერი. ჩაის დავასხამდით თუ არა, ხელდახელ ამოაძვრენდა. ხან ლიტერატურასა და პოლიტიკაზე ვსაუბრობდით, ხანაც კორექტურაზე და სხვადასხვა განმარტებით ლექსიკონზე. სიმონმა აჩემება იცოდა, ზოგიერთი სიტყვის გამო გაუთავებელ კამათს ასტეხდა, გინდა თუ არა, როგორც მე ვამბობ, ასე უნდა დაიწეროსო. ერთხელ აჩემებულ აზრს ლინგვისტების მსოფლიო კონფერენციაც ვერ შეაცვლევინებდა.

სიმონის ერთ-ერთი უცნაურობა ისიც იყო, რომ, ყველა კორექტორის საპირისპიროდ, დალი ავტორიტეტად არ მიაჩნდა. რუსულ ენას თავის ნებაზე ექცეოდა, მეტისმეტად იყენებდა დიალექტებს და ზოგჯერ სიტყვებს მაინცდამაინც სწორედ არ განმარტავდაო.

— მაგრამ, მეტი რა გზაა, — ამბობდა სიმონი, — ყველაფერი უნდა ვაპატიო, რადგან სულთმობრძავ პუშკინს დღედაღამ თავს ადგა.

თუ ვეტყოდი, დალის „სიტყვის კონა“ ხალხური პოეზიისა და მახვილსიტყვაობის საოცარი ძეგლია, მხატვრული ენციკლოპედიაა რუსული ცხოვრებისა და რომანივით ვკითხულობ-მეთქი, სიმონი მოწყალე თვალით გადმომხედავდა და გამხდარ მხრებს მაღლა ასწევდა.

ამ ამბის დასაწყისში ვწერდი, დოვგელო ხორცშესხმული გულკეთილობა იყო-მეთქი. მაგრამ ამ გულკეთილობის ბოროტად გამოყენებას ვინც მოინდომებდა, შეიძლება დიდი ფათერაკი დასტყდომოდა თავს.

დოვგელოს თავისი საამწყობო უჯრა ჰქონდა. ჩვეულებრივ განცხადებებსა და სახომალდო რეისების განრიგებს აწყობდა, და ამიტომ, ათასნაირი იკლიკანტური შრიფტის გარდა, იმ უჯრაში პატარა კლიშეებიც ეყარა. დოვგელო მხოლოდ ორი შემთხვევის გამო ჩასდებდა ხოლმე კლიშეებს განცხადებაში: როცა შემკვეთი მოითხოვდა ან როცა თავად მოსწონდა განცხადება.

სახომალდო რეისების განრიგისათვის დოვგელოს ნახევრად გაცვეთილი ძველი კლიშე ჰქონდა. იმ კლიშეზე ადამისჟამინდელი ბორბლიანი ხომალდი იყო გამოსახული თავისი ანძებითა და ათასნაირი მოწყობილობით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა დაიწყო თუ არა, მგონი, ცოტა უფრო ადრეც, ბათუმში კოსმეტიკის მრავალი შინაურული ინსტიტუტი და კერძო სახელოსნო გაიხსნა. სახელოსნოებში კორსეტებს, ლიფებსა და ქალის თავსამკაულს ამზადებდნენ.

თუ განცხადება რომელიმე ამ სახელოსნოსი იყო, დოვგელო ყურის ძირს სადგისით მოიფხანდა და თმაგაშლილი კოხტა ქალის კლიშეს მოძებნიდა. ასოთამწყობნი ჩუმ-ჩუმად ხან დოვგელოს შეხედავდნენ და ხანაც თვალს უპაჭუნებდნენ ერთმანეთს.

ერთხელ სიმონმა საიდუმლოდ მითხრა, დოვგელოს ცოლი, მგონი, პოტოცკაია ან კომაროვსკაია უნდა იყოს, რომელიღაც

პოლონელი გრაფისა თუ თავადის ქვრივი, ახლა ლიფებსა ჰკერავსო. ასოთამწყობნი სწორედ ამ ამბითა ხსნიდნენ დოვგელოს მოწადინებას, რაც შეიძლება ლამაზად მოერთო ის საკოხტაო განცხადებები.

სიმონის სიტყვით, დოვგელოს ცოლი ანჩხლი და ლამაზი, თანაც „მამალი" ქალი იყო. დოვგელო ცოლთან ყურებჩამოყრილი ზის, კრინტს არა სძრავს და ბოცვერივით მოკუნტულია. იმ ქალის ხელში არც გაუხარია და ვერც გაიხარებსო.

ცხვარივით უწყინარი დოვგელო მხოლოდ მაშინ ჰკარგავდა მოთმინებას, თუ სისხლს ყელში მოუყვანდნენ. მოთმინებადაკარგული კი გიჟი კამეჩივით საშიში იყო.

დოვგელოს პირდაპირ ერთი ახალგაზრდა ასოთამწყობი ნიკო მუშაობდა, ენაკვიმატი და ხუმრობის დიდად მოყვარული, მაგრამ, როგორც ასოთამწყობი, მაინცდამაინც ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდა. ჯავრიან გულზე დოვგელოს ერთი ათჯერ მაინც აუწყობინებია მასალა ხელახლა. ნიკოს სწყინდა, ჩაფერფლებოდა ხოლმე და შურის საძიებლად ახალ-ახალ ოინებს იგონებდა.

ნიკოს ერთი ოინი ალბათ არასოდეს არ დამავიწყდება. ერთხელ მოიმიზეზა, საქმე მაქვსო, სტამბაში დარჩა და, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, დოვგელოს საამწყობო უჯრის ფოსოები პურისა და გამხმარი ყველის ნაფხვენებით ამოავსო.

იმ ჩვენს სტამბაში უამრავი ვირთხა იყო, ალბათ უფრო მეტი, ვიდრე ტვირთმზიდავი საოკეანო ხომალდის ტრიუმში.

ვირთხები დღისითაც კი ფეხებში გვებლანდებოდნენ. დოვგელოს რაც ხელში მოხვდებოდა, დაუნდობლად ესროდა და მიზანს არ ააცდენდა — ვირთხა თავგაპობილი დაეცემოდა ხოლმე.

ნიკო არ შემცდარა: ვირთხები ჭყივილით შეესივნენ დოვგელოს საამწყობო უჯრას და კარგახანს იჯირითეს, პურისა და ყველის ჭამა-ჭამაში სულ აურდაურიეს ფოსოებში ასოები. უჯრის დალაგება-მოწესრიგებას კი ცოტა დრო, როდი უნდა.

მეორე დილით დოვგელოს პირკატა ეცა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, არეულ-დარეულ საამწყობო უჯრასთან ჩუმად იდგა დიდხანს. ნიკო თავის თანატოლ ბიჭებს თვალს უკრავდა, იცინოდა, მხიარულობდა, თავს უშიშრად გრძნობდა — ვირთხებს პურისა და ყველის ერთი ნამცეციც არ დარჩენოდათ შეუჭმელი და მეტრანპაჟს ხელთ არაფერი დასადანაშაულებელი საბუთი არა ჰქონდა.

მაგრამ რაკი დოვგელომ კარგა ხანს ხმა არ ამოიღო და თანაც სადგისით ყურის ძირს იფხანდა, ნიკოს, ცოტა არ იყოს, შიში შეეპარა და ფერიფურიც ეცვალა.

უცებ დოვგელო გორილას თათებივით გრძელი ხელებით კისერში სწვდა ნიკოს, მაღლა აიტაცა და სრულიად მშვიდად წაიღო ღია ფანჯრისაკენ. სტამბა მეორე სართულზე იყო. ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდნენ.

ნიკოს შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა, თავი აღარა ჰქონდა, რომ გასძალიანებოდა. დოვგელოს მკვდარი კნუტივით ეჭირა ოინბაზი ბიჭი.

სტამბა სამარეს დაემგვანა, წამით ისეთი დუმილი ჩამოწვა.

დოვგელომ ფრთხილად გადაყო ფანჯარაში ხელები და, დაბლა სახანძრე ქვიშა რომ ეყარა, ნიკომ ზედ მოადინა ზღართანი.

ყოფილმა მოჭიდავემ ხელები შეიმშრალა, თავის უჯრასთან მივიდა და თქვა:

— გაფრთხილებთ! ყველას გაფრთხილებთ! თავი არავინ შემომაკლათ!

რომელიღაც ასოთამწყობმა ჩუმად ჩაიქირქილა. დოვგელო ნაკბენივით შემოტრიალდა, ხელები მომუჭა და ნელა დაიძრა გულმხიარული ასოთამწყობისაკენ.

თუ დამიჭირა, ხეირს არ დამაყრისო, გაიფიქრა შეშინებულმა ბიჭმა და ტყვიასავით გავარდა გარეთ. იმ ასოთამწყობს თითქმის ყველანი მიჰყვნენ, იხუვლეს და ეზოში გაცვივდნენ, თანაც უკან იცქირებოდნენ. სტამბაში ერთი აურზაური და ალიაქოთი ატყდა.

ნიკო სამ დღეს ყასიდად კოჭლობდა, ფერი აღარა ჰქონდა, ყველასაგან შორს ეჭირა თავი. დოვგელო კი ჩვეული გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებდა იმ კერძო სახელოსნოს განცხადებას, ბათუმელ ქალებს გულმკერდის ასამაღლებელ ახალ საშუალებას რომ სთავაზობდა. თმაგაშლილი კოხტა ქალის კლიშე კვლავ თავის ადგილას იდო. ქალს ბრილიანტი უმშვენებდა მკერდს. ბრილიანტის ირგვლივ ათიოდე წვრილი ხაზი იყო მიმოფანტული. ეგენი უბრალო ხაზები არ გეგონოთ, ბრილიანტი როცა ბრწყინავს, სხივებს აფრქვევსო, ამბობდა დოვგელო.

კვლავ მომენატრა სამოვრის ბოლი

ბათუმი ჩემთვის „ტვირთგადასასროლი წერტი“ იყო. იქ არავითარი ფესვი არა მქონდა გადგმული და ცხოვრებასაც არ ვაპირებდი.

სულ უფრო ხშირად ვდარდობდი მოსკოვზე, მენატრებოდა

ტენიან ტყეთა შრიალი, იმ ტყეებში მოჩუხჩუხე, ანკარა ნაკადულები, ალაგ-ალაგ მორევებს რომ ქმნიან და ბუყბუყებენ. იქ წვრილ-წვრილი თევზები, ყვითელი დუმფარები, ტანმორჩილი ღრუბლები და ყირამალა ამოტრიალებული ნაძვების ანარეკლები დაცურავენ.

ხანდახან თვალნათლივ წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ გაჩერდებოდა მოსკოვისაკენ მიმავალი მატარებელი სადმე უკაცრიელ ასაქცევზე ტყეში, მერე ხელად გადავხტებოდი და იქვე, ლიანდაგთან, თვალს მოვკრავდი ქვიშაში მოხასხასე მრავალძარღვას ხაოიან ღეროს, იასამნისფრად ამოხუჭუჭებული პაწაწინა ყვავილებით რომ შემომციცინებდა. იტყვი საყვავილეშიაო, ისე ბიბინებს ცხელ ლიანდაგთან მიყუჟული მრავალძარღვა.

ტყის გადასწვრივ ვერცხლისფრად ამოცურდება ღრუბელი და ყრუ გრუხუნი გადაუვლის არემარეს.

ძნელი მისახვედრია, რა გრუხუნებს იქ. შეიძლება იფიქრო კიდეც, ალბათ სატვირთო მატარებელმა ჩაიარაო, ან უცაბედად გადავლილ ქუხილს დააბრალო ყველაფერი.

როცა ამ უბრალო და უზაკველ სურათებს წარმოვიდგენდი, სუნთქვა მეკვროდა. მზად ვიყავი ჩრდილოეთის ზაფხულის ერთ დღეში მიმეცა აქაური ცის ლაჟვარდ-ფირუზიცა და ზღვის ლივლივიც, მცირე აზიის მთელი სილამაზე. იქ ოდესღაც აღზევებული იყო პერგამი, და მოქანდაკენი დედოფალთა აღალმებს თითქოსდა ზღვით გარუჯულ თბილ ქვისაგან ძერწავდნენ.

თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვნახე მართლა გენიალური, ნაზი და თავისი ღვთიური კდემამოსილებით გულის დამკოდა-

ვი სკულპტურული თავი დედოფალ ნეფერტიტისა. ძნელი იყო იმ წუთას ხელში არ აგეღო კალამი და ქება არ გეთქვა მოქანდაკის ოქროს მარჯვენისათვის.

მაგრამ მაშინ მზად ვიყავი ზღვის დრტვინვა იმ წყლის ჩხრიალში გამეცვალა, სადმე კოსტრომის მახლობლად გვიმრით გარმოდგმულ დამპალ წისქვილის ღარს რომ აძაგძაგებდა.

რაც დრო გადიოდა, ჩრდილოეთის, სამშობლოს ნახვის სურვილი უფრო მეტად და უიმედოდ მეუფლებოდა. უიმედოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ გახვრეტილი ჯიბის ამარა ვიყავი და მოსკოვამდე ბილეთის ყიდვის თავი არა მქონდა, იმ ხანად კი მოსკოვამდე კარგა ძვირი ღირდა ბილეთი.

ნაღველმა, როგორც იტყვიან, ფეხქვეშ ამომიდო, და მოულოდნელად თითქოს გონს მოვეგე: ალბათ დარდს თავი იმიტომ ვერ დავაღწიე, რომ ჩემი მიწა-წყლისა ვერავინ ვნახე და ფიქრი ვერ გავუზიარე-მეთქი.

ყველა ჩემი ბათუმელი ნაცნობი თითქმის სამხრეთელი იყო. ფრაერმანის გარდა, ოდესის ჩრდილოეთით არც ერთს ფეხი არ გადაედგა. იმ ხალხთან შუა რუსეთის სათნოებით სავსე სადა პეიზაჟზე საუბარი უსარგებლოდ მეჩვენებოდა. ისინი არ იცნობდნენ იმ პეიზაჟს და წარმოდგენილი ჰქონდათ ლევიტანის, ნესტეროვის, ოსტროუხოვის ან ჟუკოვსკის სურათების იმ ფერგადასული ლითოგრაფიებით, საწერი ქაღალდის მაღაზიებში მტვერი რომ დასდებოდათ.

მე და ფრაერმანმა ახლა უკვე გამოვცვალეთ სასაუბრო თემა. ლექსებზე ცოტასღა ვლაპარაკობდით, რუსულ ბუნებაზე კი — ძალიან ბევრს. მე ჩემი ბავშვობის ტკბილად მოსაგონარ ბრიანსკის ტყეებზე ჩამოვაგდებდი ხოლმე სიტყვას, ფრაერმანი კი — ბელორუსიის ტყეებზე.

ერთხელ ჩაჩიკოვს იაზიკოვის ლექსების წიგნი გამოვართვი. გაყვითლებულ თხელ ფურცლებს ობისა და მაგნოლიის სუნი ჰქონდათ, ვიღაცის ბასრ ფრჩხილს, ალბათ მოხუცისას, საყვარელი სტრიქონებისათვის ხაზი გაესვა. მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობდი იაზიკოვს და ცხელ გულზე პუშკინსაც კი შევადარე.

ერთ-ერთი ლექსიდან, „ტრიგორსკოე" რომ ჰქვია, ზაფხულის პაპანაქების სურათი ამოვწერე და ზეპირად დავისწავლე.

მრავალი წლის შემდეგ ტრიგორსკოეში სწორედ პაპანაქება ივლისში მოვხვდი და თითქოს მესიამოვნა, რომ ყველაფერი ზუსტად განვიცადე, რაც ამ ლექსშია აღწერილი.

იაზიკოვის ამ ლექსს ფრაერმანსაც ვუკითხავდი ხოლმე, ისიც ჩემსავით აღტაცებული იყო. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ, ბათუმური შემოდგომის იმ წვიმიან დღეებში დამებადა აზრი, რომ გავხიზნულიყავი ტყეში, სადმე შორს, სოფლის განაპირას, პატარა ქოხში დამედო ბინა, სადაც თელის ტოტები ფანჯარაში იცქირებიან და მწუხრის ჟამს ეზოდან სამოვრის სუნი გცემს ცხვირში.

ამ ცხოვრებას მერე მხოლოდ მეშჩერის მხარეში მივაღწიე. ის მიწა-წყალი ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა.

რაკი ნაღველიც გვიღრღნიდა გულს, მე და ფრაერმანმა თბილისში გადასვლა გადავწყვიტეთ. იქიდან, ჩვენი ფიქრით, უფრო ადვილი იყო მოსკოვს გამგზავრება. სონია ფრაერმანი წინასწარ წავიდა თბილისში, ვიდრე ჩამოხვალთ, ბინის აჰბავს მოვაგვარებო.

ახალწლის ღამე

ერთი სული მქონდა, სანამ მატარებელში ჩავსხდებოდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ თბილისში ჰაერს გამოვიცვლიდი თუ არა, მალარიაც გამივლიდა.

თუმცა გამგზავრებამდე, მართალია, არა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რამდენიმე ამბავი მაინც შეგვემთხვა.

ამ ამბავთაგან ნამდვილად ღირს, რომ მოგითხროთ როგორ ანეგდოტურად შევხვდით ახალ, 1923 წელს.

ანეგდოტმა უჩუმრად და მოულოდნელად იცის დაბადება. პირველმთქმელი ანეგდოტისა ყოველთვის უცნობია. ის, ცხადია, ამქვეყნად ცხოვრობს, მაგრამ არასოდეს არავის თვალი არ დაუკრავს, არ შეხვედრია. ცნობილ პორუჩიკ კიჟესავით პირველმთქმელსაც არა აქვს „სახე“.

ერთი სიტყვით, ანეგდოტი თითქოს თავისთავად იბადება, დედა კი მაინც ცხოვრებაა.

მაგრამ, გარდა ანეგდოტისა, არსებობს კიდევ ანეგდოტური ამბავიც, ანუ დაუჯერებელი, სასაცილო და, ოღონ, სულელური. აი სწორედ ასეთი რამ შეგვემთხვა იმ ახალწლის ღამეს ბათუმში.

იმხანად მხოლოდ ღამის თორმეტამდე შეგეძლო ბათუმში უსაშვოდ სიარული. „ტრუდოვოი ბატუმის“ სტამბიდან ყოველთვის გვიანღამით მივდიოდით, და თითქმის ერთი შემთხვევა არ მახსოვს, გზაში პატრულს რომ არ შეეჩერებინეთ. პატრულები ყოფილი ეგრეთწოდებული „სახალხო“ (მენშევიკური) არმიის ქართველი ჯარისკაცები იყვნენ.

ამ ჯარისკაცთა უმრავლესობა მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ორი სიტყვა მაინც გასაგები იყო: „დოკუ-

მენტი!“ და „კომენდანტი!“ ამ ფიცხ ბიჭებს თავს ადვილად ვერ დააღწევდი. მხოლოდ დოვგელოს ზებუნებრივი სიმშვიდე თუ მოგვევლინებოდა მხსნელად.

მაშინ ბათუმის კომენდანტად ერთი ლამაზი და მეტისმეტად თავმომწონე პოლკოვნიკი იყო, იმავე მენშევიკური არმიისაგან წარმავალმემკვიდრედ შემორჩენილი.

გვარი აღარ მახსოვს. ვინაიდან თხრობას მოუხდება, იმ პოლკოვნიკს თურქია შევარქვათ.

პოლკოვნიკს ბოხი, ძლიერი ხმა ჰქონდა. სწორედ ამ ომახიანი ხმით იცავდა ბათუმს თურქთაგან, როცა ისინი მენშევიკების დროს ამიერკავკასიისაკენ დაიძრნენ და ზედ მიადგეხ ქალაქის „კედლებს“.

ბათუმის დაცვას თურქია სარდლობდა. არც ტელეფონს იყენებდა და არც სამხედრო კავშირ-ურთიერთობის სხვა რაიმე საშუალებას, ჯარს ბათუმის სახანძრო რაზმის კოშკურიდან ადევნებდა თვალყურს, გარს გამოწკეპილი ადიუტანტები ეხვივნენ, თავაწეული იდგა, დურბინდით გადასცქეროდა ქუჩებს, მოწინააღმდეგე ანაზდად არ შემოიჭრასო.

კოშკურასთან ყოველ წუთს გახვითქულცხენიანი შიკრიკი მიიჭრებოდა ხოლმე. შიკრიკი ხელებს ხმამადიდივით მოიდებდა პირზე, ონავარ ცხენს ფეხებით დაიოკებდა და თურქიას ბრძოლის ველის უკანასკნელ ამბებს ასძახებდა.

თურქიამ დაყოვნება არ იცოდა, ახალ ბრძანებას ხელად ჩასძახებდა შიკრიკს.

ბათუმი განაბული იყო, როცა ფლოქვების თქარათქური ისმოდა. ქალაქის განაპირას თუ შაშხანებს აღარ ისროდნენ და თქარათქურთან ერთად ჭიხვინიც აყრუებდა. არემარეს, ბათუჰელებმა იცოდნენ, რომ საქმეს კარგი პირი არ უჩანდა.

ქალაქი ვერ იხსნა თურქიას ორიგინალურმა ხერხმა — კოშკურიდან სარდლობამ. თურქიამ მალე კოშკურაც მიატოვა და ბათუმიც, უკან დაიხია, თურქულ ცეცხლს გაექცა.

აი სწორედ ამ თურქიამ გააკრა ქალაქში 1923 წლის წინადღეს განცხადება ახალი წლის შესახვედრად ბათუმში მთელი ღამე ნებადართულია სიარულიო. მართალია, გამოცდილება არ გვაკლდა, მაგრამ მაინც გულუბრყვილოდ დავუჯერეთ ქალაქში გამოკრულ განცხადებას და მწარედ ვინანეთ.

ახალ წელს მე და ფრაერმანი მროზოვსკისას შევხვდით. ღამის სამი საათი იყო, მასპინძელს რომ გამოვემშვიდობეთ და შინ წავედით. იქვე, სადარბაზოდან გავედით თუ არა, პატრულმა შეგვაჩერა და შემოგვესმა ნაცნობი სიტყვა: „დოკუმენტი!"

გავუძალიანდით, ხან რა ვუთხარით, ხან რა, მაგრამ ჯარისკაცებმა ყურიც არ შეიბერტყეს, ხელი გამოგვდეს და კომენდატურის დიდ ეზოში შეგვრეკეს.

ეზოში მილეთის ხალხი დაგვხვდა. ზოგი მღეროდა, ზოგიც გიტარას აჟღერებდა, მთვრალები ლეკურს ცეკვავდნენ და ერთმანეთს ლოშნიდნენ. ჩვენსავით ისინიც პატრულს მიერეკა იქ.

არავინ იცოდა, რა იყო მიზეზი, რატომ დაგვაკავეს, მაგრამ ახალწლის ღამეს მიზეზს თითქოს არც არავინ არ დაეძებდა. ყველანი მხიარულად გრძნობდნენ თავს. მხოლოდ გუშაგნი იყვნენ მოღუშულნი და უკმაყოფილონი.

მერე ჯგუფურად დაგვყვეს. თითო ჯგუფში ორმოცდაათი კაცი იყო (ფრაერმანი ჩამომაცილეს), თოფიანმა მცველებმა ციხეში წაგვასხეს.

მივდიოდით და, ცოტა არ იყოს, შიში შეგვეპარა. ქალაქს

ჯერ არ ეძინა, ყოველ ფანჯარაში შუქი ენთო. ვხედავდით, როგორ მხიარულად ერთობოდა ხალხი, ვისაც კი ჩვენსავით უდროოდ ქუჩაში არ გამოეყო თავი, ხან მოცეკვავე ლამაზ ქალებს მოვკრავდით ხოლმე თვალს და ხანაც ჰაერში ბღუჯაბღუჯად აყრილ დრუნგალსა და კამფეტებს. მივდიოდით და გვესმოდა, როგორ ყღრიალებდა მეტისმეტი საზეიმო ტყაპატყუპისაგან გადაძლეული და დაღლილი როიალი, თითქმის ყოველ სახლში წკარუნი გაჰქონდათ სასმისებს, შეზარხოშებული მოქეიფენი კი „მრავალჟამიერს“ აგუგუნებდნენ.

ყველანი ცემენტით ნაგებ ერთ უკაცრიელ ციხეში მიგვიყვანეს. არც კორიდორში და არც საკანში სკამი არ იდგა. ვერაფერზე ჩამოჯდებოდა კაცი. ძლივსღა ვიდექი ფეხზე.

მცველები ღრიალებდნენ, კონდახებს ურტყამდნენ კედლებს, პატიმრები კი უგულოდ, უხალისოდ ღიღინებდნენ.

მაგრამ სიმხიარულემ დიდხანს აღარ გასტანა. მხოლოდ მთვრალებიღა წრიალებდნენ. ყველანი მივხვდით, რომ ხათაბალაში ვიყავით გაბმულნი.

განთიადისას ციხეში იტალიელი დესპანი მოიყვანეს თავის ცოლთან ერთად. ბრილიანტებით მორთული თავი დესპანისა მთელი ციხის კორიდორში ერთადერთი ნათურის მკრთალ შუქს ირეკლავდა. იტალიელს სმოკინგი ეცვა, ახალგაპარსულ სახეზე მოლურჯო ფერი ედო.

დესპანის ცოლი — მაღალი ლამაზი ქალი — ამაყად თავაწეული შემოვიდა ციხეში. ის ალბათ ეშაფოტზეც ასე ავიდოდა. შავი მელიის ბეწვი მარმარილოსავით თეთრ კისერს უფარავდა, გრძელი ნატიფი მკლავები და მაღალი გულმკერდი ჰქონდა.

მაგრამ დესპანის ცოლს დიდხანს არ უთამაშნია მარია-ანტუანეტას როლი. ანაზდად იგი ცივ კედელს მიეყრდნო და აქვითინდა. დესპანი ხელში სწვდა ქალს და ტრაგიკული ხმით შეჰყვირა ფრანგულად:

— გაჩუმდი, ჯულიეტა! ახლავე გაჩუმდი!

მან მსახიობივით გულში ჩაიკრა ქალი, როგორც ნამდვილი ჯულიეტა და ირგვლივ მყოფთ მრისხანე თვალით გადმოგვხედა.

ჯულიეტას უძვირფასესი სუნამო „შანელი“ ესხურა. მაგრამ ამ ღვთიურმა სურნელმა სალდათური წეკოს მძაფრი სუნი მაინც ვერ დაჯაბნა. ჯულიეტას გული ამოუჯდა.

მალე ციხეში ხმა დაირხა, რომ ჩვენთან ერთად იჯდა იმ დროს მეტად პოპულარული ოპერეტის—„პავლე ივანოვის“ ავტორიც. გვარი აღარ მახსოვს. პატარა ტანის, ჩუმი, მოკრძალებული კაცი იყო.

ის ხმას არ იღებდა, მხოლოდ იღიმებოდა, ყოველ საკანში კი „პავლე ივანოვის“ რომელიმე ნაწყვეტს მღეროდნენ.

მე-რი-დი-ან-ები!
მე-რი-დი-ან-ები!
გვიქუცმაცებენ ქვეყნებს,
ჩვეხს ლამაზ კოხტა ქვეყნებს!

პატიმართა შორის დოვგელოც იყო თავის ცოლთან ერთად. დოვგელომ, დამინახა თუ არა, გადამკოცნა და ცოლი ვანდაც გამაცნო — ჩასუქებული, ჭკნობაშეპარული ზვიადი ქალი. ის პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა და ქმარს ეჟის ეძახდა, თურმე, დოვგელოს ნამდვილი რუსული და უბრალო ხალხში გავრცელებული სახელი ერქვა — ეგორი.

ვანდამ ამათვალიერ-ჩამათვალიერა და, გეგონება სცენაზეაო, ისე ხმამაღლა მიმართა ქმარს:

— მოხარული ვარ, ეჟი, რომ ბოლოს მაინც გამაცანი შენი ერთი წესიერი კოლეგა.

დოვგელო მოიბღუნძა და წამოჭარხლდა. ნირუცვლელმა ვანდამ კი წელანდელივით ხმამაღლა თქვა, თანაც თვალებში ჩამაშტერდა:

— მგონი, არ დაგვხვრეტავენ. ჰა? ეს დიდი უსინდისობა იქნებოდა. რას იტყვით?

ხმა არ ამომიღია. ვანდამ ახლა ჩივილი დაიწყო, ჭაჭის არაყი მეტი მომივიდა, ვიწვი, თანაც ლიფი მიჭერს, თუმცა იდეალურად — უკანასკნელი პარიზული თარგით მაქვს გამოჭრილიო. მერე კაბაში ხელი ჩაიყო, მარჯვედ გაიხსნა ლიფი, ამოიღო და, იფ, მოვისვენეო, თქვა. ჩამოვარდნილ გულმკერდს რომ ისწორებდა, თვალს თვალში მიყრიდა.

მართლა უცნაური ქალი იყო! დოვგელო მუშტისოდენაღა იჯდა. ასოთამწყობნი ტყუილად როდი ეძახდნენ ვანდას „ბანდის თავს“.

იმ ქალის ცქერას ვეღარ გავუძელი, გავიქეცი და ერთ პატარა საკანში შევყავი თავი; მაგრამ დამალვა მაინც ვერ მოვახერხე: საკანში პოეტ ფლორასთან ერთად უცნობი ქერა ჭაბუკი იჯდა.

ფლორა დესპანის ცოლზე ნაკლებად როდი ღელავდა, მაგრამ არ ქვითინებდა, ჩუმად ტიროდა, ხელში გაცრეცილი არშიანი ცხვირსახოცი ეჭირა.

მერე იმ ჭაბუკის პალტოზე დაჯდა და ხელად ჩაეძინა, უმწეო, დაღლილი სახე ჰქონდა. წამით თვალი ვერ მოვაშორე და

თითქოს იმ დაღლილმა სახემ გამახსენა ფლორას ერთი მეტად სუსტი ლექსი:

აპარის ტყეებს გული აქვთ თბილი,
იქ მარტოდმარტოს ბევრჯერ მივლია.
ჩემი გმირია დაღლილი მწირი,
ჩემი ძმაა და ჩემი შვილია!

კვლავ დამანახვე ეგ შენი მხრები,
არ ამაცდინო, ძვირფასო, მიზანს,
ისე სუნთქავენ მაღალი მთები
თითქოს ხედავენ უტკბილეს სიზმარს...

როცა ფლორამ ქერა ჭაბუკის მხარზე მიდო თავი და ჩაიძინა, ციხეში შვიდი ინგლისელი მატროსი მოიყვანეს.

ისინი მხნედ შემოვიდნენ, მოგვესალმნენ. ერთი აყლაყუდა მატროსი შუა კორიდორში გაიშოტა, დანარჩენებიც დაწვნენ, ყველამ იმ გაშოტილ აყლაყუდას დაადო თავი, როგორც მუთაქას,-და ხელად ხვრინვა ამოუშვეს.

ერთ-ერთი მატროსის თავთან ელექტრონათურა ეკიდა, ალბათ სადაც იყო, გადაიწვებოდა, ისე ზუზუნებდა. მძინარე მატროსს კი ბუზი ეგონა ის ნათურა და წამდაუწუმ უბერავდა.

ამ ამბით ცოტა ხანს თავიც კი შევიქციეთ, მაგრამ დილით დაბეგვილებსა და დაქანცულებს გაგვეღვიძა. თანაც ძაღლის ყეფა არ გვესმოდა, ისე გვშიოდა. იტალიელი ღისპანი და ჯულიეტა აღარსად ჩანდნენ. როცა ვიკითხეთ, სად არიანო, დოვგელომ გვითხრა, წუხელ თურქია მოვიდა („ღმერთმა შეაჩვენოს, ეგ არამზადა!") და იტალიელი დესპანი, ინგლისელი მატროსები და კიდევ რამდენიმე კაცი გაუშვაო.

— ყველანი, ვისაც კი ჯიბეში ფული უჭყაოდა, — დასძინა დოგველომ, — ხელის ჭუჭყის ყადრი იცის, ძველია. ჰო, მართლა, ის პოეტი გოგოც მიაყოლა. ფეშქაში აიღო.

ვანდამ თვალები გაახილა და ჩახრინწული ხმით თუთიყუშივით აჯიყჯიყდა, თქვენ კაცები კი არა, ძველი ლეიბები ხართ, ერთი უმწეო ქალი ვერ დაგიხსნიათ განსაცდელიდანო.

უსმელ-უჭმელნი მეორე დღესაც ციხეში ვეყარენით. ყოველ სამ-ოთხ საათში ერთხელ ციხის კარს თვითონ თურქია შემოაღებდა ხოლმე. ხან ერთ საკანში შევიდოდა დეზების ჩხარუნით ხან მეორეში. პატიმრები გარეთ გამოჰყავდა, უმეტესად აღმოსავლელი ჩარჩ-ვაჭარი ხალხი, ვისაც კი ტუტუნს დაუწყებდა, ის პატიმარი ცოტახნის შემდეგ უკვე ციხეში აღარ იყო.

დღისით ვანდაც გაუშვა, კაპიკი არ აულია, ოღონდ დოვგელო დააკავა. ამხანაგო თურქია-მეთქი, რამდენჯერმე მივმართე, მაგრამ ზედაც არ შემოუხედავს, მიდიოდა და გაპრიალებულ ჩექმის ყელზე წკეპლას იტყაპუნებდა.

კაციშვილი არ იყო გამკითხავ-მომკითხავი. როგორც უნდოდა, ისე იქცეოდა. ხალხს ტყავს აძრობდა, თითქოს ის ციხე თურქეთის რომელიმე მცირეაზიური ყრუ ვილაეთი იყო.

თურქიას დანახვაზე ძარღვები მეშლებოდა. ახლა უკვე ნათელი იყო, რომ განგებ გაეკრა ქალაქში ის პროვოკაციული განცხადება, სიარული მთელი ღამე ნებადართულიაო, რათა მეტი მსხვერპლი ჩაეგდო ხელში და უზრუნველად ეშოვნა უამრავი ფული.

ერთხელ ვეღარ მოვითმინე, წინ გადავუდექი და ხმამაღლა ვუთხარი, მე საბჭოთა რუსეთის მოქალაქე ვარ და დაუყოვნებ-

ლივ მოვითხოვ, რომ რუსეთის სფსრ ბათუმელი ელჩი ციხეში მოვიდეს-მეთქი.

თურქიამ ზიზღით შემათვალიერა.

— თქვენ ვინა ხართ? — შემეკითხა თურქია. — ჰა? იქნებ ისიც მოგვთხოვო, რომ თქვენი გულისათვის კალინინი ჩამოვიყვანოთ მოსკოვიდან? კარგ ადგილსა ხარ, მანდ იყავი!

მეორე თავის ადიუტანტს მიუბრუნდა, გადაიხარხარა და წავიდა.

სისხლი ყელში მომაწვა. დავინახე თუ არა, როგორ ჩაჯდა თურქია მდიდრულ ლანდოში, ხელად ციხის კანცელარიისაკენ გავიქეცი. იქ კედელზე ეკიდა ტელეფონი, გვერდით კი გუშაგი იჯდა — გამხდარი, შავი კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა ფეხსაცმლის მწმენდავს.

შესვლისთანავე ყურმილს მივწვდი. გუშაგმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ხელი ვკარი და სკამს დავანარცხე, გუშაგი ძირგავარდნილ სკამში გაიჭედა.

რუს დესპანს ლუნცს დამაკავშირეთ-მეთქი, სულმოუთქმელად ჩავიძახე ყურმილში. ცხადია, ჯერ აჭარის რევკომში უნდა დამერეკა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ლუნცი შემეწუხებინა, რადგან ტიტული „დესპანი“ ალბათ უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა თურქიაზე.

თან სიბრაზისაგან სული მეხუთებოდა და თანაც დავიღალე, ცალი ხელით სკამში ჩაჭედილი გუშაგი მეჭირა, რომ არ წამომდგარიყო. ლუნცს ყველაფერი დაწვრილებით ვუთხარი, რაც ციხეში ხდებოდა.

— ერთ საათში მანდ ვიქნები, — თქვა ლუნცმა. — თქვენს გარდა ციხეში კიდევ არიან რუსეთის სფსრ მოქალაქენი?

— დიახ.

ყურმილი თავის ადგილას დავდე. გუშაგი სკამიდან ამოძვრა, ხელი დასტაცა ყურმილს, თურქიას ადიუტანტი გამოიძახა და გულშემზარავი ყვირილი ატეხა. მერე კონდახი მომიქნია, მაგრამ ჩარტყმა ვერ გაბედა. გავედი.

მაგრამ ლუნცს მაინც ვერ შევხვდი. თხუთმეტ წუთსაც არ გაევლო, რომ ჩემს საკანში თურქია მთელი თავისი ამალით შემოვიდა.

იღიმებოდა, დეზებს აწკარუნებდა.

— სამწუხარო გაუგებრობა მოხდა, ძვირფასო! რა ვიცოდი, რომ თქვენ — „ტრუდოვოი ბატუმის" თანამშრომელი იყავით. ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით?

— არ არის თქვენი საქმე! — ბრაზიანად ვთქვი. — რა უფლებით დაგვაპატიმრეთ ამდენი ხალხი? რატომ ვართ ციხეში უკვე მეორე დღეა? ნაწილი რატომღა გაუშვით? რა დამსახურება ჰქონდათ ასეთი?

— ნუ ბრაზობ, ძვირფასო, — ხელად „შენობით" დამიწყო ლაპარაკი თურქიამ, თანაც თავს მიქონავდა. — გული არ მომაყვანინო! არ ვარგა ეგრე! აუჰ, არ მაწყენინო! წამო, ჩემ ლანდოთი წადი შინ. გაუგებრობა მოხდა, გესმის. გაუგებრობა! კარგი, ამდენს ნუღარ მალაპარაკებ, ძალიან გთხოვთ.

დავეთანხმე და თან დოვგელოც წავიყვანე. თურქიას არაფერი უთქვამს.

როცა კიბეზე ჩავდიოდი, ციხის ეზოში გასასვლელად, სადაც შავი ბრილიანტივით ბრწყინავდა კომენდანტის ლანდო, თურქიას ადიუტანტს ხელით ვეჭირე, როგორც დიდად საპატიო სტუმარი.

ცხადია, შურისძიების სურვილი მკლავდა, მაგრამ უცებ სრულიად ბიჭურმა სიანცემ შემიპყრო: გადავწყვიტე, რაც შეიძლება დიდხანს მეთრია ლანდო და მეეტლეს ხმამაღლა შევძახე, აბა მალე, ბარცხანისაკენ გასწი-მეთქი.

სინიავსკიმ ხელად სუფრა გაშალა. ჩვენც დავლიეთ და მეეტლეც მაგრა დავათვრეთ. რაკი დაითრო, აღარ გაჩერდა, უნდა წავიდეთო, აიჩემა. თემშარაზე რომ გავედით, ბათუმელ მეეტლეებს გაეჯიბრა, ერთ-ერთ მოსახვევში ღვინის კასრებით. დატვირთულ ურემს წამოედო და ლანდოს თვალი გაუტეხა, ჩამოვიდა, ყორნისფერი ცხენები ჭადარს მიაბა, უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ბავშვივით აზლუქუნებული ჩაქვის გზას დაადგა. აღარ შეგვიჩერებია. ჩვენც ჩამოვედით და ფეხით წავედით შინისაკენ.

ამ ამბის შემდეგ სამ დღესაც არ გაევლო, რომ თურქია დაეპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს.

უკანასკნელი სხივი

მზის უკანასკნელი სხივი როცა ეცემა, დედამიწა უფრო სხვანაირი ჩანს, ვიდრე შუადღისას ან სამხრობისას.

ყველაფერი თითქმის მკვეთრდება და წონითაც მატულობს. საღებავი მუქდება, ლანდშაფტი ცოტახანს წინ მოიწევს, მერე თანდათან მრუმე ფერი ნთქავს, სანამ მზე საბოლოოდ არ მიეფარება თვალს.

საღამო სწორედ იმიტომაც არის მშვენიერი, რომ ფერებს ადედებს და ციურ სივრცეს უჩვეულო სიმსუბუქეს ანიჭებს.

მზის უკანასკნელი სხივის ეს ეფექტი პირველად მხატვრებმა შენიშნეს, განსაკუთრებით კლოდ ლორენმა, მანემ, ტერნერმა, ჩვენმა ლევიტანმა და ბევრმა სხვამაც. როცა ამ მხატვართა მზერას დავუკვირდით, ჩვენც იგივე დავინახეთ, რასაც ისინი ხედავდნენ.

ჩემს თავს ყოველთვის ვუსაყვედურებდი და ახლაც ვუსაყვედურებ, რომ ბგერასა და ფერზე მსჯელობისას, ცოტა არ იყოს, ზომიერების გრძნობას ვკარგავ. რას იზამ, რა ჭიაც გიღრღნის გულს, ძალიან ხშირად სწორედ ის გალაპარაკებს. ძლიერმა სურვილმა თუ შეგიპყრო, მაშინ ზომიერება აღარც გახსოვს.

აი ახლაც დაისზე ჩამოვაგდე სიტყვა, ბათუმიდან კი ჯერაც გასამგზავრებელი ვართ. მაგრამ არა, ვიდრე მივატოვებდეთ, არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გადავავლო თვალი ამ არაჩვეულებრივ და ულამაზეს ქალაქს.

დიდიხანია შემჩნეული მაქვს (ალბათ ძალიან სუბიექტური ამბავია), რომ გამოთხოვებისას მიწა-წყალმაც კოხტაობა იცის და, უწინარეს ყოვლისა, დაისის უკანასკნელი სხივით განათებულ პეიზაჟად ჩაგრჩება მეხსიერებაში.

ასე დაგვემართა ბათუმშიც. მე და ფრაერმანმა წასვლის დღე საბოლოოდ დავთქვით.

განშორების ჟამს ბათუმში ყველაფერი ძვირფასი და ლამაზი იყო — თვით წვიმა და ბორბლიანი ხომალდის შავი ბოლიც კი.

ნავსადგურში უჟმური და თბილი ზამთარი იდგა. ხომალდების ილუმინატორები ისე ბრწყინავდნენ, თითქოს ყოველ კაიუტაში ნაძვის ხე ენთო. ქარიშხალგადავლილი ზღვა ოდნავ-

ღა ბუყბუყებდა, ჩაფიქრებული, ნამძინარევი კაცივით მიყუ-ჩებულიყო. ღიანაცრისფერი, თბილი წყალი ზანტად ეთამაშე-ბოდა კენჭებს.

ბუნებაც და ზღვაც თითქოს გახუნებული ჩანდა.

ყოველ ფერს ახალი რამ იერი მისცემოდა, რაც მხოლოდ ზამთარმა იცის.

ერთხელ დიდხანს ვუცქირე, როგორ შემოდიოდა ნავსად-გურში მაღალი ჟანგიანი სატვირთო ხომალდი. ზღვა ღელავდა, ქაფი მოეგდო.

ჩამავალი მზე უნიათოდ ენთო. ერთმანეთში არეული თეთრი ქაფი, ხომალდის ჟანგიანი ქიმი და მზის მეწამული ცეცხლი ულამაზეს ფერწერულ სანახაობას ქმნიდნენ.

მზე ჩავიდა. ლურჯად შეფერილ საღამოს სიმშვიდე მოჰ-ყვა. მხოლოდ ხანდახან შორით ისმოდა ტკბილი საზანდრის კვნესა.

როცა ბათუმს მზის უკანასკნელი სხივი ეცემოდა, ქალაქი პირქუშ მთათა ძირას აჩხორილ ჟანგიან მხრჩოლავ რკინასა ჰგავდა.

ბათუმის დაისში არასოდეს არ შემიმჩნევია ის „მწვანე სხი-ვი“, რომლის გამოც ამდენი რამ მსმენია. სიტყვამ მოიტანა და, იმ სხივზე კუპრინიც წერდა.

უკანასკნელ ხანს ხშირად დავდიოდი მწვანე კონცხზე და ჩაქვშიც. მწვანე კონცხი გაუვალ ტყე-შამბნარს ჰგავდა. თითქოს ყველანაირი მცენარე და ბალახი ხარობდა იქ. ხშირად მი-თქვამს, ერთ მშვენიერ დღეს პატარა სააგარაკო მატარებელს თავის ღია ვაგონებიანად ფოთლის ზღვა წალეკავს-მეთქი.

უკანასკნელ საღამოს ყველანი სინიავსკისას შევგროვდით

ბარცხანაში. არავინ არ გვაკლდა, იქ იყვნენ ფრაერმანი, ჩაჩიკოვი, მროზოვსკი, დოვგელო, კორექტორი სიმონი და ნირკიც.

ლუსიენა ქამბალიან ღვეზელებს აცხობდა.

ჩაჩიკოვმა გიტარა მოიტანა. უმეტესად ნაღვლიან სიმღერებს ვმღეროდით, მაგრამ გულზე სევდა მაინც არ გვაწვა. ალბათ იმიტომ, რომ ბათუმი ყველა ჩვენგანისათვის (გარდა მროზოვსკისა) „საფოსტო სადგური" იყო ცხოვრების იმ უზარმაზარ გზაზე, რომელიც წინ გვედო. ის გზა თავისკენ გვეძახდა, მართალია, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გვეძახდა და ათასნაირ წარმტაც ამბავს გვპირდებოდა — ახალ შრომას, ახალ შეხვედრებს, ახალ სიხარულსა და ტკივილს.

უცნაურია ადამიანი: აწმყო საინტერესო გვქონდა, მაგრამ მაინც მომავალს შევტრფოდით და მომავლით ვცხოვრობდით. აწმყოსა და წარსულში მხოლოდ ამ მომავალი ცხოვრების უეჭველი მოსვლის დასტურს ვეძებდით. დარწმუნებული ვიყავით, გვჯეროდა, რომ, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ერთ მშვენიერ დღეს ახალი დროების წინაშე აღმოვჩნდებოდით.

გათენებისას მატარებელმა მწვანე კონცხს ჩაუარა და ვაგონის ფანჯარას ლურჯად შემოანათა შავმა ზღვამ, გულმა ბაგაბუგი დამიწყო: ვინ იცის, იქნებ სულაც სამუდამოდ ვეთხოვები-მეთქი ზღვას.

ვაგონის ფანჯარასთან ღრმად ჩაფიქრებულს უცებ ძახილი შემომესმა:

— აბა, ერთი, ბილეთი მაჩვენე!

სწრაფად შემოვბრუნდი. ცხვირკეხიანი შავტუხა კაცი, ბილეთი მიჩვენეო, რომ მიყვიროდა, გაბრაზებული ჩანდა. ყვი-

თელკანტიანი შავი გალიფე, გადატყავებული ჩუსტები და იასამნისფერი წინდები ეცვა. წინდები რომ არ ჩასჩაჩვოდა, ცხვირკეხიანს მუხლქვემოთ წითელი წვივსაკრავები ეკეთა. ხსე იცქირებოდა, უიღბლო, ხელმოცარული კაცი უნდა იყოს-მეთქი, ვიფიქრე.

იქვე ორი ჯარისკაცი იდგა. ხელში შაშხანები ეჭირათ. ამ ჯარისკაცებსაც ისეთივე იასამნისფერი წინდები და გადატყავებული ჩუსტები ეცვათ, წვივსაკრავებიც წითელი ეკეთათ.

ხმას არ ვიღებდი, გაოგნებული ვიცქირებოდი აქეთ-იქით. ცხვირკეხიანმა ველარ მოითმინა და იყვირა:

— აბა, ერთი, ბილეთი მაჩვენე!

მაშინ კი მივხვდი, რომ ჩვეულებრივი კონტროლიორი იყო. თანაც შეიარაღებული ჭაბუკების გვერდით რამდენიმე შეშფოთებულ უბილეთო მგზავრს მოვკარი თვალი. ისინი თანაგრძნობით შემომცქეროდნენ, როგორც თანაზიარსა და თანასწორს.

აი ჩემი ბილეთი-მეთქი, გავუწოდე. კონტროლიორმა გამომართვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, გახვრიტა და ახლა ჩემს მეზობელს — კვერცხების კალათასთან მოკუნტულ ბერიკაცს დააცხრა ძერასავით.

— აბა, ერთი, ბილეთი მაჩვენე!

ბერიკაცმა შესაბრალისად გაუღიმა, მაგრამ ბილეთი არ აჩვენა. ცხვირკეხიანს არაფერი არ უთქვამს, ბერიკაცი თავისით წამოდგა და უბილეთოებს შეუერთდა.

შაშხანიანმა ჭაბუკებმა უბილეთოები ცხვრის ფარასავით გარეკეს მეორე ვაგონში, თანაც ჩუმჩუმად ხითხითებდნენ. კონტროლიორიც იმ ვაგონში გავიდა.

— მაგათ ყვირილის მეტი არაფერი იციან, — მწარედ შე-

მომჩივლა ჩიხტიკოპიანმა ქართველმა ქალმა, — სანამ ზესტაფონს ჩააღწევდე, შეიძლება დაყრუვდე. რა უბედურებაა! რა უბედურებაა ჩვენს თავს!

— მაგათი ხელობა ეგ არის, — თქვა მხიარულმა მატროსმა, — ყვირილი რომ საქმეს შველოდეს, ამდენი ჩაოხრებული საქმე აღარც იქნებოდა.

— ქვეყნად ყველაფერი ხდება, — თქვა სათვალიანმა ხნიერმა ბერძენმა კაცმა. — ზოგიერთს ჰგონია, მთავარი ყვირილიაო.

ამიერკავკასიის რკინიგზის უცნაურ წეს-ჩვეულებებს მალე მივეჩვიე, აღარაფერი მიკვირდა.

თბილისური ზამთარი

ორი წელიწადი იყო, აღარც ყინული მენახა და აღარც თოვლი. უფრო სწორად, არც ერთი არ შემიმჩნევია. მართალია, ოდესაში ზამთრობით ხანდახან ყინული დაჰფარავდა ხოლმე ქვაფენილს, მაგრამ იქ ისეთი უქმური და ჩამობნელებული დღეები იცოდა, რომ აქეთ-იქით გახედვაც აღარ მინდოდა, პალტოში თავჩარგული დავდიოდი. ალბათ ამიტომ დამამახსოვრდა ცუდად ოდესური თოვლი და ყინული.

თბილისში კი, სადგურიდან გავედით თუ არა, მე და ფრაერმანი მზის ნაირფეროვან შუქში და თხელი ყინულით დაფარული პატარა გუბეების ელვარებაში აღმოვჩნდით. ფანჯრებიც ნაირფერად ბრწყინავდნენ. ჰაერი თითქოს ყინულის უთვალავი პაწაწინა ქერცლისაგან იყო შემდგარი, ისე ციმციმებდა და ლივლივი გაჰქონდა.

ამ შუქმა და ჰაერის ყინულივით ბრწყინვა-ციმციმმა შემიქმნეს სწორედ პირველი შთაბეჭდილება თბილისზე, როგორც იდუმალებით მოცულ და ხალისიან ქალაქზე. წამით ისიც კი ვთქვი გულში, — თბილისი აღმოსავლეთის ფლორენცია ყოფილა-მეთქი.

ეს ძველთაძველი ქალაქი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წინათ მეგონა.

ადრე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ თბილისში, მართალია, ძალიან სუსტი, მაგრამ მაინც იცოდა ზამთარი. ერთი კაცი მეორეს სიტყვას რომ გადაუკრავს, მოიარებით ეტყვის და მაინც მიუხვდები გულისნადებს, თბილისური ზამთარიც თითქოს სწორედ ამნაირი, ბუნების მიერ მოიარებით ნათქვამი, გადაკრული სიტყვა იყო. ჩვენში ასეთი გრილი, ჩახჩახა ამინდი სექტემბერში იცის. თბილისურ ზამთარს იმითაც იგრძნობს კაცი, რომ ცივ ქარს ხანდახან ყინულისა და დამდნარი თოვლის სუნი მოაქვს.

გარდა ამისა, ცისკენ ნელა მიიწევდა ბუხრებიდან ამოწვეული შავი ბოლი.

მატარებლიდან რომ ჩამოვედით და გავიხედ-გამოვიხედეთ, სახტად დავრჩით — მთის კალთებზე შეფენილმა ქალაქმა გაგვაოცა. იქ მეტად წყნარი, ახლადთვალახელილი დილა იწვა.

ამ ქალაქში ალბათ ათასი რამ საინტერესო ამბის მოწმე გავხდები-მეთქი, — ვიფიქრე. წამით თითქოს ზღაპარშიც კი ვიგრძენი თავი. გულში ყრუ მღელვარებას ვგრძნობდი.

იმხანად რუსეთის უკვე მრავალ ადგილსა და ქალაქს ვიცნობდი. ზოგიერთ ქალაქს დატყვევებულიც ვყავდი თავისი ეშხითა და შნოთი, მაგრამ არასოდეს თვალით არ მენახა ისეთი

დაქსაქსული, ჭრელი, თანაც ლაღი და უმშვენიერესი ქალაქი, როგორიც თბილისი იყო.

სადგურში სულ რამდენიმე წუთს ვიდექით მე და ფრაერმანი და სწორედ მაშინ ვთქვი, — აქ, რაც არ უნდა ცოტა ხანს ვიცხოვრო, თბილისი მაინც თავის წყალს გადამასხამს-მეთქი. პირველად ამ აზრს, ცოტა არ იყოს, ცერად დავუწყე ცქერა, მაგრამ ვეღარ მოვიშორე, გულისა და გონების ნაკორდალში ღრმად ჩაიბუდა და ძალიან ხშირად ავუჩოჩქოლებივარ.

ერთი მოულოდნელი ამბავი იმდღესვე შეგვემთხვა.

სანამ მე და ფრაერმანი ქალაქს გავცქეროდით და ვტკბებოდით, ჩვენი ჩემოდნები ერთ ხნიერ მეკურტნეს წამოეკიდა და გვერდით ვიწრო ქუჩა რომ იყო, იქით მიცუხცუხებდა.

გავშტერდით. პირველად ფრაერმანი მოვიდა გონს. ერთი შეჰყვირა და თავქუდმოგლეჯილი დაედევნა მუშას. მეც იქით გავიქეცი.

მუშა ცუხცუხით მირბოდა, თან უკან იცქირებოდა და ყვიროდა:

—ნუ გეშინიან, კაცო! აი იმ მოსახვევში დაგიცდი. ნუ გეშინიან!

პირველად ვერაფერს ვერ მივხვდით. ჯერ ქურდი გვეგონა, მაგრამ ის მუშა ქურდი არ იყო, თავისი გასაჭირი ჰქონდა თურმე საწყალს.

მოსახვევამდე ვეღარ მივაღწიეთ. ეზოების წინ ახალგაზრდა მუშები რომ ისხდნენ, ყველანი ერთად წამოცვივდნენ და გარს შემოეხვივნენ ჩვენს მუშას. ჩემოდნები წაართვეს, ძირს დაყარეს და ისეთი ღრიალი ატეხეს, აბა, მალე, უკან მოუსვიო, რომ ყურთასმენა აღარ იყო.

ჩვენც ხელად იქ გავჩნდით. მუშები ახლა აღარ ჩხუბობდნენ, იცინოდნენ, ჩვენმა მუშამ საწყალობლად შემოგვხედა, ქუდი მოიხადა და ჩუმად თქვა, ჩემოდნები ბოლომდე ვერ მიგიტანეთ, ცოტა მეკუთვნის და ცოტა მომეცითო.

ფული ჯიბეში ჩავუდე. მუშებმა პაპიროსები ამოიღეს, გააბოლეს და ერთი ცალი ბერიკაცსაც შესთავაზეს.

მერე ერთმა მაღალმა მეკურტნემ აგვიხსნა, თბილისში მეკურტნე მუშების რამდენიმე არტელია, ყველა არტელს თავისი უბანი აქვს და მუშებმა მხოლოდ თავიანთ უბნებში უნდა იმუშაონო.

ჩვენი მუშის უბანი თურმე იმ მოსახვევში იწყებოდა. ამიტომაც გარბოდა ბერიკაცი, მაგრამ ალყაში მოხვდა.

მართალია, საქმე ეგრეაო, თქვა მილიციელმაც, რომელსაც ის უბანი ებარა.

მილიციელი კმაყოფილი იყო, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. თბილისში პირველად ჩამოსულ ხალხს ათასი მაგნაირი საქმე ემართებაო, — ამბობდა. თანაც ბოდიშს იხდიდა ამ „პატარა გაუგებრობის“ გამო.

— ყველას თანაბარი და თანასწორი ცხოვრება უნდა, — გვიხსნიდა მილიციელი, — თანასწორობა! რევოლუციის მონაპოვარია, გენაცვალე! ყოველ მუშაზე და ყოველ ჩემოდანზე პასუხს ვაგებ, პატარა საქმე როდია. ჰა, რას იტყვით? ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, როგორც გინდათ, გამომიყენეთ!

ჩვენი ჩემოდნები ორმა ახალგაზრდა მუშამ აიღო. ისინი ღიღინით მიდიოდნენ. მისამართი წინასწარ ვუთხარი.

რამდენი კიბეც დაინახეს, იმდენჯერ დადგეს ჩემოდნები და ჩამოსხდნენ, მერე აღარ მოგვეშვნენ, გზად თითქმის ყოველ

დუქანში შევყავდით, თითო ჭიქა წითელი ღვინო გადავკრათო. ამ თითო-თითოობაში, ცოტა არ იყოს, შევჭიკჭიკდით კიდეც.

ენა ვეღარ გავაჩერეთ, მივდიოდით და ვლაპარაკობდით. შემხვედრი ხალხი ღიმილით აგვხედ-დაგვხედავდა ხოლმე. თბილისი ჩანჩქერივით ხმაურობდა (მალე მტკვრის ბუტბუტიც მოგვესმა), ირგვლივ ჟრიამული და აურზაური იდგა. ყველაზე მეტს მემწვანილეები ყვიროდნენ: „წიწმატი, ახალი ხახვი, ბოლოკი, ისპანახი!“ თბილისური ზამთარი თვალებს გვიჭრელებდა ალაგ-ალაგ ფეხით ჩატეხილი თხელი ყინულის ბრწყინვაციალით, მუქი ცით და, მაწვნით დატვირთული შავი სახედრებით, სპილენძის აბზინდები რომ ეკიდათ—ის აბზინდებიც ალმასებივით ელავდნენ მზის შუქზე. გაკრიალებული ტრამვაი ისეთი რახრახით, ტკრციალით და ჟღარუნით დაჰქროდა გოლოვინის პროსპექტზე, რომ ჩასულებს პირველად ორკესტრი გვეგონა, ალბათ ჯარი თუ მოდისო, — ვთქვით.

გზა-გზა ღვინის სმამ საბედნიეროდ შეატრიალა ჩემი საქმე: ჩვეულებრივ მორცხვსა და მოკრძალებულს სითამამე მომეძალა.

სითამამე კი ახლა ძალიან მჭირდებოდა... მროზოვსკიმ ბათუმიდან წერილით შეატყობინა თავის თბილისელ ნათესავს, ჩემი მეგობარი მოდის და ერთი ოთახი გამოუყავითო. ფრაერმანს უკვე მზად ჰქონდა ოთახი, სადაც სონია ცხოვრობდა.

ცოტა არ იყოს, მცხვენოდა, მერიდებოდა მროზოვსკის ნათესავ ხალხთან მისვლა, რადგან ვიცოდი, რომ ისინი, ძმები ზდანევიჩები — პოეტი ილია და მხატვარი კირილე — კავკასიაში ცნობილი ფუტურისტები იყვნენ. ვიცოდი, რომ თბილისში ყოფნისას ზდანევიჩების ბინაში გაჩერდა მაიაკოვსკი, იქ

ხშირად იყრიდნენ თავს აგრეთვე ქართველი მხატვრები და პოეტები: ლადო გუდიაშვილი, ტიციან ტაბიძე და სხვანიც. ამ გარემოების გამო იყო, რომ ფეხები უკან მრჩებოდა.

მაგრამ ახლა, კახური ღვინით შეზარხოშებულს, სიმორცხვის ნატამალიც აღარ მეტყობოდა.

ზდანევიჩები დიდაივნიან ძველ სახლში ცხოვრობდნენ. აივანი ეზოში გადიოდა. უმზეო, გრილი ოთახები სავსე იყო სპარსული ხალიჩებითა და ძველი ავეჯით.

აივნიდან კავკასირონის მთავარი ქედის დათოვლილი თხემი მოჩანდა. ზდანევიჩების ბინაში დილიდან საღამოამდე როიალს უკრავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ, დავობდნენ და კამათობდნენ.

აივანზე და კორიდორშიც მტრედები გოგმანობდნენ. როცა ხალხი ჩუმად იყო, მთელი სახლი ყრუდ ღუღუნებდა.

გარდა ამისა, ზდანევიჩების ბინაში თითქმის ყოველდღე ნახავდით ყმაწვილებსა და გოგონებს, უხალისოდ რომ იზეპირებდნენ ფრანგულ ბრუნებასა და უღვლილებას. მოხუცი ზდანევიჩი — გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი — ერთდროულად რამდენიმე ბავშვს ამეცადინებდა.

ყოველ ნახევარ საათში, ხან უფრო ხშირადაც, თეფშის ან ჭიქის მტვრევის ხმა ისმოდა. საიდანაც ხმაურს მოჰკრავდა ყურს, პატარა ბამბურა გოშია იქით გარბოდა და გულმოსული უყეფდა დამნაშავეს.

უცნაური ძაღლი იყო გოშია. ჩემს ოთახში არასოდეს არ შემოსულა, მარტო თავს შემოჰყოფდა ხოლმე და ნაღვლიანად მიმზერდა.

მივედი თუ არა, იმ საღამოს დიასახლისმა ვალენტინა კა-

რილეს ასულმა ზდანევიჩმა მომინახულა. ცოტა ხანს შენს ოთახში დავისვენებ, თორემ დამქანცა ამ „ბოშურმა აყალმაყალმაო“. ჩემი ოთახი, მართლაც, ძალიან წყნარი ოთახი იყო.

ვალენტინა კირილეს ასული თითქმის ყოველ საღამოს შემოდიოდა. მალე ძალიან შევეჩვიე ამ კაფანდარა პენსნეიან მოხუც ქართველ ქალს, ყოფილ მომღერალს, ჩაიკოვსკის მოწაფეს.

ჩემი დიასახლისი დიდად გამჭრიახი, ნათელი გონების ქალი იყო. აღელვებული არასოდეს მინახავს. მან ორი ვაჟიშვილი გაზარდა — პოეტი ილია და მხატვარი კირილე. ისინი მებრძოლი ფუტურისტები იყვნენ. ბურლიუკთან და კრუჩენინთან ერთად ილია სამართლიანად მიაჩნდათ ფუტურიზმის ერთ-ერთ ბელადად. ის პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. იმდროის გაზეთები ხშირად წერდნენ ილია ზდანევიჩის სააყალმაყალო ამბებს, პეტერბურგში ალბათ ლიტერატურული საღამო არ გამართულა, ის რომ არ დასწრებოდა.

თბილისში ილიამ „მემარცხენე“ პოეტებისა და მხატვრების საზოგადოება შექმნა. იმ საზოგადოებას „ორმოცდამეერთე გრადუსი“ ერქვა (იმ გეოგრაფიული პარალელის მიხედვით, რომელიც თბილისის მახლობლად გადიოდა).

მაგრამ ილია ზდანევიჩი, ისევე როგორც კირილე, ცალკე მოთხრობის ღირსია, ჯერჯერობით კი მინდა ზდანევიჩების ბინისა და იქაურ ბინადართა აღწერა დავამთავრო.

ზღურბლს ფეხი რომ გადავადგი და ბინაში შევედი, სახტად დავრჩი. მთელი სახლი, აივანი, კორიდორი, საკუჭნაო და სააბაზანო ოთახიც კი მეტად უჩვეულო ხელით შექმნილი სურათებით იყო სავსე. კედლებზე რომ აღარ დასტეოდათ, სურათების ერთი ნაწილი დაეგრაგნათ და კუთხეში მიეწყოთ.

ყველა სურათი ერთი და იგივე მხატვრის ფუნჯს ეკუთვნოდა, მაგრამ იშვიათად იპოვნიდით თვით მხატვრის წარწერას: „ნიკო ფიროსმანიშვილი“.

ფიროსმანიშვილზეც ცოტა გვიან მოგითხრობთ. ახლა კი, თუ შევძელი, ის ჩემი უცნაური მდგომარეობა უნდა აგიხსნათ, რა მდგომარეობაშიც ფიროსმანიშვილის სურათებმა ჩამაყენეს. ორ თვეს თვალი ვერ შევაჩვიე, ვერ შევეგუე იმ სურათებს და ძალზე კონკრეტულ, მაგრამ თანაც ნახევრადრეალურ სამყაროში ვცხოვრობდი.

აქ იყო უმთავრესად კავკასია, ერთდროულად უცნაურიცა და ზუსტიც. და არა მარტო კავკასია, არამედ ცხოვრების სულ სხვადასხვანაირი მოვლენები, დანახული მეტად თავისებურად, და არა ისე, როგორც ჩვენ ვუცქერით ამ მოვლენებს. ასე გულუბრყვილოდ და ახლებურად დანახვა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომელსაც ეს-ეს არის აეხილა თვალი, ანდა უეცრად გაეღვიძა და სიზმრისათვის თავი ჯერაც ვერ დაუღწევია.

ჩემს ოთახშიც ეკიდა ფიროსმანიშვილის სურათები (ზდანევიჩები მხატვარს ფიროსმანს ეძახდნენ). ამიტომ საკმარისი დრო მქონდა, რომ არა მარტო შემესწავლა, არამედ შემეყვარებინა კიდეც ისინი.

ამ სურათების გვერდით სრულიად დაკარგული იყო შესანიშნავი ორნამენტული მოხატულობა კიდლისა. ჩემამდე ზდანევიჩებს სპარსეთის თბილისელი დესპანი ჰყოლოდათ მდგმურად და თურმე იმ დესპანმა მოახატვინა სპარსელ მხატვრებს ოთახი.

გარდა სურათებისა, ოთახებში ყვავილებიც ბლომად იყო. ბინა საყვავილესა ჰგავდა.

ყვავილებს წარამარა ასხურებდნენ წყალს და ამიტომ სველი მინისა და ფოთლების სუნი იდგა მთელ სახლში.

როცა ფანჯარას მზე მოადგებოდა, ბინა ზაფხულის ნაწვიმარ დღესა ჰგავდა: წყლის წვეთები ოქროს ნამცეცებივით ციმციმებდნენ.

ზდანევიჩებს თაიგულები და მოწყვეტილი ყვავილები არ უყვარდათ. ლარნაკი რა იყო არ იცოდნენ. ყველგან ხის ქერქის პაწაწინა კოჭობები ეწყო, იმ კოჭობებში კი ათასნაირი ყვავილი ღაღანებდა: ია და ალისარჩილა, ედელვაისი და კამელია, თანაც ყველანაირი ფერის ხავსს ნახავდით იქ: მწვანე-ზურმუხტისფერსაც, ჟანგისფერსაც, შავსაც, ოქროსფერსაც, წითელსაც და ლიმონისფერსაც. ხავსს იოდის სუნი ჰქონდა.

ყვავილებისა და ხავსის გარდა, კოჭობებს ზედ გადაჰფაფროდათ მრავალძარღვა და იქვე იკლიკანტურად დაგრეხილი ფესვები, ზოგი ფესვი რაინდსა ჰგავდა, ზოგიც მორცხვ მობანავე ქალს. ხავსზე პეპლებს ეძინათ. ისინი „მემარცხენე“ მხატვართა უსაგნო სურათებსა ჰგავდნენ.

ზდანევიჩებისას ერთი გულღია პოლონელი ქალი, მხატვარი მარია ცხოვრობდა. ის იყო მთელი ამ „ბოტანიკური სამყაროს“ ავან-ჩავანი. მარია იმ პეპლებს „სუპრემატულ პეპლებს“ ეძახდა და თუ ეჭვს შეგატყობდა, ეშმაკურად გკითხავდა:

— რა-ა? განა არა-ა? ხომ ჰგა-ავს?

მთელი სახლი წიგნებით იყო სავსე, უმეტესად თხელ, ჭრელაჭრულა ყდიან და მყვირალა სათაურიან წიგნებს ვხედავ-

დი. იმ წიგნებს ფერადი რკალები, ქალის გულ-მკერდი და გადატეხილი სხივები ეხატათ.

ყველაზე პოპულარულად მიაჩნდათ ლექსების ერთი წიგნი, რომელსაც „აყვავდი, პოეზიავ, ქუჩაში ნაშობო!“-ერქვა. ის წიგნი ყველანაირი შრიფტით იყო აწყობილი, როგორიც კი თბილისში არსებობდა. სიტყვასა და სიტყვას შუა რაღას არ ნახავდით ჩასმულს — ხაზებს, მრავალწერტილს, ვიოლინოს ნიშნებს, ქართულ, სომხურ და არაბულ ასოებს, ნოტებს, გადაყირავებულ გაკვირვების ნიშანს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი შეიძლება, რომ სტამბაში იყოს.

ის წიგნი სასტამბო შრიფტების ნამდვილი კოლექცია იყო.

„ქაჯური“ ენით დაწერილი წიგნებიც ბლოგად ჰქონდათ. ერთ-ერთ წიგნს სათაურად ერქვა მხოლოდ ერთი ასო — „Ю“. ნაგიდაზე გორა-გორა ეყარა სურათები, უმთავრესად კუბისტური. ზედ ნეანდერტალელი ქალები ეხატა ან უზარმაზარი ყდიანი ელვა და მეხდაცემული დანგრეული სახლები. ალბათ მიწისძვრა იყო ასე გამოხატული. ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ვკითხე კირილე ზდანევიჩს, რას გამოხატავენ-მეთქი ეგ სურათები. კირილე გულჩათხრობილი კაცი იყო.

კირილეს ძმა — ილია პარიზში ცხოვრობდა და პიკასოს დამეგობრებოდა. ზდანევიჩები ისე ლაპარაკობდნენ ილიაზე, გეგონება აი ახლა გავიდა გარეთო.

ილიას ნივთებს ხელს ვერავინ დაადებდა, ადგილს ვერავინ გამოუცვლიდა. განსაკუთრებით ვალენტინა კირილეს ასული დაჰგურგურებდა იმ ნივთებს.

პირველ ხანს კეთილსინდისიერად ვკითხულობდი ილიას პოემებს — „სახედარს ქირით“ და „იანკოს“, — თუმცა ძალიან

ცოტა რამ მესმოდა. თავი ამტკივდებოდა ხოლმე, მაგრამ ჩემს აზრს ვერავის ვერ ვეუბნებოდი: ვისაც ილიას ლექსები არ მოსწონდა, ზდანევიჩებისა და ილიას მეგობრების აზრით, ყოვლად უნიჭო, მეშჩანი იყო.

მალე შევამჩნიე, რომ მხოლოდ ახტაჯანა და ქოლიკ მარიას შეეძლო დაუფარავად ეთქვა თავისი აზრი ილიაზე.

— ფუტურიზმის ვალი დიდი ხანია გადახდილი მაქვს და ახლა ჩიტივით თავისუფალი ვარ, — ღიღინით ამბობდა მარია.

— რა ვალი? — ვკითხე ერთხელ.

— გინდათ, გაჩვენოთ? — მკითხა ქალმა და პასუხს აღარ დაუცადა, მეორე ოთახში გავიდა. როცა შემოვიდა, დავინახე, რომ ლოყაზე ზეთის საღებავით დიდი წითელი ვარდი ჰქონდა დახატული.

— კარგია-ა, ჰო-ო? — მკითხა მარიამ, თან ცდილობდა არ გაეღიმა, რათა ნახატი არ გაფუჭებულიყო. — აი ასე დავდიოდი პოეტებთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე. სასაცილოა, არა?

ეს ამბავი როცა მოხდა, უკვე ერთი თვის ჩასული ვიყავი თბილისში. პირველად კი მარია მეტად უცნაურად და სასაცილოდ გავიცანი.

ჩემს ოთახს ბუხარი ჰქონდა. პირველივე დღეს, საღამოთი, აივანზე გავედი შეშის შემოსატანად. ჩვენებური, მოსკოვური გაგებით, ის უფრო ფიჩხი იყო, ვიდრე შეშა.

აივანზე სასადილო ოთახიდან უნდა გავსულიყავი. შევაღე კარი და დავინახე, რომ მაგიდას ოთხნი უსხდნენ — ვალენტინა კირილეს ასული, მოხუცი ზდანევიჩი და ორიც ახალგაზრდა ქალი. ერთი გველივით ტანწვრილი და მაღალი იყო, მეორეს

ფერმკრთალი, დამცინავი სახე ჰქონდა, მწვანე თვალებს კატასავით აცეცებდა, ხელზე ვერცხლის სამაჯური ეკეთა. ისინი ჩაის მიირთმევდნენ.

— აი, — თქვა ვალენტინა კირილეს ასულმა და სამაჯურიანი ქალისკენ გაიშვირა ხელი, — გაიცანით. ჩვენი მარიაა. ცოტა უცნაური ლაპარაკი იცის, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ.

მარია სწრაფად წამოდგა და ხელი გამომიწოდა. სამაჯურმა გაიჟღარუნა. ქალმა თვალი თვალში გამიყარა, ეშმაკურად გაიღიმა და ანაზდად-უკან მიიხედა — იმ მხარეს, კედელზე, მარიას პორტრეტი ეკიდა, ფაქიზად და ნაზად შესრულებული.

— პოეტ ტერენტიევის ნამუშევარი, — თქვა მოხუცმა ზდანევიჩმა. — ჩემი მოწაფე იყო გიმნაზიაში, ფრანგული ხუთი თითივით იცოდა.

მარიას ღიმილი შეეპარა, ხმა არ ამოუღია, დუმდა. მეც ჩუმად ვიდექი.

— ბოდიში, გენაცვალე, — სწრაფად თქვა ვალენტინა კირილეს ასულმა. — ეს შავგვრემანი ქალი ჩერნოგორელი ქივკაა, ჩვენი საერთო მეგობარია.

— ჩერნოგორია სერბულად ცრნაგურად წარმოითქმის, — თქვა მოხუცმა ზდანევიჩმა. მერე ლექსიც დააყოლა: — „რაო? ჩერნაგორელები? — ბონაპარტემ იკითხა. — ერთი ციცქნა ხალხია და ჩვენი არ ეშინიათ?“

ყველამ თვალები დახარა. მეზობელ სახლში სუსტი ტენორი მღეროდა:

აყვავებულა თეთრი შროშანი,
თეთრი გვირგვინი აჰყვავებია...

— გვირგვინის აყვავება სად გაგონილა! — ბრაზიანად თქვა მოხუცმა ზდანევიჩმა.

ქალებს ხმა არ ამოუღიათ.

— დაბრძანდით, — ალერსიანად ჰითხრა მარიამ. — ჩაის დაგისხამთ.

— ახლავე. ჯერ შეშას შემოვიტან, თუ შეიძლება.

სამზარეულოში გავედი. ბნელოდა. ფანჯრიდან ჩახჩახა ვარსკვლავებს მოვკარი თვალი, ბნელში აღმართულ მთათა მწვერვალებს დასციცინებდნენ.

შეშა წამოვიღე და წამოვედი. სასადილო ოთახში მარტო მარია და ჩერნოგორელი ქალიღა ისხდნენ. მოხუცები წასულიყვნენ.

მარიამ თვალი თვალში გამიყარა, თითქოს მომნუსხა კიდეც ფეხი ვეღარ გადავდგი, შეშა ძირს დამიცვივდა.

— მარია, ეგ ღორობაა, — გულგრილად თქვა ჩერნოგორელმა ქალმა.

— ეგრეც ვიცოდი, — ნაღვლიანად თქვა მარიამ და წამოდგა. — სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო. დაიცა, მოგეშველებით.

ქალმა სწრაფად აკრიფა შეშა, თვითონვე გაიტანა ჩემს ოთახში და ბუხარს შეუკეთა. მერე ჩაცუცქდა, ლოყა თითქმის იატაკს შეახო და კარგახანს უბერა.

ადექი-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. წაბლისფერი ხვეული თმა წამდაუწუმ ძირს უცვიოდა და ხელს რომ გადაისვამდა ხოლმე, სამაჯურს წკარუნი გაჰქონდა.

დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. მერე კი ვკითხე:

— სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ თქვით, რას გულისხმობდით, როგორ უნდა გავიგო?

მარიამ თავი მაღლა ასწია, ქვევიდან ამომხედა და უცებ

შემაკრთო, გამაჟრიალა ამ ქალის შეშფოთებულ თვალთა ელვარებამ.

— ისე უნდა გაიგოთ, რომ დამთხვეული და ტუტუცი ვარ, — მიპასუხა მარიამ, წამოხტა და ოთახიდან გავიდა. — წამოდით, ჩაი დალიეთ.

თბილისი უეჭველად თავის დაღს დამასვამს-მეთქი, ტყუილად როდი გავიფიქრე ჩამოსვლის დღეს სადგურში.

უგრალო მუშამბა

თბილისის განაპირას ვერისა და ორთაჭალის ცნობილი ბაღები გაშლილიყო.

ეს ადგილები ზაფხულობით სამხიარულოდ და დასასვენებლად იყო მიღებული. ყოველი პაწაწა ბაღიც კი კაფეშანტანად ან დუქნად ექციათ.

შეღამებისას, დაცხრებოდა თუ არა პაპანაქება, თბილისელები იმ ბაღებისაკენ მიეშურებოდნენ, ვინც ცოტა მდიდარი იყო — წყვილცხენიანი ეტლით, ღარიბები კი — ფეხით.

იმ კაფეშანტანებს უცნაურად აბურბურებული და უგემოვნო სახელები ერქვათ. ჯერ ყველაზე ძვირფასი შანტანი „ელდორადო“ იდგა, მერე „ფანტაზია“, „სან-სუსი“, „შანტეკლერი“ და „ჯენტლმენი“ ჩამწკრივებულიყვნენ.

ორთაჭალის ბაღების შორიახლო ეგრეთწოდებული „მხიარული“ ქუჩები იყო. კაფეშანტანთა ბევრი სტუმარი პირველად ამ ქუჩებს გაუვლიდა ხოლმე და იქიდან კისკისა გოგონები მიჰყავდათ.

რა ელოდა თბილისელს ამ ბაღებში? სიგრილე, ცხვრის მწვადის მსუბუქი ოხშივარი, სიმღერა, როკვა, ლოტოს თავდამავიწყებელი თამაში და ლამაზი, გაავსიტყვებული ქალები.

ყველაზე მეტად ჩინართა და-თუთის ხეთა ჩეროები იზიდავდნენ ხალხს. ძნელი მისახვედრი იყო, თუ რა სიგრილე სძლებდა იმ ხეთა ჩრდილქვეშ, როცა გვერდით სიცხის ლული ასდიოდა თბილისს, ანთებულ მთათა რკალში მოქცეულს, და ახლომახლო ბორცვ-გორაკებიდან შეუშფოთებლად ვერც დახედავდა კაცი. ისე ჩანდა, თითქოს მთელი თბილისი ვარვარებს და სადაც არის უზარმაზარ ჭიაკოკონად აბოლდებაო.

შეიძლება, იმ სიგრილეს შადრევნები წარმოშობდნენ ან შორეულ თოვლიან მთებს მოჰქონდათ ბაღებში უჩუმარი სიო. ქალაქში მარტო გათენებისას თუ ამოისუნთქავდა კაცი, როცა ღამე ოდნავ შეაგრილებდა სახლებს. მაგრამ კახეთით ამოიწვერებოდა თუ არა მზე, ქუჩებს იმ წუთას მომთენთავი სიცხე ალიცლიცებდა.

ვერის ბაღების მომღერლებში ერია ერთი ზოზინა, ტანწვრილი და მხარგანიერი ქალი, რომელსაც ბრინჯაოსფერი თმა, ნაზი, მოღერებული კისერი და ვარდივით სხეული ჰქონდა.

გარუსებული გერმანელიაო, ამბობდნენ იმ შანტანში, სადაც ის ქალი საღამოობით მღეროდა, მაგრამ ბაღის პატრონი — გულფიცხი მეგრელი — როგორც კი ამნაირ ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს, ნამდვილ აყალმაყალს ატეხდა ხოლმე.

— ალბათ თავში ყირამალა გაქვს ტვინი! — ყვიროდა ბაღის პატრონი. — გაგიგია ქვეყანა — საფრანგეთი?

— გამიგია, მერე, — მორუშხული ეტყოდა მოქეიფე კაცი.

— იცი, რომ საფრანგეთშია გუბერნია ელზა? იცი? აი, იმ გუბერნიელია. ელზელი. უმაღლესი ხარისხის ფრანგია. რა ხალხია! უბრალო ამბებიც არ იციან! ჩხუბი, იცოცხლე, იციან, ხურდას არავის მისცემენ. ქუჩაში გოგოების გახახუნებაც იციან, მაგრამ მოფიქრებაზე თუ მიდგა საქმე, ის აღარ იციან!

მარგარიტა იშვიათად თუ ვინმეს დაეთანხმებოდა ერთად ვახშმობაზე, მაგრამ პატარ-პატარა საჩუქრებს გულგრილად, როგორც სავალდებულოს, ყოველთვის იღებდა. მერე იმ საჩუქრებს თავის მეგობარ ქალებს დაურიგებდა ხოლმე.

ნამდვილად ძნელი მისახვედრი იყო, თუ რას ფიქრობდა იგი ცხოვრებაზე, მეტადრე კაცებზე. ისე კი, ბევრს უნდოდა რომ საყვარლად გაეხადა მარტოხელა ქალი.

ლაპარაკით ცოტას ლაპარაკობდა, სიმღერით კი, რაღაცა არაჩვეულებრივი, როგორც ამბობდნენ, ორმაგი ხმით მღეროდა.

მოსასმენად ხან ოპერის მსახიობები და მუსიკოსებიც მოდიოდნენ. მარგარიტა ისე მღეროდა, თითქოს ერთ ხმას მეორე, ქვეხმასაც აყოლებსო, ის ხმა კი მიმწყდარ გამოძახილს ჰგავდა.

მსახიობები ამბობდნენ, ნამდვილად „ვოკალური ცთუნება�აო“, „მხედველობითი ცთუნების“ მსგავსი და არავითარი მეორე ხმაო.

ასე ლაპარაკობდნენ ისინი და დავობდნენ, მაგრამ თუკი მარგარიტა მღეროდა, ყველას ორმაგი ხმა ესმოდა...

ერთხელ მომღერლებმა და მუსიკოსებმა მთელი ღამით დაიქირავეს დუქანი „ვარიაგი“, მარგარიტა მიიწვიეს და სიმღერის მოყვარულთათვის დახურული კონცერტი მოაწყეს.

კონცერტის შემდეგ ადგა მოხუცი დირიჟორი და თქვა, ადამიანის ხმა ყველაზე რთული მუსიკალური საკრავიაო. როიალზე და ვიოლინოზეც უფრო მდიდარია და ამიტომ, თუკი ხმაში ერთდროულად რამდენიმე ტონალობა არსებობს, სულ ადვილად შესაძლებელი და ბუნებრივი ამბავიაო.

მარგარიტას კი თავი დაეხარა და ღვინოს სვამდა. ღადღადა აბრეშუმის კაბის შუქზე თმა მოხანძრისფრო უჩანდა. იგი თვალებს ასწევდა ხოლმე მაღლა და ყველას მიხედ-მოხედავდა, ვინც სუფრაზე ისხდნენ, მაგრამ თვალის გუგათა ჩაბინდულ სიღრმეებში არც ცეცხლი ეტყობოდა და არც ღიმილი.

კარის სახელურს ერთი მაღალი, ძალზე გამხდარი, პირხმელი ქართველი მიჰყრდნობოდა. ქართველს ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ძველი პიჯაკი ეცვა. ერთ ადგილას იდგა და მარგარიტას უმზერდა.

ის კაცი მოხეტიალე მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი იყო. ნიკოს მარგარიტა უყვარდა. იმ ერთს მისჩერებოდა მთელ ქვეყნიერებაზე. მიწის ყოველი გოჯი, რომელზეც მარგარიტას ფეხი არ დაედგა, ფიროსმანს ნაუდაბნოვარად ეჩვენებოდა. მაგრამ იქ, სადაც კვალს შეამჩნევდა, ის ღვთით დალოცვილი მიწა-ადგილი იყო. იმ მიწის ყოველი ნასახი ციცქნა ალმასივით უთბობდა გულს.

ალბათ ასე უმღერებდა ფიროსმანის გრძნობებს ზოგიერთი საშუალო ირანელი პოეტი. თუმცა ის ზოგიერთი მაინც მართალი იქნებოდა, მიუხედავად ესოდენი სიტყვაფერადოვნებისა.

ის დღე, როცა ფიროსმანს მარგარიტას ხმა არ ესმოდა, ყველაზე ყრუ დღე იყო დედამიწაზე.

მეტისმეტი სიყვარული ისეთ სურვილებს აღძრავს, რასაც

ვერც იფიქრებს ადამიანი. ვის მოუვა აზრად ჩვეულებრივ ცხოვრებაში, რომ ემთხვიოს ადამიანის ხმას, ან თავზე ფელი გადაუსვას მგალობელ მოლაღურს, ან არა და აბოჟირდეს ბეღურებთან ერთად, როცა ისინი ჩვენს ირგვლივ ერთ ალიაქოთს ასტეხენ.

ფიროსმანს ზოგჯერ უცნაური სურვილი ჰქონდა, ხელი შეეხო მარგარიტასათვის ყელზე, როცა ის მღეროდა, რომ მარტოოდენ სუნთქვა მაინც მიეტანა ახლოს იმ იდუმალ ხმასთან, თბილ ჰაეროვან შადრევანთან, ასე ელვარედ და ამაღელვებლად რომ წკრიალებდა.

ხალხი ამბობს, მეტისმეტი სიყვარული ადამიანს იმონებსო.

ნიკოს სიყვარულმა ვერ დაიმორჩილა მარგარიტა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ყველა. მაგრამ მაინც ძნელი გასაგები იყო, მართლა ვერ დაიმორჩილა თუ არა? თავად ნიკო ამას ვერ იტყოდა, მარგარიტა კი თითქოს სიზმარშიაო, ისე იყო. გული ყველასთვის დახურული ჰქონდა. მარგარიტას სილამაზე ყველას სწყუროდა. მაგრამ, ეტყობა, თვით მარგარიტას არ უნდოდა ის სილამაზე. თუმცა კოპწიაობდა კიდეც და კარგადაც იცვამდა. შარიშურა აბრეშუმით მორთულიყო, აღმოსავლური სუნამო დაესხა და ქალღმერთად ეჩვენებოდა ყველას.

მაგრამ ამ სილამაზეში იყო ერთგვარი მრისხანებაც და, ეტყობა, იგი თვითონაც გრძნობდა ამას.

საიდან იყო მოსული ფიროსმანი, დანამდვილებით არავინ იცოდა. მერე, ფიროსმანის სიკვდილის შემდეგ, შეკრიბა კირილე ზდანევიჩმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ნამცეც-ნამცეც ბიოგრაფიული ცნობები და, თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც აღადგინა ცხოვრება მხატვრისა...

ფიროსმანი დაიბადა 1862 წელს კახეთში, სოფელ მირზაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ყოფილა, რომ მშობლებს ერთ შეძლებულ ქართულ ოჯახში მიუბარებიათ მოსამსახურედ თბილისში.

ფიროსმანი ხელზე მოსამსახურე იყო ოც წლამდე. მერე იგი ამიერკავკასიის რკინიგზაზე კონდუქტორად მოეწყო, სწორედ იმ ხანად დაიწყო ხატვაც. სულ პირველად სადგურის უფროსის სურათი დახატა. ეტყობა, ის სურათი მეტად გესლიანი და კარიკატურული იყო, ვინაიდან ნახა თუ არა თავისი პორტრეტი სადგურის უფროსმა, იმ წუთს დაითხოვა სამსახურიდან ფიროსმანი.

რა უნდა ექნა? — ის არც უსაქმური იყო და არც ნახევრად ღარიბი, მხიარული და დარდიმანდი თბილისელი კინტო. ნიკოს არ შეეძლო კინტოსავით „ჰაერზე“ ეკეთებინა ფული...

ერთი ხანობა, შუა ბაზრის ახლომახლო, მიყრუებულ ეზოებში რძით ვაჭრობდა ფიროსმანი და, როგორც იყო, გაჰქონდა თავი. მაგრამ ვაჭრობას გული ვერ დაუდო.

მალე ყვავილივით მოხატა თავის დუქანში დახლი. პირველ სურათებს ხან ვის აჩუქებდა ხოლმე და ხან ვის. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ სიამოვნებით ართმევდნენ.

ხანაც მეიდანზე გაიტანდა ხოლმე იგი თავის სურათებს და წვრილმან გადამყიდველებს აძლევდა. ის გადამყიდველები ისეთი რამეებით ვაჭრობდნენ, რაც იშვიათად თუ ვინმეს სჭირდებოდა, იმ რამეებს, როგორც იტყვიან, „წყალში ფულის გადამყრელებს“ თუ მიაჩეჩებდნენ. იდუმალ უცხოურ სიტყვას— „ბრიკ-ა-ბრას“ ეძახდნენ იმ ნივთებს გადამყიდველები. იმათი აზრით, ის იყო მეტად ლამაზი და მაცდუნებელი სიტყვა იმი-

ტომაც, რომ არც თვითონ ესმოდათ და ვერც ფიროსმანსა და მყიდველებს გაეგოთ რას ნიშნავდა „ბრიკა-ა-ბრა“.

ჩაწყობილ საქმეს ვერც ამ სიტყვამ უშველა. მყიდველები გაკვირვებულ-გაოცებული აივლ-ჩაივლიდნენ ხოლმე და სურათებს არავინ ყიდულობდა. გადამყიდველები კი ჩალის ფასად ართმევდნენ ფიროსმანს იმ სურათებს.

და ფიროსმანი შიმშილობდა. ხან რომელიმე სახლის კედელთან ან ამ ქვეყანასავით ძველთაძველი ხის ქვეშ მიჯდებოდა და იყო ასე, ვიდრე ტარაბუა არ გაუვლიდა.

მერე თავის სამშობლო სოფელში დაბრუნდა, სადაც კვლავ ათასი ჭირ-ვარამი ელოდა. თავისი სახლის კედლები და ჭერიც კი მოხატა, რითაც გააოცა მოკეთეები და მეზობლები.

მალე ამ სახლში ფიროსმანმა წვეულება გამართა. ამ წვეულების შემდეგ ოთხი სურათი დახატა, სოფლური ლხინი და ნადიმი ასახა იმ სურათებში. ის დღესასწაული იმითაც იყო საოცარი, რომ მრავალ დღესასწაულთა საწინააღმდეგოდ, არც ერთი მდიდარი არ დასწრებია. სტუმართაგან ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა და ზოგიც იწვა, ღვინით სავსე ყანწები კი მაღლა აეწიათ. ეს მიმზიდველი და თვალწარმტაცი ღრეობა მეტად თამამად დაწერა ფიროსმანმა.

ბოლოს, როგორც თვითონ ეგონა, მეტად მარჯვე გამოსავალი იპოვა. დაბრუნდა თბილისში და დაიწყო დუქნებისათვის აბრების წერა. უფრო მეტად სადილსა და ვახშამზე ურიგდებოდა. ხანაც ფულად ართმევდა ნაწილ გასამრჯელოს, რათა საღებავები ეყიდნა და ბინის ქირაც გაესტუმრებინა.

მაგრამ მასალისათვის ფული არასოდეს არ ჰყოფნიდა. მედუქნეები სიხარულით ხსნიდნენ ძველ თუნუქის აბრებს, წი-

ნასწარ გაგოზავდნენ ხოლმე ჩაშავებულ თუნუქს და, თუ გინდა ამაზევე დაგვიხატეო, ეუბნებოდნენ, მაგრამ ფიროსმანი არასოდეს არ ეთანხმებოდა.

თუნუქის აბრები მალე ქანგდებოდა. ფიროსმანმა კი იცოდა, რომ, მართალია, უსწავლელი ან, როგორც რუსები იტყვიან, თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ ძალოვნებითა თუ ნახატისა და ფერის სიწმინდით მაინც შეეძლო ზოგიერთ დიდ მხატვარსაც კი შესჭიდებოდა (ფიროსმანს ნანახი ჰქონდა იმ დიდი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციები), შეიძლება — თვით დელაკრუასაც (მხატვრობაზე მეოცნებე ერთი გიმნაზიელი უყვებოდა ხოლმე ფიროსმანს იმ ფრანგზე ათას ამბებს).

მასალა არ იყო, და ფიროსმანმა უბრალო მუშამბაზე დაიწყო ხატვა, მუშამბა კი ყველაზე ღარიბულ დუქანშიც ეფარა მაგიდებს.

მუშამბა შავიც იყო და თეთრიც. ფიროსმანი ხატვისას შეუფერადებელს სტოვებდა მუშამბას აქა-იქ, ნაწილ-ნაწილ, საცა საჭირო იყო.

ეს ხერხი მან მეორე პორტრეტისათვის გამოიყენა. ასეთი ხერხით შექმნილი ზოგიერთი ნამუშევარი ნამდვილად არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა.

არასოდეს დამავიწყდება ფიროსმანის მუშამბა „თავადი". ჩოხა-ახალუხი იყო სწორედ შავი მუშამბის შეუფერადებელი ნაწილი, რომელსაც რიჟრაჟისებრი მკრთალი შუქი ეფინა. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა საღებავით მოეფინა მხატვარს ის ოდნავ ბნელხლებული შუქი.

ამნაირ სურათებისათვის, როგორიც „თავადია", ოც-ოცდა-

ათ მანეთს აძლევდნენ ფიროსმანს, ისიც როცა ყველაზე მეტად იყო დორანში.

დუქანში მოსულთ მოსწონდათ ფიროსმანისეული აბრები— დამკრახული ყურძნები, ნარინჯისფერი ხურმა, მანდარინის ხუჭუჭა ბაღები და მდიდრული ნატურმორტები — ათასნაირი მწვანილი, ბადრიჯანი, მწვადები, ყველი და მოხარშული ლოქო.

მაგრამ აბრებისათვის დაუსრულებლად სულ ამ ნატურმორტთა ხატვა აღარ შეეძლო ფიროსმანს. ცოტა არ იყოს, სევდაც მოერია. აბრებზე ახლა ხალხმრავალი ქეიფების ხატვა დაიწყო. ვიწრო გლეხური სუფრები პირდაპირ მწვანეზე იყო გაშლილი. აბრებს მოევლინენ ადამიანები, პეიზაჟები და ცხოველები, უმთავრესად მრავლისამტანი სახედრები.

ხანდახან ფიროსმანი მედუქნესთან ერთად იგონებდა დუქნის სახელს. რაც უფრო ძნელსაცნაური, თავსამტვრევი იყო სახელი, მით უფრო მოსწონდათ.

ფიროსმანს თან ეცინებოდა ხოლმე, ისე წერდა: „მწვადი ელექტრულად“ ან „მარტო არ უნდა დალიო“.

ამნაირი, თვალში საცემი სახელები განსაკუთრებით უყვარდათ ქართულ პროვინციაში, სადმე ოზურგეთში, ახალქალაქში ან საგარეჯოში.

ჩასწრებით ვეღარ ჩავუსწარი ფიროსმანს: თბილისში ჩემს ჩასვლამდე გარდაცვლილიყო.

ფიროსმანმა უზარმაზარი მხატვრული სიმდიდრე დატოვა. იმ სურათებს წლების მანძილზე აგროვებდა კირილე ზდანევიჩი, აგროვებდა ნამდვილად ნამცეც-ნამცეც. მან თითქმის მთელი ფიროსმანი მოიძია, გადაარჩინა ნიჭმომადლებული სახალ-

ხო მხატვრის ნაღვაწი, ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა და შემდგომ ის სურათები სახელმწიფოს — ხალხს გადასცა საჩუქრად.

1913 წელს კირილე ზდანევიჩი პეტროგრადში შეხვდა მხატვრებს გონჩაროვსა და ლარიონოვს. ისინი პეტროგრადში მოლდავეთიდან ჩამოსულიყვნენ და თან ჩამოეტანათ აბრები, სასაცილოცა და მეტად მოხდენილიც, რომლებიც ტირასპოლში ეპოვნათ.

ის აბრები ძალიან მოეწონა კირილე ზდანევიჩს. მალე თბილისში, დუქან „ვარიაგში", მან უფრო ლამაზი აბრა ნახა და შეიძინა კიდეც, ის აბრა დაწერილი იყო უცნობი მხატვრის ნიკო-ფიროსმანიშვილის მიერ.

კირილე ბევრ გლეხს, მედუქნეს, მოხეტიალე მუსიკოსსა და სოფლის მასწავლებელს იცნობდა. იგი ყველას სთხოვდა, ფიროსმანის სურათები და აბრები მომიძებნეთო.

პირველად მედუქნეები ერთ-ორ გროშად ჰყიდდნენ აბრებს. მაგრამ მალე საქართველოში ხმა გავარდა, ვინმე თბილისელი მხატვარი იმ აბრებს უცხოეთისათვის ყიდულობსო, და მედუქნეებმა ცეცხლის ფასი წაუკიდეს.

მოხუცი ზდანევიჩებიცა და კირილეც იმხანად ძალზე ღარიბად ცხოვრობდნენ. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ასეთი ამბავი მოხდა: კირილემ ფიროსმანის რამდენიმე სურათი იყიდა და მთელი ოჯახი ეარიელ პურსა და წყალზე დასვა, (მარიამ „დეზერტირის" ბაზარში თავისი უკანასკნელი საყურე და ჟაკეტი გაყიდა).

ერთხელ გოროზმა კირილემ (რაც უფრო აღელვებული იყო, იგი უფრო მეტად იღუშებოდა) ახალი სურათი მოიტანა

და თქვა: „როგორია?“ მერე ის სურათი რამდენიმე დღეს ეკიდა სასტუმრო ოთახში.

როგორც კი კირილეს მღელვარება გაუვლიდა, შემდეგ ფერწერის მოყვარულთა მისვლა-მოსვლა დაიწყებოდა ხოლმე. ჩემს ოთახში კარგად ისმოდა, რასაც სასტუმროში ლაპარაკობდნენ, და მალე ყველა ახალი სურათის ისტორია ზეპირად ვიცოდი.

ფიროსმანი თბილისში ჩემი ცხოვრების პირველივე დღეს გავიცანი...

როგორც უკვე ვთქვი, ჩემი ოთახის კედლები ზედა ლავგარდანიდან პლინთუსამდე სულ ფიროსმანის მუშამბებით იყო მოფენილი.

ჩამოსვლის დღეს უბრალოდ თვალი გადავავლე იმ სურათებს. თბილისური ზამთარი იდგა, ოთახში ციოდა. მაგრამ გულში მაინც უცნაურმა სითბომ დამიარა. თითქოს ვიღაცამ ჩამჭიდა ხელი და თვალის დახამხამებაში შემომატარა საკვირველი და ჯადოსნური ქვეყანა, რომელიც ერთხელ უკვე ვნახე ან იქნებ დამესიზმრა კიდეც და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე კვლავ მივივლ-მოვივლიდი, გონს მოვიდოდი და მთელ ასავალ-დასავალს გავუგებდი.

იმ საღამოს აღელვებული დავწექი დასაძინებლად. გულში ჩამყვა ის უცნობი სურათები, გარს მდუმარედ რომ მეხვევნენ და თითქოს ერთი წუთით თვალს არ მაშორებდნენ.

დილით ძალიან ადრე გამეღვიძა. ძალამილეული, გაცრეცილი მზე ირიბად იწვა მოპირდაპირე კედელზე.

შევხედე იმ კედელს და წამოვხტი. გულმა დაგადუგი დამიწყო. კედლიდან თვალს თვალში მიყრიდა სიმივით დაძაგრული,

უცნაური ცხოველი, რომელსაც არ შეეძლო ეთქვა თავისი სატანჯველი. შეშფოთებული მიმზერდა საცოდავი, თითქოს რაღაცას მეკითხებოდა.

ის ცხოველი ჟირაფი იყო. უბრალო ჟირაფი, რომელიც ალბათ თბილისის ძველ სამხეცეში ენახა ფიროსმანს.

ზურგი შევაქციე. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჟირაფი თვალს არ მაშორებდა და ყველაფერი იცოდა, რაც გულში მიტრიალებდა.

მთელ სახლში სამარისებური სიჩუმე იყო. ჯერ ისევ ეძინა ყველას. ჟირაფს თვალი მოვაშორე და იმწუთას მომეჩვენა, რომ უბრალო ხის ჩარჩოდან ძირს გადმოვიდა, გვერდით დამიდგა და ელოდა, როდის ვეტყოდი რაიმე მისნურს, რაც სულს შთაბერავდა და იხსნიდა ამ ხეშეშა მტვრიანი მუშამბის ტყვეობისაგან.

უცებ ეზოში სასოწარკვეთილი ყვირილი გაისმა: „მაწონი!! მაწონი!!“ თბილისელი მემაწვნეები რატომღაც ყოველთვის ასე სასოწარკვეთილი ხმით ყვიროდნენ. მაწვნის ქილებით სავსე ხურჯინები შავ, მტვრიან სახედრებს ეკიდათ.

მემაწვნის ყვირილმა თითქოს თავზარი დამცა და დავიკვნესე.

მაბაბანებდა. ლოგინში შამფურივით ვტრიალებდი. ჟირაფი კვლავ მუშამბაზე აძვრა. ფანჯარას თეთრი, ქათქათა მზე მოადგა, კახეთის მზე, და იქვე, საწოლთან, თვალი მოვკარი შეშინებულ მარიას, რომელსაც ლოყაზე ჩამოვარდნოდა ირიბად შეკრეჭილი წაბლისფერი თმა, ხოლო მერე — ვალენტინა კირილეს ასულს, კეთილი დედაბერი სათვალის ზემოდან დამცქეროდა. მაშინ კი მივხვდი, რომ მალარიამ თბილისშიც მომაგნო.

ვალენტინა კირილეს ასული გავიდა, მარიამ კი ცივი ტილო დამადო შუბლზე, დაიხარა და ლოყით შეეხო ჩემს ტუჩებს, რა არი გაეგო, დიდი სიცხე მქონდა თუ არა. მართალია, საქმიანად, ექიმივით შემეხო, მაგრამ მაინც ალერსად მივიღე იმ ლოყის სითბო.

მალე ფიროსმანის თითქმის ყველა სურათს ვიცნობდი. იმ სურათებმა თვალი ამიხილეს და კიდევ უფრო შემაყვარეს კავკასია, — რთულიცა და მოზაიკურად თვალწარმტაციც.

ფიროსმანი ჩემთვის საქართველოს ბუნების, ისტორიისა და ადამიანების ენციკლოპედიად იქცა.

არასოდეს დამავიწყდება კავკასიის არც ერთი პანორამა, ფიროსმანის ფუნჯით შექმნილი, ალბათ მუდამ მემახსოვრება მაგიური მთვარიანი ღამე, თბილისის არსენალს რომ დასწოლოდა, და შამილის ფერხთა წინაშე გართხმული პიტალო მთები.

ფიროსმანისეული მრავალი გამხდარი გლეხკაცი, მხიარული მევენახე, უქონელი და კდემამოსილი მანდილოსანი, მებადური, ულვაშდაფანჩული ყინჩი მდიდარი, ცოცხივით წვერაბურძგნული თბილისელი მეეზოვე და დარდიმანდი მუსიკოსი ირეოდა ზდანევიჩის ოთახებში ოდნავ დამტვერილ მუშამბებზე. დროდადრო რომელიმე სტუმარი ხან ერთ სურათზე მოიგონებდა რაიმეს, ხან მეორეზე და ზღაპარივით იწყებდა მოყოლას.

უმეტესად ადამიანები ჩანდნენ ფიროსმანის სურათებზე, მაგრამ თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ნაირნაირ ცხოველსა და ნადირს: ლომებს, ჯეირნებს, კამეჩებს, ჟირაფებს, აქლემებსა და მხატვრის უტყვ მეგობრებს — სახედრებს.

ხელოვნება ყოველთვის გულზე ხვდება ადამიანს და იგი არასოდეს არ ივიწყებს ამ ცხად კავშირს მშვენიერებასთან.

ვერც იმ სულიერ აღფრთოვანებას ივიწყებს ადამიანი, რასაც ხანდახან ერთი, მხოლოდ ერთი, სტრიქონი, მიანიჭებს ხოლმე, ან სურათი, რომელსაც მრავალი საუკუნე დაუძლევია, რომ ჩვენამდე მოეტანა თავისი სილამაზე.

ფიროსმანი რომ არ მცოდნოდა, ალბათ ვერც კავკასიას ვნახავდი მთლიანად გამჟღავნებულს. ის იქნებოდა ჩემთვის უშუქ-ჩრდილო სურათი, რომელსაც არ დაეტყობოდა არც დეტალები და არც კონტურები, არც ნახევრადაღმოსავლურ და ნახევრადევროპულ სივრცეთა მოლურჯო ბინდი.

ფიროსმანმა ჩემს თვალში ნაყოფის წვენითა და ფერთა იდუმალებით აავსო კავკასია. მან დამაახლოვა ამ ქვეყანას, სადაც ერთდროულად გრძნობ სიხარულსაცა და მსუბუქ, უცნაურ ნაღველსაც. ამ სიხარულითა და შინაგანი კაეშნით უბრწყინავთ თვალები მშვენიერ ქართველ ქალებს. ისინი თვალსა და ხელშუა ქრებიან ზღვა ხალხში, თუმცა ესოდენ ნაზად, ეეედრება პოეტი:

შემომხედე, გენაცვალე!
ერთხელ მაინც შემომხედე!

ეს დილა თითქოს არაფრით არ განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი დილისაგან, რომელიც კი თბილისში გათენებულა. კახეთით კვლავ ბდღვრიალა მზე ამოიწვერა, სატელეგრაფო ბოძებზე მიბმულმა სახედრებმა ყროყინი ატეხეს, შავულვაშიან მორუშხულ კაცებს სავსე სანავთეები ეჭირათ, ქუჩა-ქუჩა დაღიოდნენ და უნდო-მანდოდ გაჰყვიროდნენ: „ნავთი! ნავთი!“ დიასახლისები კი ცარიელ სანავთე ჭურჭელს აჩხარუნებდნენ.

როგორც ყოველთვის, მტკვარი ახლაც ბუტბუტით მიაგორებდა ტალღებს „ვირის ხიდის“ შორიახლო წისქვილებთან და ჟღრიალ-წკარუნით დაჰქროდა ნახევრადცარიელი ტრამვაი.

სისხამი დილა ჯერ კიდევ თვლემდა სოლოლაკის ერთ-ერთ პატარა შესახვევში, ჩრდილი ეთამაშებოდა სახლებს, ჟამთასვლისაგან ნაცრისფერი რომ დასდებოდათ.

კუთხის მაღალი სახლის მეორე სართულზე ყველა ფანჯარა ღია იყო, იქ ოქროსწამწამიან მარგარიტას ეძინა.

სოლოლაკიდან კარგად ჩანდა დავითის მთა და ფუნიკულიორი. იქ, იმ მთაში იწვა გრიბოედოვი. საფლავი ფათალოს დაეფარა. მთაწმინდაზე ხშირად ავდიოდი, დიდი ქართველი პოეტების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საფლავებს მოვინახულებდი ხოლმე. ილიასა და აკაკის ლირიზმმა და ცრემლნარევმა სიცილმა განსაკუთრებული სიღრმე მიანიჭეს ახალ ქართულ მწერლობას და ამ მწერლობის ტაძარი კლასიკური სიცხადის სუფთა და თანაც მძაფრი ჰაერით აავსეს.

მერე მთაწმინდა ქართულ ნეკროპოლად იქცა. ამ წმინდა მიწას ახლახან მიაბარეს საოცრად უფაქიზესი სულისა და მაღალი გონების ჩვენი თანამედროვე პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

მოგონებამ გამიტაცა, თხრობას კვლავ გადავუხვიე.

ის დილაც ჩვეულებრივი დილა იქნებოდა, იმ დღეს რომ არ ყოფილიყო დაბადებული ნიკო ფიროსმანიშვილი და სოლოლაკში არ ახმაურებულიყვნენ ურმები, ზედ იშვიათი და მსუბუქი ტვირთი რომ ეწყო.

ურმები ნამიანი ყვავილებით იყო სავსე. ბზინავდა ნამი, და ხალხს ეჩვენებოდა, ყვავილებს უამრავი პაწაწინა ცისარტყელა აყრიაო.

ურმები მარგარიტას სახლის წინ შეჩერდნენ. მეურმეებმა ჯერ ცოტა იტუტუნეს, მერე იღლია-იღლია გადმოყარეს ყვავილები და ფიანდაზად მოჰფინეს მთელ ქვაფენილზე სახლის წინ.

წავიდნენ თუ არა ის ურმები, ახლა მეორე წყება წამოვიდა. კაცი იფიქრებდა, მარტო მთელი თბილისისა კი არა, მთელი საქართველოს ყვავილები აქ მოაქვთო.

ყვავილთა სურნელმა აავსო სოლოლაკი, ფანჯრებს ნამძინარევი დიასახლისები მოაწყდნენ. ისინი ჩქარა-ჩქარა ივარცხნიდნენ კუნაპეტივით შავ თმას და ხარბად უმზერდნენ საოცარ სანახაობას: მეურმეები, უბრალო მეურმეები და არა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრული მენახირენი, ყვავილებით ავსებღნენ ქუჩას, თითქოს მეორე სართულამდე ყვავილებში უნდა ჩაფლან სახლებიო.

მარგარიტა ბავშვების ჟრიამულმა და დიასახლისების გადაძახება-გადმოძახებამ გააღვიძა. ჰაერში ათასნაირი სუნი იდგა: გამომაფხიზლებელი და მოლამუნე, მკვეთრი და ნაზი, ხალისის მომგვრელი და თავბრუდამხვევი. ეს ალბათ ციურ სივრცეთა სუნი იყო, ღამით დედამიწის შორიახლო ნელა ჩავლილმა ვარსკვლავმა თუ დატოვა. ან იქნებ ყვავილის პაწაწინა თესლში ჩაბუდებულ ღივს აპოვნინეს გზა წყალმა, სითბომ, მიწის მტუტე მარილმა და ახლა, გაზაფხულის სუნთქვით შეკაზმული, სწორედ იმ უთვალავი პირველჩენილი ღივის სუნი იდგა.

ქუჩის თავი მუშა ხალხით აივსო. ყველანი იმ უცნაურ სანახაობას უცქეროდნენ და ვერა გაეგოთ რა. ვერავინ ვერ ბედავდა, რომ ფეხით შეეხებოდა ყვავილების ხალიჩას. ბავშვები ალბათ ჩაიფლობოდნენ, ზედ რომ გაერბინათ.

ამიტომ გაოგნებულ ქალებს ხელით ეჭირათ ისინი და არ უშვებდნენ.

რაც დედამიწის ზურგზე ლამაზი ყვავილია, სულ იქ მიეტანათ! ყველას ჩამოთვლა უაზრობაც კია!

ირანულ იასამანს გემოთი მოტკბო ცივი ნამი ეყარა. აკაცრის ყვავილები ვერცხლისფრად ციმციმებდნენ. ტინზე ნაზარდ ველურ კუნელს ტინივით მაგარი სუნი ჰქონდა. იქვე ეყარა ნაზი ცისფერი დედოფლისთითა, ბეგონია და უამრავი ფრინტა, ვარდისფერკაბიანი ცხრატყავა, წითელი ლილიფარა და შროშანი. არც დედოფლის ყვავილი და იორდასალამი დავიწყებოდათ. ალაგ-ალაგ ალისფრად ენთო ყაყაჩო, ჩიტის სისხლით დაწინწკლულ კლდეთა ბინადარი. ვარდებს ხომ ნუღარ იტყვით! ბლომად იყო დამასკურიცა და იერიქონისაც, კაზანლიკურიცა და კუნწულა-ვარდიც.

ხმაურმა, ცოტა არ იყოს, ააღელვა მარგარიტა. სწრაფად წამოდგა და თავისი ყველაზე ლამაზი მდიდრული კაბა ჩაიცვა, სამაჯურებიც გაიკეთა. ბრინჯაოსფერ თმას რომ ივარცხნიდა, გაიღიმა და თვითონაც არ იცოდა, რა აღიმებდა. მერე სიცილი აღვარდა და აქვითინდა. სველი თვალები ცხვირსახოცით არ ამოუწმენდია, თავი გააქნ-გამოაქნია, ცრემლები პაწაწინა ოქროს ნამცეცებივით ცვიოდნენ აქეთ-იქით და ციმციმებდნენ.

ქალი მიხვდა, ჩემი გულისათვის მოუწყიათ ზეიმი. მაგრამ ვის უნდა მოეწყო? ან რატომ? და მარგარიტას უცებ მოაგონდა, რომ ფიროსმანი მაისის იმ დღეს იყო დაბადებული. ალბათ სწორედ ამ ყველასაგან მივიწყებული დღის სამახსოვროდ მოჰფინა ფიროსმანმა ქუჩას ყვავილები.

მაგრამ რაღა თავისი დაბადების დღის სამახსოვროდ? განა ყვავილები მარგარიტას დღეობას უფრო არ მოუხდებოდა?

ამ დროს ერთი სახეჩატეტკილი, გამხდარი კაცი აყვავებულ ხალიჩას ზედ შესდგა და მარგარიტას სახლისკენ წავიდა.

ხალხმა იცნო, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. ის კაცი ღატაკი მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი იყო. არავინ იცოდა, რით იყიდა საწყალმა ამდენი ყვავილი.

ფიროსმანი ნელა, კედელ-კედელ მიდიოდა მარგარიტას სახლისაკენ.

უცებ ყველამ ერთბაშად მოჰკრა თვალი, როგორ გამოვარდა ღარიბი მხატვრის შესახვედრად სახლიდან მარგარიტა — იმ დღეს მაინც განსაკუთრებით ლამაზი იყო, — ხელები გაშალა და ყელზე შემოეჭდო მხრებჩამოვარდნილ, აკანკალებულ ფიროსმანს.

— რაღა შენი დაბადების დღეს მომიძღვენი ეს მთა ყვავილებისა? არაფერი არ მესმის, ნიკო, — ეუბნებოდა სუნთქვაშეკრული მარგარიტა.

ფიროსმანს არაფერი უთქვამს. მარგარიტა კი მთელი თავისი არსებით, ყველა ძარღვით, სისხლითა და ხორცით მიხვდა, თუ რაოდენ ძლიერად უყვარდა ფიროსმანს იგი და პირველად ახლა აკოცა. აკოცა მზისა და ცის წინაშე, უბრალო სოლოლაკელთა წინაშე, სახალხოდ.

ზოგიერთმა ცრემლი ვეღარ შეიმაგრა და ატირდა. დიდი სიყვარული ყოველთვის იპოვნის გზას საყვარელი ადამიანისაკენ, რანაირი ცივი გულიც არ უნდა ჰქონდესო, ფიქრობდა ხალხი. ხალხს კი არაფერი არ ეშლება. ყველამ კარგად იცოდა,

რომ ფიროსმანს უყვარდა მარგარიტა, ქალს კი მხოლოდ ებრალებოდა ღარიბ-ღატაკი მხატვარი.

ფიროსმანის სიყვარულზე ათასნაირად ჰყვებიან. მე ერთი იმ ამბავთაგანი გავიმეორე. ოდესღაც მოკლედ ჩავიწერე ეს ამბავი, არც კი მიფიქრია, ნამდვილად ასე მოხდა თუ არა, მე შენ გეტყვი, ცოტაა უხალისო და შარიანი ხალხი, დანარჩენი სიმართლე იმათ იკვლიონ.

მაგრამ ერთი კი არ შემიძლია არა ვთქვა, იმიტომ, რომ ის არის სწორედ ქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე მწარე სიმართლე — მალე მარგარიტამ მდიდარი საყვარელი იშოვნა და სამუდამოდ მიატოვა თბილისი.

...ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲡᲐ ᲙᲔᲘᲡᲠᲘᲡᲐ...

თბილისში სულ სხვადასხვანაირი ხალხი მეხვია გარს. ბავრამ ყველას ერთი საერთო თვისება ჰქონდა: ყოველ ადამიანს თავისი საზრუნავი და თავისი საქმე აწუხებდა, უცხო, ჩასული კაცისათვის თითქოს არავის არ ეცალა. თბილისში ჩემ ჩასვლამდე წასულიყო ბაბელი მოსკოვს, და ერთადერთი კაცი, რომელსაც ფიქრსა და გრძნობას გავუზიარებდი, ფრაერმანი იყო.

ფუტურისტ მწერლებსა და მხატვრებს უფრო „ველურად" მივაჩნდი, ვიდრე უცხოდ: დაუღვინებელი და საქმეში ჩაუხედავიაო.

ჩემზე ასეთი წარმოდგენა ალბათ იმიტომ ჰქონდათ, რომ არასოდეს კამათში არ ვიღებდი მონაწილეობას და ერთნაირად ვამბობდი უარს შელერ-მიხაილოვების „წყალ-კვინტელა" ლი-

ტერატურაზეც და რატგაუზების „ბადაგიან“ ლექსებზეც — იკლიკანტური არაფერი მიყვარდა.

კამათით, ზდანევიჩების მხოლოდ ერთადერთ ხშირ სტუმარს — პოეტ ნიკოლოზ ჩერნიავსკის ვეკამათებოდი. ჩერნიავსკის გულით უყვარდა საქართველო და უთქვამს კიდეც, ნიკოლოზს ნუ დამიძახებთ, ქართულად კოლაუ ვარო.

ლექსებს იგი ისეთი ხერხით წერდა, რომ უნახაზოდ თითქმის შეუძლებელი იყო ამ ხერხის ახსნა. პირველად ჯერ ლექსის ძირითად ტექსტსა წერდა, ჩვეულებრივ ადვილად გასაგებს. მაგრამ სტამბური ეშმაკობისა და შრიფტების თამაშის გზით ერთი და იგივე ლექსი სამ ლექსად გადაიქცეოდა ხოლმე.

ლექსები ერთად იბეჭდებოდა, მაგრამ სამნაირი შრიფტით. თუ მარტო იმ სიტყვებს წაიკითხავდით, მახვილი შრიფტით რომ იყო აწყობილი, და ყურადღებას არ მიაქცევდით საშუალო ან წვრილი შრიფტით დაბეჭდილ სიტყვებს, მხოლოდ ერთი ტექსტი გამოდიოდა.

მაგრამ თუ საშუალო შრიფტით აწყობილ სიტყვებს წაიკითხავდით და დანარჩენს გამოსტოვებდით, მაშინაც დამოუკიდებული ლექსი გამოდიოდა.

წვრილი შრიფტით კი (ვთქვათ, პეტიტით ან მონპარელით) მესამე ლექსი იყო აწყობილი.

ამ თავსატეხ საქმიანობას კოლაუ ჩერნიავსკი თითქმის მთელ თავის დროს ახმარდა.

ამ ხერხით ლექსის (ასეთ ლექსებს სიმფონიურს ეძახდნენ) სრულყოფილების მისაღწევად საჭირო იყო ყველანაირი შრიფტისა და სასტამბო საქმის კარგი ცოდნა. ეს საქმე ჩერნიავსკიმ წყალივით იცოდა.

საერთოდ, რა დარგიც უნდა აგვეღოთ, ჩერნიავსკი თავისი ღრმა ცოდნით უეჭველად გაგაოცებდათ, მსჯელობისას მოუთმენელი იყო, მკვახე სიტყვასაც არ ერიდებოდა, პირდაპირ იცოდა ლაპარაკი, ხელოვნებაში „მემარცხენე" მიმდინარეობათა დასაცავად საფლავის კარამდე მოგყვებოდა.

ბევრჯერ კოკისპირულ წვიმაშიც მოსულა ზდანევიჩებთან შუაღამისას, გაუღვიძებია კირილე და ხლებნიკოვის იმ დღეს ნაშოვნი რომელიმე ახალი ლექსი წაუკითხავს. ამ დროს, ცხადია, მთელი ბინა იღვიძებდა, თვით მოხუცი ზდანევიჩიც კი, ოჯახურ ტრადიციათა მიბაძულობით, მოხუცი ყველაფერს მხარს უჭერდა, რაც კი რამ „მემარცხენე" მიმდინარეობა იყო ხელოვნებაში.

მარტოხელა და უთვისტომო ჩერნიავსკი თითქმის ყოველდღე ზდანევიჩებთან იჯდა. ქვეყნის ახალი ამბები იცოდა — ჰყვებოდა, ამტკიცებდა, გაჩუმებულს ვერა ნახავდით. ვალენტინა კირილეს ასულსა და მარიას განსაკუთრებით უყვარდათ კოლაუს ლაპარაკი, თანაც ეცოდებოდათ — ბნედა სჭირდა საცოდავს. როცა სატკივარი წამოუვლიდა, ქალები მე დამიძახებდნენ ხოლმე დასახმარებლად.

ჩერნიავსკი საოცარი მოლაპარაკე იყო. რაც გინდა გეკეთებინა, ოღონდ გესმინა. როცა მარია ოთახებს ალაგებდა, ის უკან დასდევდა, ხან რას წამოედებოდა და ხან რას, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა. ან სამზარეულოში შერგავდა თავს, თუ ვალენტინა კირილეს ასული თავის განთქმულ ფლავს ამზადებდა, ჯერ ფერწერასა და ქართულ მართლწერაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მერე უცებ „კულინარული აღმაფრენა" დაეწყებოდა.

ზოგჯერ ვალენტინა კირილეს ასული და მარია ძალით შე-

მოაგდებდნენ ჩერნიავსკის ჩემს ოთახში და კარს გარედან გადაუკეტავდნენ ხოლმე. ჩერნიავსკი წარბსაც არ იხრიდა, ხელად თავის სიტყვიერ მორევში ჩამაყურყუმალავებდა.

საერთოდ კი ძალზე უბოროტო და უმწეო კაცი იყო. ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ და თავში უკაკუნებდნენ. დედამიწის ზურგზე ერთადერთ დამცველად ზდანევიჩების ოჯახი ჰყავდა.

თანაც იგი იმ ობროდთა რიცხვს ეკუთვნოდა, ცხოვრებას, როგორც ხშირად ამბობენ, მეტ ეშხს რომ აძლევენ და, გარდა ამისა, მყარ საფუძველსაც უქმნიან. საკმარისი იყო ორ-სამ დღეს არ მოვენახულებინეთ კოლაუს, რომ ზდანევიჩების ბინაში ცხოვრებას ელფერი დაჰკარგოდა და ყველას ყურები ჩამოეყარა.

ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანი იკრიბებოდა ზდანევიჩებისას. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ხშირად მეც შემომივლიდნენ ხოლმე ისინი — გულკეთილი ძველი სომეხი პოეტი ყარა-დერვიში, თავისი ლექსების სრული კრებული თორმეტ ცალ ღია საფოსტო ბარათზე რომ დასტია; მუდამ რაინდულად კეთილმოსურნე და ბრძენი პოეტი ტიციან ტაბიძე; მხატვარი ტერენტიევი, ღია ცისქვეშ თეატრის გატანა რომ სცადა; ჩაჩიკოვიც (ბათუმიდან ისიც მალე წამოვიდა თბილისში), და რეჟისორი შენგელაია.

სახლს დილიდან საღამომდე გუგუნი გაჰქონდა. ერთადერთი ადგილი, სადაც დასვენება შეიძლებოდა, მხოლოდ ჩემი ოთახი იყო. სულ პირველად ჯერ მარტო ვალენტინა კირილეს ასულს ვახსოვდი, მერე მარიამაც მოუხშირა სიარულს.

— ხელი ხომ არ შეგიშალე-ეთ? — კარს რომ შემოაღებდა, სიმღერით იტყოდა ხოლმე.

იჯდა თავისთვის წყნარად, ქსოვდა ან კითხულობდა. თავდახრილს თმა თვალებზე ეფხატებოდა და, რომ არ ველოდი, სწორედ ისეთ რამეს მკითხავდა მოულოდნელად: რას ნიშნავს მაღალი ზურგი ფეხისა და როგორ იზომებაო; წაკითხული გაქვს თუ არა მენდესის „უბიწო მეფე"; მოცეკვავე ლალა რუკზე მართლა პუშკინმა დაწერა ეს ლექსიო:

და ლალა რუკი მაღალ დარბაზში
შემოფრინდება ფრთოსან ყვავილად...

მარია ყოველთვის თითქოს შეშინებული მიდიოდა.

ერთხელ მან ნახატებით სავსე დიდი საქაღალდე მომიტანა.

— თქვენ ხატავთ? — ვკითხე.

— არა, რას ამბობთ! მაგ სურათების პატრონი ერთი უჩვეულოდ ნიჭიერი ან, შეიძლება ითქვას, გენიალური მხატვარია. თქვენ თვითონ დაინახავთ.

მარია წავიდა, მე კი სურათების თვალიერება დავიწყე. მხატვარს ყველაფერზე დაეხატა, რაც ხელში მოხვედროდა: ხან მუყაოზე, ხან პაპიროსის ქაღალდზე, ხან სასკოლო რვეულის ფურცლებზე და ხანაც წიგნის ყდაზე.

მარიამ, ალბათ, დელაკრუას სურათები თუ მომიტანა-მეთქი, — გავიფიქრე. მაგრამ არა! ხელი, მართალია, დელაკრუასებური ეტყობოდა, მაგრამ შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანი იყო ყოველი სურათი.

ზოგი სურათი ფანქრით იყო შესრულებული, ზოგიც ნახშირით, სანგვინით და აკვარელით.

დიდხანს ვეძებე ავტორის ხელმოწერა, მაგრამ უცნობ მხატვარს, ჩანს, არ უყვარდა თავისი გვარის წარწერა სურათებზე.

მხოლოდ ზოგიერთს ეწერა მხატვრის სახელი „ზიგა“. ზიგა იგივე სიგიზმუნდია. მარია პოლონელი იყო. თანდათან მივხვდი, რომ ის სურათები მარიას რომელიღაც მახლობელ ადამიანს ეკუთვნოდა.

მალე ყველაფერი ნათელი გახდა. გავიგე, რომ ამქვეყნად იყო შესანიშნავი მხატვარი ზიგა, ანუ სიგიზმუნდ ვალიშევსკი, მარიას უფროსი ძმა. მენშევიკების დროს იგი საქართველოდან პოლონეთს წასულიყო, მერე ცოტა ხანს პარიზში ეცხოვრა და იქიდან კრაკოვში დაბრუნებულიყო.

კრაკოვში იგი ახალგაზრდა მხატვართა მეთაური გახდა.

ვალიშევსკის მხოლოდ მხატვრობა უყვარდა, მან მხოლოდ მხატვრობა იცოდა, ცხოვრების ყოველ მოვლენას მხატვრის თვალით უცქერდა და სწამდა, რომ მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს ქვეყნის გარდაქმნა და დამუშავება.

იგი რაინდი-მხატვარი იყო, ულმობელ მომთხოვნელობას იჩენდა როგორც თავისი თავის, ისე სხვათა მიმართ.

იგი მეტად თავმდაბალი, უბრალო, კეთილი და სასტიკად დამახინჯებული იყო.

სისხლძარღვთა რომელიღაც საშინელი ავადმყოფობის გამო ვალიშევსკისათვის ორივე ფეხი მოეკვეთათ, მაგრამ დატანჯულსა და საპყარს, სიმშვიდე მაინც არ დაეკარგა.

ვალიშევსკი ჭეშმარიტი მხატვრის სიკვდილით მოკვდა. კრაკოვის ვაველის ციხე-კოშკში იგი ფრესკებს ახატავდა ჭერს. ჯალამბრით აჰყავდათ მაღლა, დარბაზის კამარის ქვეშ, მთელი დღე გულაღმა იწვა და ხატავდა.

მხატვრის გადაღლილმა გულმა ვეღარ გაუძლო ამდენ დაძა-

ბულობას, გასკდა და ზიგას მკვდარსაც კი არ გაუგდია ხელიდან ფუნჯი:

იგი ახალგაზრდა მხატვრული პოლონეთის სიყვარულად იქცა. იგი არასოდეს არ ცდილობდა, რომ სილამაზე თავის საკუთარ ნაჭუჭში, თავის თეორიულ ბადეში მოექცია.

იგი მუდამ პოულობდა ამ სილამაზეს, მეგობარივით ართმევდა ხელს და ფუნჯის ენით ამეტყველებდა.

ვალიშევსკის მეტად ფართე მხატვრული შეხედულებანი ჰქონდა. თვით ყველაზე აუტანელი, მებრძოლი და მყვირალა ფუტურისტები და მხატვრობის ეგეთივე ხმაურიან მიმდინარეობათა აპოლოგეტებიც კი უსიტყვოდ იხრიდნენ თავს მისი ნიჭისა და სიწმინდის წინაშე.

მე ვალიშევსკის მრავალი ნამუშევარი ვნახე. ყოველი სურათი ჯადოსნური ფუნჯითა და ჯადოსნური ფანქრით იყო შესრულებული.

სიცხადე და ცხოველმყოფელობა ზიგას ყოველი ნახატისა, თითქოსდა უცაბედი ყოველი მონასმისა, ის საოცარი თვისება, როცა დამთავრებულ ხაზს თვითონ მნახველი ამთავრებს თავის ცნობიერებაში, მოწმენდილი ცის იალკიალი, აღბეჭდილი მხატვრის ყოველ მუყაოსა და ტილოზე, სახეთა სკულპტურულობა, ძუნწი ჟესტით ან პოზით გადმოცემული ხასიათები, პორტრეტები, სადაც თვითონ ორიგინალზე უფრო მეტად მართალი და მეტყველია თამამი გროტესკი, ქსოვილის, თმის, განათების, მოშრიალე ფოთლების სიმსუბუქე და ზეიმოვნად გატაცებული თვალები, თითქმის სულში რომ ჩაგცქერიან, უცებ წამიერად წარმოშობილი მკვეთრი, ასწრაფებული ჩანახატი ეპოქისა ვენეციის კარნავალებიდან მოკიდებული მეტეხის ცი-

ხის ძირას გამართულ ლხინამდე — ყველაფერი ეს გაბრუებდა, თითქოს გარეტიანებდა კიდეც და მით უფრო საკვირველ ამბად გეჩვენებოდა, რომ იქვე, გვერდით, ავტოპორტრეტიდან ნაცრისფერი თვალებით მორცხვად დაგცქეროდათ გამხდარი მაღალი ყმაწვილი კაცი.

ვალიშევსკის უყვარდა დელაკრუა და, როცა მუშაობდა, ალბათ ყოველთვის თვალწინ ედგა და ფიქრში ესაუბრებოდა ამ ფხიზელ და თანაც რომანტიკულად განწყობილ მხატვარს.

იგი პირველყოფილივით შესტრფოდა საღებავს და დელაკრუასა თუ ვან-გოგზე ნაკლებად როდი ესმოდა, რას უნდა გაეცოცხლებინა ტილოზე გადატანილი საღებავი. ამასთანავე მან ყველანი დაიპყრო თავისი ბრწყინვალე რეალიზმით, თვით კავკასიის პირველი მსროლელთა პოლკის ჯარისკაცებიცა და ოფიცრებიც, რომელთა თვალწინ ზიგამ ფანქრით შეასრულა პორტრეტების მთელი სერია.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვალიშევსკი ჯარში გაიწვიეს და ლატვიაში რიგის ფრონტზე ჯარისკაცად მსახურობდა იმ პირველ პოლკში. ზამთარში, როცა ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა, სადღაც დვინსკის მახლობლად ვალიშევსკიმ თითქოს ხუმრობა-ხუმრობაში თავის თანაპოლკელების მართლა გასაოცარი პორტრეტების სერია დახატა — მზარეულიდან მეტყვიამფრქვევამდე და ჯვრებით გულმკერდმოჭედილ ჯირკუტანა ჯარისკაცებიდან ყოველი ასაკისა და ხასიათის ოფიცრებამდე.

მე მხოლოდ რამდენიმე პორტრეტიღა ვნახე, ისიც ათას ჭირ-ცეცხლში გამოვლილი. სხვას ვერაფერს ვიტყვი, გარდა

იმისა, რომ ეს იყო მადლიანი, ვაჟკაცური და თანაც ვირტუოზული ნაშრომ-ნაღვაწი გულუხვი ოსტატისა.

ვალიშევსკიმ თითქმის ყველა ეს პორტრეტი გაასაჩუქრა. ისინი ვინმეს ერთად რომ შეეკრიბა, ვფიქრობ, თავიანთი უშუალობითა და ბუნებრიობით 1812 წლის გმირთა ცნობილ ერმიტაჟისეულ გალერიასაც დასჯაბნიდნენ. იქ, ერმიტაჟში, სამხედრო არისტოკრატთა საზოგადოება იყო წარმოდგენილი, აქ კი უბრალო რუსი ჯარისკაცები, ტოლსტოის „სევასტოპოლის მოთხრობების“ გლეხები თავიანთი ეროვნული ხასიათის მთელი ბავშვური უბრალოებით გაეცოცხლებინა მხატვარს.

მერეც, უკვე პოლონეთში, სადაც თავბრუდამხვევი წარმატების ბეწვის ხიდზე დგომაც გამოსცადა, ვალიშევსკი მრავალთა და თვით ძლიერ ნებისყოფიან ადამიანთა საწინააღმდეგოდ ისეთივე თავმდაბალ ადამიანად დარჩა და პოლიტიკურ თამაშს ვერც ახლა ეგუებოდა, თვალისდასანახავად სძულდა ყველა, ვინც ცდილობდა ძალმომრეობისა და შოვინიზმისათვის გამოეყენებინა ხელოვნება.

მან ხელისკვრით ჩამოიცილა გზიდან ყველა საქმოსანი, ვინც კი შეეცადა, რომ დიდი, მაგრამ მხოლოდ პოლონელი მხატვრის ნაციონალისტური შარავანდედით შეემკო იგი. ვალიშევსკის აზრით, მხატვრობა მთელ მსოფლიოს ეკუთვნის და ჭეშმარიტ მხატვართა თანამეგობრობა — უფრო მნიშვნელოვანი კავშირია ადამიანებს შორის, ვიდრე ზოგადი ეროვნული ინტერესები.

ზდანევიჩების ოჯახში საკმარისი იყო მხოლოდ ეხსენებინათ ზიგა, რომ იმ წუთას შეწყვეტილიყო ყოველგვარი დავაც,

კამათიც და ადამიანებს სულიერი წონასწორობა დაბრუნებოდათ.

— ზიგა წმიდანია, — ამბობდა ვალენტინა კირილეს ასული. — პეტრარკასა და ბოტიჩელის დროთაგან შემოგვრჩა მძევლად.

კეთილი მოხუცის ამ ნათქვამში აფექტაციის ნატამალს ვერ იგრძნობდით. ამ სიტყვებისა ალბათ იმიტომ უფრო გვჯეროდა, რომ ზიგას ნაირფეროვან სამყაროს ბოტიჩელის „პრიმა ვერას“ სიცხადე ახლდა.

არსებობს ნაპერწკალი ცნობიერებისა, მოხდენილი შედარება და მარჯვე ნაერთი თითქოსდა საწინააღმდეგო აზრებისა, რომელთა ახსნა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რომ ავხსნათ: გული წინ უსწრებს გონებას და ყველაფერს ხვდება.

კიდევ ერთი გაზაფხული

ფრაერმანი თითქმის ყოველდღე მნახულობდა. ორივენი გაზეთში ვმუშაობდით: ის „ზარია ვოსტოკაში“, მე კი — რკინიგზის პატარა გაზეთში, რომელსაც მეტად მყვირალა სახელი ერქვა — „გუდოკ ზაკავკაზია“.

ხანდახან ფრაერმანთან ერთად სონიაც შემოივლიდა ხოლმე, და ფიროსმანის მუშამბებს რომ ათვალიერებდა, ამბობდა:

— ნემსის მუშები ადვილად გასაცურებელი ხალხი არა ვართ. მაგრამ ამ სურათებში ნამდვილად ვგრძნობ ადამიანურ დარდსა და სილამაზეს, ამიტომ, ამხანაგო პაუსტოვსკი, უარს არ ვამბობ ასეთ ხელოვნებაზე. ამ საკითხში ერთი აზრისანი

ვართ, თუმცა თქვენ ინტელიგენტი ბრძანდებით და თქვენი თავაზიანობისაგან გული მერევა.

სონია ადრე მკერავი იყო და ამიტომ ეძახდა თავისთავს „ნემსის მუშას“.

ფრაერმანებს არ შეეძლოთ შინ მივეწვიე იმიტომ, რომ ვილაც მთიელი ებრაელების ბინაში ერთი პატარა ბოღდარა — გასასვლელი ოთახი ეჭირათ. სონია ბინის პატრონთ „ხეპრეებსა“! და „ხარებს“ ეძახდა. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი შეხედულებები ჰქონდა, სონიას ისინი მაინც რენეგატებად მიაჩნდა: ჩერქეზული ტანისამოსი აცვიათ, ყალბი ხანჯლები უკეთიათ, ცხენით დადიან, კამეჩის ტყავით ვაჭრობენ და ებრაული ენა თითქმის აღარც კი იციანო.

ფრაერმანი მალე დაუმეგობრდა მარიას. არ მაჰსოვს არც ერთი ადამიანი, რომელსაც გაეცნო და ხელად გული არ შევარდნოდა ამ კეთილ კაცზე.

ერთხელ საღამო ხანს ჩემს ოთახში ვისხედით — ვალენტინა კირილეს ასული, მარია, ფრაერმანი, კოლაუ ჩერნიავსკი და მე. სიბნელეში ვისხედით, შუქს არ ვანთებდით. რატომღაც ყველას ეჩვენებოდა, რომ ელექტრონათურას თუ ავანთებდით, უფრო დაცხებოდა.

თბილისის ადრიანი საღამოს ბინდბუნდში სიგრილე და გახურებული აგურის სითბო თითქოს ერთმანეთში არეულიყო.

მეზობელ სახლში ნაღვლიანი ჭაბუკი კვლავ სევდიან რომანსს ღიღინებდა: „აფეთქებულა, აყვავებულა იდუმეაში თეთრი შროშანი“.

— სად არის ეგ იდუმეა? — იკითხა მარიამ.

— იდუმეაში, — უპასუხა ფრაერმანმა. — ჩემს ეგრეთ-

წოდებულ დაკარგულ სამშობლოში. ალბათ იცით ლექსი: „და თქვა მეგზურმა: „ებრაელი ვარ, მგონი, მეფეთა ჩამომავალი. მარტო სიონის კედლებსღა ვხედავ, დრომ მოიტანა ჭირი მრავალი“.

— არა, არ ვიცი, — უპასუხა კოლაუ ჩერნიავსკიმ, — და ძალიან არცა მსურს, რომ ვიცოდე ვინ დაწერა ეგ ლექსი.

— არა უშავსრა, — თქვა ფრაერმანმა. — მთავარი სულ სხვა რამ არის.

— რა? — იკითხა მარიამ.

— რა და, თბილისში უკვე გაზაფხული დადგა, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ ვერ შეამჩნიეთ.

— წამო, ხვალ მთებში წავიდეთ, — თქვა მარიამ.

ვალენტინა კიოილეს ასულის გარდა, ყველანი დაეთანხმნენ. მეორე დღეს თურმე აღდგომა ყოფილიყო.

— წელს ძალიან ნაადრევი აღდგომაა! — თქვა ვალენტინა კირილეს ასულმა და ამოიოხრა.

მოხუცი წავიდა, ჩვენ კი მთელი საღამო უბრად ვისხედით. მეჩვენებოდა, რომ მე და მარია დუმილის ენით ვსაუბრობდით, თითქოს სიზმარში ვიყავით და ყურში ჩამჩურჩულებდა. ღამით ფოთლები რომ კრთიან ხეზე, ისე ვკრთოდით.

ასე დაიწყო თბილისში გაზაფხული — ჩუმი, მზით გაბდღვრიალებული, მოჯადოებული გაზაფხული, ისეთივე, როგორიც გვეჩვენება ყოველი გაზაფხული ამქვეყნად, ვიდრე სამოცდაათი წლისანი გავხდებოდეთ.

მეორე დილით სამნი — მარია, ფრაერმანი და მე — ქალაქგარეთ, კოჯრისკენ წავედით.

ნელა მივდევდით გზას, და ასევე ნელა იშლებოდა ჩვენ

თვალწინ მთათა ამფითეატრი, ყოველი მთის უკან მთა იმალებოდა.

შორს, ჰორიზონტის მიღმა, ცაში ღრუბელივით ჩანდნენ დათოვლილი მწვერვალები. ამ მწვერვალებსა და მიწის შუა მოლურჯო ჰაერი იწვა.

უცაბედად სიხარულის გრძნობამ შემიპყრო. მართალია, ჩემი სახლიდან ძალიან შორს ვიყავი, მაგრამ იქ ყველაფერი უჩვეულოდ ნაცნობი იყო, განსაკუთრებით კი კასპისა და შავ ზღვებს შუა აღმართული თვალშეუდგამი მთები. მიხაროდა, ბავშვივით მიხაროდა იმ მიწაზე დგომა, რომლის სადიდებელი სიტყვა მრავალგზის უთქვამთ ლერმონტოვსა და პუშკინს, ნიკო ფიროსმანიშვილსა და სარიანს.

რატომღაც სწორედ იქ, თბილისიდან ძალიან მაღლა, დაკლაკნილი გზის პირას, სადაც ფრინტა ჰყვავოდა, ვიგრძენი, რომ რაც კი რამ საინტერესოა დედამიწის ზურგზე, ყველაფერი ჩემი სისხლი და ხორცი იყო.

ცხოვრებაში ნამდვილად გამიღიმა ბედმა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ცხოვრებისაგან არასოდეს ბევრი არ მომითხოვია. ცხადია, ბევრს ველოდი და ვისწრაფვოდი კიდეც ამ ბევრისაკენ, მაგრამ მცირედითაც ვკმაყოფილდებოდი ხოლმე. იქნებ სულაც ამ თვისებამ გამამდიდრა ყველაზე მეტად? ვინ იცის!

იმ დღიდან მარია ჩემი მეგზური გახდა თბილისში. ცხოვრების მეტად საკვირველმა, თითქოსდა ორმაგმა გრძნობამ შემიპყრო. სხვანაირად რომ ვთქვა, ცხოვრება თავისთავადაც კარგი იყო და ამასთანავე ორმაგად უკეთესი იყო იმიტომ, რომ ამ ცხოვრებას უბიწოდ და მდუმარედ იზიარებდა ჩემთან ერთად ახალგაზრდა ქალი.

ჩემს თვალში ყველაფერს ფასი და მნიშვნელობა მიეცა. ალმურმოდებული თბილისისათვის რომ დამიხედავს, ხშირად უცნაური რამ ფიქრიც კი მომსვლია: ეს ცხელი ქალაქი ალბათ იმ ნაღვლიანი პიესის დეკორაციაა, სადაც მხოლოდ ორი მოქმედი პირი — მე და მარია ვართ-მეთქი.

ბევრს დავდიოდით, ბევრიც ვნახეთ, და ერთადერთი რამ, რის ფულიც მუდამ გვყოფნიდა, — ყინულივით ცივი გაზიანი წყალი იყო. შეჭირხლული ჭიქებითა ვსვამდით, თავს კრაზანები დაგვზუზუნებდნენ. წყალი ვერცხლისფერი მეჩვენებოდა, მარიას სველი ბაგენი კი ბროწეულის წვენივით ბრწყინავდნენ მზეზე. შევცქეროდი და მჯეროდა, რომ ბედნიერებას ყველა ადამიანისათვის ერთგული მონის სამსახური უნდა გაეწია.

სიყვარულზე ერთი სიტყვაც არ დაგვცდენია. ჩვენ შორის თითქოს წვრილი და დუნე ძაფი იყო გაჭიმული, რომლის გადალახვასაც ვერც ერთი ვერ ვბედავდით.

მაშინ გადავწყვიტე სწორედ, რომ მიმეტოვებინა თბილისი და მოსკოვში გადავსულიყავი. თავს ვირწმუნებდი, ამ განშორების ნაღველს როგორმე გავუძლებ და მარიას ხსოვნაში მარად ერთგულ და წმიდა ჭაბუკად დავრჩები-მეთქი.

გარდა ამისა, თავს იმითაც ვიმშვიდებდი, რომ უკვე დრო იყო დავბრუნებოდი რუსეთს, მოსკოვს, თეთრი დუმფარით დაფარულ ჩემს საყვარელ მდინარეებს, მეჩხერ ვერხვნარში რომ მიიკვლევენ გზას.

ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. ვალენტინა კირილეს ჯული სულ უფრო ხშირად მახსენებდა დედაჩემს, გლაშას, მოსკოვს, თბილისში ასე გულხელდაკრეფილი როდემდე უნდა იჯდეო.

მივუხვდი, რომ მან ყველაფერი კარგად იცოდა, ყველაფერს ხედავდა და შეშფოთებული იყო.

სახლს თითქოს უქმური დააწვა. ცხოვრება ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოვარდა.

და გაქცევა გადავწყვიტე. უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა გავქცეოდი, რადგან ბედს მინდობილი ცხოვრება მიყვარდა და ყველაფერს გვერდს ვუვლიდი, რასაც შეეძლო შევეჩერებინე და გონს მოვეყვანე. ალბათ ამიტომაც მითხრა სიკვდილის წინ მამაჩემმა:

— მეშინიან, შვილო... მეშინიან... ცხოვრება რთული რამ არის... არ მომწონს შენი ზნე-ხასიათი...

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მართლა დინებას ვიყვებოდი, ოღონდ საკვირველი ის იყო, რომ ამ დინებას ყოველთვის იქით მივყავდი, საითაც წასვლა მსურდა...

თბილისში ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღეები მძიმემძიმედ მიიზლაზნებოდნენ. არავის, თვითონ მარიასაც კი არ ვუთხარი, რომ სულ რამდენიმე დღეში უნდა მიმეტოვებინა თბილისი. იმიტომ არ ვეუბნებოდი, რომ ბრიყვულად ისევ ბედის იმედი მქონდა: ვინ იცის, იქნებ საჭე შემოატრიალოს და ყველა დაბრკოლება ყირამალა დააყენოს-მეთქი.

თბილისის ყოველი კუთხე-კუნჭული ერთად შემოვიარეთ. ხან ბოტანიკურ ბაღში ვიყავით და ხანაც მუშტაიდში, არც ავლაბარი, მეტეხის ციხე, სიონისა და ანჩისხატის ტაძრები დაგვრჩა უნახავი. ძველ დუქნებს ხომ ნუღარ იტყვით! „სიმპათიაშიც“ ვიყავით და „პუჭურა ტილშიც“...

„სიმპათიის“ კედლებზე მსოფლიოს დიდი ადამიანების — ლევ ტოლსტოის, ედისონის, ჩარლზ დარვინის, პუშკინისა და

ნაპოლეონის პორტრეტები დაეხატათ, მაგრამ ისინი უფრო ქართველებსა ჰგავდნენ, ყველას ქამარ-ხანჯლით გაწყობილი მასრებიანი ჩოხა-ახალუხი ეცვა.

სიარულით დაღლილნი ხშირად ჩამოვმსხდარვართ საუკუნეებივით ძველი ანჩისხატის ტაძრის კიბეზე და ყური დაგვიგდია მტკვრის ბუტბუტისათვის.

ერთმანეთს უსიტყვოდ ველაპარაკებოდით და გული პირთამდე აავსო ნაღველმა.

სწორედ იმხანად „გუდოკ ზაკავკაზიას“ რედაქციამ ხანგრძლივი მივლინებით გამაგზავნა აზერბაიჯანსა და სომხეთში. ინჟინრების კომისიასთან ერთად საგანგებო მატარებლით გავედით თბილისიდან. ინჟინრებს ამიერკავკასიის სარკინიგზო მდგომარეობა უნდა გამოეკვლიათ და შეესწავლათ.

ათასწლეულთა წყვდიადი

ბამბაკის ხეობის მწვანე ვიწროებში თბილისიდან ერევნისაკენ მიმავალ გზაზე მატარებელმა უკანასკნელი სიმაღლეები და მოსახვევები აიღო. ყველა მოქლონით, რესორითა და ბუფერით ჭრიალებდა და ნელა, ისე ნელა, რომ ეს თვალისათვის შეუმჩნეველი იყო, ხოხვით მიიწევდა ვიწრო თავბრუდამხვევ ხიდებზე.

ამ რკინიგზაზე ყველაფერი აგებული იყო უკანასკნელი ზღვრული ანგარიშით. მატარებელი მიდიოდა ორმაგი ძაბვით, მიმწოლი ორთქლმავლის შემწეობით.

უაღრესად დარბაისელი და თავაზიანი მოხუცი ინჟინრე-

ბი, ჩემი თანამგზავრები, მოგვითხრობდნენ მე და იმ მაღალ-ტექნიკურ საზოგადოებაში ჩემსავით შემთხვევით მოხვედრილ სომეხს, ამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ მშენებელი-ინჟინერი შეშლილად გამოაცხადეს და საგიჟეთში მოათავსესო. გზა კი წესიერად მუშაობდა, თუმცა თავზარსა სცემდა მგზავრებს.

არასოდეს არ მიმგზავრია ასე ფუფუნებით, როგორც ამ სასამსახურო მატარებლით.

ცალკე კუპე მქონდა. ფეხმოუცვლელად ვიჯექი ფანჯარასთან პატარა მაგიდის წინ და მატარებელი მიმაქროლებდა ხეობების თავზე, სადაც მზით გამთბარი და მთებად დამდგარი ფოთოლი სკიპიდარის სუნს აფრქვევდა.

მთათა ნაპრალებს შორის იშლებოდა ნამიანი ბიბინა ველები.

ამ ველ-მინდვრებზე, როგორც მეჩვენებოდა, ცხოვრობდნენ ძალიან ბედნიერი და პატრიარქალური ადამიანები. თავიანთი ქოხების კარებწინ ისხდნენ და ჩიბუხებს ეწეოდნენ. მზით გარუჯულ ქალებს სპილენძის თუნგებით, ცივი წყალი მოჰქონდათ. სქელი წარბები უჩრდილავდათ გუგების ელვარებას.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ხალხი გარემომცველი ბუნებით დამტკბარი და ბედნიერი იყო, მაგრამ ერთი შეხედვით ამ ბედნიერების არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა. საჭირო იყო გადაქცევა სმენად. მხედველობად, და მაშინ მატარებლის ბორბლების რახუნთან ერთად ყურსა სწვდებოდა სიმთა ჟღერის მსგავსი ზუზუნი ფუტკრებისა, მოფუსფუსე ფრინველთა სტვენა, ბალახში კი შუქს ლივლივი გაჰქონდა და ათასფრად ციმციმებდნენ ნაკადულები, რკინიგზის ხაზს ყოველ ნაბიჯზე რომ კვეთდნენ.

ფანჯარაზე ვიყავი გადაკიდებული. მარიაზე ვფიქრობდი, და უკვე წარმოდგენილი მქონდა, რომ გულუხვი ბუნების მთელი ამ ზეიმისათვის მისი მადლიერი ვიყავი. თითქოს ამ ქალმა ხელით მომიყვანა ამ მიდამოებში და იცინოდა, ახარებდა ჩემი გაოცება.

არც კი ვიცოდი, რა ერქვა საქართველოს ამ ნაწილს. იქნებ ეს საქართველო კი აღარ იყო, არამედ სომხეთი?

მარიაზე ნაზად და მადლიერების გრძნობით ვფიქრობდი, თითქოს მართლაც ამ ქალს შეექმნა ეს კავკასია და იოლად, დაუფიქრებლად ეჩუქებინოს ჩემთვის.

და რაც უფრო მეტსა ვფიქრობდი, მით უფრო უხორცო ქმნილებად იქცეოდა ჩემს მოგონებებში მარია, მით უფრო ბუნდოვნად მესმოდა მისი ხმა.

მატარებელი კი სულ უფრო მაშორებდა თბილისს. ტყე იცვლებოდა ბუჩქნარითა და ფლატეებით.

უეცრად ამ ბუჩქნარებში თვალი მოვკარი ფანტასტიკურ სანახაობას: დიდი კარავი, ფლაგშტოკი და ზედ ნორვეგიის დროშა. კარავთან ხეებზე მიბმული ცხენები იდგნენ. იქვე დადიოდნენ და ერთიმეორეს რაღაცას მხიარულად გადაძახოდნენ მზით დამწვარი ადამიანები, რომლებსაც კუბოკრული პერანგები ეცვათ და რუხი თექის ქუდები ეხურათ.

ყოველივე ეს მაგონებდა მაინ რიდის ან ფენიმორ კუპერის გმირთა ბანაკს. გაოცებისაგან შევყვირე კიდეც და მეზობელ კუპეში გავვარდი, მოხუც სომეხ ექიმთან.

— დამშვიდდით! — მითხრა ექიმმა, რომელიც პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. — ეს ნანსენის სასურსათო მისიის ერთერთი რაზმია. ეგენი ამერიკელი მეჯოგენი და თავისქალებზე

მონადირეები კი არა, მოანგარიშეები და ექიმები არიან. განა არ იცოდით, რომ ნანსენი სომხეთში მუშაობს?

ეს ვიცოდი, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ „ნატურაში“ ეს ასე ეგზოტიკური სანახაობა იქნებოდა.

ღამით მატარებელი ზეგანზე ავიდა და აცივდა. დილით კი მაშინ წამოვვარდი, როცა მზის სხივთა პირველი კვადრატი ქურდულად გაცოცდა კუპის კუთხიდან კუთხეში.

ფანჯარას მივვარდი და ადგილზე გავშეშდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. პირველი სურვილი იყო ყველა თანამგზავრის გაღვიძება.

მაგრამ ჯერ ყველას ეძინა. ვაგონის ნამძინარევ სიწყნარეს მხოლოდ თავაზიან მოხუცთა მსუბუქი ხვრინვა არღვევდა.

ერთი ფანჯრიდან მეორეს მივვარდი, მერე მესამეს. ბოლოს მთელი ძალით ჩავეჭიდე ღვედს, შევარყიე ჩარჩო და დავუშვი დაბლა. ცივ ჰაერთან ერთად ვაგონში შემოიჭრა მოხაზულობათა სიმკვეთრე და საღებავთა სიწმინდე, — იქ, გარეთ, უძველეს და უსპეტაკეს ცაში თვით ტატნობამდე აღმართულიყო ორკუზიანი თოვლიანი მთა, მიწის მთელ მხარესა და ნახევარ ცას რომ ფარავდა. ეს იყო არარატი. თოვლი თითქოს ზედ მზის გულამდე იყო აზიდული. მისი ელვარება ჰაერს ჟღენთავდა მანათობელი წყვდიადით.

არარატი! ვერანაირად ვერ დამეჯერებინა, რომ თვალნათლივ ვუყურებდი ამ მწვერვალს. ძველი დროის ყველა მითი, შორეულ საუკუნეთა ყველა ზღაპარი იყო ხორცშესხმული ამ ბუმბერაზ მთაში. მის ძალუმ საძირკველთან გადაშლილი მიწები არც კი ჩანდნენ: ჰაერის სქელი ფენა ფარავდა. ქვეყნიერებას თავზე ადგა მთის მწვერვალი და ბურუსს კვეთდა მისი

თვალმოუშორებლად შევცქეროდი არარატს. არც ჭამა მინდოდა, არც სმა. მეშინოდა, რომ ვიდრე ამაზე დროს დავკარგავდი, არარატი სადღაც წავიდოდა, გაქრებოდა, გაუჩინარდებოდა.

მოხუცი ექიმი უკმაყოფილობის ნიშნად თავს აქნევდა და რაღაცას ამბობდა ჩემს ზედმეტ, თვით ჯანმრთელობისათვის სახიფათო მგრძნობიარობაზე. მაგრამ რა ესმოდა ამ ბერიკაცს, პეპელასავით ჭრელი ჰალსტუხი რომ ჰქონდა გაკეთებული!

ათასწლეულები ეხებოდნენ ჩემს თვალებს. ხარბად ვსუნთქავდი ჰაერს, გამთბარს ქვებისაგან, ასე უხვად რომ დაუფარავთ სომხეთის მიწა-წყალი. ქვები ამ სიმხურვალეს იღებდნენ უზარმაზარი მზისაგან, ციურ ლაქვარდს რომ კვეთდა.

აი ამ მზეს შესთხოვდნენ ჩვენი მლოცველი წინაპრები, ნურც დაგვწვავ და ნურც დაგვანელებო. შუქის მდინარეები-იღვრებოდნენ დედამიწაზე, და ამ მდინარეთა ელვარებაში გაისმოდა ცხენთა მრისხანე ჭიხვინი თუ ვირების შეურაცხყოფილი მოთქმა.

აქ იყო კვანძი რელიგიების, თქმულებების, ლეგენდების, პოეზიისაგან განუყოფელი ისტორიის და ისტორიის ცეცხლში გამოწრთობილი პოეზიისა.

ასე ნახევრად ძილისა და ნახევრად ბოდვის მდგომარეობაში ჩავედი ერევანს. ჯერ ჯიდევ არ მენახა ქალაქი, როცა მთელი არსებით შევეთვისე. თუნდაც მთელს ერევანში ან სადმე მივარდნილ ადგილას ერთადერთი გამხმარი ბალახისათვის დამეკრა თვალი, ჩემთვის ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ მეგრძნო ამ მიდამოების საარაკო ხასიათი, სიძველე და ძალა.

იმ ხანად სომხეთში ის იყო დაიწყეს არტიკის ტუფის

დამუშავება. ეს იყო მსუბუქი და ნასვრეტებიანი ქვა, შეფერადებული მსუბუქი ფერებით: იასამნისფრად, ვარდისფრად, მოლურჯოდ, ტერაკოტისფრად, ყვითელ და შავ ფერებად.

ტუფისაგან საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ერევანში მრავალი მშვენიერი სახლი ააშენეს.

მე ჩამივლია ამ ჯერ კიდევ ცარიელი სახლების გვერდით და მომისმენია, რა ხმადაბალი გამოძახილი ისმოდა შიგნიდან, ტუფის კედლებიდან.

ერევანში მთელი დღე მარტო ვიყავი. მხოლოდ საღამოს დავბრუნდი მატარებელში. მომწონდა ჩემი მარტოობა ამ უცნობ ქვეყანაში, გადარუჯულ, ნახევრად ცარიელ ქალაქში.

მომწონდა იმიტომ, რომ არავინ არაფერს მეკითხებოდა, თანაც შემეძლო მარიაზე მეფიქრა და მეცქირა ჩრდილოეთისაკენ — იქით, სადაც უკვე ღამის წყვდიადი ჩამოწოლილიყო და თბილისის გზაც დაეფარა.

საღამოს მატარებელი დაიძრა ისევ სამხრეთისაკენ, ჯულფის მხარეს.

დღისით გავიარეთ სახელგანთქმული გავარვარებული გველთა ხეობა, სადაც ლიანდაგებზე იწვა და თბებოდა უამრავი უნასი, რის გამოც მატარებლები ხშირად ბუქსაობდნენ.

მოხუცი ექიმი ირწმუნებოდა, გველებს შეუძლიათ რომელიმე ხვრელიდან მატარებელში შემოძვრომაო. ისე დააშინა გამყოლი, რომ ის კაცი რკინის კეტით შეიარაღებული დადიოდა ვაგონში და რამდენჯერმე მუხრუჭებში ჰაერიც გაუშვა, რადგან ეშინოდა, მუხრუჭის მოწყობილობაში უხსენებელი არ შემოძვრესო.

მეც მოვკარი თვალი რამდენიმე ქვეწარმავალს, მატარებლის

ბორბლებისაგან გადაკვეთილს. ისინი საცოდავად იგრიხებოდნენ. გამყოლი ითვლიდა მკვდარ გველებს და უხაროდა.

მეორე დღე იყო, რაც ფანჯარას არ ვცილდებოდი. ნაღველი დამეუფლა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი.

მიწა მხოლოდ აქა-იქ იყო დამუშავებული. ცარიელ ქვიან ყანებში ვნახე სომეხი გლეხები, უფრო პარტიზანებს ან რაზმელებს რომ ჰგავდნენ: თითქმის ყველას თოფი ეკიდა ზურგზე. ეს ძველი ჩვეულება გახლდათ, ქურთების შიშით შეიარაღებულნი მუშაობდნენ.

1923 წლამდე, როცა ამ წიგნში აღწერილი ამბები ხდებოდა, თურქეთისა და სპარსეთის მოსაზღვრე ყველა მიწაზე ქურთები წელიწადში ორჯერ ახდენდნენ ამაოხრებელ თავდასხმებს: შემოდგომაზე, რათა ნაძარცვით ზამთარში თავი გაეტანათ და გაზაფხულზე, ზაფხულისათვის საკვები რომ მოემარაგებინათ. საგაზაფხულო შემოსევა უფრო იოლად ითვლებოდა, არა ისე ამაოხრებლად, როგორც შემოდგომისა.

ქურთები ყველაზე უფრო ხშირად საზღვრის მდინარე არაქსს გადმოსცურავდნენ ხოლმე თავიანთი კაფანდარა ცხენებით. ამიტომ იმ გადმოსასვლელებთან ჩვენი საგუშაგოები იდგა, ხოლო ვაგონების პატარა ბაქნებზე დაცვას აყენებდნენ.

მაგრამ ჩვენ ქურთები არ გვინახავს. ვნახეთ მხოლოდ ცხელი და სწრაფი მდინარის — არაქსის მღვრიე ვარდისფერი წყალი, გარშემო აღმართული მთების ფერად შეღებილი.

ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთში ლაშქრობის დროს სომხეთში გზა გაიყვანა და არაქსზე ხიდები გადასდო. ერთ ასეთ ხიდთან ვაგონიდან გადმოვედით.

მდუმარე პაპანებაში პატარა მოცახცახე სიმებივით ჟღერდნენ უდაბნოს ტოროლები.

გზა მოკირწყლული იყო უზარმაზარი ფილებით, ნაპრალებში ჩანდა დახრუკული ბალახი დანდა და იქ დიდი ქვიშისფერი ხვლიკები დარბოდნენ.

ხიდი ერთ დროს უზარმაზარ ნახტომად იყო გადასროლილი ერთი ნაპირიდან მეორეზე. შუა ადგილი, სადაც ეგრეთწოდებული „ციხე“ იდგა, ჩაქცეულიყო.

მოხუცი თავაზიანი ინჟინრები დიდხანს შესცქეროდნენ ხიდს, მერე გაქვავებულ თიხას ჩიჩქვნა დაუწყეს, თავიის ,ვალს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს.

— მიუწვდომელია! — ამბობდნენ ისინი — ჩვენი ბელელიუბსკიც ,კი ვერ ააშენებდა ასეთ ხიდს. საოცმშენებლო სასწაულია! შედევრია!

ათობით ხვლიკი თვალებდაჭყეტილი გვაცქერდებოდა იშვიათ სტუმრებს და მძიმედ, აღელვებით სუნთქავდა. ქარს ხიდზე წინ და უკან დაჰქონდა მქისე მტვერი — ფარსისტანის მხურვალე მტვერი.

მთები სიცხისაგან ინისლებოდნენ. სპარსეთის სანაპიროზე თიხით შელესილი დაბალი სახლის სახურავზე იდგნენ ტიტლიკანა სპარსელი ყმაწვილები და მზეზე პატარა სპილენძის ქვაბებივით უბრჭყვიალებდათ ყავისფერი მუცლები.

— მიუწვდომელია! — ოხრავდნენ ინჟინრები. — ზებუნებრივია!

ვიდრე ინჟინრები აღტაცებას ეძლეოდნენ, მე თლილ ქვაზე ჩამოვჯექი ხიდისთავთან. ქვა გამოხატავდა ლომის თავს. ლომს თვალები ჩაყვითლებოდა ფათალოსაგან. ეს სრულიად ცოცხალ იერს აძლევდა მტაცებელს.

არაქსში ბანაობა მომინდა, მაგრამ ერთხმად მიყვირეს მოხუცმა ექიმმა, ინჟინრებმა და გამყოლმაც კი — არაქსში ბინადრობს ძაფივით წვრილი უცნაური ჭია, მაგ წყალში შეიძლება ადამიანი კეთრით დაავადდეს, და, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ვაი თუ სპარსელმა მესაზღვრეებმა ცეცხლი დაგვიშინონო.

თვით სიტყვა „კეთრში" ჩემთვის იყო რაღაცა ძველი. ეს სიტყვა თითქოს მქრქალი ქარსივით ელვარებდა, როგორც აქაური გახურებული კენჭები.

ბანაობაზე ხელი ავიღე, მაგრამ მაინც ჩავყავი თბილ წყალში ხელები. როცა წყალი შემაშრა, კანზე პუდრივით წვრილი ყავისფერი მტვერი დამრჩა.

დღისით მატარებელი ფრიალო ფერდობებიან ხეობაში გაჩერდა.

— აბა, — მითხრა მოხუცმა ექიმმა. — აქ კი მოგიხდებათ აქოშინება ჩემს მაგიერაც და თქვენს მაგიერაც. იქ, ზევით, — და პირდაპირ ცა მიჩვენა, — კლდის ქიმზე დგას ტაძარი, ოღონდ იქამდე მიღწევა შეიძლება მხოლოდ კიბით. კიბე გამოკვეთილია კლდის შიგნით, გამოქვაბულში. ვშიშობ, თქვენი, გამყოლისა და ინჟინერ ბარკინის — საქართველოში ყველაზე უფრო ცნობისმოყვარე კაცის გარდა ვერავინ გაბედავს იმ კიბეზე ასვლას. ისიც ასეთ სიცხეში.

მოხუცი მართალი აღმოჩნდა. მხოლოდ სამნი ავედით.

გამოქვაბულში შესასვლელი ეკლიანი ბუჩქებით იყო დაფარული. გზა გავიკვლიეთ და ელექტროფარნის შუქზე ვიპოვნეთ პირველი საფეხური კიბისა, მაღლა რომ ადიოდა, სიბნელეში.

საფეხურები ფრიალო და ჩამოშლილი აღმოჩნდა. მაგრამ

სული არ გვეხუთებოდა, — ზურგში ქარი გვიბერავდა; გრილი ქარი თითქოს მილიდან გამოდიოდა.

მალე ზემოთ გამოჩნდა რაღაც შუქი და სამივენი ქანცგაწყვეტილნი წყეევლა-კრულვით ავედით ამ მიწისქვეშა ასასვლელიდან მზის სხივებით გაჩირაღდნებული ტაძრის საკურთხეველში.

ამ მკვეთრ, თითქოს მკვდარ მზეში ტაძრის გუმბათებს ქვეშ მერცხლები დაფრინავდნენ. თითქოს გუშინ დაესრულებინათ ფრესკები, ისე ელვარებდნენ კედლებზე წმიდანთა ოქროს შარავანდედები და სამოსელთა ფირუზი თუ პორფირი.

პაწაწინა ეზოში გავედით. ტაძარი აგებული იყო ფრიალო კლდის თავზე. ირგვლივ სიცხის ალჰური იდგა.

ოთხსავე მხარეს სრული დუმილი სუფევდა. ჰაერი ისე სუფთა იყო, რომ ვერაფერი არღევდა ამ დუმილს. ვერავითარი ბგერა ვერ გაჰკვეთდა პაპანების ამ სქელ კედელს, და შეიძლებოდა კაცს მხოლოდ შურით წარმოედგინა, როგორ მიისწრაფვოდა ნაპირებისაკენ აქედან სადღაც ორასი კილომეტრის მანძილზე შავი ზღვის გრილი ტალღა.

ტაძარში წვეთი წყალიც ვერ ვიპოვნეთ. რას სვამდნენ ამ მიუვალი სავანის ბინადარნი, გაუგებარი იყო.

ბედმა გამიღიმა. საკურთხეველში ფანჯარაზე იდო პატარა წიგნი. ავიღე, უკეთ რომ ვთქვა, ფრთხილად ავაგლიჯე მარმარილოს რაფას და გავშალე.

ჩამშრალმა გვერდებმა ჭრიალი დაიწყეს. ლათინური ლოცვანი და გამხმარი კათალიკოზას ყვავილი შემრჩა ხელში.

ლოცვანი ავიღე. მარიას უნდა ვაჩუქო-მეთქი, გავიფიქრე. ტაძრის გალავნის შიგნით, მქისე ეკლებში მარმარილოს

მრავალი თხელი ფილა ეგდო, ამოკვეთილი სახეებით დამშვენებული.

ვარდისფერი მარმარილოს ერთი გატეხილი ფილა ავარჩიე. ზედ ამოკვეთილი იყო ვაზი, მარტორქის თავი და სომხური სიტყვების რთული ხვეულები. როცა ამ ფილას მზე ეცემოდა, ის ნაზი სისხლისფერი ხდებოდა.

ეს ფილა ხელში ავიღე. გამყოლის დახმარებით მივიტანე ჩემს კუპემდე. მარიასთვის მიხდოდა ესეც. რომ შემძლებოდა, ვაჩუქებდი მთელ ამ ტაძარსაც. სადაც ასეული წლების მანძილზე არ დარხეულიყო ადამიანის ხმა, ახლა კი მერცხლები ალერსიანად ჭიკჭიკებდნენ ჩვენს გარშემო, და გვთხოვდნენ, მალე გაგვეცალეთო.

ბუნდოვნად მახსოვს ნახჩევანი, მტვრიან თუთის ხეებში ჩამალული ქალაქი — ისე დაშორებული რუსეთიდან, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ქვეყნად არსებობდა მოსკოვი.

მახსოვს ჯულფა, სადაც რკინიგზის ხიდის იქით უკვე სპარსეთი იყო, ხოლო შუა ხიდზე, სადაც ჩვენი ტერიტორია თავდებოდა, ფეხშიშველა სპარსელი ჯარისკაცები ისხდნენ და ნაფოტა თევზითა და თუთუნით ვაჭრობდნენ.

უკან დაბრუნებისას მატარებელი უფრო ნელა მოდიოდა და დიდხანს ჩერდებოდა ყოველ სადგურზე, ინჟინრები ყველაფერს კბილს ასობდნენ, შარს ეძებდნენ, ყველაფერს ამოწმებდნენ, სადგურის ცხოვრების ყოველ წვრილმანს აცივდებოდნენ.

მოხუც ექიმს ეძინა, მე კი გული მელეოდა სიცხისა და

შეხუთულობისაგან, კარგა ხანს ვიჯექი ხოლმე სადგურების პატარა ბაღებში, თუთის ხეების თხელ ჩრდილებში, და ვკითხულობდი ერთადერთ წიგნს, მოხუც ექიმს რომ წავართვი — „ტროპიკულ სნეულებათა გამოცხობა და მკურნალობა“ — დროდადრო კი ვთვლემდი.

ზოგჯერ სადგურში ზანტად შემოგორდებოდა საბარგო მატარებელი, და ძაშინ ორმაგად უფრო ცხელოდა გავარვარებული ორთქლმავლისა და ტენდერიდან გადმოღვრილი მდუღარე ზეთიანი წყლის წყალობით.

ერთხელ თითქმის საღამომდე ვიჯექი სადგურში და საკუთარი მოთმინება თვითონვე მაოცებდა, მაგრამ მოძრაობა თითქმის შეუძლებელი იყო.

თუთიის აუზიდან ბაქანზე თბილი წყლის ნარჩენი მოქონავდა და აუზის მახლობლად დამდგარ გუბესთან წამდაუწუმ მიმორბოდნენ წყურვილის მოსაკლავად მისული პატარა ხვლიკები.

ნაღვლიანად ვკითხულობდი საბარგო ვაგონებზე წარწერებს: „გასინჯულია ტვერის სადგურის დეპოში“ ან „გასინჯულია ვლადიმირის სადგურის დეპოში“.

ზოგჯერ დამრეც მთებს გადავცქეროდი ჰორიზონტზე. მგონი, უსახელო მთები იყო. ან ღირს კი რომ სახელი ერქვას ღორღისა და თიხისაგან შედგენილ მიწის უსასრულო კუზებს? რა გულდაჯერებული მეოცნებე უნდა იყოს ადამიანი, რათა ალექსანდრე მაკედონელივით გაემართოს ამ უღიმღამო უდაბნოებისაკენ!

ზოგჯერ მთებს ქარიშხალი გადაუვლიდა, და მწვერვალებიდან წითელი მტვრის სვეტები ადიოდა.

შემდეგ მატარებელმა გადამწვარი ქვაბურიდან დაიწყო ასვლა ზეგანზე (ანუ „პლატოზე“, როგორც ინჟინრები ამბობდნენ), სადაც უკვე ქარი ჰქროდა და ღამღამობით ციოდა კიდეც.

გზა მდინარე არფაჩაის გაყოლებით გადიოდა.

ერთხელ დღის ბოლოს მატარებელი ზედ მდინარესთან გაჩერდა. მეორე მხარეს დავინახეთ ბაზილიკები, კრამიტიანი სომხური გუმბათები და სრული უკაცრიელობა. ეს იყო ძველი სომხეთის სატახტო ქალაქის ანის ნანგრევები — ქვეყნიერების ერთ-ერთი ნამდვილი საოცრება.

ინჟინრებმა თურქეთის სანაპიროდან გამოიხმეს სასაზღვრო კორდონის უფროსი — თურქი ოფიცერი.

ოფიცერმა დაუდევრად, თავმომწონედ გამოიარა დაკიდული ხიდი, თან წკეპლას ირტყამდა სანდალოზწასმულ მესტეპზე. უკან მოჰყვებოდნენ დერვიშების ან კეთროვანთა მსგავსი ჯარისკაცები.

ოფიცერმა ანის დათვალიერების ნება მოგვცა, ოღონდ მხოლოდ მზის ჩასვლამდე. მისმა ამ გადაწყვეტილებამ ჯარისკაცები სიხარულით აავსო: ფეხის ქირას მივიღებთო.

თამამად გავყევი ოფიცერს დაკიდულ ხიდზე თურქეთის ნაპირისაკენ. ყოველ ჩვენგანს გვერდით მიჰყვებოდა ასკერი, ზოგჯერ იდაყვში ხელს ჩაგვავლებდნენ ან ხიდის თოკის რწევას აჩერებდნენ ხოლმე.

ხიდი წვრილი თამასებისაგან იყო შეკრული. ამ თამასებს შორის მანძილი საშუალებას იძლეოდა პირველსავე შემთხვევაში გადაშვებულიყო ადამიანი არფაჩაიში, თუ წაიფორთხილებდა.

ხიდი თრთოდა, იზნიქებოდა, განზე წვებოდა და ყოველ

ნაბიჯზე სულ უფრო ძლიერ ქანაობდა, როგორც საქანელა, და პირდაპირ წყალში გადაგდებით გვემუქრებოდა. წყლამდე მანძილი კი ოც მეტრამდე იყო.

შუამდე მივედი და შევჩერდი, — ხიდმა ქვემოდან დამარტყა ტერფში და განზე გადამისროლა.

ჯარისკაცმა ხელი მტაცა და შეჰყვირა. მაშინ დანარჩენებმა ხიდზე დაიწყეს რაღაც უცნაური როკვა, რათა ხიდის რწევა შეეჩერებინათ. ამასთან დაძაბულობისაგან გაწითლებულმა ჯარისკაცებმა თვალები გადმოკარკლეს და ისე მხეცურად გაჰყვიროდნენ, თითქოს შეტევაზე გადადიანო.

მაგარი მიწა სანაპიროზე მეჩვენა უძვირფასეს თავშესაფრად ყველა უბედურების დროს, მეტადრე მიწისძვრის შემთხვევაში.

ანში პატარა ყაზარმაში ცხოვრობდნენ ჯარისკაცები, ქალაქში კი მხოლოდ რამდენიმე მწყემსი იყო. ისინი ნანგრევებში აძოვებდნენ ცხვარს და ღამეს ათევდნენ იმ ბაზილიკაში, რომელსაც აირჩევდნენ.

რა არის ანი? არის ამქვეყნად ისეთი რამ, რის გადმოცემაც არ შეგვიძლია, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ. როგორ გადმოგცეთ ისეთი მდუმარება, როცა შორიდან ისმის ცხვრის ფეხის ხმა და ყვავილთა მწიფე პარკების გაშლა, თითქოს ბავშვი ჩხარუნას ათამაშებდეს?

როგორ გადმოგცეთ მერცხლის ფრთების ჩრდილების დაცემა ბაბუაწვერებით დაფარული კარიბჭის ფილებზე?

უკაცრიელ, პარტახ, ულაზო დუმილში ცხოვრობენ მხოლოდ ბალახები, ფრესკები და ცა, რაც აგრეთვე ფრესკას ჰგავს.

ღრუბლები ისე დგანან, თითქოს გამოჰენილ იტალიელ ოსტატს დაეხატოს და ღრუბელთა შორის ზოგჯერ გამოკრთება ის ერთადერთი და სახელგანთქმული ირიბი სხივი, რომლის გამოსახვაც უყვარდა დორეს.

ეს სხივი ადრეული ბავშვობიდანვე გახდა ძველი აღთქმის სურათების კუთვნილება, ანის გადამწვარ მოედნებზე ეს სხივი რომ დავინახე, მაშინვე მივხვდი, ისეთივე ძველ მიწაზე მიდგას ფეხი, როგორიც თვით დედამიწაა-მეთქი.

მზე უკვე ჩასვლაზე იყო, უკან დაბრუნება გვმართებდა.

რა ნეტარებით გავათევდი ღამეს ამ ნანგრევებში. დავაკვირდებოდი ვარსკვლავთა ბრუნვას და თვით საკუთარი თავის შემშურდებოდა.

რას ვლამბობ ამაზე მარიას? ძაღლის თანავარსკვლავედზე— წინასწარმეტყველის საფლავის სანახავად მიმავალ მლოცველთა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავზე. აი ისიც — დაბალი, ცეცხლოვანი, ამ ძუნწი და კეთილი მიწის შორეულ სივრცეთა ზეთავზე რომ ციმციმებს.

იქნებ ჩანდეს იმ ოთახიდანაც, სადაც მარიას ეძინა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ქარმა ფარდა გადასწიოს, რომ მარიამ სწრაფად წამოიძახოს რამე სიზმარში, წამით აქეთ-იქით მიმოიხედოს და ვარსკვლავის შუქი თვალში მოხვდეს როგორც გახსენება.

დაკიდულ ხიდზე დაბრუნება უკვე ისე საშიში აღარ იყო. სიბნელე გვეხმარებოდა.

თურქები ყვიროდნენ, სადღაც ქვითინით გვემშვიდობებოდა სახედარი და აბზინდას სუნი ქვეყნად ყველაზე უფრო მშვენიერ სუნად მეჩვენა. ეს იყო ხიტიალისა და სიმწრის სუნი. ასე გავიფიქრე მაშინ და თავი უმწეო სიმბოლისტად წარმოვიდგინე.

მატარებელი მთელი ღამე ბამბაკის ხეობით მიდიოდა. ხეობაში უკუნი იდგა, მაგრამ დროდადრო ამ უკუნს ზოლად ეცემოდა ფარნის შუქი და წყვდიადი თითქოს იცრიცებოდა.

არ მეძინებოდა. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თბილისში უნდა დავრჩენილიყავი. მარიასაგან შორს ცხოვრება წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. დაე ნურც შემომხედავს, ნურც დამელაპარაკება, ოღონდ თვალი მოვკრა მარტო, ოღონდ სადმე შორი-ახლო მეგულებოდეს-მეთქი, ვფიქრობდი უძილობითა და მგზავრობით დაქანცული. ისიც კი საკმარისი იყო ჩემთვის, რომ ერთი და იგივე ცისქვეშ ვიცხოვრებდით და უჯმაჯურ ღრუბელს, რაინდის მუზარადიანი თავივით აღბეჭდილს თბილისის ცაზე, ორივენი დავინახავდით.

მატარებელი შუადღისას ჩავიდა თბილისში, შუადღისას კი გაგანია სიცხე იქ ყველა საღებავს ერთნაირად ნაცრისფერსა ხდის და ჰაერსაც ამღვრევს.

სადგურიდან ეტლით წავედი. გზაში ძალიან ვღელავდი. მუხლებზე ულამაზესი მარმარილოს ფილა მედო.

იმ შესახვევში, სადაც ზდანევიჩები ცხოვრობდნენ, ადამიანიშვილი არ ჭაჭანებდა, მზით გათანგულ ქუჩას ალმური ასდიოდა. ზდანევიჩების სახლის ყველა ფანჯარა დახურული იყო. როცა მივაკაკუნე, კარი დიდხანს არავინ გამიღო. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა. მეეტლემ მარმარილოს ფილა ჩამოიღო და თქვა: „ვის ჩამოუტანე მატური, პაპას თუ ბებიას? კარგი საჩუქარია, მე და ჩემმა მზემ!“

კვლავ დავაკაკუნე. უცებ ვალენტინა კირილეს ასულის ხმა შემომესმა:

— ვინ არის?

მე ვარ-მეთქი, ვუთხარი.

— დღეს არ გელოდით, ყმაწვილო, — თქვა მან და კარი გამიღო.

ბნელ სადარბაზოში მკრთალად ენთო ელექტრონათურა და ჭედლიდან შეშფოთებული, შეშინებული ჟირაფი დამცქერო და, თითქოს ავბედით რამ ამბავს მატყობინებდა. ოთახებში ბნელოდა.

ვალენტინა კორილეს ასული იმ დღეს ნამდვილად არ მელოდა, მაგრამ მარია?

— ხომ არაფერი მოხდა? — ვიკითხე.

— არაფერი, — მიპასუხა ვალენტინა კირილეს ასულმა და მომეჩვენა, რომ ჩაიქირქილა. — შინ არავინ არ არის, მარტო ვარ. მარია ორი თვით ბორჯომში წავიდა. ექიმებმა ურჩიეს, ბორჯომში წადიო. ეგ რა საფლავის ქვა ჩამოგიტანია?

— იშვიათი რამ არის, — ვუპასუხე. — ხუთასი წლისა მაინც იქნება.

— მეეტლეს უთხარი ეზოში ჩაიტანოს, აქ ვიღაცა ფეხს წამოჰკრავს და კისერს წაიმტვრევს, — თქვა ვალენტინა კირილეს ასულმა და თავის ოთახისკენ წავიდა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ კვლავ მომიბრუნდა: — გამომგონებელი ხარ ნამდვილი, რას არ მოიგონებ...

შევედი თუ არა ჩემს ოთახში, იმ წუთას ვიგრძენი, რომ ოთახი ის აღარ იყო, ძველებურად აღარ შემომცინა.

ხელად მაგიდას მივვარდი. რატომღაც დარწმუნებული ვი-

ყავი, რომ იქ მარიას ბარათი უნდა დამხვედროდა, მაგრამ ბარათი არსად ჩანდა.

ნაცნობი თაფლნარევი ხმა კვლავ იდუმეის თეთრ შროშანს უმღეროდა. საათს დავხედე, პირველს წუთებიღა აკლდა — გარეთ ცეცხლი ეკიდა დედამიწას.

— იდიოტი, რა დროს სიმღერაა! — ხმამაღლა ვთქვი და სკამს დავეყრდნე.

ტირილი მომინდა, მაგრამ თავი შევიკავე. შეგუბებული ცრემლი თუ ბოღმა ყელში მომაწვა, მხოლოდ დაღმუვლებაღა შევძელი.

მერე გარეთ გავედი. ქალაქი სიცხისაგან დუღდა, ისედაც გულამომჯდარს სუნთქვა მთლად შემეკრა, მაგრამ მაინც შევიარე „გუდოკში". ხვალ რუსეთში უნდა წავიდე, ძალიან გთხოვთ არაფერი არა მკითხოთ-მეთქი, ვუთხარი და გამოვემშვიდობე. კარგახანს მუშტაიდის ბაღში ვიჯექი, ცოტა სული მოვითქვი.

იქვე, ჩრდილში გრილი მიწა მოვჩიჩქნე, ხელის გულში მოვიგროვე და ცხელ შუბლზე მივიდე.

გული მიკვნესოდა. იმ დღემდე არასოდეს არ მიგრძვნია ისე მწარედ ჩემი მარტოობა და მიუსაფრობა. მივხვდი, რომ აღარც მარიას ვუნდოდი ამქვეყნად და აღარც მეგობრებს. ის კი არა, თავად მძულდა საკუთარი თავი.

ყელზე თითქოს ცომის გუნდა დამადგა. მარტო დედაჩემსა და გლაშას შეეძლოთ ახლა ჩემი გადარჩენა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ბავშვივით ვიყვირებდი და საშველად მოვუხმობდი დედაჩემს. რა ვიცი, იქნებ ვიყვირე კიდეც—ფიქრში წასულს დარაჯი წამომადგა თავს და მკვახედ მითხრა:

— ავადა ხარ? ადე, შინ წადი. აქ ბავშვები დახტიან-დახტიან-ვარდობენ.

ხმა არ გამიცია. ავდექი და გავეცალე. ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი რა გზასაც უნდა დავდგომოდი: კიევში, მხოლოდ კიევში, დედასთან და გლაშასთან უნდა წავსულიყავი.

მარია? არა, რას არ მოიგონებს ადამიანი! მერე რა, რომ ერთად დავდიოდით, ვინ იცის, იქნებ აზრადაც არ მოსვლია მარიას ჩემი სიყვარული? ყველაფერი მოგონილია! მერე და, ვინ მოიგონა? რასაკვირველია, მე.

მუშტაიდიდან პირდაპირ სადგურში წავედი, ბორჯომის მატარებლის ბილეთი ავიღე.

მეჩვენებოდა, რომ მატარებელი ტყვიასავით მიჰქროდა, ცოტაც და ალბათ სკამიდან გადმოვვარდებოდი.

ბორჯომში ჩავედი თუ არა, ხელად უკან დასაბრუნებელი ბილეთი ვიყიდე და იმავე მატარებელს გამოვყე. სადგურის გარდა, ბორჯომში სხვა არაფერი მინახავს.

კარი ვალენტინა კირილეს ასულმა გამიღო.

— ჭამეთ რამე დღეს? — მკითხა მან.

— კი... როგორ არა... გმადლობთ... ხვალ რუსეთში მივემგზავრები. დილაზე ვალსაც შემოგიტანთ და გამოგემშვიდობებით კიდეც.

სწრაფად შევედი ჩემს ოთახში და კარი გასაღებით გადავკეტე. ხმათაფლიანი იდიოტი კვლავ თეთრი შროშანის რომანსს ღიღინებდა.

კედლიდან შემკრთალი ჟირაფი დამცქეროდა და მეჩვენებოდა, რომ ასაზლუქუნებლად გამზადებული ბავშვივით უთრთოდა ტუჩები.

ტანთ არ გამიხდია, ისე წამოვწექი ტახტზე. ბალიშქვეშ რაღაც გაშრიალდა. ხელში ბარათი შემრჩა. მარიას ორად ორი სიტყვა დაეწერა:

„დამილოცნიხართ. მშვიდობით“.

მთელი გზა კიევამდე ამ ორ სიტყვაზე ვფიქრობდი და მაინც ვერ მივუხვდი აზრს. მარიას სიტყვაძუნწმა ბარათმა ოდნავადაც ვერ დამამშვიდა. „ყველაფერი მოგონილია!“ — ვიმეორებდი აკვიატებულ სიტყვებს.

რა ვუყოთ, ეგრე ყოფილა წუთისოფელი!

იალტა—ოკის ტარუსა.
1959—1960.

სარჩევი

კოლხიდა . 3
ნახტომი სამხრეთისაკენ 167

Константин Георгиевич Паустовский

Бросок на юг
(на грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1964

რედაქტორი არჩ. დავითიანი
მხატვარი ნ. იანქოშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-64 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 19,52. სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,2.
ტირაჟი 10 000. შეკვ. № 640.
ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი. მარჯანიშვილის ქ. 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.